საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

№11 (637) 11 – 17 მარტი * ფასი 1,50 ლარი



რა როლი შეასრულა აგათა კრისტის ცნობილ დეტექტივში ჟაკლინ ბისეს შემდეგ ელენა სატინემ და როგორ ინტერესდებიან მისი მოწონებული როლებით ჰოლივუდის ცნობილი ვარსკვლავები

გვ. 47

გვ. 51

როგორ გახდა ლელა მებურიშვილი სხვისი ქმრის ცოლი

გვ. 54

ვისი დახმარებით დაბრუნდნენ სახლში ნანიკო ხაზარაძე და ნიკა ლომიძე და რა სისულელეს არ ჩაიდენენ ისინი



გვ. 14

რა რეკორდი დაამყარა კულტურის მინისტრის მოადგილემ კავკასიონის მთებში და რაში ჩაითრიეს ის



გვ. 42

როგორ აპირებს მზია ორველაშვილი „სამეჯლისო ცეკვების ჰოლივუდში“ მოხვედრას



გვ. 50

რა წარმატება მოჰყვა გუგა კოტეტიშვილის მიერ 300 დოლარით წამოწყებულ საქმეს და როგორ ცხოვრობს ის



გვ. 39

როგორ ცხოვრობს ლიბანში ნიკა ცქიტიშვილის ოჯახი და რა დაანათლა ზაზა ფაჩულიამ მის ქალიშვილს



გვ. 22

რატომ არ ატანდნენ მოსკოვის აეროპორტიდან შვილს ეკა გაბიტაშვილს



გვ. 19

როგორ დააბრუნა ბიძინა ივანიშვილმა კობა დავითაშვილი ცოლთან



გვ. 18

როგორ მიუნგრია პატრულს ცხვირ-პირი კახა კუკავამ და რაზე წუწუნებს მისი ცოლი

## იღბლიან კვირას გისურვებთ!

ავერსი AVERSI
ავერსი გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!
WISH YOU HEALTH AND PEACE OF MIND!

# მედიატური მსოფლიო დონის ქართულ ფარმაცევტულ საწარმო „ავერსი-რაციონალში“

**28 თებერვალს ფარმაცევტულ საწარმო „ავერსი-რაციონალში“ მედიატური გაიმართა, რომლის მიზანი იყო ქართული მედიის წარმომადგენლებისთვის კიდევ ერთხელ გაეცნოთ ქართული ფარმაცევტული წარმოება; ასევე, კომპანიის წარმატებები, სიახლეები და ქარხანაში მიმდინარე პროცესები. მოწვეულ სტუმრებს შორის ბევრი ცნობილი სახე იყო, რომლებმაც ერთხმად აღნიშნეს საწარმოს რეიტინგი ფარმაცევტულ ბაზარზე. კომპანიამ მომხმარებლის ნდობა სწორედ წლების განმავლობაში მომსახურების მაღალი დონით, დაბალანსებული ფასებითა და უმაღლესი ხარისხის მედიკამენტების წყალობით მოიპოვა, ხოლო მაღალი დონის მომსახურება „ავერსის“ სავიზიტო ბარათია. „ავერსის“ დამფუძნებელმა, ბატონმა პაატა კურტანიძემ ჟურნალისტებს თავად შემოგვთავაზა გიდობა საწარმოსა და ლაბორატორიის დასათვალიერებლად და ჩაგვრთო ყველა იმ საინტერესო პროცესში, რომელსაც პრეპარატების დამზადება ითვალისწინებს. ბატონი პაატა პროფესიით ექიმია, შესაბამისად, ბევრი საჭირო რჩევა მოგვცა მედიკამენტების შესახებაც. ჟურნალისტებთან საუბარში მან აღნიშნა, რომ „ავერსის“ წარმატება მთელი საქართველოს წარმატებაა, რომ საწარმო ისევ ფართოვდება და მიმდინარეობს ახალი ლაბორატორიის მშენებლობა, რომელიც ქიმიურ, მიკრობიოლოგიურ და კვლევით განყოფილებებს გააერთიანებს, რომლის საერთო ფართობი 1 200 კვადრატული მეტრი იქნება. ახალი ლაბორატორიის შექმნის აუცილებლობა წარმოებისა და ნაწარმის ასორტიმენტის ზრდამ გამოიწვია.**

**პაატა კურტანიძე** ***(კომპანია „ავერსის” დამფუძნებელი):*** „ავერსი-რაციონალის“ ლაბორატორია ყველაზე დიდია საქართველოში. ვმუშაობთ ტექნოლოგიური ხაზის გაფართოებაზეც. საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და სერტიფიკატების მიღება „რაციონალისთვის“ მხოლოდ სარეკლამო ატრიბუტი არ არის. ეს სტანდარტები შექმნილია მსოფლიოს პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე და პროდუქციის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. საწარმოს მიერ მიღებული სერტიფიკატები არ არის მხოლოდ ტექნოლოგიებისა და აპარატურის ხარისხის მაჩვენებელი. ისინი, უპირველეს ყოვლისა, დასტურია იმისა, რომ შექმნილი და დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც იძლევა გარანტიას, რომ „ავერსი-რაციონალის“ მიერ წარმოებული მედიკამენტები პაციენტისთვის ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და ეფექტურია. მომხმარებელთა კმაყოფილება კი „ავერსი-რაციონალისთვის“ უმთავრესი პრიორიტეტია.”

საწარმოს დათვალიერების შემდეგ, ეგრეთ წოდებული „კოფი-ტაიმის” დროს, ჟურნალისტებმა ერთმანეთს საკუთარი აზრი გავუზიარეთ საწარმოში მიმდინარე პროცესების, ზოგადად ფარმაციისა და სამედიცინო მიღწევების შესახებ. ამის შემდეგ გადავინაცვლეთ საკონფერენციო დარბაზში, სადაც ბატონმა პაატა კურტანიძემ, ასევე, მალხაზ კურტანიძემ, სარეკლამო განყოფილების ხელმძღვანელმა ლალი ბრეგვაძემ, ხარისხის მენეჯერმა და სხვა კომპეტენტურმა პირებმა ისაუბრეს „ავერსი-რაციონალის“ საწარმოს ხარისხის კონტროლზე, ახალ ლაბორატორიაზე, რომელიც აღჭურვილია უახლესი მოდელის აპარატურით. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიო დონის ფარმაცევტულმა საწარმომ – „ავერსი-რაციონალმა“ პირველი მედიკამენტი მომხმარებელს 2005 წელს შესთავაზა. ამჟამად ის 143 დასახელების პროდუქციის 230 პოზიციას აწარმოებს. „ავერსი-რაციონალი“ მფლობელია ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატებისა, რომლებიც მან უმოკლეს ვადაში მოიპოვა. ესენია: 2006 წლიდან – ISO 9001 სტანდარტის შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც მოწმობს, რომ კომპანიის ხარისხის მენეჯმენტის სისტემა მართვადია და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს. 2008 წლიდან GMP EU & FDA სტანდარტების შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც მოწმობს, რომ „ავერსი-რაციონალში“ მიმდინარე ყველა პროცესი (წარმოება, ხარისხის კონტროლი, ხარისხის უზრუნველყოფა და სხვა) შეესაბამება ევროპული GMP-ისა და ამერიკული FDA-ს სტანდარტების მოთხოვნებს. „ავერსი-რაციონალი“ აღჭურვილია ამერიკული, იტალიური, ინგლისური, გერმანული, იაპონური და სხვა უმაღლესი ხარისხის უახლესი მოდელის აპარატურით. „ავერსი-რაციონალის“ ახალი ლაბორატორია განლაგებულია 750 კვადრატულ მეტრზე, აქ ტარდება როგორც ფიზიკურ-ქიმიური, ისე მიკრობიოლოგიური ანალიზები. ახალი ლაბორატორია, ისევე, როგორც საწარმო, აღჭურვილია უახლესი მოდელის აპარატურით, ხელსაწყოებითა და ინვენტარით.



2012 წელს სულ გაიყიდა „ავერსი-რაციონალის“ 6 მილიონამდე კოლოფი მზა პროდუქტი. ამჟამად მხოლოდ „ავერსი-რაციონალში” დასაქმებულია 300-მდე ადამიანი.

კონფერენციის მიმდინარეობის დროს დაისვა ბევრი აქტუალური შეკითხვა საწარმოს პროდუქციის ექსპორტზე, საწარმოს გაფართოებასა და პროდუქციის ხარისხის სტაბილურობაზე, რაზეც ამომწურავი პასუხი გასცეს „ავერსის“ წარმომადგენლებმა. კონფერენციის დასრულების შემდეგ გაიმართა ალაფურშეტი, გაიჭრა ულამაზესი ტორტი „ავერსი-რაციონალის“ ლოგოთი და მედიატურში მონაწილე ჟურნალისტებს გადმოგვეცა საჩუქრები „ავერსი-რაციონალისაგან“. მედიატური მართლაც დასამახსოვრებელი აღმოჩნდა თითოეული ჟურნალისტისთვის, რადგან, მსგავსი ღონისძიებები და ჩართულობა კომპანიის პროცესებში ხელს უწყობს ჟურნალისტებს მოსახლეობისთვის ობიექტური და დროული ინფორმაციის მიწოდებაში.

„ავერსი“ ქმნის ახალ ქართულ, ხარისხიან პროდუქციას ფარმაცევტული ბაზრისთვის და დღითიდღე უფრო მეტად იმკვიდრებს ნდობასა და სიყვარულს მოსახლეობაში. კომპანია გვთავაზობს უამრავ სიახლეს, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, აფართოებს ფარმაცევტულ წარმოებას, გვთავაზობს მსოფლიო დონის საააფთიაქო ქსელს, უმაღლესი სტანდარტების შესაბამის სამედიცინო მომსახურებასა და ყველაზე სანდო და ხელმისაწვდომ სადაზღვევო პროდუქტს. „ავერსი“ მართლაც რომ ზრუნავს ჩვენს ჯანმრთელობასა და სულიერ სიმშვიდეზე.

**სოფი ლორია**

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ ვერ მოახერხა საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ საბჭოთა ანაბრების ნაწილობრივ ანაზღაურებაც კი, ვინ მიითვისა ქართველი მეანაბრეების ფული და რატომ არ არის დაბრუნებული 90-იან წლებში გაცემული კრედიტების 85 პროცენტი ........... 6



რატომ აღმოჩნდა საქართველოში ამდენი სადისტი და რატომ არის შურისძიება მსხვერპლის ბუნებრივი მოთხოვნილება ... 8

რა შემთხვევაში ექნებათ დამსაქმებლებს ზეპირი და უვადო ხელშეკრულებების გაფორმების



უფლება და რა შემთხვევებში რჩებათ დამქირავებლებს თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლების უფლება.................10

რა აკავშირებს კუბის ლიდერ რაულ კასტროს სექს-ტურიზმის აღორძინებასთან და მისი ოჯახის რომელი წევრი ითვლება გეი-აღლუმების მედროშედ ............................. 12



რატომ ითვლებოდა გერმანელი ოტო ბაისჰაიმი ერთ-ერთ ყველაზე იდუმალ ფიგურად მილიარდერებს შორის და რას საქმიანობდა ის მეორე მსოფლიო ომის პერიოდში .. 13

რა რეკორდი დაამყარა კულტურის მინისტრის მოადგილემ კავკასიონის მთებში და რაში ჩაითრიეს ის ...................................................................... 14

ადვოკატი გირჩევთ ..................................... 16

როგორ მიუნგრია პატრულს ცხვირ-პირი კახა კუკავამ და რაზე წუწუნებს მისი ცოლი ............................................................ 18

როგორ დააბრუნა ბიძინა ივანიშვილმა კობა დავითაშვილი ცოლთან ................. 19

როდის არ არის მამაკაცი მართალი ქალთან და რატომ დგება ის დილემის წინაშე ..................................................................... 20

რატომ დაიკარგა დედმამიშვილებს შორის კავშირი და ვის ეძებს ავადმყოფი დედა მარნეულის სოფელ თამარისიდან უკრაინაში ................................................. 21

რატომ არ ატანდნენ მოსკოვის აეროპორტიდან შვილს ეკა გაბიტაშვილს და ვის გამო მოუწია მას „ქოვენ გარდენში“ წასვლაზე უარის თქმა ........ 22

თბილისის რომელ სასტუმროში ცხოვრობდა 1921 წელს მიხაილ ბულგაკოვი და რის გამო დაანგრიეს ქამოანთ ეკლესია სასახლის ქუჩაზე .... 23



რატომ უნდა გააჩნდეს ადამიანს მარხვის პერიოდში მუდმივად სინანული და როგორ უნდა განეშოროს ის სხვა ადამიანების ცხოვრებაში ჩახედვას...............24

რამდენ ფეხბურთელს აქვს გატანილი 300 გოლი ერთი კლუბის მაისურით და ვინ არის მათ შორის ყველაზე შედეგიანი ..................... 26

ექიმის რჩევები .............................................. 29

ფილმი, რომლის გამოც ოთარ იოსელიანს კინემატოგრაფში დარჩენა აუკრძალეს ................................................... 30

როგორ უნდა აიცილოთ ოჯახური კონფლიქტები სწორად მოწყობილი საცხოვრებლის ენერგეტიკის ხარჯზე . 32

ჯენიფერ ლოურენსის გზა ნიუ-იორკის ტროტუარიდან „ოსკარის“ ტრიუმფატორობამდე ................................ 34

ინტიმური საუბრები ........................................ 36

რა როლი შეასრულა აგათა კრისტის ცნობილ დეტექტივში ჟაკლინ ბისეს შემდეგ ელენა სატინემ და როგორ ინტერესდებიან მისი მოწონებული როლებით ჰოლივუდის ცნობილი ვარსკვლავები ............................ 47

რა წარმატება მოჰყვა გუგა კოტეტიშვილის მიერ 300 დოლარით წამოწყებულ საქმეს და როგორ ცხოვრობს ის ............................................. 50



როგორ დაწერა მამადავითზე ჯვარი ზურაბ წერეთელმა ვლადიმირ ვისოცკისა და მარინა ვლადის და რატომ გადააგდეს სკამიდან შულცი თბილისში ზურაბ წერეთელთან სტუმრობის დროს ............................................. 52

ვისი დახმარებით დაბრუნდნენ სახლში ნანიკო ხაზარაძე და ნიკა ლომიძე და რა სისულელეს არ ჩაიდენენ ისინი ............ 54

კოსმეტოლოგის რჩევები ......................... 55

როგორ მოიპარა ქართველმა ქურდმა, მეტსახელად „ხვლიკმა“, ცნობილი შედევრი – „მეთევზე“ ................................. 56

როგორ გახდა 4 000 დოლარი სასტიკი დანაშაულის ჩადენის მიზეზი და რატომ დააყაჩაღეს მოსწავლეებმა ყოფილი მასწავლებელი ............................................. 58

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს .... 59



ვეტერინარის რჩევები.....64

რა საიდუმლო წაიღეს საფლავში ლავრენტი ბერიას საყვარლებმა.....65

მე – დაქირავებული მკვლელი.........66

რატომ გადაასახლეს სტალინის სიკვდილის შემდეგ სახელმწიფოს ჯანმრთელობის მინისტრი და რა ბედი ეწიათ მისი დაცვის წევრებს ......................................... 70

მკვდარი ვერსია ........................................... 74

შეკითხვა ასტროლოგს .......................... 80

რამდენი სასიყვარულო ეტაპი არსებობს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში 80

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ....... 81

როგორ მუშაობდა დიჯეი ბაჯუ „ენიგმას“ ფრანგ პროდიუსერთან და როგორ მოხვდა ის „ბი-ბი-სის“ ობიექტივში ............................................ 82



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

**განყოფილებები**

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე

რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი

კორექტორი: ხატია ქღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, სოფო ლომიძე, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე

ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი



**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61; 239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: info@tbiliselebi.ge
tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# რაც მეტი, მით უკეთესი

## გზა ევროპისკენ – გისოსებზე

**სალონიკის მერის უვადო პატიმრობა ხეირიანად არ მოგვეწონებინა** (მოგეხსენებათ, ის საბიუჯეტო თანხების გაფლანგვისთვის მიაბრძანეს, სადაც ჯერ არს, ზედაც, თანხის უკან დაბრუნებაც დაავალდებულეს), როდესაც **მეორე, არანაკლებ გულისმომკვლელი, ამბავიც შევიტყვეთ: ჩეხეთის პარლამენტის ზედა პალატამ**, ხმათა უბრალო უმრავლესობით, **პრეზიდენტ ვაცლავ კლაუსის იმპიჩმენტს დაუჭირა მხარი**.



კერძოდ, **ჩეხმა კანონმდებლებმა თავიანთ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს**, რათა ამ უკანასკნელმა დაწვრილებით გამოიძიოს, **შეესაბამებოდა თუ არა პრეზიდენტის მიერ ამ წლის დასაწყისში გამოცხადებული ამნისტია კონსტიტუციას**.

ეს კონკრეტული **ამნისტია კი**, როგორც ირკვევა, **ფინანსურ დანაშაულს ეხებოდა**, მათ შორის, ბიზნესმენ **ვინმე ტომას პიტრასა და ჩეხეთ-მორავიის საფეხბურთო ფედერაციის ყოფილი თავკაცის ფრანტიშეკ ხვალოვსკის**. პირველი **გადასახადებისთვის თავის არიდების გამო დაუჭრიათ**, მეორე – **11 მილიონი ფუნტ სტერლინგის მითვისებისთვის**. რაც მთავარია, **საიმპიჩმენტო პრეზიდენტს ვადა გასულ კვირას ამოეწურა**, ვინაიდან ჩეხეთს უკვე ჰყავს არჩეული პრეზიდენტი, რომელიც 7 მარტიდან შეუდგა უფლებამოსილების განხორციელებას.



ამის პარალელურად, **რაკი უბედურება მარტო არ მოდის**, გავიგეთ, რომ **მილანის სასამართლოს იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონისთვის ერთწლიანი პატიმრობა მიუსჯია**. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **ნაპრემიერმინისტრალ ბერლუსკონის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას ედავებიან**, რის გამოც **3 წლით და სამი თვით ციხე არც მის ძმა პაოლო ბერლუსკონის ასცდება.**

სხვათა შორის, **ამ კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებით ერთ-ერთ ბანკს გარიგება ჩაშლია** (წყაროდ ბ-ნმა ბერლუსკონიმ საკუთარი გაზეთი გამოიყენა).

ხოლო, თუ ზედაც რამდენიმე თვის წინათ **ხორვატიის ყოფილი პრემიერ-მინისტრისთვის 10-წლიანი პატიმრობის შეფარდებას გავიხსენებთ, ევროჯახში თავის საფუძვლიანად დასაგულვებლად**, ვფიქრობ, **ერთი ბობოლ-ბობოლა ნაჩინოვნიკარის გისოსებს მიღმა მოთავსება, ჰაერივით აუცილებელია** (თან, ზემოთქმულის გათვალისწინებით, ეს ის კონკრეტული შემთხვევაა, როდესაც **რაც მეტი, მით უკეთესი!**).

# დაბრუნება

მართალია, მან **პირველი ოქტომბრის შემდეგ თითქმის უნუგეშოდ მიგვატოვა** (ოღონდ **მთლად ტარიელივით ველადაც არ გაჭრილა**, ოკეანის გაღმა **ფრიად ცივილიზებულ გარემოში ბრძანდებოდა ცივილური არსებებით გარშემორტყმული**), მაგრამ, ალბათ, რადგან ყველაფერს აქვს თავისი დასასრული, ბ-ნი შაშკინიც სამშობლოს დაუბრუნდა.

**მოულოდნელი გაუჩინარება** კი **რამდენიმე მიზეზით ახსნა**: ჯერ ერთი, **მორალურად დავითრგუნე**; მეორე, **უსაფრთხოების მიზნით გავხიზნე ოჯახი** და **მესამე მიზეზიც დაახლოებით იმავე ოპერიდან იყო**.

მომყავს ციტატა მისი განცხადებიდან, რომელიც თბილისის აეროპორტში გააკეთა: **„ყველამ იცოდა, სადაც ვიყავი ამერიკის შეერთებულ შტატებში** (ანუ **რა „სულიკოსავით“ მეძებდითო?!**). თავისუფალი ადამიანი ვარ და მაქვს უფლება გადავწყვიტო, სად ვიყო“.

# „ძრწოდე, კავკაზო, ერმოლოვი მოდის“

იქვე შეგვატყობინა, რომ **ცნობები მის მიერ უზომოდ დიდი რაოდენობით პრემიების გამოწერის შესახებ გადაჭარბებულია**, როგორც თვად ამტკიცებს, **საკუთარი თავისთვის პრემიების გამოწერა უკადრებია** (ვითომ **მშრალი ხელფასითაა შესაძლებელი ნახევარ წელს აშშ-ში ცხოვრება?!**).

ასეა თუ ისე, **იგი დაბრუნდა**, მეტიც, **მზადაა**, საჭიროების შემთხვევაში თვით **სამართალდამცველ ორგანოებთან ითანამშრომლოს კიდეც**. ჩვენ არ ვიცით, **როგორ შეეყრება ის პროკურატურას** ან **რას ეტყვის ახალს გამომძიებლებს**, მაგრამ, თუ **არაერთგზის ნამინისტრალი** ბ-ნ შაშკინის, ჯერ ერთი, **აშშ-დან ჩვენთვის „ფეისბუქით“ გამოგზავნილი რამდენიმე უსტარით ვიმსჯელებთ** და, ზედაც, **ჩამოსვლის შემდეგ მისეულ კომენტარებს დავამატებთ**, დიდი დაბრუნების **მიზანსცენის პათოსი დაახლოებით შემდეგნაირია: „ძრწოდე, კავკაზო, ერმოლოვი მოდის!“**

# სიძვირფასის დაღდასმული

გასულ კვირას **თავდაცვის მინისტრმა** პარლამენტის **უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად სამხედრო ნაწილები მოინახულეს**. მათ შორის, **თავდაცვის ყოფილ მინისტრ** ბ-ნი **ახალაიას აპარტამენტებსაც შეავლეს თვალი**. მეტიც, **დანარჩენებსაც გამოგვიმზეურეს**. შთაბეჭდილებამაც არ დააყოვნა – **აპარტამენტები ფრიად კომფორტული, ბევრ ფულმიხარჯული** და **შთამბეჭდავია**. ერთი სიტყვით, **თვალს უხარია** (აი, **გულისა რა მოგახსენოთ, ჩვენი ქვეყნის რუკის დამყურეს**). **ძვირფასობის დაღი თავდაცვის სამინისტროს მიერ** (2008-2012 წლებში) **შეძენილ ავტომანქანებსაც აზის**. მაგალითად, **ყველაზე ძვირად ღირებულის ფასი** (სავსებით ოფიციალური „ინვოისით“) **442 183 ლარია**, ყველაზე **იაფიანის – 77 682**.

თუმცა **პასუხმაც არ დააყოვნა**, ზემოხსენებული ბ-ნების (ალასანიასი და სესიაშვილის) **ფოტოდოკუმენტებს** ბ-ნი **ახალაია საპატიმროდან გამოეხმაურა** (თვით **ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ დემოკრატიული ტექნიკა ფრიად წინ გავარდნილა**,



ვინაიდან აქამომდე გისოსებს მიღმა მომხდრების ხმა ამ ქვეყანაში არავის გაეგონა). მომყავს ციტატა წერილიდან: „**სწორედ ამ პერიოდში იყო ყოველდღიური შრომა იმისათვის, რომ როგორც ჯარისკაცებს, ასევე ოფიცრებს შექმნოდათ უკეთესი პირობები**, ვინაიდან ეს ადამიანები სახელმწიფო სადარაჯოზე იდგნენ. **მე მუდამ მათთან ვიყავი და არმია იყო ჩემი ოჯახი. სწორედ მათთან ერთად ვიზიარებდი ნებისმიერ სიხარულსა და მწუხარებას.**“

**თუ ბ-ნი ახალაიას აპარტამენტებს გადავხედავთ**, აშკარაა, **სიხარულის გასაზიარებლად სუპერევროპული სტანდარტები შეუქმნ-**

# „ხმალს ხელს არ უშლის სიმოკლე“

**ია**, რაც, სხვა რომ არაფერი, **იმას მაინც ნიშნავს, რომ ჩვენს თავდაცვის ნამინისტრალს გემოვნებაც კარგი ჰქონია** და **ამაზე ნაკლები არც ცხოვრება ჰყვარებია**.



როგორც უნდა იყოს, ბ-ნი **ახალაია ამაყობს**, უპირველესად, **სამხედრო აკადემიითა და კადეტთა სკოლით**, რომელიც, როგორც თვად აღნიშნავს, **„ანალოგი არ მოეპოვება ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში** (აქვე დავძენ, რომ **პოსტსაბჭოთა სივრცეში არც საქართველოს რუკას მოეპოვება ანალოგი:** ერთის ნაცვლად **სამი პრეზიდენტია, ერთი – დე-იურე, ორიც – რუსეთის მიერ მხოლოდაღიარებული**) და იმითაც, რომ სწორედ მისი მინისტრობისას გამხდარა **სამხედრო განათლება და სამხედრო სამსახური პრესტიჟული** (ვითომ?!). თუმცა მისი **სიამაყის მთავარი ობიექტი მაინც სამხედრო მრეწველობის განვითარებაა**. მოვიხმობ ციტატას: „თვითმავალი რეაქტიული საარტილერიო დანადგარი, უპილოტო საფრენი აპარატი, ავტომატური შაშხანა G5, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი, ნაღმმტყორცნები, პირველი ქართული მსუბუქი ჯავშანტრანსპორტიორი „დიდგორი“, ქვეითი საბრძოლო მანქანა „ლაზიკა“.

ერთი სიტყვით, ამ **გულისმომკვლელი არზის პათოსი შემდეგნაირია**: მე ჩემი **სული, გულიანად ქართულ არმიას შევწირე**, ხოლო **დღევანდელი ხელისუფლება სამხედროებს საკუთარი ფიარისთვის იყენებსო**.

ოღონდ, **თუ კვლავ საქართველოს რუკას მოვიშველიებთ**, სულ **ამაოა „დიდგორიც“ და „ლაზიკაც“**, იმ მარტივი და გენიალური მიზეზით, რომ **„ხმალს ხელს არ უშლის სიმოკლე, ფეხი წინ წადგი, მისწვდება.“**

# ვაშლი და მისი ნაყოფი

## ანუ შენ რომ ჩემთვის ფრჩხილები არ დაგიძვრია?!

„ბი-ბი-სიმ“ ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა და დაადგინა, რომ **გენერალი პეტრეუსი,** რომელიც რამდენიმე თვის წინათ **თანამდებობიდან გადადგა ისეთი უწყინარი მიზეზით** (ჩვენი სინამდვილისთვის, უწყინარი), **როგორიც სიყვარულია** (ფორმიანიც კაცია და ქალი შეუყვარდა), **ციხეებში ერაყელთა წამებაში იღებდა მონაწილეობას.**

მართალია, **არ დადასტურებულა, რომ უშუალოდ ესწრებოდა წამების პროცესებს**, თუმცა, ჩემი ბრიტანელი კოლეგების მტკიცებით, **ინფორმაციას ფლობდა**. უფრო მეტიც, **დირექტივებსაც გასცემდა** (როგორ **უნდა ეწამებინათ უფრო ლაზათიანად**). ბუნებრივია, **ამ საქმიანობაში მარტოხელა არ ყოფილა**, ერთი ისაა, რომ **დანარჩენები რანგით ვერ გაუტოლდებიან.**

„გარდიანმა“ დადგინა, **როგორ მუშაობდა ერაყში დაკითხვის ამერიკული სისტემა:** თითოეულ **ციხეს დაკითხვის საკუთარი კომისია ჰყავდა,** რომლებიც **ინფორმაციის მიღების მიზნით წამების ყველანაირ მეთოდს იყენებდნენ**: **ელექტროშოკით დაწყებული და ფრჩხილების დაძრობით დამთავრებული**. მაგალითად (მომყავს თვითმხილველის ციტატა): „მახსოვს **14 წლის ბიჭუნა, რომელიც მიაბეს ბიბლიოთეკის ერთ-ერთ სვეტზე. ისე იყო შეკრული, რომ ფეხები თავის მაღლა ჰქონდა. თან, მავთულებით სცემდნენ.“**

ჯერჯერობით უცნობია, **როგორ განვითარდება და დასრულდება მოვლენები**, თუმცა, თუ ზემოთქმულს **ჩვენში გავრცელებულ ციხის კადრებსა და პატიმრობიდან გათავისუფლებულთა ნაამბობებს დავუმატებთ**, დასტურდება **ოკუპანტის ლოგიკა**: იაბლონია (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **ჩვენ) ოტ იაბლოკი** (ბუნებრივია, ჩვენი სულზე უტკბესი სტრატეგიული პარტნიორი იგულისხმება) **დალეკო ნე პადაეტ**, ერთი ისაა, რომ **ჩვენი აშშ-ელი მეგობრები მთლად საკუთარს** კი **არა, სხვა ქვეყნის მოქალაქეებს მაინც აძრობდნენ ფრჩხილებს.**

# სამინისტრო ტრავმა

## ანუ ნისია კლავს ბიზნესს

ხალხის რჩეულმა უმცირესოელმა ბ-ნმა **ჯაფარიძემ გასულ კვირას განგაშის ზარები დაარისხა** – პირველი ოქტომბრის შემდეგ **ნისიების რაოდენობა გაიზარდაო**. მართალია, **არ მიუთითებია, რა კვლევას ეფუძნებოდა მისი ეს ერთობ სავალალო დასკვნა**, მაგრამ, **რაკი ფანტაზია უსაზღვროა** (მათ შორის, ჩემიც), **ვვარაუდობ**, ზურგის ტვინით იგრძნო, რამეთუ, სავარაუდოდ, **ხელი მტკიცედ უდევს მოსახლეობის მაჯისცემაზე** (პრინციპით: **ისე უნდა დავიტანჯო, როგორც ჩემი ხალხი იტანჯება**)!



მეორე მხრივ, **ფინანსთა სამინისტრომ გაგვახარა, რომ 2013 წლის თებერვალში ამორტყმული ჩეკების რაოდენობამ თითქმის 2 მილიონით გადააჭარბა გასული წლის თებერვლის მონაცემებს.** თანხით კი, წლევანდელ თებერვალში **ჩეკებით გადახდილი თანხების მოცულობა 150 მილიონი ლარით აღემატებაო გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.**

ამ სიკეთის ჟამს კი, ისე რომ ეს სასიხარულო ამბავი ბოლომდე არ გაგვეცნობიერებინა, **7 მარტის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე ოთხი მინისტრი ტრავმირებული გამოგვიცხადდა**. სახელდობრ, **ენერგეტიკის მინისტრი კოჭლობდა** („სნოუბორდით“ სრიალისას დატრავმირებულა); **სოფლის მეურნეობის მინისტრი ყავარჯნით მოძრაობდა** (მყესი დასწყდომია ფეხბურთის თამაშისას). **დიასპორის საკითხებში სახმინისტრს მარცხენა ხელზე თაბაშირი ედო** (ტრავმის მიღების მიზეზი უცნობია); ხოლო **დევნილთა და განსახლების მინისტრს მარცხენა თვალი ჩალურჯებოდა** (თვალზე მკურნალობის კურსს იტარებს).

მოარული ხმებით, **სამი მათგანის ტრავმირება მთავრობის სიტყვიერი შეთანხმების შედეგია** – თვეში ერთი დღე სპორტს დავუთმოთო. ხოლო, რაკი შედეგი ნათელჰყოფს, რომ **„მარცხი ელანძეა“, ვფიქრობ, უპრიანი იქნება, თუკი სკამებზე დაეტევიან.**

# დაგვიანებული აღშფოთება

## ანუ სირცხვილი ორმაგ სტანდარტში

საზოგადოებრივი **აზრი ორადაა გაყოფილი, უნდა ეცეკვა თუ არა „ერისიონს“ კრემლის საკონცერტო დარბაზში,** თუმცა ისიცაა, რომ **მოწინააღმდეგეთა ოდენობა მომხრეთა და ნეიტრალურთა ოდენობას საგრძნობლად ჩამორჩება**. მოკლედ რომ ვთქვა, **„ერისიონი“ ანათემაზე ხეირიანად არც კი გადაეცათ**, როდესაც გაირკვა, რომ **ახლა უკვე სანკტ-პეტერბურგში „სუხიშვილები“ გამართავენ კონცერტებს.**

ამ უკანასკნელებზე ჯერჯერობით არაფერი უთქვამს, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრის **ყოფილმა მოადგილემ** ნიკოლოზ **ვაშაკიძემ ოკუპანტ ქვეყანაში გასტროლი სამარცხვინო საქციელად** და **ლამის სამშობლოს ღალატად შერაცხა**. კერძოდ, ბრძანა: **„მოსკოვის სცენაზე ქართული ცეკვა აგვისტოს ომში დაღუპული ბიჭების საფლავებზე ცეკვის ტოლფასია.“**

რაკი სიტყვამ ომი მოიტანა, მაგალითად, **აგვისტოს ომის მიმდინარეობისას ბ**-ნი **ვაშაკიძის მინისტრი** ბ-ნი **ვაშაძე რფ-ის მოქალაქე ბრძანდებოდა** და **ძლივს დავათმობინეთ ჩრდილოური პასპორტი**, თუმცა მაშინ მისი მოადგილე სირცხვილს არ დაუწვავს, ისევე, როგორც ქ-ნი ანანიაშვილის მიერ იმავე დარბაზში ცეკვას.

როგორც უნდა იყოს, ეს მაინც შეფასებისა და გემოვნების საქმეა, თუმცა, მაგალითად, **აგვისტოს ომისას კარგა ხანს ვერ მოხერხდა ჩვენი დაღუპული მებრძოლების ცხედრების გამოტანა**. მეტიც, კვლავაც გვყავს უგზო-უკვლოდ დაკარგულები, **ნაწილის ამოცნობა კი მხოლოდ გენეტიკური ექსპერტიზით გახდა შესაძლებელი**. ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ, ექსპერტების განმარტებით, **ამ ოდენობის უგზოუკვლოდ დაკარგული მცირე,** თანაც, **შენს ტერიტორიაზე**, ნიშნავს, რომ **ყოველი მესამე დაჭრილი იყო მიტოვებული ბრძოლის ველზე**, ბ-ნ **ვაშაკიძეს** საკუთარ თავში **სირცხვილის გრძნობა**, სულ მცირე, **ოთხ-ნახევარი წლით დაგვიანებით აღმოუჩენია.**

# შესათამაშებლები

## კოაბიტაციის სექსუალური ხიბლი

**რაკი ბუსუსებიანი პრეზერვატივები დავაბინავეთ** (კერძოდ, ჩვენი არასრულწლოვანი თანამოქალაქეების თვალებს მოვაშორეთ), **ჯერი სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეალიზაცია-რეკლამირებაზეც მიდგა**. შესაბამისმა **კანონპროექტმა პარლამენტის კედლებში არათუ შეაღწია,** მას **ჩვენმა კანონმდებლებმა პირველი მოსმენაც ჩაუტარეს**, მაგრამ, **ვაი რომ, პროცესი შეჩერდა.**

ამ კონკრეტული კანონპროექტის, უფრო ზუსტად, „საქართველოს **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების შეტანის ინიციატორი ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტია** (რაც, სავსებით ბუნებრივია. იმას გარდა, რომ, **თუ იარაღის ხეირიანად ჭერა ვერ ვისწავლეთ, გასაბერი ქალით მაინც ხომ უნდა შევძლოთ ევროპულად მანიპულირება?!).**

ასეა თუ ისე, **კომიტეტის თავმჯდომარე** ბ-ნი დოლიძე **გვაიმედებს, რომ პროცესი არ შეჩერებულა** (შვებით ამოვისუნთქე!). სახელდობრ კი: **„მიდის კონსულტაციები იმიტომ, რომ მინდა, ფორმულირება იყოს ყველასთვის მისაღები.“**



როგორც აღმოჩნდა, **ეს ის ერთ-ერთი კანონია, რომელიც აუცილებლად უნდა გვქონდეს საკანონმდებლო არსენალში** (ევროკავშირის მოთხოვნაა, რომ უფრო **მჭიდროდ დაგვიახლოვდეთო**).

მეტიც, ბ-ნი **დოლიძე იმედოვნებს, რომ ოპოზიციაც პრაგმატულად მიუდგება ამ საკითხს** და იქვე დასძენს, რომ **„საერთაშორისო დონეზე რთული იქნება იმის ახსნა, თუ რატომ არ აქვს ქვეყანას მსგავსი კანონი** (პირადად მე ვეთანხმები: **ხომ მოგვეჭრა თავი ევროპის მასშტაბით?!).**

ერთი სიტყვით, **კანონმდებლები ძალას იკრებენ** (რაც გვაიმედებს, რომ უახლოეს ხანში ჩვენც შევიქცევთ თავს პიკანტური სათამაშოებით), ხოლო, თუ **იქვე კოაბიტაციის არანაკლებ დასავლურ მოთხოვნას გავიხსენებთ,** იქნებ ისეც მოხდეს, რომ **სექსუალური სათამაშოების ბედზე მსჯელობამ მაინც უბიძგოს ჰარმონიული თანაცხოვრებისკენ ამ ჩვენს უმრავლესობა-უმცირესობას.**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან
ზარი ფასიანია




**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ერგებოდა წილი საბჭოთა კავშირის ქონებიდან – ეს იყო საერთო ქონების 1,62 პროცენტი. უზარმაზარი თანხა, მილიარდ დოლარამდე ადიოდა**

**მართალია, სსრკ 20-ზე მეტი წლის წინათ დაიშალა, თუმცა კვლავაც გაურკვეველია საბჭოთა ანაბრების ბედი, რომლებსაც საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის საქართველოს მოქალაქეები შავი დღისთვის აგროვებდნენ და, თუმცა არაერთი შავი დღე გავიარეთ, ნაგროვები თანხით ვერავინ ისარგებლა. უფრო მეტიც, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, უკვე ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში იმჟამინდელმა მთავრობამ მოსახლეობას მიმართა და დააიმედა, რომ, თუკი ბანკებს ანდობდნენ თავიანთ დანაზოგებს, თანხა გაუორმაგდებოდათ. ამ მახეში თითქმის სრულიად საქართველოს მოსახლეობა უპრობლემოდ გაება (უპრობლემოდ, რადგან მაშინ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ საბაზრო ურთიერთობებსა და აქედან გამომდინარე, ველურ შედეგებზე). გულუბრყვილო მოსახლეობამ, ნაცვლად იმისა, რომ ბანკში არსებული ანაბრები უკან გამოეტანა, ჯიბეები მოიჩხრიკა და დარჩენილი თანხაც, გაორმაგების იმედით, ბანკს ანდო. საბოლოოდ, მანეთი, არათუ გაუფასურდა, ჩაილურის წყალი დალია და საქართველოს მეანაბრეები უბრალოდ გაკოტრდნენ.**

**ამის პარალელურად, ეროვნულმა ბანკმა კრედიტების გაცემა მანეთებში დაიწყო, დაბრუნებით კი კუპონებში დაიბრუნა, რამაც მავანთ ყოველგვარი რისკის გარეშე იოლად გამდიდრების საშუალება მისცა. მაგალითად, ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, დემურ დვალიშვილის, თვითმკვლელობას (თენგიზ სიგუას ვერსიით, მკვლელობას) სწორედ ამ ავადსახსენებელ და ბუნდოვან კრედიტებს უკავშირებს.**

**საქართველოს მოქალაქეებს კვლავაც აქვთ ანაბრების დაბრუნების იმედი (აქვე გეტყვით, რომ თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში მეტ-ნაკლებად მოგვარებულია ეს პრობლემა), რამდენად რეალურია ეს მოლოდინი და ვის ჯიბეებში დაილექა საბჭოთა საქართველოს მოქალაქეების მიერ წლობით ნაგროვები თანხები, – თემას თენგიზ სიგუასთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ ვერ მოახერხა საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ საბჭოთა ანაბრების ნაწილობრივ ანაზღაურებაც კი, ვინ მიითვისა ქართველი მეანაბრეების ფული და რატომ არ არის დაბრუნებული 90-იან წლებში გაცემული კრედიტების 85 პროცენტი

**– ბატონო თენგიზ, რა თანხაზე იყო საუბარი, იმ დროისთვის ანაბრების სახით, რა ოდენობის ფული ირიცხებოდა ბანკში?**

– ლაპარაკი იყო 700 მილიარდ მანეთზე.

**– დაახლოებით, რა თანხა გამოდის დოლარებში?**

– საბჭოთა კავშირის დროს სასაცილო შეფარდება იყო მანეთისა დოლართან: ერთი დოლარი 63 კაპიკი, თუმცა, რეალურად, ერთი დოლარი სამი მანეთი ღირდა. იმ 700 მილიარდიდან ბოლოს 500 მილიარდი დარჩა, რადგან 1992 წელს ჩვენ გამოვეცით მთავრობის დადგენილება და შევთავაზეთ მოსახლეობას, რომ ანაბრებზე არსებული თანხებით შეესყიდათ მცირე ობიექტები, საპარიკმახეროები, პატარა მაღაზიები. ნაწილი ასეც მოიქცა და ამიტომაც შემცირდა ეს თანხა 500 მილიარდამდე. ფულად ვერ მიიღებდნენ ამ თანხას ბანკებიდან, იმიტომ რომ რუსეთმა შეგვიწყვიტა თანხების გადმორიცხვა.

**– ანუ ანაბრებზე არსებული თანხის გამოტანა შეუძლებელი იყო?**

– დიახ, მაგრამ იმ დადგენილებაში, რომელსაც მე ვაწერ ხელს, წერია, უფლება აქვთ, გამოიყენონ ეს თანხები პრივატიზაციაში.

**– ამ თანხაში იგულისხმება ის გაორმაგებაც, რასაც მაშინ დაჰპირდით იმ მეანაბრეებს, რომლებიც დროის კონკრეტულ მონაკვეთში ისევ შეიტანდნენ თანხას ბანკში?**

– დიახ, მე ასე მახსოვს. საბოლოოდ, სახელმწიფოს მეანაბრეების ვალი 500 მილიარდი მანეთი აქვს.

**– როგორც ვიცი, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ანაბრების პრობლემა ნაწილობრივ მოგვარდა, მათ შორის, ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც?**

– მაგალითად, რუსეთმა ანაბრების გაცემა 2000 წელს დაიწყო და ყველა მეანაბრეს მისცა თანხის 30 პროცენტი. შევარდნაძემაც მიიღო 2000 წელს დადგენილება, მგონი, ანაბრების თანხის 8 პროცენტის გაცემაზე იყო საუბარი. ასევე, ნაწილობრივ, გასცეს ანაბრების თანხები აზერბაიჯანში, სომხეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში. მაქსიმალური გაცემა იყო ანაბრის 30-35 პროცენტი.

ისევ საქართველოს რომ დავუბრუნდეთ: იმავე დადგენილებაში ეწერა ისიც, რომ ანაბრებზე რიცხული თანხა 50 პროცენტით გაიზრდებოდა და გაცემა დაიწყებოდა წელიწად-ნახევრის შემდეგ, ანუ 1994 წელს.

**– თქვით, რომ ფულის ერთეულები არ გქონდათ და ამიტომ მეანაბრეებს 1992 წელს არ შეეძლოთ ბანკიდან თანხის გამოტანა, 1994 წელს ფული საიდან გაჩნდებოდა?**

– ეროვნულ ბანკს უნდა დაგროვებოდა ეს თანხა, კრედიტების გაცემა რომ არ დაეწყო. ეროვნულ ბანკს პარლამენტმა დაუწესა კრედიტების გაცემის ზღვრული მაჩვენებელი – წელიწადში 170 მილიარდი მანეთი, ეროვნულმა ბანკმა კი 470 მილიარდის კრედიტები გასცა. ბუნებრივია, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ამ ოდენობის თანხას თვითნებურად ვერ გასცემდა, ეს ყველაფერი შევარდნაძის ხელდასმით კეთდებოდა. აი, იმ ფულით, რაც კრედიტებზე გაიცა, იყო დაგეგმილი ანაბრების გასტუმრება. მეორე წყარო იყო საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობის მიღება: გახსოვთ ეგრეთ წოდებული ნულოვანი ვარიანტი, როდესაც საქართველომ უარი თქვა საბჭოთა კავშირიდან წილის მიღებაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ერგებოდა წილი საბჭოთა კავშირის ქონებიდან – ეს იყო საერთო ქონების 1,62 პროცენტი. უზარმაზარი თანხა, მილიარდ დოლარამდე ადიოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შევარდნაძემ ამაზე უარი თქვა.

**– მახსოვს, მაშინ ზურაბ ნოღაიდელი იყო ფინანსთა მინისტრი და ის აქტიურად უჭერდა მხარს ამ ნულოვან ვარიანტს.**

– დიახ. ნოღაიდელს დაავალეს ამის გაკეთება, არადა, უკრაინამ უდიდესი ხეირი ნახა ამ საქმით.

**– მაშინ მოტივად დასახელდა ის, რომ, თუკი ჩვენს წილს მოვითხოვდით, იძულებული ვიქნებოდით, რომ საბჭოთა კავშირის ვალიც გაგვენაწილებინა და თითქოს ეს ვალი შემოსავალს აღემატებოდა.**

– მხოლოდ უცხოეთში საბჭოთა კავშირს 260 მილიარდი დოლარის ქონება ჰქონდა, რასაც მალავდა რუსეთი. მაგრამ მე, უკრაინელების დახმარებით, მოვახერხე ამის დადგენა. ჩვენ და უკრაინამ დავთქვით, რომ ერთად ვიმუშავებდით და დავადგინეთ, რომ საბჭოთა კავშირის ქონება უცხოეთში შეადგენდა 260 მილიარდ დოლარს საელჩოების სახით, ასევე, „აეროფლოტის“ და საბჭოთა კავშირის საზღვაო ძალების წარმომადგენლობების სახით. ამას გარდა, არსებობდა საბჭოთა კავშირის ალმასისა და ოქროს ფონდი, რუსეთის კი არა, საბჭოთა კავშირის. იქიდანაც უზარმაზარი თანხა გვერგებოდა, ამიტომ ნულოვანი ვარიანტი იყო სისულელე. აი, ამ ფულით უნდა გასტუმრებულიყო მეანაბრეთა დავალიანება და ქვეყანას დღეს არანაირი ვალი არ ექნებოდა ანაბრების სახით, მაგრამ შევარდნაძემ ეროვნულ ბანკს კრედიტებად გააცემინა უდიდესი ოდენობის თანხები, მეანაბრეების ხარჯზე გაამდიდრა ხალხი.

**– რუსეთი ფულის ერთეულებს აღარ გვიგზავნიდაო, მაგრამ ეროვნულმა ბანკმა გასული საუკუნის 90-იან წლებში გასცა 470 მილიარდი მანეთის კრედიტები. ეს ფული საიდან მოვიდა?**

– ანაბრების გაცემა უნდა დაგვეწყო 1994 წლიდან და ველოდით თანხების დაგროვებას, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ეროვნულ ბანკს ანაბრების გაცემა დაეწყო, დეპუტატების შუამავლობით კონკრეტულ ფირმებზე გასცა კრედიტები. ამიტომ უნდა მოჰკიდონ ხელი პროკურორ ბაბილაშვილს, რომელმაც შევარდნაძის დავალებით დამალა ეროვნული ბანკის იმდროინდელი პრეზიდენტის, დვალიშვილის ჟურნალი და ჰკითხონ, სად არის ის ჟურნალი. ხომ ცოცხალია ბაბილაშვილი?! მან ეს ჟურნალი ამოიღო შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ამის შესახებ პარლამენტის სხდომაზე ღიად განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის იმდროინდელმა მოადგილემ ბატონმა მიქელაძემ. პარლამენტში შეიქმნა კიდეც ამ საკითხის გამოსაძიებლად კომისია, რომელსაც ბატონი მიმინოშვილი თავმჯდომარეობდა. ორ წელს იბრძოდა, მაგრამ ვერ მიაღწია ამ ჟურნალის ამოღებას, რადგან ის შევარდნაძის დავალებით დამალა პროკურორმა ბაბილაშვილმა. ეს ჟურნალი თავდაპირველად ხელში ჩაიგდო შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საიდანაც წაიღო პროკურატურამ და მას შემდეგ ის არავის უნახავს. იმ ჟურნალში მოცემულია, თუ პარლამენტის რომელი წევრის თხოვნით გაიცა ამა თუ იმ ფირმაზე კრედიტი. საწყალ დვალიშვილს ყველაფერი ჰქონდა ჩაწერილი იმ ჟურნალში.

**– რამდენადაც ვიცი, არსებობს იმ ფირმების ჩამონათვალი, რომლებმაც მაშინ ეროვნული ბანკისგან მიიღეს კრედიტები.**

– ეს ჩამონათვალი არსებობს, მაგრამ სინტერესოა, კონკრეტულად ვინ მიდიოდა დემურ დვალიშვილთან და რატომ აძლევდა იმ ფირმებს დვალიშვილი კრედიტებს. საქმე ის არის, რომ ამით შევარდნაძემ გასვარა დეპუტატები, გამოიჭირა და რაზეც უნდოდა, აწერინებდა ხელს. ეს საკითხი განიხილებოდა პარლამენტის სხდომებზე. იმდროინდელ პრესაშიც არის გამოქვეყნებული, როდესაც მე გამოვდივარ პარლამენტის სხდომაზე და ვამბობ, თქვენ ღუპავთ-მეთქი ქვეყანას, შევარდნაძე კი აცხადებს, სწორ პოლიტიკას ატარებს ეროვნული ბანკიო. ბოლოს, როდესაც თანამდებობიდან გადააყენა დვალიშვილი, ერთი კვირის

შემდეგ თავის საკვირაო რადიო-გამოსვლაში თქვა, გვეგონა, კარგ საქმეს აკეთებდა და თურმე, ღუპავდა ქვეყანასო. ხელი შეახოცა დვალიშვილს, რომელიც თვითონ აკეთებინებდა ამ ბინძურ საქმეს. წარმოუდგენელია, რომ დვალიშვილს თავისით გაეცა 470 მილიარდის კრედიტი. ხომ გახსოვთ ის აფერა 103 მილიარდთან დაკავშირებით?!

**– დიახ, როდესაც 1993 წლის მარტში ფირმა „თრიალეთმა“, „მწვანეთა მოძრაობის“ მიერ შექმნილმა, მიმართა ეროვნულ ბანკს 103 მილიარდი მანეთის კრედიტის გაცემის თხოვნით. ეროვნულმა ბანკმა კი „აგრობანკს“ დააწერა ამ კრედიტის გაცემა, თან ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე.**

– 103 მილიარდი ქვეყნის ნახევარი ბიუჯეტი იყო. არადა, მაშინ ფულის გადარიცხვას ვერ ვახერხებდით. მაგალითად, განათლების სამინისტრომ მოსკოვში შეუკვეთა დიპლომებისა და ატესტატების დაბეჭდვა და ეს სულ 8 მილიონი მანეთი დაჯდა. მაგრამ თანხა ვერ გადავრიცხეთ. თუმცა ჩვენ ის 103 მილიარდის აფერაც ჩავშალეთ. ჩემთან მოვიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები და მითხრეს, მოსკოვიდან მიიღეს ტელეფონოგრამა, რომელშიც ეწერა, რომ მოსკოვის ცენტრალურ ბანკში გამოცხადდა ორი აფერისტი: სათვალიანი ჰომოსექსუალი და მოსკოველი მეძავი, რომლებსაც ჰქონდათ საქართველოს ბანკის მიერ გაცემული 103 მილიარდი დოლარის ყალბი ავიზო. მათ ეგონათ, რომ ავიზო ყალბი იყო. მეც იმავეს ვფიქრობდი, მაგრამ დემურ დვალიშვილმა დაადასტურა, რომ ავიზო ნამდვილი იყო. ერთი სიტყვით, ის აფერა ჩავშალეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დახმარებით.

**– როგორც ცნობილია, ვინც მანეთებში აიღო კრედიტები, დააბრუნა კუპონებში, ანუ ფაქტობრივად, მუქთად შერჩა აღებული თანხა.**

– მათ ამ კრედიტებით საქართველოში იყიდეს საქონელი: ჩაი, ღვინო, ციტრუსები და ასე შემდეგ, გაიტანეს რუსეთში, გაყიდეს იქ, შეიძინეს დოლარები და თავიანთ სახელზე მოათავსეს დასავლეთის ბანკებში. გაიმდიდრეს ჯიბეები და მოსპეს საქართველო. აი, ეს არის ამ კრედიტების შედეგი. სხვათა შორის, ნახსენები 103 მილიარდი საერთოდ უპროცენტოდაა გაცემული, ეს ხომ წარმოუდგენელია?! ნებისმიერი ბანკირი სიცილით მოკვდება. აი, ასეთ ბავშვურ თამაშებს თამაშობდნენ.

**– კრიმინალურს, რაღა ბავშვურს.**

**ეროვნულ ბანკს პარლამენტმა დაუწესა კრედიტების გაცემის ზღვრული მაჩვენებელი – წელიწადში 170 მილიარდი მანეთი, ეროვნულმა ბანკმა კი 470 მილიარდის კრედიტები გასცა**

– შემდეგ შავიშვილმა, კონტროლის პალატის თავმჯდომარემ შეისწავლა ეს საკითხი და დაადგინა, რომ ამ გაცემული თანხის 83 პროცენტი არ შემოსულა საქართველოში. ყველაფერი წავიდა კერძო ფირმების ანგარიშებზე. ეს იყო სუფთა მოპარული ფული, თანხის ნაწილს, როგორც შუამავალს, ჯიბეში უდებდნენ იმ პარლამენტარებს, რომლებიც ეხმარებოდნენ კრედიტების აღებაში.

**– სამართლებრივად არის შესაძლებელი, რომ იმ ფირმებს დააბრუნებინონ კრედიტები?**

– ამიტომაც ვამბობ, გამოძიება უნდა დაიწყონ ბაბილაშვილისგან, რომ გაარკვიონ, სად არის ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტის ჟურნალი. იქ წერია ყველაფერი. სხვათა შორის, დვალიშვილი ბოლოს ძალიან წუხდა და შინაგან საქმეთა სამინისტროში დაბარების წინა დღეს დამირეკა, მიბარებენ, მივალ და მთელ სიმართლეს ვიტყვიო. არ დაიჯეროთ, რომ მან თავი მოიკლა, ის მოკლულია. თუ ვინმეს ჰკითხავთ, ვინც მას იცნობდა, ყველას გაეცინება იმაზე, რომ დვალიშვილი რევოლვერით დადიოდა. მას, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ერგებოდა იარაღი და როდესაც დაინიშნა, მილიციის მაიორმა, რომელმაც იარაღი მიუტანა, მითხრა, ხელი არც მოკიდა, გამოალო სეიფი – აქ ჩადეთო. როდესაც მოხსნეს, მაშინ გამოიტანა თავისი ხელით, იარაღი ჯიბეში არ ჰქონია. გარდა ამისა, პოლიციაში რომ მიდის ადამიანი, მას ამოწმებენ, იარაღით ვინ შეგიშვებს?!

**– გავახსენოთ მკითხველს, რა ვითარებაში დაიღუპა დემურ დვალიშვილი.**

– როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიბარეს, გამოცხადდა. წაუყენეს ბრალდება და დვალიშვილმა თქვა, რომ ასრულებდა შევარდნაძის დავალებას. ჩემთან მოდიოდნენ დეპუტატები და ამა და ამ ფირმებზე მთხოვდნენ კრედიტების გაცემას. მე მათ, შევარდნაძის დავალებით, ვაძლევდი კრედიტებსო. ალიბი რომ მქონოდა, მდივანს ყველაფერს ვაწერინებდი ჟურნალში. ის ჟურნალი ახლაც მასთან არის, დაურეკეთ, მოიტანოს ის ჟურნალიო. მართლაც, დაურეკეს ამ ქალბატონს. შემდეგ ის ამის შესახებ წერდა: შემეშინდა, ამიტომ დავურეკე ჩემს ვაჟიშვილს. ის წამყვა შინაგან საქმეთა სამინისტროში, ჟურნალი მივიტანე იმ პროკურორთან, სადაც დვალიშვილი იჯდაო. იმ ჟურნალის ბედი დღემდე უცნობია, დვალიშვილმა კი ვითომ თავი მოიკლა.

**– დაკითხვის შემდეგ?**

– შუალედში, დერეფანში იყო გამოსული და ვითომ იქ მოიკლა თავი. ეს ტყუილია.

ამდენად, ყველაფერი უნდა იქნეს გამოძიებული, რატომ დანიშნა შევარდნაძემ დვალიშვილი, სად არის ის ჟურნალი, პარლამენტის რომელი წევრები იღებდნენ მონაწილეობას კრედიტების გაცემაში. ძალიან ბევრი მილიონერი გაჩნდა მაშინ საქართველოში.

**ნინო ხაჩიძე**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული სამსახური 11, 111, 275-20-85, 241-17-71, 241-17-72
35. საპატრულო პოლიცია 122
36. „სასწრაფო სამედიცინო დახმარება 133“ 13; 254-70-04; 254-70-03
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 298-39-43; 299-53-50
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

**აშკარაა, რომ საზოგადოებაში ბლომად აგრესიაცაა დანერგილი, ის არც უსამართლობის მსხვერპლთა სიმცირეს უჩივის და არც სამართლიანობის აღდგენის მომლოდინეებისას. ისიც სათქმელია, რომ გარკვეული ნაწილი მოკვეთილი თავების მოლოდინშია („მოკვეთილის“ გადატანითი მნიშვნელობით). არის თუ არა შესაძლებელი ამ ტიპის კრიზისული სიტუაციებიდან საზოგადოების გამოყვანა და არსებობს თუ არა სამისო რეცეპტები, მით უფრო, რომ ვერც 1991-1992 წლების სამოქალაქო ომის შემდეგ მოხდა საბოლოოდ მხარეების შერიგება, მეტიც, აფხაზებთან და ოსებთანაც კვლავ შესარიგებლები ვართ, – თემას პოლიტოლოგთან და ფსიქოლოგთან რამაზ საყვარელიძესთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ აღმოჩნდა საქართველოში ამდენი სადისტი და რატომ არის შურისძიება მსხვერპლის ბუნებრივი მოთხოვნილება

**– მსგავსი კრიზისული სიტუაციებიდან გამოსვლის რა საშუალებები არსებობს, რომ ტოტალური შურისძიების იმპულსი ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს?**

– რაც შეეხება შურისძიებას, ჩემი სპეციალობა არ გამოდგება ამ კონტექსტში რჩევისთვის, იმიტომ რომ ჩემი სპეციალობისთვის ჩვეულია დამოკიდებულება, რაც ბუნებრივია, ყველაფერი მისაღებია. შურისძიების ანარეკლი, სიმეტრიული მეორე პოლუსი არის გაძლიერება: ვიღაცამ კარგი გაგიკეთა და შენც გინდა, კარგი გაუკეთო. ვიღაცამ ცუდი რომ გაგიკეთა და შენც გინდა, ცუდი გაუკეთო, ეს რატომ არის ცუდი?

**– ამბობენ, ცუდიაო.**

– იმიტომ ვამბობთ, ცუდიაო, რომ ეს მაშინ აღარ დამთავრდება, თორემ შურისძიების ფსიქოლოგიური მოთხოვნილება გასაგებია. იმიტომაც არსებობს სასამართლო, რომ სასამართლო თავის თავში სწორედ ამ შურისძიებას ანეიტრალებს. ლაპარაკი იმაზე, რომ ადამიანს ციხეში გამოსწორებისთვის სვამენ, რიტორიკული ამოცანებისთვის შეიძლება, გამოდგეს, მაგრამ რეალურად ვიცით, რომ ასე არ არის. ამიტომ ძალიან ხშირად სწორედ შურისძიებით ხელმძღვანელობს ადამიანი, როდესაც უნდა სამართლიანობის აღდგენა. ერთადერთი, რამაც შეიძლება დაუსვას წერტილი ამას, არის ის, რომ სამართლიანობა აღდგეს. მაშინ შურისძიების ეს მანქანა აღარ დატრიალდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ქაოტური, დაუბალანსებელი სასამართლოს მიერ გამოწვეული ეს შურისძების მანქანა ამუშავდება და ძალიან მძიმე შედეგებს მოიტანს.

**– ყოფილი პატიმრები ისეთ ისტორიებს ყვებიან, ამის 10-პროცენტიც რომ იყოს სიმართლე, გამოდის, რომ ჩვენი საზოგადოების კრიტიკული მასა, რომელიც ასე სადისტურად ექცეოდა ადამიანებს, არაჯანსაღი ფსიქიკის პატრონია. ამასთან, არიან ადამიანები, რომლებიც ამართლებენ ასეთ ქცევას, მოტივით, ღირსი იყვნენო. მენტალური პრობლემა გვაქვს?**

– მაგ ტიპის თემები ძალიან ხშირად იყო კვლევის საგანი.

**– საბედნიეროდ, ეს კვლევები ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს.**

– თან, კვლევის საგანი იყო დასავლეთში, რადგან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დასავლეთმა თავის ზურგზე გადაიტანა ნაციზმი უმაღლეს დონეზე მყოფი ერისგან.

**– ნაციზმი საშინელებაა, მაგრამ გერმანელი ფაშისტები, ძირითადად, მაინც სხვა ერების წარმომადგენლებს აწამებდნენ.**

– ცნობილია ზიმბარდოს ექსპერიმენტი, რომელმაც სტუდენტები ორ ჯგუფად გაყო შემთხვევითი წესით და ვისაც პოლიციელის როლი მიანიჭა, ისინი გაცილებით აგრესიულები აღმოჩნდნენ.

**– არის მეორე ექსპერიმენტიც, როდესაც ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფს ელექტროშოკს ურტყამდა, თუ ისინი არასწორ პასუხებს გასცემდნენ შეკითხვებზე, ძაბვის მხოლოდ 300 ვოლტს ზემოთ გაზრდამდე შეწყვიტა 14-მა პროცენტმა ექსპერიმენტში მონაწილეობა.**

– ექსპერიმენტის უამრავი სერია ჩატარდა და ერთ-ერთ სერიაში მეორე ადამიანი ვითომ დამნაშავე იყო. აღმოჩნდა, რომ, როდესაც ისე ურტყამდა ელექტროშოკს, როგორც დამნაშავეს, გაცილებით მაღალი იყო აგრესია. ანუ, თუ აგრესიის გამართლება მოიძებნა, ადამიანი ძალიან ხშირადაა აგრესიული. ამდენად, გასადისტებული ადამიანი ხშირად თავად არის მსხვერპლი, მისთვის მინიჭებული როლია მსხვერპლი, იმის მსხვერპლი, ვინც გამართლება მოუძებნა მის აგრესიას.



ცნობილია ზიმბარდოს ექსპერიმენტი, რომელმაც სტუდენტები ორ ჯგუფად გაყო შემთხვევითი წესით და ვისაც პოლიციელის როლი მიანიჭა, ისინი გაცილებით აგრესიულები აღმოჩნდნენ

**– უკუპროცესი თუ არის შესაძლებელი? რომ გამანიაკებული ადამიანი ისევ გაადამიანურდეს?**

– რა თქმა უნდა, ამიტომაც ვახსენე ნაციზმი. დღეს, ალბათ, ძნელი მოსაძებნია ერი, რომელიც უფრო ჰუმანური იყოს, უფრო მძიმედ განიცდიდეს თავის იმ ნაცისტურ პერიოდს, როგორც გერმანელები.

**– ეს დაეხმარა კიდეც მათ, რომ შეექმნათ ერთ-ერთი განვითარებული ქვეყანა.**

– ალბათ, ამანაც შეასრულა ერთ-ერთი როლი, როდესაც აქცენტი გადაიტანეს განვითარებაზე და არა სხვების დაჯაბვნაზე.

**– ჩვენ რომ ჯერ არ გვეტყობა ეს მიდრეკილება, რომ გვინდა იმის დაძლევა, რაც დაგვემართა?**

– ჯერ ჩვენ სად გვაქვს დაძლეული და ღმერთმა ქნას, მოგვიწიოს დიდი კრიზისები, მაგრამ ერმა უნდა გადაიტანოს რაღაც კრიზისები, რომ გააცნობიეროს, რაც გადახდა თავს. ჩვენ ამ ბოლოდროინდელი 20 წლის ისტორიის გაცნობიერებაც კი ვერ მოვასწარით. აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობაში მოვძებნეთ დამნაშავე რუსეთის სახით და არ დავფიქრებულვართ, როგორი იყო ჩვენი საკუთარი როლი. როგორ შეიძლება, ამ პირობებში ერის მენტალიტეტმა რაღაც ცვლილება განიცადოს?! თავდაჯერებული ქვეყანა იყო იაპონია და, სანამ ორი ცალი ატომური ბომბი არ დაეცა და თითქმის სრულად არ განადგურდა ნაცია, მანამდე ვერ მიხვდნენ იყო თუ არა ადეკვატური მათი კულტურა იმ სამყაროსთვის, რომელშიც ცხოვრობდნენ. ამის შემდეგ უკვე დაფიქრდნენ, დაასკვნეს, რომ არ იყვნენ ადეკვატურები და მოახდინეს ის სასწაული, რასაც თანამედროვე იაპონია ჰქვია.

**– ჩვენც, მაინცდამაინც, ატომური ბომბი უნდა დაგვეცეს?**

– ღმერთმა დაგვიფაროს, ატომური ბომბი დაგვეცეს, მაგრამ უნდა დადგეს ისეთი მომენტი, რომ ერი, მისი წამყვანი პირები ეცადონ, გაიაზრონ, რომ გზა, რომელსაც ადგას საზოგადოება, არ გამოდგება და რაღაც სხვა გზაა მოსაძებნი. აი, ასეთი მომენტი უნდა დადგეს. აი, ასეთი მომენტი შეყოვნებისა, ფიქრებისა, გადააზრებისა, საქართველოს არ დასდგომია. ჩვენ ვფიქრობთ იმაზე, იქნებ რაღაც გამოსწორდეს დღეს და ხვალ და არათუ არ ჩქარობთ მიზეზების გააზრებას, არც ვაპირებთ.

**– ვინ უნდა გაიაზროს? მე არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ხალხს ისეთი ხელისუფალი ჰყავს, როგორსაც იმსახურებს. ეს შეიძლება, გამოდგეს განვითარებული ქვეყნისთვის, მაგრამ განვითარებად ქვეყანაში, ვინც ზემოთ ექცევა, ის აწესებს თამაშის წესს და ძირითადი მასაც მათ მიჰყვება.**

– მე ვეთანხმები თქვენს არდათანხმებას. არ უნდა ველოდოთ იმას, რომ ზემოდან გაჩნდება ვიღაც, ვინც დაიწყებს პროცესის გააზრებას. გავიხსენოთ, როდის მოხდა ჩვენთან ასეთი გადააზრება?! საშუალო თავადაზნაურობაში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით.

**– აქვე ვიტყვი ბარემ, ბატონყმობის გაუქმების საკომპენსაციოდ იმპერატორმა თავად-აზნაურებს ფული გადაუხადა, ქართველმა თავად-აზნაურებმა თავიანთი ჯიბეებიდან ამოიღეს ეს ფული და საადგილმამულე ბანკი დააარსეს.**

– მაგრამ ილიასეული გზაც ბოლომდე ვერ გატარდა, ყველაფერი ქართულისადმი პატივისცემის მიმართ სიმბოლო გახდა ილია, თორემ რამდენი რამ თქვა ისეთი, რაც დღემდე აქტუალურია? მათ შორის, თათქარიძეობის პრობლემა…

**– მისი შეფასება ქართული ეკონომიკის რაობასა და ადგილზე დღესაც აქტუალურია.**

– მოხსნილია „სახრჩობელის“ პრობლემა?! რასაც თქვენ მეკითხებით, სწორედ იმ ნაწარმოებშია მოცემული. პრობლემები ვერ გადაწყდა იმიტომ, რომ ქვედა სართულზე იყო ამის დამნახავი გონება და მისი გატარების ინსტრუმენტები არ ჰქონდა. ის რომ გატარდეს ქვეყნის ცხოვრებაში, რასაც დაინახავს ინტელექტი, ის ინტელექტი ზედა სართულზე, ელიტაში უნდა იყოს. ეს კი ძალიან იშვიათია, იმიტომ რომ, როგორც წესი, ელიტა თავისი ცხოვრების წესით კმაყოფილია. წინა ორ მაგალითში, რაც მოვიტანეთ, იაპონია-გერმანიაში იმ ტრაგედიებმა ყველაფერი დაანგრია ელიტიან ქვედა ფენიანად, ამიტომ საზოგადოების ყველა ფენა ერთნაირად გაუბედურდა და ამ საერთო უბედურების პრობლემის გადაწყვეტაში ჩაერთო. ამდენად, რეკომენდაცია არ ვიცი, მაგრამ უნდა დაემთხვეს ერთმანეთს საზოგადოების ყველა ფენის ინტერესი, რომ ამოძრავდეს ის მექანიზმები, რაც თქვენ მიერ დასმული საკითხის გადაწყვეტას ესაჭიროება.

**– ამდენი აგრესიის წამალიც სამართლიანობის აღდგენაა?**

– აგრესია, რა თქმა უნდა, დაგროვილია და ამ დაგროვილ აგრესიას სჭირდება დაბალანსება იმით, რომ ვიღაც, ვინც ცუდი ჩაიდინა, დაისაჯოს. თქვენ რომ ექსპერიმენტი გაიხსენეთ, იმ სერიაში იყო ასეთი ექსპერიმენტიც: პულტთან, საიდანაც დენს არტყამდნენ, სვამდნენ ადამიანს, რომელიც მანამდე სხვა ექსპერიმენტის ცდის პირი იყო, რომელშიც მას ურტყამდნენ დენს. ოღონდ სამართლიანად: აძლევდნენ სიტყვების ნუსხას, რომლებიც უნდა დაეზეპირებინა და შეცდომის შემთხვევაში დაარტყამდნენ დენს. მიუხედავად ასეთი დამსახურებული სასჯელისა, აღმოჩნდა, რომ, როდესაც ეს ადამიანები სხვისი დამსჯელები იყვნენ, გაცილებით აგრესიულად ასრულებდნენ თავიანთ როლს. ეს ქცევა ატარებს თავის თავში შურისძიების მომენტს. ვინც შეურაცხყოფილად და დაჩაგრულად გრძნობს თავს, მისი ბუნებრივი მექანიზმია, იყოს

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**კოტე მაისურაძე**, *47 წლის (ინჟინერი. თბილისი).*

**დიაგნოზი**: წელის მალების ოსტეოქონდროზი, L5-S1 დისკის 7-მილიმეტრიანი პროლაფსი.

– ტკივილი წელის არეში თითქმის 10 წლის წინ დამეწყო. შარშან სიმძიმე ავწიე და ტკივილი გამიმწვავდა, ვეღარ გავსწორდი წელში, მერე ფეხში გადაინაცვლა და დამაკოჭლა, ხელჯოხი ამაღებინა. 24 საათის განმავლობაში მტკიოდა, მიბუჟდებოდა ფეხი. ღამით არ მეძინა, ძლიერი ტკივილების გამო წნევამ მომიმატა – 170-ზე ამივიდა. რა ნემსები აღარ ვიკეთე, ზოგი ექიმის დანიშნულებით, ზოგიც აფთიაქში მირჩიეს. შედეგი ვერ მივიღე. ბოლოს, ნათესავის რჩევით, ამ კლინიკაში მოვედი. გადამიღეს კომპიუტერით და აღმოჩნდა 7-მილიმეტრიანი თიაქარი, რომელიც იწვევდა ნერვის მოჭყლეტას. ჩამიტარეს პირველი პროცედურა, რამაც დაუჯერებელი ეფექტი მომცა – იმავე ღამეს მშვიდად დამეძინა. მეორე დღიდან ჯოხი გადავაგდე. ერთ კვირაში კი ტკივილები მთლიანად მოიხსნა. იცით, რა მომეწონა ამ კლინიკაში? ყველაფერი, რაც გამიკეთეს, ხალხური და ნატურალურია. დამირეგულირდა წნევაც და თავს მშვენივრად ვგრძნობ. ულრმესი მადლობა ქალბატონ მანანას და ბატონ სოსოს!



**ნონა გვაზავა**, *52 წლის (დიასახლისი. ზუგდიდი).*

**დიაგნოზი**: რევმატიული პოლიართრიტი.

– 4-5 წელია, მაწუხებს ტკივილი მუხლებში, მხრებში, კუნთებში, პერიოდულად მიმწვავდება, როე – 45-მდე ამდის. მერე დავრბივარ ექიმებში, მინიშნავენ გამაყუჩებლებს და... ვარ ისე მიშვებული. მაგრამ, ასე ერთ დღეში ასეთი ეფექტი არასდროს მქონია, როგორც აქ, ამ კლინიკაში მივიღე. აქ რომ მოვედი, მუხლები დასიებული მქონდა, მეორე დილას კი – დამცხრალი. არაა ახლა ეს სასწაული?! ჯერ ერთი კვირაა, ვმკურნალობ. აქ გავიგე, რომ, თურმე, გლანდები მქონია გართულებული – ეს ყოფილა ყველაფრის თავი და თავი. გული რომ მაწუხებდა, ამის მიზეზიც ეს გლანდები და ჩირქი ყოფილა. ყველა ერთად ჩაერთო ჩემს მკურნალობაში და საუცხოო შედეგიც მაქვს. ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს ჩემი ექიმები ჩვენს იმედად!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედა-შვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**დავით გორგოძე**, *41 წლის (მძღოლი. თბილისი).*

– ჩემი დიაგნოზია ანალური ნაპრალი და კოლიტი. დიდი ხანია, მაწუხებს. ეს, როგორც მანანა ექიმმა მითხრა, ჩემს პროფესიას უკავშირდება. ოპერაციას მეუბნებოდნენ ექიმები, მაგრამ, აქ მიღებულმა შედეგმა, საუცხოო მალამოებმა, ამაზე ფიქრიც კი შემაწყვეტინა. პირველივე სამკურნალო კურსმა მომიხსნა ის აუტანელი ტკივილი, ჯდომას რომ მიშლიდა. მომიწესრიგდა შეკრულობის პრობლემაც. კიდევ, კუჭის ტკივილები მაწუხებდა და ესეც აღარ შემიმჩნევია. ძალიან კმაყოფილი ვარ. ულრმესი მადლობა!

**ქეთევან რატიანი**, *49 წლის (ეკონომისტი. რუსთავი).*

– ორჯერ ვარ ნაოპერაციევი, ლიგაცია გავიკეთე – უსისხლო ოპერაციას რომ ეძახიან. ცოტა ხანს კარგად ვიყავი, მაგრამ, მალევე დამეწყო ტკივილები. ისევ მივაკითხე ქირურგს, გამსინჯა და მითხრა, ნაპრალი გაჩნდაო (სავარაუდოდ, ოპერაციის გართულება). ვიმკურნალე მალამოებით, სანთლებით, თუმცა, შედეგი ვერ მივიღე. შემდეგ მოვაკითხე მანანა ექიმს და, 1-2 დღეში ჩემი ტკივილები სად დაიკარგა, ვერ გავიგე. ბედნიერი და გახარებული ვარ.

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*

**თამუნა ნიჟარაძე**

---

აგრესიული, მით უმეტეს, იმის მიმართ, ვინც არის მისი დაზარალების მიზეზი.

**– აგრესიის გაქრობის ერთ-ერთი მექანიზმი არ არის, როდესაც მეორე მხარე, ვინც დაგაზარალა, მოიბოდიშებს, შეწუხდება, ეს რა მომივიდაო.**

– რა თქმა უნდა.

**– ამის დიდი დეფიციტია ჩვენთან. ეს მეორე მხარე ვერ აცნობიერებს, რომ ამ არაადეკვატური უტეხობით აათმაგებს მის მიმართ აგრესიას?**

– მე მაინც მგონია, რომ ვერ აცნობიერებს, არადა, ეს მათთვისაც და ქვეყნისთვისაც ძალიან ცუდად შეიძლება, დამთავრდეს. სამწუხაროდ, ვერ ხვდებიან, რა შედეგები შეიძლება, მოჰყვეს ადამიანების გამწარებას. ასეთ თავგანწირვაზე შურისძიების გამო ხშირად მიდის ადამიანი, თუკი რაღაც ზღვრამდე მივა მისი უსამართლობის განცდა.

**– ჯერ არ დაწყებულა სასამართლო პროცესები, ამ სასამართლო პროცესების საჯაროობა გაუადვილებს საქმეს მოსამართლეებს, რომ სამართლიანად განსაჯონ, ზეწოლების გარეშე? და, თუ სასამართლოს სამართალი ვერ დააკმაყოფილებს სამართლიანობის საზოგადეობისეულ გაგებას, რა არის ყველაზე ცუდი მოსალოდნელი რეაქცია?**

– ლინჩის წესი, ასეთ საფრთხეზე მუდმივად არის ლაპარაკი. არადა, ლინჩის წესით ბევრი ადამიანი ჩამოკიდებს ერთს ხეზე, თუ თითო კაცი თითოსთან გაასწორებს ანგარიშს, პრინციპი მაინც იგივე რჩება – დასჯა მოხდება ჭეშმარიტების დადგენის გარეშე. იმიტომაც ჰქვია ამ პროცესს სამართლიანობის აღდგენა, რომ ადამიანი ელოდება, სასამართლოს მექანიზმით მოხდება ის, რის გაკეთებაც თვითონ სურდა. მაშინ ის დაწყნარდება და დაკმაყოფილდება, შურისძიების იმპულსიც საგრძნობლად შეუმცირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში უკვე ძალიან მძიმე შედეგს მივიღებთ. თქვენ ახსენეთ საჯარო სასამართლო პროცესები, მაგრამ მე მეეჭვება, რომ საზოგადოების თვალმა დიდი გავლენა მოახდინოს. ჩვენ ძალიან ხშირად ვნახეთ, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათ გულშემატკივრებს არ აინტერესებთ, რას ფიქრობენ მათზე სხვები და, ამდენად, შესაძლოა, დიდი ანგარიში არ გაუწიონ საზოგადოებას. ჩვენ მათ მიერ ჩადენილი ძალიან ბევრი დანაშაული ვნახეთ და, აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ადამიანებს გარკვეული კრიმინალური ხასიათი გაუხდათ.

**– ანუ?**

– კრიმინალური ხასიათისთვის დამახასიათე-

**საფრთხის გაადამიანურება შესაძლებელია: ალბათ, ძნელი მოსაძებნია ერი, რომელიც უფრო ჰუმანური იყოს, უფრო მძიმედ განიცდიდეს თავის იმ ნაცისტურ პერიოდს, როგორც გერმანელები**

ბელია რისკი, ანუ მას დასჯის საფრთხის არ ეშინია, რომ ეშინოდეს, მაშინ კრიმინალი არ იქნებოდა. იმიტომაც არიან დღეს ასე შემართულნი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, რომ რაღაც კრიმინალური ხასიათის თვისება უბიძგებს ამ პოზისკენ. თუმცა მე ვგულისხმობ „ნაციონალების“ მცირე ჯგუფს, რადგან იქ არის მეორე ჯგუფიც, რომელთა ხასიათშიც არ არის აგრესიულობა და არც სურთ სხვების მიერ ჩადენილ ცოდვებზე პასუხისგება. ეს ორი ფრთა რომ გავყოთ ერთმანეთისგან, არ მგონია, აგრესიული ფრთა შეშინდეს სასამართლო პროცესების საჯაროობით.

**– მაშინ შედეგი რა შეიძლება, იყოს?**

– ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში იყვნენ პოლიტიკური ძალები, ადამიანები, რომლებიც არ სიამოვნებდა ქართველ საზოგადოებას და ამიტომ მოხდა მათი მარგინალიზაცია. საზოგადოებამ გარიყა ისინი. მართალია, თვითონ დიდხანს აქტიურობდნენ, მაგრამ საზოგადოებამ მაინც გარიყა. ესენიც ილაპარაკებენ, მაგრამ ნელ-ნელა მათი სიტყვა, მოქმედება ძალას დაჰკარგავს. ხომ ვნახეთ, რომ მხოლოდ 30 ადამიანი შეაგროვეს პრეზიდენტის სასახლესთან და ჯაჭვი ვერ შეიკრა, ეს უკვე ნიშნავს, რომ მარგინალიზაცია დაწყებულია.

**– მარგინალიზაცია დაედება მალამოდ შურისძიებას?**

– ბომჟზე ხომ აღარ ბრაზდებით?! ძლიერ ფიგურაზე ბრაზდები. ასე რომ, შესაძლოა. დაიწყოს მათი პოლიტიკური გაბომჟება, თუ ასე გააგრძელებენ.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902 200 200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

ცნობილია, რომ წინა ხელისუფლების მოქმედ „შრომის კოდექსთან“ დამოკიდებულება, უპირველესად, დამქირავებლის სიამოვნებაზე იყო აგებული. პრემიერმინისტრობისას ბ-ნი გილაური სიამაყით შენიშნავდა, რომ ჩვენი დარი „შრომის კოდექსი“, მოქნილობის თვალსაზრისით, არავის ჰქონდა: დამქირავებელს იმ შემთხვევაშიც კი შეეძლო დაქირავებულის სამსახურიდან გათავისუფლება, თუკი იმ დღეს ცუდ ხასიათზე გაიღვიძებდა. დანარჩენ კაბალურ პირობებზე აღარ შევჩერდები. იმ მარტივი მიზეზით, რომ საქართველოს მშრომელების უფლებები მონის უფლებებს ჰგავს, სავსებით ბუნებრივია, რომ იუსტიციის სამინისტრომ ცვლილებებზე იმუშავა და შესაბამისი ცვლილებების პროექტი უკვე შესულია საქართველოს პარლამენტში, რომ ოცდამეერთე საუკუნეში საქართველოშიც შეიძინონ დასაქმებულებმა ადამიანის ელემენტარული უფლებები.

ცვლილებების ერთ-ერთი ავტორია იუსტიციის მინისტრის მოადგილე სანდრო ბარამიძე და სწორედ მასთან ერთად გავარკვევთ, რა დონის დაცვას სთავაზობს ახალი კანონმდებლობა დასაქმებულებს და ამიერიდან როგორ მორიგდებიან დამსაქმებლებთან.

# რა შემთხვევაში ექნებათ დამსაქმებლებს ზეპირი და უვადო ხელშეკრულებების გაფორმების უფლება და რა შემთხვევებში რჩებათ დამქირავებლებს თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლების უფლება



**სამსახურში აღდგენა არ არის ერთდერთი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება, სასამართლომ მიიღოს. სხვა გარემოებებიც არის: სხვა, ტოლფას სამუშაოზე გამწესება და მესამე: უბრალოდ კომპენსაციას გადაუხდიან**

**– დავიწყოთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხით: ცვლილებებით, რა შემთხვევაში შეეძლება დამქირავებელს თანამშრომლის გათავისუფლება სამსახურიდან?**

– გეთანხმებით, რომ მოქმედი კოდექსი დამსაქმებლებს ძალიან კომფორტულ მდგომარეობაში ამყოფებდა, მაგრამ დასაქმებულების ინტერესებისა და უფლებების ხარჯზე. კანონის მიზანი არ არის, შექმნას სამოთხე საზოგადოების ერთი ჯგუფისთვის და ლამის ჯოჯოხეთი საზოგადოების მეორე ჯგუფისთვის. კანონის მიზანია, შექმნას თანაბარი პირობები ყველასთვის. ამდენად, მე მესმის იმ ბიზნესმენების, რომლებიც ძალიან კარგად გრძნობდნენ თავს მოქმედი კანონით, მაგრამ მათაც უნდა გაიგონ, რომ დასაქმებულების უფლებები და ინტერესებიც უნდა იყოს დაცული. თავის დროზე დასაქმებულებმა გარკვეული უფლებები სისხლის ფასად მოიპოვეს. თქვენ იცით, როგორი პერიპეტიები იყო მსოფლიოში მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებით. ჩვენ გვსურს, ეს ყველაფერი ხელახლა გავიაროთ ახალ საქართველოში თუ კეთილს ვინებებთ და გავითვალისწინებთ იმ მიღწევებს, რასაც ცივილიზებულმა საზოგადოებამ შრომით ურთიერთობებში მიაღწია. ცხადია, ეს ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ, თუ გვინდა, რომ ცივილიზებული საზოგადოების წევრი ვიყოთ.

**– შევახსენოთ მკითხველს, რომ ევროკავშირთან დაახლოების ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი პირობა სწორედ „შრომის კოდექსია“, რადგან ევროპა უარს ამბობს მონური შრომით შექმნილი პროდუქციის გამოყენებაზე.**

– ყველასთვის ცნობილია, რომ ვერანაირ პროგრესს ვერ მივაღწევდით ასოცირებულ ხელშეკრულებაზე და ჩვენ მივაღწიეთ პროგრესს ამ ეტაპზე, ვერანაირ პროგრესს ვერ მივაღწევდით თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე, რომ არ გამოგვეჩინა კეთილი ნება და არ შეგვეთავაზებინა ის ცვლილებები, რომლებიც შევთავაზეთ საზოგადოებას.

რაც შეეხება კონკრეტულ ცვლილებას, რომელზეც თქვენ გაამახვილეთ ყურადღება: დიახ, ეს ერთ-ერთი ნოვაციაა, ოღონდ არა კაცობრიობისთვის, არამედ ქართული სინამდვილის შრომითი ურთიერთობებისთვის. მოქმედი კანონით, ერთ მშვენიერ დღეს, როგორც თქვენ სავსებით სამართლიანად ბრძანეთ, ცუდ ხასიათზე თუ გაიღვიძებს დამსაქმებელი, რომელიმე დასაქმებული შეეფეთება ამ ცუდ ხასიათზე მყოფს და თვალში არ მოუვა, მას შეუძლია, თქვას, დღეიდან აღარ მუშაობ ჩემთანო. კანონი არ განსაზღვრავდა არანაირ დასაბუთებას, არანაირ პირობებს, ამიტომ კანონში, უპირველესად, ჩამოვთვალეთ გარკვეული პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში შეიძლება, პირი დაითხოვონ სამსახურიდან და ასეთი პირობები ძალიან ფართოა. ჩვენ დამსაქმებლებზეც უნდა ვიზრუნოთ, რომ ბიზნესი არ დავახრჩოთ და არ მოვუსპოთ არსებობის ინტერესი. არ შეიძლება, ადამიანს შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ დახუროს თავისი ბიზნესი და წავიდეს აქედან.

**– კერძოდ, რა კონკრეტულ პირობებში იქნება შესაძლებელი დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნა?**

– რამდენიმე პირობაა, ჩამოვთვლი ყველაზე მნიშვნელოვნებს: თუ ეკონომიკური მდგომარეობა ან სხვა რამე ტექნოლოგიური პირობები აიძულებს დამსაქმებელს, შეამციროს თანამშრომელთა რაოდენობა.

**– ეს ძალიან აქტუალური იყო, რადგან დამსაქმებლები ჩიოდნენ, თუ ვკოტრდები და შტატების შემცირება მჭირდება, რატომ არ უნდა შემეძლოს თანამშრომლის გათავისუფლებაო.**

– დიახ, ამიტომ ეს ერთ-ერთი ლეგიტიმური პირობაა, როდესაც დამსაქმებელს შეუძლია, დაითხოვოს თანამშრომლები. მეორე პირობაა შრომითი ხელშეკრულებების ან შინაგანაწესის უხეში დარღვევა: ვთქვათ, თანამშრომელი სამსახურში ნასვამ მდგომარეობაში გამოცხადდა. ამასთანავე, სხვა, უფრო მსუბუქი ფორმის დარღვევების განმეორების შემთხვევაშიც დამსაქმებელს აქვს უფლება, დაითხოვოს დასაქმებული. კიდევ არის რამდენიმე პირობა, მაგრამ, რაც მთავარია, პროექტში მოცემულია ერთ-ერთი მთავარი, უფრო ღია პირობა: „სხვა ობიექტური გარემოებები“. ამ ჩანაწერით ჩვენ გავითვალისწინეთ დამსაქმებელთა წინადადებები, რომ კანონმდებელმა შესაძლოა, ყველა თეორიული პირობა ვერ გაითვალისწინოს და ამიტომაც შემოვიტანეთ ეს ღია პირობა, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება, დაკვალიფიცირდეს, როგორც ობიექტური გარემოება.

**სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში ანაზღაურება გამოუყენებელი შვებულებაც**

**– ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს კანონმდებლობაში არაერთი ბუნდოვანი ჩანაწერია, რომელიც იძლევა არათუ ორმაგი, ლამის ათმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას და ეს ჩვენი კანონმდებლობის ერთ-ერთი ხარვეზია. ეს ღია პირობა ხომ არ შექმნის პრობლემებს დასაქმებულებისთვის და ისევ მისცემს თავისუფალი მოქმედების საშუალებას დამსაქმებლებს?**

– საბოლოოდ ყველაფერი უნდა დაადგინოს სასამართლომ და, ამ მხრივაც, უნდა ჩამოყალიბდეს სასამართლო პრაქტიკა, რომ მოსამართლემ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, დაადგინოს, დაირღვა თუ არა დათხოვნის კანონით გათვალისწინებული პირობები. შეიძლება, ოპონენტები შეგვეკამათონ, რომ ჩვენს მოსამართლეებს არ აქვთ ასეთი გამოცდილება.

**– აუცილებლად შეგეკამათებიან, მათ შორის, მეც.**

– შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთან ერთადაც შევიმუშავეთ ეს ცვლილებები, საერთო ჯამში, ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ იმ პროდუქტით, რაც ჩვენ მივიღეთ. გვპირდებიან, რომ დაგვეხმარებიან მოსამართლეების ტრენინგებში, რათა მოსამართლეებმა შეიძინონ გამოცდილება, გაეცნონ სხვა ქვეყნებში არსებულ შრომითი დავების მოგვარების პრაქტიკას.

**– თუკი სასამართლო დაადგენს, რომ დასაქმებული უკანონოდ გაათავისუფლა დამსაქმებელმა, როგორ წარმოგიდგენიათ სასამართლო დავის შემდეგ ასეთი დამსაქმებლისა და დასაქმებულის თანამშრომლობა?**

– სამსახურში აღდგენა არ არის ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება, სასამართლომ მიიღოს. სხვა გარემოებებიც არის: სხვა, ტოლფას სამუშაოზე გამწესება და მესამე: უბრალოდ კომპენსაციას გადაუხდიან. ეს ყველაფერი დამოკიდებულია სასამართლოს დისკრეციაზე, კონკრეტულ პირობებზე, დარღვევის ხასიათსა და მასშტაბზე. თუ მოსამართლე ხედავს, რომ ეს ორი ადამიანი ერთმანეთს ვერ იტანს, მათ ვერ დააკისრებს ერთად მუშაობის ვალდებულებას, მაგრამ შეიძლება, იყოს სხვა შემთხვევებიც: გაუგებრობა, რომელიც ახლა აღმოიფხვრა და მოსამართლე ხედავს, რომ ამ ორ ადამიანს შორის შრომითი ურთიერთობები შეიძლება, გაგრძელდეს. კიდევ ვიმეორებ, ეს საკითხი სასამართლო დისკრეციაზეა დამოკიდებული. მაგრამ ყველაზე მთავარი არის ის, რომ დასაქმებულმა უნდა დაასაბუთოს გათავისუფლების საფუძველი.

**– თუ არ დაასაბუთა?**

– მას დაეკისრება მტკიცების ტვირთი, თუ ეს საქმე გადაინაცვლებს სასამართლოში. მტკიცების ტვირთი ძალზე მნიშვნელოვანი პროცესუალური ტვირთია. ეს ნიშნავს, რომ შენ უნდა მოიყვანო მტკიცებულებები და არგუმენტები, რათა დაუმტკიცო მოსამართლეს, რომ ნამდვილად სწორად იქცეოდი, როდესაც ათავისუფლებდი თანამშრომელს. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს, ანუ დასაქმებულს არ ეკისრება მტკიცების ტვირთი.

**– იმისთვის, რომ სასამართლომ დაიცვას უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის უფლებები, აუცილებელია შრომითი ხელშეკრულების არსებობა. ქართული შრომითი რეალობა განიცდის უვადო ხელშეკრულებების დეფიციტს. გამიფორმებს დამსაქმებელი ერთთვიან ხელშეკრულებას და ვერსადაც ვერ ვუჩივლებ ერთი თვის შემდეგ.**

– ჩვენ არ ვკრძალავთ ზეპირ ხელშეკრულებებს, მაგრამ, შემოთავაზებული ცვლილებებით, ვადგენთ, რომ, თუ შრომითი ურთიერთობები სამ თვეზე მეტხანს გრძელდება, მაშინ ხელშეკრულება აუცილებლად უნდა იყოს წერილობითი. რაც შეეხება ხელშეკრულების ვადიანობას: ჩვენ არ ვკრძალავთ ვადიან ხელშეკრულებას, მაგრამ ვამბობთ, ვადიანი ხელშეკრულება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონით გათვალისწინებული უფლებები იქნება დაცული. მაგალითად, თუ სეზონური სამუშაოა, თუ სამუშაოს ხასიათი დამოკიდებულია რაღაც შეზღუდულ რესურსზე, თუმცა ამ შემთხვევაშიც გვაქვს ღია პირობა: „თუ არსებობს სხვა ობიექტური გარემოებები“. თუ ეს პირობები არსებობს, შესაძლებელია, დაიდოს ვადიანი ხელშეკრულება, ყველა სხვა შემთხვევაში, უნდა დაიდოს უვადო ხელშეკრულება, იმიტომ რომ ეს არის ევროპ-

ის მიმართულება. ევროკავშირის დირექტივაში დადგენილი პრინციპია, რომ შრომითი ურთიერთობის კულტურა უნდა მიისწრაფოდეს უვადო ხელშეკრულებებისკენ.

**– სტაბილურობის შეგრძნება სხვაგვარად ვერ გაჩნდება საზოგადოებაში. კიდევ რა ტიპის ცვლილებებია „შრომის კოდექსში“?**

– ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები, ასევე, ეხება დავების მოგვარების წესებს: შემოვიტანეთ მედიაციის ინსტიტუტი კოლექტიური დავებისთვის. მედიაციას განახორციელებს ჯანდაცვის სამინისტროს მედიაციის ორგანო. გარდა ამისა, დავადგინეთ შემთანხმებლური პროცედურების სავალდებულობა, რომ მხარეები თვითონ მორიგდნენ, ყოველ შემთხვევაში, ეცადონ მაინც. ასეთ შემთანხმებელ პროცედურებში შემოდის კეთილსინდისიერად მონაწილეობის ინსტიტუტი. არ შეიძლება, მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდე იმისთვის, რომ ვილაცას მოაჩვენო და სინამდვილეში არც გსურდეს მოლაპარაკება. არ შეიძლება, დააყენო ისეთი პირობა მოლაპარაკების დროს, რასაც წინასწარ იცი, ვერავინ დააკმაყოფილებს. მაგალითად, გამიათმაგე ხელფასი. ეს არაკეთილსინდისიერი მიდგომა იქნებოდა. ასევე, ამოვიღეთ კოდექსიდან გამაფრთხილებელი გაფიცვის ინსტიტუტი და მხარეები დავავალდებულეთ, რომ შემთანხმებელი პროცედურების დაწყებიდან 21 დღის განმავლობაში დასაქმებულებმა არ გამოიყენონ გაფიცვის უფლება, იმიტომ რომ ჯერ უნდა ეცადო, მოილაპარაკო. იქნებ მოდის დამქირავებელი შენს პირობებზე და შესაძლოა, მორიგდეთ კომპრომისულ ვარიანტზე. გაფიცვა უკიდურესი ფორმაა და უკიდურეს ფორმას შეიძლება, მიმართო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფრო მსუბუქი ფორმები მოსინჯე.

**– დასაბუთებულად სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, დამსაქმებელს ისევ რჩება კომპენსაციის, ერთი თვის ხელფასის, გაცემის ვალდებულება?**

– დიახ, თუმცა იყო შემოთავაზება, რომ კომპენსაცია უფრო დიდი ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ გვინდოდა, დაგვეცვა ბალანსი დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის და მიგვაჩნია, რომ მოვახერხეთ ამ ბალანსის დაცვა და ორივე მხარის რაციონალური წინადადებები გავითვალისწინეთ.

**– ისევ რჩება დამსაქმებელს თანამშრომელი გაუშვას დამსახურებულ შვებულებაში, 24 კალენდარული დღით და აუნაზღაუროს ეს შვებულება?**

– რა თქმა უნდა. მეტიც, სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაშიც ანაზღაურდება გამოუყენებელი შვებულება. ეს პრინციპი გავითვალისწინეთ პროფკავშირების კონფედერაციის წინადადების საფუძველზე.

**– დამქირავებლები ხშირად ამბობენ, რომ არ აქვთ შვებულების ასანაზღაურებელი თანხა და მხოლოდ უხელფასო შვებულებით თუ ისარგებლებს თანამშრომელი. გასაგებია, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება არსებობს, მაგრამ ეს ნიშნავს, შენს სამუშაო ადგილს შეუდგა წყალი.**

– თუ რომელიმე მხარე არ იცავს კანონით გათვალისწინებულ რამე წესს, მას შეუძლია, შემთანხმებელი პროცედურების გავლის შემდეგ მიმართოს სასამართლოს.

**– მოქმედი „შრომის კოდექსით“ ძალიან კაბალურია ქალების მდგომარეობა: თუ დაფეხმძიმდნენ და დეკრეტში გავიდნენ, უკან აღარ აბრუნებენ. ასეთი შემთხვევა უამრავია და თავს იკავებენ ახალგაზრდა ქალების სამსახურში მიღებისგანაც, ვაითუ დაფეხმძიმდესო.**

– მნიშვნელოვანი ცვლილებები შემოვიტანეთ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით და დისკრიმინაციაში ვგულისხმობთ ნებისმიერ დისკრიმინაციას, მათ შორის, გენდერული ნიშნით. უპირველესად, აღვნიშნავდი იმავე მტკიცების ტვირთის საკითხს. სასამართლოში მტკიცების ტვირთი გადადის ისევ და ისევ დამსაქმებელზე, რომელმაც უნდა დაასაბუთოს, რომ პირი არ გათავისუფლებულა სამსახურიდან იმიტომ, რომ ის ქალია, არამედ, იმის გამო, რომ დაირღვა კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობა.

**– დეკრეტულთან დაკავშირებით ისევ იგივე კაბალური პირობები რჩება, როდესაც ყველას, განურჩევლად ხელფასისა, მაინც 600 ლარს აძლევს სახელმწიფო დეკრეტულის თანხად?**

– ჩვენ ამ ეტაპზე არ დაგვიყენებია და არ გაგვიხორციელებია ყველა ის ცვლილება, რომელსაც ვგეგმავთ გრძელ თუ საშუალოვადიან პერსპექტივაში. ჯერ ჩვენ პარლამენტს ვთავაზობთ არსებით, ყველაზე მთავარ ცვლილებებს. ჩვენ რომ ყველა სხვა ასპექტით შეგვემოწმებინა და შეგვესწავლა შრომითი კანონმდებლობის უარყოფითი მხარეები და გვქონოდა მცდელობა, რომ ყველაფერი ერთად მოგვეგვარებინა, შეიძლება, ერთი წელი არ გვყოფნოდა ამისთვის. რატომ უნდა დავყოვნებულიყავით, როდესაც რაღაც ასპექტები, რომლებიც საკმარისად მომზადებულია, შეგიძლია, შეიტანო ახლა და მშვიდად განაგრძო მუშაობა რეფორმის სხვა ასპექტებზე, რომლებსაც, როდესაც მოამზადებ, კვლავ შეიტან პარლამენტში განსახილველად. ჩვენ ასეთი ეტაპობრივი მიდგომა გვაქვს კანონმდებლობის სრულყოფის ყველა მიმართულებით. ერთ მშვენიერ დღეს ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტ – რასაც მოამზადებ საკმარისად, რაც შეიძლება, გადაწყვიტო დღეს, უნდა გადაწყვიტო დღეს, ხვალინდელი წინადადება უნდა გადადო ხვალისთვის.

**– იმედი მაქვს, პარლამენტი დაამტკიცებს „შრომის კოდექსში“ თქვენ მიერ მომზადებულ ცვლილებებს, ამის შემდეგ რა მიმართულებით აპირებთ მუშაობას?**

– სავარაუდოდ, გენდერული მიმართულებით და ვნახავთ, რა შესაძლებლობები აქვს ქართულ სახელმწიფოს, ამ მხრივ. უნდა გამოვიკვლიოთ, რა პრობლემებია, უნდა შევხვდეთ მთავარ დაინტერესებულ ჯგუფებს. ასე ვიმუშავეთ პირველ ეტაპზე და ასე ვაპირებთ გავაგრძელოთ მუშაობა მეორე ეტაპზე.

**ნინო ხაჩიძე**


# სენადე

## მცენარეული პრეპარატი




**შემადგენლობა:** თითოეული ტაბლეტი შეიცავს სენას ექსტრაქტს.

**ჩვენებები:** სენადე ნაჩვენებია მოზრდილებსა და ბავშვებში ყაბზობის დროს.

**სიფრთხილის ზომები:** სიფრთხილით მიიღეთ ნაწლავის ანთებითი დაავადების დროს.

ხანგრძლივი გამოყენება არაა რეკომენდებული.

**ორსულობა და ლაქტაციის პერიოდი:** ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში გამოიყენება მხოლოდ სარგებელი რისკის თანაფარდობის შეფასების შემდეგ.

**მიღების გზები და დოზირება:** ბავშვები: 1-დან 12 წლამდე: 1 ტაბლეტი ძილის წინ, მოზრდილები: 1-3 ტაბლეტი ძილის წინ ან ექიმის რეკომენდაციის მიხედვით.

**აფთიაქიდან გაცემის წესი:** ურეცეპტოდ

აფთიაქი TITANI

* გამოყენების წინ გაეცანით გამოყენების ინსტრუქციას
* გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ქარხანა ციპლა

თბილისი. ალ.ყაზბეგის ქუჩა №14 ☎ 238-28-40; 238-88-71; 231-11-32

# რა აკავშირებს კუბის ლიდერ რაულ კასტროს სექს-ტურიზმის აღორძინებასთან და მისი ოჯახის რომელი წევრი ითვლება გეი-აღლუმების მედროშედ



*„ეს საპრეზიდენტო ვადა ჩემთვის უკანასკნელი იქნება", ასეთი განცხადება გააკეთა კუბის ლიდერმა რაულ კასტრომ მას შემდეგ, რაც კუბის ნაციონალურმა ასამბლეამ იგი მეორე ვადით აირჩია ქვეყნის მეთაურად. ხელისუფლებიდან წასვლის თარიღად 2018 წელი დასახელდა, იმ პერიოდში კასტრო 87 წლის შესრულდება და უკვე სახელდება მისი სავარაუდო შემცვლელი – კუბის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, 52 წლის მიგელ დიას-კანელი. კასტროების ოჯახი 1959 წლიდან მართავს კუბას და, როგორც ჩანს, ეს ისტორიული ეპოქა 2018 წელს დასრულდება.*

* რაულ კასტრო დაიბადა 1931 წლის 3 ივნისს პროვინცია ორიენტეში, მიწათმფლობელ ანხელ კასტრო არგისასა და მზარეულ ლინა რუს გონზალესის ოჯახში. კასტროების მამა მას შემდეგ დაქორწინდა ლინაზე, რაც მისგან ხუთი შვილი ეყოლა. ფიდელისა და რაულის მშობლები გაუნათლებლები იყვნენ, თუმცა, შვილებს კარგი განათლების მიღების საშუალება მისცეს. რაული იეზუიტების კოლეჯში სწავლობდა, რის შემდეგაც სწავლა ჰავანის უნივერსიტეტში განაგრძო.

* ძმები კასტროები, რომლებიც დიქტატორ ფულჰენსიო ბატისტას რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ, 1953 წელს მონაწილეობას იღებდნენ მონკადას ყაზარმების უშედეგო აღებაში სანტიაგოში, თუმცა, ისინი დააპატიმრეს და ორივეს 15-15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. 1955 წელს, ამნისტიის შედეგად, ისინი გათავისუფლდნენ და მექსიკაში გადავიდნენ. სწორედ მეხიკოში გაიცნო რაულ კასტრომ არგენტინელი ერნესტო ჩე გევარა, რომელიც თავის ძმას წარუდგინა. 1956 წელს რაული, ფიდელი და ჩე იახტით „გრანმა" კუბაში დაბრუნდნენ და პარტიზანული მოძრაობა გააჩაღეს. რაული სიერა-მაესტრას მთებში იყო გამაგრებული და იქიდან ხელმძღვანელობდა 4 ათასი ამბოხებულისგან შემდგარ პარტიზანულ რაზმს.

* 1959 წლის თებერვალში ფიდელ კასტრო კუბის მმართველი გახდა, ხოლო მისი ძმა, რაული – კუბის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. იმავე წლის ოქტომბერში რაულმა რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის პოსტი დაიკავა. მისი ხელმძღვანელობით კუბის შეიარაღებული ძალების კონტინგენტი 50 ათასი ჯარისკაცამდე გაიზარდა. 1970-იან წლებში რაულ კასტრო, თავისი რაზმებით, აქტიურ სამხედრო მონაწილეობას იღებდა ანგოლასა და ეთიოპიაში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტებში. კუბის თავდაცვის მინისტრის პოსტი რაულმა მხოლოდ 2008 წელს დატოვა და ის ერთგვარი რეკორდის მფლობელად ითვლება კასტრო 49 წლის განმავლობაში იკავებდა თავდაცვის მინისტრის პოსტს, რაც მსოფლიო რეკორდია.

* ბატისტას რეჟიმთან ბრძოლის პერიოდში, სიერა-მაესტრას მთებში განთავსებულ ამბოხებულთა ბანაკში რაულ კასტრომ გაიცნო ვილმა ესპინა, კუბური რომის „ბაკარდის" მწარმოებელი კომპანიის მფლობელის შვილი, რომელიც ასევე იყო ჩართული რევოლუციურ მოძრაობაში. ბატისტას ქვეყნიდან განდევნის შემდეგ, 1959 წლის 26 იანვარს, რაული და ვილმა დაქორწინდნენ. მათ ოთხი შვილი ეყოლათ. პრაქტიკულად, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ვილმა კუბის პირველი ლედის ფუნქციას ასრულებდა და ის ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ქალად კუბაში. ვილმა 2007 წელს გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ და მისი გარდაცვალების დღე კუბაში ოფიციალურად გამოცხადდა გლოვის დღედ.

* ფიდელ და რაულ კასტროების უმცროსი და, ხუანიტა 1964 წლიდან აქტიურად თანამშრომლობდა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან – „ცეერუსთან". ამის შესახებ ხუანიტა კასტრომ გამოაქვეყნა თავის წიგნში „ფიდელი, რაული, ჩემი ძმები: საიდუმლო ისტორია." ამჟამად ხუანიტა ამერიკაში ცხოვრობს, კერძოდ, მაიამიში, ხოლო „ცეერუსთან" ის 60-იანი წლებიდან თანამშრომლობდა და მისი კოდური სახელი იყო „დონნა". წიგნი ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა და მისი გამოცემის ხარჯები ამერიკის მთავრობამ გაიღო.

* ჩინეთის კომუნისტური პარტიის ექსლიდერის ხუ ძინ ტაოს კუბაში ვიზიტის დროს, რაულ კასტრომ სტუმრის პატივსაცემად ჩინურ ენაზე იმღერა ცნობილი ჩინური სიმღერის ფრაგმენტი, რომელიც ჩინეთის ყოფილ ლიდერს მაო ძე დუნს ეძღვნებოდა. ეს სახალისო ფაქტი ერთ-ერთი კუბური სკოლის მონახულების დროს მოხდა. სიმღერის შესრულების დასრულებისთანავე რაულ კასტრომ ხუ ძინ ტაოს აპლოდისმენტები დაიმსახურა და ასევე სტუმრისგან მადლობა მიიღო იმის გამო, რომ ჩინელებს, რომლებიც კუბაში ცხოვრობენ, საშუალება აქვთ შეისწავლონ ესპანური ენა სპეციალიზებულ სკოლებში.

* კუბის მთავრობამ რაულ კასტროს ხელმძღვანელობით, კუბელებს საკუთარი სახლების თვითნებურად აშენების საშუალება მისცა. მანამდე საცხოვრებელი სახლების აშენება მხოლოდ მთავრობის პრეროგატივა იყო და სახელმწიფო მონოპოლიად ითვლებოდა. რაულ კასტროს სპეციალური ბრძანებულების თანახმად კი კუბელებს ამიერიდან საშუალება მიეცემათ არა მხოლოდ საკუთარი გემოვნებით აიშენონ საცხოვრებელი სახლი, არამედ, უკვე არსებული ფართები სპეციალური ნებართვის აღების შემდეგ გააფართოონ.

* რაულ კასტროს ქალიშვილი, სექსოლოგი და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის უფლებების დამცველი მარიელა კასტრო, ყველაზე ცნობილი კუბელია, რომელიც იბრძვის ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების კავშირების დაკანონებისთვის და, ასევე, ერთსქესიანი ოჯახებისთვის ბავშვის აყვანის პროცედურის გაადვილებისთვის. მარიელა კასტრო ცნობილია თავისი ბრძოლით ჰომოფობიის წინააღმდეგ და ამაში ის აქტიურ მხარდაჭერას იღებს კუბის მმართველი კომუნისტური პარტიიდან. მის გამარჯვებათა აქტივში შესულია სქესის შეცვლის ოპერაციის ლეგალიზება კუბაში, რომელიც ფიდელ კასტროს მმართველობის დროს კატეგორიულად აკრძალული იყო. სხვათა შორის, მარიელა კასტრო კუბაში, კერძოდ კი ჰავანაში მოწყობილ ყოველწლიურ გეი-აღლუმზე ბოლო წლების მთავარ მედროშედ არის ცნობილი.

* კუბის მმართველობის ხელში ჩაგდების შემდეგ, ერთ-ერთი პირველი, რისი აღორძინებაც მოახერხა რაულ კასტრომ, იყო სექს-ტურიზმი. ფიდელის მმართველობის პერიოდში ბორდელები და საროსკიპოები, ასევე, მსუბუქი ყოფაქცევის ქალების სხვა სახის თავშეყრის ადგილების ფუნქციონირება სასტიკად იყო აკრძალული, მაგრამ, როგორც ჩანს, რაულ კასტრო სულ სხვაგვარად ფიქრობს, რასაც მისი ერთ-ერთი ფრაზა ადასტურებს: „კუბელი ქალი არაფრის დიდებით არ დაწვება ლოგინში ფულის სანაცვლოდ, მხოლოდ სიყვარულით; თუმცა, თუკი ის სექსისთვის ფულს აიღებს – რატომაც არა". ამჟამად მრავალი უცხოელი სწორედ სექსუალური თავგადასავლების გამო ჩადის ჰავანაში და სხვა ქალაქებში. ყველაზე დიდი მოთხოვნა კრეოლში ქალებზეა, რომლებიც თავისი სილამაზით იზიდავენ ტურისტებს. კუბაში ნებისმიერი სასტუმრო ან დისკოთეკა თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს მეძავების თავშეყრის ადგილად, ხოლო დედაქალაქ ჰავანას ტურისტები „ერთ დიდ ბორდელად" მოიხსენიებენ.

* რაულ კასტროს ძირითადი ჰობი ალპინიზმია. მას მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ვენესუელის პრეზიდენტ უგო ჩავესთან. ძმისგან, ფიდელ კასტროსგან განსხვავებით, რაულს ნაკლებად უყვარს ლაპარაკი და მისი საჯარო გამოსვლები ნახევარ საათზე მეტხანს არ გრძელდება.

**უშანგი რუხაძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რატომ ითვლებოდა გერმანელი ოტო ბაისჰაიმი ერთ-ერთ ყველაზე იდუმალ ფიგურად მილიარდერებს შორის და რას საქმიანობდა ის მეორე მსოფლიო ომის პერიოდში

89 წლის ასაკში გერმანიაში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე კომპანია „მეტრო გრუპის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ერთ-ერთმა ყველაზე „ჩაკეტილმა" გერმანელმა მილიარდერმა ოტო ბაისჰაიმმა. იდუმალ ფიგურად ცნობილი ბაისჰაიმი იმდენად ერიდებოდა საჯარო ცხოვრებას, რომ სხვისი სახელითა და გვარით მოგზაურობდა, არ ურთიერთობდა პრესასთან და არ ჰყავდა მემკვიდრე. მილიარდერმა, რომლის კაპიტალი 2012 წლის მარტის მონაცემებით 3,3 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენდა, უკანასკნელი წლები უკურნებელ სენთან ბრძოლაში გაატარა და, როგორც ჩანს, გამოსავალი სიკვდილში პოვა. ბაისჰაიმის დიდძალი ქონება, მისი ანდერძის თანახმად, ორ საქველმოქმედო ფონდზე გადანაწილდება და კულტურასა და ბიზნესპროექტების რეალიზებას მოხმარდება. „ადამიან-გამოცანად" ცნობილი ოტო ბაისჰაიმის სიკვდილმა უამრავი კითხვა დატოვა პასუხგაუცემელი, უპირველეს ყოვლისა კი ის, მსახურობდა თუ არა იგი „ესესის" სპეცდანაყოფ Leibstandarte-ში და უზრუნველყოფდა თუ არა პირადად ადოლფ ჰიტლერის უსაფრთხოებას.

ოტო ბაისჰაიმი 1924 წლის 3 იანვარს დაიბადა ესენში. მის მშობლებს, სოციალურად შეჭირვებულ პირებს, არ გააჩნდათ საშუალება, რომ შვილისთვის საჭირო განათლება მიეცათ და სკოლაში სწავლის ნაცვლად, ოტოს ტყავისგან ტანსაცმლის დამამზადებლის ხელობა შეასწავლეს. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე იგი ესენის ერთ-ერთ მაღაზიაში ტყავის ნაკეთობათა გამყიდველადაც კი მუშაობდა. სხვათა შორის, სწორედ მეორე მსოფლიო ომს უკავშირდებოდა ბაისჰაიმის ბიოგრაფიის ყველაზე ცნობილი და, ამავე დროს, ექსპერტებისთვის საკამათო ნაწილი. 1941 წლიდან ოტო ბაისჰაიმი მესამე რაიხის ერთ-ერთ ყველაზე ელიტურ ქვედანაყოფში – Wafen SS-ის Leibstandarte-ში მსახურობდა, რომელიც ფიურერის პირადი ზედამხედველობისა და მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. „მესამე რაიხის" ალორძინების 30-იან წლებში, „ლეიბშტანდარტის" წევრებმა ადოლფ ჰიტლერს პირადად შეჰფიცეს ერთგულება, რის შემდეგაც მათი ძირითადი საქმიანობა ნაცისტური გერმანიის უმაღლესი თანამდებობის პირების პირადი დაცვის უზრუნველყოფა იყო. გერმანელი ჟურნალისტის, მიხაელ რატკეს ვერსიით, რომელიც 1994 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ზი დოიჩე ცაიტუნგში", ოტო ბაისჰაიმი ოფიცერზე დაბალი ჩინით მსახურობდა ამ განყოფილებაში და მას არ ჰქონდა მიღებული მონაწილეობა იმ საზიზღრობებში, რასაც ვაფენ-ესესელები სჩადიოდნენ. ომის ბოლო წლებში ბაისჰაიმი „ლეიბშტანდარტის" პირველ სატანკო დივიზიაში იყო განაწილებული და ბავარიის ოლქში იყო დისლოცირებული, სადაც ჩაუვარდა კიდეც ტყვედ ინგლისელებს. ვარაუდობენ, რომ სწორედ იმ ფაქტის გამო, რომ ის ესესში მსახურობდა, ოტო ბაისჰაიმი გაურბოდა ყურადღების ცენტრში ყოფნას, რაც გამოიხატებოდა მის პათოლოგიურ თამაშში, სახელად „დამალობანა".

ომის შემდგომ, ტყვეობიდან გათავისუფლებული ბაისჰაიმი დაკავებული იყო ელექტროსაქონლით ვაჭრობით. ამ სფეროში მან გარკვეულ წარმატებას მიაღწია და პატარა ფირმაც კი დააარსა. 60-იანი წლების დასაწყისში ოტო სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც გაეცნო „ქეშ ენდ ქერის" საბითუმო ვაჭრობის გამოცდილებას და გერმანიაში დაბრუნებულმა დააფუძნა ანალოგიური პროფილის ფირმა, რომელმაც სათავე დაუდო საბითუმო და საცალო ვაჭრობის უდიდესი ევროპული სავაჭრო სახლის – „მეტროს" იმპერიას. სხვათა შორის, დღემდე არ წყდება იმ საკითხზე დისკუსია, თუ როგორ მოახერხა დაწყებითი კაპიტალის არმქონე ბაისჰაიმმა გიგანტური კომპანიის დაარსება.

პირველი მარკეტი კომპანია „მეტრომ" 1964 წელს გახსნა ქალაქ მიულჰეიმ ან დერ რურში. „ქეშ ენდ ქერის" ამერიკული იდეა კარგად მოერგო გერმანიას, რადგან, გერმანიაში კარგად იყო განვითარებული საშუალო და მცირე ბიზნესი და, სწორედ ამ ფენის წარმომადგენლები: კიოსკების, რესტორნების, პატარა სასტუმროების, სხვადასხვა სახის სახელოსნოების მფლობელები იძენდნენ საჭირო პროდუქციას ბაისჰაიმის საბითუმო მარკეტში. დღეისათვის, კომპანიის დაარსების 49-ე წლისთავზე, გერმანიის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს „მეტროს" 70-მდე მარკეტი, ხოლო მსოფლიოში მათი რიცხვი 500-მდე ავიდა. ბოლო მონაცემებით, კომპანიაში 72 ათასი ადამიანია დასაქმებული. თავდაპირველად ბაისჰაიმმა დასავლეთ ევროპა დაიპყრო, შემდგომ – თურქეთი და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანა. 1996 წელს დაიწყო აზიური ბაზრის ათვისება და, საბოლოოდ, „მეტროს" ფილიალები გაიხსნა ჩინეთში, იაპონიაში, ვიეტნამსა და ინდოეთში. სხვათა შორის, პირველი ინდური მარკეტი –„მეტრო ქეშ ენდ ქერი" 2008 წელს გაიხსნა ქალაქ ბანგალორში.



2009 წლის სექტემბერში „მისტერ მეტრომ", როგორც უწოდებდნენ ბაისჰაიმს, საკმაოდ სენსაციური განცხადება გააკეთა: მან „მეტროს" სხვა აქციონერებთან – ჰანელ და შმიდტ რუტენბეკების საგვარეულოს წევრებთან დადებული ხელშეკრულებიდან გამოსვლა დააპირა, ანუ, ბაისჰაიმმა გადაწყვიტა, თვითონ მართოს თავისი კუთვნილი აქციები, მანამდე დადებული პირობის თანახმად კი არც ერთ აქციონერს არ შეეძლო ერთპიროვნულად გადაეწყვიტა საკუთარი აქციების ბედი. ექსპერტები ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებენ, რა მომავალი შეიძლება ჰქონდეს კონცერნ „მეტროს" მისი ერთ-ერთი უმსხვილესი აქციონერის გარდაცვალების შემდეგ.

ოტო ბაისჰაიმის სახელი რამდენიმე სკანდალსაც უკავშირდება: ბაისჰაიმს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ დახმარება გაეწია ტეგერნზეში მდებარე გიმნაზიისთვის და ამასთან დაკავშირებით სპეციალური საქველმოქმედო ფონდი ჩამოაყალიბა, რომლის მეშვეობით 10 მილიონამდე ევროს შეწირვას აპირებდა გიმნაზიისთვის. ფონდს მხოლოდ ერთი პირობა ჰქონდა გიმნაზიის ადმინისტრაციასთან – სრული დახმარების მიღების შემდეგ სკოლა ბაისჰაიმის სახელობის უნდა გამხდარიყო. თავდაპირველად სკოლის დირექცია დაინტერესდა შემოთავაზებით, რადგან, უპრეცედენტო დახმარებით ტეგერნზეს გიმნაზია ერთ-ერთი საუკეთესო გახდებოდა გერმანიაში, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ბაისჰაიმი თავის დროზე ნაცისტებთან თანამშრომლობდა და „ესესის" ერთ-ერთ განყოფილებაში მსახურობდა, გიმნაზიის დირექტორმა უარი განაცხადა დახმარების მიღებაზე და მას მხარი დაუჭირეს მასწავლებლებმაც და მოსწავლეებმაც. სამაგიეროდ, ბაისჰაიმის დახმარებაზე უარი არ თქვეს ყოფილი საბჭოთა ოფიცრის შვილებმა, სახელგანთქმულმა მოკრივეებმა, ძმებმა ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოებმა, რომელთა საქველმოქმედო ფონდის – „ძმები კლიჩკოების" მთავარი დამფინანსებელი ყოფილი ნაცისტი ოტო ბაისჰაიმი იყო.

ოტო ბაისჰაიმის მეუღლე, ინგე, 1999 წელს გარდაიცვალა. რაც შეეხება მის კარჩაკეტილ ცხოვრებას, ბაისჰაიმი ისეთ მნიშვნელოვან პროცესებს არ დაესწრო, როგორიცაა მისი კომპანიის აქციების გატანა ფრანკფურტის ბირჟაზე გასაყიდად; ასევე, ის არ დაესწრო ბერლინის ცენტრში, პოტსდამის მოედანზე „ბაისჰაიმ-ცენტრის" გახსნის ცერემონიალს. შენობაში საცხოვრებელი და საოფისე ფართები განთავსდა და მილიარდერმა მისი აშენება თავის გარდაცვლილ მეუღლეს მიუძღვნა. ცნობისთვის, „ბაისჰაიმ-ცენტრის" აშენება, სადაც, ასევე, განთავსებულია, ცნობილი სასტუმრო „რიც კარლტონი," მილიარდერს 450 მილიონი ევრო დაუჯდა.

ბაისჰაიმის გვამი 2013 წლის 18 თებერვალს აღმოაჩინეს ბავარიაში, ქალაქ როტარ-ეგერნეს ვილაში, სადაც მილიარდერი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ატარებდა. „ბილდის" ცნობით, ბაისჰაიმი ბოლო პერიოდში დეპრესიისგან იტანჯებოდა და მკურნალობის კურსს გადიოდა. ბაისჰაიმის მოსამსახურის თქმით, მან გასროლის ხმა გაიგონა, რის შემდეგაც აბაზანაში მილიარდერის გვამი აღმოაჩინა. 1988 წლიდან ბაისჰაიმი შვეიცარიის მოქალაქე იყო; ზაფხულობით იგი ბარეში ცხოვრობდა, ხოლო ზამთარში მაიამიში. გარდა ამისა, ის ფლობდა სახლებს პარიზში, ლუგანოსა და ბავარიაში. „ადამიანი-გამოცანა" ბაისჰაიმი ისე გარდაიცვალა, რომ არც ერთი ინტერვიუ არ მიუცია ჟურნალისტებისთვის, გარდა ამისა, მის შესახებ მისი კომპანიის თანამშრომლებმაც კი არაფერი იცოდნენ, სახეზეც კი ვერ სცნობდნენ. ცნობილი ფაქტია, რომ ბაისჰაიმი უცხოეთში მოგზაურობის დროს ფსევდონიმებს იყენებდა, მაგალითად, მად ლუიჯი ფონტანა ან ბერნარ დეტუა ერქვა. გერმანელი მილიარდერის დატოვებული ქონება თანაბრად გადანაწილდება მის შვეიცარიულ და გერმანულ საქველმოქმედო ფონდებს შორის.

**უშანგი რუხაძე**

**კულტურის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარი, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ ბაგრატის, ოშკისა და ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებთან დაკავშირებული თემებით გაიცნო, ახალი მთავრობის ახალი სახეა. ცნობილი მოქანდაკეების შთამომავალს, მართალია, ოჯახური ტრადიციის გაგრძელება არ მოუხდა, მაგრამ ცხოვრება მაინც ხელოვნებას დაუკავშირა და ქართული კულტურის პოპულარიზაციას ეწეოდა ბელგიაში, სადაც 18 წელი მოუწია ცხოვრება. როგორ გახდა მარინე მიზანდარი კულტურის მინისტრის მოადგილე და რაში ჩაითრიეს ის ბავშვობიდანვე, ამას თავად ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყობთ, რომელსაც საინტერესო ისტორია და „ბეგ რაუნდი" აქვს.**

# რა რეკორდი დაამყარა კულტურის მინისტრის მოადგილემ კავკასიონის მთებში და რაში ჩაითრიეს ის

**მარინე მიზანდარი**: პროფესიით ხელოვნებათმცოდნე ვარ, სხვა პროფესიას, ალბათ, ვერც ავირჩევდი. მამაც მოქანდაკე მყავდა, ბაბუაც. ბავშვობიდან გავიზარდე გამოფენებზე, მერე ამ გამოფენებთან დაკავშირებულ საქმეების „გარჩევებზე", ამ გარემომ ჩემზე დიდი კვალი დატოვა – ამიტომაც ჩავაბარე სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტზე. ამის შემდეგ დავამთავრე გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურა, დავიცავი დისერტაცია ანტიკური ხანის ქართულ ძეგლებზე, მაქვს დოქტორის ხარისხი. ასპირანტურის დამთავრებისთანავე სამუშაოდ ამიყვანეს ინსტიტუტში, მეცნიერ-თანამშრომლად. იმ პერიოდში დაიწყო ჩემი კონტაქტები კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, რომლებიც უცხოეთში აწყობდნენ გამოფენებს. იმ დროს თბილისში სიტუაცია უკვე არეული იყო, არ არსებობდა არანაირი სამუშაო პირობები. ჩვენი ინსტიტუტი დაინგრა და მეცნიერებისთვისაც აღარავის ეცალა. მე მივლინებით ბელგიაში მომიწია წასვლა, ერთ-ერთ პროექტზე სამუშაოდ. თუმცა, მოხდა ისე, რომ ჩემი მივლინება უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე ამას წარმოვიდგენდი. საბოლოო ჯამში, ბელგიაში 18 წელი ვიცხოვრე. თავის დამკვიდრება იოლი არ იყო, იქ ძნელია თავის გატანა – თავიდან დავიწყე სამეცნიერო საქმიანობა, რამდენიმე მოხსენება წავიკითხე პარიზში ძალისას უნიკალურ ანტიკური ხანის კომპლექსზე, რომელიც ახალი აღმოჩენილი იყო და მისი შესწავლა-დათარიღება სწორედ მაშინ იწყებოდა. ამ თემამ ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია უცხოელ კოლეგებს შორის. კონტაქტების დამყარება მომიწია ცნობილ ევროპელ მეცნიერებთან, მათ შორის იყო ფრაიბურგის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, რომელმაც მთხოვა, ლექციები მის ინსტიტუტში წამეკითხა. ამას მოჰყვა სხვა საინტერესო წინადადებები. პარალელურად, ვმუშაობდი ნაფიც მთარგმნელ-თარჯიმნად სასამართლოში. ვაწყობდი ქართველი მხატვრების გამოფენებს როგორც ევროკავშირის საგამოფენო დარბაზში, ასევე ჩემს სახლში, რომლის პირველი სართული საგამოფენო დარბაზად ვაქციე. ყველაზე საინტერესო გამოცდილება ჩემთვის მაინც ევროკავშირის სათაო ოფისში მუშაობა იყო. სამი წელი ვიმუშავე ინსტიტუციური განვითარების ინსტრუმენტებზე. პასუხისმგებელი ვიყავი საქართველოს, სომხეთსა და მოლდავეთზე. ეს პროექტი მოიცავდა ამ ქვეყნების ადმინისტრაციული უწყებების მუშაობის დაახლოებას და შესაბამისობას ევროპულ სტანდარტებთან. პროექტის დამთავრების შემდეგ, როგორც დამოუკიდებელ ექსპერტს, ძალიან ბევრ ქვეყანაში მომიწია მუშაობა ევროკავშირის სხვადასხვა პროექტებზე, რაც ძალიან საინტერესო იყო.



18 მწვერვალზე ვარ ასული, მათ შორის მყინვარწვერზეც კი

**– და ასე „შორიდან" როგორ მოხვდით ამ თანამდებობაზე?**

– თბილისში 2011 წელს ჩამოვედი, სულ მინდოდა აქ დაბრუნება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს ბევრჯერ გადავდე. თბილისში საინტერესო, კულტურულ პროექტებში ჩავერთე, რომელთა უმეტესობაც ევროკავშირის ეგიდით ხორციელდებოდა. მაშინ გურამ ოდიშარიასთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია, ერთმანეთს არც ვიცნობდით. შეიძლება ითქვას, აქ შემთხვევით მოვხვდი. ეს, უპირველესად, ჩემი მეგობრებისა და თანაკურსელების „დამსახურებაა." თავი მოიკლეს, ვის აღარ აჩვენეს ჩემი „სივი", სად აღარ გამიწიეს რეკომენდაცია, ბოლოს დამირეკეს და მითხრეს: შენს „სივს" კულტურის სამინისტროში ვგზავნით და ახლა შენ არ დაიწყო, არა და ვერაო *(იცინის).* მათ წინადადებაზე ბევრი ვიყოყმანე, ისეთ პროექტებზე ვმუშაობდი, შუა გზაზე მათი მიტოვება მიჭირდა. უნდა მემუხთლა მათთვის, ვისთან ერთადაც მნიშვნელოვან ოთხწლიან პროექტზე ვიწყებდი მუშაობას. ბოლოს მაინც დავთანხმდი მეგობრებს და ჩემი „სივი" უკვე აქ იყო. მაგრამ სამინისტროდან არავინ მირეკავდა. ბოლოს 09-ით გავიგე სამინისტროს ნომერი, დავრეკე და მინისტრის თანაშემწეს ვუთხარი, რომ ჩემს „სივზე" მობილური ტელეფონის ნომერი არ იყო მიწერილი და ყოველი შემთხვევისთვის, თუ სურვილი ჰქონდათ, დავუტოვებდი. ამის შემდეგ მართლაც დამირეკეს სამინისტროდან და ასე აღმოვჩნდი ამ თანამდებობაზე. მე გაცნობიერებული მაქვს, რა დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია ამ მნიშვნელოვან თანამდებობაზე. მიწევს კურირება ისეთ თემებზე, რაც ამ ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამაში ძალიან მეხმარება ის გამოცდილება, რომელიც ევროკავშირში მივიღე. სათაო ოფისში ძალიან ხშირად იმართებოდა მოლაპარაკებები მინისტრების დონეზე, რაშიც მეც ვიღებდი მონაწილეობას. იქ მენეჯმენტის ისეთი სკოლა გავიარე, არ ვიცი, ახლა რას ვერ უნდა გავართვა თავი.

**– როგორ დაიმკვიდრეთ ადგილი ბელგიაში, გყავდათ იქ ვინმე, ვინც გეხმარებოდათ?**

– თავიდან ძალიან მიჭირდა, რთული იყო ცხოვრება მარტო ორ ბავშვთან ერთად, მაშინ ჩემი შვილები – მარეხი და სანდრო პატარები იყვნენ. მარტოს მიწევდა მათი გაზრდაც და იმ ყველაფრის გაძღოლაც, რაც საქმეებთან იყო დაკავშირებული. რთული ცხოვრება მქონდა, რომ არა გარშემო მყოფთა თანადგომა და დახმარება, არ ვიცი, როგორ გავუძლებდი იმ სირთულეებს. ხან სად ვცხოვრობდით, ხან – სად, იმ დროს ბელგიაში ქართველების სათვისტომო პატარა იყო, საელჩოც კი მაშინ დაარსდა. იქ ცხოვრობდნენ სალომე ზურაბიშვილი და ჯანრი კაშია. ისინი ისე მედგნენ მხარში, როგორც ძალიან ახლობელი ადამიანები. ქართველი მხატვრების პირველი დიდი გამოფენა სალომესთან და ჯანრისთან ერთად გავაკეთე. ევროპული ცხოვრების წესი არ აღმოჩნდა ჩემთვის მძიმე, სიმართლე გითხრათ, მე იქ მაინც ლაღად ვგრძნობდი თავს. ეს ქართველების თვისებაა, ჩემი აზრით. ძალიან მედგა გვერდში მამაჩემი, მისი სიყვარული და მზრუნველობა ბევრ რამეს მატანინებდა. ყოველთვის „მშველიდა" მისი სატელეფონო ზარი, სიტყვები: შენ ხომ ყველაფერი შეგიძლია, შენ ხომ მაგარი ხარ, რაც არ უნდა მძიმე სიტუაციაში ვყოფილიყავი, ძალას მაინც ვპოულობდი. მამა ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი იყო სიცოცხლის ბოლო წუთამდე.

## შვილებმა მომწერეს: გადადექიო

**– ბელგიაში თქვენი პირადი ცხოვრება როგორ აეწყო?**

– იქ დავქორწინდი მამაკაცზე, რომელიც ნახევრად იტალიელი იყო, ნახევრად ბელგიელი. მუშაობდა როგორც პრესატაშე და მისგან ამ მიმართულებით ბევრი რამ ვისწავლე. ის ძალიან საინტერესო ადამიანი იყო და მასთან ერთად საინტერესო წლები გავატარე. ჩვენ ერთად ვიცხოვრეთ ცხრა წელიწადი და მერე დავშორდით ერთმანეთს. სამნი წავედით – მე და ჩემი შვილები თბილისიდან და სამნი დავბრუნდით. თუმცა, ჩემი გოგონა ცოტა ადრე წამოვიდა ბელგიიდან, მთხოვა: უნივერსიტეტში თბილისში ჩავაბარებო და მეც არ წავსულვარ წინააღმდეგი. თბილისში რომ იყო იქით ითხოვდა ჩამოსვლას, აქ გავზარმაცდი და მანდ ჩამოვალო მეტყოდა ხოლმე, მაგრამ როგორც კი ბელგიაში გაუგრძელდებოდა ყოფნა, თბილისისკენ მოუწევდა გული. ბიჭმა არ მიმატოვა და ბოლომდე ჩემთან დარჩა.

**–18-წლიანი „განშორების" შემდეგ ქართულ რეალობაში როგორ დამკვიდრდით?**

– ჩვეულებრივ, მე მაინცდამაინც არ დავშორებულვარ აქაურობას, წელიწადში ორჯერ მაინც მიწევდა თბილისში საქმეებზე ჩამოსვლა. მოვდიოდი მშობლებთან, რომლებიც აქ დავტოვე. თბილისური ცხოვრების წესი ჩემთვის ჩვეულებრივი რამ იყო. ერთადერთი, რაც აქ ჩამოსულს მაკლია, ჩემი ძველი რეჟიმია რომლის წყალობითაც ძალიან ბევრ ქვეყანაში მიწევდა მოგზაურობა. ეს ეტყობა, პატარაობიდან დამებედა. მოსკოვში ვარ დაბადებული, დედა მყავს რუსი. რამდენიმე თვის ვიყავი, თბილისში რომ ჩამომიყვანეს პირველად. ასე რომ, ძალიან პატარამ დავიწყე მოგზაურობა *(იცინის).* ნამყოფი ვარ 40-მდე ქვეყანაში, ვმუშაობდი ალჟირში, ტუნისში, ისრაელში, პალესტინაში. აღმოსავლური ეგზოტიკა ძალიან მომწონს, თავადაც ბევრჯერ ვეზიარე. მგონი, ისეთი ქვეყანა არ არის, სადაც მეგობარი, ან მეგობრის მეგობარი არ მყავდეს. ამ მხრივ ძალიან მწყალობს ბედი, უკომპასოდ რომ წავიდე, უამრავ ქვეყანას შემოვივლი.

**– აქ თქვენი ცხოვრების რეჟიმი როგორია?**

– ოფიციალური, ამ ეტაპზე, საქმიანი შეხვედრების გარდა, ვერაფერს ვახერხებ. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ დაჩაგრულად ვგრძნობ თავს და რამე განსაკუთრებულად მაკლია. უფრო მეტი თავისუფალი დრო რომ მქონდეს, ჩემი შვილებისთვის, ცუდი ნამდვილად არ იქნებოდა. ამას წინათ მომწერეს: გადადექი, გვენატრებიო *(იცინის).* სიამოვნებით წავიდოდი გუდაურში რამდენიმე დღით და სრიალით ვისიამოვნებდი, მაგრამ არ გამომდის. წლების წინ ძალიან ხშირად დავდიოდი მთაში, ალპინიზმში მეგობრებმა ჩამითრიეს. თუმცა, გადამწყვეტი მაინც პიონერთა

(გაგრძელება მე-16 გვერდზე)

**წლების წინ „მაკდონალდსის" პროდუქტის დაგემოვნება ჩვენთვის ძალიან უცხო და საოცნებო გარემოსთან ზიარებას ნიშნავდა. გასული საუკუნიდან, უკვე პოსტ-საბჭოთა საქართველოში, ის ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა და საოცარი სისწრაფით მოიპოვა პოპულარობა. გადის წლები და ჩვენი საყვარელი ადგილი არ კარგავს აქტუალობას, არ ეცემა მისი ხარისხი და არ ნელდება იმ სიხარულის განცდა, რომელიც ბავშვებს „მაკდონალდსთან" მიახლოებისას ეუფლებათ. გულწრფელად გეტყვით, რომ საკვებთან ერთად მენატრება ხოლმე „მაკდონალდსის" მომსახურე პერსონალის მუდამ მოღიმარი სახეები და ფრაზა – „კვლავ გვეწვიეთ"...**

**საქართველოს „მაკდონალდსის" ქსელმა ევროპის მასშტაბით მიიღო საუკეთესო შეფასება და სპეციალური პრიზი უკვე იკავებს რუსთაველის „მაკდონალდსში" საპატიო ადგილს. ჯილდო 2012 წლის საუკეთესო მაჩვენებლებისთვის მათ ამ დღეებში გადაეცათ. „მაკდონალდსი" საქართველოს" გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა თენგიზ კაპანაძემ, გაგვანდო ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ხდება აღნიშნული პრიზით დაჯილდოება, რასაც, რა თქმა უნდა, ბუნებრივად მოჰყვა საუბარი სხვა უამრავ „გემრიელ" თემაზე.**

# საქართველოს „მაკდონალდსი" მთელ ევროპაში საუკეთესოა

**თენგიზ კაპანაძე:** ყოველწლიურად ხდება სხვადასხვა ქვეყანაში არსებული „მაკდონალდსის" რესტორნების მონიტორინგი, ბაზრის ანალიზი და ასე შემდეგ. ევროპის ბაზარზე, სადაც გაერთიანებულია უამრავი ქვეყანა, დაწყებული ინგლისით დამთავრებული ბელორუსით, მოხდა რესტორნების ქსელების შესწავლა ოცდათორმეტი სხვადასხვა კრიტერიუმით, როგორებიცაა: ხარისხი, ფინანსური კოეფიციენტები, საიდუმლო მომხმარებლის ანალიზი და ასე შემდეგ. სხვადასხვა ქვეყანამ სხვადასხვა კრიტერიუმით მიიღო მაღალი შეფასება, ჩვენს შემთხვევაში კი პრიზი მივიღეთ საერთო შედეგებისთვის, რომელიც ყველა კრიტერიუმს აერთიანებს. ასე დავარქვათ – „ვართ პირველი თანასწორებს შორის".

**– რას ნიშნავს საიდუმლო მომხმარებელი?**

– გარდა უამრავი შეფასებისა, არსებობენ საიდუმლო მომხმარებლები, რომლებიც, წარმოდგენა არ გვაქვს როდის მოდიან რესტორნებში, რას უკვეთენ, ამოწმებენ. შემდეგ ისინი წერენ ანალიზს, რის მიხედვითაც იწერება ქულები. საიდუმლო შეფასების პროგრამა ხორციელდება „მაკდონალდსის" მიერ არჩეული საერთაშორისო კომპანიის მიერ, რომელიც იმავე სახის მონიტორინგს ატარებს ევროპის სხვა ქვეყნებში. სხვა შეფასების სისტემაში, გარდა მომხმარებლისა და ფინანსური ბრუნვისა, ყურადღება ექცევა თანამშრომელთა დენადობას. „მაკდონალდსის" პოლიტიკაა რაც შეიძლება ნაკლები თანამშრომელი წავიდეს ჩვენგან და მაქსიმალურად მოხდეს შიდა რესურსებით დაწინაურება. ჯერ ერთი, ეს ტრენინგებზე ფუჭად დახარჯული დრო და ფინანსებია. ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი მთელ ევროპაში მივიღეთ სწორედ როგორც სტაბილურმა დამსაქმებელმა. ამავდროულად, ვართ ყველაზე „ახალგაზრდა" დამსაქმებელი – ჩვენს რესტორნებში სტუდენტები მუშაობენ, მათ ხელს უწყობს მცოცავი გრაფიკი, რომელსაც თავად არგებენ ლექციების დროს. ერთი სიტყვით, უამრავი კრიტერიუმი წარმატებით გავიარეთ და მივიღეთ „წლის საუკეთესო სისტემის" პრიზი მთელ ევროპაში.



**– რას აძლევს ეს ჯილდო „მაკდონალდსი" საქართველოს"?**

– პირველ ყოვლისა, აღიარებას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენზე კარგი სისტემა დღესდღეობით არ არის.

**– როგორ ფიქრობთ, რა იყო ის მთავარი, რითაც ამ შედეგს მიაღწიეთ?**

– უპირველესად, ეს არის მომხმარებლის ნდობა. ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში მომხმარებელი მიხვდა მთავარს, რომ ეს არის სისტემა, რომელიც ყოველთვის გთავაზობს ხარისხს. იყო ეტაპი, როდესაც საუბრობდნენ მხოლოდ იმაზე, რომ ეს არის ძვირი; შემდეგ – რომ ეს არ არის ქართული... რაღაც პერიოდში ცნობიერებაში ჩაჯდა, რომ „მაკდონალდსს" თავისი ადგილი აქვს. თავი ქართული რესტორნის კონკურენტებად ნამდვილად არ მიგვაჩნია. მეორე – ეს არის ხარისხი. თუ ხართ ნამყოფი სხვა ქვეყნების „მაკდონალდსში", დამეთანხმებით, რომ ხარისხი ჩვენთან გაცილებით უკეთესია.

**– რამდენიმე ქვეყანაში იმდენად არ მომეწონა „მაკდონალდსის" საკვები, რომ, ვიფიქრე, ჩვენთან ქართულ გემოს ხომ არ არის მორგებული ან აქაური პროდუქციით ხომ არ კეთდება-მეთქი.**

– არა, რადგან, მომარაგება ერთიანი სისტემიდან ხდება. თქვენ დამოკიდებულებაზე მოქმედებს გარემო, სისუფთავე, თანამშრომლები... ხარისხი სისტემატურად არის კრიტიკის ობიექტი, მაგრამ, რომ იცოდეთ, როგორ მოწმდება თითოეული პროდუქტი, მიხვდებით, რომ გარკვეული ჭორები სრულიად უსაფუძვლოდ არის აგორებული. „მაკდონალდსი" – ეს არის საერთაშორისო სტანდარტების უმაღლესი ხარისხის სისტემა. სწორედ იმ სტანდარტებით ხდება პროდუქციის მოწოდება, ტრანსპორტირება, დასაწყობება, რესტორნებში ოპერირება და ადგილზე დამზადება, როგორც ეს ხდება ამერიკაში, კანადაში, ინგლისში და სხვა ქვეყნებში. სწორედ ამ სტანდარტების გამო ვერ ვიყენებთ მოწოდებისთვის ადგილობრივ ბაზარს – „მაკდონალდსის" მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. „მაკდონალდსს" აქვს სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა, ნახო ხორცი, რომელიც ამა თუ იმ საკვებში რა ეტაპებს გადის. გაყიდულ პროდუქციას ყუთზე აქვს თავისი ნომერი, რომლის „მაკდონალდსის" სისტემაში შეყვანით ჩვენ შეგვიძლია, ვნახოთ იმ ხორცის წარმომავლობა, რომელ ფერმაში იყო – ძროხა, რა საკვებს იღებდა, რა პირობებში იყო, ხმაურში, სისუფთავეში თუ სხვა, რა ასაკში დაიკლა და ასე შემდეგ...



**– საქართველოში საიდან შემოდის ხორცი?**

– გერმანიიდან, ყველა სტანდარტის დაცვით. თან, „მაკდონალდსი" იყენებს ყველაზე ძვირად ღირებული 100-პროცენტიანი საქონლის ხორცის ძვირად ღირებულ მკერდის ნაწილს ყოველგვარი დანამატის გარეშე. იგივე მინდა ვთქვა სხვა პროდუქტზე, მაგალითად, ფრის შეწვაზე. კარტოფილის შეწვა ხდება საერთაშორისოდ აღიარებული წვის სტანდარტით, 100-პროცენტიანი მცენარეული, უმაღლესი ხარისხის ზეთით, რომელიც ლაკმუსის ქაღალდით მოწმდება. თევზი, რომელსაც მოვიხმართ, არის ალასკის საირა, საუკეთესო ხარისხის თევზი. მარტივად რომ გითხრათ, სანამ თქვენ ხელში მოხვდება, მაგალითად, „ბიგ მაკი" ის 98 სხვადასხვა სახის შემოწმებას გადის.

**– ხარისხზე განსაკუთრებით დედები ნერვიულობენ, რადგან, „მაკდონალდსი" ბავშვების საყვარელი ადგილია.**

– ბავშვების სიყვარულის გამო ჩვენ კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობით ვუდგებით ყველა საქმეს. იგივე „ჰეფიმილში" ჩვენ მრავალფეროვან არჩევანს ვთავაზობთ მშობლებს, მაგალითად, ფრეში, ქათმის ნაგეთსი, ვაშლი, იოგურტი და სხვა. მთავარი მარტო ის არ არის, რას ჭამ, არამედ, როგორ ჭამ, რას რასთან მიირთმევ და რა დოზებით. მთავარია, კვების კულტურა გვქონდეს, თანაბარი რაოდენობით მიიღოთ ხორცი, ცილები, ბოსტნეული, ხილი და სხვა. რესტორნების ერთადერთი ქსელი ვართ, ვინც მომხმარებელს აძლევს ფურცელს, სადაც წერია ყველა პროდუქტის კალორიულობა და არის რჩევები, თუ როგორ შეუხამოს ერთმანეთს სხვადასხვა საკვები. ჩვენს ვებ-გვერდზე კი არის სპეციალური პროგრამა, სადაც თქვენი წონისა და სიმაღლის გათვალისწინებით გითვლით კალორიების მიღების დღიურ ნორმას. ყველაფერზე, რაც თქვენ გაწუხებთ, ჩვენ ნაფიქრი და ნამუშევარი გვაქვს. ეს არის აბსოლუტურად ტრანსპარანტული სისტემა, აქ ყველაფერი გამჭვირვალეა. ნებისმიერ მსურველს, ნებისმიერ დროს, შეუძლია, ისარგებლოს ღია კარის დღეებით, შევიდეს სამზარეულოში და თავად ნახოს, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესები. ძალიან ხშირად ყოფილა, რომ თავად შეგვითავაზებია დაბადების დღეზე მოსული მშობლებისთვის ჩამოსულიყვნენ და დაეთვალიერებინათ სამზარეულო, დარბაზიდან შეგვიყვანია ხალხი. ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი ჯობიაო, ხომ გაგიგიათ და, თქვენც ნახეთ, გასინჯეთ და ისიამოვნეთ.

**სალომე გველესიანი**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, მაქვს თუ არა საქართველოს მოქალაქეს უფლება, მოვითხოვო და გავეცნო სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა ქონებრივ დეკლარაციებს?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს, მიიღოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ასლი და გაეცნოს მას, გარდა დეკლარაციაში ასახული პირადი ნომრისა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართისა, ტელეფონის ნომრისა და დეკლარაციის საიდუმლო გრაფისა. უფრო მეტიც, არ შეიძლება, დაწესდეს ან შეიქმნას რაიმე დაბრკოლება დეკლარაციის ასლის მისაღებად.

**კითხვა: მაინტერესებს, რამდენად გამართლებულია და კანონი უკრძალავს თუ არა პირს, იმსახუროს იმ სახელმწიფო სტრუქტურაში, სადაც უმაღლესი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა უჭირავს მის ახლო ნათესავს?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ თანამდებობაზე საჯარო მოხელედ არ შეიძლება დაინიშნოს ამ პირის ახლო ნათესავი, კონკურსის წესით დანიშვნის გარდა.



**კითხვა: გთხოვთ განმიმარტოთ, ითვლება თუ არა რეზერვისტად წასული პირი სამხედრო მოსამსახურედ და ვრცელდება თუ არა მასზე სამხედრო მოსამსახურეებისთვის დაწესებული აკრძალვები?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სამხედრო მოსამსახურედ ითვლება კურსანტი-მსმენელი, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეული პირი, საკონტრაქტო, პროფესიული და კადრის სამხედრო მოსამსახურე, აგრეთვე, რეზერვისტი სამხედრო შეკრებაზე ყოფნისას. შესაბამისად, სამხედრო შეკრებაზე მყოფ რეზერვისტზე სრულად ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეებისთვის დაწესებული შეზღუდვები.

**კითხვა: მაინტერესებს, ზოგადად რა სახის ქმედება ითვლება ნარკოტიკული საშუალების გასაღებად და კონკრეტულად ნარკოტიკული ნივთიერების ჩუქება ითვლება თუ არა გასაღებად?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ნარკოტიკული საშუალების გასაღებაა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული ნივთიერების საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემა ანაზღაურების სანაცვლოდ ან უფასოდ, მიუხედავად გადაცემის მიზნისა; შესაბამისად, ნარკოტიკული ნივთიერების ჩუქება ჩაითვლება გასაღებად.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა და რა სახის ქმედებები ითვლება ოჯახში ძალადობად და დაწესებულია თუ არა ამგვარი ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ოჯახში ძალადობად ითვლება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა. აღნიშნული ისჯება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ვადით 80-დან 150 საათამდე, ხოლო, თუ იგივე ქმედება ჩადენილია წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ; არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ; ორი ან მეტი პირის მიმართ და პირთა ჯგუფის მიერ ან არაერთგზის – ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით 100-დან 200 საათამდე, თავისუფლების შეზღუდვით, ვადით 1 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით 1 წლამდე.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა სახის ქმედება ითვლება ნარკოტიკების უკანონო მოხმარებად და რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ნარკოტიკის მოხმარება კანონიერად?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, ზოგადად, კანონიერად მოხმარება ნიშნავს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის ექიმის დანიშნულებით მოხმარებას, ხოლო, უკანონო მოხმარებად ჩაითვლება სიებში შეტანილი, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება. შესაბამისად, თუ პირი ნარკოტიკულ საშუალებას მოიხმარს ექიმის დანიშნულებით, ამგვარი ქმედება კანონიერია, ხოლო ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკის მოხმარება უკანონო ქმედებას წარმოადგენს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ზოგადად რას ნიშნავს კანონში მითითებული ნარკოტიკული საშუალება და რა სახის ნივთიერებები ითვლება ნარკოტიკულ საშუალებებად?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ნარკოტიკულ საშუალებად ითვლება ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც, გაეროს შესაბამისი კონვენციების საფუძველზე, შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ საშუალებათა სიაში.

**კითხვა: მაინტერესებს, რა არის ზოგადად შეგებებული სარჩელი, რა შემთხვევებში აღიძვრება ის და სად შემიძლია შეგებებული სარჩელის ფორმის ნახვა?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ მოპასუხეს უფლება აქვს, მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისთვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე, აღძრას მოსარჩელის მიმართ სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად, რასაც შეგებებული სარჩელი ეწოდება. შეგებებული სარჩელისთვის ცალკე ფორმა არ არსებობს. შეგებებული სარჩელი არის იგივე სარჩელი და გამოიყენება სარჩელის ფორმა.

# რა რეკორდი დაამყარა კულტურის მინისტრის მოადგილემ კავკასიონის მთებში და რაში ჩაითრიეს ის

(მეთოთხმეტე გვერდიდან)

სასახლის წრე იყო, საიდანაც დაიწყო ჩემი გატაცება ალპინიზმით. იქაც მამაჩემმა მიკრა თავი. ისეთი აქტიური კაცი იყო, ყველგან ჩემი ყოფნა უნდოდა. სიმაღლის მიხედვით ჩემი „რეკორდი" მყინვარწვერია. თვრამეტ მწვერვალზე ვარ ასული, მათ შორის – მყინვარწვერზეც კი. სვანეთში უფრო რთულ მწვერვალებზეც ვარ ნამყოფი, ზოგიერთი 4 000 მეტრამდე იყო – ტექნიკურად სვანეთის მწვერვალები ძალიან რთულია. ზვავშიც მოვყოლივარ, მთიდანაც მოვწყდი, დავიმტვერი კიდეც. მოკლედ, ყველაფერი გადამხდენია, რაც ალპინისტის ცხოვრებას ახლავს. მერე ერთხანს ჩამოვშორდი მთას. ბელგიაში ცხოვრების დროს კი, ცოტა თუმცა მოგვიანებით, რამდენიმე მეგობარი ჩამოვიყვანე საქართველოში და ჩვენს მწვერვალებზე ავიყვანე. მათ შორის იყო ჩემი იტალიელი მეგობარი ქალი, რომელიც ასაკშია.

**– ახლა რაში იხარჯება თქვენი სპორტული აზარტი?**

– ძირითადად საქმეში. ჩემი ყველაზე დიდი ჰობი მაინც ძველი თბილისია. ვგიჟდები, ისე მიყვარს. ძალიან მაინტერესებს დიზაინიც, სივრცის გაფორმება. არ ვარ გულგრილი არქიტექტურის მიმართ. მე თვითონ გავაკეთე ჩემი სახლი ბრიუსელში, სადაც ულამაზესი ბაღი გვქონდა. იმ ბაღში ისე ხშირად და ისეთი სიამოვნებით ვმუშაობდი, დაქირავებული მებაღე ვეგონე ყველას ***(იცინის).*** ეს სახლი ჩემი მეუღლის იყო და მას დარჩა, თუმცა ბელგიიდან წამოსვლამდე მეც შევიძინე პატარა ბინა. ამ ეტაპზე იქ ჩემი მეგობარი ცხოვრობს. ისე მაქვს ბინა მოწყობილი, როგორიც უნდა ყოფილიყო ჩემი სივრცე – კედლები ნახატებით მაქვს გადაჭედილი. ნახატების კარგი კოლექცია მაქვს. თბილისში მეგობრის ბინაში ვცხოვრობ. ეს იყო ჩემი დროებითი არჩევანი. მეგობრის სახლს შეფარებული ჩემს არქიტექტურულ გატაცებას გასაქანს ვერ მივცემ. ამას მომავალში საკუთარ ბინაში შევუდგები.

**– ეს სამუშაო კაბინეტი თქვენი მოწყობილია?**

– ეს ნახატი მოვიტანე, დროებით ვთხოვე ჩემს მეგობარს ვახო ბულაძეს, უფრო სწორად ცოტა ხნით „წავართვი" ***(იცინის).*** ისეთი ნახატია, ვისაც რა უნდა იმას დაინახავს – ზოგი წყლის ვარდნას ხედავს, ზოგი სხვა ფიგურებს. მე დადებით ემოციასა და მუხტს ვხედავ, რაც ყველაზე მეტად მჭირდებოდა აქ.

**თამუნა სამადაშვილი**

# რატომ გახდა „ნატახტარის ლიმონათი" 10-თვიანი მუშაობის შედეგად მომხმარებლისთვის გაცილებით მიმზიდველი და კომფორტული

**კომპანია „ნატახტარმა" ჟურნალისტებისთვის „ნატახტარის ლიმონათის" ახალი ლოგოსა და შეფუთვის პრეზენტაცია გამართა, რომელსაც მომხმარებელი ქართულ ბაზარზე რამდენიმე დღეში იხილავს.**

**„ნატახტარის ლიმონათი" ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს და ყოველწლიურად ვითარდება. მაგალითად, 2012 წლის მონაცემებით, „ნატახტარის ლიმონათის" ექსპორტი, არც მეტი, არც ნაკლები, 33 პროცენტით გაიზარდა. მისი ზრდა არსებულ ბაზარზე პოზიციების გამყარებითა და ახალ ბაზარზე შესვლით არის განპირობებული. კომპანიის საექსპორტო მონაცემები წლიდან წლამდე იზრდება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ლიმონათის ექსპორტი სტაბილურად მზარდია. კვლევები ადასტურებს, რომ საექსპორტო ქვეყნებში, ისევე, როგორც საქართველოში, „ნატახტარის ლიმონათი" სუფრის განუყოფელი ნაწილი გახდა.**

**თორნიკე შენგელია** ***(კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის დირექტორი):*** მას შემდეგ, რაც 2006 წლის დასაწყისში „ნატახტარის ლიმონათი" გამოჩნდა ქართულ ბაზარზე, მისი დიზაინი დღემდე არ იყო შეცვლილი. ცვლილება საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ კომპანია განვითარებაზეა ორიენტირებული. ყველაფერი განპირობებულია ჩვენი მომხმარებლის მოთხოვნით. მომხმარებლის მოთხოვნა კი დიზაინის შეცვლა იყო, რის შემდეგაც ჩვენი პროდუქცია უფრო მიმზიდველი და კომფორტული გახდებოდა. ჩვენ ყველაფერი გავითვალისწინეთ და თითქმის 10-თვიანი მუშაობის შემდეგ შედეგი წარმოვადგინეთ. ჩვენი აზრით, ახალი ბოთლი საკმაოდ მოხერხებულია და, გარდა ამისა, უფრო მიმზიდველადაც გამოიყურება. შეიცვალა ლოგო. აღვნიშნავ იმასაც, რომ ბოთლი ექსკლუზიურია. დიზაინზე ევროპული დიზაინ-სააგენტო მუშაობდა. ზუსტ თანხას ვერ დავასახელებ, მაგრამ, რებრენდინგი საკმაოდ ძვირი დაჯდა. ბოთლის მწარმოებელი და დიზაინ-სააგენტო ერთად მუშაობდნენ. ეტიკეტის ცვლილებაც უცხოეთშია გაკეთებული. შესაბამისად, ამან ჩვენს წარმოებაში გარკვეული ინვესტიციის განხორციელება გამოიწვია. ჯამში საკმაოდ სოლიდური თანხა დაგროვდა. ვფიქრობ, გაყიდვები ისე გაიზრდება, ჩადებულ თანხას კომპანია მალე ამოიღებს. ჩვენი გაყიდვების 40 პროცენტი უკვე ექსპორტზე გადის. რეალიზაციაში ჩვენს ლიმონათს ახალი დიზაინით რამდენიმე დღეში გავუშვებთ, ხოლო ექსპორტზე – დაახლოებით თვე-ნახევარში. შეიცვალა მხოლოდ და მხოლოდ შეფუთვა, სითხე კი დარჩა იგივე – ყველასთვის საყვარელი სასმელი.



თორნიკე შენგელია
კომპანია „ნატახტარის"
მარკეტინგის დირექტორი

ჩვენს ლიმონათს გარკვეული ელჩის ფუნქციაც აკისრია მსოფლიოს უკვე 20 ქვეყანაში – ის არა მხოლოდ ჩვენს კომპანიას, არამედ, ჩვენს ქვეყანასაც წარადგენს. ჩვენი ლიმონათიდან გამომდინარე, მსოფლიოს 20 ქვეყანაში ხალხს წარმოდგენა აქვს ქართული პროდუქციის ხარისხზე.

**კვლევები ადასტურებს, რომ საექსპორტო ქვეყნებში, ისევე, როგორც საქართველოში, „ნატახტარის ლიმონათი" სუფრის განუყოფელი ნაწილი გახდა**



**ნინო სურმავა** ***(საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი):*** ძალიან ოპტიმისტური განწყობა გვაქვს. 10-თვიანი მუშაობის შემდეგ გაზაფხულს სიახლით შევხვდით. ძალიან დაძაბული რეჟიმი გვქონდა, რადგან, ბევრი რამ უნდა მოგვესწრო მოკლე დროში. განვიხილეთ არაერთი ალტერნატივა და, საბოლოო ჯამში, მომხმარებელმა შეარჩია ის ბოთლი, რომელიც წარმოდგენილი იქნება ბაზარზე. ფაქტობრივად, ეს ახალი სიტყვაა ქართული ლიმონათის ისტორიაში და მომხმარებლისგანაც დადებით პასუხს ველით. ახალია ბოთლი, ეტიკეტი და ლოგო, ხოლო სითხე დარჩა იგივე.

**ნინო მიქელაძე** ***(კომპანია „ნატახტარის" ბრენდ-მენეჯერი):*** ვფიქრობ, ძალიან წარმატებული პროექტი იქნება. ჩვენ უამრავი ალტერნატივა მოვსინჯეთ, სანამ ეს პროდუქტი მივიღეთ. გავითვალისწინეთ ყველა ის დეტალი, რაც ჩვენს მომხმარებელს დააკმაყოფილებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი ბოთლი ისეთი დეტალებით გამოირჩევა, რომლის ფალსიფიკაციაც შეუძლებელია – ამ მხრივ მომხმარებელი დაცული იქნება.

**მარიკა ხიდურელი**



სერტიფიცირებულია

**პოლიტიკოს კახა კუკავას ოჯახური ინტერვიუსთვის შინ ვესტუმრეთ. ფოტოსესიის შემდეგ უმცროსმა შვილმა ნიკოლოზმა სასწრაფოდ დასტაცა ხელი ჩანთას და დაგვემალა. როგორც აღმოჩნდა, ცნობილი პოლიტიკოსის ოჯახში საჯარო გამოსვლები და მედია მაინცდამაინც არ უყვართ, კახას მეუღლე – თეა, ფრანგული ენის სპეციალისტია, ამჟამად დიასახლისი. ამბობს, რომ ხშირ შემთხვევაში მეუღლის „დიდ ჩრდილში" დარჩენას ამჯობინებს. კახას მთლიანად „საგარეო ასპარეზი" აბარია და სამეურნეო თუ ყოფითი საკითხებისთვის არავინ აწუხებს.**

# როგორ მიუნგრია პატრულს ცხვირ-პირი კახა კუკავამ და რაზე წუწუნებს მისი ცოლი

**– თეა, ბანალური, ტრივიალური, ალბათ, ხშირად დასმული შეკითხვაცაა, მაგრამ მაინც მინდა გკითხოთ, რთული არ არის პოლიტიკოსის ცოლობა, თან საქართველოში?**

– *(იცინის).* ნამდვილად ძალიან რთულია და თავიდან კიდევ უფრო რთული იყო. შეჩვევის მომენტიცაა, ძნელია ამასთან შეგუება... შემდეგ ორი ბავშვი გავაჩინე და ბუნებრივად, სხვა რაღაცეებზე გადავერთე. უკვე ამას იმდენ ყურადღებას აღარ ვაქცევ. საინტერესოც კია და თან კახას იმედი მაქვს, ვიცი, რომ კარგად იცის, რასაც აკეთებს, ამიტომ არ მეშინია. რა გითხრათ, ძირითადი სირთულე სახლში მისი არყოფნაა *(იცინის).* დროის დეფიციტი აქვს მუდმივი – საოჯახო საქმეები ჩემზე და მის მშობლებზე გადადის. მას ეს მხარე არიდებული აქვს. კი აქვს თავისებური ხუშტურები და ახირებები, მაგრამ დისკუსიის შედეგად მაინც ჩემს მხარეს გადმომყავს. დამყოლია... ბოლოს თმობს პოზიციებს. სანამ ცოლად მომიყვანდა, კახას თავისი საადვოკატო ფირმა ჰქონდა. რომ შევუღლდით, ახალდაწყებული ჰქონდა პოლიტიკური საქმიანობა და ნამდვილად არ მეგონა, თუ ამდენ სირთულესთან იქნებოდა დაკავშირებული. ცხოვრებაში ბევრი განსაცდელი გვქონდა ამის გამო. მარტო რომ ვიყო, ალბათ, უფრო გამიჭირდებოდა გადალახვა, მაგრამ კახას მშობლებთან ერთად ვცხოვრობთ და სიძნელეებსაც ერთად ვიზიარებთ.

**– განიცდით მეუღლეს რომ ხედავთ ეკრანზე?კრიტიკულ შენიშვნებს, რჩევებს აძლევთ?**

– განცდით ნაკლებად, მაგრამ ყოველთვის ვუყურებ მის გამოსვლას, მაინტერესებს, რას ამბობს. თუ ვერ მოვასწარი, არის თანამედროვე საშუალებები, ვახვევ და მაინც ვუყურებ ხოლმე. საკმაოდ მკაცრადაც ვაკრიტიკებ. თუ რამე არ მომეწონა, პირდაპირ ვეუბნები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზედმეტი მოსდის ვინმეს კრიტიკა, ან ვინმეს წაკბენს. მინდა, მაინც ლმობიერი იყოს სხვების მიმართ, ვცდილობ, ობიექტური ვიყო და უფრო მეტად უარყოფით მხარეზე გავამახვილო ყურადღება, ვიდრე დადებითზე. მე კახას ვუყურებ არა მარტო როგორც ცოლი, არამედ როგორც რიგითი ამომრჩეველიც *(იცინიან).* ზოგადად, ვფიქრობ, ძალიან მკაცრ კრიტიკას არ იმსახურებს, იცის თავისი საქმე.

**– ზედმეტად ემოციური არც ერთი არ ხართ, როგორც ვხედავ...**

– ნამდვილად არ ვარ ემოციური, შინაგანად შეიძლება ვღელავდე და განვიცდიდე, მაგრამ გარედან არასდროს არ ვიმჩნევ, ვცდილობ, არ ვაჩვენო სხვებს.

**– თქვით, სირთულეებთან იყო დაკავშირებული პოლიტიკაში ყოფნაო, კონკრეტულად რა სირთულეებზეა საუბარი?**

– აქციების პერიოდი მაქვს მხედველობაში. 26 მაისი საშინელი დღე იყო. გაიტაცეს კახა, სცემეს, დილამდე ვერაფრით გავიგეთ, სად იყო. ძალიან ვნერვიულობდით...

**კახა**: 26-ში, ღამე, ჩვენ აღმოვჩნდით კინოთეატრ „რუსთაველში," სადაც კარგად და „კვალიფიციურად" დაგვბეთქეს. მე საკმაოდ ხშირად ვუყურებ უცხოურ არხებს და „იუთუბიზე" ყველაფერი მინახავს, მაგრამ მსგავსი იქ არაფერი იყო მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის ისტორია საკმაოდ კარგად, თითქმის ყველაფერი ვიცი. დაახლოებით 200-300 კაცი ხელფეხშეკრული ეყარა და ამ ხალხზე ფეხებით გადადი-გადმოდიოდნენ უნიფორმიანი სპეცნაზელები, თან ლითონის „ბიტებით" სცემდნენ... სერიოზული დაზიანებები მიიღო ხალხმა. მინდოდა ამის რეპროდუქციის გაკეთება, მაგრამ თბილისში საკმაოდ ძვირი ჯდება, უცხოეთში ვაპირებთ გაკეთებას.

**თეა**: ვუყურებდით ტელევიზორში არეულობას. თან, წარამარა აცხადებდნენ, რომ კახა კუკავა გატაცებული იყო და არ იცოდნენ მისი ადგილსამყოფელი. ძალიან ვინერვიულეთ. გამთენიისას დაბრუნდა სახლში. კახა ასეთი არასოდეს მინახავს – გაფითრებული, ნაცემ-ნაბეგვი, მაგრამ მაგას ვინლა ჩიოდა, რადგან ცოცხალი დაბრუნდა *(იცინის).* არაერთხელ მითქვამს, პოლიტიკას თავი დაანებე-მეთქი. მერჩივნა, თავისი პროფესიით ემუშავა, ჩვენც უფრო მშვიდი ცხოვრება გვექნებოდა. მაგრამ, რომ ვუყურებ იმ ხალხს, ვისაც კახას იმედი აქვს... არ ვიცი, ალბათ ასეა საჭირო.

**– ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკოსების მეუღლეები ჩრდილში არჩევენ ყოფნას, ნაკლებაქტიურები არიან. თქვენ როგორ ხართ ამ მხრივ?**

– მეც ასე ვარ – ჩრდილში მირჩევნია ყოფნა, კახას დიდ ჩრდილში *(იცინიან).* არ მიყვარს, ჩემს ცხოვრებაში რომ იჭრებიან. პროფესიით ფრანგულის სპეციალისტი ვარ, საფრანგეთში ვსწავლობდი. აქ ვმუშაობდი ფრანგულის პედაგოგად, მაგრამ თავი დავანებე. მიმაჩნია, რომ ჩემს შვილებს უფრო ვჭირდები, ვიდრე გზაზე დავაყენებ და კალაპოტში ჩადგებიან. სხვათა შორის, კახა ამ მხრივაც ძალიან აქტიურობს, სულ მეუბნება, რამე ნახეო. მაქეზებს, რომ რამე ვიპოვო და სახლში არ ვიჯდე. არ აქვს ეგ პრობლემა.

**– რაზე კამათობენ კახა კუკავა და მისი მეუღლე?**

**კახა**: ისეთ სერიოზულზე არაფერზე. ერთხელ დავცხეთ სერიოზულად, მაგრად ვიჩხუბეთ და რაზე, იცით? დუში მიმაგრებული უნდა ყოფილიყო თუ ჩამოსაკიდებელი *(იცინის).* სხვა ისეთი სერიოზული არაფერი ყოფილა, ვუთმობთ ერთმანეთს.

**თეა**: ორსულად ვიყავი მაშინ და ალბათ გაღიზიანებული. ამისთვის ნამდვილი ტრაგედიაა, როცა მე საჭესთან ვჯდები. ძალიან არ უყვარს, წინააღმდეგია.

**– რატომ, კახა, ყველა ქართველი მამაკაცივით მიიჩნევთ, რომ ქალები ცუდი მძღოლები არიან?**

**კახა:** კი, ასეა. კარგი ქალი-მძღოლი არ მინახავს საერთოდ, არც პოლიტიკოსი, არც სხვა პროფესიის. ქალი ცუდი მძღოლია და კაცი მასწავლებელი კიდევ უარესი. მირჩევნია, სხვამ ასწავლოს. დიდი ხნის მძღოლი არც მე ვარ, 12 წელია, საჭესთან ვზივარ. გენდერული თანასწორობა საერთოდ არ არსებობს. მე არ ვგულისხმობ უფლებრივ თანასწორობას. არის საქმე, რაც ქალისთვის არ არის შექმნილი. მწარმოებლები თუ სპეციალურად ქალის ხასიათზე მორგებულ მანქანას გამოუშვებენ, სხვა მექანიზმით, მაშინ არ ვიცი. არ არის მანქანა ქალის საქმე, ისე როგორც შეშის ჩეხა, ან კაცისთვის სამზარეულოში ტრიალი. ზოგი ქალი ფეხბურთსაც თამაშობს და კრივზეც დადის. ცალკეულ შემთხვევაზე არ ვლაპარაკობ, საერთოდ ვამბობ. დაბნეულები არიან ქალები, ინსტინქტებში ვერ გადასდით მძღოლობა, ყოველთვის ვატყობ, საცობში რომელია ქალის მანქანა.

**თეა**: გვერდით რომ მიზის, ისე ნერვიულობს, ოფლი ჩამოსდის და მეც ხასიათი მიფუჭდება – მაგის ნერვები არ მაქვს. არადა, წესები საერთოდ არ იცის. მე პატიოსნად, ზედმიწევნით ვიცი წესები და არ ვარღვევ.

**– პატრულთან არ გქონიათ პრობლემა, კახა?**



**კახა: „გენდერული თანასწორობა საერთოდ არ არსებობს, მე არ ვგულისხმობ უფლებრივ თანასწორობას. არის საქმე, რაც ქალისთვის არ არის შექმნილი. მწარმოებლები თუ სპეციალურად ქალის ხასიათზე მორგებულ მანქანას გამოუშვებენ, სხვა მექანიზმით, მაშინ არ ვიცი"**

**კახა:** 2006 წლის მერე ზედამხედველობის ქვეშ ვიყავი, რამდენიმეჯერ ცხვირ-პირიც მივუნგრიე პატრულის თანამშრომლებს, წარამარა მაჩერებდნენ. თუ ქუდი მეხურა (ჰაიმორიტი მაწუხებს), ძირითადად, ვერ მცნობდნენ და ხანდახან სპეციალურად არ ვიხდიდი ქუდს, რომ არ მიცნონ-მეთქი. ერთხელ დამაკავეს, მანქანაც ჩამომართვეს, გამატელევიზორეს, მაგრამ ამან ჩემს ელექტორატზე დადებითად იმოქმედა *(იცინის).* უნდა იცოდეს პატრულმა, რომ არ შეიძლება, მისი ქვეყნის მოქალაქეს შენობითა და აგდებით მიმართოს. ინგლისურად რომ აწერია, არ ნიშნავს, რომ ევროპული პოლიციაა.

**– მთვრალი ალბათ არ ჯდებით საჭესთან.**

– როგორ არა, მთვრალიც დავმჯდარვარ.

**– სახლში რომელ საათზე ბრუნდებით, ოჯახისთვის დრო გაქვთ?**

– ძირითადად, გვიან. ძალიან, ვცდილობ, ბავშვებთან გავატარო დრო. დილით ნიკუშა მიმყავს ბაღში. მშობელთა კრებებზე არ დავდივარ, დრო არ მაქვს. ზეიმებს ვესწრები ხოლმე ხანდახან. საოჯახო მეურნეობა მე არ მეხება, ძირითადად, საგარეო საქმეები. აკადემიურ მოსწრებას არ ვკითხულობ სკოლაში, ეგ დედის, ბებოს და ბაბუს კომპეტენციაა. საბჭოთა ოჯახური იდილია არ გვაქვს.

**– მეუღლე როგორ და სად გაიცანით?**

– ახლობლის ნიშნობაზე ბათუმში. ჩემი მეუღლე ბათუმელია. მერე დიდხანს არ მინახავს, ერთი წელი საფრანგეთში სწავლობდა და მიწერ-მოწერა გვქონდა.

**თეა**: პირველივე დღიდან მესიჯებს მწერდა. ძალიან ყურადღებიანი იყო, დაკავებულობის მიუხედავად. ნეტავ, ახლა ქმარი იყოს ასეთი *(იცინიან).* ბათუმელი ვარ და თბილისში ბევრი რამ არ მქონდა ნანახი, დავყავდი ექსკურსიებზე, გეგმა ჰქონდა შედგენილი. ვიფიქრე, აჰა, ავშენდი, ამისთანა საინტერესო ადამიანს მივყვები-მეთქი. როგორც კი ცოლად მომიყვანა, ინტერესი გაუნელდა... *(იცინის).* არა, ახლაც უნდა ძალიან, უბრალოდ არ სცალია.

**– მერე არ წუწუნებთ ხოლმე?**

**კახა**: კი, საკმაოდ წუწუნაა, ყველაფერზე წუწუნებს. ეგ ქალების თვისებაა. სხვათა შორის, ნინიკო დედამისს ჰგავს, ისიც წუწუნაა. ოჯახში ბევრი ნიუანსია, რასაც ვერ ვაქცევ ყურადღებას, ძირითადად, ამის გამო ბუზღუნებს. ნათესავების ნახვას საერთოდ ვერ ვახერხებთ, თუ ძალიან ახლობლები არ არიან.

**– როგორც ცნობილ ნათესავს, დახმარებას არ გთხოვენ ხოლმე?**

– ეგეც ოპოზიციაში ყოფნის ერთ-ერთი

**(გაგრძელება 35-ე გვერდზე)**

**არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ოპოზიციაში ყოფნის პერიოდშიც და ახლაც, როცა უმრავლესობამ ფართოდ გაალო მათთვის პარლამენტის კარი, არ დაღლილან ოპონენტების ქილიკით. მეტიც, მწვავე გამოსვლებითა და მწარე-მწარე ფრაზებით დაგვამახსოვრეს თავი. ერთ-ერთი მათგანი კობა დავითაშვილია, რომელსაც ამის გამო ხან დურბინდი და ტყვიის რეზინები ხვდება თავში, ხან თვალჩალურჯებულს ვხედავთ, ხანაც ჭიქის ნამსხვრევები დაფრინავს მის ცხვირწინ. მოკლედ, ჩვენი რუბრიკა „ცოლის თვალით" „ქარიშხალი ოლეგას" მეორე ნახევარს – ინგა ბიწაძეს შეხვდა, რომელიც ცოლის პოზიციიდან ახასიათებს ცნობილ პოლიტიკოსს.**

# როგორ დააბრუნა ბიძინა ივანიშვილმა კობა დავითაშვილი ცოლთან

**– ინგა, როგორ აფასებთ ქმრის საჯარო გამოსვლებს?**

– ყველა საქმეს გვერდზე გადავდებ და ვუყურებ კობას გამოსვლებს. ვცდილობ, ობიექტური ვიყო. არ მიყვარს რაღაც-რაღაცეებზე თვალების დახუჭვა.

**– ეს კარგია, მაგრამ, ქართველ კაცებს, როგორც წესი, არ უყვართ, ქალი რომ რჩევებს იძლევა, თავის აზრს გამოთქვამს. კობა როგორ რეაგირებს თქვენს სიტყვებზე?**

– თუ რაღაც არ მომეწონა, აუცილებლად ვეტყვი, თავს არ შევიკავებ. თვითონაც მეკითხება – რა მომეწონა, რა არ მომეწონა. მტკივნეულად განიცდის ყველანაირ შენიშვნას, არ მოსწონს კრიტიკა, მაგრამ, რომ არ ვუთხრა, ასეც არ შემიძლია.

**– სერგო რატიანთან პირდაპირ ეთერში ჩხუბმა როგორ იმოქმედა თქვენზე? ალბათ, გულში ფიქრობდით: მოხვალ სახლში, კობა ბატონო...**

– თავიდანვე იგრძნობოდა დაძაბულობა, ისე ნერვიულად ათამაშებდა სერგო რატიანი იმ ჭიქას, მივხვდი, აუცილებლად ისროდა და კობას ტელეფონით მივწერე, ძალიან გთხოვ, თავი შეიკავე-მეთქი. რა თქმა უნდა, ჩემი ესემესი არ წაიკითხა. იმედი მქონდა, სარეკლამო შესვენებაზე მაინც წაიკითხავდა, მაგრამ, არა. საქმე ისაა, რომ რამდენიმე წუთით დავაპაუზე და ბავშვებს მივაქციე ყურადღება – პატარა რომ მყავს, სულ კუდში დევნა უნდა, რამე არ გააფუჭოს და, ეს დაპაუზებული გამომეპარა. ატყდა მობილურზე და სახლის ტელეფონზე რეკვა: უყურე, შენმა ქმარმა და რატიანმა პირდაპირ ეთერში როგორ დასცხეს ერთმანეთსო?! ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდნენ. მერე, რომ ვნახე რასაკვირველია, ნერვები მომეშალა, უემოციოდ ვერ ვუყურე. მას რომ ურტყამენ, მეც მხვდება. ერთხელ ასე დებატებში იჯდა ერთ-ერთ არხზე, მოვიდა სახლში და მეც ისე, გულუბრყვილოდ ვუთხარი რაღაც. ისეთი რეაგირება ჰქონდა, გადაირია – ისინი არ მეყოფოდნენ, ახლა კიდევ შენ დამემატე მესამეო. მეუბნება – ჩემი მოუსყიდველი მართლმსაჯული ხარ, ვერაფრით ვერ მოგისყიდეო.

**– თქვენ რატომ ნერვიულობთ, ხომ იცით, კობა ის კაცი არ არის, ვინმეს თავი დააჩაგვრინოს. მშვენივრად იქნევდა ხელებს.**

– ეს ყოველთვის ტელევიზიით ხდება და ისეთი იმიჯი აქვს, თითქოს კონფლიქტური ადამიანია, მაგრამ, სულაც არ არის ასეთი. თუმცა, პრინციპულია, არაფრით დაიხევს უკან. აი, ამასთან დაკავშირებით გიამბობთ ახლა: 15 წელი ვმუშაობდი ჯანდაცვის კომიტეტში და მაგის გამო წამოვედი სამსახურიდან, იმიტომ, რომ კობა ჩვენს კომიტეტში აირჩიეს თავმჯდომარის მოადგილედ. მოვიდა და მეუბნება – უარი ვთქვი ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეობაზე, ხმალაძესთან ვიქნები კომიტეტში და ეს შენ გამო გავაკეთეო. ძალიან მესიამოვნა – ვიფიქრე, ღმერთო, რა ბედნიერებაა, ცხოვრებაში პირველად ამ კაცმა ჩემთვის რაღაც დათმო-მეთქი. მერე აღმოჩნდა, რომ მაინც გადაწყდა მისი მოადგილეობა. ასე, რომ, ტყუილად მიხაროდა.

**– წელან თქვით, რაც ეთერში მოხდა ამას წინდაწინ ვგრძნობდიო. ყოველთვის გაქვთ ასეთი განცდა?**

– 7 ნოემბერს მქონდა წინათგრძნობა, კინაღამ მოვკვდი იმ დღეს, მთელი გულ-მუცელი მეწვოდა, ლუკმა ვერ ჩავიდე პირში.

**– არ ნანობთ, რომ ქმრის გამო რაღაც-რაღაცეებზე უარი თქვით?**

– არ ვნანობ, იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეიძლებოდა. სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდით, ვინერვიულე, მაგრამ, მერე რომ დავფიქრდი, მივხვდი, რომ ძნელი იქნებოდა ქუთაისში მუშაობა. ბავშვებიც არ წამოვიდოდნენ, სკოლას და გარემოს არ შეიცვლიდნენ. ჩემთვის ისედაც ძნელია კობას იქ ყოფნა, ვნერვიულობ ამხელა გზაზე რომ მიდი-მოდის, ჩანთა მუდმივად ამოულაგებელი უდევს საწოლთან. რეგლამენტით შეზღუდული აქვთ კომიტეტების სხდომები, ხუთ დღეში უნდა მოასწრონ, არაადამიანურ პირობებში მუშაობენ – უჰაერობაში. კონდიციონერები კი არის, მაგრამ, ფანჯრები არ არის.



ხანდახან ვეუბნები: რა მოხდება, მომატყუე, ნუ მანერვიულებ-მეთქი, მაგრამ, არ შეუძლია

**– როცა ოჯახში აქტიური პოლიტიკოსი გყავს, ძნელია, იცხოვრო მშვიდად და ეს, თავისთავად, დაძაბულ ატმოსფეროს ქმნის. ორივე იურისტები ხართ. არ გიცდიათ, ქმარი ნელ-ნელა ჩამოგეშორებინათ პოლიტიკისთვის?**

**ძალიან მესიამოვნა – ღმერთო, რა ბედნიერებაა, ცხოვრებაში პირველად ამ კაცმა ჩემთვის რაღაც დათმო-მეთქი. მერე აღმოჩნდა, რომ მაინც გადაწყდა მისი მოადგილეობა. ასე რომ, ტყუილად მიხაროდა**

– არ ვიცი, ცუდია ეს თუ კარგი, მაგრამ, საერთოდ არ არის დამთმობი. ხომ შეიძლება, რაღაც მომენტში დათმო ადამიანმა, ყოველთვის არ იყო ბრძოლის წინა ხაზზე?! მაგრამ, არა, ბუნებით არის ასეთი, არ შეიცვლება და აზრიც არ აქვს ამაზე ლაპარაკს. ჩვენ არ გვიცხოვრია საქვეყნო პრობლემების გარეშე. ჩვენ არ ვართ ისეთი ცოლ-ქმარი, რომ მხოლოდ ჩვენთვის გვეცხოვრა; რომ, აი, ახლა კობა შემოვა, თავის პრობლემებს დატოვებს კარს იქით და ვიქნებით მშვიდად, გუგულებივით. ეს ცხრა წელიწადი კობა არის საშინელ დეპრესიაში.

**– გარეთ ვიცით, როგორიცაა. ახლა ის გვითხარით, შინ როგორია.**

– როგორიც გარეთ არის, ისეთია სახლშიც, არაფერი განსხვავება არაა. მოუწესრიგებელი არ არის, თავის ნივთებს უვლის. სახლში რომ შემოვა, გამოიცვლის ტანსაცმელს და ლამაზად, კოხტად გადაკიდებს; არსად არაფერი არ რჩება – როცა ჩამოდის, ყველაფერი უკლებლივ ჩამოაქვს, წესრიგი უყვარს. მართალია, თვითონ ამას არ აკეთებს, მისი მოწესრიგება მე მევალება, მაგრამ, უყვარს წესრიგი. სახლში არაფერში არ ერევა, ბავშვებთან როგორც თანატოლი, ისეა. არანაირ შენიშვნას არ ეუბნება, თავისუფლებას აძლევს, ყველგან უშვებს, ყველაფერს უსრულებს. თუ დასვენება უნდა, თავის ყურსასმენებს გაიკეთებს, მუსიკას უსმენს ან წიგნებს კითხულობს და ხმაურიც აღარ ესმის. ბავშვებმაც იციან, რომ მამა ისვენებს და არავინ გააღვიძებს. სახლში, ერთადერთი, შეიძლება, იმაზე გაბრაზდეს თუ მის კომპიუტერთან ვინმე დაჯდა. ტექნიკას რაც შეეხება, ვერ იტანს, როცა რაღაც უფუჭდება, თუ პატარა ხარვეზი აქვს, სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს. ყველას აუწყობს, დაულაგებს თავ-თავის ადგილზე.

**– რომანტიკული თუ არის-მეთქი, მინდოდა, მეკითხა, მაგრამ...**

– თუ ქვეყანაში კარგად არის საქმე, მაშინ ძალიან რომანტიკულია. საჩუქარსაც მოგიტანს, ერთ-ორ თბილ სიტყვასაც გეტყვის, მაგრამ, ეს ძალიან იშვიათად ხდება. ვეხუმრები ხოლმე: ბიძინა გაახარა ღმერთმა, ქმარი დამიბრუნა, თორემ, ეგ რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, საერთოდ რა გვეშველებოდა-მეთქი. ამიტომ, მინდა, ბიძინას მადლობა გადავუხადო. მართლა ძალიან დეპრესიული იყო, ამის შემდეგ გამოვიდა მდგომარეობიდან, თორემ, არაფერი აღარ უხაროდა. 2007 წლის შემდეგ უფრო და უფრო დამძიმდა, ძალიან შეიცვალა, მერე მეხუთე ბავშვი შეგვეძინა – ანდრია და ბავშვის დაბადების სიხარულიც ვერ შევიგრძენით აგვისტოს ომის გამო, ჩემი შვილი თუ იყო, ვერც კი ვგრძნობდი, ისე ცუდად ვიყავი.

**– ფინანსურად რთული პერიოდები თუ გქონიათ?**

– კი, გვქონდა რთული პერიოდი. როდის, იცით? კობა რომ საკრებულოს წევრი იყო და აქციები იმართებოდა პარლამენტის წინ. გახსოვთ, ალბათ, მაშინ დასაჯეს, როგორც ოპოზიციონერი დეპუტატი, რამდენიმე თვე ხელფასი არ მისცეს და ეს ძალიან ძნელი იყო, მხოლოდ ჩემს ხელფასზე ვცხოვრობდით. მშივრები არ ვიყავით, თორემ, დანარჩენი ყველაფერი აკლდათ ბავშვებს.

**– ახლა, კობას რომ ჩაუსაფრდნენ სახლთან მოსაკლავად, იმაზე გადავიდეთ. გაარკვიეთ, ვინ იყო და, ბოლოს და ბოლოს, რა უნდოდა?**

– ის ბიჭი ერთი თვე უთვალთვალებდა, მაგრამ, იმ პერიოდში ისე მოხდა, რომ კობას მანქანა გაუფუჭდა – უკნიდან დაეჯახა ვიღაც და ერთი თვე იყო პროფილაქტიკაში. ამიტომ, ყოველთვის ვიღაცას მოჰყავდა და მიჰყავდა – მოკლედ, ვერ დაიმარტოხელა მკვლელმა. გამოძიებამ დაადგინა ყველაფერი. მის ნივთებში კობას სურათი და ბილაინის ნომრები იპოვეს. როგორ იყო იცით? მეზობლები რომ გაეკიდნენ, მაშინ დაუცვივდა ეზოში ნივთები და, აი, მაშინ დაჭრა მეზობლის ბიჭი. თავიდან მეზობლის ქალს აედევნა რამდენჯერმე – მანქანით დადის და ის ეგონა დეპუტატის ცოლი – აბა, ჩემზე რას იფიქრებდნენ; მერე დაიწყეს კობას დევნა, მაგრამ, კობა ვერ ხვდებოდა ამას. ის კაცი მეზობლებმა შეამჩნიეს; ერთი ამერიკაში მიდიოდა ბინას ყიდდა; მეორეს რაღაც პრობლემები ჰქონდა და ყველამ თავის თავზე გაიფიქრა – რატომ მითვალთვალებს, რა უნდაო. ეს ბიჭი იყო ჩრდილოკავკასიელი, მამასთან ერთად ცხოვრობდა ორჯონიკიძეში და დედა და და ჰყავდა რუსთავში. ვანო მერაბიშვილს წამოსცდა – სამწუხაროდ, ქილერმა თავისი საქმე ვერ შეასრულაო. ის კი არ თქვა – საბედნიეროდო, სამწუხაროდო. ფსიქოლოგიური მომენტია: რასაც ფიქრობს ადამიანი, იმას ამბობს. ამ ამბიდან კიდევ ორი დღე იყო ის ბიჭი საქართველოში, ტელეფონის ნომრები იცოდნენ, იმ მანქანის ნომრები, რომლითაც მოძრაობდა, მშობლები სად ცხოვრობდნენ და მაინც ვერ დაიჭირეს. სახლში ორჯერ დარეკა – კობა რომელ საათზე გადის სახლიდანო. ვინ ბრძანდებით, ასე ადრიანად რომ

(გაგრძელება 71-ე გვერდზე)

# რატომ არ არის მამაკაცი მართალი ქალთან და რატომ დგება ის დილემის წინაშე

**ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა უამრავ ნიუანსს მოიცავს და თითქოს ერთგვარ „თავდაუსხმელობის პაქტზეა“ დამყარებული. ამასთან, არ უნდა არსებობდეს ნახევრად ნათქვამი, ანუ, როცა რაღაც უთქმელი რჩება, ჩნდება ბზარი, რომელიც ნელ-ნელა ღრმავდება და იწყება კრიზისი. თუმცა, არსებობს ურთიერთობა, როცა ისეთი სულიერი თანხვედრაა, რომ სიტყვები საერთოდ არ არის საჭირო. ამბობენ, რომ მამაკაცებს გრძნობებზე ლაპარაკი არ შეუძლიათ და მათ ეს უნდა ვაპატიოთ. არავითარ შემთხვევაში! თუკი ეს ვითომ წვრილმანი შერჩებათ, მომავალში კიდევ უფრო მეტს დაათმობინებენ ქალებს.**

**პრინციპში, მამაკაცისთვისაც ბედნიერება უნდა იყოს ისეთ ადამიანთან შეხვედრა, რომელიც ბოლომდე მისიანი იქნება. მაგრამ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, რატომღაც, მაინც არ ჩქარობენ ხოლმე. ფსიქოლოგები ურჩევენ მამაკაცებს, დაზოგონ ქალი; არ შეუქმნან მას ილუზია და არ მიიჯაჭვონ, თუკი სერიოზული და შორსმიმავალი გეგმები არ გააჩნიათ. მაგრამ, თუ მამაკაცი დილემის წინაშე დგას – არც ეთმობა ქალი და ქორწინებაც ვერ გაუბედავს?! მაშინ, ქალს აუცილებლად ეტკინება გული. მოგვიანებით კი ეს გულისტკენა ორმხრივი იქნება.**



**ვასიკო** *(33 წლის):* იცით, როგორი სიყვარული მინდოდა? – ყველა უჯრედით რომ გიყვარს. ყველაფრით – გონებით, გულით, თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილებამდე. ქალებს, რატომღაც, ჰგონიათ, რომ ჩვენთვის სიყვარულში არაფერია განსაკუთრებული. ასე ნამდვილად არ არის. უბრალოდ, ბევრს არ ვლაპარაკობთ ამაზე და ისე ვიქცევით, რომ ეს არ შეგვეტყოს. გაუგებარია, რატომ, მაგრამ, ასეთია მამაკაცის ბუნება. ამით, უპირველესად, ჩვენვე ვზარალდებით. ძალიან ცუდია, რა თქმა უნდა, მაგრამ, გამართლება გვაქვს: ის კომპლექსები, რომლებიც ქალებთან ურთიერთობაში დილემის წინაშე დაგვაყენებს ხოლმე, ქალებმა გაგვიჩინეს.

**– ქალებს რატომ სდებთ ყოველთვის ყველაფერში ბრალს?**

– ბრალს არავის ვდებ, რომელი პროკურორი მე ვარ. მაგრამ, ხომ უნდა გავარკვიოთ, რატომ ვუშვებთ ამდენ შეცდომას ურთიერთობაში?! პირადად მე უამრავი გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი და, რომც ვინანო, მაინც აღარაფერი ეშველება ამ ამბავს. გულის გადასაყოლებლად გიყვებით და კიდევ იმისთვის, რომ გაიგო, მარტო ჩემი ბრალია, რაც მოხდა თუ გარემოებამაც შემიწყო ხელი. გარემომაც იქონია გავლენა იმაზე, რომ გადაწყვეტილების მიღება დავაგვიანე. არადა, შინაგანად მზად ვიყავი ამისთვის. სიტყვებით თქმა გამიჭირდა და ამან დამღუპა. 33 წლამდე ისე მივედი, ქალის მიმართ ასეთი გრძნობა არ მქონია. იმათაც ირონიულად ვუყურებდი, ვინც სიყვარულზე ბოდავდა. ბევრი ფიქრი მიყვარს ყველაფერზე, მძიმე ადამიანი ვარ: დიდხანს ვფიქრობ, ვაანალიზებ, ავწონ-დავწონი ხოლმე. წინასწარ ვვარაუდობ იმ რაღაცეებზე, რაც შეიძლება მოხდეს.

**– ანუ, წინდახედული ხართ?**

– არ ვიცი, წინდახედულებაა ეს თუ სხვა რამ, მაგრამ, ძალიან ხელის შემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა, როცა საქმე ჩემი პირადი ცხოვრების მოწყობას შეეხო. ყოველთვის მაშინებდა ქორწინებასთან დაკავშირებული თემები.

**– „მეშინოდა“, რას ნიშნავს?**

– კარგი, ვთქვათ, რომ არ მსიამოვნებდა, მძაბავდა და საკუთარ თავში ჩაკეტვის სურვილს მიჩენდა. ურთიერთობის ოფიციალურად დაკანონების არსი მხოლოდ ერთი მიმართულებით მესმოდა – შავი დამღაა, ძახილის ნიშანი შენს მამაკაცურ თავისუფლებაზე.

**– მართლა ასე ფიქრობთ?**

– გულახდილად გითხრათ? ახლაც ლამის ასე ვფიქრობ, უბრალოდ, არ ვუღრმავდები. უფრო სწორად, გრძნობა და სასურველ ადამიანთან ურთიერთობის განახლების სურვილი ძლევს – ამ ყველაფერზე ძლიერია.

**– სასურველ და არა საყვარელ ადამიანთან?**

– ეს ხომ ერთი და იგივეა. ნუ მელაპარაკებით სიყვარულზე, როგორც რაღაც აბსტრაქტულ, ჯადოსნურ გრძნობაზე. ეს არის ჩვეულებრივი ურთიერთობა ადამიანთან, რომელიც შენიანად მიგაჩნია.

**– თუმცა, ამ „შენიანთანაც“ კი არ გინდოდათ ოფიციალური სახე ჰქონოდა, ხომ ასეა?**

– მინდა, სწორად გამიგოთ თქვენც და იმანაც, ვისთვისაც შედგა ჩვენი საუბარი (დიდი იმედი მაქვს, რომ წაიკითხავს ამ წერილს). ბუნებრივი შიში მქონდა ქორწინების მიმართ. ასე ვთქვათ, ფიზიოლოგიური. ჩემი ასაკის მამაკაცისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. 19-20 წლის ბიჭისთვის ოჯახის შექმნა და ქორწინება ნაკლებად გააზრებული ნაბიჯია, ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული ის პასუხისმგებლობა, რომელიც ამას მოჰყვება. მისთვის მთავარია, ყველა საშუალებით მოიპოვოს სასურველი ქალი, თუნდაც მასზე დაქორწინებით. იმიტომაც ინგრევა მერე ურთიერთობები.

**– მერე ეს ცუდია?**

– ანუ, თქვენი შეკითხვა სასურველი ქალის დაქორწინებით მოპოვებას ეხება. ხომ სწორად გავიგე? ერთი მხრივ, თითქოს არ არის ცუდი, მაგრამ, ხომ ფაქტია, რომ სპონტანურ გადაწყვეტილებებს კარგი არაფერი მოაქვს?

**– თქვენი ლოგიკით, სიყვარულით შექმნილი ყველა ოჯახი ან მათი უმეტესობა დასანგრევად არის განწირული?**

– რატომ არ გინდათ, გამიგოთ? მე გეუბნებით, გააჩნია, სიყვარულს რას დაარქმევ. თუ მხოლოდ ლტოლვისა და ვნების ხარისხით იხელმძღვანელებ და პასუხისმგებლობებს არ გაითვალისწინებ, შედეგი აუცილებლად „დამანგრეველი“ იქნება. არ არის ადვილი ადამიანთან წლების განმავლობაში ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. რომ წარმოიდგენ, მუდმივად ერთადერთ ადამიანთან უნდა იყო ყოველთვის და ყველგან, დღისითაც და ღამითაც, შეიძლება, გაგიჟდე.

> **ბუნებრივი შიში მქონდა ქორწინების მიმართ, ასე ვთქვათ, ფიზიოლოგიური. ჩემი ასაკის მამაკაცისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია**

**– ისე ნუ იზამთ, ამ ყველაფრის წაკითხვის შემდეგ, მამაკაცებმა საერთოდ გადაიფიქრონ დაქორწინება.**

– რატომ მარტო მამაკაცებმა, იქნებ ქალებმაც?! თქვენ ფიქრობთ, მხოლოდ მამაკაცებისთვის არის ქორწინების ბორკილები დამთრგუნველი? ქალებიც ხშირად არიან ოჯახის დანგრევის ინიციატორები და ქმრებსაც ცივი გონებით ღალატობენ.

**– ანუ, ძალიან, ძალიან უნდა გიყვარდეს პარტნიორი, რომ ეს დისკომფორტი დაბალანსდეს?**

– მე ასე ვიტყოდი – ძალიან უნდა იყო დარწმუნებული საკუთარ არჩევანში. ვიცი, იფიქრობთ, რომ მე მეტისმეტად პრაგმატული ვარ, მაგრამ, ნუთუ ეს უარყოფითი თვისებაა? მე ასე არ მიმაჩნია. პრაგმატულობა ერთგვარი დაცულობაა. არ მახსოვს შემთხვევა, ამ კონკრეტულის გარდა, როცა ჩემი გადაწყვეტილება მინანია.

**– თქვენ, ალბათ, საქმიან გადაწყვეტილებებს გულისხმობთ.**

– ოჯახის შექმნა ყველაზე დიდი საქმეა, მე თუ მკითხავთ. სულით და გულით უნდა იყო განწყობილი ამ სერიოზული ნაბიჯის გადასადგმელად, რაშიც უმთავრესი გონებაა, გული კი, ხშირ შემთხვევაში, ცუდი მრჩეველია. სამწუხარო ის არის, რომ ჩემს რჩეულს, რომლის მიმართაც აბსოლუტური ნდობა მქონდა, ვერაფერი გავაგებინე. როცა ამ თემაზე საუბარს ვიწყებდი, ცოფდებოდა და სკანდალს ტეხდა. ვერ მიხვდა, რომ ამით უარესად მაშინებდა. დამიჯერეთ, არაფერი ისე არ აშინებს მამაკაცს, როგორც ისტერიჩკა ქალი და მისი სკანდალები.

**– თქვენ როგორ გგონიათ, ჩამოუყალიბებელი მამაკაცი, რომელიც წლების განმავლობაში ვერ იღებს გადაწყვეტილებას, ქალს არ აშინებს?**

– კარგი საპასუხო დარტყმა იყო. ალბათ, აშინებს. თუმცა, მე უფრო სხვა რამ მგონია მისი გაბრაზების მიზეზი – თეთრი კაბის ჩაცმის სურვილი.

**– თეთრი კაბის ჩაცმის სურვილი ნაკლია?**

– არ ვიცი. ალბათ, არ არის ნაკლი, თუ ის მიმბაძველობით არ არის გამოწვეული. მე მიმაჩნდა, რომ ჩემი პარტნიორი სწორედ ასეთი „მიმბაძველობის“ მსხვერპლი იყო.

**– რატომ გგონიათ, ასე? ყველა ქალს ბუნებრივად აქვს სურვილი, იყოს პატარძალი.**

– იმიტომაც იკლავს თავს გათხოვებისთვის ყველა ქალი?! ოღონდ გათხოვდნენ და, ისეთებს მიჰყვებიან ცოლად, გაოგნდები.

**– არ გიფიქრიათ, რომ უყვართ ეს „ისეთები“?**

– ჰოდა, მაგიტომაც მაქვს სიყვარულზე ნეგატიური წარმოდგენა იმ ფორმაზე, რა ფორმითაც თქვენთვის მისაღებია. ეტყობა, ყველა ქალი მაინც ერთნაირად აზროვნებს. მე ბუნებით მშვიდი ვარ. შეგნებულად ვცდილობ, რომ ნერვები არ ავიმალო, რადგან, გაბრაზებული საშინელება ვხდები. ვეხვეწებოდი თინიკოს, ნუ მიწყობ სკანდალებს ქორწინების თემაზე, ცოტა მოიცადე-მეთქი, მაგრამ, ადამიანს რაც აქვს ხასიათში, იმას ვერ მოაშლევინებ, გამორიცხულია.

**– ადამიანის გადაკეთების მცდელობა ყოველთვის განწირულია.**

– გეთანხმებით. ამიტომ, ისეთზე უნდა შეაჩერო არჩევანი, რომლის გადაკეთების სურვილიც არ გაგიჩნდება. ძალიან განვიცდიდი იმ ზეწოლას, რომელიც ჩემზე ხორციელდებოდა. ბოლოს უკვე

# რატომ დაიკარგა დედმამიშვილებს შორის კავშირი და ვის ეძებს ავადმყოფი დედა მარნეულის სოფელ თამარისიდან უკრაინაში

***47 წლის სვეტლანა გარეგინის ასული ოგანიანი და 74 წლის ამალია ოგანიანი ეძებენ 46 წლის სეირან გარეგინის ძე ოგანიანს.***

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ძმას: 46 წლის სეირან გარეგინის ძე ოგანიანს. ჩემი ძმა 2001 წლიდან ცხოვრობს უკრაინაში. უკვე თორმეტი წელია, რაც ის სამუშაოდ უკრაინაში წავიდა. სამწუხაროდ, მასთან მხოლოდ ტელეფონით გვქონდა კავშირი, ისიც ერთხელ – ახალი ჩასული რომ იყო, დაგვირეკა. ყველაფერი ვცადეთ, რომ მას დავკავშირებოდით, მაგრამ უშედეგოდ. ძველ მისამართზე ჩვენ მას ვერ ვუკავშირდებით და თქვენი დიდი იმედი გვაქვს. იქნებ, თქვენ მაინც დაგვეხმაროთ სეირანის პოვნაში.

**– როგორ დაიკარგა თქვენ შორის კავშირი და აქამდე თუ ეძებდით ძმას?**

– ჩემი ძმა 12 წლის წინ წავიდა უკრაინაში, ქალაქ ახტირკაში. ჩვენ მისი ბოლო მისამართი გვაქვს, რომელზეც ვერ ვუკავშირდებით, ვურეკავდით ტელეფონზე, მაგრამ გვპასუხობდნენ, რომ ის იქ აღარ ცხოვრობს. სეირანმა მხოლოდ ერთხელ დაგვირეკა და გვითხრა, რომ მუშაობა დაიწყო (ფეხსაცმელების კერვით იყო დაკავებული), ასევე, შეგვპირდა, როცა საშუალება ექნებოდა, მაშინ დაგვირეკავდა, მაგრამ, მას შემდეგ აღარ დაურეკავს. სავარაუდოდ, ჩემმა ძმამ შეიცვალა საცხოვრებელი მისამართი და ამის გამო მასთან კავშირიც შეწყდა. სამწუხაროდ, ჩვენ უკრაინაში, ქალაქ ახტირკაში, არავინ გვყავს, რომ გვეთხოვა ძველ მისამართზე მისვლა და ადგილზე გარკვევა, თუ სად გადავიდა საცხოვრებლად სეირანი. მისი პოვნა ძალიან გვინდა, საქმე ისაა, რომ დედაჩვენი ავადმყოფობს და ძალიან განიცდის შვილთან კავშირის შეწყვეტას.

**– ამბობთ, რომ თავად მასაც არ უცდია ამდენი ხნის განმავლობაში თქვენთან დაკავშირება. როგორ ფიქრობთ, რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

– ნამდვილად ვერ გეტყვით, რა შეიძლება



იყოს ამის მიზეზი, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ჩემმა ძმამ არც ერთხელ არ დაგვირეკა, მაგრამ, მან ხომ არ იცის, რომ დედა ცუდადაა. ძალიან მინდა, როგორმე ხმა მივაწვდინო. აქამდე მე არ ვიცოდი თქვენი რუბრიკის არსებობის შესახებ, თორემ, დიდი ხნის წინ მოგმართავდით. თქვენ შესახებ მითხრა დედაჩემის მეგობარმა, მერი გამსახურდიამ. მერიკო ბებია ამჟამად 75 წლისაააა, ის ამ საქმეში ძალიან გვგულშემატკივრობს და გვერდში გვიდგას. ასევე, მინდა, მადლობა გადავუხადო ქალბატონ მაია ლაპარტყავას, რომელიც ასევე გვეხმარება. დედაჩემი სულ ტირის და განიცდის, სულ იმას დარდობს, როგორაა მისი შვილი. მერიკო ბებიას (რომელიც ჩვენი მეზობელია) ჩვენზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ უნდა სეირანის პოვნა. ის ძალიან გულისხმიერი ადამიანია.

**– სეირანი თქვენი ერთადერთი დედმამიშვილია თუ კიდევ გყავთ დები ან ძმები?**

– დიახ, სეირანი ჩემი ერთადერთი დედმამიშვილია. მე ის ძალიან მიყვარს. როგორც გითხარით, დედასაც ძალიან ენატრება თავისი შვილი და ძალიან დიდი სურვილი აქვს, ნახოს. თუკი, ღმერთმა ქნას და, მას იპოვის, დარწმუნებული ვარ, ის ახლო მომავალში ჩამოვა და ინახულებს დედას. ჩვენ არ ვკარგავთ მისი პოვნის იმედს და თქვენი გვჯერა – ვიცით, რომ ბევრ ადამიანს დაეხმარეთ. იქნებ, ჩვენი ისტორიაც კარგად დასრულდეს და დედაჩემმაც ამ სიბერის დროს გაიხაროს.

***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ, თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

დამემუქრა: თუ ცოლად არ შემირთავ, შედეგზე პასუხისმგებელი მე არ ვიქნებიო. ამაზე ისე გავბრაზდი, რომ არც მიკითხავს, რა შედეგზე იყო ლაპარაკი. ერთ საღამოს, ჩვეულებრივ, წავეკიდეთ იმავე თემაზე, ჩაიცვა და სადღაც წავიდა. ბუნებრივია, უკან გაყოლის სურვილი არ გამჩენია. გზიდან დამირეკა და მითხრა, სულელი ხარ შენ, სულელიო. ეს კიდევ ერთი წვეთი იყო ჩემი მოთმინების ფიალაში. რაღაც გადაწყვეტილებამდე მივედი და, სანამ მე სტრატეგიასა და ტაქტიკას „ვამუშავებდი“, ჩემი რჩეული თურმე ჩემს შემცვლელს ეძებდა.

## ისეთი სიყვარული მინდოდა, ყველა უჯრედით რომ გიყვარს, თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე

**– სტრატეგიასა და ტაქტიკას მის დასაბრუნებლად?**

– დიახ, ურთიერთობის დასალაგებლად. არ მინდოდა მისი დაკარგვა.

**– მაგრამ, არც დაქორწინება გინდოდათ...**

– ვინ გითხრათ, რომ არ მინდოდა? აჩქარების წინააღმდეგი ვიყავი, თორემ, ბოლოს და ბოლოს მეც მივიდოდი იმ გადაწყვეტილებამდე.

**– ძალიან ჯიუტი ყოფილხართ.**

– პრინციპული – არა?! არ ჰქვია მის საქციელს გათხოვების აკვიატებული იდეაფიქსი?! თუ ჩემთან უნდოდა ყოფნა, ყოფილიყო და ოჯახსაც შევქმნიდით.

**– ძალიან მარტივად მსჯელობთ. ქალს რომ ოჯახი და შვილი უნდოდეს, ამაში დასაძრახი რა არის?**

– შვილი ხომ იმ ადამიანისგან უნდა გინდოდეს, ვინც შენთვის ძვირფასია? თუ დედობრივი ინსტინქტი იმდენად ძლიერია, რომ, სულერთია, შვილს ვისგან გააჩენ, მომკალით და, მე ეს არ მესმის. რომ მითხრა, ვთხოვდებიო, გავგიჟდი. ესე იგი, რა გამოდის? – ჰყავდა კონკრეტული „რეზერვი“ და ამ ხნის განმავლობაში ამას ოსტატურად მიმალავდა, ანუ, მატყუებდა? ახლა დილემის წინაშე ვარ. უფრო სწორად, ულტიმატუმი მაქვს წაყენებული: ან მე უნდა შევირთო ცოლად, ან – გათხოვდება.

**– რატომ დგახართ დილემის წინაშე? გათხოვდეს, თუკი არაფრად გიღირთ.**

– ვინ გითხრათ, რომ არაფრად მიღირს? ჩემი საუბრიდან ეს დასკვნა გააკეთეთ? მე დამოკიდებული ვარ მასზე; შეიძლება, შევეჩვიე კიდეც. პრინციპში, არც ვარ მასზე დაქორწინების წინააღმდეგი – მე მშვენიერი ცოლი მეყოლება, ჩემს შვილებს კი – კარგი, მოსიყვარულე დედა, მაგრამ, ეს ფორმა მაგიჟებს. გამოდის, რომ მაიძულა, ცოლად შემერთო, თანაც, მაიძულა შანტაჟით.

**– უცნაური ლოგიკაა. ხომ ამბობთ, დაქორწინების საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო, შანტაჟი რაღა შუაშია?**

– მაინც ვერაფერი გაიგეთ. მე ვერ ვეგუები იმას, როცა რამის გაკეთებას მაიძულებენ ან მაჩქარებენ ჩემი ნების საწინააღმდეგოდ. რა ვქნა, ასეთი ადამიანი ვარ. გამოდის, როცა ოჯახში რამეზე ვერ დამითანხმებს, უნდა დამაშანტაჟოს? მაგარი ცოლქმრობა გვექნება.

**– მაშინ, აცალეთ, გაჰყვეს ცოლად კაცს, რომლისთვისაც სასურველი ქალია და არა შანტაჟისტი.**

– არ ვამბობ, რომ შანტაჟისტია, პროვოკაციაზე რატომ მოდიხართ? მაგრამ, მისი საქციელიდან გამომდინარე, ასე გამოდის. მოეშვას ამ მუქარას და მითხრას, რომ ჩემთან ყოფნა უნდა; რომ სხვა მამაკაცი არ სჭირდება – ვიქნებით ისევ ერთად და ლოგიკურ ფინალამდეც მივალთ. ის მაინც ეთქვა, რომ შვილი უნდოდა და ამიტომაც მიაჩნდა აუცილებლად ოჯახის შექმნა. მოკლედ, არ მინდა, ისეთი ქალი შევირთო ცოლად, რომელიც მოძალადის იარლიყს მიიწებებს ნებსით თუ უნებლიეთ.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ქმარს საყვარელი ჰყავს. თავად ამტკიცებს, რომ ცხოვრებაში ერთადერთხელ მიღალატა და ამას ძალიან ნანობს. ვგრძნობ, მატყუებს. როგორ მოვიქცე. სკანდალები მოვუწყო? მგონია, რომ ამას შედეგი არ ექნება. მოთმენაც აუტანელია და ოჯახის დანგრევაც არ მინდა.**

**გამოხმაურება:** როცა ადამიანს ღალატს აპატიებ, ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადადიხარ. ამის შემდეგ ან საერთოდ აღარ უნდა წამოსწიო ერთგულების თემა, ან ისევ სკანდალებით მოითხოვო მისგან, მოინანიოს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ოჯახის დანგრევა საკმაოდ სერიოზული საკითხია. სამწუხაროდ, ნდობას ველარ დაიბრუნებთ. ეს თითქმის შეუძლებელია. მაგრამ თქვენზეა დამოკიდებული, როგორ გააგრძელებთ ურთიერთობას. სათქმელი კი აუცილებლად უნდა უთხრათ.

ფსიქოლოგი
**მაგდა რობაქიძე**

**საოპერო მომღერლის, მეცო-სოპრანოს, ეკა გაბიტაშვილის ცხოვრებაში ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი დგას. ის 1 ოქტომბერს მოსკოვში უსაყვარლესი ბიჭის, დათოს დედა გახდა. მან ახალბედა დედიკოს მთელი ცხოვრების გეგმები შეუცვალა და ცოტა ხნით საოპერო კარიერაზე უარი ათქმევინა.**

# რატომ არ ატანდნენ მოსკოვის აეროპორტიდან შვილს ეკა გაბიტაშვილს და ვის გამო მოუწია მას „ქოვენ გარდენში“ წასვლაზე უარის თქმა

**ეკა გაბიტაშვილი**: ყველაზე საპასუხისმგებლო და განსხვავებული ეტაპია ჩემს ცხოვრებაში. შვილის დაბადებას იმ დღიდანვე დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდე და დღემდე ასე ვარ. დედაჩემი მოსკოვში იყო ჩამოსული ჩემს დასახმარებლად, მაგრამ თავიდან საერთოდ ვერ ჰკიდებდა ხელს – პატარა რომ იყო, ეშინოდა. ამიტომ, ყველაფერს მე ვუკეთებდი, ჭიპის დამუშავებიანად. არადა, აქამდე, ჩემი მეგობრები თავის შვილებს ჭიპზე ხელს რომ ჰკიდებდნენ, გული ცუდად მიხდებოდა. ამიტომ, არ მეგონა, ჩემს შვილს, ამ პატარა არსებას მე თუ დავუმუშავებდი ჭიპს. მაგრამ, ეტყობა, როცა შვილს ეხება საქმე და დედა რომ ხარ, სულ სხვანაირად იქცევი.

**– პირველი შვილია. ალბათ, იყო რაღაც საკითხები, რაც გიკვირდა, ნერვიულობდი: რატომ ტირის, ამას რატომ აკეთებს...**

– თავიდან ყველაფერზე ვამბობდი: ვაიმე, რატომ ტირის, ვაიმე, ასე რატომ იქცევა, სულ ეჭვებში ვიყავი. კიდევ კარგი, მოსკოვში ჩემი რძლები ცხოვრობენ, მათაც შვილები ჰყავთ, გადავურეკავდი და ვეკითხებოდი რაღაცეებს. ისინიც მეუბნებოდნენ: კი, კი, ასეა... და ვწყნარდებოდი. რამდენჯერმე სასწრაფოსაც გამოვუძახე. მეცამეტე დღიდან დაეწყო „კოლიკები“, ტიროდა, დედაჩემი მეუბნება: წიგნებში წერია, ბავშვი ერთ საათზე მეტხანს თუ ტირის, ესე იგი, რაღაც სჭირსო. შემეშინდა და სასწრაფო გამოვიძახე. რომ მოვიდნენ, იმდენი იცინეს: „კოლიკები“ აქვსო. იმიტომ გაგვიკვირდა, რომ მანამდე საერთოდ არ ტიროდა, მერე შევეგუეთ, მივხვდით: თუ ტიროდა, ესე იგი „კოლიკები“ აწუხებდა. ისე, მშვიდი ბავშვია. სამშობიაროს პალატაში ორნი ვიწექით. მეორეს გოგო ჰყავდა, რომ შემოიყვანდნენ ბავშვს, დედას ეცემოდა და მთელი ხმით ჭამდა რძეს. ამას შემოიყვანდნენ, დააწვენდნენ და მიყურებდა თვალებში, საერთოდ არ ჭამდა. ისე ვნერვიულობდი, რატომ არ ჭამს-მეთქი... ბოლოს, ექიმს ვუთხარი, არაფერს არ ჭამს-მეთქი. დამამშვიდა: პირველ დღეებში ისედაც მინიმალურს ჭამენ, თან, რომ გაგვყავს, დამატებით ვაძლევთ საკვებსო. ძალიან ვინერვიულე, როდესაც ჭიპლარი მოსძვრა. სამშობიაროდან რომ გამოგვყავს, ჭიპზე პლასტმასის რაღაც ხომ უკეთიათ და როდესაც დასაბანად შევიყვანე, უცებ მოსძვრა. დედაჩემმა შემაშინა: ვაიმე, ბავშვებს ჭიპლარი მეათე დღეს სძვრებათ, ადრე მოსძვრა, სეფსისი დაემართებაო... თან, კვირა დღე იყო, პოლიკლინიკები არ მუშაობდა. მთელი ოჯახი ჩემს რძალთან გავვარდით, რომელიც მოსკოვის მეორე მხარეს ცხოვრობს. ისეთი დასტრესილი ვიყავი, ადამიანს არ ვგავდი. ექიმი გამოვიძახეთ, სიცილით მოკვდა, წამლები გამოგვიწერა, რითაც უნდა დაგვემუშავებინა. ისე ვინერვიულე, იმ დღეს რძე აღარ მქონდა. ექიმმა მითხრა: შენ თუ ასე ინერვიულებ, ბავშვზეც გადავა, ეცადე, მშვიდად იყოო. ამის მერე უფრო დავმშვიდდი.

**– ხვიჩა როგორი მამაა, ისიც ასე განიცდის?**

– ხვიჩა ჩემზე უარესია. როგორც კი ბავშვი ტირილს იწყებს, ველარ უძლებს და გარეთ გადის. მაშინ უყვარს ბავშვის ხელში დაჭერა, როცა იცინის და კარგ ხასიათზეა. როგორც კი ტირილს ან კრუტუნს დაიწყებს, მაშინვე გვეუბნება, ბავშვი გამომართვითო კი ვუხსნი – როცა ბავშვი თავისთვის წევს, იცინის, მაშინ სულ არ უნდა ხელში აყვანა, როცა წუწუნებს, მაშინ უნდა აიყვანო და დაამშვიდო-მეთქი.



**დიდ თეატრში მიწვეულ სოლისტად ამიყვანეს, მაგრამ შტატში ჩასმა უჭირთ: პასპორტი არ გაქვს, გასტროლზე რომ წავიდეთ, ვერ წამოხვალ, შენი წამოსვლა უცხოეთში სულ პრობლემა იქნებაო**

**– მოსკოვში რომ დაიბადა, რუსეთის მოქალაქეობასაც მისცემდნენ...**

– პასპორტიც აქვს. საზღვარზე ისეთი რთული გადმოსაყვანი იყო... წამოსვლამდე ჩემმა ქმარმა დაწერა მინდობილობა, ნოტარიულად დაამოწმა, რომ მამა თანახმაა, ბავშვი გამომატანოს და ასე შემდეგ. „ოტჩესტვაში“ ერთი ასო არასწორად ეწერა და არ მატანდნენ... 40 წუთი ვიდექი აეროპორტში: ათი კაცი გამოიძახეს, დაიწყეს პასპორტის განხილვა, ყალბი ხომ არ იყო... მომთხოვეს ჩემი, ქმრის დაბადების მოწმობები, ყველა საბუთი... კიდევ კარგი, თან მქონდა. შენ წადი და ბავშვი დატოვე, იქნებ იტაცებ რუსეთის მოქალაქესო... მოკლედ, გადამრიეს. თან გამაფრთხილეს: რომ ჩამოხვალ, პასპორტში შეცდომა გაასწორე, თორემ მეორედ აღარ გაგატანთო. ბოლოს, კონტროლს რომ გადიხარ, იქაც დამეწია ერთი გოგო: ბავშვის და ჩემი პასპორტი წაიღო. 20 წუთი იქ მალოდინა და ბოლოს გამომიშვა.

**– როგორც მივხვდი, დათოს ძალიან მოსწონს თბილისი.**

– მოსკოვში ბავშვს მზე არ ჰქონდა ნანახი, სულ ნისლია და 4 საათზე ღამდება. გარეთ ვერ გამყავდა, თან დედაჩემი მოდიოდა, ვიზის ვადა დაუმთავრდა და მარტო უნდა დავრჩენილიყავი. წამოვიყვანე აქ და ისეთი კმაყოფილი ვარ, სულ ეზოში მყავს, თუ ქარი არ არის. ისე მოსწონს, როგორც კი გარეთ გავიყვან, მაშინვე ეძინება და მთელი უბანი იცინის – ამას ისევ სძინავსო. მოუხდა თბილისი, კარგად სძინავს, დილის 6 საათზე იღვიძებს და თავისთვის იწყებს თამაშს. მოსწონს თბილისში და კმაყოფილი ვარ, რომ წამოვიყვანე.

**ეტყობა, როცა შვილს ეხება საქმე, შენი რომ არის და დედა რომ ხარ – სულ სხვანაირად იქცევი**

**– შენი მეუღლე ამჟამად თბილისში არ არის. ალბათ, მთელი დღის განმავლობაში გირეკავს, ნერვიულობს, ენატრება ცოლ-შვილი...**

– დღეში ათჯერ რეკავს „სკაიპში“, თან მეკითხება: შეიცვალა, როგორია, თმა ამოუვიდა? ვეუბნები: ხუთ წუთში როგორ შეიცვლებოდა-მეთქი. თავიდან, რომ დაიბადა, ცისფერი თვალები ჰქონდა და სინათლეზე რომ დაიჭერდი – მოწითალო თმა. დედაჩემი ამბობდა: ვაიმე, ეს ხომ ნამდვილად ჩვენი ბავშვიაო. მალე წითელი თმა დასცვივდა და შავი ამოუვიდა. თვალის ფერიც შეეცვალა.

**– დათომ სულ აგირია გეგმები. აქტიურად იყავი გადართული შენს კარიერაზე და ამ მხრივ, სერიოზული წარმატებებიც გქონდა. თუმცა, გარკვეული ხნის განმავლობაში პაუზის აღება მოგიწევს.**

– სულ სხვა გეგმები მქონდა, თბილისში ჩემს პედაგოგთან პროგრამაც დავამუშავე, ინგლისში მივდიოდი, „ქოვენ გარდენის“ აკადემიიდან მოწვევა მქონდა, მაგრამ ასეთი სიურპრიზი მომიწყო. თუმცა, ძალიან გაგვახარა. შეიძლება, ძიძა ავიყვანო და მოსკოვში, დიდ თეატრში გავაგრძელო მუშაობა, იქ მიწვეული სოლისტის სტატუსით ვიყავი. უბრალოდ, მთელი ორსულობის განმავლობაში ვერ ვმღეროდი. თავიდან ექიმმა მითხრა: არ გინდაო. მერე, მუცელი რომ გამეზარდა, მეც ვერ ვმღეროდი, სუნთქვა მიჭირდა. ახლა, რაც გავაჩინე, სიმართლე რომ გითხრა, არ ავმღერებულვარ. რადგან გავხდი, ჩემს სასიმღერო წონაზე არ ვარ და ასე გამხდარს გამიჭირდება სიმღერა. თან, იმდენი ხანი არ მიმღერია, ახლა პირის გაღების მეშინია: ნეტავ, რა ხმა ამომივა-მეთქი. მაგრამ, არა უშავს ჩავდგები ფორმაში, ვივლი ჩემს პედაგოგთან, სვეტასთან. დიდი ხანია ის ჩემი პედაგოგია და მასზე კარგად არავინ იცის, რა მჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ სულ აქტიური ვიყავი, სახლში ვერ დამსვამდი, ახლა რადიკალურად შეიცვალა ჩემი ცხოვრება. ამ ბავშვს რომ დავინახავ და მის სიცილს გავიგონებ, იმდენად ვერთობი, საერთოდ აღარ მინდა არსად წასვლა.

**– არ უმღერი?**

– სადღაც წავიკითხე: ბავშვი სამი თვიდან მღერისო და არ მჯეროდა. რომ ვუმღერი, ისე მყვება, რაღაც მომენტში, ტონალობას იჭერს: ადის, ადის და იმ ტონალობაში ჯდება. ჩემი მეგობარი იყო მოსული, ვოკალისტია და იმან თქვა: ამ ბავშვს სმენა აქვს, ღიღინებსო. რამეს რომ წაიმღერებდა, ისიც იმ ხმაზე ღუღუნებდა. ახლაც გვერდზე მივუწვები ხოლმე და ყურთან ვუმღერი. მაშინვე ჩერდება, გისმენს და გყვება. თუ ძალიან ნიჭიერი იქნება, ხელს შევუწყობ.

**– ჯერჯერობით რუსეთში ცხოვრება გაქვთ გეგმაში?**

– კი, თუმცა, ცოტა რთულია. ერთხელ ერთ-ერთ თეატრში რომ გაიგეს ქართველი ვიყავი, ასე თქვეს: ჩვენ ქართველებთან არ ვმუშაობთო და იმ ბიჭს, რომელიც ჩემს საქმეზე იყო მისული, ცხვირწინ მიუხურეს კარი. არადა უთხრა: მეცო-სოპრანოა, პროგრამა აჩვენა – რას ვმღერი და დაინტერესდნენ. მაგრამ გვარი რომ გაიგეს: არა, ქართველი არ გვინდაო. თუმცა, მეცო-სოპრანოები ისე უჭირთ, რომ დათმობაზე წასვლა უხდებათ. თან, მე ისეთ არიებს ვმღერი, რაც მეცო-სოპრანოსთვის რთულად არის მიჩნეული. ბევრი ვერ ბედავს ამას, ამიტომ, ამ მხრივ, ძალიან ინტერესდებიან. ამიტომაც ამიყვანეს დიდ თეატრში მიწვეულ სოლისტად, მაგრამ შტატში ჩასმა უჭირთ: პასპორტი არ გაქვთ, გასტროლზე რომ წავიდეთ, ვერ წამოხვალთ, თქვენი წამოსვლა უცხოეთში სულ პრობლემა იქნებაო. თუ კარგ სამსახურს ვერ ვიშოვი, მერე შეიძლება, აქეთ წამოვიდე. ხვიჩას ძალიან უნდა, რომ ვიმღერო, დაინტერესებულია და ხელს მიწყობს.

**ნათია უტიაშვილი**

# თბილისის რომელ სასტუმროში ცხოვრობდა 1921 წელს მიხაილ ბულგაკოვი და რის გამო დაანგრიეს ქამოანთ ეკლესია სასახლის ქუჩაზე

*ეს ქუჩა, ისევე, როგორც მასზე არსებული ყველა შენობა, მხოლოდ ძველ ფოტოებზე ცოცხლობს. საუბარია მცირე მონაკვეთიან სასახლის ქუჩაზე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა გოლოვინის (რუსთაველის) გამზირსა და ერევნელის (თავისუფლების) მოედანს. ქუჩას სახელწოდება მასზე არსებული მთავარმართებლის სასახლის (ყოფილი „პიონერთა სასახლის") გამო ეწოდა და დღეს საუბარი გვექნება სწორედ ამ ქუჩაზე არსებული შენობების შესახებ, რომლებიც უამრავ საინტერესო ისტორიასთანაა დაკავშირებული.*



სათავადაზნაურო თეატრის შენობა (1910-იანი წლები)

## სათავადაზნაურო თეატრი

იქ, სადაც ამჟამად უნივერმალი „თბილისის" ძველი შენობა და მეტროსადგური „თავისუფლების მოედანია," რამდენიმე სახლს შორის, ახლანდელი გრიბოედოვის თეატრის ადგილას, იდგა ულამაზესი შენობა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი თეატრი თბილისში, რომელსაც „სათავადაზნაურო თეატრს" უწოდებდნენ. ეს მართლაც საოცარი შენობა 1905-1908 წლებში თბილისელი არქიტექტორის, ქრისტეფორე ტერ-სარქისოვის (სატუნცის) პროექტით აშენდა. თეატრს ჰქონდა ულამაზესი ფასადი, რომელსაც გრიფონები, ვაზონები, ქანდაკებები და ჰერბები ამშვენებდა. თეატრის გარდა, შენობაში უამრავი კულტურული და სავაჭრო ორგანიზაცია იყო განთავსებული, მათ შორის: კაფე „პარიზი", კალატოზოვის სავაჭრო სახლი, ა. როინაშვილის ფოტოატელიე, სადაზღვევო კანტორა „ნადეჟდა", რ. გენეს საათების მაღაზია, კუკუჯანოვის გალანტერეა, გამომცემლობა „ზაკავკაზიე" და რესტორანი „საბანკო". 1914 წელს გაჩენილი ხანძრისგან შენობა პრაქტიკულად მთლიანად განადგურდა. 1930-იან წლებში, გასაბჭოების შემდგომ, რეაბილიტირებულ შენობაში განთავსდა გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი, ხოლო 1970-იან წლებში, რუსთაველის გამზირის გაფართოების მიზნით, ეს ულამაზესი შენობა მთლიანად დაანგრიეს და მის ადგილას გრიბოედოვის თეატრის ამჟამინდელი შენობა და უნივერმალი „თბილისი" ააგეს. ამჟამად უნივერმალის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს.




სასახლის ქუჩა (1910-იანი წლები)

## სასტუმრო „სევერნიე ნომერა"

სასახლის მოედნის კუთხეში, ნიკოლოზის (ამჟამინდელი გუდიაშვილის) ქუჩის ჩასახვევთან, იდგა ორსართულიანი შენობა, სადაც 1885 წლიდან ფუნქციონირებდა სასტუმრო „სევერნიე ნომერა", რომლის ძირითადი კლიენტები საშუალო ფენის წარმომადგენლები იყვნენ, ძირითადად – რუსები, უცხოელები კი უფრო ფეშენებელურ სასტუმროებს ამჯობინებდნენ. ცნობილია, რომ 1900 წელს ამ სასტუმროში ცხოვრობდნენ მწერლები: მაქსიმ გორკი, ანტონ ჩეხოვი და მხატვარი ვიქტორ ვასნეცოვი. 1910 წელს სასტუმრო ნოე სიხარულიძეს შეუძენია და ზედ მესამე სართული დაუშენებია. სასტუმრო 90 ნომრისგან შედგებოდა და ფასი დღე-ღამეში 1-დან 15 მანეთამდე შეადგენდა. ძველი სარეკლამო აფიშებიდან ვიგებთ, რომ სასტუმროში იდეალური სისუფთავე, ელექტრობა, აბაზანები, ტელეფონი და საუცხოო კერძები იყო.




სასტუმრო „სევერნიე ნომერა" (1900-იანი წლები)

განახლებული სასტუმრო „სევერნიე ნომერა" კლიენტებს საქართველოს გასაბჭოებამდე ემსახურებოდა, შემდეგ კი მის შენობაში „ჩეკისტების" საერთო საცხოვრებელი მოეწყო.

## ზუბალაშვილისა და სარაჯიშვილის სახლები

სასახლის ქუჩის დასაწყისში, ერევნელის მოედანთან, 1882 წლებში აშენდა კონსტანტინე ზუბალაშვილის სახლი არქიტექტორ ზალცმანის პროექტით. შენობის მეორე და მესამე სართულებზე გახსნილი იყო ავეჯით მოწყობილი ოთახები – „ევროპეისკიე ნომერა", მოგვიანებით – „დვორცოვიე ნომერა", ხოლო 1910 წლიდან – სასტუმრო „ერმიტაჟი". იმავე პერიოდში ზუბალაშვილის სახლის გვერდით დავით სარაჯიშვილს აუშენებია სამსართულიანი შენობა, რომლის არქიტექტორი ასევე ზალცმანი გახლდათ. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახლი თბილისში, რადგან, აქ ცხოვრობდა თავად დავით სარაჯიშვილი და მასთან სახლში ხშირად იკრიბებოდნენ ქართველი მოღვაწეები. 1907 წელს სწორედ ამ სახლის აივნიდან გამოეთხოვა აკაკი წერეთელი ილია ჭავჭავაძის ცხედარს. სარაჯიშვილის სახლის ნაწილი სხვადასხვა პერიოდში ეკავა ავეჯით მოწყობილ ოთახებს, რომლებსაც თავდაპირველად „სარაჯევის ნომრებს" უწოდებდნენ. შემდგომში აქ ფუნქციონირებდა სასტუმრო „ევროპა" და სასტუმრო „პალე-როიალი". სწორედ ამ სასტუმროში ცხოვრობდა 1921 წელს თბილისში მყოფი მიხაილ ბულგაკოვი. სასტუმროების გარდა, სარაჯიშვილის სახლში გახსნილი იყო სხვადასხვა დაწესებულება-მაღაზია: კაროლინა ლოტის საკონდიტრო, ე. მხეიძის შლაპების მაღაზია, სომხური გამომცემლობა „ხათაბალა"



რუსთაველის გამზირი (თანამედროვე ხედი)

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)



**თავმდაბლობა: ეს არის საკუთარ თავში ჩაღრმავება, რომ მე ძალიან ცუდი ვარ და არავის ვჯობივარ, თუნდაც იმას, ვინც ეკლესიაში არ დადის**

**„მოახლოებულ არიან დღენი დიდისა მარხვისანი: ვალისამებრ ჩვენისა, წმიდათა ამათ დღეთა შინა ჩვენ უნდა მოვინანიოთ ცოდვანი ჩვენნი და მივიღოთ წმიდა საიდუმლო. გარნა უწინარეს ზიარებისა, შენ, ძმაო ჩემო, მიხვალ რა მოძღვართან და აღიარებ ცოდვათა შენთა, მოელი მისგან, რათა სახელითა იესო ქრისტესითა მოგცეს შენ შენდობა. ხოლო რომლითა პირობითა მოგიტევებს შენ იესო ქრისტესი ცოდვათა შენთა? უკეთუ მიუტევნეთ თქვენცა კაცთა შეცოდებანი მათნი. მოძღვარსა შენსა ვერ ძალუძს განტევება ცოდვათა შენთა, უკეთუ არ აღასრულე ეს დიდი პირობა. თუ ყოფილიყო სხვა რომელიმე უსაჭიროესი და უდიდესი პირობა, მაცხოვარი გვეტყოდა, თუ საკმაო ყოფილიყო მხოლოდ მარხვა, გრძელი ლოცვა, მრავალი მეტანიის ყრა. მისაღებლად ღვთისაგან ცოდვათა შენდობისა, წინათვე გვეტყოდა ამას უფალი. გარნა ნაცვლად ამათ ყოველთა, ერთსა ამას პირობასა ახსენებს. აწ გსურსა, რათა ღმერთმან მოგიტეოს ცოდვანი შენნი? შენც მიუტევე მოყვასსა შეცოდებანი მისნი; გსურსა შეგირიგოს ღმერთმან? შეურიგდი შენცა მოყვასთა შენთა“ (წმიდა მღვდელმთავარი გრიგოლ ქიქოძე). ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება, ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი).**

# რატომ უნდა გააჩნდეს ადამიანს მარხვის პერიოდში მუდმივად სინანული და როგორ უნდა განეშოროს ის სხვა ადამიანების ცხოვრებაში ჩახედვას

**– მამაო, აღდგომის მარხვას წინ უსწრებს მოსამზადებელი პერიოდი, ერთ-ერთი კი ყველიერის კვირა. როგორ უნდა გაატაროს ის ქრისტიანმა ადამიანმა?**

– ოთხივე მოსამზადებელ კვირას და შემდეგ მარხვის დანარჩენ კვირებს აქვს ერთი მნიშვნელობა: თუ როგორი შეგნებით უდგება ადამიანი მარხვის დაწყებას. ჩვენთვის პირველი, ანუ მეზვერესა და ფარისევლის კვირა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მთელი დიდმარხვის პერიოდში. ადამიანი უნდა დაუფიქრდეს ერთ საკითხს, რომ რელიგიური ცხოვრება შეუძლებელია და წარმოუდგენელია, თუ ქრისტიანი არ გაამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ როგორ შეუდგეს მარხვას, როგორ ფიქრობდეს და აზროვნებდეს. ის სახარებები, რომლებიც დიდმარხვის მოსამზადებელ პერიოდში, 4 კვირის განმავლობაში იკითხება, სწორედ ადამიანში არსებული აზრებია. ჩვენ ხშირად მარხვის მიმართაც ზერელე დამოკიდებულება გვაქვს – თითქოს მარხვა არის მხოლოდ წესები, კანონების დაცვა, საკვების მიღებისგან თავის შეკავება. მაგრამ, უნდა ითქვას ერთი რამ: მარხვა სწორედ ადამიანის გონებიდან, მისი აზრებიდან იწყება, რომელიც შემდეგ ადამიანის გეგმებში, ქმედებებში ხორციელდება. მარხვა ჩვენი აზრების მომზადება, შინაგანი მდგომარეობის გაწმენდაა, რადგან აზრით იწყება ადამიანის დაცემა, რომელსაც შემდეგ მოჰყვება ქმედება. თუ დავუკვირდებით მეზვერისა და ფარისევლის მდგომარეობას, ერთი შეხედვით, ეს არის ორი ადამიანის სახე. ერთი, რომელიც წარმატებულია თავის სულიერ ცხოვრებაში, აღასრულებს მცნებებს, აკეთებს შესაწირს და მეორე – რომელიც თითქოს ცოდვილია. სახარებაში ვკითხულობთ, რომ, როდესაც ისინი ტაძრიდან გამოდიან, ერთი გამართლებულია უფლისგან, მეორე – კი არა. ანუ, ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს ულრმავდება, აცნობიერებს მართლმადიდებლისთვის ფუნდამენტურ რამეს: ბოლომდე კონცენტრირებულია საკუთარი თავის მიმართ, არსად იყურება – ღმერთს არ ეძებს არც ქვევით, არც ზევით. ის მხოლოდ საკუთარ ცოდვებს ულრმავდება და მარხვას იწყებს ამ სულისკვეთებით. სხვათა შორის, როცა კანონებზე ვსაუბრობთ, მინდა აღვნიშნო, რომ უფალს ჩვენთვის არც ერთი კანონი არ დაუდგენია. მათ ჩვენ დავარქვით სახელები: რომ ეს არის კანონი, ეს არის რჯული, მოთხოვნა, წესი, რომელიც უნდა დავიცვათ. სინამდვილეში ღმერთს ჩვენთვის არც ერთი კანონი არ დაუდგენია. შესაბამისად, არც ერთი კანონი თავისი კონკრეტული შინაარსით არ არის კანონი. ეს არის მხოლოდ უფლის სიყვარულის გამოხატულება და ზრუნვა ადამიანებზე. ეს არის არა კანონი, არამედ მაგალითი ადამიანებისთვის.

**– თუმცა, ამ ყველაფერს კანონის სახელი რომ არ ერქვას, ალბათ, ადამიანებს ძალიან გაუჭირდებოდათ მათი დაცვა.**

– ეს ურწმუნოსთვის, ნაკლებად მორწმუნესთვის, იმ ადამიანისთვის, ვინც ახლა იწყებს სულიერ, ეკლესიურ ცხოვრებას, ალბათ, როგორც კანონი ისე ჟღერს. მაგრამ, ვისაც აქვს იმის პრეტენზია, რომ ის ეკლესიურია, გააჩნია სათანადო მომზადება, ეკლესიური ცხოვრების გამოცდილება, მაშინ მასთან კანონებზე, მოთხოვნებზე საუბარი ზედმეტია. მან უნდა იცოდეს, რომ ღმერთი მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულია. თუ ჩვენ ამ კონტექსტიდან განვიხილავთ საკითხს, ღმერთი კანონებს კი არ გვიდგენს, ის ჩვენთან მიმართებაში მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით. ამ ყველაფერს კი იმიტომ აკეთებს, რომ ადამიანი გახდეს ადამიანი. როგორ გახდება ის ადამიანი, როგორ ისწავლის ადამიანობას, როგორ დაიწყებს მარხვას, თუ არ ჩაუფიქრდება საკუთარ თავს?

**– რის მიხედვით უნდა გაიგოს ადამიანმა როგორია – ცოდვილი თუ არა? რასთან უნდა მოახდინოს შედარება, რით უნდა იხელმძღვანელოს ამ დროს?**

– როცა ჩვენ მარხვაზე ვსაუბრობთ, მთავარია, ადამიანმა წარმატებულად განვლოს მარხვის ათეული დღე და საერთოდ, თავისი ქრისტიანული ცხოვრება. ზედმიწევნით, რომ დავიცვა მარხვა, ცნებები, არც ერთი მსახურება არ გავაცდინო, მაგრამ არ მქონდეს შინაგანი მართებული აზროვნება იმისა, რომ ვარ ცოდვილი, მაკლია ბევრი რამ და ბევრი უნდა შევიძინო, ვიშრომო ამისთვის; ჩემი საქმეები თუ არ ემთხვევა ჩემს შინაგან მდგომარეობას, მაშინ გამოდის, რომ მე ვიქცევი როგორც ფარისეველი. შესაბამისად, ეს მარხვა მე არაფერს მომცემს, ეს ჩემს სულიერებაში წარმატების მომტანი არ იქნება, ერთი ნაბიჯითაც წინ ვერ წავიწევი. ანუ, შეიძლება ადამიანი ყოველ წესს ზედმიწევნით იცავდეს, მაგრამ აზროვნებით, შინაგანი მდგომარეობით პირწავარდნილი ეშმაკი იყოს. ან, პირიქით, შეიძლება, ადამიანი ამ ყველაფერს ზედმიწევნით არ იცავდეს, თუმცა მათი დაცვა: მარხვის, ლოცვის, ყველაფრის, რაც სულიერი ცხოვრების მოსაწესრიგებლად არის საჭირო, აუცილებელია, მაგრამ შინაგანად უნდა იაზრებდეს თავის ცოდვილ მდგომარეობას. რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა დაინახოს ადამიანმა საკუთარ თავში ცოდვილი მდგომარეობა – თუ ის დაანებებს თავს სხვებში ცუდის ძიებას, მერე ამას საკუთარ თავზეც კარგად მიხვდება.

**– ყველიერის კვირაში იწყება ეფრემ ასურის ლოცვის კითხვა. ამით ადამიანს კარგად შეუძლია გაიგოს, რა აყენებს მას ცოდვილ მდგომარეობაში.**

– ძალიან კარგია, რომ მარხვის პერიოდში იწყება ეფრემ ასურის ლოცვები, ასევე, ანდრია კრიტელის სინანულის კანონები. თითქმის ყველა ლოცვაში, რაც მარხვაში ტიპიკონის მიხედვით აღესრულება, ჩართულია ეფრემ ასურის სინანულის ლოცვა. ანუ, ჩვენ კი ვამახვილებთ ყურადღებას იმაზე, რომ არ ვჭამოთ ხორცი, ყველი, განსაკუთრებული საჭმელები, მაგრამ უფრო მეტად ყურადღება სინანულზეა გამახვილებული. ამ უდიდესი წმიდანების ლოცვებიც სწორედ იმისთვის გვამზადებს, თუ რას უნდა განვიცდიდეთ. ეფრემ ასურის ლოცვებში ეს კარგად არის ჩამოთვლილი. მასში თავმოყრილია ადამიანის მთელი ცხოვრება, თუ როგორი უნდა იყოს ის. მარხვა სწორედ იმას ნიშნავს, რომ ადამიანი საიდანღაც იწყებს, რაღაცაზე უწევს უარის თქმა. დღეს ბევრი მოდის ეკლესიაში ერთი სათხოვრით: რა ეშველება ჩემს შვილს, შვილიშვილს, მომემატება თუ არა ხელფასი, რაღაც კარგი მოხდება თუ არა. იშვიათად თუ ვინმე კითხულობს: მამაო, მე ვგრძნობ, რომ ცოდვილი ვარ და რა მეშველება, რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ გავხდე უკეთესი? არადა, ადამიანმა ასე უნდა დაიწყოს მარხვა და მისი მარხვაც წარმატებული იქნება.

**– ანუ, მოსამზადებელი პერიოდის სწორად გატარებაზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ გაატარებს შემდეგში ის დიდმარხვას?**

– ოთხივე კვირიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა არც ერთს არ აქვს. აქ მხოლოდ და მხოლოდ ერთი აზრი უნდა ვიპოვოთ. გარდა იმისა, რომ ის ფიზიკურად ამზადებს ადამიანს, ნელ-ნელა გადადის საკვების მხრივ შეზღუდვებზე, ეს არის სულიერი მოვლენაც, სულიერი სამზადისიც. ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს კვირები ადამიანს ახსენებს იმას, რომ მარხვას იწყებს თავმდაბლობით. რა თქმა უნდა, ამაში იგულისხმება ჭეშმარიტი თავმდაბლობა და არა მონობა, უვიცობა. თავმდაბლობა: ეს არის საკუთარ თავში ჩაღრმავება, რომ მე ძალიან ცუდი ვარ და არავის ვჯობივარ, თუნდაც იმას, ვინც ეკლესიაში არ დადის. ასე რომ, თუ გვინდა, რომ მარხვა წარმატებული იყოს, გავიზარდოთ, რაიმე მოგვიმატოს, მაშინ მარხვა უნდა დავიწყოთ იმის გააზრებით, რომ ცოდვილები ვართ, ბევრი რამ გვჭირდება იმისთვის, გამოვსწორდეთ და რასაც არ უნდა მივაღწიოთ, მაინც ბევრია საჭირო. მაგრამ იმის აღიარება, რომ ცოდვილი ვარ, მხოლოდ და მხოლოდ ბუტაფორიული არ უნდა იყოს, ადამიანის ქმედება უნდა ემთხვეოდეს მისივე გულისწადილს, მის შინაგან განწყობას. თუ შინაგანი განწყობა მართალია, ამაში საქმეც ერთვება და მას უყვარს ადამიანები, არ შურს, არ განიკითხავს, არ არის უსიყვარულო, არ არის ვერცხლისმოყვარე, უყვარს გაცემა. თუ ადამიანი ამ ყველაფერს არ აკეთებს, მაშინ ფუჭია მისი მარხვა, ეკლესიაში სიარული, ეს მხოლოდ თავის მოტყუება და დროის უქმად კარგვაა.

**ნათია უტიაშვილი**

# სწავლანი მამათა ცხოვრებიდან

## ლოცვისთვის თუ რამდენად ძლიერია ლოცვა „გიხაროდენ, ღვთისმშობელო ქალწულო“

ერთ ქვეყანაში ძლიერი და თავზეხელაღებული ყაჩაღი ცხოვრობდა. ყველა გზებსა და გზაჯვარედინებს მოსდებოდა მისი დაუნდობელი ბანდა. ამვლელ-ჩამვლელს ძარცვავდნენ და კლავდნენ. და თუმცაღა მომაკვდინებელ ცოდვას მისცემოდა ავაზაკთა მეთაური, ერთი კეთილი ჩვევა მაინც ჰქონდა – ყოველდღე ლოცვებს კითხულობდა და განსაკუთრებით კი „გიხაროდენ, ღვთისმშობელო ქალწულოს“ არ ტოვებდა.

ერთხელ ერთ ღვაწლმოსილ, ნათელმხილველ ბერს მოუწია ამ გზით წასვლა, სადაც ყაჩაღები თარეშობდნენ. ავაზაკები შეესივნენ ბერს, შეიპყრეს და მეთაურს მიჰგვარეს. ბერმა ბანდის უფროსს უთხრა:

– ყური მიგდე, შვილო! შენ და შენს ბანდას დიდი საიდუმლო უნდა გაგიცხადოთ. უბრძანე შენს ხელქვეითებს, აქ შეიკრიბონ.

მეთაურმა ნიშანი მისცა და ბანდა წამში მასთან შეიყარა.

– ყველა აქაა? – მოათვალიერა ბერმა ბანდა – თუ გაკლიათ ვინმე?

– ერთი ჯერ არ მოსულა, – უპასუხა მეთაურმა.

– ჰოდა, უხმეთ იმასაც, – თქვა ბერმა.

იმ ერთსაც უხმეს და სამალავიდან შუბლშეჭმუხვნილი კაცი ზლაზვნით წამოვიდა. ზღურბლს გადაცილებულმა პირი მიიქცია ნათელმხილველისგან და ხელის მოძრაობით გამოიხატა, რომ მიახლოებას ვერ უბედავდა.

ეს კაცი ბანდის უფროსის მზარეული იყო. ბერი მას თვალმოუცილებლად უმზერდა და მერე შესძახა:

– სახელითა იესო ქრისტესითა, გაფუცებ შენ, მითხარი, ვინ ხარ და რისთვის ხარ აქ?

– მე ადამიანი არა ვარ, – ამოთქვა მან, – დემონი ვარ და ჩემმა პატრონმა სატანამ მომავლინა აქ. ამ მეთაურის სათვალთვალოდ: რა წამსაც კი თავისი ჩვევა მიავიწყდება და ქალწულ მარიამისადმი ლოცვა გამორჩება, მაშინვე უნდა მოვაშთო და ჯოჯოხეთს წარვიტაცო და უკვე თოთხმეტი წელია, რაც ამ მიზნით ვემსახურები ბანდის მეთაურს, მაგრამ ვერ დავღუპე, მხოლოდ იმიტომ, რომ მუდამ, ყაჩაღობასთან ერთად, ლოცვას არ ივიწყებს და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ამ ხატის წინ აღავლენს ლოცვებს; მარიამ ღვთისმშობლის საიდუმლო ძალა არ მაძლევს საშუალებას, არათუ მისი მოკვლისას, არამედ მისთვის მცირედი ზიანის მიყენებაც არ შემიძლია.

– განვედი! – უბრძანა ბერმა, – და ნურასოდეს შებედავ მიუახლოვდე მათ, ვინც ლოცვითა ხმობს ყოვლად დიდებულ ღვთისმშობელს!

დემონი გაქრა, ვითარცა კვამლი. ავაზაკის ბანდა მეთაურთან ერთად დაემხო ნათელმხილველის ფერხთით და მას მერე ბანდის ყოველმა წევრმა დაუტევა ავაზაკობა, ცხოვრება გამოიცვალა და ყოველი მათგანი გულწრფელი სინანულით ტიროდა ღვთის წინაშე თავის ბოროტებას.

ამგვარი ძალა აქვს ღვთისმშობლისადმი ლოცვას. და შენც ესწრაფე, ქრისტიანო, ზეცათა დედუფლის მფარველობას, ხშირად შეევედრე მას და ილოცე:

„ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეული ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა!“

და ესეც ხშირად თქვი: „ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, გვიხსენ ჩვენ“. და იგი, ყოვლადმოწყალე ქალბატონი და დედუფალი, დაგიცავს და დაგიფარავს შენ ყოველგვარი ბოროტისაგან.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: მინდა, გავეცნო სხვა სარწმუნოების რელიგიურ ლიტერატურას. ეს ცოდვაში ჩამეთვლება?**

**პასუხი:** ლიტერატურით განათლების მიღება ცოდვა არ არის. თუმცა, ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რა საფრთხეს შეიცავს ეს ლიტერატურა. ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილს, ეკლესიისგან ხანგრძლივი ჩამოშორების გამო, აკლია გამოცდილება, რომ უცხო რელიგიური ლიტერატურის გავლენა არ განიცადოს. ამიტომ, თუ აპირებთ ამ ლიტერატურის გაცნობას, გირჩევთ, ჯერ იმ ცოდნას ჩასწვდეთ, რომელიც ჩვენი უფლისა და წმიდა მამების ნააზრევს გადაგიშლით და რწმენას გაგიძლიერებთ. ამის შემდეგ, უცხო რელიგიური ლიტერატურის გაცნობა თქვენს სულიერ მერყეობას აღარ გამოიწვევს.

**კითხვა: რატომ ვიწოდებით მართლმადიდებელ ქრისტიანებად?**

**პასუხი:** მართლმადიდებელ ქრისტიანებად იმიტომ ვიწოდებით, რომ ვართ რწმენის მართლად მადიდებელნი – ესე იგი, ვაღიარებთ ჭეშმარიტებად იმას, რაც მაცხოვარმა გვიანდერძა, დაგვმოძღვრეს მოციქულებმა, გადმოგვცეს წმიდანებმა და შეინახა, დაადგინა აღმსარებლობად ერთიანმა წმიდა მსოფლიო სამოციქულო ეკლესიამ.

**კითხვა: თუკი მომეცა ჩემს მტერზე შურისძიების საშუალება, როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** როდესაც პირადი მტერი ხელთ გივარდება, ეს უნდა ჩათვალო, არა მის სასჯელად, არამედ ხსნად. ჩვენ მით უფრო უნდა დავინდოთ ისინი, რამდენადაც ჩვენზე ხდებიან დაქვემდებარებული. თუ ვინმემ შეურაცხყოფა მოგაყენა, ნუ უპასუხებ შეურაცხყოფით, რათა მას არ დაემსგავსო, ბოროტება იკურნება არა ბოროტებით, არამედ სიკეთით.



**კითხვა: იხდიან თუ არა მორწმუნე ადამიანები დაბადების დღეს?**

**პასუხი:** მართლმადიდებლური ჩვევებით, მორწმუნე ქრისტიანები საკუთარ დაბადების დღეს დიდი ზარ-ზეიმით არ აღნიშნავენ. არ არის მიზანშეწონილი მორწმუნე ადამიანმა დაბადების დღე განსაკუთრებულად წარმოადგინოს და ამპარტავნებაში ჩავარდეს. იყავით ზომიერი და მოკრძალებული ყველაფერში.

# მამათა შეგონებანი

**პროტოპრესვიტერი შმემანი:** უსაქმურობის ნაყოფი მოწყინებაა, რომელშიც სულიერი ცხოვრების ყველა მასწავლებელი სწავლისთვის უდიდეს საფრთხეს ხედავს. ადამიანი, რომელზედაც მოწყინება ბატონობს, რაიმე კარგისა და დადებითის დანახვის ყოველგვარ შესაძლებლობასაა მოკლებული; მისთვის ყველაფერი უარყოფითისა და პესიმისტურისკენ მიდის. ესაა ჭეშმარიტად ეშმაკის ბატონობა ჩვენზე, იმიტომ, რომ ეშმაკი უპირველეს ყოვლისა, ცრუა. ის ღმერთისა და სამყაროს შესახებ სიცრუეს ეუბნება ადამიანს, ის წყვდიადითა და უარყოფით ავსებს ცხოვრებას. მოწყინება, ეს სულის თვითმკვლელობაა, იმიტომ, რომ, თუკი მოწყინება გაბატონდა ადამიანზე, მას სინათლის დანახვისა და მისკენ სწრაფვის ძალა აღარ შესწევს.

**ნილოს სინელი:** ვინც გაიმარჯვა სურვილებზე, მან დაამარცხა ვნებები; ხოლო, ვინც დაამარცხა ვნებები, მას ვერ დაიმორჩილებს მწუხარება. მომთმენი არ წუხს, რომ ვერ იშოვა საზრდელი, უბიწო არ წუხს იმის გამო, რომ ვერ დაიკმაყოფილა ბილწი ვნებები, ურისხველი – რომ ვერ შეძლო შურისძიება, თავმდაბალი – რომ მოკლებულია პატივს კაცთაგან, უანგარო – რომ წარუმატებლობა განიცადა. მათ სრულიად ჩააქრეს საკუთარ თავში ყველა ასეთი წადილი, ამიტომაც არ განიცდიან მწუხარებას; რადგან, ვინც ვნებებს არ ემორჩილება, მას არ სტანჯავს მწუხარება, ისევე, როგორც ჯავშანჩაცმულს არ განგმირავს ისარი.

**სიბრძნე ზირაქისა:** საწყრომია უპატიობა და დიდი სირცხვილი, როცა ცოლი ბატონობს ქმარზე. დამდაბლებული გული, სევდიანი სახე და გულის ჭრილობაა ავი ცოლი; დაშვებული ხელები და დაუძლურებული მუხლები, თავის ქმარს რომ არ აბედნიერებს. ქალისგანაა სათავე ცოდვისა და მის გამო ვიხოცებით ყველანი. ნუ მისცემ წყალს გასავალს და სიტყვის უფლებას ავ დედაკაცს. თუ შენი ხელი ვერ წარმართე, მოიკვეთე იგი შენგან.

**ეფრემ ასური:** როდესაც საზარელი მხედრობა მოდის, როცა ღვთაებრივი სულისამომხდელები უბრძანებენ სულს სხეულიდან გასვლას და როცა ძალით მოგიტაცებენ და მიგვიყვანენ გარდუვალ სამსჯავროდ, მაშინ მათი მხილველი საბრალო ადამიანი... ერთიანად ძრწის, თითქოს მიწა იძრაო... და ღვთაებრივ სულისაღმწოდებლებს აჰყავთ სული ჰაერში, სადაც საძაგელ ძალთა ქვეყნისმპყრობელი მთავრობა და ხელისუფლება დგას. ისინი არიან – ჩვენი ბოროტი შემასმენლები, საზარელი მსჯავრმდებელნი, ისინი გზაზე ხვდებიან ადამიანებს და აღურიცხავენ ახალგაზრდობასა თუ ხანდაზმულობაში ნებით თუ უნებლიეთ ჩადენილ ცოდვებს, რომელნიც სიტყვით, საქმით ან ფიქრით აღასრულეს. დიდი შიში და ბრძოლა შეუდგება იქ უბადრუკ სულს. აუწერელ ტანჯვას განიცდის იგი იქ, გარშემორტყმული აურაცხელი მტრებით, რომლებიც ცილს დასწამებენ, რათა ზეცად აღსვლასა და სასუფევლის დამკვიდრებაში დააბრკოლონ ადამიანის სული, მაგრამ წმიდა ანგელოზები აღაპყრობენ და განარიდებენ.

# რამდენ ფეხბურთელს აქვს გატანილი 300 გოლი ერთი კლუბის მაისურით და ვინ არის მათ შორის ყველაზე შედეგიანი

*„ბარსელონის” შემადგენლობაში გატანილი გოლების მხრივ ლიონელ მესიმ 300-გოლიან ნიშნულს მიაღწია და იმ იშვიათი ფეხბურთელების რიცხვში შევიდა, რომლებსაც ერთი გუნდის მაისურით 300 და მეტი გოლი აქვთ გატანილი. საუბარია ერთეულ ფეხბურთელებზე, რომლებმაც შედეგიანობითა და ერთგულებით სამუდამოდ ჩაწერეს თავიანთი სახელი მსოფლიო ფეხბურთის მატიანეში.*

## პელე („სანტოსი“) – 1 088 გოლი

ცნობილი ბრაზილიელის გარეშე არ გამოდის რეიტინგის გამოქვეყნება. ლეგენდარულმა პელემ თავისი ხანგრძლივი კარიერის დიდი ნაწილი „სანტოსში” გაატარა და 1 115 მატჩში რეკორდული 1 088 გოლის გატანა



მოახერხა. მსგავსი შედეგი არც ერთ მოქმედ თუ უკვე ვეტერან ფეხბურთელს არ დაუფიქსირებია. დიდი ფეხბურთიდან პელე 1977 წელს წავიდა, მანამდე კი რამდენიმე მატჩი ჩაატარა ამერიკულ კლუბ „ნიუ-იორკ კოსმოსში”, თუმცა, ეს უფრო გართობა იყო. ამ 1 088 გოლიდან საუკეთესოდ ფეხბურთის ექსპერტებს „ფლუმინენსეს” კარში 1961 წელს გატანილი გოლი მიაჩნიათ, როდესაც პელემ მოწინააღმდეგე გუნდის თითქმის მთლიანი შემადგენლობა მოატყუა ფინტებით და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

## იან რაში („ლივერპული“) – 346 გოლი

ლეგენდარული უელსელი ფეხბურთელი იან რაში 16 წლის განმავლობაში იცავდა „ლივერპულის” ღირსებას და მის სახელთან ასო-




ცირდება მერსისაიდული კლუბის ყველაზე დიდი გამარჯვებები. თანაკლუბელ ბრიუს გრობელაართან, კენი დალგლიშთან, ალან ჰანსენთან ერთად, რაშმა უძლეველი „ლივერპულის” მითის შექმნას დაუდო სათავე. რაში „ლივერპულის” ყველა დროის საუკეთესო მეგოლეა, ამის გარდა, მის ანგარიშზეა 25 გოლი „ლივერპულის” ყველაზე ცნობილი მეტოქის, „ევერტონის” კარში. ცნობისთვის, 1994 წელს ლეგენდარული ფეხბურთელი თბილისს ესტუმრა უელსის ნაკრებთან ერთად, სადაც ჩვენმა ნაკრებმა თემურ ქეცბაიას (ორი გოლი), შოთა არველაძის, გოჩა გოგრიჭიანისა და გიორგი ქინქლაძის გოლებით ანგარიშით 5:0 გაანადგურა მეტოქე.

## უვე ზეელერი („ჰამბურგი“) – 444 გოლი

ზეელერი „ჰამბურგის” ლეგენდა, გერმანიის ნაკრების კაპიტანი და ბუნდესლიგის დაარსების პიონერია. პრაქტიკულად მთელი თავისი სპორტული კარიერა ზეელერმა გერმანიის ჩრდილოეთით მდებარე ჰამბურგში გაატარა. 18 სეზონის განმავლობაში უვემ 444-ჯერ მოახერხა მეტოქე გუნდის გოლკიპერების დამწუხრება. მან 1953-1972 წლებში იასპარეზა „ჰამბურგში” და მის ყველაზე დასამახსოვრებელ მატჩად გერმანიის თასის 1963 წლის ფინალი ითვლება, როდესაც ზეელერმა მარტომ მოუგო „დორტმუნდს” და სამი უპასუხო ბურთი გაუტანა.

## სტივ ბული („ვულვერჰემპტონი“) – 306 გოლი

საშუალო დონის ინგლისურ კლუბ „ვულვერჰემპტონ უონდერერს” თავისი ლეგენდა




ჰყავს – სტივ ბულმა 561 ოფიციალურ მატჩში 306 გოლის გატანა მოახერხა, მათ შორის – 18 ჰეთ-ტრიკი. კლუბში შედეგიანი თამაშის მიუხედავად, ბულით არ ინტერესდებოდნენ მაღალი დონის კლუბები. ინგლისის ნაკრებში ის სულ 16-ჯერ იყო მიწვეული. ბულის არც ერთი მატჩი არ უთამაშია ინგლისის პრემიერლიგაში, თუმცა, კლუბის ქომაგებისთვის იგი მაინც ნამდვილი გმირია.

## გერდ მიულერი („ბაიერნი“) – 566 გოლი

გერმანული ფეხბურთის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი, გერდ მიულერი, არ საჭიროებს განსაკუთრებულ წარდგენას. ყველა ტურნირში (607 მატჩში) მან 566 გოლის გატანა მოახერხა; მასვე ეკუთვნოდა რეკორდი ერთ კალენდარულ წელიწადში გატანილი გოლების რაოდენობით, რომელიც გასულ წელს ლიონელ მესიმ მოხსნა. მიულერი საკულტო ფეხბურთელად ითვლება გერმანიაში, რომელსაც გოლის ფენომენური ალღო ჰქონდა და იგი მუდამ საჭირო დროს და საჭირო ადგილზე ელოდებოდა პასს. უნიკალურია მისი შედეგიანობა გერმანიის ფედერაციული ნაკრების რიგებშიც – 62 მატჩში მან 68 გოლის გატანა მოახერხა და, ბევრის აზრით, ნაადრევად დაემშვიდობა ეროვნულ ნაკრებს.

## რაული („რეალი“) – 323 გოლი

რაულ გონზალეს ბლანკომ სამეფო კლუბის ისტორიაში საკუთარი სახელი ოქროს ასოებით ჩაწერა. იგი ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია „რეალის” ფეხბურთელებს შორის და სწორედ მან მოახერხა ლეგენდარული ალფრედო დისტეფანოს რეკორდის მოხსნა.




„რეალში” გატარებული 16 წლის განმავლობაში რაულმა 700-მდე მატჩში მოახერხა თავისი შედეგის მიღწევა. ამჟამად ფეხბურთელი ყატარულ კლუბ „ალ საადში” ასპარეზობს.

## ეუსებიო („ბენფიკა“) – 473 გოლი

პორტუგალიური „ბენფიკას” ოქროს ხანა წარმოშობით მოზამბიკელ ეუსებიოს სახელს უკავშირდება. ლისაბონელმა არწივებმა ეუსებიოსთან ერთად 11-ჯერ მოახერხეს გამარჯვება შიდა ჩემპიონატში და ევროპის ჩემპიონთა თასის გამარჯვებულის სახელიც მოიპოვეს. ეუსებიომ 15 წელი ითამაშა კლუბში და ამ პერიოდში 473 გოლის გატანა მოახერხა, რაც ფენომენურ შედეგად ითვლება კლუბისთვის. ეუსებიო თავისი დროის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ფორვარდად ითვლებოდა, რომელსაც 10 მეტრის გარბენა 11 წამში შეეძლო.

## ფერენც პუშკაში („ჰონვედი“) – 358 გოლი

ფერენც პუშკაში „ფიფამ“ მეოცე საუკუნის საუკეთესო ბომბარდირად აღიარა. ლეგენდარულმა უნგრელმა ფეხბურთელმა ბუდაპეშტის „ჰონვედის” შემადგენლობაში 358 გოლის გატანა მოახერხა და შემდგომ წარმატებული კარიერა მადრიდის „რეალში” განაგრძო, სადაც 40 წლის ასაკამდე იასპარეზა.

## ალფრედო დი სტეფანო („რეალი“) – 307 გოლი

სანტიაგო ბერნაბეუს პირად გამარჯვებად



ითვლება არგენტინელი ალფრედო დი სტეფანოს გადაყვანა მადრიდულ სუპერკლუბში. დი სტეფანოთი „რეალის” მოსისხლე მტერი – „ბარსელონა” იყო დაინტერესებული, თუმცა, დი სტეფანო მადრიდში ჩავიდა და იქ გამოავლინა თავისი ბომბარდირული თვისებები. რაულის მოსვლამდე იგი ითვლებოდა „ბლანკოსის” საუკეთესო ბომბარდირად 307 გოლით.

**უშანგი რუხაძე**

## დეპარდიე – „ტერეკის" ყველაზე ცნობილი ქომაგი

მას შემდეგ, რაც ცნობილი ფრანგი მსახიობი ჟერარ დეპარდიე რუსეთის ფედერაციის მოქალაქე გახდა და მორდოვიის დედაქალაქში, სარანსკში ჩაეწერა, ის სრულად ჩაერთო ახალი სამშობლოს ცხოვრებაში. ახლახან დეპარდიე ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ჩავიდა, სადაც რამზან კადიროვს გაუმხილა, რომ ამიერიდან რუსეთის პრემიერლიგაში გროზნოს „ტერეკს" უქომაგებს. ფრანგი ვარსკვლავი გროზნოს „ახმატ არენას" ესტუმრა, შეკრებილ გულშემატკივრებს ფეხბურთზე ესაუბრა და პირობა მისცა, რომ ისევე უგულშემატკივრებს „ტერეკს", როგორც „პარი სენ-ჟერმენს" ქომაგობდა პარიზში ცხოვრების პერიოდში. რუსული მედია იუწყება, რომ ჯერჯერობით უცნობია, რა რეაქცია აქვთ სარანსკის „მორდოვიის" ქომაგებს დეპარდიეს არჩევანზე, თუმცა, რუსეთის პრემიერლიგის აუტსაიდერი გუნდისთვის დეპარდიეს ქომაგობა, შესაძლოა, დიდი სტიმულიც გახდეს.




## დენის როდმანი ჩრდილოეთ კორეაში ჩავიდა

NBA-ს ხუთგზის ჩემპიონი, „ჩიკაგო ბულზის" ლეგენდა და ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური კალათბურთელი, დენის როდმანი, ჩრდილოეთ კორეას ესტუმრა. კალათბურთელი ახალი ტელეშოუს გადამღებ ჯგუფთან ერთად ეწვია ფხენიანს, სადაც მათ მასპინძლობა ქვეყნის ლიდერმა – კიმ ჩენ ინმა გაუწია. ჩრდილოკორეელი ლიდერი და როდმანი საჩვენებელ მატჩს დაესწრნენ კალათბურთში, სადაც ერთმანეთს კორეელი და ამერიკელი მოყვარულები ეთამაშებოდნენ. მატჩი დასრულდა დიპლომატიური ანგარიშით – 110:110, ხოლო როდმანი და კიმ ჩენ ინი მთელი მატჩის განმავლობაში საუბრობდნენ და ილიმებოდნენ. მატჩის დასრულების შემდეგ კიმ ჩენ ინმა ამერიკელებს საკუთარ რეზიდენციაში საზეიმო ვახშამზე უმასპინძლა და როდმანისგან ამერიკაში მიწვევა მიიღო.

## მარადონა კორტზეც მარადონაა




დუბაიში მიმდინარე ჩოგბურთის ტურნირს ლეგენდარული დიეგო მარადონა სტუმრის სტატუსით დაესწრო. არგენტინელი ხუან მარტინ დელ პოტროს მიერ მოგებული შეხვედრის შემდეგ კი, ყველასთვის მოულოდნელად, კორტზე გამოჩნდა და გამარჯვებულთან რამდენიმეწუთიანი მატჩი ჩაატარა. დელ პოტროს თქმით, მარადონა ისევე მარჯვედ ფლობს ჩოგანს, როგორც ფეხბურთის ბურთს. დიეგო დუბაიში თავის ახალ გერლფრენდთან, 22 წლის როსიო ოლივესთან ერთად იმყოფებოდა.

## აირტონ სენას ხელთათმანები

1994 წლის პირველ მაისს ავტოავარიაში ტრაგიკულად დაღუპული ავტომრბოლელის, „ფორმულა 1-ის" ბრაზილიელი ჩემპიონის, აირტონ სენას სპორტული ხელთათმანები, რომლითაც მან 1991 წელს ლონდონში გამართულ საქველმოქმედო აუქციონზე თავისი მესამე საჩემპიონო ტიტული მოიპოვა, 33 ათას დოლარად გაიყიდა. აირტონ სენა სამჯერ გახდა „ფორმულა 1-ის ჩემპიონი" – 1988, 1990 და 1991 წლებში. იგი 34 წლის ასაკში, სან-მარინოს გრანპრის ეტაპის დროს, ტრაგიკულად დაიღუპა – დიდი სიჩქარით მოძრაობისას რკინის ჯებირს დაეჯახა.

## სერენას და მიშელის ცეკვა

მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო ქალმა ჩოგბურთელმა, სერენა უილიამსმა, ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ლედის, მიშელ ობამას მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო აქციაში მიიღო მონაწილეობა. ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდის ფარგლებში წარმოებულ კამპანიას „ლეთს მუვ" ჰქვია და მიშელ ობამამ და სერენა უილიამსმა სხვა სპორტსმენებთან და ბავშვებთან ერთად ცეკვის ვიდეო ჩაწერეს, სადაც ყველას მოუწოდებენ კამპანიაში ჩართვისკენ. სერენა უილიამსი დიდი ხანია თანამშრომლობს მიშელის საქველმოქმედო ორგანიზაციასთან და უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში 50 მილიონი დოლარის გადარიცხვას აპირებს კამპანიის დასახმარებლად.

## ბერხკამპის ქანდაკება ლონდონში

უახლოეს მომავალში, ლონდონში, „არსენალის" საშინაო არენასთან ახლოს ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელის, დენის ბერხკამპის ქანდაკებას დადგამენ. „მფრინავი ჰოლანდიელის" ქანდაკება ადგილს კლუბის ლეგენდების – ტონი ადამსისა და ტიერი ანრის ქანდაკებების მეზობლად დაიკავებს. ბერხკამპი 1995-2006 წლებში თამაშობდა „მეთოფეების" რიგებში და 423 მატჩში 120 გოლის გატანა მოახერხა. ქანდაკების გახსნის ცერემონიალზე დასწრებას თავად ექსფეხბურთელიც აპირებს, რომელიც ამჟამად ამსტერდამის „აიაქსის" მთავარი მწვრთნელის – ფრანკ დე ბურის თანაშემწეა. გარდა საფეხბურთო ოსტატობისა, ბერხკამპი იმითაც იყო საინტერესო ფეხბურთელი, რომ თვითმფრინავის შიში ჰქონდა და გასვლით თამაშებზე ხან მატარებლით, ხან კი ავტომობილით მიემგზავრებოდა, ხოლო უფრო შორ მანძილზე მგზავრობისგან თავს იკავებდა. ცნობილი ფაქტია, რომ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა, დენისი გემით ჩავიდა.




## „ცესკას" ქომაგი – სექსუალური ტანმოვარჯიშე

ტანმოვარჯიშე კაროლინა სევოსტიანოვა, რომელიც ლონდონის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ ოქროს მედლის მფლობელი გახდა, აქტიური სპორტიდან წავიდა, თუმცა, ახლახან კვლავ მოექცა ყურადღების ცენტრში. ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ ტანმოვარჯიშე ქალად მიჩნეული კაროლინა მოსკოვის „ცესკას" ქომაგი აღმოჩნდა. დსთ-ს ქვეყნების ყველაზე სექსუალური სპორტსმენი ქალი ჯერ მხოლოდ 18 წლისაა, თუმცა უკვე ვეტერანი სპორტსმენია და ამჟამად ბედს სამოდელო სფეროში ცდის, სადაც, მისი პარამეტრების გათვალისწინებით, დიდი მომავალი უნდა ჰქონდეს.



## მოურინიოს ქუჩა

მადრიდის „რეალის" მთავარი მწვრთნელის, ჟოზე მოურინიოს სახელობის გახდება ერთ-ერთი ქუჩა პორტუგალიურ სეტუბალში, სახელოვანი სპეციალისტის მშობლიურ ქალაქში. სეტუბალის მერიის გადაწყვეტილებით, მსოფლიო სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის 50 წლის ჟოზე მოურინიო ნამდვილად იმსახურებს ამ პატივს. „განსაკუთრებული", როგორც საკუთარ თავს უწოდებს ჟოზე, 1963 წლის 26 იანვარს დაიბადა სეტუბალში. სხვადასხვა დროს ის წვრთნიდა „პორტუს", „ჩელსისა" და „ინტერს," 2010 წლიდან კი მადრიდული სამეფო კლუბის მთავარი მწვრთნელია.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## როგორ ვიმკურნალოთ ანგინისა და ლარინგიტის დროს

ანგინა ხახის ტონზილების მწვავე ანთებაა. მისი გამომწვევი მიზეზი ყველაზე ხშირად არის A ტიპის B ჰემოლიზური სტრეპტოკოკი. თუმცა, შეიძლება, ხახის ნაცხში ბევრი სხვა მიკრობიც შეიჭრას, მათ შორის: სტაფილოკოკი, სოკო, ნაწლავის ჩხირი, ვირუსები და ასე შემდეგ.

ანგინები, განვითარების კლინიკური ნიშნებისა და სიმძიმის მიხედვით, სხვადასხვა ტიპისაა. თუმცა, ჩივილები კლინიკურად თითქმის ერთნაირად გამოვლინდება ხოლმე. ეს კი არის, ყელის ძლიერი ტკივილი, მაღალი ტემპერატურა, ყლაპვის გაძნელება, საერთო სისუსტე. ამ დროს ხშირად იჩენს თავს ზოგადი ინტოქსიკაციის გამოვლინებები, ასევე, უძილობა, მადის დაკარგვა, სახსრების ტკივილი და ასე შემდეგ.

ანგინის მკურნალობის მეთოდები ინდივიდუალურია, თუმცა, ყველა შემთხვევაში, აუცილებელია ანტიბიოტიკები, ანტიჰისტამინური პრეპარატები, ადგილობრივი ზემოქმედების საშუალებები, მაგალითად: სავლებები, აეროზოლები, საწუწნი აბები, ამოსაწმენდი ხსნარები და სხვა. ასევე, საჭიროა სიმპტომური მკურნალობა, ტკივილგამაყუჩებელი და სიცხის დამწევი პრეპარატების მიღება.

რაც შეეხება პროფილაქტიკას, ამ დროს უნდა მოერიდოთ დაავადებული ადამიანისგან ინფიცირებას. ბევრს სუსტი იმუნიტეტი აქვს და ანგინით ხშირად ავადდება. სასურველია, მათ იმუნოსტიმულატორები მიიღონ და ამით ორგანიზმის იმუნიტეტი გააძლიერონ.

ლარინგიტი ხორხის ლორწოვანი გარსის ანთებაა. ის, ძირითადად ზემო სასუნთქი გზების მწვავე ანთების შედეგად ვითარდება. მისი გამომწვევი მიზეზებია: ინფექცია, ვირუსი, მტვერი, სიგარეტის კვამლი.

ასევე, ლარინგიტი, შესაძლოა, გამოიწვიოს ხმის დაძაბვამ, ნერვიულობამ, სტრესმა და გადაღლამ. ამ დროს აღინიშნება ხმის ჩახლეჩა, უსიამოვნო შეგრძნება ყლაპვის დროს, მშრალი ხველა, სუნთქვის გაძნელება. მკურნალობა, ძირითადად, აეროზოლებითა და ინჰალაციით ხდება. ამ დროს, ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიეტასა და ცხოვრების რეჟიმს. აუცილებელია ხმის დაზოგვა, სიგარეტსა და ალკოჰოლზე უარის თქმა. უნდა მოერიდოთ ტკბილეულს, გაზიან სასმელებსა და ცივ საკვებს.

## სოდიანი წყალი სიგარეტისადმი დამოკიდებულებას ახშობს

მოწევის დროს, ადამიანის ორგანიზმში ხდება სისხლში არსებული ეგრეთ წოდებული „შიშის ჰორმონების" დაშლა. ამიტომ ამბობენ, ადამიანს მოწევა ნაწილობრივ სტრესებისგან იცავს, ადუნებს, ამცირებს ტკივილის შეგრძნებასო. ამ მხრივ, ნიკოტინის მოქმედება ამეფამინის, მორფინისა და დიაზეპამის მოქმედებას ჰგავს.

როცა ადამიანი მოწევას იწყებს, ორგანიზმი წუხს შეუთავსებლობის გამო და ყოველ მოწეულ ღერზე თავბრუხვევით, გულისრევითა და სისუსტით რეაგირებს. მაგრამ, შემდეგ ორგანიზმი ცდილობს, შეეგუოს მისი პატრონის ცხოვრების ასეთ წესს. ნიკოტინთან შესაგუებლად, ცვლილებები ხდება ყველა ორგანოში, ძირითადად კი, სისხლძარღვებში.

თუ დიდი ხანია, მწეველი ხართ, ნიკოტინის რეგულარული მოხმარებისგან თავის დაღწევა დამოკიდებულია, არა თქვენს სურვილზე ან ცნობიერებაზე, არამედ თქვენს ორგანიზმზე.

თუ გსურთ, ნელ-ნელა დაანებოთ თავი მოწევას, ყოველდღე მიიღეთ სამ გრამამდე საჭმლის სოდა. დილით, უზმოზე, სოდა ჩაყარეთ ცივ წყალში, გახსენით და დალიეთ. იგივე გაიმეორეთ საღამოს საათებში. სიგარეტი ზრდის სისხლში მჟავიანობას, სოდა კი იმისთვის არის საჭირო, მჟავატუტოვანი წონასწორობა აღადგინოს.

მოწევისას ორგანიზმში იშლება ვიტამინები. ერთი ღერი სიგარეტი ორგანიზმს 0,1 მილიგრამ ვიტამინს აკლებს. კარგი იქნება, თუ ამ დანაკარგს ლიმონით აინაზღაურებთ.

რეკომენდებულია მწეველმა ადამიანმა, ოთხი კვირის განმავლობაში, დღეში 200 მილიგრამი C ვიტამინი მიიღოს. ასევე, საჭიროა B ჯგუფის ვიტამინებიც. ეს უკანასკნელი დაგეხმარებათ თავი დაანებოთ მოწევას.

ორგანიზმში ნორმალური ქიმიური ბალანსის აღსადგენად, აუცილებელია სრულფასოვანი კვება. შეზღუდეთ კოფეინის შემცველი პროდუქტები, მაგალითად, ჩაი, ყავა, შოკოლადი. კოფეინი აქვეითებს შაქრის შემცველობას სისხლში, რაც თავის მხრივ, ზრდის სწრაფვას არა მხოლოდ ნიკოტინისადმი, არამედ ალკოჰოლისა და ტკბილეულისადმი. ასეთი მკურნალობის პროცესში საჭიროა შემდეგი დიეტის დაცვა: საუზმეზე – ხილი და წვენი, სადილზე – ბოსტნეულის სალათა ან მოხარშული ბოსტნეული, ვახშამზე კი – კვერცხი ან მოხარშული თევზი. შეამცირეთ პური, ბრინჯი, კარტოფილი, ტკბილეული. ამ დროს მიიღეთ დიდი რაოდენობით ნიგოზი, თაფლი, მზესუმზირა, ხშირად ისეირნეთ სუფთა ჰაერზე და ბევრი ივარჯიშეთ.

## დაბალი ჰემოგლობინი მთელ რიგ დაავადებებს იწვევს

გარკვეულ პერიოდში, ადამიანის ორგანიზმში ჰემოგლობინის დონე საგრძნობლად იწევს ქვემოთ, რაც თავბრუხვევას, სისუსტეს, თავის ტკივილსა და მთელ რიგ დაავადებას იწვევს.

თუ გრიპის ან სხვა ინფექციური დაავადების გადატანის შემდეგ, ჰემოგლობინმა დაიწია, შეგიძლიათ, დამოუკიდებლად, სახლის პირობებში ჩაიტაროთ თერაპიის ერთკვირიანი კურსი ხილ-ბოსტნეულის დახმარებით. მაგალითად:

* ორი მესამედი ჩაის ჭიქა ახლად გამოწურული სტაფილოს და ერთი მესამედი ჩაის ჭიქა ჭარხლის წვენი აურიეთ ერთმანეთში. დაუმატეთ 1 ცალი ლიმონის წვენი და მიიღეთ ყოველდღე, ნახევარი ჭიქა, სადილის წინ.

* 100 მილილიტრ ბროწეულის წვენს შეურიეთ ამდენივე ლიმონის, სტაფილოს, ჭარხლისა და ვაშლის წვენი. დაუმატეთ 1 სადილის კოვზი თაფლი და მიიღეთ დღეში სამჯერ, 2-2 სადილის კოვზი, ჭამის წინ. გაითვალისწინეთ, რომ ხილ-ბოსტნეულის ეს კოქტეილი აუცილებლად ყოველდღე ახალ-ახალი უნდა მოამზადოთ.

* აუცილებლად ჩართეთ ყოველდღიურ რაციონში ორთქლზე მოხარშული საქონლის ღვიძლი, ცოცხალი მწვანილი და წითელი ფერის ბოსტნეული. მოერიდეთ მწარე საკვებს.

* კარტოფილის სასარგებლო თვისებები კონცენტრირებულია მის კანში. ამიტომ, როცა მას ფთლით, ფაქტობრივად, ვანადგურებთ ვიტამინებით სავსე ფენას. მიირთვით მოხარშული ახალი კარტოფილი კანიანად.

## ვაშლი საუკეთესო დიეტური პროდუქტია

ვაშლი მდიდარია ორგანული მჟავებით, რკინითა და ვიტამინებით. ის საუკეთესო დიეტური პროდუქტია. მასში არსებული ორგანული მჟავები ხელს უწყობს ნაწლავებში მიკროფლორის გაუმჯობესებას, ხოლო ნორმალური ბიოლოგიური მიკროფლორა, თავის მხრივ, ხელს უწყობს ორგანიზმის მყარი იმუნური სისტემის შენარჩუნებას.

ვაშლი ამცირებს ნაწლავებში დუღილისა და ლპობის პროცესს. ის კარგი შარდმდენი საშუალებაცაა. სასარგებლოა შეშუპების, დიათეზის, ნიკრისის ქარის დროს. ვაშლი დიდი რაოდენობით შეიცავს ფრუქტოზას. ის დიეტური ხილია, მის ზოგიერთ სახეობას არ აქვს უკუჩვენება შაქრიანი დიაბეტის დროს.

ორგანიზმის შეშუპების შემთხვევაში, კარგია შემდეგი სახის ნაყენის მომზადება: გახეხეთ ერთი ვაშლი და გაწურეთ მარლაში. მიღებულ სითხეს დაამატეთ იმდენი-

ვე რაოდენობის წყალი და დაახლოებით 5 გრამი სტაფილოს დაჩეჩქვილი თესლი. მიიღეთ დილით, რადგან საღამოს მისი მიღება გახშირებულ შარდვასაც გამოიწვევს. ასევე, შარდმდენი თვისებების გამო, მისი ხშირად გამოყენება სასურველი არ არის. რეკომენდებულია მხოლოდ ოთხი დღის განმავლობაში.

### წიწიბურა აქვეითებს ქოლესტერინის დონეს და არეგულირებს წნევას

წიწიბურა ადამიანისთვის ძალიან სასარგებლო და ორგანიზმისთვის საჭირო საკვებია. მას ორგანიზმიდან გამოაქვს რადიონუკლედები, ზრდის კუნთების ძალასა და ამტანობას, ამაღლებს პოტენციას, ამაგრებს სისხლძარღვებსა და ნერვულ სისტემას, ეხმარება ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის განკურნებას.

წიწიბურასგან მომზადებული კისელი დაგეხმარებათ სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. ის აქვეითებს ქოლესტერინის დონეს და არეგულირებს წნევას.

მკურნალობისთვის საჭიროა დღეში ორჯერ – დილით და საღამოს, ჭამოთ ასი გრამი წიწიბურას კისელი, რომელიც ასეთი წესით უნდა მოამზადოთ:

* სამი სადილის კოვზი დაფქული წიწიბურა გახსენით ერთ ჩაის ჭიქა ცივ წყალში. ცალკე ჭურჭელში ადუღეთ ერთი ლიტრი წყალი და ნელ-ნელა ჩაასხით შიგ გამზადებული მასა. ადუღეთ ათი წუთის განმავლობაში და თან ურიეთ. შეგიძლიათ, ცოტა ნატურალური თაფლი და ნიგოზიც დაამატოთ, თქვენი გემოვნების მიხედვით.

### ოხრახუშის წვენი თირკმელებს, ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტს წმენდს

ოხრახუში, თავისი უნიკალური თვისებების გამო, ოდითგანვე გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც სამკურნალო მცენარე. ის ეხმარება სისხლის შედედებას. მისი მიღება აუმჯობესებს ფარისებრი ჯირკვლის მოქმედებას.

* შეშუპების დროს, 1 ჭიქა ოხრახუშის დაჭრილ ფოთლებსა და ფესვებს დაასხით 2 ჭიქა მდუღარე წყალი. დააყენეთ თავდახურულ ჭურჭელში მთელი ღამით, დილით კი გადაწურეთ და დაამატეთ 1 ლიმონის წვენი. დალიეთ სადილის კოვზით დღეში 5-6-ჯერ. ორი დღის შემდეგ შეისვენეთ და 3 დღის შემდეგ კვლავ გაიმეორეთ.

* ჰემოგლობინის ასამაღლებლად კარგია მიირთვათ ოხრახუშის ქორფა ფოთლები და ფესვები. ის უებარი საშუალებაა.

* ოხრახუშის წვენს არაერთი დაავადების დროს იღებენ. მათ შორის: თირკმლის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის გასასუფთავებლად.

* 200 გრამ ოხრახუშს დაასხით 2 ბოთლი ბორჯომი და წამოადუღეთ. მიღებული ნახარში დალიეთ ათი დღის განმავლობაში, დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

* ოხრახუშს ჭამენ კენჭოვანი დაავადებების დროს, როგორც შარდმდენ საშუალებას. ასევე, ისეთი ინფექციური დაავადებებისას, როგორიცაა წითელა, ჩუტყვავილა და ქუნთრუშა.

* თუ გსურთ, თირკმელები გაიწმინდოთ, 1-2 სადილის კოვზ დაჭრილ ოხრახუშს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი და გააჩერეთ ცოტა ხნით. სვით მთელი დღის განმავლობაში, როცა მოგწყურდებათ.



გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ

# ექიმის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, არსებობს თუ არა საქართველოში პერიოდული დაავადების მკურნალი ექიმი, რომელიც პერიოდულად გამიწევს კონსულტაციებს, მაგალითად, კოლჰიცინის დოზებთან დაკავშირებით?**

**პასუხი:** პერიოდული დაავადება, ანუ, სომხური დაავადება, იგივე ხმელთაშუა ზღვის ცხელება, აუტოსომურ-რეცესიული გენეტიკური დაავადებაა, რომელიც ხშირ შემთხვევაში ამილოიდოზით (ცილოვანი ცვლის დარღვევა, უფრო ხშირად – თირკმელების) რთულდება. რაც უფრო ადრე იწყება კოლჰიცინით მკურნალობა, მით უფრო ნაკლებია გართულებების განვითარების საშიშროება. კოლჰიცინს იღებენ ხანგრძლივად, პრაქტიკულად, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, 0,5 მილიგრამი დღეში ორჯერ. ამილოიდოზს მკურნალობს ექიმი-რევმატოლოგი.

**კითხვა: ძალიან მიყვარს ტკბილეული, მაგრამ, როგორც კი შოკოლადს შევჭამ, პირის კუთხეებში რაღაც ბუშტუკები მიჩნდება. რა არის ეს – შოკოლადზე ალერგია? მიამებს ფტოროკორტის მალამო. არის თუ არა ფტოროკორტი ჰორმონული პრეპარატი?**

**პასუხი:** შესაძლოა, კანზე გამონაყარი ალერგიული წარმოშობის იყოს. ფტოროკორტის ასე მოხმარება დაუშვებელია, ის ფტორირებულ ჰორმონთა ჯგუფს განეკუთვნება და ბევრი გვერდითი მოვლენა აქვს. დიაგნოზის დასაზუსტებლად და ეფექტური მკურნალობის შესარჩევად მიმართეთ ალერგოლოგს.

**კითხვა: 2003 წელს გავიკეთე დიფტერიისა და ტეტანუსის საწინააღმდეგო აცრა 10 წლით. ახლა 2013 წელია, საჭიროა თუ არა ისევ აცრა?**

**პასუხი:** ზრდასრულ ადამიანებს დიფტერიისა და ტეტანუსის საწინააღმდეგო აცრა უტარდებათ, ერთჯერადად ყოველ 10 წელიწადში.

**კითხვა: ვარ 34 წლის. ცოტა ხნის წინ დამისვეს დიაგნოზი: საშვილოსნოს მიომა (მრავლობითი, მცირე ზომის); ადენომიოზის დიფუზური ფორმა. დამინიშნეს მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, რომლებიც ანელებენ კვანძების ზრდას. ნუთუ სხვა მკურნალობა არ არსებობს? არის თუ არა ავთვისებიანში გადაზრდის საშიშროება?**

**პასუხი:** მსგავს შემთხვევებში მიომის ავთვისებიან სიმსივნეში გადაზრდის საშიშროება 1 პროცენტზე ნაკლებია. არსებობს მკურნალობის რამდენიმე ვარიანტი, საჭიროა სპეციალისტის კონსულტაცია. კვანძოვანი მიომის განკურნება, ფაქტობრივად, არ ხდება. მნიშვნელოვანია, რომ კვანძები ინტენსიურად არ იზრდებოდეს, ამიტომ, დააკვირდით დინამიკაში. დიდი კვანძებისა და ადენომიოზის შემთხვევაში საფიქრებელია ქირურგიული მკურნალობა.

**კითხვა: იქმნება თუ არა რეზუსკონფლიქტი რეზუსუარყოფითი მამისა და რეზუსდადებითი დედის შვილისთვის? როგორ იმოქმედებს მსგავსი სიტუაცია ბავშვის ჩასახვასა და მის ჯანმრთელობაზე?**

**პასუხი:** რეზუსკონფლიქტი, ანუ, რეზუსანტისხეულების გამომუშავება, რეზუსუარყოფითი ორსულის შემთხვევაში ხდება მაშინ, თუ ნაყოფს მამისგან მიღებული დადებითი რეზუსი აქვს. როგორც ხედავთ, თქვენს შემთხვევაში ასეთი სიტუაცია შეუძლებელია.

**კითხვა: ჩემს მეუღლეს დაუდგინეს ქრონიკული პანკრეატიტი. რა პროდუქტების მიღება შეიძლება მისთვის?**

**პასუხი:** ქრონიკული პანკრეატიტის დროს რაციონიდან უნდა გამოირიცხოს ცხარე, შებოლილი, ცხიმიანი პროდუქტები, ხორცის ნახარშები. არავითარი ალკოჰოლი! კვება რეგულარული, დღეში 4-5-ჯერ მცირე ულუფებით.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# ფილმი, რომლის გამოც ოთარ იოსელიანს კინემატოგრაფში დარჩენა აუკრძალეს

„აპრილი", „იყო შაშვი მგალობელი", „პასტორალი", „მთვარის ფავორიტები", „და იყო სინათლე", „გიორგობისთვე", „ნადირობა პეპლებზე", „საქართველო, ეული", „ყაჩაღები", „მშვიდობით, მშობლიურო მიწავ!", „ორშაბათი დილა", „შემოდგომის ბაღები..." – მისი ფილმები, რომელთა დიდი ნაწილი საფრანგეთშია გადაღებული, ქართული საზოგადოებისთვის არც ისე ცნობილია. ისინი აგებულია იმაზე, თუ როგორ ამონებს ნებისმიერი სოციალური სტრუქტურა პიროვნებას და როგორი ბედნიერი ხდება ადამიანი, როგორც კი თავს აღწევს ამ მონობას. ოთარ იოსელიანი ერთ-ერთია იმ რეჟისორთა შორის, რომლის ფილმებიც საბჭოთა რეჟიმის დროს ყველაზე დიდ ზეწოლას განიცდიდა – არ აღიარებდნენ და მაქსიმალურად ზღუდავდნენ მის ხელოვნებას. დღეს ამ გენიალური შემოქმედის დღიურებს წაიკითხავთ, რომელიც, ვფიქრობ, კინოს თვალთახედვით უფრო საინტერესოა. აგერ უკვე 30 წელზე მეტია, რაც ბატონი ოთარი პარიზში ცხოვრობს. ის ერთნაირად უყვართ ქართველებსაც, რუსებსაც, ფრანგებსაც და ყველა თავის რეჟისორად მიიჩნევს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოთარ იოსელიანს საბჭოთა კავშირში მუშაობა ძალიან უჭირდა „თავიდანვე პარადოქსულ ფილმებს ვიღებდი, რაც მოსკოვს ძალიან აღიზიანებდა. რასაკვირველია, საქართველოს ხელმძღვანელობა ემორჩილებოდა ცენტრალურ მთავრობას და, გაირკვა, რომ „პასტორალის" შემდეგ, კინემატოგრაფში ჩემი ადგილი აღარ იყო. ეს არ იყო ანტისაბჭოთა ფილმები, მაგრამ, ისეთ განწყობას ქმნიდნენ, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება საერთოდ არ არსებობდა. „გიორგობისთვე", „იყო შაშვი მგალობელი", „პასტორალი" აბსოლუტურად სისტემის გარეთ იდგა. გამომდინარე იქიდან, რომ უპირატესობას მსუბუქ ქართულ კომედიებს ანიჭებდა, ამ ფილმებმა მოსკოვი ძალიან გააღიზიანა და მითხრეს, თქვენ კინოს აღარ გადაიღებთო. მაშინ ედუარდ შევარდნაძეს ვთხოვე, რომ უცხოეთში მუშაობის უფლება მაინც მოეცათ. წავედი და გადავიღე „მთვარის ფავორიტები". როცა დავბრუნდი, ეგრეთ წოდებული პერესტროიკის ხანა დამხვდა... პრაქტიკულად, ჩვენი კინემატოგრაფის ნგრევაც აქედან დაიწყო. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის სტუდიები თვითდაფინანსებაზე გადავიდნენ"...





ოთარ იოსელიანი იძულებული გახდა, სამუდამოდ დაეტოვებინა საქართველო. მან მოღვაწეობა საფრანგეთში განაგრძო – ეგონა, თავისუფალ ქვეყანაში ჩავიდა, სადაც გააკეთებდა იმას, რაც უნდოდა, მაგრამ... საფრანგეთში ადვილი არ აღმოჩნდა საკუთარი თავის რეალიზება. კინოკომპანიებს მიაჩნდათ, რომ მის ფილმებს პუბლიკა აითვალწუნებდა. იყო გარკვეული სირთულეები მანამ, სანამ ოთარ იოსელიანი არ შეხვდა ადამიანებს, რომლებსაც, უბრალოდ, უყვარდათ კინო და კარგი ფილმების შესაქმნელად ყველაფერზე მიდიოდნენ. აგერ უკვე ათეული წლებია, რაც იოსელიანი ფილმებს იღებს საფრანგეთში, მაგრამ, ფრანგულ კინემატოგრაფიას არ აქვს თანხები და სანახევროდ რუსეთი აფინანსებს – ის სახელმწიფო, რომლის უაზრო რეჟიმსაც თავის დროზე რეჟისორმა პროტესტი გამოუცხადა, თუმცა, ეს რომ არა, ძალიან გაუჭირდებოდა მას თავისი საქმის კეთება. ახლა უკვე ხშირად მართავს მოსკოვი ზეიმებს ოთარ იოსელიანის პატივსაცემად, რადგან ქართველი რეჟისორი იქ ძალიან უყვართ, მიუხედავად თავისი დამოკიდებულებისა და, მასაც ჰგონია, რომ რუსეთსა და საქართველოს ბევრი აქვს საერთო ხელოვნებისა და კულტურის კუთხით.


ფედერიკო ფელინისთან ერთად

კინო – ეს ძვირად ღირებული სამუშაოა. მას უნდა ემუშავა, რადგან, უბრალოდ, არ შეეძლო უსაქმოდ ყოფნა; არ შეეძლო, ყოფილიყო იმის მოლოდინში, რომ ოდესღაც ვინმე გაიმეტებდა ფულს და რეჟისორიც ფილმს წარმოებაში გაუშვებდა. ის ხომ არ არის რეჟისორი, რომელიც წლობით იღებს ფილმს – ის მხოლოდ ორ თვეს ანდომებს ერთი ფილმის გადაღებას. მოიფიქრებს თუ არა სიუჟეტს, მაშინვე უნდა გადაიღოს, ძალიან სწრაფად. მას მოჰყავს ელდარ შენგელაიას და ლანა ღოღობერიძის მაგალითები და ამბობს – ისინი პოლიტიკაში იმიტომ წავიდნენ, რომ







ველარ იღებდნენ ფილმებსო. მას არ უნდა, პოლიტიკით დაკავდეს და პროფესია შეიცვალოს და, სადაც არ უნდა იღებდეს ფილმს – პარიზსა თუ მოსკოვში, იღებს ისე, როგორც გადაიღებდა საკუთარ ქვეყანაში. იოსელიანი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება სცენარს, გადაღებასა და მონტაჟს. საკუთარ სამშობლოში დაბრუნების სურვილს კი ჯერჯერობით არ გამოთქვამს. ის ამბობს, რომ, თუ სამშობლოში დაბრუნდება, მაშინ უნდა გაყიდოს ვაშლი და არა საკუთარი საქმე აკეთოს,



თუმცა, ის დიდი გულისტკივილით იხსენებს ძველ დროს და აღიარებს, რომ საქართველოს გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, ამიტომ, თავისუფალ დროს საქართველოში ჩამოდის. „ჩემი ნამუშევარი „შანტრაბა" ***(წარდგენილი იყო კანის კინოფესტივალზე, – ავტორი)*** მუდმივი შემოსევების შესახებ მოგვითხრობს. რუსეთის შემოსევებმა გაანადგურა ბევრი ქვეყანა, განსაკუთრებით დრამატული კი ეს საქართველოსთვისაა. რუსები არასდროს მოქცეულან ცივილიზებულად. ისინი არ ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას. პუტინის, მედვედევის, ბრეჟნევის, სტალინისა და ლენინის მსგავსი მეზობლების გვერდით ცხოვრება კოშმარს ჰგავს, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ქართველებს რუსები მაინც არ სძულთ," – ამბობს რეჟისორი.



გადასაღებ მოედანზე



აფრიკაში

ოთარ იოსელიანმა 1952 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია კომპოზიციის, დირიჟორისა და ფორტეპიანოს განხრით. 1953 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. 1961 წელს დაამთავრა რუსეთის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი (ვგიკი), ალექსანდრ დოვჟენკოსა და მიხეილ ჭიაურელის კლასი; მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში" რეჟისორის ასისტენტად, შემდეგ – მემონტაჟედ და დოკუმენტური ფილმების რეჟისორად, 1961 წლიდან კი



გიორგი შენგელაიასთან და სერგო ფარაჯანოვთან ერთად

იყო სტუდიის რეჟისორი და სცენარისტი. 80-იანი წლებიდან მოღვაწეობს საფრანგეთში. არის საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი; მიღებული აქვს რუსეთის დამოუკიდებელი პრემია „ტრიუმფი", ბერლინის აკადემიის მთავარი პრემია, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, საფრანგეთის აკადემიის ოქროს მედალი.

**ეკა პატარაია**

# თბილისის რომელ სასტუმროში ცხოვრობდა 1921 წელს მიხაილ ბულგაკოვი და რის გამო დაანგრიეს ქამოანთ ეკლესია სასახლის ქუჩაზე

**(ოცდამესამე გვერდიდან)**

და გამომცემლობა „სახალხო გაზეთი". დავით სარაჯიშვილის სახლის მომდევნო შენობაში, რომელიც ციციშვილებს ეკუთვნოდათ, პირველ მსოფლიო ომამდე ფუნქციონირებდა სასტუმრო „ვიქტორია" და, ასევე, სხვა ორგანიზაციები: ცატუროვის შპალერის „მაღაზია, „დონარ და ლეიტცის მანუფაქტურა," ბ. სამადაშვილის ცნობათა კანტორა და ფაბრიკა „კრისტალის" წარმომადგენლობა.



საქართველოში ეგზარქოსის დახვედრის ცერემონიალი სასახლის ქუჩაზე

## ქამოანთ ეკლესია

სასტუმრო „სევერნიე ნომერას" უკანა მხარეს, სასახლის ქუჩაზე სომხურ-გრიგორიანული ტაძარი, ქამოანთ სურბ გევორქის ეკლესია იდგა. სომხურ წყაროებზე დაყრდნობით, ეკლესია გაბრიელ ქამოიანის მიერ იყო აგებული. ეკლესიას უკანასკნელი რეკონსტრუქცია თბილისელმა არქიტექტორმა პავლე ზურაბიანმა ჩაუტარა. ეკლესიის წინ რამდენიმე ერთსართულიანი შენობა იყო განთავსებული, სადაც „ომეგას" ფირმის საათები და საკონდიტრო ნაწარმი იყიდებოდა. ქამოანთ ეკლესია 1930-იან წლებში, გასაბჭოების შემდგომ პერიოდში რუსთაველის გამზირის გაფართოების მიზნით დაანგრიეს.

## კავკასიის არმიის საოლქო შტაბი

რუსთაველის გამზირისა და თავისუფლების მოედნის დამაკავშირებელ მონაკვეთზე მდებარე ეს უძველესი შენობა 1824-1825 წლებში აშენდა





ქამოანთ ეკლესია სასახლის ქუჩაზე (1900-იანი წლები)

და, ფაქტობრივად, მისი კედლებიდან იწყებოდა სასახლის ქუჩა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ძველი შენობა თბილისში, რომელსაც პირვანდელი სახე თითქმის შენარჩუნებული აქვს. თავდაპირველად შენობაში განთავსებული იყო ქალაქის თვითმმართველობის ორგანოები და მას „საქალაქო სახლი" ერქვა. მოგვიანებით აქ კავკასიის კორპუსის შტაბი (კავკასიის არმიის საოლქო შტაბი) განთა-



კავკასიის არმიის საოლქო შტაბი (1900-იანი წლები)

ვსდა, საბჭოთა პერიოდში კი სამხედრო პროკურატურა იყო. შენობა ადრეული რუსული კლასიციზმის ნიმუშად ითვლება. მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა პარაპეტს ამოფარებული კოშკი, რომელსაც ოთხივე მხარეს სასაათე ღიობი გააჩნია. კოშკზე საათი 1829 წელს დაუმონტაჟებიათ, ამჟამად კი კოშკი საათის გარეშეა. საბჭოთა პერიოდში ამ შენობაში სამხედრო პროკურატურა იყო, დღეს კი იქ რამდენიმე ორგანიზაციაა განთავსებული.

**უშანგი რუხაძე**

**ბევრი ადამიანი ფიქრობს, ტვინს იჭყლეტს, როგორ გაიუმჯობესოს მატერიალური მდგომარეობა, იპოვოს სასურველი და საყვარელი მეორე ნახევარი, მოაგვაროს კონფლიქტური ურთიერთობები ახლობლებსა თუ მეგობრებთან; როგორ მიაღწიოს სანუკვარ თანამდებობას და განახორციელოს მასშტაბური პროექტები, რომელზეც დიდი ხანია, ოცნებობს და ასე შემდეგ. არადა, როგორც პარაფსიქოლოგი და ეზოთერიკოსი, ქალბატონი ნანი ამბობს, ყველაფერს ადვილად მიაღწევთ, თუ თქვენი ოცნების სამყარო, ანუ საცხოვრებელი სახლი ამაში ხელს შეგიწყობთ და მისი ინტერიერი სწორად იქნება დაგეგმილ-მოწყობილი.**

# როგორ უნდა აიცილოთ ოჯახური კონფლიქტები სწორად მოწყობილი საცხოვრებლის ენერგეტიკის ხარჯზე



**ნანი**: დიასახლისების უმრავლესობა საცხოვრებელ ბინას, კვირაში ერთხელ მაინც გენერალურად ალაგებს, ნივთებსა და ავეჯს ადგილს უცვლის, ახალს იძენს, აახლებს. მერე ზის საათობით და ფიქრობს ათასგვარ რამეზე. მაგალითად, რატომ არ მისდის საქმე კარგად, არ უმართლებს სიყვარულში, ვერ შოულობს სამსახურს და ასე შემდეგ. მოკლედ, საქმიანობენ და არც კი ფიქრობენ იმაზე, რომ სწორედ ამაში უნდა ეძებონ ბედის გასაღები. მე, როგორც პარაფსიქოლოგი და ამასთანავე ეზოთერიკოსიც, გირჩევთ, თუ რამის შეცვლა გნებავთ პირად ცხოვრებაში, ან არასასურველი სიტუაციის გამოსწორებას გეგმავთ, მაშინ თქვენს ბინაში ნებისმიერ ნივთს ფრთხილად მოეპყარით და ის წესები გაითვალისწინეთ, რაც აუცილებლად დადებითად აისახება თქვენს მომავალზე. ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ ბინის აურა ადამიანის პირად ცხოვრებასა და კარიერაზე აგებს პასუხს. რასაკვირველია, ეს ასეა. თუ ცხოვრებაში რაიმე სიახლეს გეგმავთ, მაშინ ბინაში ნებისმიერ ნიუანსსა თუ წვრილმანს უნდა მიაქციოთ სათანადო ყურადღება, სწორად განალაგოთ ნივთები, გადაანაწილოთ ავეჯი, ჭურჭელი და ისე დაელოდოთ სანუკვარი ოცნებების ახდენას.

**– და ეს რაიმეს შეცვლის?**

– დიახ. ბინის აურა სამსახურსა და პირად ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. დასანანია, რომ ბევრი ამას არ ითვალისწინებს და ახლობლებს წუწუნით აბეზრებს თავს. არ ჯობია, ჯერ სცადოთ, მერე კი შედეგზე იმსჯელოთ. ვფიქრობ, ნამდვილად აჯობებს. მაგალითად, თუ სამსახურის შეცვლა გინდათ, დაწინაურებაზე ოცნებობთ და გსურთ, ფინანსებისა და შემოსავლების გაორმაგება, მაშინ საცხოვრებელი უნდა მოამზადოთ ამისთვის და არა დაჯდეთ და იფიქროთ არარეალურზე. უპირველესად, აუცილებლად გაიტანეთ ბინიდან ის მცენარეები, რასაკვირველია თუ გაქვთ, რომლებიც ენერგეტიკულ ვამპირად მიიჩნევა. ასეთებია ლიანები და გვიმრა. ასევე, ეცადეთ, ოთახის კედლები ღია ფერის ტონალობაში შეღებოთ, განათება კი უფრო გააკაშკაშოთ. აქ მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორი: გაითვალისწინეთ, რომ თუ კარიერაში წინსვლა გსურთ, ჭაღის ნათურები იატაკს კი არ უნდა უყურებდეს, ჭერისკენ უნდა იყოს მიმართული. თუ მასშტაბური გეგმების განხორციელებაზე ოცნებობთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ბინის შესასვლელს. ის გემოვნებით და სადად უნდა მოაწყოთ, აუცილებლად კარგად გაანათოთ და მუდამ დასუფთავებული და მოწესრიგებული გქონდეთ. ვინც, ჯერჯერობით ვერ შეხვდა პიროვნებას, რომელთანაც იდეალურ სასიყვარულო-რომანტიკულ ურთიერთობას ააწყობდა, თავს დაცულად და ბედნიერად იგრძნობდა, აღარ დატანჯავდა მარტოობა, ხანგრძლივად იქნებოდა ასეთ სასიყვარულო გარემოში და ოჯახის შექმნაზეც იფიქრებდა, ასეთ შემთხვევაში, სანამ რაიმეს შეცვლას გადაწყვეტთ, კარგად გადახედეთ საკუთარ ბინას. ასე, მოძებნით პრობლემის მოგვარების გასაღებს და ადვილადაც შეძლებთ, კარი გაუღოთ ბედნიერებას.

**– როგორც ჩანს, ადამიანმა მარტოობის ენერგეტიკასთან ბრძოლა საკუთარი ბინის მოწყობით უნდა დაიწყოს?**

– ვიცი, ბევრისთვის ეს შეიძლება სასაცილო თემაა, მაგრამ სცადონ და თუ თავს მომავალში ისევ მარტოსულად იგრძნობენ, მერე გაიცინონ. დამიჯერეთ, მე ამ საკითხებში კარგად ვარ გარკვეული და ბევრი ადამიანისთვის მიმიცია საშველი, მომავლის იმედის ნაპერწკალი ამინთია თვალებში და დღეს უკვე დაოჯახებულები ჩემთან მეგობრობენ. კიდევ ვამბობ, სანამ რაიმეს იტყვი, ჯობია, სცადო და

> **თუ სამსახურის შეცვლა გინდათ, დაწინაურებაზე ოცნებობთ და გსურთ, ფინანსების და შემოსავლების გაორმაგება, მაშინ თქვენი საცხოვრებელი უნდა მოამზადოთ ამისთვის**

მერე განსაჯო. სხვათა შორის, მარტოობის ენერგეტიკასთან ბრძოლის მეთოდები და ხერხები, უძველესი დროიდანაა ცნობილი. შემიძლია, რამდენიმე რჩევა აქვე მოგაწოდოთ, რაც აუცილებლად დაგეხმარებათ ამ პრობლემის გადაჭრაში. მაგალითად, ხშირად დაპატიჟეთ ბინაში მეგობრები თავის შეყვარებულებთან ერთად, რათა მათი ენერგეტიკა თქვენზეც გადმოვიდეს. გაათავისუფლეთ საცხოვრებელი ზედმეტი და უსარგებლო ნივთებისა და ავეჯისგან. ფანჯრებზე ღია ტონალობის, გამჭვირვალე ფარდები ჩამოაფარეთ. იატაკზე დააგეთ ფარდაგები და ოთახი წითელი ფერის, სასიყვარულო ენერგეტიკის მქონე შუქით გაანათეთ. წითელი ფერი ცეცხლის ენერგიით აგავსებთ და სიყვარულს მოიზიდავს. ასე რომ, თუ ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებების შეტანა გსურთ, დაემშვიდობეთ ძველს და ბინა სინათლითა და სიახლით აავსეთ. ანუ, ადგილი, სადაც მეტ დროს ატარებთ, მშვიდი და კომფორტული უნდა იყოს. სახლი დილა-საღამოს აუცილებლად გაანიავეთ. ასევე, გაითვალისწინეთ, რომ გასათხოვარი გოგონას სახლში არ უნდა ინახებოდეს გაბზარული, გატეხილი და შელახული ჭურჭელი თუ ავეჯი. კარგია ასევე, თუ საძინებელში, სარკეზე გასათხოვარი გოგონა ფერად მძივებს დაკიდებს. მესმის, რომ დღეს ბევრს იმის საშუალება არ აქვს, ახალი ნივთები თუ ავეჯი შეიძინოს. მაგრამ, ზოგიერთი დეტალის შეცვლა ნებისმიერს შეუძლია, მით უმეტეს, თუ ეს მის კეთილდღეობაზე აგებს პასუხს. თან, თუ ადამიანს ოდნავი ფანტაზია მაინც აქვს, ეს არ გაუჭირდება.

**– ოჯახური კონფლიქტის თავიდან არიდება შესაძლებელია სწორად მოწყობილი საცხოვრებლის ენერგეტიკის ხარჯზე?**

– დამიჯერეთ, ესეც შესაძლებელია. თუ გსურთ, ოჯახის წევრებთან კამათს თავი აარიდოთ, მაშინ იმ ოთახში, სადაც ხშირად იკრიბებით, ეცადეთ, განათება მკაფიო იყოს. კედლებზე სასიამოვნო აურის სურათები დაკიდეთ, მაგალითად, ბუნების პეიზაჟები, ლარნაკში მუდამ გქონდეთ სურნელოვანი მინდვრის ყვავილები. ამით ჰარმონია და სიმშვიდე შემოვა თქვენს ბინაში. ამიტომ, დიასახლისმა მხოლოდ კი არ უნდა დაალაგოს, დააწკრიალოს და დაგავოს სახლი, არამედ უნდა ისწავლოს მისი სწორად მორთვა, რომ პრობლემებიც აიცილოს თავიდან, ოჯახის წევრების შექებაც დაიმსახუროს და სიყვარულიც ეწვიოს. ჩემს გარშემო, ბევრმა გაითვალისწინა ჩემი რჩევები და დღეს თავს მშვიდად და სასიამოვნოდ გრძნობენ. რაც მთავარია, სახლში სასიამოვნო აურას თქვენივე განწყობით ქმნით. ამიტომ ეცადეთ, მუდამ გაღიმებული დახვდეთ სამსახურიდან მოსულ ოჯახის წევრებსა თუ სტუმრებს. ეს განწყობაც გადამდებია და მასში მთავარი როლი დიასახლისს აკისრია. ასე რომ, როგორი „ამინდიც" არის სახლში, ისე წარიმართება თქვენი ცხოვრება. ამ ამინდის შექმნა კი, თუ ზემოთ მოყვანილ, ელემენტარულ რჩევებს გაითვალისწინებთ, ნამდვილად შეგიძლიათ.

**ნონა დათეშიძე**

## არავითარი ნეგატივი...

ჩვევა – ყველაზე ახლობელ, საყვარელ ადამიანზე „გადმოანთხიო“ შენი გაღიზიანება და უკმაყოფილება, ლამის ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ვეღარც კი ვხვდებით, ისე ვუშვებთ შეცდომას, რომელსაც ნელნელა საკმაოდ მძიმე შედეგებამდე მივყავართ. გაღიზიანებულები კი სულ ვართ. ამაში ცხოვრების რიტმი ძალიან გვიწყობს ხელს. რატომღაც ხდება ისე, რომ ნაკლებად ვფიქრობთ პატარ-პატარა სიამოვნებებზე. მაგალითად, დამღლელი დღის შემდეგ, ძალიან სასარგებლოა ერთი ფინჯანი სურნელოვანი ჩაი. სანამ ოჯახის წევრებს საყვედურებით აიკლებდეთ, რომ თქვენს შრომას პატივს არ სცემენ, დალიეთ ჩაი და დაისვენეთ. ნეგატივს ნეგატივი კი არ დაუმატოთ, არამედ გათავისუფლდით მისგან.

ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ პარტნიორებისთვის აუცილებელია ერთმანეთთან საუბარი; თანაც, განყენებულ მატერიებზე, ზოგადად, საკამათო თემებზე. უკეთესად რომ გავუგოთ ერთმანეთს და არ დავკარგოთ ინტერესი ერთმანეთის პიროვნების მიმართ, გაღიზიანების გამოხატვას გაცილებით ჯობია, გულითადი საუბარი.

და კიდევ... იპოვეთ მიზეზი დღესასწაულებისთვის. პატარა მიზეზი და პატარა დღესასწაული – პოზიტივი ნეგატივის სანაცვლოდ და კიდევ ერთი მშვენიერი დღე.

## ჯილდო მამაცობისთვის

როგორ უნდა გაიცნო მამაკაცი?! ხომ ხდება ისეც, რომ ჭკვიანიც ხარ, წარმატებულიც, განათლებულიც, კარგი გარეგნობის, მაგრამ საპირისპირო სქესის ყურადღების მიღმა რჩები... ვის უნდა დააბრალო საკუთარი წარუმატებლობა? გაუბედაობას?! მაშინ, რა გიშლით ხელს, იყოთ უფრო მამაცი და გამბედავი? სტერეოტიპი, რომ ურთიერთობა მამაკაცმა უნდა დაიწყოს?! გათავისუფლდით ამ მოსაზრებისგან და ნუ აუკრძალავთ საკუთარ თავს იმას, რისი გაკეთებაც მართლა გინდათ. დაფიქრდით, ნუთუ ცხოვრების განმავლობაში სხვა სტერეოტიპი არ დაგინგრევიათ? ესეც ხომ ჩვეულებრივი სტერეოტიპია. იცით, რამდენი მშვენიერი ოჯახი არ შეიქმნებოდა და არ შედგებოდა ურთიერთობა წყვილებს შორის, ქალს სტერეოტიპი რომ არ დაერღვია?! იქნებ, ღირდეს, შეცვალოთ მოქმედების სცენარი. თუ ჯერ კიდევ ვერ შეგამჩნიათ, გააკეთეთ ისე, რომ აღმოგაჩინოთ. თამამად გაუღიმეთ, თანაც, ისე, რომ სტიმული მისცეთ. ანუ, გათამამდით და გაათამამეთ ისიც. თავდაჯერებულობა, სიმსუბუქე, იუმორი და უშუალობა ხიბლავს ყველა კაცს, მით უმეტეს, ურთიერთობის პირველ ეტაპზე. მამაკაცებს მამაცი და თამამი ქალებიც მოსწონთ. შეიძლება, არ აღიარებენ, მაგრამ, ფაქტები ამას მოწმობს. იმაშიც ნუ შეგეპარებათ ეჭვი, რომ სიმამაცისთვის ჯილდოს მიიღებთ... მაგრამ, ეს უკვე სხვა ისტორიაა.

## სასარგებლო „შპარგალკა“

ნუ იქნებით ნაცრისფერი თაგუნია. ხშირად გაუღიმეთ ადამიანებს. „ჩართეთ“ უბრალო მექანიზმი: „გაუშვით“ კომპლიმენტები დადებით ენერგიასთან ერთად და მიიღეთ დივიდენდები. ეს აუცილებლად იქნება.

შეეცადეთ, არ წაიკითხოთ სასიყვარულო რომანები. გამოგონილი ისტორიები ძალიან გაგიტაცებთ და რეალობას დაგაშორებთ. გაიზრდება რისკი, ისეთად ვერ აღიქვათ ურთიერთობა, როგორიც ჭეშმარიტად არის.

არსებობს ძალიან ბევრი სასიამოვნო გასართობი – სპორტი, შოპინგი... თავდაჯერებულობა გაკლიათ? – ივარჯიშეთ და შეიცვალეთ სტილი. ნაკლები იფიქრეთ და მეტი იმოქმედეთ. იყავით მოლოდინის რეჟიმში, მაგრამ ამან ძალიან არ ჩაგითრიოთ. არასოდეს იფიქროთ, რომ რომანტიკამ სამუდამოდ მიგატოვათ. გააცნობიერეთ ის, რომ ცხოვრება საკმაოდ გულუხვია და ხშირად გვაჯადოებს სასიამოვნო სიურპრიზებით. უბრალოდ, ჩვენ ვერ ვამჩნევთ ამას.

მთავარია – მზად იყო ყოველგვარი მოულოდნელობისთვის. არ შეგეშინდეს, გარისკო და დაიწყო ყველაფერი თავიდან... მაშინ ცხოვრება აუცილებლად გაგიკეთებთ ერთ დიდ, საუკეთესო და სანატრელ სიურპრიზს!

## მინდოდა, ასეთი...

და... ეს სულაც არ არის გასაკვირი. ბუნებრივია, რომ ქალს ცხოვრების თანამგზავრად ისეთი მამაკაცი უნდოდეს, რომელიც მისი საიმედო დასაყრდენი იქნება. ფსიქოლოგებიც გეტყვიან, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები, როცა მომავალ პარტნიორს აფასებენ, აკონკრეტებენ: მინდა, ჩემი ქმარი იყოს თბილი, ალერსიანი, ერთგული, მზრუნველი, ყურადღებიანი, დიდსულოვანი, მხიარული, კეთილი, მომთმენი... დადებით თვისებათა სრული კომპლექტია, ხომ მართალია?! შეუძლებელია, იპოვო მამაკაცი ხასიათის ამ თვისებებით. ჩვენ თავადაც არ ვართ სრულყოფილები. არჩევნის გაკეთებისას, რაღაც „ნაკლოვანებებზე“ თვალის დახუჭვა გიწევს. სხვანაირად, მთელი ცხოვრება მარტო ყოფნისთვის გაიწირები. ყველაზე პოპულარული მამაკაცის თვისებებს შორის არის: ერთგულება, საიმედოობა, მზრუნველობის უნარი, დიდსულოვნება და იუმორის გრძნობა. უბრალო, ადამიანური ბედნიერებისთვის სრულიად საკმარისია ის, რაც ჩამოვთვალეთ. თუმცა, ასეთი „მოკრძალებული“ „კომპლექტიც“ არ არის ადვილად ხელმისაწვდომი.

პრინციპში ვის უნდა უნდოდეს მამაკაცი, რომლის იმედიც ვერაფერში გექნება და რომლისგანაც ელემენტარულს ვერ მიიღებ.

ერთგული და საიმედო მამაკაცის პოვნა შეიძლება. მაგრამ არსებობს ერთი, პატარა პრობლემა: ზოგჯერ ასეთი მამაკაცი გვერდით გყავს და ვერ ამჩნევ. თუ თეთრ ცხენზე ამხედრებულ უფლისწულს ელოდებით, მთელი ცხოვრება ისე ჩაივლის, ვერ აღმოაჩენთ ყველაზე დასაფასებელ თვისებებს ჩვეულებრივ მამაკაცში.

## მხოლოდ იდეალი?!

ქალებს გვერდით ისეთი მამაკაცი სჭირდებათ, რომლითაც იამაყებენ. ამიტომაც, მათი მოთხოვნების სია, რასაც მომავალ პარტნიორს უყენებენ, საკმაოდ გრძელია. სხვათა შორის, რაც უფრო ინტელექტუალურია ქალი, მით უფრო უჭირს ცხოვრების თანამგზავრის პოვნა. შეიძლება, საპირისპირო სქესის მიმართ „ცხელი“ გრძნობებიც ჰქონდეს, მაგრამ მასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებისგან თავს მაინც შეიკავებს... მერე კი, იწყება – ასეთი ჭკვიანი ხარ, ლამაზი და მაინც მარტო?! რა ხდება?! გაიხსენეთ, როდის გამოავლინეთ რეალური ინტერესი მამაკაცის პიროვნების მიმართ. საუბარია რეალურ ინტერესზე და არა ფარსზე. მამაკაცები სულელები არ არიან, ისინი ხვდებიან, როცა ქალი უნიჭოდ თამაშობს.

ნუ ეძებთ იდეალს. ჯერ ერთი, ასეთი იდეალი არ არსებობს და მეორეც – თქვენც ხომ ჩვეულებრივი მოკვდავი ხართ და ძალიან შორს ხართ იდეალისგან. ადამიანს ღუპავს ის, რომ მოვლენებს და ფაქტებს რეალურად არ აფასებს. დაფიქრდით, გჭირდებათ კი იდეალი? შეიძლება, ასეთი ადამიანის გვერდით არასრულფასოვნების კომპლექსიც კი გაგიჩნდეთ. არსებობს კიდევ ერთი „უკუჩვენება“ – როცა სხვისი პარტნიორი იდეალური გგონიათ. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთოდ არაფერი იცით მასზე. ის, რაც შორს არის, ყოველთვის გაცილებით მომხიბვლელად გვეჩვენება. ნურასოდეს აურევთ პაემანს საქმიან შეხვედრაში, ანუ იყავით ჩვეულებრივი და ეძებეთ ჩვეულებრივი თანამგზავრი. მაშინ, ყველაფერი კარგად იქნება.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძე

# ჯენიფერ ლოურენსის გზა ნიუ-იორკის ტროტუარიდან „ოსკარის" ტრიუმფატორობამდე

*„ოსკარების" 2013 წლის დაჯილდოებაზე საუკეთესო ქალი მსახიობისთვის დაწესებული ჯილდოს ტრიუმფატორი 22 წლის ჯენიფერ ლოურენსი გახდა. ჰოლივუდის უკვე მოქმედი ვარსკვლავი არცთუ დიდი ხანია, რაც გამოჩნდა მსოფლიო კინოს ოლიმპზე, მაგრამ, მალევე მიიპყრო ყურადღება და თაყვანისმცემლების მთელი არმია გაიჩინა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.*

* ჯენიფერ შრეიდერ ლოურენსი დაიბადა 1990 წლის 15 აგვისტოს, ლუისვილში, კენტუკის შტატში, მშენებელ გარი ლოურენსისა და საბავშვო ბანაკის მომვლელ კარენ ლოურენსის ოჯახში. 14 წლის ასაკში ჯენიფერს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ მსახიობობა უნდოდა და მშობლებს ნიუ-იორკში წაყვანა მოსთხოვა, რათა იქ მისთვის აგენტი აეყვანათ. სააგენტოში მისულმა ჯენიფერმა მოსმენის დროს კარგი შთაბეჭდილება დატოვა – მისი სამსახიობო ნიჭით ყველა კმაყოფილი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი პროფესიული განათლება და გამოცდილება არ ჰქონდა. ჯენიფერმა ექსტერნად, ორი წლით ადრე დაამთავრა სკოლაში სწავლა და აქტიური სამსახიობო კარიერა დაიწყო.



* ჯენიფერი დიეტების კატეგორიული წინააღმდეგია და სხვადასხვა სახეობის ჰამბურგერების დიდი მოყვარულია, განსაკუთრებით უყვარს ფილადელფიური ჩიზსტეიკი.

* სკოლაში სწავლის პერიოდში ჯენიფერ ლოურენსი ადგილობრივი ამერიკული ფეხბურთის კლუბის – „ჩირლიდერშების" ჯგუფის წევრი იყო 6 წლის განმავლობაში.

* ჯენიფერი ლოურენსების საგვარეულოში პირველი გოგონაა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, მანამდე გვარში მხოლოდ ბიჭები იბადებოდნენ.

* ჯენიფერ ლოურენსი ცაციაა და მოჩვენებების ეშინია. მისი საყვარელი კერძია შემწვარი ქათამი ბრინჯთან და სოიის სოუსთან ერთად.

* ჯენიფერის კომენტარი იმის შესახებ, თუ როგორ შეამჩნიეს პროდიუსერებმა: „სრულიად შემთხვევით. მე და დედა ნიუ-იორკში ტროტუარზე ვიდექით და ქუჩის მოცეკვავეს ვუყურებდით, რომ მომიახლოვდა ახალგაზრდა კაცი ფოტოკამერით და რამდენიმე კადრის გადაღება მთხოვა. რამდენიმე დღეში სახლში დამირეკეს და სარეკლამო რგოლის გადაღებაში მონაწილეობის მიღება შემომთავაზეს".

* ჯენიფერი ძალიან უხერხულად გრძნობს თავს, როდესაც სექს-სიმბოლოდ მოიხსენიებენ, თუმცა, პრივატულ საუბრებში აცხადებს, რომ ასეთი შეფასება სიამოვნებს.

* ჯენიფერ ლოურენსის სიმაღლე 172 სანტიმეტრია. ჰოროსკოპით ის ლომია და დიდი სურვილი აქვს, იმოგზაუროს ინდოეთსა და საბერძნეთში.

* ჟურნალ „გლამურის" ვერსიით, 2012 წელს ჯენიფერ ლოურენსი პლანეტის ყველაზე სექსუალურ ქალად დასახელდა.

* ჯენიფერს ჰყავს შინაური ცხოველი – იორკშირული ტერიერის ჯიშის ლეკვი.

* ჯენიფერმა იცის გიტარაზე დაკვრა, მისი საყვარელი ფერია მუქი ჟოლოსფერი და ძალიან უყვარს ჯეფ ბრიჯესის ფილმები.

* ბავშვობაში ჯენიფერი ცხენიდან გადმოვარდა და რამდენიმე ადგილას მოიტეხა ხელი.

* 16 წლის ასაკში ჯენიფერმა ითამაშა პირველ დამოუკიდებელ მხატვრულ ფილმში – „პოკერის სახლი", სადაც ძალადობის მსხვერპლის როლი შეასრულა.

* ჯენიფერ ლოურენსი ისინჯებოდა ბელა სვონის როლზე ფილმში „ბინდი", თუმცა, როლი კრისტენ სტიუარტს შეხვდა.

* ფილმ „ზამთრის ძვლის" გადაღებების დროს ჯენიფერმა სანადირო თოფიდან სროლა, დანებით ჩხუბი, შეშის ჩეხვა და ნანადირევი ციყვების გატყავება ისწავლა.

* „არიან მსახიობები, რომლებიც საკუთარ თავს თავად ქმნიან; ასევე, არიან ისეთებიც, რომლებსაც სხვები უწყობენ კარიერას. მე პირველ კატეგორიას მივეკუთვნები და მსურს, თავად ავიწყო კარიერა", – აცხადებდა ჯენიფერი კარიერის დასაწყისში.



* ცნობილ სერიალში „მედიუმი" ჯენიფერმა ორ ეპიზოდში სხვადასხვა პერსონაჟები ითამაშა.

* ბავშვობაში ჯენიფერი ბიჭებთან უფრო მეგობრობდა, ვიდრე გოგონებთან, თამაშობდა ფეხბურთს, დაძვრებოდა ხეებზე, ზამთარში კი ჰოკეის ყვანჯით ყინულის მოედანზე ერთობოდა.

* ცნობილმა მომღერალმა ლენი კრავიცმა ჯენიფერ ლოურენსი მერილ სტრიპს შეადარა.

* ჯენიფერს ორი უფროსი ძმა ჰყავს – ბენ და ბლეინ ლოურენსები.

* პირველი შესამჩნევი როლი ჯენიფერ ლოურენსმა 2008 წელს ითამაშა ფილმში „მცხუნვარე ველი". მისი პარტნიორები იყვნენ ოსკაროსანი მსახიობები – კიმ ბესინჯერი და შარლიზ ტერონი. ამ როლისთვის ჯენიფერმა მარჩელო მასტროიანის პრემია მიიღო ვენეციის კინოფესტივალზე.

* 2011 წელს კინოეკრანებზე გამოვიდა ჯენიფერ ლოურენსის პირველი ბლოკბასტერი – „ადამიანები იქს: პირველი კლასი" – მუტანტებზე შექმნილი კინოკომიქსის ეკრანიზაცია, სადაც ჯენიფერმა მისტიკური პერსონაჟი განასახიერა. ფილმში მისი პარტნიორები იყვნენ მაიკლ ფასბენდერი და ჯეიმს მაკევოი. 2014 წელს ეკრანებზე ფილმ „სიქველის" გამოსვლა იგეგმება იმავე სამსახიობო კოლექტივით.

* ჯენიფერ ლოურენსის ოსკაროსანი ფილმის – „ჩემი შეშლილი ბოიფრენდის" გამოსვლამდე ყველაზე ცნობილ ფილმად „შიმშილის თამაშები" ითვლებოდა. სიუზენ კოლინზის რომანის ეკრანიზაცია 2012 წლის კინომოვლენად დასახელდა და 2014 წელს რომანის გაგრძელების პრემიერაა დაგეგმილი, სადაც ჯენიფერი კვლავ დაუბრუნდება თავის ვარსკვლავურ როლს.

* ჯენიფერის თქმით, „შიმშილის თამაშების" გადაღებების დაწყებამდე მას წაკითხული ჰქონდა სიუზენ კოლინზის ყველა რომანი და ამ რომანების დიდ თაყვანისმცემლად მიაჩნდა თავი.

* 2011-2013 წლებში ჯენიფერ ლოურენსი ბრიტანელ მსახიობ ნიკოლას ჰოულტს ხვდებოდა. ისინი იანვარში დაშორდნენ ერთმანეთს.

* 2012 წლის ოქტომბრიდან ჯენიფერ ლოურენსი „დიორის" ახალი სარეკლამო სახეა.

* ჯენიფერ ლოურენსი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ მისი ნატურალური მკერდი „თავისი ცხოვრებით" ცხოვრობს. „ადამიანები მიეჩვივნენ, თუ როგორ გამოიყურება სილიკონის მკერდი, ამიტომაც უკვირთ, როდესაც ხედავენ ჩემს ნატურალურ მკერდს, რომელიც თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და, ცნობისთვის, ცალი მკერდი უფრო დიდი მაქვს, ვიდრე მეორე," – გამოტყდა ჯენიფერი, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა გაიარა მედიკოსებთან, თუმცა მას რაიმე დარღვევა ვერ აღმოუჩინეს.

* ჯენიფერ ლოურენსის კოსტიუმი, რომლითაც მან ითამაშა ფილმში „ჩემი შეშლილი ბოიფრენდი," ლოს-ანჯელესში გამართულ აუქციონზე 12 ათას დოლარად გაიყიდა. თავდაპირველად ჯენიფერის წარმომადგენლები კოსტიუმში 1,5 ათასი დოლარის მიღებას გეგმავდნენ.

* ჯენიფერის საყვარელი ფილმია ვუდი ალენის „შუაღამე პარიზში".

* „ვიქტორია სიქრეტის" წარმომადგენლების თქმით, ჯენიფერ ლოურენსს ყველაზე სექსუალური თვალები აქვს ცნობილ ადამიანებს შორის.

* ჯენიფერი ნატურალური ქერაა, თუმცა ფილმების უმეტესობაში მას შავად უწევს თმის შეღებვა.

* ფილმისთვის „ზამთრის ძვალი" ჯენიფერ ლოურენსის ჰონორარი 3 ათას დოლარს შეადგენდა კვირაში; „შიმშილის თამაშების" პირველ ფილმში მისი ჰონორარი 500 ათასი დოლარი იყო, ხოლო რომანის გაგრძელებაში, რომლის გადაღება ამჟამად მიმდინარეობს, ჯენიფერი, კონტრაქტის თანახმად, 10 მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს.

**უშანგი რუხაძე**

# სწავლების რა ინოვაციურ მეთოდს სთავაზობს Lingua Academia ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს საქართველოში

Lingua Academia

*დღეს საქართველოში ინგლისური ენის შესწავლის უამრავი ცენტრი არსებობს, მაგრამ, მთავარია, იცოდეთ, რომელი ცენტრი შეძლებს იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომელიც თქვენ გაქვთ. ვინც ეს არ იცის, ვეტყვით, რომ ყველა მოთხოვნას, კვალიფიციური სპეციალისტების მომსახურებას და სხვა აუცილებელი პირობების დაკმაყოფილებას დაარსების დღიდან ახერხებს ინგლისური ენის ცენტრი Lingua Academia. იმისათვის, რომ თავად დარწმუნდეთ ახალი ინოვაციური მეთოდის ეფექტურობაში, აუცილებლად უნდა მიმართოთ მას, სადაც პირველი 6 გაკვეთილი უფასოდ ჩაგიტარდებათ. თუ როგორ ისწავლება ინგლისური ენა Direct Method-ით, ამის შესახებ, Lingua Academia-ს მმართველი დირექტორი, ნანა მეგრელიშვილი გვიამბობთ.*

**– დარწმუნებული ვარ, დღეს ბევრს სურს ინგლისური ენის შესწავლა ან უფრო მეტად დახვეწა, თუმცა, ხშირად დღის გრაფიკი ამის საშუალებას არ აძლევს. თქვენთან თუ ურჩევთ სასურველ დროს მსურველს და კვირაში რამდენჯერ ტარდება მეცადინეობა?**

– მეცადინეობა ტარდება კვირაში 3-ჯერ ორ-ორი საათის ხანგრძლივობით. რაც შეეხება დროის ფაქტორს, მაქსიმალურად შევეცადეთ, მსმენელის მოთხოვნები გაგვეთვალისწინებინა და, შედეგად, Lingua Academia-ში სამუშაო საათები 10:00-დან 22:00 საათამდეა. მიღების პროცესი კი ძალიან მარტივია: 10-წუთიანი ვერბალური გასაუბრების შემდეგ, მსმენელს შეუძლია, დაესწროს 6 საცდელ გაკვეთილს, რათა თავად დარწმუნდეს, რამდენად ეფექტურია ეს მეთოდი.

**– მკითხველისთვის უფრო გასაგები რომ გახდეს, Direct Method-ის შესახებ გვითხარით, რაში მდგომარეობს მისი განსაკუთრებულობა?**

– Direct Method-ი ინგლისური ენის შესწავლაში უახლესი სიტყვაა, ის მსოფლიოში 2007 წლიდან არის ცნობილი და მუდმივად განიცდის განახლებას, ფეხს უწყობს თანამედროვე მოთხოვნებს. Lingua Academia მსმენელს უკვე მესამედ გადამუშავებულ სახელმძღვანელოებს სთავაზობს, რომელიც 2011 წელს არის გამოცემული. სწავლების მეთოდი სამი სხვადასხვა კურსისგან შედგება, რომლებიც გათვლილია ბავშვებისთვის (6-დან 11 წლამდე), თინეიჯერებისთვის (12-დან 17 წლამდე) და მოზრდილებისთვის (18 წლიდან ზევით). ასაკობრივი კატეგორიის გათვალისწინებით, სწავლის მეთოდში გამოყენებულია უახლესი ლექსიკური მასალა. გეტყვით იმასაც, რომ ლექსიკური მარაგი მოიცავს ყველანაირ სიტუაციას – როგორც პრაქტიკულს, ისე თეორიულს, რაც მსმენელს უვითარებს მსგავს სიტუაციაში



ადაპტაციის უნარს. მეთოდი მოიცავს გრამატიკის სრულ კურსს, რომელიც გადმოცემულია ადვილად გასაგები წესებითა და მაგალითებით, რაც შემდგომ განმარტებულია შესაბამისი სავარჯიშოებით.

**– რამდენი სახელმძღვანელოსგან შედგება თითოეული კურსი და რა პერიოდს მოიცავს ის?**

– თითოეული კურსი 6 სახელმძღვანელოსგან შედგება და, თუ მსმენელი სწავლას ნულოვანი ბაზით იწყებს, მაშინ სრული კურსის მაქსიმალური ხანგრძლივობა წელიწად-ნახევარია.

**– მსმენელს საშინაო დავალების შესრულებაც უწევს?**

– საშინაო დავალება მინიმუმზეა დაყვანილი, თუმცა, ამის დაბალანსება ლექსიკურ-გრამატიკულ სავარჯიშოებზე აგებული გაკვეთილებით ხდება. ჩვენთან დარეგისტრირებულ მსმენელს, ასევე, ვთავაზობთ „ინტერნეტ პლატფორმას" – ეს არის დამატებითი სავარჯიშოები, რაც მათ საშუალებას აძლევს, სახლში განამტკიცონ შესწავლილი მასალა.

**– რაზეა აგებული სწავლების მეთოდი და როგორ ეხმარება Direct Method-ი საერთაშორისო სერტიფიკატების აღების მსურველს?**

– მეთოდი 4 ძირითად უნარ-ჩვევის გამომუშავებაზეა აგებული, რაც აუცილებელია ნებისმიერი ინგლისურენოვანი გამოცდის ჩასაბარებლად: მოსმენა, საუბარი, კითხვა და წერა. ამის უზრუნველყოფა აუდიო გაკვეთილებითა და შესაბამისი სტილით აგებული გაკვეთილებით ხდება.

**– რას სთავაზობს Direct Method-ი მსმენელს სრული კურსის გავლის შემდეგ?**

– მსმენელს, ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლია, განაგრძოს სწავლა გაძლიერებული ზოგადი ინგლისურის განხრით და უფრო მეტად დახვეწოს ცოდნის დონე. საქმიან ადამიანებს კი საკმაოდ საინტერესო შეთავაზება ელით ბიზნესინგლისურის განხრით. არჩევნის გაკეთება 4 სხვადასხვა მიმდინარეობიდან შეუძლიათ: 1. ყოველდღიური კომუნიკაცია; 2. მენეჯმენტი და მარკეტინგი; 3. მრეწველობა, პოლიტიკა და სამართალი; 4. კომპიუტერები, საბანკო საქმე და ფინანსები.

**– კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა თუ არა სერტიფიკატი?**

– სერტიფიკატი სრული კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა და ადასტურებს ცოდნის დონეს, რაც საერთაშორისო სტანდარტით $B^2$-ს (საშუალოზე მაღალ ზღვარს) უტოლდება.

**– დაბოლოს, მსურველებმა რა მისამართზე მოგმართონ?**

*– ჩვენი მისამართია: ალმასიანის ქუჩა №19/21 (სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია). ტელეფონები: 214-81-18; 214-82-28.*

*ვებ-გვერდი: www.Linguaacademia.com*

*ელექტრონული ფოსტის მისამართია: Contact@linguaacademia.com*

**მარიკა ხიდურელი**

# როგორ მიუნგრია პატრულს ცხვირ-პირი კახა კუკავამ და რაზე წუწუნებს მისი ცოლი

(მეთვრამეტე გვერდიდან)

უპირატესობაა. ბევრი კომპეტენცია არ გაქვს ***(იცინის).*** არც ესმით წესიერად საერთოდ ვინ ვარ. რადგან ტელევიზორში ვჩანვარ, ჰგონიათ თანამდებობის პირი ვარ. მეუბნებიან, ამ მინისტრს დაურეკე, იმ მინისტრს ის უთხარიო. აღარც ვუხსნი ხოლმე... ალბათ ჯობია, რეალურად მქონდეს დახმარების შესაძლებლობა, მაგრამ რას იზამ. იმ მინისტრებს არც ვიცნობ მე.

**– ახალი პოლიტიკური გუნდიდან ვინმესთან მეგობრობთ? პოლიტიკაში მეგობრობა საერთოდ „მოსულა?"**

– როგორ არ „მოსულა", მაგრამ ახალ მთავრობასთან ძალიან ნაკლებად, უფრო ეკა ბესელიასთან. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა საქმიანი ურთიერთობა ნაკლებად გვაქვს, მაინც თანამდებობრივი მდგომარეობა ცვლის ადამიანს.

**– წელან პატრულთან ჩხუბი ახსენეთ – ბავშვობაში არ იყავით მუშტი-კრივის მოყვარული?**

– არა, არ მიყვარდა და მაინცდამაინც არც ფიზიკური მონაცემები მიწყობდა ხელს, გამხდარი ვიყავი. თუმცა, ბევრ სპორტზე დავდიოდი-ცურვაზე, ტანვარჯიშზე, ცხენოსნობაზე... შეყვარებულის გამო არ მიჩხუბია, არ მოუცია ეჭვიანობის საბაბი.

**– მეუღლე არ მოგიტაციათ ცხენით, არც დავიდარაბაში გახვეულხართ მის გამო?**

– არა, რად მინდოდა? თვითონ გამომყვა. პოლიტიკაში ჩართვამდე არ მქონია კონფლიქტები, პოლიტიკაში ბევრი დრამატული მომენტი და გაწევ-გამოწევა მქონდა. იყო როგორც მუშტი-კრივი, ასევე ცეცხლსასროლი იარაღიც.

**– შეყვარებულს რით ანებივრებდით?**

– ოქრო და ბრილიანტები არ მიჩუქებია.

**თეა**: ძირითადად, უცხოეთიდან ჩამოჰქონდა და ჩამოაქვს სუნამოები. ძალიან მიყვარს სუნამოები და არჩევანში საკმაოდ პრეტენზიულიც ვარ. თუმცა, იცის უკვე ჩემი გემოვნება, ახალი სუნამოებიც ჩამოაქვს, სამაგიეროდ, ვერ იტანს საშინლად შოპინგს. სულ ბუზღუნებს, დროის საშინელ კარგვად მიაჩნია! სამწუხაროდ, ერთადერთხელ ვიყავით უცხოეთში ერთად – იტალიაში საქორწილო მოგზაურობაში. მას მერე სულ მპირდება, წაგიყვანო და ვერც ერთხელ ვერ წავედით. კიდევ კარგი, საფრანგეთში წავედი სასწავლებლად და მოვასწარი! სხვათა შორის, სანამ წავიდოდი, სიყვარული მანამდე ამიხსნა. არ უნდოდა, რომ წავსულიყავი, მაგრამ არ ვიყავი ჩემს გრძნობებში დარწმუნებული, შემდეგ წავედი, განშორებამ უფრო დამარწმუნა, რომ მიყვარდა. საოცარი იყო იტალია, რომაული არდადეგები გვქონდა. ერთი დღე გავლით ვენაშიც ვიყავით. იქ კიდევ უფრო ახლოს გავიცანით ერთმანეთი, საკამათოდაც ვიპოვეთ ბევრი თემა – მაგალითად, შოპინგი ისევ და ისევ *(იცინიან).*

**– სახლში პოლიტიკაზე არ საუბრობთ?**

– ვცდილობთ, არ ვისაუბროთ. კახა რაც უნდა დაღლილი და ცუდ გუნებაზე იყოს, აქეთ გაგიღიმებს, ცდილობს დაგამშვიდოს, არ არის ისე, ზოგი რომაა ცუდ ხასიათზე და ვერ მიეკარები. საკმაოდ მშვიდი მეგრელია. შვილებთანაც არ არის მკაცრი, განებივრებული ჰყავს ორივე. ამას წინათ იფიქრა, მკაცრად მოვექცევი, ძალიან გავანებივრეო და წარბი შეიკრა. მეორე წუთში თვითონ ეცინებოდა. ყვირილი და ჩხუბი არ იცის.

**– სადაური მეგრელი ხართ კახა და მეგრული თუ იცით?**

**კახა**: მამა ხობიდანაა, დედა – ჩხოროწყუდან, ძალიან მიყვარს სამეგრელო. მარტო ბებიის მხრიდან მირევია სვანური სისხლი. მეგრული საკმაოდ კარგად ვიცი, ისეთი აქცენტით ვერ ვლაპარაკობ, როგორც იქაურები, მაგრამ ვიცი. მინდა, ჩემმა შვილებმაც იცოდნენ მეგრული.

**ქეთი დიდებულიძე**

# ინტიმური საუბრები

## ქალებო, გაითვალისწინეთ ჩემი შეცდომა!

პირველად გწერთ წერილს და ძალიან გთხოვთ, დამიბეჭდოთ.

ამჟამად ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში ვმუშაობ. აქ ყოველკვირა ვყიდულობ პრესას, მათ შორის „თბილისელებსაც“ და დიდი გულისტკივილით ვკითხულობ თქვენს რუბრიკაში გამოქვეყნებულ ტკივილიან ისტორიებს. ბევრი ფიქრის შემდეგ მეც გადავწყვიტე, რომ მომეწერა. მოკლედ, მინდა, ჩემი სატკივარი გიამბოთ და ამით ყველა ქალბატონს მივმართო, რომ ჩემნაირი შეცდომა არ დაუშვან.

დავიწყებ იმით, რომ ძალიან პატარა – 17 წლის გავთხოვდი. აბსოლუტურად არ მქონდა გაცნობიერებული, რა სერიოზული საქმე იყო ოჯახის შექმნა. საოცრად ბავშვური და მეოცნებე ვიყავი, რაც დღემდე მომყვება. ძალიან მიყვარდა ჩემი მეუღლე და ყველაფერს ვაკეთებდი, რომ ბედნიერები ვყოფილიყავით. ორი შვილი მიყოლებით გავაჩინე, რათა ჩემი ქმარი ჯარში არ წაეყვანათ (კომუნისტების დროს ორშვილიანი მამაკაცები ჯარში არ მიჰყავდათ) – ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა გამეძლო ორი წელი მის გარეშე.

ჩემმა მშობლებმა ორივეს მიგვაღებინეს უმაღლესი განათლება, ჩემი მეუღლის მხრიდან კი ერთი ადამიანიც არ ყოფილა, რომ თუნდაც მოვეკითხეთ, მაგრამ, იმდენად მიყვარდა, რომ ამას ყურადღებას არ ვაქცევდი. თუმცა, ამის მიუხედავად, ქმრისგან ვერ ვგრძნობდი ვერც სიყვარულს და ვერც ელემენტარულ პატივისცემას. სხვებისგან ყოველთვის მესმოდა ქება: რა ლამაზი ხარ, რა ლამაზი თვალები გაქვსო, მე კი ამ სიტყვების გაგონება ჩემი მეუღლისგან მენატრებოდა, მაგრამ, ერთი თბილი სიტყვაც კი არ მღირსებია. მას ჩემთვის არც ეცალა, ის თავისი ცხოვრებით იყო დაკავებული. სამსახურიც ბიძაჩემმა დააწყებინა და ამის შემდეგ ოჯახი მისთვის მხოლოდ ღამის გასათევი ადგილი იყო. მენატრებოდა, რომ ერთი საათი მაინც გაეტარებინა ჩვენთან. ამის მიუხედავად, 19 წელი იმ ილუზიებით ვიცხოვრე, რომ ყველაფერი ისე იყო, როგორც მე მინდოდა, რომ ყოფილიყო, სინამდვილეში კი ქმარი სულ მღალატობდა. მერე კი უკვე აღარავის მოერიდა და საყვარელთან ერთად ოფიციალურად დადიოდა ყველგან. ძალიან გვიან მივხვდი, რომ მასთან არაფერი გვამოძივოდდა და ერთმანეთს გავშორდით. ყველაფრის მიუხედავად, ჩემთვის ოჯახის დანგრევა საშინელება იყო, თუმცა კი მთელი ეს 19 წელი მარტომ გავატარე, ერთხელაც არ მიგრძნია, რომ გვერდში ქმარი მედგა – მარტო ვზრდიდი შვილებს და ერთხელაც არ უკითხავს, რა სჭირდებოდათ ბავშვებს, როგორ სწავლობდნენ, რას აკეთებდნენ. მაინც შევძელი და ისეთი შვილები გავზარდე, როგორებიც მინდოდა, რომ ყოფილიყვნენ. ორივეს უმაღლესი განათლება მივეცი და ორივე დავაოჯახე. სხვათა შორის, ჩემი შვილები სულ მეხვეწებოდნენ: შენს პირად ცხოვრებაზეც იფიქრე, რადგან ბედნიერებას შენც იმსახურებო. ძალიან განიცდიდნენ ჩემს მარტო ყოფნას, მაგრამ, ამაზე ფიქრიც არ მინდოდა.

მართალია, მთელი ჩემი ცხოვრება ჩემი შვილები არიან, მაგრამ მათ უკვე თავიანთი ოჯახები აქვთ, მე კი 50 წელს ვუახლოვდები და მხოლოდ ახლა ვხვდები, რა საშინელება ყოფილა მარტოობა და ამაზე ფიქრი არ მასვენებს. ვერ გავიგე, რა იყო ჩემი შეცდომა: დიდი სიყვარული? დიდი ერთგულება? დიდი ზრუნვა? დიდი დათმობა? დიდი პატიება?

ბუნებით ძალიან დამთმობი და მოსიყვარულე ადამიანი ვარ, თუმცა...

ღმერთის მადლით, ჩემს ორივე შვილს თავისი ბინა აქვს, მე – ჩემი, მაგრამ გული მტკივა, რომ ამდენი ჯაფის მიუხედავად, საქართველოში რომ დავბრუნდები, ისევ მარტომ უნდა ვიცხოვრო და, რაც არ უნდა გამიჭირდეს, ვერც ჩემს შვილებს შევაწუხებ და ვერც სხვა ვინმეს. არადა, ძალიან მეშინია მარტოობის.

ჩემი ცხოვრების მოკლე ისტორია იმიტომ მოგწერეთ, რომ ყველა ქალმა გაითვალისწინოს ჩემი შეცდომა და საკუთარ თავზეც იფიქროს, რომ ჩემსავით მარტო არ დარჩნენ.

მაინც, ვერ გავიგე, რატომ არიან მამაკაცები ასეთი დაუნდობლები?!

თქვენი ერთგული მკითხველი.

**ნათელა, 50 წლის.**

## ცოლის დაკარგვის მეშინია

გოგო, რომელიც პირველი დანახვიდან რამდენიმე თვეში მოვიყვანე ცოლად, დედაჩემმა გამაცნო – მისი დაქალის დისშვილი იყო და, მთელი სადაქალოს ჩარევით, „შემთხვევით“ შევხვდით ერთმანეთს. მაშინვე მომეწონა და სერიოზულად განვეწყვე მის მიმართ. ახლა რომ ვიყურები წარსულში, ვხვდები, ჩემი ასეთი გაწყობის 70 პროცენტი იმით იყო განპირობებული, რომ წინასწარ მქონდა გადაწყვეტილი, რომ თუ გარეგნობითა და კიდევ ცოტ-ცოტა რალაცეებით მომეწონებოდა, ცოლად შევირთავდი; მაშინ კი მეგონა, რომ ზუსტად ის გოგო გავიცანი, ვისაც ამდენი წელი ვეძებდი. მართალია, მზეთუნახავი არ იყო, მაგრამ, ჰქონდა რაღაც განუმეორებელი შარმი, დახვეწილი იუმორი და საკმაოდ მაღალი ინტელექტი (რაც ასე იშვიათია ხოლმე 20-22 წლის გოგონებში); გარდა ამისა, საოცარ სიმშვიდეს ასხივებდა და, ამ ყველაფერის გამო, გაცნობიდან ერთი საათის შემდეგ უკვე ზუსტად ვიცოდი, რომ ცოლად შევირთავდი. თუმცა, ერთი რაღაც მაინც „მიტეხავდა“. შინაგანი ინტუიციით ვგრძნობდი, რომ ჩემით მოხიბლული და აღფრთოვანებული ნამდვილად არ დარჩენილა და რაღაცნაირად, ბედს შეგუებული მომეჩვენა – თითქოს მისთვის სულერთი იყო, როგორ მამაკაცს გაეცნობოდა; მოეწონებოდა თუ არ მოეწონებოდა; თითქოს წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ნებისმიერ კაცს გაჰყვებოდა, რადგან ასე დააპროგრამეს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეჭვმა გამიელვა, მაშინვე უკუვაგდე, რადგან, სიმორცხვეში ჩავუთვალე.

მაიკო მართლაც არაჩვეულებრივი ცოლი გამოდგა. სულ თვალებში მიყურებდა, კარგად უვლიდა ოჯახს, შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა ჩემიანებთან; ჩემი მეგობრები და მათი ცოლები ლამის მაიკოს მზეს იფიცებდნენ, ისე შეუყვარდათ, მაგრამ, შინაგანად მაინც სულ ვგრძნობდი მის უთქმელ სევდას. რამდენჯერმე ვკითხე კიდეც მიზეზი, მაგრამ არაფერი მიპასუხა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

ერთხელ კი, სრულიად მოულოდნელად, ყველაფერი გავიგე. თურმე, ჩემს გაცნობამდე რამდენიმე ხნით ადრე, ვიღაც ბიჭი შეჰყვარებია, მაგრამ, რაღაც მიზეზების გამო, ის ბიჭი მაიკოს ოჯახს დაუწუნებია, უფრო სწორად, კატეგორიული წინააღმდეგები ყოფილან მათი დაქორწინებისა და დაუშორებიათ კიდეც, მაგრამ ის მაინც არ ეშვებოდა. როგორც ჩანს, მაიკოსაც უყვარდა, რადგან მითხრეს, ძალიან განიცდიდა მასთან დაშორებასო. მერე ის ბიჭი რაღაც შარში გახვეულა (თურმე, ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა) და დაუჭერიათ, რის გამოც მაიკოს ისეთი დეპრესია დაწყებია, ექიმებთანაც კი უტარებიათ. მერე, ყველაფერმა ასე თუ ისე რომ გაუარა, ოჯახს გადაუწყვეტია, სასწრაფოდ მოეძებნათ მისთვის ღირსეული საქმრო და გაეთხოვებინათ და სწორედ მე აღმოვჩნდი ის „ღირსეული“ კანდიდატი.

ეს ისტორია რომ გავიგე, ძალიან განვიცადე. მიუხედავად იმისა, რომ მაიკოს პირველი სიყვარული ისევ ციხეში იჯდა და მისგან არაფერი ისმოდა, საშინელმა ეჭვებმა შემიპყრო. მართალია, ცოლისთვის არანაირი შარის მოდების მიზეზი და საბაბი არ მქონდა, მაგრამ, ვერ ვიშორებდი იმაზე ფიქრს, რომ ისევ ის ნაძირალა უყვარდა, ისევ მასზე ფიქრობდა, ჩემთან კი ძალიან ნიჭიერად თამაშობდა.

კარგა ხანს ვიკავე თავი, მაგრამ, როცა შევატყვე, რომ ასე ცხოვრება აღარ შემეძლო, დავსვი და ყველაფერი ვუთხარი. მაიკომ ჯერ იტირა, მერე კი გულწრფელად მითხრა, თავიდან მართლა იმიტომ დაგთანხმდი ცოლობაზე, რომ სახლში მაინც არ მომასვენებდნენ, თან, მივხვდი, რომ კარგი ადამიანი იყავი, მაგრამ, ახლა მართლა ძალიან მიყვარხარ და უშენოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენიაო. ეს რომ გავიგე, ძალიან გამიხარდა, ჩემზე ბედნიერი კაცი აღარ მეგულებოდა დედამიწაზე და ცოლი კიდევ უფრო მეტად შემიყვარდა, მაგრამ ხანდახან მაინც გამკრავს ხოლმე ეჭვი და ასეთ დროს ჩემზე უბედური არავინ არის. აღარ ვიცი, როგორ ვუშველო თავს. არ მინდოდა, რომ ეს ამბავი მაიკოს გაეგო, მაგრამ, მაინც გავრისკე, თქვენთვის მომეწერა. არ ვიცი, წაიკითხავს თუ არა ამ წერილს. შეიძლება, წაიკითხოს კიდეც და მიხვდეს, რომ მე ვწერ (მიუხედავად იმისა, რომ ორივეს სახელი შევცვალე) და გაბრაზდეს კიდეც, მაგრამ, თუ წაიკითხავს, მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს, სულ მეშინია მისი დაკარგვის, ალბათ, ეს ეჭვიც ამის ბრალია.

**შაკო, 31 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**



# აღმოაჩინეს დედამიწის მესამე რადიაციული სარტყელი

„ნასას“ სპეციალისტებმა „გადატრიალება მოახდინეს“ 1958 წლიდან არსებული შეხედულებაში იმის შესახებ, რომ დედამიწას აქვს ორი რადიაციული სარტყელი – მაგნიტოსფეროს არეები, რომლებშიც მაღალენერგეტიკული, დამუხტული ნაწილაკები გროვდება. ტყუპმა-ზონდებმა „RBSP“, რომლებიც კოსმოსში 2012 წლის აგვისტოში გაუშვეს, აქამდე უკვე ცნობილ შიდა და გარე სარტყელებს შორის კიდევ ერთი რადიაციული სარტყელი აღმოაჩინეს.

„დაკვირვების მეხუთე დღეს ჯერ კიდევ არ შეგვეძლო დაგვეჯერებინა ის, რასაც ვხედავდით. ვფიქრობდით, რომ მწყობრიდან გამოვიდა ხელსაწყოები, მაგრამ შევამოწმეთ და ვნახეთ, რომ ნორმალურად მუშაობდა. მესამე სარტყელი კი ეკრანზე თანდათანობით უფრო მკაფიოდ ჩნდებოდა“, – ამბობს კოლორადოს უნივერსიტეტის თანამშრომელი დენიელ ბეიკერი. მონაცემების დასადასტურებლად, შედეგები თანამგზავრ SAMPEX-ის მონაცემებს შეადარეს, რომელიც დედამიწის მაგნიტოსფეროს 1992 წლიდან სწავლობს. მიუხედავად ამ მოწყობილობის შედარებით ნაკლები მგრძნობიარობისა, ანომალიის არსებობას მისი მაჩვენებლებიც ამტკიცებდა.



საქმე ისაა, რომ ეს იდუმალი რგოლი მანამდე რჩებოდა შეუმჩნეველი, სანამ ოქტომბრის დასაწყისში ის და გარეთა სარტყელი მზის ქარიშხლის შიგნით წარმოქმნილ დარტყმით ტალღას არ შეეჯახა.

ამჟამად მეცნიერები „RBSP“ ზონდების დახმარებით, რომელთა მისია ორ წელიწადზეა გათვლილი, ცდილობენ, გაარკვიონ, რა განაპირობებს აღმოჩენილი რადიაციული სარტყელის გამოჩენას და გაქრობას. „მიუხედავად იმისა, რომ კვლევები ამ დარგში 55 წლის წინათ დაიწყო, ჯერ კიდევ ბევრი გამოცანა რჩება. ჩვენ გავხდით იშვიათი მოვლენის მოწმენი თუ ასეთი რამ საკმაოდ ხშირად ხდება“. ამ დარგში შემდგომი კვლევები აუცილებელია, კერძოდ, შორეულ კოსმოსში ფრენების მოსამზადებლად, სადაც ადამიანის ორგანიზმზე რადიაციის ზემოქმედების საშიშროება არსებობს.

# ტელეპათია იმპლანტანტების საშუალებით – საშიში თუ აუცილებელი

მეცნიერებმა პირველად შეძლეს, დაემტკიცებინათ, რომ ორ ბიოლოგიურ ორგანიზმს ერთმანეთის აზრების წაკითხვა ათასობით კილომეტრის მანძილზე შეუძლიათ. ჯერჯერობით დადებითი შედეგები მხოლოდ ვირთხებზე ცდების დროსაა მიღწეული, მაგრამ ადამიანთა შესაძლებლობები შეიძლება უფრო ფართო იყოს.

ჩრდილოეთ კაროლინის შტატის, დიუკის უნივერსიტეტის ბიოლოგებმა ერთი ვირთხა ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ დარემიში და მეორე – ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ქალაქ ნატალში, აიძულეს, ერთდროულად შეესრულებინათ ერთი და იგივე ამოცანა. ამისთვის მეცნიერებმა მათ ტვინში იმპლანტანტები ჩანერგეს. ვირთხა-„შიფრატორი,“ გარე ფაქტორებისგან დამოკიდებულებით, დააწვებოდა გარკვეულ ბერკეტს გალიაში, რომელიც ამა თუ იმ ფერით იყო წარმოდგენილი. ინფორმაცია მისი მოქმედების შესახებ ელექტრული იმპულსებით კოდირდებოდა და შედიოდა ვირთხა-„დეშიფრატორის“ ტვინში. ის უნდა დაწოლოდა იმავე ფერის ბერკეტს, რომელიც პირველმა ვირთხამ აირჩია. ამოცანის წარმატებით შესრულების შემთხვევაში, ორივე ვირთხა ილებდა ჯილდოს.




ცდების დროს სიგნალის მიმღები ვირთხის რეაქციათა 70 პროცენტი სწორი იყო, რაც მეცნიერთა აზრით, მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი დრესირების დროს. აღსანიშნავია, რომ კონტაქტი სახელდობრ, „ურთიერთობა“ იყო, ვინაიდან მათ კავშირს ჰქონდა არა ცალმხრივი, არამედ ორმხრივი ხასიათი. როდესაც „დეშიფრატორი“ აწვებოდა არასწორ ბერკეტს, პირველი ვირთხა არ ილებდა საკვებს და ხვდებოდა, რომ რაღაცა სწორად არ გააკეთა. მაშინ გადასცემდა უფრო ზუსტ სიგნალებს.

„ეს არის პირველი დამტკიცებული შემთხვევა ხელოვნური ტელეპათიისა ორ ბიოლოგიურ ორგანიზმს შორის, რაც იმას მოწმობს, რომ ასეთივე კავშირი შეიძლება, ადამიანებს შორისაც დამყარდეს“, – განაცხადა პროექტის ხელმძღვანელმა მიგელ ნიკოლელისმა. მაგრამ ამდაგვარი ექსპერიმენტები იმის დემონსტრირებასაც ახდენდეს, რომ ერთი ტვინი შეიძლება, მეორეთი კონტროლდებოდეს... შედეგები კი დამანგრეველი აღმოჩნდეს. „მე მზარავს ვიფიქრო, რა მოხდება, თუ ამ ცდის გამოყენება დაიწყება არაჰუმანური მიზნებისთვის“, – გამოთქვა შიში დიდი ბრიტანეთის უორიკსის უნივერსიტეტის ბიოლოგმა. მიუხედავად ამისა, ცდების გაგრძელება აუცილებელია, პირველ ყოვლისა, მიღწევები ამ დარგში აუცილებელია, პროთეზირებაში გარე მოწყობილობების მართვის შესაძლებლობების განვითარებისთვის მათზე ფიზიკური ზემოქმედების გარეშე.

# ინდოეთის ოკეანეში ჩაძირული კონტინენტი აღმოაჩინეს

მავრიკიის პლაჟები დედამიწის განვითარების საიდუმლოს ინახავს – მეცნიერებმა ამ კუნძულის ქვიშის შესწავლის შემდეგ, სუპერკონტინენტ როდინიას, ინდოეთსა და მადაგასკარს შორის მიკრომატერიკის მილიარდი წლის წინათ არსებობის მტკიცებულებები აღმოაჩინეს. ამას გარდა, ნათელი მოეფინა სეიშელის კუნძულების წარმოშობას, რომლებიც ადრე განსაკუთრებულად მიიჩნეოდა და მათი წარმოშობის ისტორია ბნელით იყო მოცული.

მავრიკიის პლაჟების ქვიშის ანალიზის შედეგები და ინდოეთის ოკეანის გრავიმეტრიული გაზომვები ნორვეგიელ, გერმანელ და ბრაზილიელ მეცნიერთა ჯგუფმა გამოაქვეყნა. მიკროკონტინენტს მათ მაურიცია ან მავრიცია დაარქვეს.

„ჩვენ აღმოვაჩინეთ ცირკონები და ამოვიღეთ პლაჟის ქვიშიდან – ეს ზუსტად ისაა, რასაც, ჩვეულებრივ, პოულობენ კონტინენტურ ქერქში. ისინი ძალზე ძველია“, – ამბობს ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი, ტრონდ ტორსვიკი.

სწავლულებმა დაადგინეს: ცირკონები 600 მილიონი წლის წინა პერიოდისაა, რაც მათ საშუალებას აძლევს, ივარაუდონ, რომ მაურიცია ამოფრქვევის შედეგად წარმოიქმნა და ჩაეჭედა მადაგასკარსა და ინდოეთს შორის როდინიის არსებობის პერიოდში, ხოლო 83 მილიონი წლის წინათ მადაგასკარს გამოეყო ინდოეთი, სეიშელის კუნძულები და კიდევ რამდენიმე ფრაგმენტი. „შეუძლებელია, ზუსტად ვთქვათ, როდის „დაკარგა“ ინდოეთმა მაურიცია, მაგრამ ნათელია ის პროცესები, რამაც „გასწია“ ინდოეთი, ჩაძირა მიკროკონტინენტი, რომლის ნამსხვრევები ახლა მავრიკიის ქვეშ და ინდოეთის ოკეანეში 10 კილომეტრის სიღრმეზე უნდა ვეძებოთ, რაც ალბათ, ძალზე დიდი ფული დაჯდება“, – განაცხადა სამხრეთაფრიკელმა გეოლოგმა ლუის ეშვალმა.

# ვისკი – შოტლანდიურ კანალიზაციაში

ათასობით ლიტრი ვისკი ჩაიღვარა ქალაქ დამბარტონის კანალიზაციაში. კომპანია Chivas Brothers-ის ღვინის ქარხანაში ღამის ცვლის ბრიგადამ მოწყობილობებისა და აპარატურის წმენდა დაიწყო. მუშებს კი ძვირფასი სასმელი სარეცხ სითხეში ურიათ და მაგარი ალკოჰოლი საკანალიზაციო მილებში ჩაუშვეს. სპირტის ღრუბელი ისეთ დიდ ტერიტორიას მოედო, რომ საკანალიზაციო სამსახურში განგაში გამოცხადდა. თანამშრომლებმა მხოლოდ დილის 11 საათზე დაადგინეს მიზეზი – ალკოჰოლური ქარხნის მუშაკთა შეცდომა – კანალიზაციაში 18 ათასი ლიტრი ვისკი ჩაიღვარა. კომპანიის გამოთვლებით, ამ შემთხვევამ მათ 500 ათასი ფუნტი სტერლინგის ზარალი მიაყენა. „თანამშრომლები, რომლებმაც ასეთი უყურადღებობა გამოიჩინეს, სათანადოდ დაისჯებიან. საბედნიეროდ, ალკოჰოლი არ მოხვდა იმ მდინარეში, რომლის წყალსაც ქალაქი სასმელად იყენებს“, – ნათქვამია ფირმის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. კორპორაცია „სკოთიშ ვოთერმა“, რომელიც პასუხისმგებელია შოტლანდიის სასმელი წყლის სისუფთავესა და საკანალიზაციო სისტემაზე, მოსახლეობას აღუთქვა, რომ კიდევ უფრო ეფექტურად ჩატარდება სამუშაოები სასმელი წყლის გასაწმენდად.

კომპანია Chivas Brothers-ის დამბარტონის ქარხანაში, სადაც 600 თანამშრომელი მუშაობს, მზადდება მსოფლიოში პოპულარობით მეორე შოტლანდიური ბრენდი – ვისკი Ballantine's, ასევე, ბოთლებში ჩამოისხმება სხვადასხვა ალკოჰოლური პროდუქტი, კერძოდ, ვისკის ბრენდი Chivas Regal-ი და ჯინი Beafeater-ი.

**გვერდი მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

**წარმატებული მოდელისა და „მის საქართველოს“ – თამთა შედანიას პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეა: ის შეყვარებულია და მისი შეყვარებული 24 წლის ერეკლე მანგოშვილია. გარდა იმისა, რომ თამთას და ერეკლეს, როგორც თავად ამბობენ, ერთმანეთთან ჰარმონიული ურთიერთობა აქვთ, ისინი ერთადაც მშვენივრად გამოიყურებიან და ერთმანეთს უხდებიან.**

# რატომ „დააიგნორა“ მომავალმა შეყვარებულმა თამთა შედანია და ვინ იყო მათი ურთიერთობის წინააღმდეგი

**ერეკლე მანგოშვილი**: შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს სილამაზის სალონში. პირველი რეაქცია იყო შოკი, მაგრამ არშემჩნევის მომენტი იყო დიდი, რადგან, სხვა შემთხვევაში, მისი კიდევ ერთი, რიგითი „პაკლონიკი“ გამოვიდოდი. თავი შევიკავე, არაფერი შემიმჩნევია, იგნორი გავუკეთე. სამაგიეროდ, იქვე, იმ მომენტში დავსახე სამომავლო გეგმა. თუმცა, არ ვიცოდი, ვინ იყო. უბრალოდ, დავინახე, მომეწონა და მივხვდი, რომ მოდელი იყო, მეტი არაფერი.

**თამთა შედანია**: ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ შემოვიდა ბიჭი და საერთოდ არ მომაქცია ყურადღება. ვიზუალურად ისე მომეწონა, ცუდად გავხდი. ზედ, რომ არ მიყურებდა, ამან უფრო დამაინტრიგა. თუმცა, იმ მომენტში არ მიფიქრია, რომ რამე სერიოზული იქნებოდა.

**ერეკლე**: სალონში ხშირად დავდივარ და რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შევხვდით. მაშინ დავეკონტაქტეთ ერთმანეთს პირველად და ამით შემოიფარგლა ჩვენი ურთიერთობა. თუმცა, იმ დროს მისი ნომერიც ვიცოდი და ბევრი რამ კიდევ, მაგრამ არ ვურეკავდი.



**თამთა: „ჩვენ წარსულით არ ვცხოვრობთ, ჩვენი ურთიერთობა მომავალზეა გათვლილი. ამიტომ, ხელს არ გვიშლის ის ფაქტი, რომ ერეკლეს შვილი ჰყავს და არც ის, რომ მეგობარი გოგონა ჰყავდა“**

**თამთა**: პირველად, სალონში რომ ვნახე, სტილისტს რაღაც თემაზე ელაპარაკებოდა და უცებ მოაყოლა: გოგო ძალიან მაგარი უნდა იყოს, რომ მე, ერეკლე მანგოშვილმა, დავურეკოო. მოკლედ, ჩემი ნომერი გაიგო და ვერ მოისვენა, მაინც დამირეკა. იმ დროს სავარჯიშოდ ვიყავი, „მის საქართველოსთვის“ ინტენსიურად ვემზადებოდი. უცხო ნომერი რომ ვნახე, არ ვუპასუხე, არ მეცალა. ვარჯიშს და ცურვას რომ მოვრჩი, მერე გადავურეკე: თქვენი ზარია, ვინ ხართ-მეთქი. ერეკლე ვარო, – მიპასუხა. მამაჩემი იყო იმ დროს ცუდად და ისიც გულიანად მოიკითხა. ტელეფონი რომ გავთიშე, მერე გულში ვამბობდი: მაინც ხომ დამირეკე... ამის შემდეგ გაგრძელდა ჩვენი ურთიერთობა. ყველაფერი ისე ხდებოდა, რომ სხვადასხვა ადგილებში შემთხვევით ვხვდებოდით ერთმანეთს.

**ერეკლე**: თითქოს ჩვენი გრაფიკი წინასწარ იყო გაწერილი. ჩვენი ყველა შეხვედრა შემთხვევითი იყო. არ მიცდია, გამერკვია, სად იყო, მერე სად წავიდოდა. ეს არ იყო ჩემთვის პრობლემა, მაგრამ ყველაფერი თავისთავად, შემთხვევით ხდებოდა.

**– ერეკლე, შენ რას საქმიანობ?**

– სხვადასხვა ბიზნესით ვარ დაკავებული. რაღაც პერიოდში საქართველოშიც არ ვცხოვრობდი. ახლაც, საქმეებთან დაკავშირებით ხშირად მიწევს ევროპაში ყოფნა.

**– როგორც ვიცი, თამთა უცხოეთში აპირებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამუშაოდ წასვლას.**

**თამთა**: ლოს-ანჯელესში უნდა წავსულიყავი, მაგრამ ახლა სამოდელო სფეროში ცუდი პერიოდია. ამიტომ, ჩინეთში მივდივარ ორი თვით. შემდეგ „მის საქართველოსთვის“ ჩამოვალ და მერე კი გავემგზავრები ამერიკაში.

**ერეკლე**: ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მსიამოვნებს ეს ყველაფერი – მის გამგზავრებასაც ეტაპობრივად ვეგუები. მაგრამ, მეორე მხრივ, არ ვარ წინააღმდეგი, რადგან მსიამოვნებს, რომ ჩემ გვერდით წარმატებული მანდილოსანია. დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში და ვიცი, რომ გავქაჩავ. აქამდე ვქაჩავდი და მომავალშიც, წესით, არ გამიჭირდება. სულ ვცდილობ, მაქსიმალურად შევუწყო ხელი, თუმცა, რატომღაც, ჩვენ გარშემო ყველას ეგონა, მე ხელს შევუშლიდი.

**თამთა**: ის, რომ ერეკლეს 24 წლის ასაკში თავისი საქმე აქვს და სერიოზული პიროვნებაა, ჩემს საქმესაც სერიოზულად აღიქვამს, ამან გაგვიადვილა ურთიერთობა. თავიდანვე იცოდა, რომ მე 2-3 თვით სხვა ქვეყანაში მომიწევდა წასვლა. თვითონაც ხშირადაა უცხოეთში, ამიტომ ამ ყველაფერს შეგნებულად მიუდგა.

**– როდესაც ურთიერთობას იწყებდით, იყო სირთულეები?**

**ერეკლე**: ჩვენ და მით უმეტეს, მე იმ ასაკში არ ვარ და თან, განვლილი ცხოვრებიდან მიღებული მაგალითები არ მაძლევს იმის უფლებას, ელემენტარულ რაღაცეებზე ვიკამათოთ, ან ვიჩხუბოთ. ერთმანეთს არ ვაძლევთ ამის საბაბს, ჰარმონიული, თბილი და ტკბილი ურთიერთობა გვაქვს. ია-ვარდით არ მქონია მოფენილი ცხოვრება. რაც ახლა მაქვს, ყველაფერი ჩემით შევქმენი, გვერდში არავინ დამდგომია. როცა პრობლემა იჩენს თავს, მიხარია, რადგან, რაღაც კუთხით, ცხოვრებას თავისი მუღამი ეძლევა.

**– როდესაც უკეთ გაიცანით ერთმანეთი, რა იყო ის, რითაც თამთამ ყველაზე მეტად მოგხიბლა?**

– ბევრი თვისებაა, რაც თამთაში მომწონს და მიყვარს. რა თქმა უნდა, პირველ ეტაპზე შოკის მომგვრელი იყო მისი ვიზუალური მხარე. როცა პირველად ვნახე, სალონში ხმამაღლა იმ თემაზე ვსაუბრობდით, რომ მოდელები ვიზუალურად ნორმალური გოგონები არიან, მაგრამ – ფუტლარები. თამთას შემთხვევაში, აშკარად სხვაგან მოვხვდი. ვიზუალურ მხარეზე, რომ არაფერი ვთქვა, თამთა ჩამოყალიბებული პიროვნებაა, დალაგებული – იცის, რა უნდა, უყვარს თავისი საქმე და რაც მთავარია, მე ვუყვარვარ.

**თამთა**: ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, ვიზუალურ მხარეს ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ მე-

**ერეკლე: „ჩვენ და მით უმეტეს, მე, იმ ასაკში არ ვარ და თან, განვლილი ცხოვრებიდან მიღებული მაგალითები არ მაძლევს იმის უფლებას, ელემენტარულ რაღაცეებზე ვიკამათოთ ან ვიჩხუბოთ“**

რე ურთიერთობაში, როცა ორი ადამიანი რჩება ერთად, მთავარი ხასიათია. კარგად ვეწყობით ერთმანეთს, ერთად კარგად ვართ. ჩვენი აზრები, ფიქრები, ღირებულებები ერთმანეთს ემთხვევა. ძალიან მიზანდასახულია, ისევე, როგორც მე და შრომისმოყვარეა. ყველასგან განსხვავებული, სხვა თვალით უყურებს ცხოვრებას, ამიტომაც მომეწონა და მიყვარს.

**– არსებობდნენ ადამიანები, თქვენს ურთიერთობას რომ ეწინააღმდეგებოდნენ და ხელს უშლიდნენ?**

– ბევრი ადამიანი ეწინააღმდეგებოდა ჩვენს ურთიერთობას. ერეკლეს შესახებ ჩემთან ცუდი ამბები მოჰქონდათ, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა. როცა ვინმე რამეს ამბობს ჩემზე, მირჩევნია, ამის შესახებ პირადად მკითხონ, გაარკვიონ. ასე იყო ერეკლეს შემთხვევაშიც. მასთან მივდიოდი და ვეკითხებოდი: ეს გავიგე-მეთქი და მერე ყველაფერს ვარკვევდით. ეს არასდროს გამხდარა ჩვენი ჩხუბის მიზეზი. ჩვენ წარსულით არ ვცხოვრობთ, ჩვენი ურთიერთობა მომავალზეა დამოკიდებული. ამიტომ, ხელს არ გვიშლის ის ფაქტი, რომ ერეკლეს შვილი ჰყავს ან მეგობარი გოგონა ჰყავდა.

**ერეკლე**: ბევრი ამბობს, რომ მე ოფიციალურ ქორწინებაში ვიყავი. ხმამაღლა ვამბობ, რომ მე არ ვყოფილვარ ოფიციალურ ქორწინებაში. შვილი მყავს და მას ყოველთვის მივაქცევ ყურადღებას.

**თამთა**: ძალიან ყურადღებიანია, თუნდაც უცხო ადამიანების მიმართ. პირადად მე, ცუდი შთაბეჭდილება დამრჩებოდა, რომ გამეგო, შვილი ჰყავს და მას ყურადღებას არ აქცევსო.

**– ალბათ, გაიცანით ერთმანეთის მშობლები.**

**ერეკლე**: დედაჩემს 10 წლის სიცოცხლე მოემატა მას შემდეგ, რაც თამთა გაიცნო: მესამე შვილია ჩემს ოჯახშიო. ჩემი სასიდედროც ძალიან მიყვარს და ვიცი, ეკასაც ვუყვარვარ.

**თამთა**: დედამ ერეკლე ზუსტად იმ პერიოდში გაიცნო, როდესაც მამა გარდაიცვალა. ამბობს ხოლმე: ერეკლე რომ არ გამოჩენილიყო ჩვენს ცხოვრებაში, ამ დარდის გადატანა კიდევ უფრო გაგვიჭირდებოდაო. ახლა სამი მეფე ჰყავს ოჯახში: დავითი, თამარი და ერეკლე.

**– ერთმანეთს, ალბათ, სიურპიზებითაც ანებივრებთ.**

– ამერიკაში რომ ვიყავი „მის უნივერსზე“, ერეკლემ გამომიგზავნა ვარდების თაიგული, თავისი წარწერით: „I love you my sweethheart“, თან, არ უთქვამს, რომ რამეს მიგზავნიდა. მაგრამ, როგორც კი დავინახე, მაშინვე მივხვდი, რომ მისი გამოგზავნილი იყო. უყვარს მრავალფეროვნება, არ არის ბანალური. მაგალითად, შეუძლია ერთ ჩვეულებრივ დღეს რომანტიკული საღამო მოგიწყოს – თავისი სანთლებით, მარწყვით, ყინულში ჩადგმული შამპანურით. რა თქმა უნდა, ეს უფრო დასამახსოვრებელია, ვიდრე რამის ჩუქება.

**ერეკლე**: ერთხელ თამთასთან სახლში მივედი და ისეთი გაფორმებული დამხვდა იქაურობა, მეგონა, სხვაგან მოვხვდი – კარი მივხურე და მერე თავიდან გავხსენი. შოკში ჩავვარდი, ისეთი გაფორმებული იყო.

**თამთა**: ერეკლეს დაბადების დღე იყო. მთელი კვირა ვგეგმავდი, რა უნდა გამეკეთებინა. ოთახი ბუშტებით მოვრთე, სანთლებით გავაკეთე ბილიკები, ვარდის ფურცლები დავყარე, მაგიდაზე „ფერარის“ ტორტი დავახვედრე.

**– როდის აპირებთ დაქორწინებას?**

**ერეკლე**: ჩაიაროს 2013 წლის „მის საქართველომ“ და პირობას გაძლევ, პირველი შენ გაიგებ ყველაფერს, თან იმასაც გპირდები, რომ სხვა ჟურნალში არ მოვხვდებით.

**თამთა**: ახალ „მისს“ რომ აირჩევენ, მერე მივცემთ ჩვენს ურთიერთობას კანონიერ სახეს, რადგან კონტრაქტის მიხედვით არ მაქვს 1 წლის განმავლობაში გათხოვების უფლება.

**ნათია უტიაშვილი**

**კალათბურთელმა ნიკა ცქიტიშვილმა გუნდი შეიცვალა და ბოლო რამდენიმე თვეა, ოჯახთან ერთად ლიბანში, ბეირუთში ცხოვრობს. მალე ოჯახში მატება ექნებათ – აპრილში მეორე შვილის მამა გახდება. ჩვენი რესპონდენტი ნიკას მეუღლე, სოფო გოგებაშვილია, რომელიც ახალ საცხოვრებელ ადგილას თავს ძალიან კომფორტულად გრძნობს და ქმარ-შვილთან ერთად, პატარას მოლოდინში, ბედნიერად ცხოვრობს.**

# როგორ ცხოვრობს ლიბანში ნიკა ცქიტიშვილის ოჯახი და რა დაანათლა ზაზა ფაჩულიამ მის ქალიშვილს

**– როგორ შეეწყვეთ ახალ საცხოვრებელ ადგილს?**

– ლიბანში ძალიან კარგად ვართ. მე და ლიზი ახლახან ჩამოვედით საქართველოდან, რადგან, უნივერსიტეტში ფინალური გამოცდები მქონდა ჩასაბარებელი. ამიტომაც, ცოტა გვიან მომიწია ბეირუთში ჩამოსვლა. ამჯერად სამშობიაროდ ვემზადები. თავს ძალიან კარგად ვგრძნობთ; კარგი, მზიანი ამინდები გვაქვს და ცხოვრება გვიხარია. რომ მითხრეს, თბილისში თოვდაო, გავოგნდი, რადგან, მარტში ასეთ რამეს არ ველოდი. ამ წუთებში აქ პლუს 25 გრადუსია. თან, პატარა რომ დაიბადება სიცივე არ იქნება, რაც ძალიან კარგია.

**– ვის ელოდებით?**

– გოგოს. ლიზი ელოდება განსაკუთრებით, სახელებს არჩევს და არის ერთ ამბავში. ჯერ გვითხრა, ზაზუნა დაარქვათო, მერე ნანუკა მოეწონა. სამწუხაროდ, ჩვენ სახელი ნანუკა არ მოგვწონს და ამიტომ ვერ ვარქმევთ ამ სახელს. ალბათ, ბავშვი რომ დაიბადება, მერე გადავწყვეტთ, რა უნდა დავარქვათ.

**– ნიკა როგორ მიიღეს ახალ გუნდში?**

– ნიკა ძალიან კარგად არის, მშვენიერი გუნდია და ყველანაირად კმაყოფილია. ძალიან დატვირთულია, ხშირად აქვს თამაშები, ვარჯიშები. თან, დამატებით, ინდივიდუალურადაც ვარჯიშობს. მიხარია, რომ ყველანი ერთად ვართ, რადგან, სანამ ჩამოვიდოდით, ლიზის ისე ენატრებოდა მამიკო, დეპრესია ჰქონდა. იმდენად იყო გაბრაზებული, ნიკას სკაიპში რომ ველაპარაკებოდი, კამერაშიც აღარ ენახვებოდა. რაც ჩამოვედით, ლიზი ყოველდღე მიმეორებს, რომ უხარია. რა უხარია, ვერ გავიგე, ალბათ, ნიკასთან ერთად რომ არის. მამა-შვილის დუეტს ვერ აგიწერ, როგორია.

**– ნიკა როგორი მამაა?**

– ნიკა მართლა ძალიან კარგი მამაა, განსაკუთრებით ორსულობის ბოლო თვეებში მეხმარება. თან, მარტო ვართ, არავინ არ არის ჩამოსული და ნიკას დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია. როცა ნიკა ინდივიდუალურად ვარჯიშობს, დარბაზში მარტოა და ლიზიც მიჰყავს. ესეც ძალიან ერთობა ბურთის თამაშით, ხან მამიკოს ავარჯიშებს თავისებურად. ნიკა ხუმრობს ლიზი ჩემი პირადი ტრენერიაო.

**– ერთ თვეში ბავშვს გააჩენ და მშვენიერ ფორმაში ხარ.**

– ფეხით დავდივართ ბევრს და ამის გამო წონაში ცოტა მოვიმატე. მერვე თვეში ვარ და მხოლოდ 9 კილო მაქვს მომატებული. ძალიან მიხარია, რადგან, ლიზიზე ორი ამდენი მოვიმატე.

**– ლიზი მამას ძალიან ჰგავს.**

– კი ჰგავს, მაგრამ, ჩემი ბავშვობის ფოტოები რომ ნახო, მეც ძალიან მგავს. თუმცა, აქ ვინც ნახა, ყველა მაინც ნიკას ამსგავსებს.

**– 19 წლის ხარ და მალე ორი შვილის დედა გახდები.**

– აპრილში უკვე ორი გოგონა გვეყოლება, რომლებსაც აუცილებლად ძმაც უნდათ. ამიტომ მალე მესამე წრეზე მომიწევს წასვლა.

**– კალათბურთელების ცოლები საკმაოდ აქტიურად ზრუნავთ გამრავლებაზე.**

– ცხოვრებაში ამაზე კარგს რას გავაკეთებ? მირჩევნია, ახლავე მივაყოლო ბავშვები ერთმანეთს, ვიდრე წლების შემდეგ გავაჩინო. ერთად გაიზრდებიან, თან, ჩემთვისაც კარგია – რომ წამოიზრდებიან, მერე კარიერასაც მივხედავ.

**– უნივერსიტეტში სწავლობ. რომელი კურსის სტუდენტი ხარ?**

– პირველ კურსზე ვსწავლობ, რადგან, ლიზიზე ვიყავი ფეხმძიმედ, ერთი წლით გვიან ჩავაბარე. ბიზნესი და ეკონომიკა ავირჩიე, რითაც ძალიან გავირთულე საქმე. არ მეგონა, ასეთი რთული თუ იქნებოდა. ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე, რადგან, ყველაზე გამოსაყენებელი მაინც ეს პროფესიაა.

**– ნაკრებზე მინდა გკითხო. ნიკა თუ იქნება საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ზაფხულში?**

– ფედერაციის პრეზიდენტმა დაურეკა, მაგრამ, ზუსტად რა ხდება, არ ვიცი. როგორც გავიგე თვითონ იგორ კოკოშკოვმა უნდა დაურეკოს ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან მას ეხება მოთამაშის დათხოვნა და მოწვევა. მან დაითხოვა და, ალბათ, მანვე უნდა გამოიძახოს. რა თქმა უნდა, ნიკას თუ დაურეკავენ და მოიწვევენ ოფიციალურად, სიამოვნებით დათანხმდება.



**სანამ კონტრაქტს ხელს მოაწერდა, სამი წელი ეხვეწებოდნენ, მაგრამ, თავს იკავებდა. ახლა კი გარისკა და გაამართლა. ისეთი კმაყოფილები ვართ, ნიკა სულ იმას ამბობს, აქამდე სად ვიყავითო**

**– ალბათ, ნიკას მხრიდან კოკოშკოვის შარშანდელ გადაწყვეტილებას გულისდაწყვეტაც მოჰყვა. გულშემატკივრისთვისაც ძალიან მოულოდნელი იყო, როცა რამდენიმე წარმატებული კალათბურთელი გასულ წელს ნაკრებს მიღმა დარჩა.**

– ნიკას იმხელა ამაგი აქვს ნაკრებზე, რომ, ჩემი აზრით, ასე გაშვებას არ იმსახურებდა. კი, მესმის, შემადგენლობის გაახალგაზრდავება საჭიროა, მაგრამ, უნდა იცოდე ვის როგორ უნდა მოექცე კონკრეტულ სიტუაციაში. ნიკას ზუსტად იმაზე დასწყდა გული, რომ მესამე პირისგან გაიგო. ძალიან ულამაზოდ მოხდა ნაკრებიდან ნიკას დათხოვნა. პირადად არ დაურეკავთ და არც მადლობა გადაუხდიათ იმისთვის, რომ 15 წელი ასე აქტიურად იყო ნაკრებში. ჩემი აზრით, ეს სწორი არ იყო, თუმცა, ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

**როცა ნიკა ინდივიდუალურად ვარჯიშობს, დარბაზში მარტოა და ლიზიც მიჰყავს. ნიკა ხუმრობს, ლიზი ჩემი პირადი ტრენერიაო**

**– ახალი გუნდის კონტრაქტი რა პერიოდს მოიცავს?**

– კონტრაქტი მაისის ბოლომდე აქვს – ჯერჯერობით ერთწლიანს მოაწერა ხელი. თუმცა, ისეთი კმაყოფილია, რომ, არც მეორე წელზე იტყოდა უარს. არ გვეგონა ეს ქვეყანა და, კერძოდ, ქალაქი, ასეთი კარგი თუ იქნებოდა. ყველანაირი პირობით ძალიან კმაყოფილები ვართ და კარგია, რომ ნიკამ სწორი არჩევანი გააკეთა. სანამ კონტრაქტს მოაწერდა ხელს, სამი წელი ეხვეწებოდნენ, მაგრამ, თავს იკავებდა. ახლა გარისკა და გაამართლა. ისეთი კმაყოფილები ვართ, აქამდე სად ვიყავითო, სულ ამბობს. სანამ აქ ჩამოვიდოდით, ირანში თამაშობდა, რომელსაც არც კი შევადარებთ აქაურობას, იმდენად კარგად ვგრძნობთ თავს.

**– მეუღლის თამაშებზე თუ დადიხარ?**

– კი, როგორ არა, ყველა თამაშზე დავდივარ ლიზისთან ერთად. გუნდში მეუბნებიან, სადაცაა ბავშვს გააჩენ, სახლში დაჯექიო. ლიზი მამიკოს ძალიან აქტიური გულშემატკივარია, „გოუ, ნიკა, მიდი! გოუ, ნიკა, მიდი!" – სულ ასე უყვირის თამაშზე. ყველა გადარია, ძალიან აქტიური ფანია. უკვე შეჩვეულია ბარაბნებისა და საყვირების ხმას.

**– ნიკას ფანებს რაც შეეხება?**

– ძალიან ბევრი ფანი ჰყავს. თამაშებზე დიდი ტრანსპარანტებით მოდიან, რომლებზეც ნიკას ფოტოა და ზედ აწერია: „ბედნიერები ვართ, რომ აქ ხართ" და ასე შემდეგ. ყოველდღე ურეკავენ და ეუბნებიან, რომ მომდევნო სეზონიც ამ გუნდში ითამაშოს.

**– ზაზა ფაჩულია ლიზის ნათლიაა. კალათბურთის სიყვარული თუ დაანათლა?**

– გოგოს ასე კალათბურთი უყვარდეს – არც გამიგია. ეს, ალბათ, მართლა ზაზამ დაანათლა. თან, ძალიან მაღალი ბავშვია – 4 წლის ასაკის ბავშვის ტანსაცმელს ვყიდულობთ. ფეხის ზომაც საკმაოდ დიდი აქვს.

**– სად უფრო კარგად გრძნობს თავს, საქართველოში თუ უცხოეთში?**

– როცა თბილისში ვართ, ლიზი მამიდაშვილებთან ურთიერთობით ძალიან ბედნიერია, მაგრამ, ძალიან ენატრება ნიკა. რომ ჩამომყავს მერე უკვე ნიკა უნაზღაურებს ყველაფერს, ისე ართობს. მგონია, აქ ყველაზე კარგად არის, მაგრამ მერე ბავშვები ენატრება და სულ თავისი მამიდაშვილების ხსენებაშია.

**– ოჯახის დამოუკიდებლად გაძღოლა 19 წლის ასაკში, თან – სამშობლოსგან შორს, ხომ არ გიჭირს?**

– პირიქით, ძალიან მსიამოვნებს ეს სიტუაცია. ერთი სული მქონდა, როდის ჩამოვიდოდი. რომ არ მოგატყუო, ძალიან ვიღლები, მით უმეტეს, ორსულად რომ ვარ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც კარგად ვართ და მსიამოვნებს. რაც უფრო დამოუკიდებლად ვცხოვრობთ და მთლიანად საკუთარ თავზე ვიღებთ ოჯახზე პასუხისმგებლობას, ეს ჩემთვისაც კარგია და ნიკასთვისაც. ასე უფრო მეტს იზრდები, მეტს სწავლობ. ამიტომ, მაინც მგონია, რომ ბევრად უკეთესია ასე ცხოვრება.

**– ანსამბლ „რუსთავის" მოცეკვავე იყავი გათხოვებამდე. არ გენატრება ცეკვა?**

– ძალიან. ისე, ცეკვა ორსულობის დროს უფრო მენატრება, ვერ აგიწერ, როგორი ნოსტალგია მაქვს. ლიზისაც ძალიან უყვარს და სულ მთხოვს, რომ ვიდეო ჩავურთო. აი, რომ ჩავურთავ, მერე უფრო ცუდად ვხდები. ძალიან ძნელია, მაგრამ, რა ვქნა... ჩემი აზრით, ცეკვა არასდროს არ არის გვიან, რომ ჩამოვალ მერეც შემეძლება, მთავარია, ფორმაში ვიყო და სურვილი მქონდეს.

**– ჩამოსვლას როდის გეგმავთ?**

– გამოცდები მაქვს ივნისში. ამიტომ, როცა კი მომცემენ ბავშვის თვითმფრინავით მგზავრობის უფლებას, მაშინვე გადმოვფრინდებით. აკადემიური სპეციალურად არ ავიღე, რადგან, წლის დაკარგვას, მირჩევნია, რამდენიმე თვე ასე გავწვალდე.

**– საუბრის დასასრულს თქვენი ოჯახის გულშემატკივარს რას ეტყოდი?**

– ძალიან დიდი მადლობა ყველას, ვისაც ჩვენი ოჯახის სიკეთე გულით უხარია. მინდა, თითოეულ მათგანს ჩვენზე უკეთესი და ბევრად კარგი ცხოვრება ვუსურვო.

**მარიკა ხიდურელი**

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

14 მარტი, **ხუთშაბათი** 19.45 - **„სულიერი არსებები"** (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, მარინა კახიანი, გელა ოთარაშვილი, ნინო მითაიშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო თარხან-მოურავი. კომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

15-16 მარტი, **პარასკევი-შაბათი** 19.45 - **„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი"** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე. კომედია. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;***

17 მარტი, **კვირა** 19.45 - **„ნადირობის სეზონი"** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი; ტრაგიკომიკური ფანტასმაგორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

12 მარტი, **სამშაბათი** 20.00 - **„Private Lives"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ირმა ბერიანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ზაზა იაქაშვილი, ნიკა კუჭავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

12, 15 მარტი, **სამშაბათი, პარასკევი** 20.00 - **„მემუარები"** (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ირაკლი გოგია. მონაწილეობენ: გურანდა გაბუნია, ოთარ მეღვინეთუხუცესი; პრემიერა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

13 მარტი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„მგზავრის წერილები"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თენგიზ არჩვაძე, გია ბურჯანაძე, დავით დვალიშვილი, გივი ბერიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

13 მარტი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„კრეპის უკანასკნელი ფირი"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი: ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი. მონაწილეობს: მარლენ ეგუტია; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

14 მარტი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ირინეს ბედნიერება"** - (დიდი სცენა) - ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლი (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ჯაბა პაპუაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

14 მარტი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ბუშინდელნი"** - (თეატრი სხვენში) - სოხუმის დრამატული თეატრის სპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: ნუგზარ ჩიქოვანი, ლორინა პაპუაშვილი-ელერდაშვილი, ქეთი ჩაჩუა, ვანო დუგლაძე, ჯიბო კვანტრიშვილი, პაატა კიკვაძე, მერაბ ბრეკაშვილი, ჯულიეტა პაკელიანი, თეონა გურამიშვილი, ნუგზარ წერედიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

15 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„შერეული ემოციები"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ცხაკაია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

16 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„ტანგო ნაბიჭვართან"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორები: ქეთევან ხარშილაძე, გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: კოტე თოლორდავა, ია შუღლიაშვილი, ეკა ნიჟარაძე, ლილე ფილფანი, ნინო გომართელი, ნინო დუმბაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკუშა ჩიქოვანი, ლევან გელბახიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

17 მარტი, **კვირა** 12.00 - **„თოვლის დედოფალი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 8 - 14 ლარი), რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ზაზა გოგუაძე, გიორგი კიკნაძე, მარლენ ეგუტია, თამარ სხირტლაძე, ანი გუჯეჯიანი, ნიკა გუჯეჯიანი, ლელა მებურიშვილი, ნინო დუმბაძე, ეკა მჟავანაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

17 მარტი, **კვირა** 20.00 - **„ბახტრიონი"** - ლეო ანთაძის საავტორო სპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში); ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

17 მარტი, **კვირა** 20.00 - **„დეკამერონი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), ინსცენირების ავტორი, რეჟისორი და სცენოგრაფი - ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, ირმა ბერიანიძე, ზურა ბერიკაშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, ბაია დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნიკა კუჭავა, მარლენ ეგუტია, ჯაბა კილაძე; ***ხანგრძლივობა: 3სთ. 15 წუთი.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

12 მარტი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

13 მარტი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„თოჯინების სახლი"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი: ვანო ხუციშვილი. მონაწილეობენ: თამუნა ნიკოლაძე, გიორგი ზანგური, ბაჩო ჩაჩიბაია, მაია ხორნაული, ნინო ფილფანი, დევი ბიბილეიშვილი; ***ხანგრძლივობა: 3სთ. 10 წუთი;***

14 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„რვა მოსიყვარულე ქალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი: მაია ჩართოლანი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ლალი ბადურაშვილი, ანი ზამბახიძე, ნინო კიკაჩეიშვილი, მაია ხორნაული, სალომე ჭულუხაძე, ფიქრია ნიქაბაძე, ანა მღებრიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

15 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„სათამაშო პისტოლეტი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 12 ლარი), რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი. მონაწილეობენ: ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

16 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

17 მარტი, **კვირა** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

15-16-17 მარტი, **პარასკევი-შაბათი-კვირა** 19.00 - **„გასროლა"** (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: გიორგი ქანთარია. მონაწილეობენ: თამარ ბეჟუაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, გვანცა კანდელაკი, კახა ჯოხაძე, ჯაბა ჯაფარიძე; პრემიერა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

14-15 მარტი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 20.00 - **„კარმენი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: კოტე ფურცელაძე. მონაწილეობენ: ანა ალექსიშვილი, ანა წერეთელი, ეკატერინე დემეტრაძე, გიორგი ტორიაშვილი, გიგი ქარსელაძე, ბაჩო ჩაჩიბაია, არჩილ სოლოღაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

16-17 მარტი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„აკრძალული თამაშები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მანანა ბერიკაშვილი. მონაწილეობენ: ნანა ბუთხუზი, ანა ალექსიშვილი, გიორგი ვარდოსანიძე, თორნიკე გოგრიჭიანი, კახა კინწურაშვილი, ალექსანდრე დავითაშვილი, დევი ბიბილეიშვილი, გიორგი მახარაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი.***

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
**ჭავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

15 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„სპექტაკლი-კონცერტი არიქა და ვარიქა"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორები: ოთარ ეგაძე, თიკო ლუტიძე. მონაწილეობენ: ეკა დავითაშვილი, ქეთი ძოწენიძე, სოფო პაპუაშვილი, ნიკოლოზ გიორგაძე, გიგა ცერცვაძე, თემურ კვარაცხელია, ნიკოლოზ ნანიტაშვილი, რევაზ ფიფია, ზურა გაბუნია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

16 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„ოპერა მაფიოზო"** (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: გაბრიელ გოშაძე. მონაწილეობენ: დავით გიგოლაშვილი, მამუკა ლორია, ზაზა ასანიშვილი, ვასილ ოდიშვილი, მაკა ძაგანია, თამთა ცინცაძე, სოსო მჭედლიშვილი. კომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

17 მარტი, **კვირა** 20.00 - **„ფრანგული გარნირი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო დოლონაძე, სალომე მიქაძე, გიორგი ჭუმბურიძე, სალომე ლაფერაძე, სალომე წურწუმია, ზურაბ გაბუნია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი.***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

17 მარტი, **კვირა** 12.00 - **„ალისფერი ყვავილი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: არჩილ ბარათაშვილი, აპოლონ კუბლაშვილი, ივანე ქურასბედიანი, სანდრო მარგალიტაშვილი, ირინა მეღვინეთუხუცესი, ნანა დარჩიაშვილი, ანა არუთუნიანი, მარი კიტია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.**
**ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 11 მარტი

06.30 დ/ფ "განდის ძიებაში" 07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.50 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "ადამიანი – პლანეტა" 17.00 დ/ფ "მეცნიერების ისტორია" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"სიყვარულის კოცნა"** 21.00 ტ/სერ **"დონ ძენო – კაცი ნორმა დელფიიდან"** 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 "კომენტატორი" 00.00 "საფარი" 00.30 მხ/ფ **"გველები თვითმფრინავში"** (ს.ელ ჯექსონი).

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 13.00 სერ. "24 – 5" 14.40 კონცერტი: "შინი" 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 ქ/სერ **"ცხელი ძაღლი"** 9 სერ. 23.00 მხ/ფ **"ქილერები"** (ე.კუჩერი) 01.05 სერ. **"ღვინის გზა"** 01.40 მხ/ფ **"დამცველი"** (დ. ლუნდგრენი) (ტიტ.) 03.05 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 შერეკილები 17.00 სერ.**"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერიალი **"ერთგულების ძალა"** 22.00 მხ/ფ **"იღბლიანი ჯენტლმენები-2"** 00.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

07.00, 05.35, 06.00, 07.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 11.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 01.40 თოქ–შოუ - "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 01.20 "ყოველდღიური აბები" 22.20, 02.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მხ/ფ **"აურზაური სალხინეთში"**. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ **"მაცი ხვიტია"** 13.35 კონცერტი-საფორტეპიანო მუსიკის საღამო - ე. სავიცკი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი **"ვალი"** 17.05 დოკ/ფ "ველური ბუნება" 17.30 ნიამორი 18.10 მრავალჟამიერი 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.15 მხ/ფ **"ნერგები"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 საქართველოს ისტორია 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ტერენტი გრანელი" 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 პერსპექტივა.

## სამშაბათი 12 მარტი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.50 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "თანამედროვე იარაღი/ 17.00 "საფარი" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"სიყვარულის კოცნა"** 21.00 ტ/სერ **"დონ ძენო – კაცი ნორმა დელფიიდან"** 22.00 "აქცენტები" 23.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: **ბარსელონა – მილანი** (პ/რ) შესვენებისას: "ვიქტორინა" 01.30 მხ/ფ **"პატარა ბავშვები"** (ტიტ.) (კ.უინსლეტი).

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 13.00 სერ. "24 – 5" 14.40 დოკ/ფ "მოდის ფანატიკოსები" 1 ნაწ. 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 მხ/ფ **"ქალების ქვეყანაში"** (კ.სტიუარტი) 00.15 სერ. **"ღვინის გზა"** 00.50 მხ/ფ **"კონტროლი"** (უ. დეფო) (ტიტ.) 02.30 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ძალა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.40 ჩემპიონთა ლიგა 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.30, 05.00 მხ/ფ 04.30 კურიერი დაიჯესტი.

07.00, 05.35, 06.00, 07.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.30, 01.20 თოქ–შოუ - "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 00.55 "ყოველდღიური აბები" 22.20, 02.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 სპექტაკლი **"ვალი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.20 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საქართველოს ისტორია 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ **"ნერგები"** 13.40 კონცერტი-საგუნდო მუსიკის ფესტივალი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დოკ/ფ "ახალმოწამენი" 16.30 აქტუალური თემა 16.50 მხ/ფ **"მე მოვედი"** 18.10 მრავალჟამიერი 18.35, 23.50 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 დოკ/ფ "უბისა" 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 23.20 დოკ/ფ "უაილ ვესთის მხედრები" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი.

გაგრძელება 48-ე გვერდზე

# კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი“
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

**11 – 17 მარტი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00 - **„დედამიწიდან გაქცევა”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00, 18.00, 20.00 - **„ანუ გაიღიმეთ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.15 - **„პის ცხოვრება”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.15, 20.00 - **„ცელქი ბავშვები”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.15 - **„ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 22.30 - **„მთავარი სამიზნე”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

15.30, 17.30 - **„დედამიწიდან გაქცევა”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

19.30 - **„კერკეტი კაკალი 5”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.00 - **„ანუ გაიღიმეთ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00, 18.00 - **„კერკეტი კაკალი 5”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

20.00, 22.30 - **„არგო”**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.35, 17.20, 19.50 - **„პის ცხოვრება”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

22.30 - **„ანუ გაიღიმეთ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი”
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

*დიდი დარბაზი*

12.00, 14.00 - **„დედამიწიდან გაქცევა”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00, 18.00, 20.00, 22.30 - **„ანუ გაიღიმეთ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.30, 17.00, 19.45, 22.30 - **„პის ცხოვრება”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

### კინოთეატრი „საქართველო”
გურამიშვილის გამზ. 2/9,
ტელ: 230-80-80; 269-66-47.

12.00, 14.00, 16.00 - **„დედამიწიდან გაქცევა”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

18.00, 20.00 - **„ანუ გაიღიმეთ”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.00 - **„მთავარი სამიზნე”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 4 - 8 ლარი).

**მზია ორველაშვილი, ქართულმა საზოგადოებამ გაიცნო პროექტიდან – „ცეკვავენ ვარსკვლავები“, სადაც ის ოთარ ტატიშვილს უწევდა მეწყვილეობას. მიკა, როგორც მას ბელორუსში ეძახიან, შეიძლება ითქვას, თავის პროფესიაში ერთ-ერთი წარმატებული ქართველი, არაერთი სერიოზული ჯილდოსა და ტიტულის მფლობელია. ცოტა ხნის წინ, მზია თავის პარტნიორთან ერთად, ბელორუსის ჩემპიონი გახდა.**

# როგორ აპირებს მზია ორველაშვილი „სამეჯლისო ცეკვების ჰოლივუდში“ მოხვედრას და მერამდენე ადგილი უკავია მას მსოფლიო რეიტინგში

**მზია ორველაშვილი:** 16 თებერვალს ჩატარდა ტურნირი, რომლისთვისაც დიდხანს ვემზადებოდით. დიდი შრომა, ძალისხმევა ჩავდეთ იმაში, რომ მოგვეგო. 40-მდე წყვილი მონაწილეობდა ტურნირში და ჩვენ გავედით პირველ ადგილზე – ბელორუსის ჩემპიონები გავხდით. სამეჯლისო ცეკვები ბელორუსში უფრო პოპულარულია, ვიდრე საქართველოში. აქ ჩვენ ვუყვარვართ, გვაფასებენ, მხარში გვიდგანან. საქართველოშიც გვაფასებდნენ, ბევრი რამ კარგად იყო, მაგრამ ეს ყველაფერი არ იყო საკმარისი. ამიტომაც, წამოვედით ბელორუსში. თუმცა, ძალიან გვინდოდა, საქართველოს სახელით გამოვსულიყავით. ეს ჩემი ქვეყანაა, აქ დავიბადე, გავიზარდე და ოფიციალურ ტურნირებზე მინდა, ჩვენი ქვეყნის სახელით გამოვიდე, მაგრამ არ გამოდის. ამიტომ ვარჩიეთ, აქეთ წამოსვლა, რადგან აქ უფრო მეტი ხელშეწყობა გვაქვს. განსაკუთრებით ახლა, ჩემპიონატის შემდეგ სემინარებზე გვპატიჟებენ. თუმცა, სამი წლის განმავლობაში ჩემს ბელორუს მეწყვილესთან ერთად საქართველოს სახელით გამოვდიოდი. ვიყავით საქართველოს პირველი წყვილი სამი წლის განმავლობაში, ასევე, კავკასიის აბსოლუტური ჩემპიონები, თასის მფლობელები; აღმოსავლეთ ევროპის ვიცე-ჩემპიონები გავხდით ასევე საქართველოს სახელით. ვცდილობდით, ჩვენი ქვეყნისთვის ბევრი წარმატება მოგვეტანა. ჩემი მშობლები მწვრთნელები არიან, მათ გამზარდეს. დედა და მამა ყველანაირად ცდილობდნენ, მე რაღაცისთვის მიმეღწია. მათი სტუდია, „ელეგია“, ერთ-ერთი საუკეთესოა. ოთო ფოლადაშვილი ამ სტუდიაშია გაზრდილი. იქ გახდა საქართველოს ჩემპიონი პირველად. ოჯახში მარტო მე განვაგრძე მშობლების საქმე. ჩემი ძმებიც ცეკვავდნენ, მაგრამ დაოჯახდნენ და თავი დაანებეს. არადა, საქართველოს ჩემპიონები იყვნენ, ჰქონდათ ნიჭი, მაგრამ უარი თქვეს. ძალიან მინდა მივაღწიო იმას, რაც ჩემს მშობლებს ჰქონდათ დასახული.



**ოჯახში მარტო მე განვაგრძე მშობლების საქმე. ჩემი ძმებიც ცეკვავდნენ, მაგრამ დაოჯახდნენ და თავი დაანებეს. არადა, საქართველოს ჩემპიონები იყვნენ, ჰქონდათ ნიჭი, მაგრამ უარი თქვეს**

**– რას გულისხმობ?**

– მშობლები სულ მეუბნებოდნენ: გვინდა, შენ მიაღწიო იმას, რასაც ჩვენ ვერ მივაღწიეთო. თუნდაც, მსოფლიო ჩემპიონატზე ფინალში რომ გახვიდე, ან ფინალამდე მიაღწიო – ჩვენს ცეკვებში ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. მსოფლიო რეიტინგში 6 000 მეტი წყვილია და მათი სურვილია, 50 საუკეთესოში შევიდნენ. როცა 50 საუკეთესოში შედიხარ, ვარსკვლავს იღებ და ეს დიდი წარმატებაა. ჩვენს ცეკვებში ცალკე „ჰოლივუდია“ და იქ მოხვედრა ყველას უნდა. მე და ჩემს მეწყვილეს უკვე ცოტა დაგვრჩა, რომ მივუახლოვდეთ. სამი ტურნირიც და ალბათ, 50 საუკეთესო წყვილს შორის მოვხვდებით. წინა კვირას ტურნირი უკრაინაში იყო. 70 წყვილიდან გავედით ნახევარფინალში – მეათეები ვიყავით, რაც ძალიან კარგი შედეგია. აქედან ქულები დაგვემატა და მსოფლიო რეიტინგში უკვე 109-ე ადგილზე ვართ. სამი ტურნირი დაგვრჩა, ოღონდ, ნახევარფინალში ან ფინალში უნდა ვიცეკვოთ, რომ დიდი კოეფიციენტი გვქონდეს. ფორმაში ვართ და ვნახოთ, რა იქნება. როდესაც საქართველოს სახელით გამოვდიოდით, ფინანსების გამო მსოფლიო ჩემპიონატებზე ვერ მივდიოდით, რადგან შორს იყო ეს კონკურსები. ერთ-ერთი, რის გამოც ბელორუსში გადმოვედით, ესეც იყო. აქაური ფედერაცია ასეთ დიდ კონკურსებზე გზის ფულს უხდის ჩემპიონ წყვილს. საქართველოში, სამწუხაროდ, არ გვიხდიდნენ. იაპონიაში წასასვლელად კი ჩვენი ხარჯებით ვერ ვიყიდიდით ბილეთებს. თან, კოსტიუმები უნდა შეგვეკერა. ერთი კაბა კი 1 500 ევროზე მეტი ჯდება. კაბებიც შეიკერო და ბილეთიც იყიდო, ძალიან ძნელია. ბელორუსში ამის ფულს გვიხდიან და ყველანაირი ხელშეწყობა გვაქვს.

**– ყველაზე მეტად რომელი წარმატებით ამაყობ?**

– ძალიან ვამაყობ იმით, რომ საქართველოს პირველი წყვილი ვიყავით და წარმოვადგენდი ჩემს საყვარელ ქვეყანას, სადაც ძალიან მინდა, დაბრუნება. კიდევ, რა თქმა უნდა, ვამაყობ იმით, რომ გავხდი ბელორუსის ჩემპიონი – ამან ყველაფერი დაავიწყა... დაგვავიწყა.

**– რამდენი ხანია, რაც შენს მეწყვილესთან ერთად ცეკვავ?**

– ჩემი პარტნიორია გენადი ცინკევიჩი. ჩვენ გვყავდა საერთო ნაცნობი ბელორუსში. თბილისში ჩემს მეწყვილეს რომ დავშორდი, მასაც აღარ ჰყავდა პარტნიორი. დამიკავშირდა ჩვენი ნაცნობი, მითხრა: ერთი ბიჭია აქ, ბელორუსში ერთ-ერთ ლიდერად ითვლება და იქნებ მოსინჯოთ ერთად ცეკვაო. მორიდებულად ვკითხე: საქართველოში ჩამოსვლას დათანხმდება-მეთქი. მოკლედ, დაელაპარაკა, გაიგო, რომ კარგი შედეგები მქონდა და სახლში დარეკა. დედაჩემმა უპასუხა და ჰკითხა საქართველოში თუ ჩამოხვალთ, ჩემი გოგონაა და ვერ გამოვუშვებ ბელორუსშიო. დაგვთანხმდა, ჩამოვიდა, რაც ძალიან გაგვიკვირდა. ჩვენს ცეკვებში, ძირითადად, გოგონები ჩადიან სხვა ქვეყნებში, რომ ბიჭთან ცეკვა მოსინჯონ, რადგან ბიჭები ჭირს ჩვენს პროფესიაში. ჩამოვიდა, დავდგით ცეკვები. მაისში თბილისში კავკასიის თასის ჩემპიონატი ტარდება და ვიფიქრეთ: მოდი, ჩვენც ვნახოთ, რა გამოგვივა. თუ მოვხვდებით ამ დიდი ტურნირის ფინალში, გავაგრძელოთ ერთად ცეკვა, თუ არადა, დავიწყოთ მეწყვილის თავიდან ძებნაო. მოკლედ, გამოვედით კონკურსზე, პირველივე საერთაშორისო კონკურსზე მეოთხე ადგილი ავიღეთ და გადავწყვიტეთ, ერთად გაგვეგრძელებინა ცეკვა. ჩამოვედით ბელორუსში და უკვე 4 წელია, ერთად ვცეკვავთ.

**– როგორც ყველა წყვილი, ალბათ, თქვენც ჩხუბობთ, კამათობთ.**

– ბევრს ვჩხუბობთ, თუმცა ყველას ჰგონია, რომ შეყვარებულები ვართ. მოკლედ, ბევრს ჭორაობენ. არადა, ძალიან კარგი მეგობრები ვართ. ერთ ოჯახში ვცხოვრობთ. ანუ, კონტრაქტი გვაქვს ასეთი: მე რომ ბელორუსში ჩამოვდივარ, მასთან ვცხოვრობ სახლში. ის რომ თბილისში ჩამოდის, ჩემთან, სახლში ცხოვრობს. წარმოიდგინეთ 4 წელია, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ, და-ძმასავით ვართ. მას თავისი საცოლე ჰყავს, მე – ჩემი...

**– თბილისში ბევრს ჭორაობდნენ შენი და უკრაინელი ქორეოგრაფის ურთიერთობის შესახებ. რა ხდება ამ მხრივ?**

– ამ ეტაპზე არსებობს ადამიანი, რომელთანაც გარკვეული, სერიოზული ურთიერთობა მაქვს. გპირდები, რომ ამის შესახებ მერე მოგიყვები.

**– ყველაზე მეტად, ალბათ, შენს შვილთან განშორება გაგიჭირდა.**

– არ მინდოდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. რა დაგიმალოთ და მე უნივერსიტეტში არ მისწავლია. საშუალო სკოლა დავამთავრე, ცუდად არ ვსწავლობდი, მაგრამ ატესტატი არაფერში დამეხმარება. ცეკვაა ჩემი პროფესია, ამით უნდა ვიცხოვრო, ვიმუშაო. ამით უნდა ვაჭამო ჩემს შვილს, ამიტომაც დავთანხმდი. საქართველოში მექნება ჩემი სტუდია, მშობლების საქმეს განვაგრძობ, მაგრამ მხოლოდ ეს არ მაკმაყოფილებს. მინდა ვიმსაჯო, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გავხდე, რომ კონკურსებზე ვიარო, დიდი ხელფასი მქონდეს და ჩემს შვილს ყველაფერი გავუკეთო. თან, მამიკო საერთაშორისო კატეგორიის მსაჯია და მეც მინდა, ვიყო. ჩემმა შვილმა რაღაც რომ მთხოვოს და ვერ გავუკეთო, თვალებში ველარ შევხედავ. მამას რასაც ვთხოვდით, ბოლო კაპიკები რომ ჰქონოდა, მაინც გვიყიდიდა. ამიტომ მინდა, ჩემი შვილისთვის ისეთი დედა ვიყო, როგორი მშობლებიც მე მყავს.

**– რატომ გადაწყვიტე, მონაწილეობა მიგელო „ცეკვავენ ვარსკვლავებში?“**

– ეს ყველაფერი დედაჩემმა გააკეთა და მადლობელი ვარ, რომ თბილისში ჩამომიყვანა, არადა, სხვა გეგმები მქონდა. 200 ქულა გვაკლდა, მე და ჩემი მეწყვილე, 50 საუკეთესო მოცეკვავეში რომ შევსულიყავით და არ მინდოდა ამ შანსის დაკარგვა. მაგრამ დედამ მითხრა: თუ ბედია, მაგას მერეც გააკეთებო და მოკლედ, ერთ დღეში გადამაწყვეტინა თბილისში ჩამოსვლა – რატომაც არ უნდა გიცნობდეს შენი ქვეყანა. ჩემს მეწყვილესთან მთელი ომი მქონდა, მაგრამ გაგებით მოეკიდა. შეიძლება, ამით რაღაც დავკარგე, მაგრამ ჩემს საყვარელ ქვეყანაში რამდენიმე ადამიანის სიყვარული მოვიპოვე.

**– როგორც ვიცი, საკმაოდ პატარა ასაკში გათხოვდი და დღეს მეუღლესთან დაშორებული ხარ.**

– არ ვნანობ ამ ნაბიჯს, შვილი მყავს, რომელიც ძალიან მიყვარს. ჩემი ყოფილი ქმარი კარგი ადამიანია, მაგრამ ერთმანეთს ვერ გავუგეთ. ალბათ, არ იყო ბედი, რომ ჩვენ ერთად გვეცხოვრა. მალე დავშორდით, სულ კონფლიქტებში ვიყავით, ამიტომაც დავშორდით. თავიდან ძნელი იყო ამ ყველაფრის გადატანა, ბავშვის მარტო გაზრდა, მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალია. ახლა არ მაქვს მასთან ურთიერთობა, თუმცა, ბავშვს ნახულობს, კარგ მამობას უწევს. რასაც სთხოვს, ყველაფერს უკეთებს და მეც მინდა, რომ მასთან ჰქონდეს ურთიერთობა.

**ვიყავით საქართველოს პირველი წყვილი სამი წლის განმავლობაში, ასევე კავკასიის აბსოლუტური ჩემპიონები, თასის მფლობელები. აღმოსავლეთ ევროპის ვიცე-ჩემპიონები გავხდით საქართველოს სახელით**

**– როდესაც მეორედ გადაწყვეტ გათხოვებას, ალბათ, ბევრ რამეს გაითვალისწინებ.**

– ალბათ, ვიქნები უფრო დამთმობი, რბილი ხასიათი მექნება. უფრო მოვესიყვარულები ჩემს ქმარს...

**ნათია უტიაშვილი**

# ხორცი ყველით








**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ღორის მჭლე ხორცი, 300 გრამი რბილი ყველი, 6 სადილის კოვზი მაიონეზი, 1 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 1 სადილის კოვზი კეტჩუპი, 1 სადილის კოვზი მდოგვი, შავი პილპილი და მარილი – გემოვნებით, 3 ცალი მომცრო ზომის ხახვი.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით ულუფებად, დაახლოებით 1 სანტიმეტრის სისქის, ხელისგულის ზომის ნაჭრებად, დაბეგვეთ და უყავით მარილი.

მოამზადეთ სოუსი მაიონეზის, სოიის სოუსისა და კეტჩუპისგან, შეურიეთ მდოგვი და ცოტა შავი პილპილი.

ხახვი მოშუშეთ ზეთში. ყველი გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე. ხორცი დააწყვეთ დიდ ტაფაზე. მოუსვით სოუსი და მოათავსეთ აირღუმელში 20-25 წუთის განმავლობაში, 220 გრადუს ტემპერატურაზე. 25 წუთის შემდეგ ხორცს ზემოდან მოაყარეთ ხახვი და გახეხილი ყველი და ისევ შედგით ცხელ აირღუმელში 15 წუთის განმავლობაში.

# გემრიელი სალათა










**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი წვრილად დაჭრილი დამჟავებული სტაფილო, 3 ცალი კვერცხი, 1/3 ჭიქა რძე, 250 გრამი ბეკონი (ან ძეხვი), 150 მაიონეზი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ჯერ მოამზადეთ ომლეტი – ერთად კარგად გათქვიფეთ კვერცხი, რძე, ცოტა მარილი და დიდ ტაფაზე შეწვით. გადმოიღეთ ტაფიდან და გააცივეთ. ძეხვი (ბეკონი) დაჭერით ჩხირებად, ომლეტი გადაახვიეთ რულეტივით და დაჭერით მსხვილად.

ღრმა თასში მოათავსეთ სტაფილო, ძეხვი და ომლეტი. დაუმატეთ ცოტა მაიონეზი და ამოურიეთ.

# ვაშლის ნუგბარი










**საჭირო ინგრედიენტები:** 1 შეკვრა ფენოვანი ცომი (გაყინული ან მოამზადეთ თქვენ თვითონ), 9 ცალი ვაშლი, 1 ჭიქა წყალი, 5-6 კოვზი შაქარი, მოსართავად – შაქრის პუდრი.

**მომზადების წესი:** დაჭერით ვაშლი ძალიან თხელ ფირფიტებად. ცომი კარგად გააბრტყელეთ ერთი მიმართულებით. მართკუთხედის ფორმის ცომს გრძელი მხრიდან ჩამოაჭერით სამი სანტიმეტრის სიგანის ზოლები. ვაშლის ფირფიტები გადაჭერით შუაში, ნახევარმთვარეებივით. ცომის თითოეულ ზოლზე დააწყვეთ ვაშლები ერთმანეთის მიყოლებით. გადაახვიეთ რულეტივით და ძირი კარგად გაუსწორეთ, ზედაპირს კი ვარდის ფორმა მიეცით. გამოსაცხობ ტაფაზე გაფინეთ გამოსაცხობი ქაღალდი და დააწყვეთ ზედ თქვენი „ვარდები“. ყოველი შემთხვევისთვის, შეკარით ხის ჩხირით და აცხვეთ 10 წუთის განმავლობაში 200 გრადუს ტემპერატურაზე.

ამ დროის განმავლობაში გაზქურაზე დადგით წყალი და ჩაყარეთ შიგ შაქარი. დაბალ ცეცხლზე, მუდმივი მორევით მოადუღეთ სიროფი და მოასხით გამომცხვარ „ვარდებს“, მოაყარეთ პუდრი და თქვენი ნუგბარიც მზად არის.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# რძეში მომზადებული ორაგული

**საჭირო ინგრედიენტები:** 4 ნაჭერი ორაგული, 0,5 ჩაის ჭიქა რძე, სიმინდის ფქვილი – საფანელისთვის, ზეთი – შესაწვავად, მარილი და პილპილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** რძეში ჩაყარეთ ცოტა მარილი, დაასხით თევზის ნაჭრებს, გააჩერეთ 10 წუთი. სიმინდის ფქვილში აურიეთ მარილი, პილპილი და ამოავლეთ თევზის ნაჭრები. შეწვით კარგად გაცხელებულ ზეთში, სანამ ყველა მხრიდან არ დაიბრაწება.



# ვირთევზა არაჟნითა და ზეთისხილით

**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი ვირთევზა, 600 გრამი კარტოფილი, 100 მილილიტრი რძე, 3 ცალი დაფნის ფოთოლი, თითო კონა ქონდარი და ოხრახუში, 2 კბილი ნიორი, 100 გრამი სქელი არაჟანი, 150 მილილიტრი ზეითუნის ზეთი, 50 გრამი უკურკო ზეთისხილი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ვირთევზა 1 საათით მოათავსეთ გამდინარე წყლის ქვეშ. კარტოფილი კარგად გარეცხეთ, კანიანად ჩაყარეთ ქვაბში და ხარშეთ 20 წუთის განმავლობაში, შემდეგ გააცალეთ კანი და ჩანგლით დასრისეთ. თევზი დაჭერით პატარა ნაჭრებად. დიდ ქვაბში ჩაასხით რძე, დაამატეთ სანელებლები და წამოადუღეთ. მდუღარე რძეში ჩააწყვეთ თევზის ნაჭრები და 7-8 წუთი ხარშეთ, შემდეგ გადაწურეთ და დაჭყლიტეთ. ქვაბში ჩაასხით ზეითუნის ზეთი და არაჟანი, ჩააყარეთ დაჭყლეტილი ნიორი, პილპილი და მიიყვანეთ ადუღებამდე, შეურიეთ კარტოფილი, თევზი და მოურიეთ. ჩაუწიეთ ცეცხლს და კერძს ამოურიეთ ხოლმე. როცა მასა კარგად მოიხარშება, გადაიტანეთ ფორმაში, მოაყარეთ ზეთისხილი და შედგით ღუმელში, სანამ ოქროსფერ ქერქს გაიკეთებს.

# თევზი ნუშის საფანელში

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი თევზი სკუმბრია, 150 გრამი ნუში, 0,5 ჩაის კოვზი მარილი, 2 სადილის კოვზი საფანელი, 3 სადილის კოვზი ზეთი, 1 ცალი კვერცხი.

**მომზადების წესი:** დაფქული ნუში აურიეთ საფანელსა და მარილში. თევზის ნაჭრები ამოავლეთ ჯერ გათქვეფილ კვერცხში, შემდეგ კი საფანელში და შეწვით გახურებულ, ზეთდასხმულ ტაფაზე ორივე მხრიდან. შეგიძლიათ, თევზი სუფრაზე მიიტანოთ საწებელთან, მოხარშულ კარტოფილთან, პომიდორთან ან ნებისმიერ სხვა გარნირთან ერთად.



# რა როლი შეასრულა აგათა კრისტის ცნობილ დეტექტივში ჟაკლინ ბისეს შემდეგ ელენა სატინემ და როგორ ინტერესდებიან მისი მოწონებული როლებით ჰოლივუდის ცნობილი ვარსკვლავები

*ის საოცრად ლამაზია, ელეგანტური, უხვად დაჯილდოებული სამსახიობო ნიჭით. ამიტომაც, ის დღეს ჰოლივუდში ერთ-ერთ საინტერესო, წარმატებულ და ნიჭიერ მსახიობად მიიჩნევა. ელენა სატინე – იგივე ელენა სხირტლაძე, წარმატებული ქართველი მსახიობია, რომელიც საკუთარ ცხოვრებას საოცარ მოგზაურობას უწოდებს და მიიჩნევს, რომ წარმატების მისაღწევად თავდაუზოგავი შრომაა საჭირო. გარდა მსახიობობისა, ელენა არაჩვეულებრივად მღერის, უკრავს ფორტეპიანოზე, 11 წლიდან წერს სიმღერებს. დედა, არაჩვეულებრივი ქალბატონი, მარინა სილაგაძე სცენარისტია და დღეს საკუთარ ქალიშვილს ბოლომდე უდგას გვერდში. ელენასთან ექსკლუზიური ინტერვიუ პირველად 2008 წელს ჩავწერე. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებულია, მან დღეს ჩვენთან სასაუბროდ დრო მაინც გამონახა. პირადად ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, საამაყოა ის ფაქტი, რომ ელენამ, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, უკვე შეძლო ჰოლივუდში მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის მიეღწია. ელენა მონაწილეობდა 16-ზე მეტ ფილმსა და სატელევიზიო შოუში. რაც მთავარია, წარმატებით შეასრულა ერთმანეთისგან განსხვავებული როლები, რაც უდავოდ უსვამს ხაზს მის ნიჭიერებას. Columbia Broadcasting studio-ს მიერ გადაღებულ საკმაოდ ცნობილ სატელევიზიო შოუში Cold Case, რომელიც ნომინირებული იყო „ემიზე“, აქვს კიდევ 9 მოგება და წარდგენილი გახლდათ 25 ნომინაციაზე, ელენამ შეასრულა ნიჭიერი ოპერის მომღერლის როლი, რომელიც გაიქცა კომუნისტური რუსეთიდან, განსხვავებით Melrose Place-ის გმირისგან, სადაც მან კაპრიზული დივას როლი ითამაშა. ამის შემდეგ ელენა ლონდონში გაემგზავრა ახალ პროექტზე სამუშაოდ. ეს იყო ცნობილი აგათა კრისტის – „მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესზე“, სადაც მან გრაფინია ანდრენიას როლი ითამაშა. ამ ფილმის ძველ, 1974 წლის ვერსიაში გრაფინიას როლი ჟაკლინ ბისემ შეასრულა. ლონდონის შემდეგ ელენა ახალ პროექტზე სამუშაოდ კანადაში გაემგზავრა – ეს იყო Warner Brothers სტუდიის მიერ გადაღებული ტელეშოუ Smallville, რომელმაც 3 „ემი“ აიღო, აქვს კიდევ 30 მოგება და წარდგენილი იყო 147 სხვადასხვა ნომინაციაზე. ელენამ შეასრულა ცნობილი DC Comics მთავარი გმირის, ატლანტიდის დედოფლისა და აქუამენის ცოლის როლი. ამის შემდეგ ელენამ მონაწილეობა მიიღო Paramount Network Television-ის პროექტში, ამერიკაში ძალიან ცნობილ, პოპულარულ კრიმინალურ დრამაში NCIS და ითამაშა ბელგიელი თავდაცვის მინისტრის ქალიშვილის როლი.*



სხვათა შორის, მე რომ სცენარი და გმირი მომეწონება, მისი თამაში ხშირად ჰოლივუდის ბევრ ცნობილ მსახიობს უნდება. ასე რომ, ამ მხრივ, დიდი კონკურენციაა

**– დიდი მადლობა ელენა, რომ მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, მაინც გამონახეთ ჩემთან სასაუბრო დრო.**

– პირიქით, ჩემთვის სასიამოვნოა თქვენთან საუბარი. აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით – საკმაოდ დატვირთული, მოუსვენარი ცხოვრება მაქვს. ძალიან ბევრს ვმოგზაურობ, მაგრამ ყოველთვის სასიამოვნოა თქვენთან საუბარი.

**– მინდა აღვნიშნო, რომ თქვენ ამერიკაში ცნობილი ხართ, როგორც მსახიობი, რომელიც ყოველთვის განსხვავებულ როლებს ასრულებს, ეს კი თქვენს მრავალმხრივ სამსახიობო ნიჭზე მიუთითებს.**

– ჩემი აგენტი და მენეჯერი ძალიან ბევრ სცენარს მიგზავნიან. მაგრამ, საკმაოდ მომთხოვნი ვარ და ყველაფერს ყურადღებას ვაქცევ. არ მომწონს ერთი და იმავე ხასიათის ორჯერ თამაში. სხვათა შორის, მე რომ მომეწონება რომელიმე სცენარი, გმირი, ხშირად მისი თამაში ჰოლივუდში ბევრ ცნობილ მსახიობს უნდება. ასე რომ, ამ მხრივ, დიდი კონკურენციაა. სანამ ჩემს საქმიანობაზე, როლებზე, გეგმებზე გავაგრძელებდე საუბარს, მინდა ჩემთვის მნიშვნელოვან ერთ საკითხს შევეხო. საშინლად იმედგაცრუებული ვარ იმით, როგორ წარმადგინა ბოლო პერიოდში ქართულმა პრესამ. რაც ყველაზე მეტად მაწუხებს, ის არის, რომ მე, დაბადებულმა საქართველოში, რომელიც ვამაყობ ჩემი ქვეყნით, წარმომავლობით, საკუთარი მიწიდან ასეთი პუბლიკაცია მივიღე. განსაკუთრებით გულგატეხილი ვარ, როცა ამ მასალას ვადარებ რუსულ გამოცემებში, ისეთი როგორიც არის მსოფლიოში ცნობილი „Instyle“, ჩემ შესახებ დაბეჭდილ სტატიებს. მათში ძალიან ლამაზად წარმადგენენ მე, საქართველოში გატარებულ ჩემს ბავშვობას და ყველა ჩემს მიღწევას ჰოლივუდში. არ შეიძლება, მოიპარო ადამიანის პირადი საკუთრება, ფოტოები, რომელიც საავტორო უფლებებითაა დაცული. მათი გამოყენება ავტორის ნებართვის გარეშე უკანონობაა. ასევე საშინელი არაპროფესიონალიზმია, როცა ავტორი საკუთარ სიტყვებს, აზრებს მიაწერს სხვას, მასთან საუბრის გარეშე. განცხადებაც, თითქოს ელენას გათავისებული აქვს, რომ თუ გაიხდის ტანსაცმელს, ჰოლივუდში პოპულარული გახდება – ეს არის საშინლად შეუარაცხმყოფელი და საწყენი! თუ ეს ასეა, ანუ ჰოლივუდში წარმატების მისაღწევად მხოლოდ გაშიშვლებაა საჭირო, მაშინ ნახევარი ამერიკა შიშველი ირბენდა იმ იმედით, რომ ჰოლივუდში აღმოჩნდებოდა. მე ასე არ ვფიქრობ და ბევრი ნიჭიერი, ოსკაროსანი მსახიობიც – შარლიზ ტერონი, ნიკოლ კიდმანი, ჰოლი ბერი, ქეით უინსლეთი და ბევრი სხვა, დამეთანხმება, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება. მათ გაიხადეს, მაგრამ, ეს არ გამხდარა იმის მიზეზი, რომ ესოდენ დიდი პატივისცემა მოეპოვებინათ ჰოლივუდში. ჰოლივუდში მხოლოდ ბევრი მუშაობა და ნიჭია დაფასებული. ვამაყობ იმ საქმით, რასაც ვაკეთებ და იმ მიღწევებით, რასაც მივაღწიე როგორც სერიოზულმა და პატივსაცემმა მსახიობმა. რაც მთავარია, გამიმართლა და მქონდა იმის ბედნიერება, მემუშავა ისეთ მსახიობებთან, როგორებიც არიან: ლეგენდარული ეილინ ატკინსი, დეივიდ საჩეტი, ტობი ჯონსი, ადამ სენდლერი, ასევე ოსკაროსნები – ფორესტ ვინტაკერი, „ოსკარის“ ნომინაციაზე წარდგენილები: ბარბარა ჰერში, მინი დრაივერი, ჯესიკა ჩესტეინი და სხვა. ჟურნალისტმა უნდა იცოდეს, რომ თამამი სცენების გადაღებისას ხშირ შემთხვევაში, დუბლიორები მონაწილეობენ. შემდეგ ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით ხდება მსახიობის სახისა და დუბლიორის სხეულის გაერთიანება...

**– ელენა, ეს როგორც ცნობილია, ეხება ფილმ „მაგიურ ქალაქს“, რომლის გადაღებებში დღესაც მონაწილეობ.**

– Magic City არის საოცრად დახვეწილი და ჭკვიანურად დადგმული შოუ. მოქმედება ხდება ამერიკის ისტორიის ძალიან საინტერესო პერიოდში, 1959 წელს, კუბის რევოლუციის შემდეგ, როცა ფიდელ კასტრომ კუბაზე კონტროლი აიღო. საშიში და დისიდენტური „მაგიური ქალაქი“ მოქმედებას იწყებს მაიამიში. იქ მაიამის სანაპიროზე აიკ ევანი აშენებს ყველაზე მდიდრულ კურორტს, სახელწოდებით: Miramar Play Hotel. ის ხდება გლამურული, ეგზოტიკური, საოცარი სასახლის მეფე, რომელიც ყოველდამე ავლენს სიმართლის ბნელ მხარეებს... აიკი პროფკავშირის ბოსებთან ურთიერთობაში ბევრ პრობლემას ეჯახება და იძულებულია, მაიამის განგსტერებთან სარისკო გარიგება დადოს. ფიქრობს, რომ ამით წარმატების მიღწევას შეძლებს და გადაარჩენს როგორც საკუთარ, ასევე ოჯახის წევრების სიცოცხლეს. რაც შეეხება ჩემს გმირს, ჯუდი სილვერს, ის არის შოუს მატა ჰარი: ჭკვიანი, ახალგაზრდა ქალი, რომლის ძალა იმ საიდუმლოებებშია, რასაც ინახავს. უშიშარი გარეგნობის მიღმა, ჯუდი არის ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც ყველაფერი გულთან მიაქვს და ცდილობს, თავის დემონებს ისევე გაექცეს, როგორც მერლინ მონრო. „მაგიური ქალაქის“ გადასაღებად, სტუდიამ მაიამიში ააშენა მთელი ქალაქი. ის დრო რომ აღდგენილიყო, რომელშიც მოქმედება ხდება, შოუში მრავლადაა იმდროინდელი ავტომობილები და თვალისმომჭრელი კოსტიუმები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ის ყველაზე ძვირად ღირებული შოუა, რაც კი ამერიკაში გადაღებულა. პირველ სეზონს საერთაშორისო წარმატება მოჰყვა. ახლახან კი, შოუს მეორე სეზონზე დავასრულეთ მუშაობა, რომლის პრემიერაც ზაფხულში შედგება. ვამაყობ იმით, რომ ჩვენი შოუ აღიარებულია საერთაშორისო, ამერიკული კრიტიკის მიერ და წარდგენილია „ოქროს გლობუსის“ და „ემის“ ნომინაციებზე. ჩემთვის დიდი პატივია, ამ აღიარებული შოუს ნაწილი ვიყო და ვითამაშო ისეთი ნიჭიერი მსახიობების გვერდით, როგორებიც არიან: დენი ჰიუსტონი, ჯეიმს კანი, ჯეფრი დენ მორგანი, ოლგა კურილენკო, მაიკლ რისპოლი და ბევრი სხვა.

**– გარდა ამისა, ახლახან სხვა ფილმზეც დაასრულე მუშაობა.**

– ახლახან დავასრულე მუშაობა ფილმზე „Beautiful Now“, რომელიც 2014 წელს ფილმების საერთაშორისო ფესტივალებზე იქნება წარდგენილი. ეს არის ღრმა, რთული და ფსიქოლოგიური დრამა, რომელიც ახლო მეგობრებს შორის ვითარდება. ამჟამად მაქვს რამდენიმე შემოთავაზება, რომელთა შესახებ საუბარი ჯერ არ შემიძლია. ამავე დროს, ვკითხულობ ბევრ სცენარს და იქიდან მომდევნო პროექტს ამოვირჩევ.




ყველაფრის გათვალისწინებით, ეს არის ყველაზე ძვირად ღირებული შოუ, რაც კი ამერიკაში გადაღებულა

**– ელენა, დიდი მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის. იმედია, მალე თბილისშიც გიხილავთ.**

– ვიმედოვნებ, ეს ახლო მომავალში მოხდება. ბოლო პერიოდში თქვენთან ბევრი ცვლილებაა. მთელი გულით ვუსურვებ საქართველოს წინსვლას, აყვავებას, გაძლიერებას... ღმერთმა დაგლოცოთ!

**ნათია უტიაშვლი**

41-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 13 მარტი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.50 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" 17.00 "გურმანია" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"სიყვარულის კოცნა"** 21.00 ტ/სერ **"დონ ძენო – კაცი ნორმა დელფიიდან"** 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 დ/ფ 23.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: **მალაგა – პორტუ** (პ/რ) შესვენებისას: "ვიქტორინა" 01.30 მხ/ფ **"ფოტო გადიდება"**.

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 13.00 სერ. "24 – 5" 14.40 დოკ/ფ "მოდის ფანატიკოსები" 2 ნაწ. 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 ქ/სერ **"ცხელი ძაღლი"** 10 სერ. 23.00 მხ/ფ **"ბრონქსის ისტორია"** (ჩ.პალმინტერი) 01.25 მხ/ფ **"მოწინააღმდეგე მხარეები"** (ო.ტაბაკოვი) 03.30 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ძალა"** 22.00 ნანუკას შოუ. 23.40 ჩემპიონთა ლიგა 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.30, 05.00 მხ/ფ. 04.30 კურიერი დაიჯესტი.

07.00, 05.35, 06.00, 07.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30, 17.00, 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 01.40 თოქ–შოუ - "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 01.20 "ყოველდღიური აბები" 22.20, 02.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.55 მხ/ფ **"მე მოვედი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ "უბისა" 11.00 დოკ/ფ "უაილ ვესთის მხედრები" 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დროის ჩანაწერები 13.25 ქრისტიანული სწავლება 13.40 კონცერტი-ლეონარდ ბერნსტაინი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 კონცერტი - მთიები 16.50 კვირიაკე 18.05 მრავალჟამიერი 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"გაზაფხული გადის"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ქართული ალბომი 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ლაზი ვორე,ლაზი ქართველი, ჭანი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"მოხუცი და ზღვა"**.

## ხუთშაბათი 14 მარტი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.50 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" 17.00 "ჩვენი ფერმა" 17.30 "AGVA - GEORGIA" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"მიმინო"** 21.00 ტ/სერ **"დონ ძენო – კაცი ნორმა დელფიიდან"** 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 "არენა" 00.00 მხ/ფ **"ჩრდილოეთის ქვეყანა"** (შ.ტერონი) 02.25 მხ/ფ **"ავინიონის წინასწარმეტყველება"**.

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 13.00 სერ. "24 – 5" 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 15.35 რომ გადახვალ, გააჩერე 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 მხ/ფ **"უცნაური პერსონა"** (დ.ჰოფმანი) 00.15 მხ/ფ **"წყალქვეშა სასყრობილე"** (ს.სიგალი) (ტიტ.) 01.50 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ძალა"** 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

07.00, 05.35, 6.00, 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 05.55, 6.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 01.40 თოქ–შოუ - "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 01.20 "ყოველდღიური აბები" 22.20, 02.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მხ/ფ **"მოხუცი და ზღვა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ "ლაზი ვორე, ლაზი ქართველი, ჭანი" 11.15 ჩვენი ტრაპეზი 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ **"გაზაფხული გადის"** 13.25 კონცერტი-ანს. "სახიობა" 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 მხ/ფ **"მოკვეთილი"** 17.30 დოკ/ფ "ოვალური ბურთი" 18.10 მრავალჟამიერი 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"დიმიტრი II"** I სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.20, 23.15 პერსპექტივა 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალმის წვერი, ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"ნიუ ორლეანის რჩეული"**.

## პარასკევი 15 მარტი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" 17.00 დ/ფილმები: "ამერიკის საიდუმლო" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ **"მიმინო"** 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" – კატასტროფის ზღვარზე I ფილმი 22.00 "აქცენტები" 23.30 "წითელი ზონა" 00.30 მხ/ფ **"ბერლინის საქმე"** 02.50 მხ/ფ **"ავინიონის წინასწარმეტყველება"**.

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"იღბლიანი მოახლე"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 13.00 სერ. "24 – 5" 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნება"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 მხ/ფ **"განდგომილები"** (ლ.დიკაპრიო) 02.40 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.05 კენჭისყრა **გუაფ** 16.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ვნების უფსკრული"** 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ძალა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი.

07.00, 05.35, 6.00, 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა (დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 00.55

"ყოველდღიური აბები" 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.30, 01.20 თოქ–შოუ - "არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 02.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ **"მოკვეთილი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 მხ/ფ **"დედუნა"** 11.45 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ **"დიმიტრი** ॥" I სერ. 13.30 კონცერტი - ხათუნა კოკოჩაშვილი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 დეკორატიული ფლორა 16.10 კონცერტი -"ჩვენებურები" 18.05 მრავალჟამიერი 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ **"დიმიტრი** ॥" II სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ჩვენი ფონდი 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 სალამოს ლოცვა 22.20 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო.

## შაბათი 16 მარტი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბავშვო ან/ფილმი: "კატები და ძაღლები" 11.00 "ეთნოგრაფიული ნარკვევები" 11.30 საბ. ტ/სერ **"პირველყოფილი"** 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 02.20 "მოამბე" 12.30 "AGVA-GEORGIA" 13.00 ქარ. მხ/ფ **"ზღვარზე"** 15.00 "ეტალონი" 16.30 "აღმოაჩინე საქართველო" 16.55 **რაგბი:** ერთა თასის გათამაშება. **რუმინეთი – საქართველო** (პ/რ) 19.00 "გურმანია" 21.00 "ევროვიზიის დღიური" 21.30 დ/ფ "წიგნის მშვენება" 22.00 "ქართული დოკუმენტა-ლისტიკა" – ოკუპაცია 23.00 "ახალი ქართული კინო" 23.30 დ/ფ "უკანასკნელნი" 00.40 მხ/ფ **"გამართლებული სისასტიკე"** (ედ ჰარისი) 03.20 მხ/ფ **"ავინიონის წინასწარმეტყველება"**.

07.45 ან/ფ "სალადინი" 08.45 მხ/ფ **"მითი"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან.ფ. "ავატარი" 12.00 ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** 13.00 იუმორინა 14.20 მხ/ფ **"კაროლინა"** 16.00 სერ. **"გმირები – 4"** 17.50 სერ. **"თილისმა"** 18.50 სერ. **"სახიფათო ვნებბა"** 21.00 სერ. **"მარტოსული"** 22.00 ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (დ.კუკი) 01.55 მხ/ფ**"დაბრუნება"**(კ.მაურა) 03.55 მუსიკა.

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია 10.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" (გ/ჩ) 11.00 სერ. **"კლუბი"** (ს1) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 15.30 სერ. **"სიყვარული და საიდუმლო"** 16.30 "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) 18.45 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 20.05 სერ. **"ერთგულების ძალა"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.00 რა? სად? როდის? 00.00 პოკერის ტურნირი 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00 "Latin Angels".

07.00, 00.00, 01.00, 03.00, 05.00, 05.55 ახალი ამბების კოლაჟი 07.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 16.35, 17.25, 18.45, 19.10, 21.40, 00.30, 04.30, 05.25, 06.20 უცხოეთის ამბები 08.30 კვირის არგუმენტები (გამ) 10.00 დილა (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30, 13.05, 14.05, 16.05, 17.05 ყოველდღიური აბები (გამ) 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 06.55 უკომენ-ტაროდ+ამინდი 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 20.10, 01.30 სტუდია "მონიტორის" ჟურნ. გამოძიება 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 02.00 "პრეს-პრესი" 23.00, 03.30 "ჩვენ" - თამარ ჩიქოვანთან ერთად.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "ყველაზე,ყველაზე" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.40 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 კალმის წვერი, ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ **"დიმიტრი** ॥" II სერ. 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.30 პერსპექტივა 14.50 მართლმადიდებ-ლური კატეხიზმო 15.10 ოპერა-**"სტეფანიო"** 17.25 დოკ/ფ "ველუ-რი ბუნება" 18.10 ფოტოგალერეა 18.15 აქტუალური თემა 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 "კარაბადინი" 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 პორტრეტი "ერთსუ-ლოვნების" გალერეიდან 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 ძველი აფიშა 01.00 მხ/ფ **"გლადიატორი"** I სერ.

## კვირა 17 მარტი

08.10 საბ/ფ **"ოქროს კომპასი"** 10.00 "ეტალონი" 11.00 "ჩვენი ექსპრესი" 11.30 საბ. ტ/სერ **"პირველყოფილი"** 12.00, 14.00, 16.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სპექტაკლის დრო" – თელავის თეატრის სპექტაკლი: "ალალე" 15.00 დ/ფ "სონია რაკელი" 16.30 "ჩვენი ეზო" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 18.00 **ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი: **"დინამო" – "დილა"** (პ/რ) (შესვენება ასათვისებელია" გამოიყენებ მუს/კლიპი) 20.00 მხ/ფ **"დადის ხმები"** (ჯ.ენისტონი) 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ოკუპაცია 23.00 "აღმოაჩინე საქართველო" 23.30 "უცნობი მუსიკა" 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ **"ყოველთვის თქვით დიახ"** (ჯიმ კერი) 03.30 მხ/ფ **"ავინიონის წინასწარმეტ-ყველება"**.

08.00 ან/ფ "სალადინი" 6-7 სერ. 09.00 მხ/ფ **"ორმოები"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** 13.00 იუმორინა (გ/ჩ) 14.20 ქ.მხ/ფ **"რაჭა ჩემი სიყვარული"** 16.00 სერ. **"გმირები – 4"** 17.40 იმედის გმირები 18.00 კონცერტი: "ვალერი მელაძე პიაცაზე" 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 რომ გადახვალ, გააჩერე 23.25 2012 წლის MTV-ის ევროპის მუსიკალური დაჯილდოების ცერემონია 01.15 მხ/ფ **"დაბრუნება ბრაიდსჰედში"** (ე.ტომპსონი) 03.25 მუსიკა.

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია 10.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" 11.00 სერ. **"კლუბი"** 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 15.30 სერ. **"სიყვარული და საიდუმლო"** 16.30 პროფილი (გ/ჩ) 19.00 ეკო ვოკი დაწყება 20.00 იღბლიანი ბორბალი 21.00 P.S. 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი (ს2) 01.00 ტოპ გოგო (გ/ჩ) 02.00, 04.30 მხ/ფ.

07.00, 23.00, 00.00, 01.00, 03.00, 04.00, 05.00, 06.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30, 12.30, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 00.25, 02.30, 03.30, 04.30, 06.30 უცხოეთის ამბები 10.00 დილა (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 06.55 უკომენტაროდ+ამინდი 13.00 პრეს-პრესი (გამ.) 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ) 17.05 მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00, 01.30 დისკუსია - სტუდია "რე" 20.10, 23.25 ღია კარის დღე 21.00 ახალი ამბები 9 საათზე.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.45, 21.35 ლექსით ქებათა ქება 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მოკ/ფ **"მიხა"** 13.00 ძველი აფიშა 13.30 "ჩვენი ტრაპეზი" 13.40 ქართული მულტფილმი 13.55 დიდი მარხვა 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 ერთსულოვნების სალონი 15.40 ეპოქის სახელები 16.05 კონცერტი-ალდგომიდან ამაღლებამდე "სანკ-ტუსი" 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 მხ/ფ **"რაც გინახავს,ვეღარ ნახავ"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 21.35 თვენი - ღირსი მამა გერასიმე იორდანელი 21.40 "კვირიაკე" 22.55 კალმის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 მარხვის კარიბჭესთან 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.35 მხ/ფ **"გლადიატო-რი"** II სერ.



**ზურა ყიფშიძე ძალიან იყო აღტაცებული – ასე მორფინისტს ალ პაჩინო თამაშობს ერთხელ ახალგაზრდობაში, შენ ძალიან მაგარი ხარო**

**იცით, როგორ ჰგავს გუგა კოტეტიშვილს თავისი სახლი?! მასში მოხვედრამდე ვერც წარმომედგინა, რომ სახლსა და მფლობელს შორის ასეთი მსგავსება შეიძლებოდა არსებულიყო (არ იფიქროთ, 24 საათის განმავლობაში დაორთქლილ მინაზე ღრუბლებს ვხატავდე, მართლა ზომიერი ვარ... – ავტორი) ჩვენი საუბარი, ჭიქა ყავასთან ერთად, ძალიან თბილად, გულახდილად და საინტერესოდ წარიმართა. ვისაუბრეთ ხელოვნებაზე, წარსულზე, მომავალზე და ამ თემების ირგვლივ ვიტრიალეთ კოტეტიშვილების ოჯახის გარშემო...**

# რა წარმატება მოჰყვა გუგა კოტეტიშვილის მიერ 300 დოლარით წამოწყებულ საქმეს და როგორ ცხოვრობს ის

**– ბატონო გუგა, ტატოზე მიამბეთ, თქვენს შვილზე. როგორც ვიცი, ის უცხოეთში სწავლობდა. ახლა რას საქმიანობს?**

– ტატო ხუთი წელი პოლონეთში სწავლობდა კინოსაოპერატორო ფაკულტეტზე. მოგეხსენებათ, პოლონეთის კინოსკოლა ერთ-ერთ საუკეთესო, ძველ და ტრადიციულ სკოლად ითვლება მსოფლიოში. მანამდე აქ სწავლობდა, ორი წელი თეატრალურში, კიდევ უფრო ადრე – კოლეჯში. მოკლედ, ძალიან დიდხანს ისწავლა და ძალიან კარგადაც, ამიტომაც მოიპოვა სხვადასხვა პრიზები. ახლა, ჩამოვიდა თბილისში და უკვე, ჩამოსვლისთანავე გადაიღო ლევან კოღუაშვილის კინო. ლევანთან მეც ვითამაშე მანამდე „ქუჩის დღეებში". ამჟამად ამ ფილმში ტატო იყო დამდგმელი ოპერატორი.

**– რა ჰქვია ახალ ფილმს?**

– ჯერ არ ვიცი. ახლა მონტაჟი მიდის, სამუშაო პროცესშია. ჩემი აზრით, კარგი კინო უნდა იყოს.

**– თქვენ, როგორც მამამ, დიდი წვლილი შეიტანეთ ტატოს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში, თანხმობა რომ განაცხადეთ „ქუჩის დღეებში" მონაწილეობაზე, მაშინაც აქედან მოდიოდა მოტივაცია?**

– პრინციპში, ასეც არის. „ქუჩის დღეებში" გადაღებაზე დავთანხმდი იმიტომ, რომ ფული მჭირდებოდა; იმიტომ რომ, იმ მომენტშიც და ყოველთვის, ეს პრობლემა – ფინანსური, მუდამ დგას.

**– ჰონორარი, რომელსაც აიღებდით, ტატოს სწავლას სჭირდებოდა?**

– იმ წელს და ყოველ წელს იდგა ეს პრობლემა. კი, გეთანხმებით, ეს იყო ტატოს სწავლის გადასახადის პრობლემა და ამიტომ დაუფიქრებლად დავთანხმდი. მე არც ველოდი, ასეთი ამბიცია არც მქონდა, რომ მთავარ როლზე დამამტკიცებდნენ. ჯერ ერთი, ვიცოდი, რომ უნდა ჩამოსულიყო მერაბ ნინიძე და მას უნდა ეთამაშა ეგ როლი. ელოდნენ ძალიან დიდხანს. მერაბმა ვერ შეძლო ჩამოსვლა და, ბოლოს, ფილმის პროდიუსერს, გია ბაზღაძეს უთქვამს: „გუგას ხომ არ..." რატომ გაუჩნდათ ეს აზრი, ვერ ვიგებ. მანამდე რომ მეთამაშა სხვა ფილმებში, გავიგებდი. მერაბი ჩემი მეგობარია, ვიცი, რომ უნდა ჩამოვიდეს ამ როლის შესასრულებლად და, უცებ მეძახიან მე. მე ვთქვი: სად მე, სად – მერაბი? მოკლედ, ბოლოს დავთანხმდი. დავთანხმდი მხოლოდ და მხოლოდ ფინანსური დაინტერესების გამო, თორემ, ფილმში გადაღებაზე არც არასდროს მიოცნებია.

**– ტატო როგორ შეხვდა თქვენს დებიუტს?**

– პირველად გაუკვირდა, მერე მოეწონა.

**– მსმენია, რომ „ქუჩის დღეებს" კონკრეტული ადამიანის ბიოგრაფია უდევს საფუძვლად.**

– დიახ, ეს იყო კონკრეტული ადამიანი, ახლა არ მინდა დავასახელო – ვინ. მასზე მოთხრობა დაიწერა, შემდეგ ფილმისთვის გადაკეთდა, შეიცვალა. ბავშვის მოტაცება და ასეთი რაღაცეები სულ მოგონილია ყველაფერი, უკვე რეჟისორის და სცენარისტის მიერ. სწორად აგებული სცენარია და ამიტომაა, ფილმის ნახვის შემდეგ რომ მხვდებოდნენ და მეუბნებოდნენ, ორი კვირაა შენზე, ანუ შენს გმირზე ვფიქრობთო.

**– საკუთარი თავით კმაყოფილი თუ ხართ? ფილმზე მუშაობის პროცესიც გავიხსენოთ.**

– მართალი გითხრა, კმაყოფილი ვარ. რეჟისორი საშუალებას გვაძლევდა, რომ კონკრეტული სიტყვები სხვანაირად წარმოგვეთქვა, რომ ყურისმომჭრელად არ გაჟღერებულიყო. აქ იყო ქუჩური დიალოგები, ეს ხომ არ იყო შექსპირი, რომელიც არ უნდა შეცვალო და უნდა დაიზეპირო. იქ ერთი სცენაა, როდესაც ცოლთან შევდივარ, ვითომ მინდა, შევურიგდე, სინამდვილეში კი ჩემი

**„ქუჩის დღეებში" გადაღებაზე დავთანხმდი იმიტომ, რომ ფული მჭირდებოდა. იმ მომენტშიც და ყოველთვის, ეს პრობლემა – ფინანსური, მუდამ დგას**

ჩხუბის გამო ბავშვს აგდებენ სკოლიდან და ეგ მინდა, შევაპარო... ეს მომენტი ძალიან გამიჭირდა, იმიტომ, რომ ცხოვრებაში არ ვაკეთებ ასეთ რამეს, არ ვარ ეს ტიპი. არადა როლია და უნდა ითამაშო. უცნაური იყო – მერე მომეწონა. მოგვიანებით ზურა ყიფშიძე ძალიან იყო აღტაცებული – ეგრე მორფინისტს ალ პაჩინო თამაშობს ერთხელ ახალგაზრდობაშიო, შენ ძალიან მაგარი ხარო.

**– სხვა შემოთავაზება რომ გქონდეთ კინოში, კიდევ მოსინჯავთ ძალებს?**

– სხვა, „სიყვარული აქცენტით" რომ გადაიღო რეზო გიგინეიშვილმა, ნიკიტა მიხალკოვის სიძემ, იქ ვთამაშობთ მე და მერაბ ნინიძე, ეპიზოდური როლი მაქვს. მითხრეს: ერთდღიანი როლია და რეზოს უნდა, რომ თქვენ გადაგიღოთო. არ მინდოდა – რაღაც ფილმი, ვიღაც რეჟისორი... მერე რა, რომ მიხალკოვის სიძეა, კაცმა არ იცის, რა გამოუვა-მეთქი, ვფიქრობდი.

**– ანუ, პირადად არ იცნობდით. აბა, მას რატომ გაუჩნდა სურვილი, რომ მაინცდამაინც თქვენ გეთამაშათ ამ ეპიზოდში?**

– მნახა წინა ფილმში და ფილმიდან გამომდინარე.

**– და, მიუხედავად ყველაფრისა, დასთანხმდით.**

– კარგი-მეთქი. აქაც იხდიდნენ, ბუნებრივია. ფული სულ გჭირდება. რეჟისორს არ ვიცნობ... რუსული კინო... რა გამოვა, კაცმა არ იცის... გინდა?! – მაშინ, გადამიხადე. ვიკითხე: რაღა მე? ათასი მსახიობია ირგვლივ. მერე, თან რომ გავიგე, მაინცდამაინც გუგა გინდა რომ იყოსო, მაშინ გადაიხადე... პირველ შემთხვევაში იყო ჩემი ინტერესი და ფულიც მჭირდებოდა, მაგრამ, ფული სულ გჭირდება და, ამიტომ, სულ არ გყოფნის. აქაც, ერთდღიანი გადაღებისთვის 1 000 ლარი მშვენიერი ჰონორარი იყო.

**– რადგან კინო არ არის თქვენი მთავარი საქმიანობა და რადგან ფული სულ გვჭირდება ადამიანებს, რამდენიმე სიტყვით, იმ მთავარ საქმიანობაზეც ვისაუბროთ, რითიც არსებობთ და ასე ვთქვათ, დღევანდლამდე მოხვედით.**

– ჩემი მთავარი საქმიანობა იყო ფერწერა. თბილისის ომის შემდეგ, სახლი რომ დაგვეწვა, – დაიწვა სახელოსნო, ნახატები, აბსოლუტურად ყველაფერი, ჩემი და ვახუშტის, რაც კი რამე გვქონდა. მერე არც მეგონა, რომ სახლს აგვიშენებდნენ, თუმცა, მერიამ ააშენა. ხომ გახსოვთ ის პერიოდი... დანგრეულ ქალაქში ნახატი კი არა, საჭმელი არ იყო, სინათლე არ იყო, სითბო არ იყო.... ამიტომ, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით – მეც, ვახუშტიც, უკაპიკოდ დავრჩით. ვიფიქრე, რა უნდა გავაკეთო, რომ, ელემენტარულად, ვიცხოვროთ: შემოსავალი – არანაირი, სახლი – დამწვარი, სხვაგან ვცხოვრობთ; ერთადერთი, „ნივა" გადამირჩა. ისიც დააგორეს მოპარვის მიზნით, მაგრამ, ეგრეთ წოდებული „სეკრეტი" მქონდა ჩაყენებული, ვერ დაქოქეს და იქვე მიატოვეს. მოსკოვში ვიყავი, ჩამოვედი და აღმოვაჩინე, რომ მყავს „ნივა" და მაქვს ჩამოყოლილი 100 დოლარი.

**– მაშინ 100 დოლარით საქმეს ვერ წამოიწყებდი, თუმცა არც ისე მცირე თანხა იყო.**

– 300 დოლარით წამოვიწყე. მანამდე ვიყავი საბერძნეთში და იქიდან ჩემოვიტანე დიდი ტყავის ჩანთა. ეს ჩანთა მომწონდა. ვიფიქრე: ასეთივე ჩანთები უნდა შევაკერინო-მეთქი. წავედი ორთაჭალაში ტყავის ქარხანაში, შევედი ყოველგვარი ნაცნობობის გარეშე. ვიყიდე 300 დოლარის ფანტასტიკური ტყავები. ვიფიქრე, მოდელებს გავაკეთებ, დავურიგებ მეწაღეებს და, წესით უნდა გაიყიდოს-მეთქი. მაშინ შარდენის ქუჩაზე და ბამბის რიგში არაფერი ხდებოდა, ცარიელი და გაპარტახებული იყო. მგონი, მხოლოდ მე ვცხოვრობდი ამ ქუჩაზე მეგობრის სახლში. მთელი ქუჩა მკვდარი იყო. ქვედა ქუჩაზე ისხდნენ მეწაღეები. ჩავედი მოხუც მეწაღეებთან, ვაჩვენებ ამ ტყავს და ვეუბნები: მინდა, რომ ერთი ჩანთა შემიკეროთ-მეთქი. არა, მე ამაზე არა, – ფეხსაცმელზე ვმუშაობო. გასაგებია, მაგრამ შეკვეთა არა გაქვთ, ტყავზე მუშაობა იცით, ფეხსაცმელზე უფრო ადვილი არაა ამ ჩანთის გაკერვა-მეთქი? ფული შევაძლიე, 100 მანეთამდე ავედი და მაინც ვერ დავითანხმე. მერე მეუბნება: ვა, ეს ტყავი სად იშოვე, მომყიდეო. ამაზე სულ დავიბენი. მეწაღე კაცი, თბილისელი, შარდენზე ზის, იქვე ორთაჭალაში ორი ტყავის ქარხანაა და ტყავს მე მთხოვს, როგორ შეიძლება ეს არ იცოდეს, ძირძველმა მოხუცმა მეწაღემ?... მოკლედ, ისე გა-

# როგორ გახდა ლელა მებურიშვილი სხვისი ქმრის ცოლი

*მართალია, ამბავი იმის შესახებ, რომ ნინო გაჩეჩილაძე წავიდა სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები" და ის ლელა მებურიშვილმა შეცვალა, საკმაოდ დიდი ხანია, რაც ჩვენს რედაქციამდე მოვიდა, თუმცა, პროდიუსერების პოლიტიკიდან გამომდინარე, ეთერში ჯერ პრომოები გავიდა და სიახლის შესახებ მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ცნობილი. მაგრამ, თავიდან, ჭორად გაგონილ ამბავსაც კი, რასაც ჯერ არც პროდიუსერები და არც ერთი მხარე არ ადასტურებდა, მოჰყვა მაყურებლის მღელვარება და აგრესიაც კი, რაც მსახიობის შეცვლით იყო გამოწვეული. დარწმუნებული ვარ, აგრესიის გარკვეული ტალღის გადატანა ლელა მებურიშვილსაც მოუწევს, მიუხედავად იმისა, რომ ამაში არანაირი ბრალეულობა არ აქვს. პრომოებიდანვე ჩანს ლელას საკმაოდ დიდი პროფესიონალიზმი, რომლითაც ის კატოს ზუსტად იმავე და, ამავდროულად, განსხვავებულ სახეს შექმნის.*

**ლელა მებურიშვილი**: ერთ საღამოს მირეკავენ და მეუბნებიან, თუ შეგიძლია გადაღებაზე მოსვლა „ჩემი ცოლის დაქალების" სინჯებისთვისო. ერთი სცენის ტექსტი გამომიგზავნეს. რომ ვიკითხე, ახალ პერსონაჟს ამატებთ-მეთქი? მითხრეს – არა, კატოს როლზე უნდა გაგსინჯოთო. მივხვდი, რომ წინა დღეებში გაზეთში წაკითხული ამბავი სერიალიდან გაჩკას (ნინო გაჩეჩილაძე) წასვლის შესახებ, მართალი ყოფილა. თუმცა, იქ ჭორის დონეზე ეკითხებოდნენ ნინოს და ის პასუხობდა, რომ არაფერი ასეთი არ მომხდარა. მივედი, გადავიღეთ სინჯი, გაიკრიფა ხალხი სხვა ოთახში და, ვიფიქრე, შევალ, დავემშვიდობები, სხვა საქმეებიც მაქვს-მეთქი. შევიხედე – მივდივარ-მეთქი და, პირდაპირ მკითხეს, როგორია შენი განრიგი, დრო როგორ გაქვს, რომ გადაღებები დავიწყოთო. მივხვდი, რომ დამამტკიცეს. როგორც გავიგე, მანამდე საკმაოდ მასშტაბური ქასთინგი ყოფილა.

**– კატოს როლში ისეთი გოგო წარმომიდგენია, თავი საბავშვო ბაღიდან პრინცესა რომ ჰგონია, სიჩერჩეტეც რომ უხდება, სისულელეებს აკეთებს და მაინც პატიობენ, თან, ნერვებს რომ გიშლის და მაინც საყვარელია. შენ ამ ხასიათს როგორ მოერგები?**

– მაყურებელიც ყველაფერს პატიობს. კატო განებივრებული პრინცესაა თავისი ბევრი პლუსით. ნინოს მიერ შექმნილი გმირის ხასიათის ხერხემალი, რა თქმა უნდა, იგივე დარჩება, მაგრამ, ხასიათის სხვა შტრიხებს აუცილებლად შეიძენს და გახდება ისეთი, როგორსაც მე შევქმნი. სერიალში ხშირად მომხდარა, რომ, თუ მე ვთამაშობ პერსონაჟს, როგორც მე მივაწოდებ, ბევრი რამ ისე ვითარდება. მაგალითად, „შუა ქალაქის" თიკა საშინელი „სტერვა" უნდა ყოფილიყო, მაგრამ, პირველივე გადაღებული მასალიდან „სტერვული" ფრაზები ამოიღეს, რადგან, ჩემგან გამომდინარე, სხვა მხრივ განავითარეს – „სტერვობა" არ მოგიხდაო. აქაც ასე იყო: კატო ნინოს მოერგო, ნინოს მიხედვით აიწყო და, ისეთი ტიპაჟია, როგორიც მან მოიხდინა, მაგრამ, იმიტომ, რომ გათხოვდა, იმიტომ, რომ მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რაღაცეები მოხდა, შესაძლოა, კატოს სახე ნელ-ნელა შეიცვალოს. მოკლედ, იქნება თან მსგავსი და თან – განსხვავებული.



კოტემ ერთი გოგო მოიყვანა ცოლად და ურთიერთობას უკვე სხვა გოგოსთან განაგრძობს

**– როცა უკვე შენი ამ როლზე დამტკიცება გადაწყდა, არ შეგეშინდა?**

– საკმაოდ ბევრი ვიფიქრე. ძალიან კარგად მესმოდა და მესმის, რამხელა რისკთან იყო ეს დაკავშირებული, რადგან, მაყურებელს ვიზუალურად და ისედაც ძალიან მოსწონდა და უყვარდა კატო. იმასაც ველოდები, რომ აგრესია წამოვა. ვიცი, სერიალში თამაშის დროს როგორ უყვარდები ხალხს და როგორ ხდები მათი ოჯახის წევრი და, უცებ რომ ეუბნები, მოიცა, ის აღარ, ახლა სხვა შეიყვარეო, ცოტა რთული მომენტია.

**– პროდიუსერებმაც საკმაოდ გარისკეს...**

– პირველი სწორედ ეს ვიკითხე – არ შეიძლება, სხვა მეგობარი ვიყო, ვინც, ვთქვათ, სხვა ქვეყანაში ცხოვრობდა და ჩამოდის-მეთქი? არა, კატო უნდა ითამაშოო. მოკლედ, მომიწევს თავდასხმების გადატანა. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ეს არ იქნება ჩემი პირველი გამოჩენა ეკრანზე, იმედი მაქვს, ცოტა ლოიალურები მაინც იქნებიან და დამინდობენ. სულ ვგრძნობ იმ სითბოს, რაც სერიალების პერიოდიდან მომყვება, ყოველთვის სიყვარულით მხვდება ხალხი და, იმედია, ამ სიახლეს შეეგუებიან.

**– რატომ წავიდა ნინო?**

– როგორც ამიხსნეს, პრინციპულ საკითხებზე ვერ მოხდა შეთანხმება გადამღებ ჯგუფსა და მსახიობს შორის, რაც საკმაოდ ხშირად ხდება ხოლმე.

**– შენ არ გაქვს უხერხულობის მომენტი, რომ ნინო და შენ ერთ თეატრში ხართ, ერთ საგრიმიოროში?**

– სანამ დავთანხმდებოდი, დიდხანს ვფიქრობდი ამაზე, არ მინდოდა, რომ ჩვენს ურთიერთობაში ეს დისკომფორტის მიზეზი გამხდარიყო. ახლა ერთ სპექტაკლში ვთამაშობთ და რეპეტიციაზე პირდაპირ ვკითხე – მითხარი, რა მოხდა-მეთქი. არაფერი, ასე გადავწყვიტეთო, – მიპასუხა და, თან მკითხა, შენთვის ხომ არ დაურეკავთო. დამირეკეს და ვფიქრობ-მეთქი. მაშინ თავად მითხრა, უნდა დასთანხმდე, საინტერესო სიახლე იქნება შენთვისო. ასე რომ, ეს დისკომფორტიც აღარ მაქვს. რეალურად, ეს არც უნდა ყოფილიყო რაიმე გაუგებრობის მიზეზი, ეს მისი გადაწყვეტილება იყო და ჯგუფმაც შემცვლელის ძებნა დაიწყო. ვინ შეცვლის – ამან აღარ მგონია, რომ ვინმეს პრობლემა შეუქმნას.

**– ამ გუნდთან მუშაობის გამოცდილება, თუ სწორად მახსოვს, გაქვს.**

– დიახ. თუ ვინმეს ახსოვს, არ ვიცი, მაგრამ, სერიალ „საპონში" მე და სალომე შარვაძე ვთამაშობდით. მაშინაც ზუსტად იგივე გუნდი მუშაობდა – პროდიუსერები, რეჟისორი, მხატვრები, გრიმიორები და სხვა, ყველა ბავშვობიდან მიცნობს და მათთან ძალიან ახლოს ვიყავი ყოველთვის. ურთიერთობის პრობლემა არავისთან არ იქნება. კოტე თოლორდავას ძალიან ბევრი წელია, ვიცნობ. ისე გამოვიდა, რომ კოტემ ერთი გოგო მოიყვანა ცოლად და ურთიერთობას უკვე სხვა გოგოსთან განაგრძობს. ეხუმრებოდნენ, ისეთი თაფლობის თვე გქონდათ, რომ შენი ცოლი მთლიანად შეიცვალაო. ასევე კარგად ვიცნობ ყოჩის – ლევან ყოჩიაშვილს და ყველას. ეს მხარე რომ არ იქნება პრობლემური და შეგუება რომ არ გამიჭირდება, დარწმუნებული ვარ. ერთადერთი, რაზეც ახლა ვფიქრობ და ვნერვიულობ, ეს მაყურებლის განწყობაა, მინდა, რაც შეიძლება მალე შევაყვარო თავი და ეს გადასვლა მაქსიმალურად რბილად და უმტკივნეულოდ მოხდეს. დანარჩენი მოგვარებულია.

**სალომე გველესიანი**

---

მაბრაზა, სახლში რომ მოვედი, დავჯექი და მე თვითონ, ჩემი ხელით შევკერე ტყავის „რუგზაკივით". ეს ჩანთა მალევე გაიყიდა 30 დოლარად. მალე ამ ჩანთებზე ატყდა ამბავი... ყოველ საღამოს ვკერავდი თითო ჩანთას და ვიცოდი, რომ ნამდვილად გაიყიდებოდა. ფაქტობრივად, ამით ვცხოვრობდით. გოგოები ყიდულობდნენ, ხალხი ერთმანეთს „გუგას ჩანთებით" ცნობდა. მშრალ ხიდზე მაშინ დაიწყეს ვაჭრობა. ვყიდულობდი ძველებურ, ულამაზეს „პრიაჟკებს" გასაფორმებლად. ყოველი ჩანთა ხელოვნების ნიმუში იყო. 300 ჩანთა შევკერე. ასე დაიწყო ჩემი პირველი ნაბიჯები ბიზნესის სფეროში. ამის შემდეგ გადავედი ავეჯზე.

**– მშრალი ხიდის მოტივებმა შთაგაგონათ დაგეწყოთ ის საქმე, რასაც დღესაც მიყვებით.**

– დიახ, მშრალ ხიდზე ახლაც ხშირად დავდივარ და, რომ დამჭირდეს, ყველაფერს გამომატანენ ნისიად. მენდობიან, იმდენი წელია, მიცნობენ. ვიღაცა კაზინოში ხარჯავს ფულს, ვიღაცა – რესტორნებში, ვიღაცა – ტანსაცმელში... მე ჩავდივარ და ამ ნივთებს ვყიდულობ მშრალ ხიდზე, რომლებსაც, არ ვიცი, კონკრეტულად როდის და რაში გამოვიყენებ, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ გამოვიყენებ. ჩემთვის ამაში არსებობაც დევს და სიამოვნებაც.

**– კიდევ ერთ თემას მინდა შევეხო: თქვენ და ნიკო გომელაური...**

– ნიკო და მე დეიდაშვილები ვიყავით. მასზე თითქმის 10 წლით ვარ უფროსი. ჩემხელა იყო ნიკოს ძმა, გაგა ინაური, რომელიც ნიკოს გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე გარდაიცვალა გულით, აბსოლუტურად მოულოდნელად. მე და გაგა ერთ კლასში ვსწავლობდით. ნიკო პატარა და ნაფერები იყო, სხვათა შორის, ძალიან დამოუკიდებელი. სამსახიობოზე ჩაბარება საკუთარი გადაწყვეტილება იყო, რომელიც ჩაიფიქრა და ბოლომდე მიიყვანა. შემდეგ, ლექსების წერაც რომ დაიწყო, პირველი წიგნი გაგამ დაუფინანსა, მე და გაგამ შევადგინეთ წიგნის დიზაინი. ალბათ, თვითონ ნიკო ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ასეთი პოპულარული იქნებოდა – არ ეგონა. სამწუხაროდ, თვითონ იყო გაოგნებული, ბოლოს ხომ სიმსივნე ჰქონდა რამდენი წლის განმავლობაში და „ადნაკლასნიკებში" ჭორები გავრცელებულა – ნიკო მოკვდაო. თვითონ ყვებოდა – მოვკვდიო და, უცებ ხალხის რეაქცია... არ მეგონა, რომ ამდენს ვუყვარდი და ასე დავენანებოდიო.

აბსოლუტურად სალი ადამიანი იყო, რომელსაც ყველაფერი გადასარევად ესმოდა. იცოდა, რაც სჭირდა. ძალიან კაცურად, ღირსეულად გადაიტანა ყველაფერი ბოლო დღემდე. უკანასკნელ ღამესაც მათთან ვიყავი. ცოლისთვის უკითხავს, გუგა ხომ დარჩებაო... რა თქმა უნდა, დავრჩი... იციით, მე მაინც მიმაჩნია, და მგონია, რომ ცხოვრება ხანგრძლივობით არ არის საინტერესო, მთავარია, როგორ იცხოვრებ. შეიძლება, ბევრად ნაკლებ ხანს იცოცხლო და ბევრად მეტი დატოვო – ეგაა მთავარი. იმას, რომ დიდხანს იცხოვრო როგორც ნაძირალამ, ჯობია, ახალგაზრდა წახვიდე და იყო კაცი. ნიკო დღესაც ცხოვრობს... მამაჩემიც ...

**– საკუთარ თავში რამე გახსენებთ ვახუშტის?**

– მეუბნებიან – აუ, როგორ დაემსგავსე ვახუშტისო.

**ეკა სალაღაია**

**ზურაბ წერეთელი – ეს სახელი და გვარი თბილისში ბევრს აღიზიანებს, ბევრისთვისაც სასიამოვნო მოგონებებთან არის დაკავშირებული და ეამაყებათ, რომ იქ, რუსეთში არის ძალიან ნიჭიერი ქართველი მხატვარი, რომელიც ათეული წლებია, თავისი ფანტასტიკური შემოქმედებით სახელს უთქვამს საქართველოს. იქიდან კი საქართველოში მძიმე სოციალურ პირობებში დარჩენილ ბევრ ნაცნობს თუ უცნობს ეხმარება. რამდენიმე თვის წინ ჩვენს ექსკლუზიურ ინტერვიუში ბატონმა ზურაბმა კითხვაზე, თუ როგორი რეაქცია აქვს, როცა მიზანმიმართულად აკრიტიკებენ, ასე გვიპასუხა: „მე და სალვადორ დალის შემოგვთავაზეს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რაღაც მოგვეხატა. ერთ კედელს მე ვხატავდი, მეორეს – ის. ერთხელ, ბარში ყავას ვსვამთ. დალიმ თქვა: რაღაც აღარ მლანძღავენ, ხომ არ დამივიწყესო და მოულოდნელად, უცნაური ილეთები გააკეთა. ეს მომენტი კორესპონდენტებმა დაიჭირეს და მეორე დღეს „ნიუ-იორკ თაიმსში“ დაიბეჭდა – „დალი ყირაზე გადადისო“. მაშინ ვიფიქრე, საბჭოთა კავშირში რომ ვინმე ასე მოქცეულიყო, ხომ ცუდად დაამთავრებდა თავის ცხოვრებას-მეთქი. ჩვენთან მართლა ასე იყო – ვისაც პრესაში გალანძღავდნენ, ცუდად ჰქონდა საქმე. ამიტომ, უკვე იმუნიტეტი გამომიმუშავდა...“ ჩვენ გადავწყვიტეთ, ამჯერად ბატონი ზურაბი უახლოესი მეგობრის, ფერდინანდ ლორთქიფანიძის თვალით დაგანახვოთ და კიდევ უფრო ახლოდან გაგაცნოთ იგი.**

# როგორ დაწერა მამადავითზე ჯვარი ზურაბ წერეთელმა ვლადიმირ ვისოცკისა და მარინა ვლადის და რატომ გადააგდეს სკამიდან შულცი თბილისში ზურაბ წერეთელთან სტუმრობის დროს

**– ბატონო ფერდინანდ, დავიწყოთ იქიდან, როცა ზურაბ წერეთელი გაიცანით და დამეგობრდით?**

– ზურას დიდი ბიძა (დედის მხრიდან), გიგლა ნიჟარაძე, მამაჩემის მამიდის, ვარდიფინა ლორთქიფანიძის ქმარი იყო. ბაბუაჩემმა რომ გაიგო, ვის გაჰყვა თავისი ქალიშვილი, გაგიჟებულა, ამ გაღლეტილ ნიჟარაძეებს როგორ გააყოლეთ ჩემი შვილიო. თუმცა, გიგლა ძალიან კარგი მხატვარი, განათლებული პიროვნება გახლდათ, იმ დროის თბილისის კოლორიტი. ზურაბმა რომ მოღვაწეობა დაიწყო, ბიძამისს უნდა უმადლოდეს. თვითონ ზურაბიც არ მალავს, რომ მისი საწყისი კარიერა ძირითადად ბიძამისმა განაპირობა. გარდა ამისა, ჩვენ ერთ სკოლაში ვსწავლობდით – რკინიგზის მეშვიდე გიმნაზიაში.

**– როგორც უახლოესმა მეგობარმა, ალბათ, კარგად იცით მისი ხასიათი, თვისებები, ცხოვრება. რამდენადაც ვიცი, სანამ ზურაბ წერეთლის სახელი მსოფლიოში ცნობილი გახდებოდა, საკმაოდ უჭირდა.**

– რა თქმა უნდა, უჭირდა, ისევე, როგორც ბევრ ოჯახს თბილისში, მაგრამ ფეხზე რომ დადგა, არც ბიძამისისთვის დავიწყებია სიკეთის გადახდა. ბიძა მატერიალურადაც ეხმარებოდა ოჯახს. ახლა ჩვენ გაჭირვებას ვუწოდებთ, მაგრამ პლეხანოვზე მანქანები იყიდებოდა – „ზილი“, „მოსკვიჩი“, „პობედა“, 15 ათასი მანეთი ღირდა. ყველა ოცნებობდა, ერთი 15 ათასი მომცა, მანქანა ვიყიდოო. თავისუფლად იყიდებოდა მანქანები, მაგრამ ხალხს ფული არ ჰქონდა. მეც და ზურაც იტალიურ ეზოში ვცხოვრობდით. მაშინ სად იყო კორპუსის ბინები? ვინმესთან სტუმარი რომ მოვიდოდა, ერთ მეზობელს მჭადები მიჰქონდა, მეორეს ყველი, ღვინო... და ასე, მეზობლების დახმარებით უმასპინძლდებოდნენ სტუმარს. ბიძამისს უნდოდა, რომ ზურა მის გზას გაჰყოლოდა და ამიტომ ჩააბარა მან თბილისის სამხატვრო აკადემიაში. პრაქტიკებზე აკადემიკოს ჩიტაიასთან, არქეოლოგიურ გათხრებზე, აზომვებზე დადიოდა და ამან განაპირობა მისი შემდგომი წინსვლა. მეც მომიწია, რომ ამ სფეროში მემუშავა და ამიტომაც ვიცი, რა წარმოუდგენელი სიამოვნებაა არქეოლოგიურ გათხრებზე მუშაობა. მაგრამ, იმ დროს ძალიან მოდაში იყო „გეპეი“ და ზურაბს იქ უნდოდა შესვლა. მერე მან ცოლად შეირთო ინესა ანდრონიკაშვილი, რომელიც შეძლებული ოჯახიდან იყო. ზურაბის ცხოვრებასა და ჩამოყალიბებაზე სწორედ ამ ადამიანმა იქონია დიდი გავლენა, თან ძალიან ლამაზი იყო. ინესას პარიზში ახლობლები ჰყავდა. როდესაც ის ადამიანი გარდაიცვალა, ინესას მოუვიდა დეპეშა, რომ პარიზის სახლი (არა ბინა) მემკვიდრეობით ინესას რჩებოდა. ზურა ამ დროს უკვე მისი ქმარი იყო. ადგა ზურა და ეს სახლი სახელმწიფოს, საელჩოს გადასცა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ ჰქონდა ის შესაძლებლობები, ასეთი საჩუქრები გაეკეთებინა ვინმესთვის. გაუკეთებია ანალოგიური რაღაცეები – სახლიც უყიდია სხვისთვის, მანქანაც. პირადად მე, როგორ დავივიწყებ – ჩემთვისაც უყიდია მანქანა. თქვენ არ იცით, რა საყვარელი ადამიანია, ბავშვივით არის, სულ გინდა, რომ მოეფერო. ნიფნიფას ვეძახი. არაჩვეულებრივი ბუნებისა და ენერგიის პატრონია. ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული, კეთილი ბუნება გენებით გამოჰყვა. რამდენიმე ადამიანს სიცოცხლეც შეუნარჩუნა. მაგალითად, ერთ-ერთი თქვენი კოლეგის მამას, რომელსაც სიმსივნე ჰქონდა, რამდენიმე წლით გაუხანგრძლივა სიცოცხლე – საოცრებები ჩაიდინა, გერმანიაში ჩავიდა, ფული გადაურიცხა. ამ დროს მისი ქალიშვილი სტატიას აქვეყნებს, რომ ვითომ ზურაბ წერეთელმა საქართველოში ოპოზიციას შვიდი მილიონი გადაუხადა. გამორიცხულია, ზღაპარი... ზურაბი პოლიტიკაში არასოდეს ერევა, არასოდეს გაუკეთებია პოლიტიკური განცხადებები. დამირეკა – ეს რა უბედურებაა, ფერდინანდ, შენ ხომ მაინც იცი, როგორ გადავყევი მამამისსო... ვნახავ ამ ქალს-მეთქი და... არ გინდა, თავი დაანებე, არაფერი უთხრაო. ისიც არ უთქვამს, სირცხვილი მაგასო. უბრალოდ, ძალიან ეტკინა გული. მეც იქ ვიყავი, იმ გოგოს დედა ზურაბთან რომ იჯდა კაბინეტში. ზურაბმა ერთი შეკვრა ფული ამოიღო და მისცა – ეს ისე, მოიხმარეთო.



ზურაბი ავარდნილი და ხულიგანი არასდროს ყოფილა, უბრალოდ, როგორც ყველა ქალაქელი კაცი, ძალიან სწრაფი და მოქნილი იყო. უყვარდა ჩხუბი, მაგრამ ჩხუბს პირველი არასოდეს წამოიწყებდა

**– ამბობენ, ცოტა ავარდნილი ბიჭი იყოო, მართალია?**

– ზურაბი ავარდნილი და ხულიგანი არასდროს ყოფილა, უბრალოდ, როგორც ყველა ქალაქელი კაცი, ძალიან სწრაფი და მოქნილი იყო. უყვარდა ჩხუბი, მაგრამ პირველი არასდროს არ წამოიწყებდა.

**– რამდენადაც ვიცი, ყველა გავლენიანი და პატივსაცემი ფიგურა ზურაბთან მიჰყავთ მოსკოვში და ისიც სულ მათ მასპინძლობაშია.**

– ერთხელ ხორვატიის პრეზიდენტი ჩავიდა. კარგი ვახშამი გაუმართა ზურაბმა და ამ კაცმა მოითხოვა, გალერეა დამათვალიერებინეთო. ღამის პირველი საათია. მეც იქ ვარ. ზურაბი დიდი ორატორი არ არის, ერთადერთი მისი ნაკლი, შეიძლება ითქვას, ესაა. დამიძახა, – მოდი აქ, ფერდინანდ! აბა, დადექი. თურმე, ეს კაცი ადრე ხატავდა და ძალიან აინტერესებდა ზურაბის სტილი – როგორ იწყებს. დამაყენა და დაიწყო ჩემი პორტრეტის დახატვა. გეყოფა, ზურა, – ვეუბნები, – დავიღალე, ძნელია პოზირება. ზუსტად 50 წუთში დახატა ჩემი პორტრეტი. ერთხელ, თბილისში შულცი ჩამოვიდა. მაშინ ზურაბი ბაგებში ცხოვრობდა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჩერქეზი იყო. მიიყვანეს ზურაბთან. შულცს დაცვა ახლავს. მე გარეთ ვდგავარ, მაგიდასთან რას დავჯდებოდი. უცებ ჩაქრა შუქი და შულცი სკამიდან გადააგდეს, ერთი ათი კაცი დააწვა ზემოდან, ეგონათ, რაღაც ხდებოდა. ეს ჩერქეზი ეუბნება ზურაბს, – როგორ, მეორე ხაზი არ გაქვსო... იმ წუთას გაივიდნენ და გააკეთეს მეორე კვება.

სამხატვრო ფონდის გენერალური დირექტორი ვარ და მირეკავს კულტურის განყოფილების უფროსი ნოდარ ჯამბერიძე: პატივსაცემი სტუმრები გვეყოლება რუსეთიდან – კოსიგინი და სუსლოვი და ორი საჩუქარია საჭირო. საჩუქარი უნდა იყოს ჩვენი ხელოვნების ნიმუში და აბა, შენ იციო. ძალიან ძნელი საქმეა, ბატონო ნოდარ, მაგრამ მითხარით და ყველაფერს გიშოვით-მეთქი. მაგის დრო არ არისო. თვითონ შევარდნაძესთან ერთად ისვენებდა ბიჭვინთაში. რა ვქნა ახლა, ვფიქრობ და მოვიფიქრე. იყო ასეთი მხატვარი – ქურხული, რომელიც პორტრეტების „კოპიას“ აკეთებდა გენიალურად და დავახატვინე სუსლოვის სურათი. ახლა კოსიგინი დამრჩა. ერთი მხატვარი იყო კიდევ, წერეთელი, ძირითადად ხეზე მუშაობდა. მივედი მასთან სახლში და დავინახე, უდევს ხის ჩუქურთმებიანი ბოკალი, რომელშიც ექვსი ლიტრი ღვინო ჩადის. ეს კოსიგინისთვის ვიყიდე და კიდევ ფერწერული ტილოები წავიღე თან. ჩავედი ბიჭვინთაში. საჩუქრები ხომ მზად გაქვსო, – მკითხა ბატონმა ნოდარმა. დიახ-მეთქი. არც მკითხა, რა არის, როგორია... ედუარდ შევარდნაძე გასული იყო, ადგილზე არ დამხვდა. ამ საუბარში შევამჩნიე, ვიღაც ჩაცუცქული მოიპარება, თავს შემოყოფს და გადის. ერთი ხუთი კაცი დგას

ჩუმად კართან. ეს კოსიგინის დაცვააო, – მითხრა. მოვიდა კოსიგინიც. ყველას ჩამოგვართვა ხელი. საჩუქარი პერგამენტის ქაღალდში მქონდა გახვეული, გავხსენი და ედუარდს მივაწოდე. ედუარდმა გადააწოდა კოსიგინს, კოსიგინმა მადლობა გადაგვიხადა, შეათვალიერა, გადმოატრიალა და ხედავს, აწერია – წერეთელი. კოსიგინს ჰგონია, რომ ზურაბის გაკეთებულია. რამდენიმე



წუთი ლაპარაკობდა ზურაბზე – ზურაბ წერეთელი მარტო თქვენ არ გეკუთვნით, დიდებული, ჩვენი სახელოვანი პიროვნებაა... გააგრძელა და გააგრძელა. ნოდარი მიცინის და მეუბნება – ფერდინანდ, დაიმახსოვრე და მხატვრები რომ ჭამენ ზურას, უთხარი, კოსიგინმა რაც თქვაო. კარგ სადღეგრძელოს რომ იტყვის თამადა, ისე დალაგებული ილაპარაკა ზურაბზე. ზურაბთან მიხეილ სააკაშვილიც არის ნამყოფი, იქ ვიყავი, რომ ჩამოვიდა. მთელი მთავრობა დაპატიჟა, დიდებულად დახვდა, მაგრამ მერე შავმა კატამ გაირბინა მათ შორის.

**– ისე, რა საინტერესოა, ბატონო ფერდინანდ, რატომ აღარ ესიმპათიურებათ ერთმანეთი მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ წერეთელს?**

– არა, ზურაბი არ არის ეგ ადამიანი, ვინმე შეიძულოს, ვინმეს გადაემტეროს. უბრალოდ, ნაწყენია, წმიდა გიორგის მონუმენტი რომ ჩამოიტანეთ და თავისუფლების მოედანზე დავდგით, იმის თანხა ჯერაც არ გადაუხდიათ. მარტო ტრანსპორტირება რა დაჯდა, იცით? – 200 ათასი დოლარი. ზურაბმა დიდი თვითმფრინავი დაიქირავა და სპეციალურად მოძებნა ისეთი კაპიტანი, რომელიც მასზე დაჯდებოდა.

**– კარგი, ახლა ის მითხარით, როგორ დაიწყო ბატონი ზურაბის კარიერა მოსკოვში.**

– ზურაბმა დაკვეთა მიიღო. ხრუშჩოვის დრო იყო. მოსკოვის მთავარმა არქიტექტორმა პასუხინმა, რომელიც ყველაფერს განაგებდა, ზურას დაავალა ბიჭვინთის რეკონსტრუქცია, გაფორმება. შემდეგ ისე მოხდა, რომ დაახლოვდნენ. პასუხინს ისე მოეწონა ზურაბი, რომ მისმა ბიჭმა ცოლად ზურაბის ქალიშვილი, ლიკა მოიყვანა. მერე კიდევ რაღაცეები გააფორმა, ლაურეატობა მიიღო, ყველა რეგალია აქვს... რა ჩამოთვლის. ასე წავიდა და წავიდა ჩემი ზურიკო.

**– ძალიან საინტერესოა მისი მეგობრობა ვისოცკისთან. გვიამბეთ მასზეც.**

– ვისოცკი არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. ზურაბმა ახალშეუღლებული ვისოცკი და მარინა ვლადი თბილისში დაპატიჟა და მამადავითზე ჯვარი დააწერინა. ქორწილი გადაუხადა, ძალიან დიდი სუფრა იყო გაშლილი. აღარ მახსოვს, ვინ იყო თამადა, მაგრამ მან სტალინის სადღეგრძელო შესვა და ალავერდს ვალოდიასთან გადავიდა... მე მაგ სადღეგრძელოს არ დავლევო... უხერხული სიტუაცია წარმოიქმნა. ზურამ მოჰკიდა სუფრას ხელი და ყველაფერი გადაყარა, აშალა. ყველას ენა ჩაუვარდა. აბა, ხელახლა გააწყვეთ სუფრაო და ასე გააშველა ეს ორი – სტალინელი და ანტისტალინელი. სხვათა შორის, ეს ამბავი მარინა ვლადის თავის წიგნში აქვს შეტანილი.

ვისოცკის ეკონომიკურად უჭირდა და ზურა აფინანსებდა, არ ვიცი, სად მიჰქონდა ის ფული. ზურას ვალი რომ ჰქონდა, ეტყობა, მოერიდა და მასთან კონტაქტი შეწყვიტა. ზურამ მითხრა – ფერდინანდ, დაელაპარაკე, არ მინდა ის ფული, უთხარი, მოვიდესო. ასე როგორ ვუთხრა, დავპატიჟებ და მერე შენ თვითონ უთხარი, რაც გინდა-მეთქი. დავურეკე: ზურაბს მოენატრე, შეხვედრა უნდა შენთან და მოდი-მეთქი. ხომ არ ვეტყოდი, ფული არ უნდა-მეთქი. ისიც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა. საწყალი, რომ გარდაიცვალა, მთელმა მოსკოვმა წარმოუდგენლად დაასაფლავა და ზურაბმაც დიდი ხარჯი გაიღო.

**– ბატონი ზურაბი ხშირად მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყანაში და მოგზაურობა იახტით უყვარს. როგორ ცხოვრობს მოსკოვში?**

– ორ საათზე ადრე არ დაწოლილა. დილით ძალიან ადრე დგება. როცა იქ ვიყავი, მიღებებიდან მოვიდოდით სამ, ოთხ საათზე, დილის შვიდ საათზე „ბასეინზე" მივყავდი. ვეუბნები, ზურაბ, არ მინდა ბასეინი, მეძინება. არა, მაინც... დგება დილით, ივარჯიშებს, მერე ისაუზმებს და დაიწყებს ფერწერას. ძალიან უყვარს ქართული საჭმელები. ჰყავს ერთი ქალი, ჟენია, რომელიც თითქმის ოცდაათი წელია, მასთან მუშაობს. რამდენჯერ რესტორნიდან ნასვამი გამოვსულვართ და უთქვამს – წავიდეთ ახლა ჩვენთან, ლობიო, ან მჭადი და ყველი ვჭამოთო. სხვათა შორის, კარგად სვამს. ერთხელ სასტუმროში არ გვიშვებენ. მაშინ ზურაბს არ ჰქონდა სახლი და სახელოსნო (მერე მისცეს გერმანიის საელჩო მთლიანად, სადაც უზარმაზარი სახელოსნოც აქვს) და სასტუმრო ჰქონდა დაქირავებული. არ გვიშვებდნენ. ვიღაცეებმა აუტეხეს შუხური. მერე ერთ-ერთმა კარისკაცმა ზურაბს უჩივლა – შეურაცხყოფა მომაყენაო. შანტაჟი იყო.

**– თქვენ და ბატონ ზურაბს ერთად ძალიან ბევრი საინტერესო რამ გადაგხდენიათ თავს. რომელს გაიხსენებთ?**

– იყო ასეთი ცნობილი მხატვარი – ფერმწერი გურამ ქუთათელაძე, სამხატვრო აკადემიის რექტორის შვილი, მეტსახელად ხიტა. მე რომ სამხატვრო ფონდში ვმუშაობდი, ეს კაცი სხდომებზე სულ ზურაბს აკრიტიკებდა. მიუხედავად ამისა, ზურაბი სულ ეხმარებოდა. ხიტას ძმა, ტარიელ ქუთათელაძე, ჭაბუა ამირეჯიბთან ერთად იყო გადასახლებაში 18 წელი. ერთხელაც, ხიტა ავად გახდა. მე, ზურაბი და ნოდარ ჯამბერიძე წავედით მოსკოვში მის სანახავად. ზურაბმა დააწვინა საავადმყოფოში და პატრონობდა. რომ დავინახე, გული ცუდად გამიხდა – ეს მთასავით კაცი 43 კილო გამხდარიყო, ცარიელი ჩონჩხი. ნოდარს ეუბნება, – ბატონო ნოდარ, ცოდვილი კაცი ვარ, – და მუჭისხელა ცრემლები მოსდის, – თქვენ არ იცით, ამ კაცმა რა სიკეთე გამიკეთა. მე თუ დღეს ცოცხალი ვარ, ზურაბის წყალობით და რასაც ამას ვუკეთებდი, არ ვიცი, როგორ მოვინანიოო. გეფიცებით, ოთხივე ვიდექით და ვტიროდით.

ერთხელ, საკავშირო კულტურის მინისტრმა საქართველოს კულტურის მინისტრ ვალერი ასათიანს დაურეკა – ლონდონიდან ჯგუფი ჩამოდის და ფერდინანდ ლორთქიფანიძე დახვდესო. სტუმრები „ძველ მეტეხში" დავაბინავეთ. ის საბედისწერო 9 აპრილი თენდებოდა. ჩვენი სტუმრები თურმე მეტეხიდან ხედავდნენ, როგორ მოემართებიან ტანკები. ვიღაც-ვიღაცეებმა შეიტყვეს, რომ უცხოელი სტუმრები არიან ჩამოსულები. ყველაფერი ვიდეოზე გადაიღეს და მთხოვეს ფირი მათთვის გადამეცა. ვიდეოფირი რომ გადავეცით, ერთ-ერთმა ქალბატონმა თქვა, როგორც კი ჩავალ, ყველაფერს მარგარეტ ტეტჩერს ვაჩვენებო. გამიკვირდა და ამ ქალბატონის ვინაობა ვიკითხე. ინგლისის ლორდთა პალატის ვიცე-სპიკერის მეუღლეაო, – მითხრეს. ამ ქალბატონმა მართლაც პირობა შეასრულა და ჩასვლისთანავე ფოტოები და ვიდეოფირი მარგარეტ ტეტჩერს გადასცა. მერე მე და ზურაბი იმ ქალბატონმა ლონდონში მიგვიპატიჟა. იქ, სასტუმროში ისეთი რამ მოხდა, ზურაბი ამას ყველა თავყრილობაზე ყვებოდა... სასტუმროში პასპორტები რომ წარვადგინეთ, ჩემი გვარის გამო ლორდად ჩამთვალეს და ჩემთვის აპარტამენტი გამოჰყვეს პატარა აუზით, ზურას კი ერთი უბრალო ნომერი მისცეს. როცა მასთან შევედი, ცხადია, უხერხულობა ვიგრძენი და ნომრების გაცვლა შევთავაზე. არ დამთანხმდა. ლონდონში ორი კვირა დავყავით. ზურა



იცინოდა – ფერდინანდს სამეფო აპარტამენტები მისცეს, მე კი „ლეჟანკაზე" მეძინაო. „ლონდონ თაიმმა" ზურაბს ორგვერდიანი სტატია მიუძღვნა, სადაც ეწერა: ზურაბ წერეთელს ფინანსური განმკარგულებელი ახლავს – ლორდი ქიფიანიძეო... ინგლისში ერთმა პიროვნებამ სასმელების დეგუსტაციაზე მიგვიპატიჟა. რამდენიმე ისეთი შამპანური დავაგემოვნეთ, რომელიც მსოფლიო ათეულშია შესული. შემდეგ რესტორანში გადავინაცვლეთ. შემთხვევით მენიუში ჩავიხედე და აღმოვაჩინე, რომ რვაასდოლარიანი შამპანურით გვიმასპინძლდებოდა... მერე ჩვენმა მასპინძელმა გვითხრა: მამამ ანდერძი დაგვიტოვა და მისი გარდაცვალების შემდეგ რომ გავხსენით, ეწერა, რომ ქართველი ყოფილა, კახეთიდან. ამ ბიჭს ქართველობის არაფერი ეტყობოდა, მაგრამ და-ძმა ქართულად სვამდა – ამაში აშკარად ჩანდა მათი კახური ბუნება. მამა ომის დროს ტყვედ ჩავარდნილა, შემდეგ უცხოელ ქალბატონზე დაქორწინებულა და იმის შიშით, რომ შვილებს რეპრესიები არ შეხებოდათ, ქართველობას მალავდა... ზურაბმაც ის ბიჭი არაერთხელ მოიწვია საქართველოში, მაგრამ მან ჩამოსვლა ვერ შეძლო...

**ეკა პატარაია**

**წლების წინათ მათთან ერთად იღვიძებდა მთელი თბილისი; მათი იუმორი მთელი თბილისის იუმორი ხდებოდა; მათი ვიზუალი მოდის ახალ მიმდინარეობებს უყრიდა საფუძველს. გულიანი სიცილი, ჯანსაღი, არ მოვერიდები ამის თქმას და არაგოიმური ხუმრობები, ხალასი განწყობა ნანიკო ხაზარაძისა და ნიკა ლომიძის სავიზიტო ბარათი იყო. მხოლოდ მათ შეეძლოთ, ეკრანზე რამდენიმე საათის განმავლობაში თემის გარეშე ისე ესაუბრათ, რომ მაყურებელს სხვა არხზე გადართვა არც მოუვიდოდა აზრად. გავიდა წლები, გაიზარდა მაყურებელი, თავადაც გაიზარდნენ და ახლა უამრავი სხვადასხვა ტელევიზიისა და განსხვავებული პროექტის შემდეგ, ისევ „მაესტროში" დაბრუნდნენ და ისევ ერთად მიჰყავთ გადაცემა, რომელსაც ლოგიკურად „თავისუფალი დრო" ჰქვია.**

# ვისი დახმარებით დაბრუნდნენ სახლში ნანიკო ხაზარაძე და ნიკა ლომიძე და რა სისულელეს არ ჩაიდენენ ისინი

– **როგორია ამდენი წლის შემდეგ ისევ ერთად ეთერში დაჯდომა?**

**ნიკა ლომიძე**: ფუუ, საშინელებაა, კოშმარია...

**ნანიკო ხაზარაძე**: იცი, როდის „დავაფასე" ეს ბოროტი ადამიანი?! სულ რამდენიმე დღის წინ ორი დღით ხორვატიაში რომ წავიდა და ხუთი დღით ვენეციაში რომ აღმოჩნდა. მაშინ მივხვდი, როგორი კარგი და კომფორტული პარტნიორია – შეგიძლია, მშვიდად და სტაბილურად იყო მის გვერდით ***(იცინის).*** მთელმა „მაესტრომ" იცოდა, რომ ხუთი დღით წავიდა, მხოლოდ ჩვენ ოთახში მყოფმა სამმა-ოთხმა ახალგაზრდამ ვიცოდით, რომ სულ რაღაც ორი დღით დაგვტოვა.

**ნიკა**: ამათთვის რომ მეთქვა, სამი დღე ეთერში არ ვიქნებოდი, ხომ წარმოგიდგენია, რა ამბავს ატეხდნენ?! არადა, მახსოვდა, რომ გითხარით, იცი?! ბოდიში.

**ნანიკო**: განზრახ მკვლელობას ჰქონდა ადგილი.

**ნიკა**: ხორვატიაში ვიყავი გადაღებაზე, ვენეცია იქვეა, ორი ფეხის ნაბიჯზე და, გადარბენა-გადმორბენით არ ჩავსულიყავი?! სხვა, ყველა მხრივ გადასარევად ვართ ***(იცინის).*** ჩვენ ცამეტი წლის წინ ავეწყვეთ და იმის შემდეგ სულ ასე აწყობილები დავდივართ.



**ნიკა: „გადის წლები, აქაურობას თანამშრომლები ემატებიან, მიდიან-მოდიან; ვისაც არ ვიცნობდით და გავიცანით, ყველა ერთნაირად აფრენს. „მაესტროს" სული ყველას ირგებს"**

**ნანიკო**: ნიკა რომ მარსზე გაუშვა და ოცდაორი წელი არ ვნახო, ოცდაორი წლის შემდეგაც კი, დარწმუნებული ვარ, დიალოგის აწყობა არ გაგვიჭირდება. ეს უკვე სამუდამო ამბავია.

**ნიკა**: თან, ორივე ხომ ცოტა ვერ ვართ ჩვენს „მატორზე" და, როგორც ადრე ვაფრენდით, ისე ვართ ახლაც.

– **ანუ, არ გაიზარდეთ?**

**ნანიკო**: გამოცდილება შევიძინეთ უფრო მეტი, დავღვინდით, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ეს ეთერში გვეტყობა. თემას გააჩნია უფრო. არის თემები, რომლებიც უფრო სერიოზულ მიდგომას მოითხოვს.

**ნიკა**: ცამეტი წლის წინ არ არსებობდა ისეთი თემები, რომლებიც დაღვინებას მოითხოვდა. სრულიად „უთემოდ" ვსხდებოდით ეთერში და რაღაცეები გამოდიოდა. ახლაც ასე ვართ, თუ გგონია, წინასწარ ვემზადებით, ძალიან ცდები.

– **მთავრდება თუ არა გადაცემა, ეგრევე რომ გარბიხარ, ესე იგი, მართლა არ ემზადები.**

**ნანიკო**: შენ, როგორც მაყურებელი, ისე ხვდები ამას?! ***(იცინიან).***

**ნიკა**: რომ მიცნობს, იმიტომ!

**ნანიკო**: ნიკას მოსვლა ბედნიერებაა. რა გავაკეთო, ხომ არ დავაბამ?! კი, ვებრძვით, რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ, როგორც კი მე ან ჩვენი რომელიმე თანამშრომელი რაიმე პრეტენზიის გამოხატვას დააპირებს, ისეთ სახეს მიიღებს, ისე გაიცინებს, რომ არ გამოდის საყვედურები. თუ მოუმზადებელი იქნება პირდაპირ ეთერში, ეს მხოლოდ მისი პრობლემაა, მაგრამ, ესეც საერთოდ არ ადარდებს.

– **არ იფიქრეთ, რომ მაყურებელს თქვენი წყვილი ახსოვს და, შეიძლება, არ ყოფილიყო დაბრუნება ისეთი ეფექტური?**

**ნიკა**: რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი ვიფიქრეთ. იდიოტები ხომ არ ვართ, რომ პირდაპირ შევვარდნილიყავით და გადაცემა დაგვეწყო! ბევრი ვიფიქრეთ და მივხვდით, რომ „ტოროლა" არ უნდა გაგვეკეთებინა – იმ ასაკიდანაც გამოვედით, შეიცვალა დრო, მოთხოვნები, მაყურებელიც გაიზარდა. ის მაშინ იყო კარგი და ახალი, ახალი სიტყვა. ვთქვით: მოდი, ასე დავიწყოთ და, მერე რა მოგვიფრენს თავში, ამას დრო გვიჩვენებს.

– **ხარ თუ არა სტაბილური ადამიანი და შეუძლია თუ არა ნანიკოს შენს იმედზე ყოფნა?**

– ძალიან სტაბილური ვარ, არ უნდა დაგესვათ ჩემთვის ეს შეკითხვა. არა, სერიოზულად. როცა სახლში დაბრუნდები, უნდა გეყოს იმის ჭკუა, რომ შორს აღარ წახვიდე. სახლში დაბრუნების განცდა გვაქვს ყველას, თან, არაფერია შეცვლილი. „მაესტროში" ის თანამშრომლებიც კი, რომლებიც ჩვენ შემდეგ მოვიდნენ (და ასეთი უამრავია, წლებია ემატებიან, მიდიან-მოდიან), ვისაც არ ვიცნობდით და გავიცანით, ყველა ერთნაირად აფრენს. „მაესტროს" სული ყველას თავის თავზე ირგებს, ასე ვთქვათ.

**ნანიკო**: მგონი, ადრეც გითხარი, რომ, ყველა სხვა სამსახურისგან განსხვავებით აქ ნულზეა ბიუროკრატია. ჯერ კიდევ ვერ შევეჩვიეთ, ისე მარტივად ხდება რაღაცეები.

**ნიკა**: აქაურობას ყველა როგორც სახლს, ისე აღიქვამს და ისე უვლის, როგორც საკუთარს. ყველა თავისი თავის პატრონია, ჩვენს თავზე არავინ დგას. რომ მეუბნებოდნენ, ყველა თავის საქმეს აკეთებს და მამუკა საერთოდ არ ერევაო, არ მჯეროდა. მახსოვს, ყოველდღე გვირეკავდა, ხან გვლანძღავდა, ხან გვაქებდა, მაგრამ, არაფერი გამოეპარებოდა. ახლა ასე არ არის. ფურცელი გინდა, კამერა გინდა, რაც გინდა, შედი და აიღე, ოღონდ, შენზეა მთელი პასუხისმგებლობა. ამისთვის არ არის საჭირო, ორას ოთახში ირბინო და ათასმა კაცმა ხელი მოგიწეროს.

**ნანიკო: „ნიკა რომ მარსზე გაუშვა და ოცდაორი წელი არ ვნახო, ოცდაორი წლის შემდეგაც კი, დარწმუნებული ვარ, დიალოგის აწყობა არ გაგვიჭირდება, ეს უკვე სამუდამო ამბავია"**

– **მაყურებლისგან თუ გრძნობთ თქვენი წყვილის მონატრებას?**

**ნანიკო**: რეიტინგი ამბობს ამას, ჩემო კარგო. აგერ, პირველ კედელზეც კი გამოვიკარით, იმდენად არ ველოდით და გაგვიხარდა. იმ მაყურებლამდე, ალბათ, ბოლომდე მაინც არ გავსულვართ ვინც „ტოროლას" დროს გვყავდა – ამ ყველაფერს დრო და მიჩვევა სჭირდება, თან, მაუწყებლობაც შეზღუდულია, საქართველო თავიდან ბოლომდე დაფარული არ გვაქვს, მაგრამ, ნელ-ნელა ეს პრობლემაც დაიძლევა. გვწერენ – თეფშებს გვიყენებენ და სულ მალე გიყურებთო. მალე მთელ საქართველოს დავფარავთ.

– **თემებს ერთად ირჩევთ?**

– მხოლოდ ნიკა არჩევს თემებს.

**ნიკა**: მარტო ვმუშაობ. ეს ჯანელა ***(თამუნა ჯანელიძე, პროდიუსერი, – ავტორი)*** რას მიკეთებს, არ ვიცი, რაში უხდიან ხელფასს ***(იცინიან).***

**ნანიკო**: დღეს ეთერში გაიგო, რაზე გვქონდა გადაცემა, ოღონდ, ეს პირველი შემთხვევა არ არის.

**ნიკა**: ეს უფრო საინტერესოა. მაყურებელთან ერთად ვიგებ ყველაფერს და, რაც მაყურებელს აინტერესებს, იმ კითხვებს ნანიკოს ვუსვამ ***(იცინიან).***

**ნანიკო**: რა თქმა უნდა, საინტერესო იქნება – დასხმული ტვინი, ორმოცდაათი ლინკი გადაკითხული, შვიდასი ვიდეო ნანახი და ამ ყველაფერს ეთერში ვუყვები. ერთხელ შენ გააკეთე საპირისპირო.

**ნიკა**: კითხვა ვინმემ ხომ უნდა დაგისვას?! გადასარევად ვართ აწყობილი. „ფეისბუქზე" რაღაცას მომწერენ და ვერც ვნახულობ – არ ვიცი ეს „ფეისბუქი" და რა გავაკეთო?! თან, არ ვარ ერთადერთი – მყავს გვერდით მეგობრები, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ „ფეისბუქი" და გადასარევები არიან.

**ნანიკო**: კარგია მერე ეგ?! ჩვენ ძალიან ბევრი თემა სწორედ აქედან გამოვაძვრინეთ. მაგას რომ თავი დავანებოთ, ინფორმაციის მიღების საუკეთესო საშუალებაა. მთელი დღე ტელევიზორთან რომ ვერ მოხვდე, ზუსტად გაიგებ, ქვეყანაში რა ხდება.

**ნიკა**: ხაზის ტელეფონი და ხაზის რადიო – ვგიჟდები ამ ორ რაღაცაზე. ულამაზესი ძველებური ტელეფონი იყიდება, რომელიც მხოლოდ ხაზზე მუშაობს.

– **მამუკა ღლონტი სულ რაღაც ინტრიგებში გაბამდათ, ფიარისთვის, ფიქტობრივად, დაგაქორწინათ და საქორწინო მოგზაურობაშიც გაგიშვათ. ახლა რა ხდება ამ მიმართულებით?**

**ნანიკო**: ეს მაშინ, როცა პატარები ვიყავით. ახლა არ გვჭირდება, თავადაც ვახერხებთ რაღაცეების მოფიქრებას ***(იცინიან).***

**ნიკა**: თან, ახლა იცის, რომ ტყუილად ველარ გაგვიშვებს ვერც კუნძულზე და ვერსად. თუ ასეთი იდეა გაუჩნდება, მართლა უნდა გაგვიშვას და აღარ ამბობს. კი ბატონო, გავქრებით, ოღონდ, მართლა უნდა გაგვიშვას.

**ნანიკო**: მაგაზე როგორ ვაწუწუნებთ! ***(იცინიან).*** ახლა სულ ბოლმით ვივსები, ეს რომ წასული იყო. ახლა ჩემი ჯერია, ნიკა, ერთით ერთი რომ გახდეს.

**ნიკა**: არ ჩაგირტყა ამერიკამ ვიზა და მოისვენე...

**ნანიკო**: დღეს ეთერში ადამიანი გვყავდა, ვისაც, ასევე, არ ჩაურტყეს ამერიკის ვიზა და, ძალიან გაბრაზებულებმა, პირდაპირ ეთერში ველაპარაკეთ ამერიკის ელჩს.

**ნიკა**: აი, მართლა რომ წავიდეს ნანიკო, მერე რა უნდა ვქნა, არ ვიცი, მოვკვდები ჯღნავილით.

**ნანიკო**: მოგიწევს ლინკების გადახედვა.

**სალომე გველესიანი**

# ვნებიანი ტუჩები – ყველა ქალის ოცნება

ტუჩების კონტურების შესაცვლელ პლასტიკურ ოპერაციას „ჰეილოპლასტიკა“ ეწოდება. ის მიმდინარეობს რამდენიმე საათის განმავლობაში და კეთდება ადგილობრივი ანესთეზიით. ოპერაციის შემდეგ, ერთი-ორი თვის განმავლობაში, შესაძლოა, პირის გარშემო დარჩეს შეხორცებულები, მაგრამ, სამაგიეროდ, შედეგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში შენარჩუნებულია.



თუ თქვენ არ ხართ მზად რადიკალური ცვლილებებისთვის და ჯერ მხოლოდ ტუჩების ფორმის შეცვლის მოსინჯვას აპირებთ, გამოიყენეთ ტუჩების გამადიდებელი გელი, რომელიც ჰიალურონის მჟავას შეიცავს. ეს მჟავა არის ჩვენი კანის შემცველი ბუნებრივი კომპონენტი, რომელიც პასუხს აგებს კანში წყლის ბალანსის შენარჩუნებაზე. ის შეჰყავთ ტუჩებში ადგილობრივი ანესთეზიის ქვეშ, სპეციალური მიკროსკოპიული ნემსით და მთელი პროცედურა მხოლოდ 30 წუთი გრძელდება. შემდეგ, მასაჟის დახმარებით, ტუჩები იღებს სასურველ ფორმას, მოცულობასა და სიმეტრიას.

ჰიალურონის მჟავა 4-6 თვის შემდეგ გაიწოვება, მაგრამ მის ადგილს იკავებს წყალი (მჟავა აკავებს წყალს). ამიტომ, ტუჩები კიდევ კარგა ხანს რჩება დაბერილი და აღარ საჭიროებს ტუჩის საცხს.

ტუჩების გასადიდებლად, შეგიძლიათ, გამოიყენოთ შემდეგი საშუალებები:

* „ბლესკი“ ზრდის ტუჩების მოცულობას, რადგან მასში შედის ღია ფერის პერლამუტრი, კოლაგენი, სილიკონი, ჰიალურონის მჟავა, ჩილი, პიტნა და სხვა გამაღიზიანებელი ეფექტები.

* ნებისმიერი ფერის დამატენიანებელი პომადა ზრდის ტუჩების მოცულობას. ასეთ ეფექტს იძლევა მასში შემავალი ლინოლინის, ქოქოსის, ავოკადოს ზეთები. ტუჩის საცხის ხარისხზე მეტყველებს ნატურალური და არა სინთეტიკური შემადგენლობა. მდგრადი პომადა კი, პირიქით, ჭიმავს და ვიზუალურად აბრტყელებს ტუჩებს. თუ თქვენ ხმარობთ ასეთ საცხს, მაგრამ, გსურთ, რომ ტუჩების მოცულობა ვიზუალურად გაიზარდოთ, ზემოდან გადაისვით გამჭვირვალე „ბლესკი“.

* მქრქალი ფერის ტუჩები უფრო დიდი მოცულობის გამოჩნდება, თუ სწორად შეარჩევთ კონტურის ფერს. ჯერ წაისვით ჩამქრალი ფერის პომადა, ტუჩების გარშემო ფანქრით გაიკეთეთ ნახევარი ტონით მუქი კონტური, ზემოდან გადაისვით პომადაზე ერთი ტონით ბაცი „ბლესკი“ და ოდნავ შეიმშრალეთ ქაღალდის ხელსახოცით.

# რომელი ზეთი შევარჩიოთ დიეტის დაცვის დროს

***დღეს განვიხილავთ 6 სახეობის ზეთს და მათი ღირსებების გაცნობისას, შეგიძლიათ, დიეტის დაცვისას თავად შეარჩიოთ თქვენთვის უფრო მისაღები ვარიანტი.***

***მზესუმზირის ზეთი*** შეიცავს ორჯერ მეტ E ვიტამინს, ვიდრე ზეითუნის ზეთი. ლინოლინის მჟავის შემცველობით (რომელიც პასუხს აგებს იმუნიტეტის გამყარებასა და სტრესის დამანგრეველი ზეგავლენისგან ორგანიზმის დაცვაზე) ის 10-ჯერ აჭარბებს ზეითუნის ზეთს.



ფიტოსტეროლი, რომლითაც მდიდარია არარაფინირებული მზესუმზირის ზეთი, საკვებით მიღებულ ქოლესტერინს არ აძლევს ნაწლავებში შეწოვის საშუალებას და ამით იცავს ორგანიზმს ათეროსკლეროზისგან.

ზეითუნის ზეთი (პირველი, ცივი გამოწურვის ტექნოლოგიით დამზადებული) აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა მუშაობას.

***ზეითუნის ზეთის*** მონოუჯერი ცხიმები აქვეითებს მავნე ქოლესტერინის დონეს, ხოლო სასარგებლო ქოლესტერინს ხელუხლებლად ტოვებს.

მასში შემავალი პოლიფენოლი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და წინააღმდეგობას უწევს ტრომბის წარმოქმნას.

კალციუმი, რომლითაც მდიდარია ზეითუნის ზეთი, ამაგრებს ძვლებს და ხელს უშლის ოსტეოპოროზის განვითარებას.

არარაფინირებული ზეითუნის ზეთის ყოველდღიური გამოყენება საკვებში 45 პროცენტით ამცირებს სარძევე ჯირკვლებში სიმსივნის წარმოქმნის რისკს; ასევე, 55 პროცენტით აუმჯობესებს ორგანიზმში წყლულოვანი წარმონაქმნების მკურნალობას.

***გუნჯეთის თესლის ზეთის*** მიღება რეკომენდებულია ანემიისა და ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერფუნქციის დროს; ასევე, მიიღება, როგორც სუსტი მომადუნებელი საშუალება. შეიცავს ნივთიერება სეზაემოლს, რომელიც კვებავს და ატენიანებს კანს და ხელს უშლის ნაადრევი ნაოჭების გაჩენას.

***ქაცვის ზეთი*** კარგი საშუალებაა კუჭის წყლულის სამკურნალოდ (დღეში 2-3-ჯერ თითო ჩაის კოვზი ზეთის მიღება ჭამის წინ, 15 წუთით ადრე). გარდა ამისა, ქაცვის ზეთი ასწორებს მიმიკურ ნაოჭებს, აღადგენს კანის მჟავატუტოვან და ლიპიდურ ბალანსს.

***გოგრის თესლის ზეთი*** შესანიშნავად მოქმედებს თირკმელებზე. ის შეიცავს ისეთ იშვიათ ვიტამინებს, როგორებიცაა, მაგალითად, ვიტამინი K. მას არ შეიცავს არც ერთი სხვა ზეთი, რომელიც აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევისა და ვიტამინი T, რომელიც ხელს უშლის ორგანიზმში ცხიმების დაგროვებას.

***ნიგვზის ზეთი*** მდიდარია შეუცვლელი ნაჯერი მჟავებით (77 პროცენტამდე). დიეტოლოგები მას ყველაზე სასარგებლო გასახდომ პროდუქტად მიიჩნევენ. ის ხელს უშლის ზედმეტი წონის დაგროვებას და გახდომის შემთხვევაში სიმკვრივეს უნარჩუნებს კანს.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: როგორ უნდა მოვუარო ხელებს, როცა კანი გამომშრალია და ხელის კრემი არ შველის?**

**პასუხი:** ასეთ შემთხვევაში, 1-2 კვირაში ერთხელ სალონში უნდა ჩაიტაროთ პარაფინოთერაპიის პროცედურები. ეს გააუმჯობესებს სისხლის მიკროცირკულაციას და ხელს შეუწყობს კანს მკვებავი ნივთიერებების ღრმად შეწოვაში. ამის წყალობით კი მოხდება წყლის ბალანსის სწრაფი აღდგენა და ნახეთქების შეხორცება.

სახლის პირობებში პარაფინოთერაპიის ჩასატარებლად შეგიძლიათ, გამოიყენოთ სურნელოვანი ზეთების შემცველი სანთლები; პატარა ფიალაში ნელ-ნელა გაცხელებით ეს სანთლები იქცევა მკვებავ ბალზამად, რომელიც ხელებზე კრემივით უნდა წაისვათ.

**კითხვა: უკვე რამდენიმე თვეა, არ მიჭამია ცომეული და ტკბილეული, ყოველ დილით დავდივარ სავარჯიშოდ, მაგრამ, შედეგი ძალიან უმნიშვნელო მაქვს – ძალიან ცოტას ვიკლებ წონაში; თანაც, საკმარისია, ერთი-ორჯერ კარგად ვისადილო (თუნდაც პურის გარეშე), რომ დაკარგული ორიოდე კილოგრამი მაშინვე „მიბრუნდება“. რა უნდა იყოს ამის მიზეზი, რას არ ვაკეთებ სწორად?**

**პასუხი:** საერთოდ, ნებისმიერი დიეტის დაწყების წინ აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს და გამორიცხოთ ჰორმონული დისბალანსი. ამასთან, კონტროლის ქვეშ უნდა გქონდეთ ლეპტინის, ქოლესტერინისა და სისხლში შაქრის შემცველობის დონე. თუ ეს მონაცემები ნორმაშია, შეგიძლიათ, თამამად დაიწყოთ დიეტა და დაკავდეთ სპორტით, მაგრამ, შედეგის სწრაფად მიღების მიზნით, ნუ გაგიტაცებთ გადაჭარბებული ფიზიკური დატვირთვა და ექსტრემალური დიეტები. გახსოვდეთ, რომ ნებისმიერი ზედმეტი დატვირთვისას ორგანიზმი განიცდის სტრესს და სასწრაფოდ გადადის მკაცრი ეკონომიის რეჟიმზე – საიმედოდ და ხელშეუხებლად ინახავს ცხიმების მარაგს „შავი დღისთვის“. ასეთ შემთხვევაში, ეს „გადანახული“ ცხიმები არ იწვება უმკაცრესი შიმშილისა და ვარჯიშის დროსაც კი. ასევე, გაითვალისწინეთ ისიც, რომ დიეტის დროს ორგანიზმს არ უნდა მოაკლოთ მისთვის აუცილებელი ნივთიერებები. ამიტომ, იდეალური ვარიანტია წონაში თანდათანობით კლება. მართალია, სასწრაფოდ გვინდა შედეგის დანახვა, მაგრამ, თუ თვეში 1 კილოგრამის დაკარგვას დასჯერდებით და გეყოფათ ნებისყოფა, მთელი წელი იყოთ დიეტაზე, ერთი წლის შემდეგ დაკარგულ 12 კილოგრამს არასდროს აღარ აღიდგენთ.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# როგორ მოიპარა ქართველმა ქურდმა, მეტსახელად „ხვლიკმა“, ცნობილი შედევრი – „მეთევზე“

*– აი, ამხანაგებო, ესეც ვან დეიკის „მეთევზე“... – თქვა ტრეტიაკოვის გალერეის გიდმა ქალმა, რომელმაც პირველ დამთვალიერებელთა ჯგუფი შეიყვანა მუზეუმში. შემდეგ შედევრს შეხედა და გაშრა... საქვეყნოდ ცნობილი მხატვრის ნამუშევრის ადგილზე ცარიელი ჩარჩო ეკიდა. თავად „მეთევზე“ კი უკვალოდ გამქრალიყო.*

*ეს ისტორია 1968 წლის 2 მაისს დაიწყო. მოსკოვის ცნობილი მუზეუმის გიდს, ანასტასია ლისოვსკაიას, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა „მეთევზის“ გაუჩინარება, ნერვული შოკი დაემართა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანეს. ვან დეიკის „მეთევზე“ ტრეტიაკოვის გალერეაში ამ ცნობილი მხატვრის ერთადერთი ქმნილება იყო და მისი ღირებულება 35 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენდა.*

*ქურდობის აღმოჩენისთანავე ტრეტიაკოვის გალერეა დახურეს, „მურის“ შესაბამისი სამსახური გამოიძახეს და კრიმინალისტები მუშაობას შეუდგნენ. „მეთევზის“ საქმე გამოსაძიებლად გიორგი ცერცვაძეს გადასცეს და „მურის“ ლეგენდარული მაძებრები დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს.*

## ერთ-ერთი თორმეტთაგანი

კაპიტანმა ცერცვაძემ და „მურის“ კრიმინალისტებმა გულდასმით დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, მაგრამ ხელჩასაჭიდი ვერაფერი იპოვეს.

– სუფთა ნამუშევარია. ასე ოსტატურად მომუშავე ქურდი სულ რამდენიმე მეგულება, – თქვა ცერცვაძემ.

– ვის გულისხმობ, ავთანდილოვიჩ? – დაინტერესდა თაზო ქვარცხავა, რომელიც ცხაკაიის (სენაკი) მილიციიდან 3 თვის გადაყვანილი იყო მოსკოვში.

– ვის და, რა თქმა უნდა, ბონდო კაჭარავას. მაგრამ, ის სამწუხაროდ, გაქცევის დროს დაიღუპა ტაიგაში.

– საწყალი „ხვლიკი“... რა დაემართა?

ბონდო კაჭარავა, მეტსახელად „ხვლიკი“, ცნობილი ცხაკაიელი ქურდი იყო და ნებისმიერი ნივთის მოპარვა შეეძლო. საქართველოდან დიდი ხნის წასული გახლდათ და

> **ტრეტიაკოვის გალერეის გიდმა რომ სურათის ცარიელი ჩარჩო დაინახა, ჭკუიდან შეიშალა**

რუსეთში „მოღვაწეობდა“. მის მრავალრიცხოვან ქურდობას შორის იყო ერმიტაჟის დახურული ფონდიდან წაღებული ოქროს ნაკეთობებიც. სწორედ ამ დანაშაულისთვის იხდიდა ხვლიკი ათწლიან სასჯელს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, ციმბირში, საიდანაც 6 თვეში გაიქცა.

– სანამ მოსკოვში გადმოგიყვანდნენ სამუშაოდ, ეგ ამბავი 2 კვირით ადრე მოხდა. ოდინცოვოში ცნობილი იუველირის, ზალცმანის აგარაკი გაქურდეს და ის საქმე მე გამოვიძიე. მაშინ გავიგე ეგ ამბავიც. მაშინაც ხვლიკზე მქონდა ეჭვი, თუმცა ქურდი სტეპან ორეხოვი აღმოჩნდა. „არაქისი“ (ორეხოვი) ახლა ციმბირში იხდის სასჯელს და ტრეტიაკოვის საქმეში მისი მონაწილეობა გამორიცხულია. რჩებიან ორნი – პავლე ნიკოლაევი, იგივე „ატმიჩკა“ და სტიოპა ვორსი, იგივე „ჟიდი“.

„ატმიჩკას“ და „ჟიდის“ გადამოწმებამ შედეგი ვერ მოიტანა და ორივეს რკინის ალიბი აღმოაჩნდა.

– ჰმ, – თქვა კოპებშეკრულმა ცერცვაძემ, – ამ საქმის გახსნის არც თუ ისე დიდი შანსები გვაქვს. ვიღაც ახალი ტალანტი გამოჩნდა, რომელსაც ჯერ ჩვენს ხელში არ გაუვლია. ხვლიკი მკვდარი რომ არ იყოს, თავს დავდებდი, რომ „მეთევზე“ მისი მოპარულია. სწორედ ასეთი მოხერხებულობის გამო შეარქვეს მას ხვლიკი... როგორც ეტყობა, კაჭარავას ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდა.

– გიორგი ავთანდილოვიჩ, – უთხრა ცერცვაძეს „მურის“ უფროსმა, – ვან დეიკის ეს სურათი მხატვრის საზღვაო სერიის თორმეტი ნამუშევრიდან ერთ-ერთია და ყველაზე ძვირად ფასობს. თერთმეტი ნახატი ამერიკელ მილიონერს, ოსკარ ჯეისონს აქვს თავის კოლექციაში. ის ფირმა „ფრუტ კომპანის“ მფლობელია და ჩვენს ქვეყანასთან პარტნიორული ურთიერთობები აქვს. არ არის გამორიცხული, რომ „მეთევზეც“ მის კლანჭებში მოხვდეს და აუცილებლად უნდა მივაგნოთ იმ ერთ-ერთს თორმეტიდან.

## ეჭვმიტანილი „ხვლიკი“

ცერცვაძემ და ქვარცხავამ ყველა სამუშაო ვერსია მრავალგზის გადაამოწმეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ასეთ ოსტატურ ქურდობას დიდი გამოცდილებაც სჭირდებოდა. ახალბედა კი ასეთ რამეს ვერ შეძლებდა.

– თაზო, მიდი და ციმბირიდან ხვლიკის საქმე გამოითხოვე. მაინტერესებს, რა ვითარებაში გაიქცა კოლონიიდან, – უთხრა ცერცვაძემ ქვარცხავას.

კოლიმიდან გამოგზავნილ საქმეში ეწერა, რომ ხვლიკი ვინმე სემიონ კაცმანთან ერთად გაიქცა. კაცმანი პროფესიით ხელოვნებათმცოდნე იყო და სავალუტო სპეკულაციებისთვის იხდიდა სასჯელს. პატიმრები გვიან ღამით გასულან ბანაკიდან და მდევრებს მხოლოდ დილის 10 საათისთვის აღმოუჩენიათ 30-ე კილომეტრზე ორივეს ტანსაცმელი და ძვლების ნაწილები. ამის გამო ადმინისტრაციას მიაჩნდა, რომ პატიმრები ცოცხლები აღარ იყვნენ. თანაც ირგვლივ 450 კილომეტრის რადიუსში დათოვლილი, გაუვალი ტაიგა იყო, რომელშიც მშიერი მგლები დარბოდნენ.

– არ მინდა, სასაცილოდ გამოვიყურებოდე, მაგრამ 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ხვლიკი ცოცხალია, – თქვა ცერცვაძემ და ქვარცხავას კაცმანის საქმის გაცნობა დაავალა, – ორ დღეში უნდა შეისწავლო კაცმანის საქმე, მისი კავშირები და დასკვნები მომახსენო. ვფიქრობ, რომ ეს გაქცევა, ამერიკელი მილიონერი და „მეთევზის“ გატაცება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

ქვარცხავამ გულდასმით შეასრულა ცერცვაძის მითითება და სემიონ კაცმანის საქმე საფუძვლიანად შეისწავლა. მასში კი



„ფრუტ კომპანის“ თანამშრომლის, ვინმე ედგარ ფუშერის გვარი ამოტივტივდა. ოფიციალურად ის ფირმის რიგითი თანამშრომელი იყო. ამასთან, თავისი მილიონერი შეფისთვის ხელოვნების ნიმუშების შეძენით იყო დაკავებული. კაცმანის საქმეში ის მხოლოდ მოწმის სახით გადიოდა. ამიტომ, დაკითხეს და გაათავისუფლეს.

– ეგ ფუშერი არ მომწონს, მასზე ფარული თვალთვალი უნდა დავაწესოთ. ოღონდ ისე, რომ არ გავიშიფროთ. ხომ იცი, ასეთ საქმეებზე „კაგებეც“ მუშაობს და ჩვენი უფროსი ძმები არ გავანაწყენოთ, – თქვა ცერცვაძემ.

„ფრუტ კომპანის“ წარმომადგენლობა მოსკოვში იყო. თაზომ და მისმა ბიჭებმა ედგარ ფუშერის ფოტო მოიპოვეს და მას ფარულად უთვალთვალებდნენ.

– მიდით, ბიჭებო, მიდით! მსხვილი თევზი უეჭველად თქვენს ბადეში მოხვდება და სულ მალე გამარჯვებას ვიზეიმებთ, – აგულიანებდა ცერცვაძე ხელქვეითებს.

## „მეთევზე“ 35 მილიონ გირვანქად იყო შეფასებული და მსოფლიოში ერთ-ერთ ძვირად ღირებულ ტილოდ ითვლებოდა

სულ რაღაც 4 დღეში, შედეგმაც არ დააყოვნა და მურელები კვალზე გავიდნენ.

### მევიოლინე

ედგარ ფუშერი მთელი დღეების განმავლობაში მოსკოვის სხვადასხვა მუზეუმსა და ანტიკვარულ მაღაზიებში დაეხეტებოდა. ის რამდენჯერმე ვიღაც ჭაღარა მოხუცს შეხვდა, რომელიც მარცხენა ფეხით კოჭლობდა და ჯოხით დადიოდა. მურელები მოხუცით დაინტერესდნენ და დაადგინეს, რომ ის როზა ლუქსემბურგის ქუჩაზე ცხოვრობდა და სიმფონიური ორკესტრის მევიოლინე, პავლე ტრახტმანი იყო. ის ჩვეულებრივ ვიოლინოთი დადიოდა, რომელიც შავ ფუტლარში ედო.

– მოხუცს ხელი არ ახლოთ და მხოლოდ უთვალთვალეთ, – უთხრა ცერცვაძემ ქვარცხავას, – თან, ამ კაცის ნათესაური კავშირები შეისწავლე. ეჭვი მაქვს, კაცმანთან უნდა იყოს დაკავშირებული და გამორიცხული არაა, მისი მეშვეობით ხვლიკზე გავიდეთ.

როგორც ყოველთვის, თაზო ქვარცხავამ ძალზე საგულისხმო დეტალს მიაგნო. პავლე ტრახტმანი სემიონ კაცმანის დეიდაშვილი აღმოჩნდა, მაგრამ ყველაზე დიდი საოცრება ის გახლდათ, რომ ტრახტმანი ლოგინად იყო ჩავარდნილი...

– აბა, ის მოხუცი ვინღაა? – გაოცდა ცერცვაძე.

ქვარცხავა ბრძანების შესასრულებლად მოემზადა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მეთვალყურეებმა აცნობეს, რომ ედგარ ფუშერი და მოხუცი გორკის პარკში შეხვდნენ ერთმანეთს და შემდეგ უკვალოდ გაქრნენ. თაზომ და მისმა ბიჭებმა ახლომდებარე ტერიტორია გადაჩხრიკეს და ერთ-ერთ დასანგრევად გამზადებულ სახლში გაკოჭილი და პირში ჩვარჩაჩრილი ფუშერი აღმოაჩინეს. „ფრუტ კომპანის“ თანამშრომელს უზომოდ გაუხარდა მილიციის გამოჩენა და სხაპასხუპით ალაპარაკდა:

– ბატონებო, იჩქარეთ, იმან ჩემი ბილეთები გაიტაცა და ბათუმში წავიდა. დააპატიმრეთ, თორემ თურქეთში გადავა.

როგორც გაირკვა, ის სანდომიანი მოხუცი, რომელიც ვიოლინოთი დადიოდა, სინამდვილეში ბონდო კაჭარავა, ანუ ხვლიკი იყო. ფუშერმა ხვლიკს 350 ათასი გირვანქა სტერლინგი გადასცა, სანაცვლოდ კი „მეთევზე“ უნდა მიეღო, რომელსაც ფუტლარით დაატარებდა. ხვლიკმა ფუშერს ფული გამოართვა, შემდეგ გაკოჭა, თან პასპორტი და თბომავალ „სტამბულის“ ბილეთი წაართვა, რომელიც ბათუმიდან გადიოდა.

ედგარ ფუშერი პეტროვკაზე წაიყვანეს. ცერცვაძე, ქვარცხავა და მურის ოპერატიული ჯგუფი კი ბათუმში გადაფრინდნენ და „სტამბულის“ მგზავრებს დაუწყეს თვალთვალი, რომლებიც ნელნელა გროვდებოდნენ გემზე.

– აი, ხვლიკიც, – თქვა ცერცვაძემ და ტრაპზე ამავალი კაჭარავასკენ გაიშვირა ხელი, რომელმაც მშვიდობიანად გაიარა საბაჟო და გემზე ავიდა, – წავედით, მაგრამ ფრთხილად! ხვლიკი მკვლელი არ არის, თუმცა სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ მის დაკავებას.

ბონდო კაჭარავას კაიუტაში სწორედ იმ დროს შევიდნენ ცერცვაძე და ქვარცხავა, როდესაც ხვლიკი 350 ათას გირვანქას და მოპარულ „მეთევზეს“ მალავდა პანელში.

– ალყაში ხარ, ბონდო, არ გაინძრე! – უთხრა ცერცვაძემ ხვლიკს, ქვარცხავამ კი თანამოქალაქეს ხელბორკილები დაადო.

ხვლიკმა თავისი თანამემამულე მურელებს უამბო, თუ როგორ გაუსკდა გული ტაიგაში სემიონ კაცმანს. შემდეგ კი ხვლიკმა თავისი ტანსაცმელიც იქ დატოვა და ოცდაათგრადუსიან ყინვაში 24 საათის განმავლობაში ირბინა...

ბონდო კაჭარავას კიდევ 10 წელიწადი დაუმატეს. მოხერხებული ქართველი ქურდი ოთხმოციანი წლების დასაწყისში გაათავისუფლეს ციხიდან და ის საცხოვრებლად რუსეთში დარჩა...

***P. S. ხვლიკი 1996 წელს გარდაიცვალა. მისი ქალიშვილი კი დღესდღეობით საქართველოში ცხოვრობს და ერთი ცნობილი ადამიანის მეუღლეა.***

**ნიკა ლაშაური**

# რა მოხდა ამ დღეს

### 11 მარტი

1851 – ვენეციაში შედგა ჯუზეპე ვერდის ოპერის „რიგოლეტოს“ პრემიერა.

1931 – საბჭოთა კავშირში აიკრძალა ბიბლიის შეტანა და გაყიდვა.

1970 – შედგა პრემიერა ფრანსის ფორდ კოპოლას ლეგენდარული ფილმისა „ნათლიმამა“.

### 12 მარტი

1282 – მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს მეფე დემეტრე მეორე თავდადებული.

1938 – გერმანიამ შეიერთა ავსტრია („ანშლუსი“).

1960 – დიდ ბრიტანეთში პირველად გამოქვეყნდა ნაციონალური „ჰიტ-პარადი“.

1996 – კუალა ლუმპუსში გაიხსნა მსოფლიოში ყველაზე უფრო მაღალი შენობა – ცათამბჯენი Petronos Towers, რომლის სიმაღლეა 452 მეტრი.

### 13 მარტი

1781 – ინგლისელმა ასტრონომმა უილიამ ჰერშელმა აღმოაჩინა მზის სისტემის მეშვიდე პლანეტა – ურანი.

1881 – ანარქისტმა გრინევიცკიმ მოკლა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე.

1961 – 79 წლის პაბლო პიკასომ ცოლად მოიყვანა 37 წლის მოდელი ჟაკლინ როკი.

### 14 მარტი

1875 – გერმანიაში შეიქმნა იმპერიის ბანკი (რაიხსბანკი).

1879 – დაიბადა მეოცე საუკუნის უდიდესი ფიზიკოსი ალბერტ აინშტაინი.

1983 – შეიქმნა ამერიკული როკ-ჯგუფი „ბონ-ჯოვი“.

### 15 მარტი

1907 – მსოფლიოში პირველად ფინეთის სეიმში აირჩიეს პარლამენტარი ქალები.

1932 – დიდ ბრიტანეთში გაიხსნა ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“.

1933 – ადოლფ ჰიტლერმა გამოაცხადა, რომ გერმანია არის მესამე რაიხი.

1938 – საუდის არაბეთში აღმოჩნდა პირველი ნავთობი.

### 16 მარტი

37 – კუნძულ კაპრიზე საკუთარმა მცველებმა ბალიშებით დაახრჩეს იმპერატორი ტიბერიუსი.

1521 – ფერნანდო მაგელანმა აღმოაჩინა ფილიპინები.

1952 – კუნძულ რეუნიონზე მოვიდა სარეკორდო რაოდენობის ნალექი, 1870 მილიმეტრი.

### 17 მარტი

1845 – ინგლისელმა სტივენ პერიმ დააპატენტა ელასტიკური ბინტი.

1861 – რუსეთის იმპერიაში გადავარდა ბატონყმობა.

1899 – პირველად აჟღერდა კლასიკად ქცეული „ო, სოლე მიო“.

# როგორ გახდა 4 000 დოლარი სასტიკი დანაშაულის ჩადენის მიზეზი და რატომ დააყაჩაღეს მოსწავლეებმა ყოფილი მასწავლებელი



57 წლის ნანა ბ-შვილი ყაჩაღების თავდასხმის მძიმე შედეგისგან შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა იხსნეს, რომ არა მათი ოპერატიულობა, შესაძლოა, გულით დაავადებული ქალის სიცოცხლე სავალალოდ დასრულებულიყო. მას გულის იშემიური შეტევა მას შემდეგ დაემართა, რაც ორი ყაჩაღი საკუთარ სახლში დაესხა თავს, რომლებმაც ქალი ფულის გატაცების მიზნით აწამეს. თავდამსხმელთაგან ერთ-ერთი სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილზევე დააკავეს, ის ნანა ბ-შვილის ყოფილი მოსწავლე აღმოჩნდა; მეორე თავდამსხმელმა შემთხვევის ადგილიდან გაქცევა მოასწრო, თუმცა, მუშაკებმა მისი დაკავება ინციდენტიდან რამდენიმე საათში შეძლეს.

პედაგოგი ნანა ბ-შვილი მარტო ცხოვრობდა. მისი ერთადერთი ვაჟი წლების წინ წავიდა გერმანიაში სამუშაოდ და იქიდან უზრუნველყოფდა დედას მატერიალურად. ნანა ბ-შვილს ვაჟის წყალობით ფინანსურად არ უჭირდა. შვილი მარტო დარჩენილ დედას არაფერს აკლებდა, პერიოდულად ავტომანქანებსაც უგზავნიდა, რომლის რეალიზაციასაც მისი მეგობარი კახა ა-იანი ახდენდა. ნანა ბ-შვილი კახა ა-იანს თავადაც ხშირად უმართავდა ხელს, რადგან, მისი შვილის მეგობარი, რომელიც ობლად იყო გაზრდილი, შვილივით უყვარდა. ამიტომ, ნანა ბ-შვილი ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ კახა ა-იანი მას ასე სასტიკად გაწირავდა – როგორც მოგვიანებით გაირკვა, თავდასხმა ქალბატონზე სწორედ მისმა ყოფილმა მოსწავლემ და შვილის მეგობარმა დაგეგმა.

ინციდენტი ნანა ბ-შვილის სახლში გვიან ღამით მოხდა. მარტოხელა ქალბატონი დაბინდების შემდეგ კარს არავის უღებდა, მაგრამ, იმ ღამეს თავდამსხმელებმა მის სახლში შეღწევა მაინც შეძლეს. მათ მოტყუებით გააღებინეს კარი ნანა ბ-შვილს და მის სახლში შეცვივდნენ. ერთ-ერთი თავდამსხმელი ნიღბით იყო, მეორე კი – ნიღბის გარეშე. ისინი ქალისგან ფულსა და ძვირფასეულობას ითხოვდნენ. ნანა ბ-შვილმა მათ განუცხადა, რომ სახლში ფული არ ჰქონდა, რაც თავდამსხმელებმა არ დაიჯერეს, ის სკოჩით მიაბეს სკამზე და წამება დაუწყეს. მოგვიანებით დაზარალებულმა ქალბატონმა სამართალდამცველებთან განაცხადა: „სახლში ჯერ უნიღბო ახალგაზრდა შემოიჭრა, შემდეგ – ნიღბიანი, რომელიც ხმას საერთოდ არ იღებდა. ორივე ძალიან აგრესიულად იქცეოდა. თავდამსხმელმა, რომელიც უნიღბოდ იყო, მაშინვე მითხრა: ახლახან რომ მანქანა გაყიდე, ის ფული უნდა მომცეო. მანქანა მართლაც ახალი გაყიდული მქონდა, 4 000 დოლარი სახლში მედო, მაგრამ, თავდამსხმელებს ვუთხარი: არ მაქვს ფული, დღეს ჩემს შვილს გადავუგზავნე გერმანიაში-მეთქი. ჩემს ნათქვამზე ერთ-ერთმა გაიცინა და მითხრა: ვის ატყუებ, მაგ ორ კაპიკს სიცოცხლეს ნუ გადააყოლებო. მივხვდი, რომ მათ ზუსტი ინფორმაცია ჰქონდათ, მაგრამ, მაინც შევეწინააღმდეგე. უცებ ბიჭებმა იქვე უთო შენიშნეს და უფრო აქტიურმა მითხრა: ახლა ამ უთოს გავაცხელებ და დაგაუთოებო. ყველაზე მეტად იმის მეშინოდა, რომ იმ ღამეს ჩემთან სტუმრად იყო ჩემი დისშვილი, 14 წლის გოგონა, რომელიც რაიონიდან ჩამოვიდა. ნინოს კაბინეტში ეძინა. მივხვდი, რომ თავდამსხმელებს ჩემ შესახებ ზუსტი ინფორმაცია ჰქონდათ – მათ იცოდნენ, რომ მარტო ვცხოვრობ და სახლში ვინმეს ძებნა არც უფიქრიათ. მათ არც ფულის ძებნით შეუწუხებიათ თავი, პირდაპირ მითხრეს, მშვიდად გამოგვიტანე ის ფული და წავალთო. წინააღმდეგობის გაწევა რომ ვცადე, ერთ-ერთმა მათგანმა უთო გააცხელა და ჯერ სახესთან ახლოს მომიტანა, მერე კი თმაზე დამადო ცხელი უთო და მითხრა: ეს დასაწყისია, ფულს თუ არ მოგვცემ, ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალეო. ამ დროს ნიღბიან თავდამსხმელს მობილურზე დაურეკეს. ნიღბიანმა უთხრა: ფულს არ გვაძლევს, ამბობს, გერმანიაში გავგზავნეო. მივხვდი, ტელეფონიდან ინსტრუქცია მიიღო – ფული სახლში აქვს, არ დაუჯეროთო, რადგან, ყაჩაღმა უპასუხა: არც გვჯერა. თუ არ მოგვცემს, თავის თავს დააბრალოსო. ნიღბიანი ხმას არ იღებდა, ხმა რომ ამოიღო, მივხვდი, რომ მას კარგად ვიცნობდი და ჩემს სახლშიც ნამყოფი იყო, მაგრამ, ისე ვიყავი აღელვებული და შეშინებული, ვერაფრით გავიხსენე, ვინ იყო. იმასაც მივხვდი, რომ მძარცველები თავს არ დამანებებდნენ, ფული საძინებელში მქონდა შენახული, რომელიც კაბინეტის გვერდით არის. იქით გასვლას ვერ შევძლებდი, გული ისე ცუდად მქონდა, ფეხებს ველარ ვამოძრავებდი; თან, ვიცოდი, რომ იქვე ნინოს ეძინა და არ მინდოდა, რომ მისი არსებობა შეემჩნიათ – დარწმუნებული ვიყავი, მასაც არ დაინდობდნენ. მაგრამ, სხვა გზა არ მქონდა, გადავწყვიტე, ფული მიმეცა და ბიჭებს ვუთხარი: ამხსენით და ფულს მე თვითონ გამოვიტან-მეთქი. ნიღბიანმა ხელები და ფეხები შემიხსნა, მეორე თავდამსხმელი კი თავზე დამადგა. მე ძლივს გადავდგი ნაბიჯი საძინებლისკენ და უცებ ძირს დავეცი. ნიღბიანი მომვარდა და ფეხი დამარტყა მუცელში – ადექი, ფული გამოიტანე, ნუ აფერისტობო. გული ძალიან ცუდად მქონდა,

> **ყაჩაღმა უთო გააცხელა და სახესთან მომიტანა: ფულს თუ არ გამოაჩენ, კარგი დაუთოება ჩემზე იყოსო**

თვალთ მიბნელდებოდა, მაგრამ, ძალა მოვიკრიბე და ხოხვით წავედი საძინებლისკენ, სადაც 4 000 დოლარი მქონდა შენახული. საკუთარი ხელით ავიღე ფული და გადავეცი მძარცველებს. ამ დროს ერთ-ერთმა ტელეფონის ხაზის მოძებნა და გადაჭრა დაიწყო, მეორემ კი ისევ სკამზე მიმაბა და სკოჩით პირი ამიკრა. გული ისე ცუდად მქონდა ვერაფერს ველარ ვგრძნობდი. უცებ ჩემს სახლში კარი შემოამტვრიეს და ხმაური ატყდა. ერთი კი მოვკარი თვალი პოლიციელებს და გონებაც დავკარგე. მერე გავიგე, რომ ერთი თავდამსხმელი მაშინვე დაიჭირეს, მეორე კი აივნიდან გადახტა და გაიქცა."

სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილზე 24 წლის ილია ვ-ძე დააკავეს – სწორედ ის იყო ნიღბიანი თავდამსხმელი, რომელიც ყოფილი პედაგოგისგან სახის დამალვას ნიღბით ცდილობდა; მეორე თავდამსხმელი, 28 წლის კოტე ი-შვილი, სამართალდამცველებმა რამდენიმე საათში დააკავეს. როგორც გამოძიებით დადგინდა, ყაჩაღური თავდასხმის ორგანიზატორი ნანა ბ-შვილის ვაჟის მეგობარი – კახა ა-იანი აღმოჩნდა, რომელმაც ზუსტად იცოდა, რომ ქალს სახლში მანქანის გაყიდვის შედეგად აღებული ფული ჰქონდა. სწორედ მან მისცა ინფორმაცია მეგობრებს და დაავალა მათ მარტოხელა ქალის დაყაჩაღება, ხოლო თვითონ, იმის გამო, რომ დაზარალებული მას კარგად იცნობდა, შემთხვევის ადგილის სიახლოვეს, მეთვალყურედ დარჩა. მაგრამ, როგორც კი მან ბინასთან სამართალდამცველები შენიშნა, მეგობრები ადგილზე მიატოვა და თავს გაქცევით უშველა, თუმცა დროებით – მეგობრებმა ის დანაშაულის ორგანიზებაში ამხილეს, რის შემდეგაც დაკავებული კახა ა-იანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

## როგორ მოხვდნენ სამართალდამცველები შემთხვევის ადგილზე

დანაშაულის დროული აღკვეთა უნებლიე თვითმხილველის, ნანა ბ-შვილის დისშვილის, 14 წლის გოგონას წყალობით გახდა, რომლის ბინაში ყოფნა თავდამსხმელებისთვის ბოლომდე უცნობი დარჩა.

ამონაწერი ნინო კ-შვილის ჩვენებიდან: „იმ ღამეს დეიდასთან სტუმრად შემთხვევით დავრჩი. ტრენინგზე ვიყავი ჩამოსული რაიონიდან ერთი დღით, წასვლა დამაგვიანდა და მშობლებმა მითხრეს, რომ ღამე ნანა დეიდასთან გამეთია. ახალი ჩაძინებული ვიყავი, როცა ლოჯიიდან ხმაური შემომესმა. ვიცოდი, რომ დეიდასთან ღამით არავინ მოდიოდა და შემეშინდა. საწოლიდან ავდექი, კაბინეტის კარი ოდნავ შევხსენი და დავინახე ორი უცნობი ბიჭი, რომლებიც დეიდას სკამზე აბამდნენ. მივხვდი, რაც ხდებოდა, შემეშინდა, მაგრამ, არ დავიბენი. ოთახიდან რომ გავსულიყავი დეიდას მე ვერაფრით დავეხმარებოდი, პირიქით, უფრო მეტი საფრთხე შეიძლებოდა შემექმნა ორივესთვის. გარდერობში დავიმალე და მობილური ტელეფონით მალულად დავრეკე პოლიციაში. სამალავიდან მხოლოდ მაშინ გამოვედი, როცა სახლში პოლიციელები დავინახე, რომლებმაც დეიდაჩემიც გადაარჩინეს და დამნაშავეებიც დააკავეს. თავდამსხმელებს ძალიან გაუჭირდათ იმის დაჯერება, რომ მათ მიერ დანაშაულის ჩადენის დროს მეც ბინაში ვიყავი, მათ დეიდა მარტო ეგონათ სახლში და ერთმანეთს აბრალებდნენ, ოთახების გაჩხრეკა რომ დაავიწყდათ."

ყაჩაღური თავდასხმის ორგანიზებისთვის დაკავებული კახა ა-იანი თავიდან უარყოფდა ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ, ბოლოს აღიარა, რომ თავდასხმა თავად დაგეგმა.

ამონაწერი კახა ა-იანის ჩვენებიდან: „ნანა ბ-შვილის შვილს ბავშვობიდან ვიცნობ, ჩვენ თანაკლასელები ვიყავით და ვმეგობრობდით. როცა მამუკა გერმანიაში წავიდა სამუშაოდ, დამირეკა და მთხოვა: მანქანებს გამოვგზავნი, შენ რეალიზებაში დამეხმარე, მოგება შუაზე გავიყოთო. თითქმის ორი წელი ვმუშაობდით ასე, მერე რაღაც გაურკვევლობა მოხდა ჩვენ შორის, მამუკამ საქმეს ჩამომაშორა და თავის ბიძაშვილს გადააბრა. ამაზე ძალიან გავბრაზდი, თან, ეკონომიურადაც გამიჭირდა, ამიტომ, ნანა მასწავლებელთან მივედი და ვთხოვე, მამუკასთან მიშუამდგომლეთ-მეთქი, მაგრამ, მამუკამ, ახლოსაც აღარ გამიკარა. ამ ინციდენტიდან 5-6 თვე იყო გასული, როცა ნანა ბ-შვილის დაყაჩაღება გადავწყვიტე. გავიგე, რომ ახალი ავტომობილი ჩამოუვიდათ გასაყიდად და დაველოდე, სანამ რეალიზაციას გაუკეთებდნენ. ვიცოდი, რომ ფული სახლში ექნებოდა. მე თვითონ ვერ შევიდოდი ნანა ბ-შვილის სახლში – ნანა მასწავლებელი ხმით აუცილებლად მიცნობდა. ამიტომ, ამის გაკეთება ჩემს მეგობრებს ვთხოვე, რომელთაგან ერთ-ერთი თავადაც ნანა მასწავლებლის ყოფილი მოსწავლე იყო". სასამართლომ კახა ა-იანს ჩადენილი დანაშაულისთვის თავისუფლების 10 წლით, კოტე ი-შვილსა და ილია ვ-ძეს კი 9-9 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: შევიძინე ჩემი მეგობრის მსგავსი მოდელი „მერსედესი" „ეს 230", რომელიც ძალიან მომწონდა – ულამაზესი, კომფორტული და რბილი მანქანაა. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ჩემი ავტომობილი სულ სხვანაირია – უხეში, არაკომფორტული. მოკლედ, ერთმანეთს ვერ გავუგეთ. რა არის ამის მიზეზი, სხვადასხვა ქვეყნისთვის შექმნილი მოდელები განსხვავებულია?**

**პასუხი:** ძალიან ხშირად მეკითხებიან, რატომ დადის ერთი და იმავე მოდელის ორი სხვადასხვა ავტომობილი აბსოლუტურად განსხვავებულად როგორც სირბილის, ისე სიმძლავრისა და მანევრის მხრივ. არადა, ეს კონკრეტული ავტომობილი იმის გამო შეიძინეს, რომ მის მეგობარს ჰყავდა და მოსწონდა. ავტომობილები, თუნდაც ერთი და იგივე მოდელი, სხვადასხვა კომპლექტაციით არის აღჭურვილი მომხმარებლის მოთხოვნისა და იმ პირობების გათვალისწინებით, სადაც ავტომობილმა

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

უნდა იაროს. ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელიც ახალი ავტომობილის შეძენისას კომფორტის, სალონის დიზაინისა და სხვა მსგავსი დეტალების გარდა, სავალი ნაწილის საკუთარ თავზე, ანუ, მძღოლზე მორგებას მოითხოვს. მით უმეტეს – მეორად ავტომობილებში. გარდა იმისა, რომ ის თავდაპირველად იმ ქვეყანაზე და პირობებზე იყო მორგებული, სადაც გაიყიდა, გაყიდვის შემდეგ, შესაძლოა, მოხდა გარკვეული ჩარევები, როგორიცაა, მაგალითად, უმარტივესი დეტალების შეცვლა, ავტომობილის ტიუნინგი და სხვა. ავტომობილის სიუხეშეს, სირბილესა და მანევრს მისი სავალი ნაწილის კომპლექტაცია იწვევს, ხოლო სიმძლავრეს – მისი ძრავისა და ელექტრონული სისტემის კომპლექტაცია. როდესაც ავტომობილის ყიდვას გადაწყვეტთ, კარგი იქნება, რომ წინასწარ თეორიულად გაეცნოთ იმ ინფორმაციას, თუ მწარმოებელი ამ მოდელის რა ვარიანტებს გვთავაზობს. მაგალითისთვის ავიღოთ ყველასთვის ნაცნობი „ე კლასის", იგივე მრგვალფარებიანი „მერსედესი". მისი სხვადასხვა მოდელი ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის ვიზუალურად ძნელად გასარჩევია, იმდენად მიზერულად განსხვავდება ერთმანეთისგან. არადა, ამ მოდელის თუნდაც ერთი ვარიანტი შეიცავს ბევრ ქვევარიანტს, ისეთებს, როგორიცაა, მაგალითად, ამორტიზატორების სირბილისა და სიუხეშის კოეფიციენტი. ვარიანტების ცვლასთან ერთად, იცვლება როგორც ძრავას სიმძლავრე, ასევე, მანევრირება და, რა თქმა უნდა, კომფორტის დეტალები სალონში. ამ ტიპის ავტომობილმა, როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, შეიძლება, 100 კილომეტრზე 5-6 ლიტრი საწვავი მოიხმაროს (სწორედ ასეთ მოდელებს იყენებენ ტაქსებად გერმანიაში) და, შეიძლება, ყოველ 100 კილომეტრზე 20 ლიტრიც დახარჯოს (AMG-ის ტიუნინგით შესრულებული მოდელები).

**კითხვა: მყავს „მიცუბიში პაჯერო", 3.5 ძრავით, 1999 წლის. გამიფუჭდა კატალიზატორის ტემპერატურის სენსორი და ავტომობილმა მოუმატა ბენზინის წვას. სად ვიშოვო ეს ნაწილი და როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ამ ნაწილის შოვნა სამ ადგილას შეიძლება: ქუთაისის ქუჩაზე მაღაზიებში, სადაც გამართლებაზეა კარგი ხარისხის ნაწილის ყიდვა; „მიცუბიშის" ცენტრში, სადაც კარგი ხარისხისას იყიდით, მაგრამ, შედარებით ძვირი დაგიჯდებათ და დაშლილებში, სადაც, ასევე, გამართლებაზეა იქნება თუ არა საერთოდ ეს ნაწილი და, თუ ექნებათ, ივარგებს თუ არა. სენსორის გამოცვლა მარტივია და მისი შეცვლა ბევრ ხელოსანს შეუძლია, მაგრამ, უმჯობესია, ისეთ ადგილას შეაცვლევინოთ, სადაც ახლოსვე იქნება კომპიუტერული დიაგნოსტიკა, რომ შემდეგ მისი მუშაობა გადაამოწმოთ.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორი ზოგადი მონაცემები აქვს „ნისან X ტრიალს" 2.2 დიზელის ძრავით. რას მეტყვით ძრავასთან დაკავშირებით და, ზოგადად, როგორია ის ჩვენს პირობებში?**

**პასუხი:** „ნისანის" ეს მოდელი საკმაოდ მორგებულია ჩვენს პირობებზე, არ საჭიროებს ხშირ სერვისს, თავისი კლასის სხვა მოდელებთან შედარებით კარგი მანევრი აქვს. რაც შეეხება ძრავას, ამ ტიპის ძრავით აღჭურვილი ეს მოდელები ძალიან პოპულარულია და ყველაზე უკეთ იყიდება ინგლისში, სადაც მომხმარებელი ჩვენზე გაცილებით მომთხოვნია და მანქანის მიმართ მეტი პრეტენზია აქვს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეგრეთ წოდებული „გამომდგარი" ძრავაა.

**კითხვა: მყავს „აუდი ა4", კვადრო, ტურბირებული, 1.8-იანი ძრავით, რომელსაც დაუზიანდა ეგრეთ წოდებული ტურბო. „აუდის" ცენტრში და რამდენიმე ხელოსანთან ვცადე შეკეთება, მაგრამ, ვერ უშველეს. იქნებ, მირჩიოთ, როგორ მოვიქცე, შესაძლებელია თუ არა მისი შეკეთება და რა თანხა დამიჯდება ეს?**

**პასუხი:** ტურბინის შეკეთება ჩვენთან შეუძლებელია, თუმცა, ახლის დაყენება შეიძლება, მაგრამ, ტურბინის, როგორც ნაწილის შეცვლით, პრობლემის გადაჭრა არ ხდება. ამ პროცედურის შემდგომ ძრავას სჭირდება „დანასტროიკება". თუ ნამდვილად კონკრეტულად ამ მოდელის ტურბინა დააყენეთ და მაინც გაუმართავია, შესაძლებელია, ტურბინასთან ერთად მის სისტემაში არსებული სხვა დეტალიც იყოს დაზიანებული, რომელიც ხელს უშლის ძრავას გამართულ მუშაობას. ჯობია ისევ ცენტრს მიმართოთ და დეტალური დიაგნოსტიკა გააკეთონ ტურბინის სქემის მუშაობაზე.

**კითხვა: საიმედოა თუ არა დატენილი ამორტიზატორები? როგორ მოვიქცე, ხომ არ ჯობია, რომელიმე უცხოური საიტიდან გამოვიწერო?**

**პასუხი:** ნებისმიერი ტიპის ამორტიზატორის აღდგენაა შესაძლებელი, თუმცა ძალიან ცოტა ხელოსანს შეუძლია საქართველოში ამის კარგად გაკეთება. თუმცა, თავიდანვე უნდა იცოდეთ, რომ ნებისმიერი აღდგენილი ამორტიზატორი ვერასდროს იმუშავებს ისე როგორც ორიგინალი. კატასტროფაა თუ ერთი ამორტიზატორი აღდგენილია და მეორე ორიგინალი – შესაბამისობაში ვერანაირად ვერ მოვლენ. დატენილი ამორტიზატორი, მით უმეტეს, თუ ჩქარა სიარული გვიყვარს, დამატებით საფრთხეს ქმნის. თუ მაინც გიწევთ ამორტიზატორის აღდგენა, უმჯობესია, ორი წინა, ან ორი უკანა ერთდროულად მაინც აღადგინოთ. ერთნაირი მაინც ვერ იქნებიან, მაგრამ შედარებით უფრო უკეთ მოერგება, ვიდრე დატენილი და ორიგინალი. ამ დროს ავტომობილი უფრო კარგი სამართავია. არ გაგიკვირდეთ თუ აღდგენილი ამორტიზატორის შემთხვევაში ავტომობილი საერთოდ სხვანაირად იქცევა – უფრო ხისტია ან შეიძლება, უფრო რბილიც, სხვანაირად უხვევს. ეს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ხელოსანი აღადგენს მას. საერთოდ, რისკის გაწევას, გირჩევნიათ, თუნდაც იაფიანი, დაბალი ხარისხის, მაგრამ მაინც ქარხნული ამორტიზატორი შეიძინოთ. ამ დეტალში, როგორც მინიმუმ, ის ქარხნული სტანდარტები იქნება გათვალისწინებული, რომელიც კონკრეტულ მოდელს სჭირდება. ძალიან კარგად უნდა გათვალოთ, რომ ამორტიზატორი ზუსტად მოერგოს ავტომობილს, – ზამბარების, ავტომობილის სიმძიმისა და სხვა გასათვალისწინებელი ფაქტორებიდან გამომდინარე. მწარმოებელი დაიცავს ქარხნულ პარამეტრებს, რასაც ვერც ერთი, ძალიან მაგარი ხელოსანიც კი, ვერ დაიცავს ამორტიზატორის დატენისას. რაც შეეხება გამოწერას, თუ ამის საშუალება და დრო გაქვთ, ნებისმიერ შემთხვევაში, უმჯობესია, ორიგინალი ნაწილის გამოწერა.



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა
სალომე გველესიანმა**

1 2 3 4 5 6



ძველი რუსი მოჭადრაკე
1000 ვატი
(........) ბერნარი
ნამებული დედოფალი
ორსული პირუტყვი
დავალება
ცნობ. საჭადრაკო გამბიტის ავტორი
თბილისის უბანი
მცირე ფასის
თავდასაცავი კედელი
სიახლეთა შემომტანი
ჰიტლერელთა სიმბოლო
„მერი პოპინსის“ ავტორი
ფრანგი მხატვარი კამილ....
ბატონი ვექუა
1
ვისი ლექსია „ჭიამაია“?
ფირნიში
შექსპირის „მეთორმეტე ღამის“ პერსონაჟი
დაზარალებულის უფლება
ნაწარმოების შემქმნელი
სტალონეს როლი
ევროპის მთები
იტალიური სერიალის კომისარი
ქალაქი ჩინეთში
ჩამონათვალი
ფრანგი ფეხბურთელი
ნავსადგური
თუშეთშია
3
სითხის გადასასხმელი საშუალება
ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების გაერთიანება
ოთარ იოსელიანის ფილმი
ბიბლიური ქალაქი
ჰალოგენური ნივთიერება
კინორეჟისორი ....კუროსავა
დამუხტული ნაწილაკი
(......) შევჩენკო
შაქრის დაბა
მიამიტი
თაგვის ბინა
2
თამარის ვაჟი
ძველი სამკურნალო წიგნი
ძველი სომხეთის ქალაქი
რა არის ეტალონი?
წვიმაც, თოვლიც
დასაწებებელი საშუალება
ოთარ გაბელია
გერმან. მწერალი
(.......) ქირარდო
გაფრინდაშვილი
ქალის ევროპული სახელი
მოლოდინი
უნაკლო
კომპიუტერული პროგრამა
ქალბატონი ბარათაშვილი
ბუხარი
მეწველი
დაფქული მარცვლის ნარჩენი
ქალაქი ჩილეში
(......) ნასრედ-დინი
იაპონ. ღვთაება
ვერ ხედავს
ონისეს როლშია
შვილივით ნაზარდი
ბუნების დამცველი
ფულის თვლის სპეციალისტი
სინათლე
საიდუმლო სიტყვა
მთიელთა სალოცავი
5
გოზინაყის მასალა
პატარა ირაკლი
თეოდორ დრაიზერის რომანი
ილიას მენისქვილე
ასეთი დღეა კვირა
ქალის შესაქმნელი მასალა
ჰოლივუდელი (......) გარდნერი
გველის ენა
კინოთეატრი თბილისში
ტაოს ისტორიული ძეგლი
აკრძალვის სიტყვა
ჩვენი გოგონების სახელი
4
კავკასიელი
შინაური ფრინველი
ხაიამი
გრაფიკული ნიშანი
იასონის ხომალდი
(.......) მარია
პოპულარული სიმღერა
მხატვარი გაბაშვილი
ბერძნული ანბანის ასო
ლუდის სასმისი
ბენზინგასამართი სადგურები
მწეველის „სუნთქვა“
რუსული ეპოსის გმირი
ძველრომაელთა სამოსი
6
ნამდვილი ქარგონულად

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | 1 | 1 | | | | | | | | | | | 1 | 1 | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | 1 | 1 | 3 | 3 | 1 | 1 | | | | | 1 | 1 | 1 | 1 | 4 | 4 | 4 | 4 | | 1 | | | | | |
| | | | | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 5 | 5 | 9 | 8 | 5 | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | 8 | 7 | 6 | 5 | 2 | 1 | 1 | 1 | | | |
| | 1 | 1 | 1 | 1 | | 6 | 8 | 1 | 3 | 1 | 9 | 3 | 3 | 5 | 5 | 7 | 6 | 7 | 6 | 7 | 8 | 10 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 6 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | |
| 28 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 11 | 11 | 13 | 3 | 5 | 6 | 6 | 7 | 7 | 6 | 6 | 8 | 8 | 6 | 5 | 5 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 28 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 4 | 8 | 6 | 5 |
| | | | 1 | 1 |
| | | | 1 | 1 |
| | | | 1 | 1 |
| | | | 1 | 1 |
| | | | 1 | 1 |
| | | 1 | 5 | 1 |
| | 1 | 1 | 5 | 1 |
| | 1 | 11 | 4 | 1 |
| | 1 | 3 | 8 | 1 |
| | 1 | 3 | 8 | 1 |
| | 1 | 3 | 8 | 1 |
| 1 | 3 | 3 | 1 | 1 |
| 1 | 3 | 2 | 9 | 1 |
| 1 | 3 | 1 | 12 | 1 |
| 1 | 3 | 1 | 14 | 1 |
| | 1 | 3 | 15 | 1 |
| | 1 | 4 | 14 | 1 |
| | 1 | 4 | 13 | 1 |
| | 1 | 5 | 12 | 1 |
| | 1 | 5 | 12 | 1 |
| | 1 | 13 | 3 | 1 |
| 1 | 9 | 2 | 1 | 1 |
| | 1 | 7 | 7 | 1 |
| | 1 | 6 | 12 | 1 |
| | 1 | 5 | 16 | 1 |
| | | 1 | 20 | 1 |
| | | 1 | 18 | 1 |
| | | 1 | 16 | 1 |
| 8 | 1 | 5 | 2 | 10 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | 9 | 1 | | 3 | 8 | | 4 |
| 2 | 4 | | | 5 | | | 6 | 1 |
| 1 | | 5 | 8 | 6 | 4 | 7 | | 9 |
| | 1 | 4 | 9 | | 5 | 2 | 7 | |
| | | 2 | | 8 | | 4 | | |
| | 7 | 3 | 4 | | 2 | 5 | 9 | |
| 3 | | 7 | 2 | 9 | 1 | 6 | | 5 |
| 4 | 5 | | | 7 | | | 8 | 2 |
| 9 | | 6 | 5 | | 8 | 1 | | 7 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | 1 | | | 6 | |
| | | 8 | 3 | | 6 | 7 | | |
| | 6 | | | | | | 4 | |
| 6 | | | | 7 | | | | 9 |
| 8 | 5 | | 6 | | 3 | | 7 | 1 |
| 3 | | | | 9 | | | | 4 |
| | 1 | | | | | | 9 | |
| | | 5 | 9 | | 7 | 1 | | |
| | 9 | | | 3 | | | 2 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. კვერცხის ფორმით დაიწყეთ კაცის თავის ხატვა



2. მიახატეთ „S“-ის ფორმის ქუდი, თვალები და ცხვირი



3. კაცს მიახატეთ ტანი და ულვაშები



4. შემდეგ – ხელები



5. მიახატეთ ფეხებიც



6. ხელში დააჭირინეთ სამუშაო იარაღი



7. გააფერადეთ



თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია



# იპოვეთ ათი განსხვავება



# იპოვე ორი ერთნაირი თაიგული



# რომელმა დედალმა დადო კვერცხები




# მებაღე და ძაღლი

## (იგავ-არაკი)

მებაღეს ჭაში ძაღლი ჩაუვარდა. გადაწყვიტა, ჩავალ და ამოვიყვანო. ძაღლმა კი იფიქრა, ალბათ, უარეს ადგილას უნდა ჩამაგდოსო, მოუბრუნდა და დაკბინა.

გულნატკენი მებაღე ჭიდან ამოძვრა და წაიბურტყუნა:

– ახია ჩემზე, თავისმკვლელს ნეტავ რა ჩემი შველა უნდოდაო.

ეს ამბავი უსამართლო და უმადურ კაცზეა ნათქვამი.

# რიცხვრებუსი

**1,,, 0,,, 10,,**

| | | | |
|---|---|---|---|
| | იაფის საწინააღმდ-ეგო / ქოფაკი | | კვირის დღე |
| | | | |
| | | | |
| | ... ჭავჭავაძე | | წერტილი კანზე |
| | | | |

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: ძალიან განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან დედალ-მამალი ძაღლების სიმაღლე და საშუალოდ რამდენი უნდა იყოს სხვაობა?**

**პასუხი:** ჯიშობრივი სტანდარტების მიხედვით, დედალი უფრო პატარაა, ვიდრე მამალი, მაგრამ, არიან ცალკეული ინდივიდები, რომლებიც სტანდარტებს აჭარბებენ (დედალი ძაღლები) და შეიძლება, მათ მამალი ძაღლის სიმაღლე ჰქონდეთ.

**კითხვა: მაინტერესებს, ძაღლს ბეწვი რომ არ გასცვივდეს, რა ნემსი უნდა გავუკეთოთ?**

**პასუხი:** ძაღლს ბეწვი რომ არ გასცვივდეს, აუცილებლად კარგი მოვლა-შენახვის პირობები უნდა შეუქმნათ, ნემსის გაკეთება აქ არაფერ შუაშია. ბეწვის ცვენა დამოკიდებულია კვებაზე, მოვლა-შენახვაზე და ასე შემდეგ. ასე რომ, თუ კარგად მოუვლით, თქვენს ძაღლს არც ეს პრობლემა შეაწუხებს.

**კითხვა: ძაღლის ყურებს რაიმე განსაკუთრებელი მოვლა სჭირდება თუ ეს უმნიშვნელო საკითხია?**

**პასუხი:** არის ჯიშები, რომლებსაც პრობლემური ყურები აქვთ და აუცილებლად უნდა მიხედოთ. შეიძლება ძაღლმა 10-11 წელი იცოცხლოს და ყური საერთოდ არავინ ამოუწმინდოს, მით უმეტეს – მეცხვარის ძაღლებს, „დვარნიაშკებს" და ასე შემდეგ. მაგრამ, ჯიშობრივად, პუდელებს, სპანიელებსა და სხვა დეკორატიული ძაღლების უმეტესობას პრობლემური ყურები აქვთ. ასე რომ, თუ დეკორატიული ჯიშის ძაღლი გყავთ, ეს უნდა გაითვალისწინოთ და მის ყურს პრობლემა რომ არ შეექმნას, აუცილებლად უნდა მოუაროთ.

**კითხვა: მართალია, რომ ძაღლის გარეთ გაყვანა ქარიან ამინდში არ შეიძლება? მხედველობაში მყავს ძაღლი, რომელიც სახლის პირობებში ცხოვრობს.**

**პასუხი:** თუ ძაღლი სახლში იზრდება და შეგუებულია სითბოსა და კომფორტს, თუ გარეთ ყველაფერი ინგრევა, ნუ გაიყვანთ. ჩადგება ქარი და მერე გაიყვანეთ, რა პრობლემაა. ისე, ჰასკები და მალამუტები 60 გრადუს ყინვაში და ქარბუქში წვანან და ისე სძინავთ. ყველაფერი შეჩვევაა, მაგრამ, თუ აუცილებელი არ არის, ძლიერი ქარის დროს სახლის ძაღლს გარეთ ნუ გაიყვანთ.

**კითხვა: რამდენ ხანში უნდა გაუკეთოთ ძაღლს დეჰელმენთიზაცია?**

**პასუხი:** ქალაქის პირობებში დეჰელმენთიზაცია ძაღლს აუცილებლად 3 თვეში ერთხელ უნდა ჩაუტაროთ. ეს პროფილაქტიკის მიზნით არის საჭირო. ყველას ვურჩევ, არ გადადოთ და ყოველ 3 თვეში ერთხელ დაალევინოთ ძაღლს ანტიჰელმენტული პრეპარატები.

**კითხვა: ჩემი ძაღლი ბოლო დროს სახლში მოშარდვას მიეჩვია. იქნებ მირჩიოთ, როგორ გადავაჩვიო?**

**პასუხი:** შეიძლება, ეს ასაკიდან გამომდინარე ხდება, ან, გაცივდა და თავს ვერ იკავებს. ამ კითხვაზე ზუსტი პასუხისთვის, უმჯობესია, ექიმთან გაიაროთ კონსულტაცია, რომელიც გასინჯავს ძაღლს და დიაგნოზსაც დაუსვამს.



რუბრიკას უძღვება ლექსო ამირანაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: გაზაფხულზე ძაღლს რაიმე კონკრეტული მოვლა ხომ არ სჭირდება?**

**პასუხი:** გაზაფხულის დადგომისთანავე აუცილებლად უნდა მოიმარაგოთ რწყილების, ტკიპებისა და მოსკიტების საწინააღმდეგო წვეთები, ასევე, დასაბანი საშუალებები, რადგან, უცებ რომ დაესიოს მკბენარი, ამ შემთხვევაში მზად იყოთ, რომ დროულად მოაშოროთ, სანამ პარაზიტი შხამსა და ტოქსინს შეუშვებს ორგანიზმში.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: ბინაში მაქვს ლოტუსი, მაგრამ, კარგად ვერ ვახარებ. იქნებ ამიხსნათ, როგორ მოვუარო?**

**პასუხი:** ლოტუსი მთელი წლის განმავლობაში კაშკაშა სინათლეზე ამყოფეთ. ის მზის მწველ სხივებსაც იტანს. ის კალათით დაკიდეთ ან თაროზე შემოდგით და ასე უკეთ იგრძნობს თავს. მისთვის კარგია ოთახის ნორმალური ტემპერატურა, ანუ, 18-24 გრადუსი, თუმცა ზამთარში დაბალ ტემპერატურასაც უძლებს. ზრდის პერიოდში მიწა მუდამ ტენიანი უნდა ჰქონდეს. ზამთრობით იშვიათად მორწყეთ, რადგან ამ დროს ტემპერატურა საგრძნობლად დაბალია. ნიადაგი რეგულარულად გაანოყიერეთ – ეს ხელს შეუწყობს მცენარის უკეთ ყვავილობას. ის ყვავის პერიოდულად. ყველაზე უკეთ კი – ზაფხულის დასაწყისში. თუ ლოტუსი მეტისმეტად გაიზარდა, წლის ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მისი გაკრეჭა. ამ სეზონზე სინათლე არ მოაკლოთ, რომ არ გაფუჭდეს.

**კითხვა: სად დავდგა კალადიუმი, რომ კარგად იგრძნოს თავი?**

**პასუხი:** ამ მცენარეს ძალიან უყვარს განათება. მისთვის იდეალურია კაშკაშა, გაბნეული ან არეკლილი შუქი, თუმცა, არ უყვარს მზისგულზე ყოფნა, რადგან, ამ დროს ფოთლები უჭკნება. ამიტომ, მისთვის ყველაზე სასურველი ადგილი იქნება ნათელი სააბაზანო. თუ ფართის გამო ამის საშუალება არ გექნებათ, მაშინ შეურჩიეთ რომელიმე ნათელი თარო.

**კითხვა: რა ტემპერატურაზე ვამყოფო ქრიზანთემა და რამდენ ხანს ცოცხლობს ის ქოთანში?**

**პასუხი:** ამ მცენარისთვის საუკეთესო ტემპერატურაა 13-14 გრადუსი. სითბოში ყვავილები სწრაფად იშლება და სწრაფადვე უჭკნება. ამიტომ, მოარიდეთ მაღალ ტემპერატურას. ეს მცენარე ქოთანში დიდხანს ვერ ცოცხლობს, ამიტომ, მიწა არ გაანოყიეროთ. მოაცილეთ გამხმარი ყვავილები – ასე ქრიზანთემა არ დაავადდება და მეტ კოკორს გაშლის.

**კითხვა: სახლში მაქვს ორქიდეა, რომელსაც დაეწყო ფესვების სისუსტე და ლპობა. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ორქიდეა ტროპიკული მცენარეა და ძალიან პრეტენზიულ სახეობად ითვლება. არ უყვარს ბევრი წყალი, არც ნიადაგის ძალიან გამოშრობა. მას საშუალო რაოდენობით უნდა მიაწოდოთ წყალი, რადგან, თავის სამშობლოში სიცხეებია და ეგუება უწყლობას; ასევე, მას არ ესაჭიროება გადმოკიდებული ფესვების შეჭრა და ხშირი გადარგვა. ორქიდეა გადარგეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მთლიანად გაავსებს თავის ქოთანს ფესვებით, რადგან, როცა ის ძალიან მჭიდროდ არის ქოთანში, ადვილი შესაძლებელია, დალპეს. დალპობა შესაძლებელია მაშინაც, როცა მცენარეს აქვს ძალიან ბევრი წყალი. გარდა ამისა, გახსოვდეთ, რომ არ უნდა მისცეთ ბევრი სასუქი, თანაც, სასუქებში არ უნდა შედიოდეს აზოტი, ასევე დიდი რაოდენობით კალციუმი. ასეთ დროს მცენარე ვერ ითვისებს თქვენ მიერ მიწოდებულ სასუქს და იწყებს კვდომას. როდესაც შეატყობთ, რომ ორქიდეა კვდება, მაშინვე ამოიღეთ ის ნიადაგიდან და გამდინარე წყალში გაურეცხეთ ფესვები, რომ ზედმეტი სასუქი მოაცილოთ. გაითვალისწინეთ, ეს უნდა გაგრძელდეს 2-4 დღე, ხოლო შემდეგ ის ჩარგეთ ახალ ნიადაგში და სასუქები არ მიაწოდოთ 2-4 კვირის განმავლობაში.

**კითხვა: საჭიროა თუ არა ახლა პალმებისთვის ფოთლების შეჭრა, ან, საერთოდ როდის ხდება ეს პროცესი?**

**პასუხი:** პალმა ტროპიკული მცენარეა, ამიტომ, მას არ უყვარს ფოთლების შეჭრა მანამ, სანამ თავისით არ გაუყვითლდება. ეცადეთ, მოითმინოთ, სანამ ეს ფოთლები არ მომწიფდება და თავისით არ მოხმება. ასევე, არის პალმების ისეთი სახეობები, რომლებსაც ესაჭიროება ფოთლების შეკვეცა და შეჭრა, რომ სიმაღლეში მალე წავიდეს, მაგალითად: მარაოსებრი პალმა, ასევე, ბანანისებრთა და სხვა, მაგრამ, ეს სახეობები არ არის საქართველოში.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

**ათწლეულების განმავლობაში ვრცელდება შემოწმებული თუ შეუმოწმებელი მასალა ლავრენტი ბერიას აღვირახსნილი სექსუალური ცხოვრების შესახებ. სიმართლის დადგენა ნამდვილად გაჭირდა, რადგან, ერთმანეთში აირია ჭორი და მართალი. ბერიასა და მისი ოჯახის შესახებ გვესაუბრება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ვახტანგ გურული.**

# რა საიდუმლო წაიღეს საფლავში ლავრენტი ბერიას საყვარლებმა



**ლავრენტი ბერია, სხვებისგან განსხვავებით, არასდროს მალავდა თავის კავშირებს ქმრიან თუ უქმრო ქალბატონებთან. მას საქართველოშიც და რუსეთშიც შეეძლო, ემოქმედა ისე, რომ მისი სექსუალური კავშირები ნაკლებად გამხდარიყო ცნობილი**

**– ბატონო ვახტანგ, როგორ ფიქრობთ, ლავრენტი ბერიას აღვირახსნილი ცხოვრების შესახებ გავრცელებული ხმები შეეფერება თუ არა სინამდვილეს?**

– დავიწყოთ ცოტა შორიდან. საზოგადოებაში დამკვიდრდა შეხედულება, რომ 1917 წლიდან რუსეთის, ხოლო 1921 წლიდან საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სათავეში მოსული ადამიანები რევოლუციის „უმწიკვლო რაინდები" იყვნენ. არადა, ბოლშევიკების ლიდერს, ვლადიმირ ლენინს, ოფიციალური საყვარელი ჰყავდა. სხვადასხვა პერიოდში რამდენიმე საყვარელი ჰყავდა მის მეუღლეს, ნადეჟდა კრუპსკაიასაც.

ცნობილი ბოლშევიკი, საბჭოთა რუსეთის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ლევ ტროცკი სამოქალაქო ომის ფრონტებზე მოგზაურობდა სპეციალური მატარებლით, რომლის რამდენიმე ვაგონიდან ერთ-ერთში მკვლელების რაზმი იყო განთავსებული. ისინი, ტროცკის ბრძანების თანახმად, ადგილზე ხვრეტდნენ იმ ჯარისკაცებსა და მეთაურებს, რომლებიც ტროცკის პოლიტიკას არ იზიარებდნენ. მეორე ვაგონი ტროცკის მეძავებისთვის იყო განკუთვნილი. მეძავები ხშირად მიდიოდნენ ტროცკის საცხოვრებელ ბინაშიც მოსკოვში. ისინი „უმწიკვლო ბოლშევიკს" თან ახლდნენ სხვადასხვა კურორტებზე დასვენების დროსაც.

ლენინგრადის ბოლშევიკების ლიდერის – სერგეი კიროვის ორი საყვარელი (სხვათა შორის, დები) სმოლნში კიროვის რეზიდენციაში მუშაობდნენ და ეს ყველამ კარგად იცოდა. კიროვი სწორედ თავისი საყვარლის ტყვიას ემსხვერპლა.

ცნობილი ბოლშევიკი ქალის, ალექსანდრა კოლონტაის აღვირახსნილი სექსუალური ცხოვრების შესახებ უმაღლეს სახელისუფლო ეშელონებში ანეკდოტებს ყვებოდნენ.

სექსუალური მანიაკებით იყო სავსე საბჭოთა რუსეთის მრისხანე სპეცსამსახური – საგანგებო კომისია („ჩეკა"). ლავრენტი ბერიას ორი წინამორბედი – საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრები: ჰენრიხ იაგოდა და ნიკოლაი ეჟოვი გადაგვარებული ადამიანები – მამათმავლები იყვნენ. ყოველივე ამის შესახებ, თავის დროზეც და ახლაც, რატომღაც არავინ არაფერს ამბობს და წერს, ლავრენტი ბერიას შესახებ კი იმდენი დაიწერა, რომ ათ ტომშიც არ მოთავსდება.

**– თქვენი აზრით, რა არის ბერიასადმი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი?**

– პოლიტიკური დაკვეთა! თუმცა, ობიექტურები ვერ ვიქნებით, თუ არ აღვნიშნავთ: „კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება". ლავრენტი ბერია თავისი ცხოვრების სტილით ნამდვილად იძლეოდა იმის საფუძველს, რომ საზოგადოებაში სხვადასხვა შინაარსის, არასახარბიელო ხმები გავრცელებულიყო. ამის მიზეზი ისიც არის, რომ ლავრენტი ბერია, სხვებისგან განსხვავებით, არასდროს მალავდა თავის კავშირებს ქმრიან თუ უქმრო ქალბატონებთან. მას საქართველოშიც და რუსეთშიც შეეძლო, ემოქმედა ისე, რომ მისი სექსუალური კავშირები ნაკლებად გამხდარიყო ცნობილი.

**– მე სექსოლოგებისა და ფსიქოლოგების კომპეტენციაში ვერ შევიჭრები, მაგრამ, ბუნებრივად, მებადება კითხვა: იქნებ, ლავრენტი ბერია, თავისი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, კიდეც დაინტერესებული იყო, რომ მის კავშირებზე ულამაზეს ქალბატონებთან, რაც შეიძლება ბევრი ეჭორავათ?**

– ვერაფერს გეტყვით. მე ისტორიკოსი ვარ და სხვა პროფესიის ადამიანების კომპეტენციაში ვერ შევიჭრები. ერთი კი შეიძლება გარკვევით აღინიშნოს – ლავრენტი ბერიას შეეძლო, ზუსტად დაედგინა, ვინ ავრცელებდა მის შესახებ ხმებს (ჭორს თუ მართალს) და სასტიკად დაესაჯა ისინი, მაგრამ, ამას არ აკეთებდა!

**– რაც შეეხება ბერიას ოჯახს: იყო თუ არა მისი მეუღლე ბერიას ერთ-ერთი „ნადავლი"? თუ, ეს ოჯახი ორმხრივი სიყვარულის შედეგად შეიქმნა?**

– ამის შესახებ თანამედროვეთა მოგონებებში ორი ვერსია მუსირებს. ერთის თანახმად, ლამაზმა ქალიშვილმა ნინო გეგეჭკორმა და არცთუ სანდომიანი შეხედულების ახალგაზრდამ, ლავრენტი ბერიამ, ორმხრივი სიყვარულის შედეგად იქორწინეს; მეორე ვერსიით კი, ლავრენტი ბერიამ ნინო აიძულა, ცოლად გაჰყოლოდა. მე პირველ ვერსიას ვუჭერ მხარს. მეორე ვერსია ბევრ წინააღმდეგობას შეიცავს და ჩემთვის არადამაჯერებელია.

**– როგორი ოჯახი ჰქონდათ ლავრენტი ბერიასა და ნინო გეგეჭკორს?**

– ლავრენტი ბერიამ და ნინო გეგეჭკორმა ერთმანეთი საქართველოში გაიცნეს. იმხანად ბერიას საქართველოს საგანგებო კომისიაში საიდუმლო ოპერატიული ნაწილის უფროსისა და საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობები ეკავა. 1925 წელს მათ შეეძინათ ვაჟი, რომელსაც, სერგო ორჯონიკიძის პატივსაცემად მისი სახელი დაარქვეს. ცხადია, დღეს არავის შეუძლია, იმსჯელოს იმაზე, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა ცოლ-ქმარს ოჯახში – ეს საიდუმლო მათ საფლავში წაიღეს. ერთი კია, ნინო გეგეჭკორი დაბეჯითებით უარყოფდა მისი ქმრის შესახებ გავრცელებულ ხმებს იმის თაობაზე, რომ ლავრენტი ბერიას უამრავ ლამაზ ქალთან ჰქონდა რომანი. იგი გადაჭრით აცხადებდა, რომ ცოლ-ქმარს შორის წლების განმავლობაში არ დარღვეულა ყოველდღიური, ჰარმონიული სექსუალური ცხოვრება. ნინოს აზრით, ეს ჰარმონია დაირღვეოდა, თუკი ლავრენტი ბერიას, მეუღლისაგან მალულად, პარალელურად უამრავი საყვარელი ეყოლებოდა. ყოველივე ამას ნინო გეგეჭკორი აცხადებდა ლავრენტი ბერიას მკვლელობიდან (1953 წელი) რამდენიმე ათეული წლის შემდეგ.

**ლავრენტი ბერიას შეეძლო ზუსტად დაედგინა ვინ ავრცელებდა მის შესახებ ხმებს (ჭორსა თუ მართალს) და სასტიკად დაესაჯა ისინი, მაგრამ, ამას არ აკეთებდა**

**– თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბეთ ნინო გეგეჭკორის შესახებ.**

– ნინო გეგეჭკორი დაიბადა 1905 წელს, ესე იგი, მეუღლეზე 6 წლით უმცროსი იყო. ლავრენტი ბერიას მოსკოვში სამუშაოდ გადაყვანის შემდეგ იგი, ქმრის მკვლელობამდე, მუშაობდა ტიმირიაზევის სახელობის სოფლის მეურნეობის აკადემიაში მეცნიერ-თანამშრომლად. ლავრენტი ბერიასა და ნინო გეგეჭკორის ვაჟი, სერგო, მამის მკვლელობამდე მუშაობდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მესამე მთავარი სამმართველოს №1 საკონსტრუქტორო ბიუროში. 1953 წელს ნინო გეგეჭკორი დააპატიმრეს, ხოლო 1954 წელს გადაასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მან დიდხანს იცოცხლა და 1991 წელს გარდაიცვალა. 1953 წელს დააპატიმრეს სერგო ბერიაც და მას ძალდატანებით გამოუცვალეს გვარი. მისცეს დედის გვარი და 1954 წელს ისიც გადაასახლეს. სერგო ბერია დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ლავრენტი ბერია არ დაუპატიმრებიათ და სასამართლოს განაჩენის საფუძველზე არ დაუხვრეტიათ. შვილი ამტკიცებდა, რომ მამამისი მოკლეს საცხოვრებელ ბინაში. სერგო ბერია სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე აქტიურად იბრძოდა ლავრენტი ბერიას რეაბილიტაციისთვის, მაგრამ, უშედეგოდ.

**– თქვენ აღნიშნეთ, რომ ბერია არ დაუპატიმრებიათ და სასამართლოს განაჩენის საფუძველზე არ დაუხვრეტიათ, იგი მანამდე მოკლეს. მიუხედავად ამისა, სასამართლო პროცესი მაინც შედგა. რომელზეც ბერიას ორეული წარდგა. სასამართლოს მასალებში თუ არის რაიმე ინფორმაცია ლავრენტი ბერიას მექალთანეობის შესახებ?**

– დავიწყოთ სხვა ამბით: ნიკიტა ხრუშჩოვმა იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო მზადება სტალინის პიროვნების კულტის გასაკრიტიკებლად. მუშაობა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა: გამომძიებლების ერთი ჯგუფი აგროვებდა ცნობებს სტალინის აღვირახსნილი სექსუალური ცხოვრების შესახებ. ძალზე ძნელი იყო საზოგადოების დარწმუნება იმაში, რომ სტალინს, მას შემდეგ, რაც ზესახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი გახდა, ჰყავდა ოფიციალური ან არაოფიციალური საყვარელი. ამიტომ იყო, რომ მოიგონეს ხრიკი, თითქოს სტალინი ციმბირის გადასახლებაში ხანგრძლივად ყოფნის პერიოდში სექსუალურ ძალადობებს სჩადიოდა არასრულწლოვანი გოგონების მიმართ და მას დარჩა უამრავი უკანონო შვილი. ეს მასალა იმდენად არადამაჯერებელი იყო, რომ, ნიკიტა ხრუშჩოვს ურჩიეს, მისი გამოქვეყნებისგან თავი შეეკავებინა. ხრუშჩოვმა სტალინის კრიტიკის ეს მეთოდი იმდენად წამგებიანად ჩათვალა, რომ თვალი დახუჭა რეალურ ფაქტზე: ტურუხანსკის გადასახლებაში ყოფნის დროს სტალინს, მისი ჩასახლების ადგილზე, ოჯახის დიასახლისის, ქვრივ კუზაკოვასგან მართლაც შეეძინა ვაჟი. რაც შეეხება ლავრენტი ბერიას საქმის ეგრეთ წოდებულ გამოძიებასა და სასამართლო პროცესს, აქ ნიკიტა ხრუშჩოვს ხელჩასაჭიდი ფაქტები ნამდვილად ჰქონდა. გამომძიებლები დარწმუნებულები იყვნენ იმაში, რომ უამრავი ქალი დაადასტურებდა, რომ იყო ბერიას საყვარელი და მისგან შვილიც ჰყავდა. თუმცა, გამოძიება პირში ჩალაგამოვლებული დარჩა – ლავრენტი ბერიას საქმეზე შედგენილ საბრალდებო დასკვნაში არ მოიპოვება მეტ-ნაკლებად საყურადღებო მასალაც კი, რომელიც დაადასტურებდა ბერიას სექსუალურ ძალადობას და ბრალდება ისევ ჭორის დონეზე დარჩა! თუმცა, სასამართლოსათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონია. ლავრენტი ბერიას საყვარლებმა ბევრი საიდუმლო თან წაიღეს იმქვეყნად. ბევრი საიდუმლო წაიღო იმქვეყნად ნინო გეგეჭკორმაც.

**ეკა სალაღაია**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №28(550)-10(636)

– ბრწყინვალედ შესრულებული საქმე იყო. სოჭში დაბრუნდი და ცოლ-შვილთან ერთად განაგრძე დასვენება.

სამიოდე საათის შემდეგ უკვე სანატორიუმის პლაჟზე ვიწექი და ლაჟვარდოვან, მშვიდ ზღვას გავყურებდი.

მერიკომ ზურგზე მომისვა ხელი და მითხრა:

– კოკი, საყვარელო, მარცხენა ბეჭზე რა გჭირს, რატომ გაქვს ჩალურჯებული?

ცოლს ხომ არ ვეტყოდი, სპეცდავალების შესრულებისას დავიზიანე-მეთქი და მორიგი სიცრუე მივაგებე:

– ექსკურსიის დროს ავტობუსის მძღოლმა ძლიერად დაამუხრუჭა და სალონის ფოლადის ძელს დავეჯახე.

– რაღაც, ძალიან ხშირად მოგდის ხოლმე მივლინებებში ტრავმები, – ღიმილით მითხრა მერიკომ, – გიდი ხარ თუ კასკადიორი? საყვარელო, ხომ არ მატყუებ რამეს და პარალელურად რამე სახიფათო საქმიანობით ხომ არ ხარ დაკავებული?

– მაინც, რაზე გაქვს ეჭვი?

– ხომ გითხარი.

– კასკადიორი გგონივარ?

– აბა, ამდენი ტრავმა საიდან გაქვს? რამდენჯერმე არაფერი გითხარი, მაგრამ, არ გამომპარვია, რომ სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე სილურჯეები და სისხლჩაქცევები გქონდა. ასეთი რამ კი დარტყმებისგან, დაჯახებებისგან და მსგავსი რამეებისგან ხდება. ნუ გავიწყდება, რომ ექიმი ვარ და ეს არ გამომეპარება.

– კარგი, რა, მერიკო, რა კასკადიორი, რის სახიფათო პროფესია! უბრალოდ, ასეთი კანი მაქვს და თითის შეხებაც კი დიდხანს მაჩნდება.

– კეთილი. თუ არ გინდა, ნუ მეტყვი. მთავარია, ჯანმრთელი და ცოცხალი იყო. იმაში კი ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ცუდს არაფერს ჩაიდენ.

ამ საუბრის მერე ყოველთვის ვცდილობდი, რომ სხეული „სუფთად“ შემენახა და არანაირი კვალი არ დამმჩნეოდა. ყოველი დავალების შემდეგ ჯერ სარკის წინ ვდგებოდი შიშველი, გულდასმით ვათვალიერებდი საკუთარ სხეულს და მხოლოდ ამის მერე ვბრუნდებოდი სახლში. ხოლო, თუკი სხეულზე რაიმე იარა მქონდა, ვცდილობდი, ისე მომეშუშებინა, რომ მერიკოს არ ენახა და ეჭვი არ გასჩენოდა.

ეგრეთ წოდებული „სუფთა სხეული“, განსაკუთრებით კი – სახე, აუცილებელია ჩემი პროფესიის ადამიანისთვის, რადგან, ხელოვნური ნიშნის მქონე ადამიანების მიღებას ყველა ქვეყნის ყველა სპეცსამსახური ერიდება. იარა, ნაჭდევი, ტატუ და მსგავსი რამეები განსაკუთრებული ნიშნებია, რომლითაც ადამიანის დამახსოვრება და ამოცნობაა შესაძლებელი, ჩვენს საქმეში კი უჩინარი უნდა იყო და ასეთი ნიშნები მხოლოდ და მხოლოდ ხელის შემშლელია.

ადრე უკვე მოგიყევით, თუ როგორ გავაცურე ერთ-ერთი ინსტრუქტორი, რომელიც შენიღბვას მასწავლიდა და როგორ არ უჯერებდა საკუთარ თვალებს, როდესაც სხვა ადამიანის სახით ვეწვიე სახლში და შუა ჩაის სმის დროს ნიღაბი მოვიხსენი...

– შენ ტალანტი ხარ, ნამდვილი ტალანტი, ჩემო კოკი და თუ ასე განაგრძე, თვით ეშმაკსაც კი გააცურებ, – ხშირად მიმეორებდა ხოლმე ინსტრუქტორი, რომელიც განცვიფრებული იყო ჩემი გარდასახვის უნარით და ეს მთლიანად საკუთარ დამსახურებად მიაჩნდა.

მას მერე მრავალმა წყალმა ჩაიარა. შეიცვალა შენიღბვის ტექნოლოგიები, რომლებიც ძალიან დაიხვეწა და თითქმის სრულყოფილი გახდა. საქმეში ტექნიკა ჩაერია და, ახლა ამ სფეროში ფენომენალური მიღწევებია, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ყველაფერს მაინც პიროვნული ფაქტორი წყვეტს. თამამად ვიტყვი, რომ, რაც უნდა ულტრათანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგიები გეხვიოს ირგვლივ, თუ შენ არ ხარ მაგარი, საქმეს თავს ვერ გაართმევ და ვერაფერი გიშველის.



ერთხელ ერთი საკმაოდ რთული ოპერაციის ჩატარება დამავალეს, რომელიც მარტოს უნდა ჩამეტარებინა და თან ორი როლი შემესრულებინა. საქმე ეხებოდა აღმოსავლეთ გერმანიის სპეცსამსახურის თანამშრომელ ქალს, რომლის ფსევდონიმი იყო „გრეტა“. ის ძალიან ძვირფასი თანამშრომელი იყო და, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, „შტაზის“ მაიორის ჩინს ატარებდა. გრეტა ევროპის ქვეყნებში მოღვაწეობდა და საკმაოდ მნიშვნელოვან მისიებს ასრულებდა, თუმცა, „კაგებეში“ ეჭვობდნენ, რომ გრეტა ორმაგი, შეიძლება, სამმაგი აგენტიც კი ყოფილიყო და ამის შემოწმება გადაწყვიტეს. შჩუკინმა კაბინეტში მიხმო და მითხრა:

– საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმეა, თანაც, არცთუ ჩვეულებრივი და შენ სწორედ ამიტომ გიხმეთ. ოპერაცია უკვე შემუშავებულია და უნდა შეასრულო.

– მაინც, რითია უჩვეულო, ამხანაგო გენერალო? – ვკითხე შჩუკინს, მან კი მომიგო:

– ყველაფერს თანმიმდევრულად გეტყვი, – შჩუკინმა ხუთი ცალი ფოტოსურათი მანახვა და მითხრა – ეს გრეტაა, „შტაზის“ 27 წლის სუპერაგენტი, მაიორი. ამჟამად ბუდაპეშტშია. ვეჭვობთ, რომ ის ძვირფას ინფორმაციებს ყიდის და, არა ორმაგი, არამედ, სამმაგი აგენტია. თუმცა, ამას, ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ერთი სიტყვით, ეს ლამაზი გოგონა მოღალატეა და შენ ის უნდა ამხილო. ბუდაპეშტში ორ როლს შეასრულებ და ორივეს ნიღბით, შენს ნამდვილ სახეს არ გამოაჩენ. ერთი როლის მიხედვით, შენ ხარ სამოციოდე წლის „კაგებეს“ პოლკოვნიკი, რომელიც „შტაზის“ სუპერაგენტ გოგონას პირადად ჩაუტარებს ინსტრუქტაჟს ოპერაციის შესახებ, რომლის მიზანიც იქნება „ცეერუს“ ბუდაპეშტელი რეზიდენტის მოტაცება. ამის შესახებ, „შტაზს“ შევუთანხმდით და ის დაუდასტურებს გრეტას, რომ ოპერაცია მართლაც ტარდება. სინამდვილეში კი, „შტაზის“ ხელმძღვანელობასაც არ ვეუბნებით, რომ ეს ყველაფერი ბლეფია და მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ტარდება, რომ მათი თანამშრომელი გამოვააშკარაოთ. მეორე როლის მიხედვით კი, შენ იქნები ახალგაზრდა ამერიკელი მზვერავი, რომელსაც, სავარაუდოდ, მიმართავს გრეტა სარფიანი წინადადებით და ძვირფასი ინფორმაციის სანაცვლოდ ფულსა და ამერიკაში თავშესაფარს მოითხოვს. ოპერაცია ხვალ იწყება. შენ ბუდაპეშტში ჩახვალ, გრეტას გაიცნობ და რამდენიმე დღის მერე, სექსის დროს, აცნობებ, რომ „ცეერუელი“ ხარ. შენი სახელია ჯონი. ხოლო, როდესაც საქმეში რუსი პოლკოვნიკი დიმიტრი ჩაერთვება, რომელსაც ასევე შენ განასახიერებ, გრეტაც ამოქმედდება. ერთი სიტყვით, ყველაფერი შენზეა დამოკიდებული და, მიდი, იმოქმედე.

შჩუკინმა კარგად იცოდა, რომ ერთგული ქმარი ვიყავი და ეგრეთ წოდებული სექსოპერაციები არ მეპიტნავებოდა, ამიტომ, მსგავსი ტიპის დავალებებს უკიდურეს შემთხვევაში მაძლევდა. ეს დავალებაც მსგავსი შემთხვევა იყო და, მართალია, გულზე არ მეხატე-

ბოდა, მაგრამ, ვუთხარი:

– ყველაფერი რიგზე იქნება.

– წარმატებას გისურვებ. აბა, შენ იცი.

ბუდაპეშტში რომ ჩავედი და მოვეწყვე, გრეტას გასაცნობად გავემართე, რომელიც „შტაზის“ დავალებით ფეშენებელური სასტუმროს ადმინისტრატორი იყო. მეც სწორედ ამ სასტუმროში ვცხოვრობდი. ის უკვე მეორე ღამესვე ჩავიწვინე ლოგინში და ხუთდღიანი მხურვალე სექსის დროს „გავუმხილე“, რომ „ცეერუს“ თანამშრომელი ვიყავი და ბუდაპეშტში ხანგრძლივი მივლინებით ჩავედი. ქალმა ეს ჩემი „აღიარება“ თავისი სექსუალური ღირსებების დამსახურებად ჩათვალა და ფიქრობდა, რომ ვნებები მალაპარაკებდა. იმავე ღამეს ვუთხარი, რომ ორი დღით ბრიტანეთში მივემგზავრებოდი. ხოლო, როდესაც „გავემგზავრე“, ორი საათიც არ იყო გასული, რომ გრეტას სამოცი წლის რუსი პოლკოვნიკის – დიმიტრის სახით მოვევლინე და პაროლების გაცვლის მერე ვუთხარი:

– აქ ძალიან მნიშვნელოვანი მისიით ვარ ჩამოსული, რომელშიც მთავარი როლი თქვენ გეკისრებათ და ინსტრუქტაჟი უნდა ჩაგიტაროთ.

– დიახ, ვიცი, ცენტრიდან უკვე მაცნობეს ამის შესახებ, – მითხრა გრეტამ, რომელსაც იოტისოდენა ეჭვიც კი არ შეჰპარვია იმაში, რომ რუსი პოლკოვნიკი იგივე ჯონი იყო, რომელთანაც უკვე ზედიზედ ხუთი დღე ნებივრობდა.

ერთი სიტყვით, გრეტას არარსებული ოპერაციის დეტალები გავაცანი, მოქმედების რამდენიმე ვარიანტი მოვუყევი და ბოლოს ვუთხარი:

– ოთხი დღე გაქვთ განკარგულებაში. რაზეც ვილაპარაკეთ, ყველაფერი გულდასმით მოამზადეთ, დანიშნულ დროს მოვალ და ოპერაციას პირადად ჩავუდგები სათავეში. მაშველი ჯგუფიც ოპერაციის დღეს ჩამოვა. ახლა კი უნდა წავიდე, ნახვამდის.

გრეტასგან კონსპირაციულ ბინაში წავედი და ორი დღე იქიდან არ გამოვსულვარ. ორი დღის შემდეგ კი, „ცეერუელი“ ჯონის ნიღბით დავბრუნდი სასტუმროში, მაგრამ, გრეტას ნახვას არ ვჩქარობდი. საღამოს გრეტა თავად მეწვია ნომერში, მომიალერსა და ვახშამი შეუკვეთა. თითო ჭიქა კონიაკი რომ შევსვით, გრეტამ მითხრა:

– ჯონი, საყვარელო, შენისთანა კაცი ჯერ არ მყოლია, ძალიან კარგი ხარ.

– არც მე მყოლია შენისთანა ქალი, – მივუგე გრეტას და საკოცნელად გავიწიე, მან კი არ მაცალა და მითხრა:

– ეგ შემდეგ, ახლა კი – საქმე.

– ამაზე კარგი საქმე რა უნდა იყოს? მოდი, დავწვეთ.

– მოიცა, ჯონი, მომისმინე. შენთან ძალიან სერიოზული საქმე მაქვს.

– რა საქმე?

– გახსოვს, რომ მითხარი, „ცეერუში“ ვმუშაობო?

– გრეტა! – „აღვშფოთდი“ მე, – ხომ შევთანხმდით, რომ ამაზე აღარასოდეს ვილაპარაკებდით?

– ჰო, მაგრამ, ვითარება შეიცვალა.

– რა ვითარება, რაშია საქმე?

– მაცლი თქმას? გაჩუმდი და მომისმინე.

– გისმენ.

– ჯონ, მე პროფესიონალი მზვერავი ვარ და „შტაზიში“ ვმუშაობ.

– რაო?!

– დამშვიდდი და კარგად მომისმინე. „კაგებე“ და ჩვენი უწყება სერიოზულ აქციას გეგმავენ თქვენ წინააღმდეგ და ამ ოპერაციაში მთავარი როლი მე მეკისრება.

– რა ოპერაციაა და როდის უნდა ჩატარდეს? – ცივი ხმით ვკითხე გრეტას, მან კი მომიგო:



– მე ფული და ამერიკაში თავშესაფარი მჭირდება. შეგიძლია, ამის გარანტიები მომცე?

– რა თანხას ითხოვ?

– სამასი ათას დოლარს.

– ვფიქრობ, რომ უარს არ იტყვიან. როდის ტარდება ეს ოპერაცია?

– ოპერაცია ტარდება ზეგ. მისი მიზანი კი თქვენი აქაური რეზიდენტის მოტაცებაა. მე ის უნდა მოვხიბლო, ოთახში შევიტყუო და დავაძინო, დამხმარე ჯგუფი კი მას გაიტაცებს.

– სად?

– ზუსტად არ ვიცი. ალბათ, მოსკოვში.

ჩემი და გრეტას ლაპარაკი სპეციალურ მიკრო-კინოფირზე იწერებოდა, რომელსაც სასტუმროს ნომერში დამონტაჟებული ორი კამერა იწერდა და ეს იყო „შტაზის“ სუპერაგენტის ღალატის დამადასტურებელი საბუთი. გრეტას თვალი თვალში გავუყარე და ვუთხარი:

– მე შემიძლია, ახლავე ვაცნობო ცენტრს შენი სიტყვები და შენი გაყვანა მოვთხოვო, მაგრამ, ერთი აზრი მომივიდა თავში და, თუ დამთანხმდები, გარწმუნებ, ამერიკაში უფრო მეტი წონით ჩახვალ, რაც შენს კარიერას უფრო მეტად წასწევს წინ.

– მითხარი, გისმენ.

– „შტაზსა“ და „კაგებეს“ საპასუხო მანევრი უნდა ჩავუტაროთ და როდესაც მათი ჯგუფი ჩვენი რეზიდენტის გასატაცებლად მოვა, ისინი დავატყვევოთ და ჩვენ გავიტაცოთ.

– კარგი აზრია, – ჩაეცინა გრეტას, – მეტსაც გეტყვი: ამ ოპერაციას „კაგებეს“ პოლკოვნიკი, ვიღაც დიმიტრი ხელმძღვანელობს. ვფიქრობ, რომ „ლენგლიში“ უფრო მეტად დამაფასებენ, თუკი მათ რუს პოლკოვნიკს მივგვრი.

„მომინდომა ამ ძუკნამ მთვარეზე ჟიმაობა“, – გავიფიქრე გუნებაში, გრეტას კი ვუთხარი:

– გენიალურია, უკეთესს ვერავინ მოიფიქრებდა! ახლავე შევათანხმებ ყველაფერს ჩვენებთან, რომ ზეგისთვის სრულფასოვანი ოპერაციის ჩატარება მოხერხდეს.

– კარგი, შევთანხმდით.

– დილით შევხვდებით. ახლა კი, ჯერ შენ გადი, ათ წუთში კი მეც გამოვალ, – ვუთხარი გრეტას და ჩემი ნომრიდან გავისტუმრე.

ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ, როდესაც გრეტამ რუსი პოლკოვნიკი ხაფანგში „შეიტყუა“ და ის ამერიკელების სპეცჯგუფს უნდა გაეტაცებინა, ამ ჯგუფის წევრები „შტაზის“ ოპერმუშაკები აღმოჩნდნენ, მათ გრეტა დააპატიმრეს, რამდენიმე საათში უკვე ბერლინში ჰყავდათ და ჰკითხავდნენ. შტაზელებმა თან წაიღეს საიდუმლო ფირიც, რომელზეც ჩემი და „შტაზის“ სუპერაგენტის დიალოგები იყო ჩაწერილი. ეს გოგონა ოთხმაგი აგენტი აღმოჩნდა და ერთდროულად იყო დაკავ-



ერდო ჯგუფი
-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...
-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...
მაკლერი:
-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ... გადაგვიხადეთ 6%. 3 გამყიდველის და 3 მყიდველის მხრიდან.
მარიკა 599 24 28 31

შირებული ბრიტანეთის, ფედერაციული გერმანიის, ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებთან. გრეტა გაასამართლეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. თუმცა, შემდეგ მას განაჩენი შეუცვალეს – ოცი წელი მიუსაჯეს და მან ეს ვადა ბოლომდე მოიხადა. როგორც ვიცი, გრეტა დღესაც ცოცხალია, უკვე გაერთიანებულ გერმანიაში ცხოვრობს და, როგორც დიქტატურის მსხვერპლი, საკმაოდ სოლიდურ პენსიასაც იღებს მთავრობისგან. არადა, გრეტა დიქტატურის მსხვერპლი კი არა, ტიპური მოღალატეა და ღირსეულად დაისაჯა. მადლობა თქვას, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნეს, რადგან, ეგრეთ წოდებული სანიმუშო დემოკრატიის ქვეყნებში ასეთი დონის მოღალატისთვის, შესაძლოა, თავიც წაეგდებინებინათ...

ბუდაპეშტის მსგავსი ცრუ აქციები ჩვეულებრივი მოვლენაა სპეცსამსახურების პრაქტიკაში და ასეთ ოპერაციებში არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა. ასეთი ცრუ მანევრები, ძირითადად, რაღაც უფრო დიდის, მთავრის შესანიღბად გამოიყენება ხოლმე და საკმაოდ დიდი წარმატებითაც.

ერთხელ, ლუბიანკაზე ერთი მსგავსი აქცია დაიგეგმა, რომელმაც შემდგომში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა რეაქტიული ავიაციის ფანტასტიკურ განვითარებაში, რამაც ჩვენს ქვეყანას საშუალება მისცა, რომ ამერიკისთვის მნიშვნელოვნად გაესწრო და, შედეგად, საბჭოთა „ასები“ შვიდი წლის განმავლობაში დომინირებდნენ მსოფლიოს ცაში.

„კაგებეს“ შერჩეული ჰყავდა ვინმე მაიორი ზუევი, რომელიც შორეული აღმოსავლეთის საიდუმლო საავიაციო ბაზაზე მსახურობდა და გამორჩეული იყო თავისი ანტისაბჭოური განწყობილებებით. ზუევი პილოტი „ასი“ იყო და თანამედროვე რეაქტიული თვითმფრინავებით დაფრინავდა. მე ზუევს უნდა დავკონტაქტებოდი და ჩამენერგა მისთვის აზრი, რომ მას საბჭოეთში სათანადოდ არ აფასებდნენ და მებიძგა, რომ საიდუმლო რეაქტიული თვითმფრინავი გაეტაცებინა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაეყვანა. ობიექტთან დიდხანს მუშაობა არ დამჭირვებია, ის ისედაც მზად იყო ამისთვის. ჩვენი გაცნობიდან სამ კვირაში მან საიდუმლო თვითმფრინავი გაიტაცა და ამერიკაში დასვა. საბჭოთა მთავრობამ, რა თქმა უნდა, მსოფლიო განგაში ატეხა და თვითმფრინავისა და პილოტის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება მოითხოვა. პილოტის დაბრუნებაზე ამერიკამ უარი განაცხადა, საიდუმლო თვითმფრინავი კი თვენახევრის შემდეგ დააბრუნეს – მას მერე, რაც ის საფუძვლიანად შეისწავლეს ამერიკელებმა. ამ აქციის მიზანი კი ის იყო, რომ ამერიკელებს იმ ტიპის თვითმფრინავებზე გაემახვილებინათ ყურადღება და გამორჩენოდათ ის უახლესი საბჭოთა მოდელები, რომლებიც უკვე დაფრინავდნენ, ამერიკელები, ჩვენს ამ ტრიუკს გვიან მიხვდნენ. იმდენად გვიან, რომ შვიდი წლით ჩამოგვრჩნენ და შვიდი წლის განმავლობაში საბჭოთა ავიაციას კონკურენტი არ ჰყავდა მსოფლიოში. რაც შეეხება ზუევს, შვიდი წლის განმავლობაში მისთვის ხელი არ გვიხლია, ხოლო, როდესაც ამერიკელები მიხვდნენ, რომ ზუევი „შემოგდებული“ იყო, მასზე ხელი აიღეს, ყოველგვარი დაფინანსება შეუწყვიტეს და ის გალოთდა. ყოფილი „ასი“ ამერიკის ტრასებზე დახეტიალობდა და მათხოვრობით შოულობდა ორიოდ დოლარს, რომ დაელია.

– ფუი, დასწყევლოს ღმერთმა ეს საზიზღარი ამერიკა! თუ არ სჭირდები და შენგან მოგება არ აქვთ, ერთ ჭიქა ვისკისაც კი არავინ დაგალევინებს, – ბუტბუტებდა ზუევი, თან ტრასაზე მიმავალ მანქანებს ხელს უქნევდა, რომ სხვა შტატში წასულიყო და იქ ეცადა ბედი.

მის წინ მწვანე „ფორდმა“ გააჩერა და, როდესაც ის მძღოლის გვერდით მოკალათდა, „ფორდი“ ადგილიდან დაიძრა.

– საით გაგიწევიათ, სერ? – ჰკითხა ზუევს მძღოლმა.

– რა ვიცი, იქ, სადაც ჭიქა ვისკის მიწყალობებენ, – მიუგო ზუევმა მძღოლს, შეათვალიერა და დაამატა – ძალიან ნაცნობი სახე გაქვს. სად მინახავხარ, ნეტავ?

– მთელ ამერიკაში ვმოგზაურობ და, ალბათ, ადრე შევხვდით კიდეც სადმე.

– არა, არა, – თავი გააქნია ზუევმა, – სადღაც სხვაგან მყავხარ ნანახი.

– სხვაგან სად?

ზუევმა მძღოლის თვალებში ჩახედა, შემდეგ შეხტა და მიუგო:

– საბჭოთა კავშირში...



– გაგახსენდი? – ირონიულად ვუთხარი ზუევს, რადგან „ფორდის“ მძღოლი მე ვიყავი და ამერიკაში მის დასასჯელად გამგზავნეს.

– ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ეს რა ჩავიდინე, ჩემს სამშობლოს როგორ ვუღალატე... – იმეორებდა ზუევი. შემდეგ თვალებში ჩამაცქერდა და მითხრა:

– შენი ბრალია! შენ არ მირჩიე, რომ თვითმფრინავი გამეტაცებინა და ამერიკაში გადავსულიყავი?

– მე მხოლოდ მიმართულება მოგეცი. გაქცევა და თვითმფრინავის გატაცება კი დიდი ხანია, გულში გედო და ხელსაყრელ მომენტს ეძებდი, შე მოღალატევ!

– უკან წამიყვანე, გამასამართლეთ და მომისაჯეთ!

– შენ უკვე მოსჯილი გაქვს.

– რა მაქვს მოსჯილი?

– სიკვდილი და აქ ამ სასჯელის აღსასრულებლად ჩამოვედი.

– არ მომკლა, მაპატიეთ.

– სამშობლოს ღალატი უპატიებელი ცოდვაა, – ვუთხარი ზუევს, წიხლი ვკარი და ღია მანქანიდან უკაცრიელ ტრასაზე გადავაგდე. შემდეგ, მაყუჩიანი პისტოლეტიდან შუბლი გავუხვრიტე და გზა განვაგრძე...

როგორც არაერთხელ მითქვამს, სამშობლოს ღალატი უპატიებელი ცოდვაა და ხანდაზმულობის ვადა არ აქვს. ზუევის შემთხვევაში, მავანმა, შეიძლება, თქვას, რომ მას პროვოცირება მოვუწყვეთ და ღალატისკენ ვუბიძგეთ... არავითარ შემთხვევაში! პილოტ „ასს“, როგორც უკვე ვთქვი, ღალატი დიდი ხანია, გულში ედო და შესაფერის მომენტს ეძებდა, ჩვენ კი მისი ეს მდგომარეობა ჩვენს სასიკეთოდ, ქვეყნის ინტერესებისთვის გამოვიყენეთ. ამიტომ, არანაირ პროვოკაციას ან იძულებას არ ჰქონია ადგილი. იძულება მაშინ იქნებოდა, მას რომ ახლობლების განადგურებით დავმუქრებოდით, ასეთი რამ კი ყოფილა და ამიტომაა ის მოღალატე. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვეძლო პრევენციული ზომების მიღება – ზუევი ჩამოგვეშორებინა ფრენებს და მის ყურამდე მიგვეტანა, რომ მასზე ეჭვი გვქონდა. ასეთ შემთხვევაში, ზუევი დროებით მაინც გადაიფიქრებდა ღალატს. თუმცა, პირველივე ხელსაყრელ მომენტში მაინც ღალატის გზას დაადგებოდა. „კაგებე“ მონასტერი არ არის, რომ ზრდასრული ადამიანის ხელახლა აღზრდაზე იფიქროს. იქ ან მტერი ხარ, ან მოყვარე. ზუევი მტერი აღმოჩნდა და მისი ეს განწყობა სახელმწიფოს ინტერესებისთვის გამოვიყენეთ... ამიტომ, მე არც სინდისის ქენჯნას ვგრძნობ და არც ამორალურ ადამიანად მიმაჩნია თავი. ამორალურობა და უსინდისობა იქნებოდა ის, ზუევი რომ პატიოსანი ადამიანი ყოფილიყო და ის მრუდე გზაზე დაგვეყენებინა. მეტსაც გეტყვით, ჩემი „კაგებეშნიკური“ კარიერის განმავლობაში ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, რომ თუნდაც ჩვენდამი მტრულად განწყობილი ბანაკის წარმომადგენელი, მაგრამ, პატიოსანი ადამიანი, რაიმე ხიფათში გაგვებას. პირიქით, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩვენი ოპერაციის წარმატებულობას პატიოსანი ადამიანის დაზარალება სჭირდებოდა, მაგრამ, ეს არ გაგვიკეთებია და უფრო რთული გზა აგვირჩევია მიზნის მისაღწევად. ომის დროსაც კი არსებობს დაუწერელი კანონები და, ვინც ამ კანონებს დაარღვევს, რაც უნდა ძლიერი იყოს, საბოლოოდ მაინც დამარცხდება...

ნურავის შეეპარება ეჭვი იმაში, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა ამერიკის უწესო თამაშის შედეგი იყო. ეს ჭეშმარიტებაა, თითქმის მთელი მსოფლიო, მათ შორის ამერიკელებიც აღიარებენ ამას და, რომ იტყვიან, წყალი არ გაუვა. ამიტომ, ნურავის გაეცინება, თუ ვიტყვი, რომ ასე გამარჯვებული ამერიკა საბოლოოდ მარცხისთვისაა განწირული და ეს პროცესი უკვე აქტიურად ვითარდება. ამ ყველაფერს არც განსაკუთრებული ანალიტიკური

გონება სჭირდება და არც ჯადოსნური სარკე. ამერიკას ყველა ის ბოროტება, რაც ცივი ომის დროს თესა, ახლა უხვდება წინ და მარტო ის რად ღირს, რომ მის მიერვე შექმნილი, გლობალური ტერორისტული მოძრაობა ასი პროცენტით მასვე შემოუბრუნდა.

საბჭოთა კავშირის დაშლა უკვე დაწყებული იყო, მაგრამ, რამდენიმე წელი მას ჯერ კიდევ დარჩენოდა, როდესაც პაკისტანში ერთი ძალიან წარმატებული სპეცოპერაცია ჩავატარეთ და დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება ჩუმად ჩავიგდეთ ხელში. ის ახლაც ცოცხალია და მის პიროვნებას არ დავასახელებ. ამიტომ, პირობითად მას აბდულა ვუწოდოთ.

აბდულა მაშინ ამერიკის მიერ იყო მომზადებული და უხვად დაფინანსებული. ის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა ავღანეთში და თავისი ოკეანისგაღმელი პატრონების უშუალო მითითებით, ტყავს აძრობდა საბჭოთა მებრძოლებს. აბდულას დატყვევება პირადად ანდროპოვის უშუალო მითითებით განხორციელდა. სპეცჯგუფმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, წარმატებით შეასრულა ეს მისია და ის ჩვენს ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაში მივიყვანეთ. აბდულა 30 წლის, სიმპათიური შესახედაობის მამაკაცი იყო და ისე ავიყვანეთ და განვაიარაღეთ, კრინტის დაძვრაც კი ვერ მოასწრო. ის დედიშობილა, რკინის ძელზე მივაბით და პირიდან საცობი რომ გამოვუღე, მითხრა:

– ვხედავ, რომ აქედან თავს ვერ დავიძვრენ და განწირული ვარ. ამიტომ, ერთი თხოვნა მაქვს და, როგორც მეომარმა მეომარს, გთხოვ, გამიგო.

– თქვი, რა თხოვნა გაქვს, – ვუთხარი აბდულას.

– როგორც გინდა, ისე ამომხადე სული. თუ გსურს, ტყავი გამაძრე, ისევე, როგორც მე ვაძრობდი ტყავს საბჭოთა მეომრებს. ოღონდ, კაცური ღირსება არ წამიბილწო.

კაცური ღირსების წაბილწვაში აბდულა სქესობრივ ძალადობას და სასქესო ორგანოს მოკვეთას გულისხმობდა. ჩვენ კი, არამცთუ გაუპატიურებას, მის სიკვდილით დასჯასაც კი არ ვაპირებდით. ხელმძღვანელობისგან პირადად მე მქონდა ნაბრძანები, რომ აბდულა გადმომებირებინა...

– ასეთია პირადად ანდროპოვის მითითება, – მითხრა შჩუკინმა, როდესაც აბდულას შეპყრობის დავალება მომცა. მე კი მას მივუგე:

– ვიქტორ იაკოვლევიჩ, ეტყობა, იური ვლადიმიროვიჩს არასრული ინფორმაცია აქვს აბდულაზე, თორემ, მის გადმობირებას არ დაგვავალებდა და მის განადგურებას გვიბრძანებდა. თქვენ ხომ კარგად იცით, რა საშიშია აბდულა?

– თავმჯდომარეს სწორედ მე ვურჩიე აბდულას გადმობირება. იური ვლადიმიროვიჩი კი მის ლიკვიდაციას გვავალებდა.

– თქვენ?!

– დიახ, მე და, იცი, რატომ? იმიტომ, რომ ცოცხალი და ჩვენ მხარეზე მყოფი აბდულა ბევრად უფრო გამოგვადგება, ვიდრე ჩვენ მიერვე ლიკვიდირებული.

– კი, მაგრამ... – სიტყვა გავაწყვეტინე შჩუკინს. მინდოდა, მეთქვა, რომ ის ტყავს აძრობდა საბჭოთა მეომრებს და თუნდაც ამის გამო არ დაგვთანხმდებოდა თანამშრომლობაზე. შჩუკინმა კი ხელით გამაჩერა და მითხრა:

– ბოლომდე მომისმინე. აბდულას პიროვნება საფუძვლიანად შეისწავლეს ჩვენმა ფსიქოანალიტიკოსებმა და შემდეგ დასკვნამდე მივიდნენ: თუკი მას დაარწმუნებ იმაში, რომ ამერიკელები მუსლიმებს მხოლოდ საზარბაზნე ხორცად და ნავთობის ამოსაქაჩავად იყენებდნენ, ის ჩვენს მხარეზე გადმოვა. ამიტომ, შენ ეს უნდა შეძლო. მანამდე კი აბდულა ძალიან უხმაუროდ უნდა მოიტაცო. გარწმუნებ, კოკი, რომ აბდულას ამერიკის ნომერ პირველ მტრად ვაქცევთ და ძალიან ეფექტურადაც გამოვიყენებთ.



შჩუკინის ეს სიტყვები თავში მქონდა ჩაბეჭდილი და, როდესაც დაბმულმა აბდულამ მთხოვა, რომ მისთვის ღირსება არ შემელახა და ისე მომეკლა, მე მას მივუგე:

– აბდულა, ჩვენ შენი მოკვლა არც კი გვიფიქრია, რომ არაფერი ვთქვათ შეურაცხყოფაზე.

– აბა, რისთვის მომიყვანეთ აქ?

– იმისთვის, რომ გამცნოთ, თუ ვის ემსახურები და ეშმაკის ნამდვილი სახე დაგანახოთ.

– როგორ უნდა დამანახოთ ეშმაკის სახე? – მკითხა აბდულამ.

სანამ საუბარს დავიწყებდი, აბდულა ავხსენი და ჩაცმის საშუალება მივეცი. შემდეგ ჩემი ხელქვეითები ოთახიდან გავუშვი და აბდულას არაბულ ენაზე ოცწუთიანი საუბარი ჩავუტარე, რომელშიც ყურანიდან ამოღებული ციტატები ჭარბობდა, ბოლოს კი ვუთხარი:

– შენ ჩვენს აგენტობას არ გთავაზობთ, უბრალოდ, გვინდა, დაფიქრდე ჩემს სიტყვებზე, სწორი დასკვნები გამოიტანო და თავად მიხვდები, ვინ ვინ არის.

აბდულა გავუშვით და მისთვის არანაირი პირობა არ წაგვიყენებია. მას თავისი ბრძოლა არ შეუწყვეტია, თუმცა ძველებურად საშიში აღარ იყო ჩვენთვის. წლების შემდეგ კი ამერიკას ჯიჰადი გამოუცხადა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | რ | | ს | | კ | | ი | | ა | |
| | | | | | ფ | ო | ტ | ო | ს | ი | ნ | თ | ე | ზ | ი |
| | | | | | | მ | | ლ | ა | ი | | ი | რ | ი | კ |
| | | | | | | ა | პ | ა | პ | | დ | ა | ნ | ა | |
| | | | | | უ | ნ | ა | რ | ი | | ა | ბ | ა | ლ | |
| | | | | | | ი | ნ | ი | რ | ა | ნ | | ნ | | ე |
| | | | | | | | ი | ს | ი | ნ | ი | | დ | | რ |
| ა | | | ე | რ | ა | მ | | ი | ს | ა | | ს | ე | მ | ი |
| რ | | ი | ლ | ო | რ | ი | დ | | პ | ი | კ | ა | ს | ო | |
| ე | თ | ო | მ | ი | ტ | | | | ი | დ | | ა | ი | რ | ა |
| ნ | ო | ნ | ა | | ი | ლ | ა | ე | რ | ნ | ო | მ | | ი | |
| ა | ნ | ი | ვ | ა | ს | | ი | ნ | ო | ი | ლ | უ | ბ | | ჭ |
| | ე | | ა | | ტ | ო | რ | ი | | | ე | რ | ო | ს | ი |
| ნ | | ს | ლ | ა | ი | დ | ი | | პ | ი | პ | ი | ნ | ი | ა |
| ო | გ | ა | ი | მ | | ე | | ფ | ა | რ | ა | | დ | ო | ნ |
| ხ | | ბ | | პ | ი | კ | ი | | ქ | ა | კ | ლ | ი | ნ | ი |
| ი | ლ | ა | კ | ე | | ო | ნ | ა | ი | პ | | | | ი | |
| | ი | ნ | ო | რ | ე | ლ | ა | ბ | | ა | ღ | მ | ა | | ა |
| ს | ტ | ი | ლ | ი | | ო | რ | გ | | ღ | | ა | ნ | ი | ბ |
| | ო | | ე | | უ | ნ | ი | ა | | ზ | ა | მ | ე | რ | ი |
| უ | ნ | ა | გ | ი | რ | ი | | | ი | | ნ | ა | ტ | ო | |
| | ი | ფ | ა | ნ | ი | | ლ | უ | კ | ა | შ | ი | ნ | ი | |
| | | რ | | ი | ა | დ | ო | ნ | ი | | ა | | ა | ნ | ე |
| უ | ტ | ა | რ | ო | | | უ | გ | ა | ნ | დ | ა | | | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | 4 | 2 | 6 | 5 | 1 | 9 | 7 |
| 9 | 5 | 6 | 7 | 1 | 4 | 3 | 2 | 8 |
| 1 | 7 | 2 | 8 | 9 | 3 | 5 | 4 | 6 |
| 5 | 2 | 3 | 1 | 8 | 6 | 9 | 7 | 4 |
| 4 | 9 | 8 | 5 | 3 | 7 | 2 | 6 | 1 |
| 7 | 6 | 1 | 9 | 4 | 2 | 8 | 3 | 5 |
| 2 | 4 | 5 | 3 | 7 | 1 | 6 | 8 | 9 |
| 6 | 1 | 9 | 4 | 2 | 8 | 7 | 5 | 3 |
| 3 | 8 | 7 | 6 | 5 | 9 | 4 | 1 | 2 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 1 | 4 | 9 | 8 | 5 | 7 | 3 | 2 |
| 2 | 3 | 9 | 1 | 7 | 4 | 6 | 8 | 5 |
| 5 | 7 | 8 | 2 | 6 | 3 | 1 | 4 | 9 |
| 1 | 4 | 3 | 8 | 2 | 6 | 5 | 9 | 7 |
| 7 | 5 | 2 | 4 | 9 | 1 | 3 | 6 | 8 |
| 9 | 8 | 6 | 5 | 3 | 7 | 4 | 2 | 1 |
| 4 | 2 | 5 | 6 | 1 | 8 | 9 | 7 | 3 |
| 8 | 6 | 7 | 3 | 5 | 9 | 2 | 1 | 4 |
| 3 | 9 | 1 | 7 | 4 | 2 | 8 | 5 | 6 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ვირუსები. 2. ჰიმალაი. 3. ინსულინი. 4. ტრინიდადი. 5. ვესტ-ინდოეთი. 6. ნეფრიტი. 7. პეტროლეუმი. 8. კონფუცი. 9. ფარენგეიტი. 10. ტრიუმფი.**

# რატომ გადაასახლეს სტალინის სიკვდილის შემდეგ სახელმწიფოს ჯანმრთელობის მინისტრი და რა ბედი ეწიათ მისი დაცვის წევრებს



**„უეცრად“ გარდაიცვალა პროფესორი რუსკოვი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა დიდი ბელადის სხეულის გაკვეთაში**

ოფიციალური ვერსიით, ზესახელმწიფოს ერთპიროვნული ლიდერი იოსებ სტალინი 1953 წლის 5 მარტს 21 საათსა და 50 წუთზე გარდაიცვალა.

მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, იმ დღეებში საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი კლემენტ გიტვალდი. ამბობენ, მას თავისი ხელით მოუწმენდია გარდაცვლილი სტალინისთვის დუჟი და ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაუდევს. ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ასე თავისი პროფესიიდან გამომდინარე მოიქცა. ის ექიმი იყო. როგორც ჩანს, პროფესიულმა ალღომ ეჭვი აღუძრა, როცა იოსებ სტალინის სიკვდილის გამომწვევი მიზეზების ოფიციალურ ბიულეტენს გაეცნო.

კლემენტ გიტვალდი იმავე წელის 11 მარტს გაემგზავრა მოსკოვიდან პრაღაში. 14 მარტს კი, ანუ სამი დღის შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი კლემენტ გიტვალდი ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, დღის 11 საათზე გარდაიცვალა. ოფიციალური ცნობების მიხედვით, ის უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, დარღვეული ჰქონდა სუნთქვა და სისხლის მიმოქცევა. აღნიშნულ ცნობას ხელს აწერდნენ: აკადემიკოსი ბაკულევი, პროფესორი მარკოვი და მოსკოვიდან საგანგებოდ ჩასული სხვა ექიმები.

იოსებ სტალინის გარდაცვალებიდან სამი-ოთხი თვის თავზე, ლავრენტი ბერიაც სტალინის გზას გაუყენეს. დანარჩენებს ეშინოდათ. თან სურდათ, რომ მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი ლავრენტი პავლეს ძისთვის დაებრალებინათ.

ამ დღიდან მოყოლებული მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ ყველა, ვინც კი რამე იცოდა იოსებ ჯუღაშვილის მოულოდნელი და უეცარი სიკვდილის შესახებ, ან „ილუპებოდა“ უცნაური მოულოდნელობების გამო, ანდა „თვითმკვლელობით“ ასრულებდა სიცოცხლეს.

დღემდე ბურუსით მოსილი და პასუხგაუცემელია კითხვა – თუ რა მოხდა რეალურად და რა ვითარებაში დაიღუპა იოსებ სტალინი. მრავალი მკვლევარი, ისტორიკოსი, თუ მოყვარული გვთავაზობს საკუთარ ვერსიას და კიდევ უფრო ბევრი წიგნი მიეძღვნა ამ კითხვას, რომელიც წლების დინების მიუხედავად, ყოველთვის ერთნაირად საინტერესოა საზოგადოებისთვის.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, რუსეთში გამოიცა მკვლევრისა და ისტორიკოსის, იური მუხინის წიგნი: „სტალინისა და ბერიას მკვლელობა“. ნაშრომი ისტორიულ-სამეცნიერო კვლევაა და ეყრდნობა უამრავ დოკუმენტურ მასალას, ფაქტებს, არგუმენტებულად გვთავაზობს საკუთარ შეხედულებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

1953 წლის 28 თებერვლის საღამოდან 1 მარტის დილამდე, სტალინთან კუნცოვოს აგარაკზე სტუმრად იმყოფებოდნენ: ბერია, მალენკოვი, ბულგანინი და ხრუშჩოვი. მათ ერთად ივახშმეს, შემდეგ წინასწარ განიხილეს ყველა ის საკითხი, რომელთა შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებები უნდა მიეღოთ ორშაბათს, ანუ 2 მარტს, კრემლში საკავშირო „ცეკას“ პრეზიდიუმის სხდომაზე. განსახილველებიდან ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო ქვეყნის შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების გაერთიანება ერთ სამინისტროდ.

იმ დროს შინაგან საქმეთა მინისტრი იყო კრუგლოვი, ხოლო სახელმწიფო უშიშროების მინისტრი – იგნატიევი. ბელადი, განსაკუთრებით, ამ უკანასკნელის მუშაობით იყო უკმაყოფილო. ჯუღაშვილის წინადადებით, გაერთიანებული სამინისტროს ხელმძღვანელად ბერია უნდა დანიშნულიყო, მის მოადგილეებად კი – სეროვი და კრუგლოვი. სტალინის საუბრიდან ისიც ჩანდა, რომ იგნატიევი, სამსახურებრივი შეუსაბამობის გამო, არა მხოლოდ თანამდებობიდან იქნებოდა მოხსნილი, არამედ მისი მომავალი საერთოდ გაურკვეველი იყო.

აღსანიშნავია, რომ 1927 წლიდან მოყოლებული სტალინის პირადი დაცვის უფროსი გახლდათ ვლასიკი, რომელიც შემდგომ გენერალ-მაიორის რანგში, მთელი სამთავრობო დაცვის ხელმძღვანელი გახდა. სტალინის დაღუპვამდე ერთი წლით ადრე, ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. შეთითხნილი ბრალდებების საფუძველზე დააპატიმრეს და გისოსებს მიღმა გამოკეტეს. მუხინის აზრით, ამ ფაქტის შემდეგ იწყება სტალინის წინააღმდეგ ფარული შეთქმულებისთვის მზადება. ამას ისიც ნათელს ხდის, რომ 1953 წლის 28 თებერვალს ვლასიკის მოვალეობას თვით უშიშროების მინისტრი იგნატიევი ასრულებს.

2 მარტს დანიშნული სხდომა არ ჩატარდა. ქვეყნის ბელადს 1 მარტს, მოულოდნელად ინსულტი დაემართა. მხოლოდ 2 მარტს, დილის 9 საათზე გახდა ცნობილი, რომ სტალინი უგრძნობლად იწვა იატაკზე. მისი დაცვის წევრებმა დივანზე გადააწვინეს. ავადმყოფ ბელადთან ექიმები ძალზე დაგვიანებით გამოიძახეს, მაგრამ მათი მცდელობის მიუხედავად, იოსებ სტალინი იმ დღესვე, გრძნობაზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

ალბათ, საინტერესოა, თუ რას წერს ცნობილი ექიმი-თერაპევტი მიასნიკოვი, მოგვიანებით, 1989 წელს გამოქვეყნებულ მოგონებებში. მისი თქმით, 1953 წლის 2 მარტს, საღამოს კუნცევოში სტალინის აგარაკზე გამოიძახეს პროფესორი მიასნიკოვი, ნევროპათოლოგი კონოვალიოვი და ტარეევი. ადგილზე მისულებს დახვდნენ: საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის მინისტრი ტრეტიაკოვი, პროფესორი ლუკომსკი, პროფესორები – ტრაჩოვი, ფილიმონოვი და დოცენტი ივანოვ-ნეზმანოვი. ჯანმრთელობის მინისტრმა მათ აცნობა, რომ გასულ ღამეს სტალინს ტვინში სისხლი ჩაექცა, რის შედეგადაც ბელადმა დაკარგა ცნობიერება, მეტყველება და აქვს მარჯვენა ხელისა და ფეხის დამბლა.

წინა დღით, იოსებ სტალინი თავის კაბინეტში გვიან ღამემდე მუშაობდა. ღამის 3 საათზე დაცვის მორიგე ოფიცერმა დაინახა, რომ ის მაგიდასთან იჯდა. მთელი ღამე ოთახში სინათლე ენთო. კაბინეტში იდგა დივანი, რომელზეც სტალინი ხშირად ისვენებდა. დილის 7 საათისთვის მცველმა ისევ შეიხედა ბელადის კაბინეტში და დაინახა, მაგიდასა და დივანს შორის სტალინი გაშხლართული ეგდო. მას გრძნობა დაკარგული ჰქონდა. სტალინი დივანზე გადააწვინეს, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ექიმის მეთვალყურეობის გარეშე იმყოფებოდა.

ექიმთა დიაგნოზი ასეთი იყო: ჰიპერტონიისა და ათეროსკლეროზის ნიადაგზე მოხდა ჩაქცევა ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში.

3 მარტს მალენკოვის კითხვაზე, თუ როგორი იყო მათი პროგნოზი, კონსილიუმმა უპასუხა: „სტალინის სიკვდილი გარდაუვალია“. მალენკოვმა მათ აგრძნობინა, რომ თუ სამედიცინო ღონისძიებებით ვერ შეძლებდნენ ბელადის სიცოცხლის შენარჩუნებას, მაშინ გარკვეული დროით უნდა გაეხანგრძლივებინათ საბჭოთა ბელადის სიცოცხლე. ექიმები მიხვდნენ, რომ მათ საჭირო ფონი უნდა შეექმნათ – მოეგოთ დრო მომავალი ხელისუფლების ჩამოყალიბებამდე და რაც მთავარია, მოეხდინათ საზოგადოებრივი აზრის თანდათანობითი შეგუება სტალინის სიკვდილთან.

4 მარტს ექიმებმა სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით პირველი ბიულეტენი შეადგინეს, სადაც მრავალმნიშვნელოვანი ფრაზა ეწერა: „ტარდება მთელი რიგი თერაპიული ღონისძიება მიმართული ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის აღსადგენად“, რაც, ბუნებრივია, განკუთვნილი იყო ქვეყნისა და ხალხის დასაწყნარებლად. პარალელურად, საკავშირო „ცეკას“ ყველა წევრს გაუგზავნეს სასწრაფო გამოძახება მოსკოვში ჩასასვლელად. აღსანიშნავია, რომ გამოძახებისთანავე მოსკოვში ჩავიდა საქართველოს კპცკ-ს პირველი მდივანი აკაკი მგელაძე, რომელმაც თან ჩაიყვანა ცნობილი ქართველი თერაპევტი, პროფესორი ნიკოლოზ ყიფშიძე. თუმცა, მათი დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, ისინი სტალინთან არ შეუშვეს.

5 მარტს საზოგადოებას აცნობეს ბელადის გარდაცვალების ამბავი.

ამ დღიდან დაიწყო არნახული რეპრესიები. სტალინის პირადი მცველი, ხრუსტალიოვი მალე მოკლეს. ბუნებრივიცაა, მან ბევრი რამ უწყოდა. კიდევ ორმა მცველმა სიცოცხლე „თვითმკვლელობით“ დაასრულა. დაცვის ყველა დანარჩენი წევრი კი მოსკოვიდან გადაასახლეს. ამის შემდეგ, „უეცრად“ გარდაიცვალა პროფესორი რუსკოვი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა დიდი ბელადის სხეულის გაკვეთაში. გააუქმეს კრემლის სამკურნალო სამმართველო, ხოლო მისი უფროსი, პერინი დააპატიმრეს. თანამდებობა დაატოვებინეს საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის იმდროინდელ მინისტრს ტრეტიაკოვს და ორ ექიმთან ერთად, ვორკუტაში გადაასახლეს. იქ მათ სამსახური „მოუძებნეს“ და ტრეტიაკოვი მსჯავრდებულთა ბანაკის საავადმყოფოს მთავარ ექიმად დანიშნეს. ყველა ეს პიროვნება საშიში იყო ხრუშჩოვისა და მის მიერ ორგანიზებული შეთქმულების მონაწილეებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იური მუხინის დასკვნა ასეთია: იოსებ ბესარიონის ძე სტალინის უშუალო მკვლელებად ითვლებიან: ხრუშჩოვი, იგნატიევი და ჯერჯერობით, ვილაც უცნობი ექიმი. ნიკიტა ხრუშჩოვი ამ ფარული შეთქმულების უშუალო ხელმძღვანელი იყო. იგნატიევი წყვეტდა ჯუღაშვილის მკვლელობის ორგანიზაციულ საკითხებს, ხოლო უცნობმა ექიმმა დააჩქარა საბჭოთა ბელადის სიკვდილი.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**ლასურიშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ლასური**.

„კუმურდოელი იოანე **ლასურიძე** ერთგულების პირობას აძლევს მცხეთის კათალიკოსს – დავითს."

ამავე ძირისაა გვარები: **ლასურაშვილი** და **ლასურიძე**.

საქართველოში 216 **ლასურიშვილი** ცხოვრობს: მცხეთაში – 143, თბილისში – 54, საგარეჯოში – 19.

**გოგლიძე**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გოგოლა**.

**გოგლიძეები** 1941 წელს ამბროლაურის რაიონიდან, სოფელ უყეშიდან ასურეთში გადავიდნენ საცხოვრებლად.

ამავე ძირისაა გვარები: **გოგილიძე** და **გოგლიაშვილი.**

საქართველოში 874 **გოგლიძე** ცხოვრობს: თბილისში – 522, გორში – 92, ონში – 78. არიან სხვაგანაც.

158 – **გოგილიძე**.

**ბეგლარაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბეგლარი**, რომელიც თურქული წარმოშობისაა და თანამდებობის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა.

**ბეგლარ** ერისთავი 1809 წელს ევგენი აბაშიძის მიერ ანა ამილახვრისთვის მიწერილ წერილში მოიხსენიება.

**ბეგლარი** მარნეულის რაიონის ერთ-ერთი სოფლის ძველი სახელიცაა.

საქართველოში 457 **ბეგლარაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 363, გორში – 49, კასპში – 45.

**ბალუაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბალო.**

1721 წელს მოიხსენიება საკარის მცხოვრები ვახუშტი **ბალუაშვილი**.

გიორგი **ბალუაშვილი** მოიხსენიება სოფელ ჩხიკვათში ანდრია ბაიდარიშვილის ასულის, ქეთევანის თავდებად 1882 წელს.

საქართველოში 226 **ბალუაშვილი** ცხოვრობს: თელავში – 74, გურჯაანში – 58, თბილისში – 44. არიან სხვაგანაც.

**რამინაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **რამინი**, რომელიც ინდურ-ირანული წარმოშობისაა და მორჩილს, დამჯერს ნიშნავს.

1941 წელს სანდრო **რამინაშვილი** ამბროლაურის რაიონის სოფელ კაჩაეთიდან ასურეთში გადასახლებულა.

გაბრიელ **რამინიშვილი** მოიხსენიება არზაში მისი ვალის თაობაზე შედგენილ გიორგი მეთორმეტის ოქმში, 1860 წელს.

საქართველოში 264 **რამინაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 54, ქუთაისში – 44, ხობში – 26. არიან სხვაგანაც.

45 – **რამინიშვილი**: თბილისში – 32, სამტრედიაში – 4, აბაშაში – 2. არიან სხვაგანაც.

**მაკარაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მაკარი**, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა და ქართულად ბედნიერს, ნეტარს ნიშნავს.

1661 წელს ელიზბარ სოლოღაშვილის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება ივანე **მაკარაშვილი.**

1781 წელს ერტისში მოიხსენიება დავით სარდლის ყმა ივანე **მაკარაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარი **მაკარიძე.**




საქართველოში 467 **მაკარაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 301, მცხეთაში – 93, გარდაბანში – 73.

**გორგოშიძე**

**გორგოშიძეთა** გვარში ფუძედ გამოყენებულია მამაკაცის საკუთარი სახელი **გორგა.**

**გორგა** უძველესი საკუთარი სახელია, რომელიც ბევრ ისტორიულ წყაროსა თუ ხალხურ პოეზიაში გვხვდება.

ასევე, გვხვდება მამაკაცის საკუთარი სახელი **გორგიშა, გორგოშა.**

სხვათა შორის, **გორგოშა** გვხვდება ყველაზე ძველ ძეგლში – „ტბეთის სულთა მატიანეში".

**გორგა**, აგრეთვე, საფუძვლად უდევს მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში ერთ-ერთ ნაწარმოებ გვარს – **გორგაეთს**.

ზოგიერთმა მეცნიერმა საკუთარი სახელი **გორგა გიორგისთან** გააიგივა, რაც დაუშვებელია და მცდარია. ეს სახელი უფრო სპარსული სიტყვა – **„გორგადან"** იღებს სათავეს, რაც ქართულად „მგელს" ნიშნავს.

**გორგოშიძე-გორგოშაძე** გვარის ეტიმოლოგიას რამდენიმე მკვლევარი შეეხო. იოსებ ბექირიშვილმა ისინი **გოშუა-გოშაძეს** და **გორგოშიათა** გვარებს დაუკავშირა, რაც მართებული არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, მკვლევრებმა არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ გაცილებით ადრე, დაახლოებით მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, გვხვდება გვარები **გოშუანი** და **გოშვანი**.

**გორგოშაძე** აჭარული გვარია, **გორგოშიძე** კი – მისი განაყოფი გვარი.

**გორგოშაძეები** გურიაშიც ცხოვრობენ, მაგრამ, მათი უმრავლესობა **გორგოშიძედ** არის ჩაწერილი.

ამ გვარის წარმომადგენლები ძირითადად ცხოვრობენ კორნათში, აჭარისწყალში, ერგეთში, სიმონეთსა და ბათუმში. ეს გვარი თურქეთშიც გვხვდება, კერძოდ, მარადიდში, მაგრამ, აქ ისინი ოზგანად იწერებიან. როგორც ჩანს, მათი წინაპრები მღვდლები იყვნენ და მეტსახელად „ფაფაზი" შეურქმევიათ, შვილები კი საბუთებში ფაფაზოღლად ჩაწერეს, ხოლო ზოგიერთი მათგანი – იმამოღლად.

1614 წელს სვიმონ გურიელმა თავისი მამულის მოსახსენიებლად ბაოჭულა **გორგოშიძე** აჭის წმიდა გიორგის შესწირა და გამოსაღები დაუწესა.

საქართველოში 83 **გორგოშიძე** ცხოვრობს: ზუგდიდში – 48, ქუთაისში – 17, თბილისში – 14. არიან სხვაგანაც.

**ჯაჯანაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯაჯანა.**

**ჯაჯანაშვილების** მეორე გვარია თვაური.

1836 წლის აღწერით, ღვევის სასოფლო საზოგადოებაში მოიხსენიებიან დიმიტრი, დავით და იაკობ თვაურები. იგივე **ჯაჯანაშვილები.**

საქართველოში 231 **ჯაჯანაშვილი** ცხოვრობს: გურჯაანში – 173, თბილისში – 35, კასპში – 6. არიან სხვაგანაც.

**ხეჩუაშვილი**

გვარის ფუძეა მეტსახელი **ხეჩუა**.

**ხეჩ-ით** გაწყობილი გვარები ყველა ქართულია და მათი მატარებელნი ეროვნებით ქართველები არიან.

1721 წლის ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება ასლანა **ხეჩუაშვილი.**

საქართველოში 335 **ხეჩუაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 203, კასპში – 48, ბოლნისში – 40. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# როგორ დააბრუნა ბიძინა ივანიშვილმა კობა დავითაშვილი ცოლთან

**(მეცხრამეტე გვერდიდან)**

რეკავთ-მეთქი. მეგობარი ვარო. მერე, თუ მეგობარი ხართ, არ უნდა იცოდეთ, როდის მიდის და მოდის-მეთქი? სასწაულებრივად გადარჩა კობა.

**– არ ეუბნებით ხოლმე, რომ ზოგჯერ ზედმეტად ბევრს ლაპარაკობს და თავი უნდა შეიკავოს?**

– კი, ვეუბნები. სამწუხაროდ, ძალიან კარგად ვიცი, რა არის სწორი და რა – არა. მაგრამ, თუ რაღაც დამამტკიცებელი საბუთი არ აქვს, ჰაერზე არაფერს იტყვის. უკვე კარგად ვიცი, რა ადამიანიც არის – არ შეუძლია ტყუილები, სადაც საჭიროა ამის გაკეთება იქაც კი არ შეუძლია.

**– რას გულისხმობთ?**

– არც ჩემთან ეხერხება ტყუილის თქმა. ზოგჯერ ხომ სიმართლეს ტყუილი გირჩევნია და, ხანდახან ვეუბნები: მომატყუე, რა მოხდება, ნუ მანერვიულებ-მეთქი, მაგრამ, არ შეუძლია.

**– ეჭვიანი რომელი ხართ?**

– თვითონ არ არის ეჭვიანი, მე კიდევ მაგის დროც აღარ მაქვს, ისე ვარ დატვირთული. თუმცა, ცოტა ეჭვიანობა, რატომაც არა, კარგია.

**– ქმარზე ოდესმე გაგიგიათ რამე „ისეთი"?**

– ყოველთვის ვიცოდი როცა ეგეთი რაღაც ხდებოდა. არც ის ადამიანი ვარ, „გავატარო" – თუმცა, ისეთი სერიოზულიც არაფერი ყოფილა. მაგრამ, როცა ყოფილა, ყოველთვის თვითონვე უთქვამს. არ მინდა, მე ცოლი მერქვას და ის სხვა ქალთან პოულობდეს სითბოს. თუ სხვასთან ურჩევნია და ბედნიერია, მაშინ იქ იყოს.

**– არ გწყდებათ გული, რომ თქვენი ცხოვრება არ არის საინტერესო და მრავალფეროვანი?**

– მე არასდროს მრჩება დრო მეგობრებისთვის, სადმე წასასვლელ-წამოსასვლელად. რაც შეეხება გულდაწყვეტას, არ მწყდება გული, იმიტომ, რომ ჩვენ ასე გადავწყვიტეთ. კობა არც თვითონაც არის გართობის მოყვარული ადამიანი – სახლში უყვარს ყოფნა. სუფრასაც კი სახლში შლის ხოლმე როცა მისი მეგობრები მოდიან და არა რესტორანში. ასე რომ, მაგ მხრივ განსხვავებები არ გვაქვს – მეც მიყვარს ჩემი სახლი და მასაც. ისე, ძალიან თავისუფალი ადამიანი ვარ, არაფერში არ მზღუდავს, არ მეუბნება – იქ არ წახვიდე, აქ არ წამოხვიდეო...

**– კობა რომ დიეტაზე იყო, მახსოვს, როგორ უწყობდით ხელს, დიეტურ კერძებს უმზადებდით. ახლაც არის დიეტაზე?**

– ზაფხულში ენდოკრინოლოგთან იყო და მკურნალობა დაუნიშნა. სამი თვე გრამებით ვუწონიდი, რა უნდა ეჭამა, მაგრამ, ქუთაისში გადასვლის შემდეგ ამას ველარ ახერხებს.

**– ჯანმრთელობას ხომ არ უჩივის?**

– გერმანიაში იყო სამკურნალოდ, ოქტომბრის დასაწყისში ჩამოვიდა, მალებზე გაუკეთეს გამაყუჩებელი ნემსები და იმის წყალობით არის, რომ დადის. მერე ოპერაცია უნდა გაეკეთებინა, მაგრამ, აღარ გაიკეთა. კისრის მალები აქვს ამოვარდნილი და მოძრაობა უჭირს. ამიტომ არ ჩანდა „ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანიის დროს.

**ეკა პატარაია**

# გეშინია მისი დაკარგვის?



*ამბობენ, ეჭვი საყვარელი ადამიანის დაკარგვის შიშიაო. თუმცა, ნდობის გარეშე ურთიერთობა ძნელად გამოდის. ჩნდება ეჭვი – ქრება სიახლოვე. ნახეთ, თქვენ ხომ არ შემოგეპარათ ეს სენი.*

**1. თქვენი რჩეული ძალიან მეგობრულია. ყოფილ შეყვარებულთანაც კი მეგობრობს:**

ა) საშინელებაა. ამას ვერ მოვითმენ;
ბ) არ არის პრობლემა. არაფერს ვეტყვი;
გ) ვეცდები, მეც ვიმეგობრო მასთან.

**2. გითხრეს, რომ თქვენი რჩეული, საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან ერთად ნახეს:**

ა) ყურადღებას არ მივაქცევ ამ ამბავს;
ბ) მაინც შევეკითხები, ვინ იყო;
გ) თვალთვალს დავუწყებ.

**3. თქვენი პარტნიორის ტანსაცმლის ჯიბეები, საფულე, შეგიმოწმებიათ?**

ა) არა. არავითარ შემთხვევაში არ ვიზამ ამას;
ბ) ზოგჯერ ვამოწმებ;
გ) ყოველთვის ვაკეთებ ამას.

**4. შეგიძლიათ, მშვიდად აიტანოთ თქვენი პარტნიორის ტელეფონით ხანგრძლივი საუბარი?**

ა) არ ვიცი. ალბათ, არა;
ბ) ყურადღებას არ მივაქცევ;
გ) არანაირად.

**5. რით ახსნით იმას, რომ თქვენ შორის სიახლოვე ნელ-ნელა სუსტდება?**

ა) ალბათ, სიყვარული ქრება;
ბ) სამსახური, პრობლემები, ყოფითი პერიპეტიები;
გ) ეს ხომ ბუნებრივია?!

**6. როცა თქვენს პარტნიორს სამსახურიდან ურეკავენ:**

ა) ჩუმად გავდივარ ოთახიდან;
ბ) ვნერვიულობ, იქნებ ეს ზარი სამსახურიდან არ არის;
გ) ვბრაზობ. რატომ არ ასვენებენ?

**7. პარტნიორი ძალიან დიდ დროს ატარებს ინტერნეტში...**

ა) ვთხოვ, რომ მოეშვას ამ მავნე ჩვევას;
ბ) არ არის პრობლემა, გაერთოს. დაიღლება და გაჩერდება;
გ) აუცილებლად დავაკვირდები, კონკრეტულად რითაა დაკავებული.

**8. როგორი რეაქცია გაქვთ, როცა პარტნიორი საპირისპირო სქესით აღფრთოვანდება ხოლმე?**

ა) ნორმალური. ბუნებრივია;
ბ) ვღიზიანდები, მაგრამ არ ვამჟღავნებ;
გ) ძალიან ვბრაზობ.

**9. ხშირად გიჩნდებათ სურვილი, რამდენიმე საათი მარტოობაში გაატაროთ?**

ა) არა. რა სისულელეა;
ბ) ხანდახან – ეს ხომ ბუნებრივია;
გ) ხშირად.

**10. თუ პარტნიორი ხშირად აგვიანებს სახლში მოსვლას:**

ა) ვნერვიულობ, არაფერი შეემთხვეს;
ბ) ბოლოს მაგრად ვეჩხუბები;
გ) ვიწყებ ეჭვიანობას.

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 5 | 1 | 1 | 3 | 5 | 1 | 3 | 5 | 1 | 3 |
| ბ | 1 | 3 | 5 | 1 | 3 | 5 | 1 | 1 | 3 | 5 |
| გ | 3 | 5 | 3 | 5 | 1 | 3 | 5 | 3 | 5 | 1 |

### დათვალეთ ქულები:

*10-23 ქულა: ძალიან ენდობით თქვენს პარტნიორს. ან მეტისმეტად გულუბრყვილო ხართ, ან არ გაინტერესებთ. ცოტა გამოფხიზლდით.*

*24-37 ქულა: ოქროს შუალედი ნაპოვნია. ზუსტად იცით, სადამდე უნდა ენდოთ. არავითარი შიში არ გაქვთ. ეს უკვე კარგია.*

*38-50 ქულა: ნუთუ ეს სიყვარული ადამიანის დაკარგვის შიშია? ფსიქოლოგები იტყოდნენ, დევნის მანიააო. გახსოვდეთ, ეჭვი ურთიერთობასაც აფუჭებს და ნერვებსაც.*

## უბრალო „სიხარულები“

***ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი ყველაზე ბედნიერი ადამიანები არიან – ყველაფერი აქვთ, რაც კი შეიძლება ინატრონ: დიდება, იახტები, ვილები ტროპიკულ კუნძულებზე, ბრილიანტები და ბრენდები... მიუხედავად ამისა, ჰოლივუდის ვარსკვლავები ძალიან უბრალო „სიხარულებზე“ ოცნებობენ...***



**კეიტ ჰადსონს** დედამ ასწავლა, რომ ყველა ადამიანს შეუძლია, იყოს ბედნიერი, თუკი დილით გაიღვიძებს და ის დღე კეთილად ჩაივლის. კეიტი ოცნებობს, რომ, ისევე, როგორც ბავშვობაში, კვლავ დედამ გააღვიძოს დილაობით. მაშინ ის უბედნიერესი იქნებოდა.

**სანდრა ბალოკს** სიხარულს სოფელში ცხოვრება მოუტანდა – სადმე, ტყის სიღრმეში ჩამდგარ ქოხში. მოუვლიდა ცხოველებს, ძროხასაც კი მოწველიდა.

**კირა ნაითლი** ამბობს, რომ დიდ სიხარულს მოჰგვრიდა სახლის მშენებლობაზე მუშაობა: ლურსმნების მიჭედება, ფიცრების გაშალაშინება...

**კეიტ უინსლეტი** ამბობს, რა კარგი იქნებოდა, მხოლოდ დიასახლისობით რომ ვიყო დაკავებულიო. დავდგებოდი გაზქურასთან და უამრავ ორიგინალურ კერძს მოვიგონებდი და თან ვიღიღინებდიო, – ოცნებობს „ტიტანიკის“ ვარსკვლავი.

**ქემერონ დიასის** ოცნებაა, ჰქონდეს იმდენი დრო, რომ ხელით რაღაც აქსესუარები, ლამაზი ნივთები შექმნას... შეკეროს ან მოქსოვოს, თუმცა, ალბათ, ჯერ კერვა და ქსოვა უნდა ისწავლოს...

## დედოფლის სამარხში!

მაიას ტომის უძველესი მმართველის სამარხი აღმოაჩინეს გვატემალაში. სამარხი მთლიანად ძვირფასი ქვებით არის შემკული – ძირითადად, ნეფრიტითა და დაუმუშავებელი ლალით. სპეციალისტების აზრით, სამარხი ეკუთვნოდა ქალს, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 700-400 წლებში ცხოვრობდა. იმაზე, რომ სამარხში ნამდვილად მაიას ტომის ბელადი-ქალი განისვენებდა, მეტყველებს სამკაული, რომელზეც ამოტვიფრულია მაიას ტომის დიდგვაროვნების დამადასტურებელი ნიშნები. სამწუხაროდ, სამარხი იმდენად ძველია, რომ მასში ნეშტის არანაირი ნარჩენი არ აღმოჩნდა.



ექსპერტებმა, რომლებმაც ნაპოვნი ძვირფასი თვლები დაათვალიერეს, დაამტკიცეს, რომ მაიას ტომებში იუველირთა ხელობა საკმაოდ მაღალ რანგში იყო აყვანილი. ორი ასეთივე სამარხი აღმოჩენილია სამხრეთ მექსიკაში და ჰონდურასში. საქმე ისაა, რომ ჰონდურასში უხსოვარ დროში მაიას ტომის წინაპრები – ოლმეკები ცხოვრობდნენ. გამორიცხული არ არის, რომ ოლმეკებსა და მაიას ხალხებს შორის იმაზე მჭიდრო კავშირი არსებობდა, ვიდრე აქამდე ვარაუდობდნენ მეცნიერები.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

ღამის ორ საათზე ოუენ კენდრიკმა ცოლი გააღვიძა და ჰკითხა, გასროლის ხმა ხომ არ გაგიგიაო. ქალმა თვალები მოიფშვნიტა და უთხრა, არაო. მე კი გავიგონე. მგონი, მეზობელ ბინაში რაღაც მოხდა, უნდა გავიდე და ვნახოო.

– რატომ? შარი გინდა? მოვიდეს პოლიცია და გაარკვიოს...

– შენ ნუ გეშინია, რამე რომ მომხდარიყო, მკვლელი იქ უკვე აღარ იქნება.

– ღმერთო... შენ მაინც ფრთხილად იყავი!

ოუენი ცოლს აღარ უსმენდა. კიბეზე ხტუნვით ჩავიდა და გვერდით სადარბაზოში შეირბინა. სწორედ იქ იყო ბინა, რომლის ორი კედელი მისი ბინის საძინებელი ოთახის კედელს ებჯინებოდა. სტანდარტული ტიპის, საშუალო დონის ბინებს მეტისმეტად თხელი კედლები ჰქონდა. მეოთხე სართულზე ასულმა, რაც შეიძლება ჩუმად შეაღო კარი. მხოლოდ წუთით მიაყურადა და შიგნით შეაბიჯა. აბსოლუტურ სიჩუმესა და ნახევრად ბნელ ოთახში, ფანჯარასთან ზორბა მამაკაცი იდგა. როცა შემობრუნდა, კენდრიკმა მის მზერაში დაბნეულობა და შიში ამოიკითხა.

– რა ხდება აქ? – ხმა გაიმკაცრა ოუენმა, – ჯერ მამაკაცის ოხვრა გავიგონე, მერე ქალის შეკივლება, ბოლოს კი – გასროლის ხმა. მე გვერდით ბინაში ვცხოვრობ და ყველაფერი მესმის.

– მე არ ვიცი, თქვენ რა გესმით, მაგრამ ბინაში მარტო ვარ და ბუნებრივია, არც არავითარი ხმები არ ყოფილა.

კენდრიკმა მხრები აიჩეჩა.

– კარგი. მაშინ მე პოლიციაში წავალ და ყველაფერს მოვყვები. იმათ გადაწყვიტონ, რა იყო და რა არა.

მამაკაცი შესამჩნევად გაფითრდა.

– მოითმინეთ. მე არაფერ შუაში ვარ. მართლა. თუმცა, ალბათ, ახლა ამაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს. „ის“ საძინებელშია.

ოუენი საძინებელ ოთახში შევიდა. ფართო საწოლზე, რომელიც თითქმის მთელ სივრცეს ფარავდა, გარდიგარდმო ახალგაზრდა ქალი იწვა. შიშველ სხეულს არაფერი უფარავდა. ოცდაათი წლის თუ იქნებოდა, ქერა თმით და მსხვილი, ვნებიანი ტუჩებით. გახელილ თვალებში შიში და განცვიფრება ჩასდგომოდა. ნატყვიარი პირდაპირ შუბლზე ჰქონდა, თითქოს მიბჯენით ესროლესო. თუმცა, ოუენი დიდად არ აუღელვებია, ისევ მისაღებში დაბრუნდა. სავარძელში ჩაჯდა და ირონიული ღიმილით მიაჩერდა იქ მყოფ მამაკაცს.

– ვილიამ მაგრუდერი ვარ. მის დიკარლო ჩემს ოფისში მდივნად მუშაობდა. ზოგჯერ დოკუმენტები სახლში მომქონდა ხოლმე მასთან... დღესაც მოვედი და...

– ნუ მიხსნით, ისედაც ყველაფერი გასაგებია. როგორც ვხვდები, სკანდალი არაფერში გჭირდებათ. წარმომიდგენია, როგორი რეაქცია ექნება ცოლს... გყავთ, ხომ, ცოლი?

მაგრუდერმა ამოიოხრა.

– დიახ... და სამი შვილიც... მაგრამ მე არანაირი კავშირი არ მაქვს...

– არ გინდათ, ნუ მიხსნით. ეგ ყველაფერი პოლიციაში დაგჭირდებათ.

– პოლიციაში? მე რა მინდა პოლიციაში. მე არ მომიკლავს მის დიკარლო.

– ვშიშობ, გაგიჭირდებათ ამის დამტკიცება, – მხრები აიჩეჩა ოუენმა, – მე ვარჩევდი, პოლიციას საერთოდ არ გაეგო ჩემი აქ ყოფნის შესახებ. თუმცა, ეს უკვე თქვენი გადასაწყვეტია. ჩემზე რაც იქნება დამოკიდებული, პრობლემებს არ შეგიქმნით. იფიქრეთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ დრო ცოტა გაქვთ.

მისტერ მაგრუდერი გამოცოცხლდა.

– გავიგე... და რა დამიჯდება თქვენი სიჩუმე?

– სულ რაღაც ორმოცდაათი ათასი დოლარი.

– კარგი. ორი დღის შემდეგ მობრძანდით ჩემს ოფისში – „მაგრუდერი და კომპანია“ და მიიღებთ თქვენს ფულს.

– ჩემს ფულს? მგონი, მე ის დავიმსახურე. როგორი საინტერესო სანთებელაა, ოქროსია?

# მესამე სანთებელა

## რობერტ კოლბი

მაგრუდერმა უხერხულად დახედა ხელში შერჩენილ სანთებელას, რომელზეც მისი ინიციალები იყო...

– მოკლედ, შევთანხმდით.

ოუენი შესანიშნავ გუნებაზე დაბრუნდა სახლში. ცოლს არ ეძინა.

– რა ქენი?

– ყველაფერი შესანიშნავად არის, უკეთესი რომ არ შეიძლება.

– რას ამბობ? აბა, ისროლესო...

– ჩვენთვის ისროლეს, საყვარელო, ჩვენთვის... ოუენი მოკლედ მოუყვა მომხდარის შესახებ.

– დარწმუნებული ხარ, რომ მოგცემს ფულს და არ გადაგაგდებს? – დაეჭვებით იკითხა ცოლმა.

– ვერ გაბედავს. პოლიციაზე მეტად ამ საქმის გახმაურების შეეშინდება. ხუმრობა ხომ არ არის, როცა ასეთ მსხვილ ბიზნესმენს საკუთარი საყვარლის მკვლელობაში სდებენ ბრალს.

ორი დღის შემდეგ ოუენ კენდრიკი მასტერ მაგრუდერის კაბინეტში იჯდა და სიამოვნებით ეფერებოდა სქელ კონვერტს, რომელშიც ტკიცინა დოლარები ეწყო. ბიზნესმენი სერიოზული და მკაცრი იყო. თავიც ამაყად ეჭირა.

– იმედი მაქვს, ჩვენ აღარასდროს შევხვდებით.

– არასოდეს თქვა არასოდეს, – გაიღიმა ოუენმა.

მაგრუდერმა ხელის აქნევით შეაჩერა.

– ამ შემთხვევაში, შემიძლია ვთქვა. კონვერტში ასი ათასი დოლარია – ეს არის თქვენი სიჩუმის საბოლოო ფასი. ვიცნობ თქვენნაირ ადამიანებს და გაფრთხილებთ, მეორედ აღარ გაბედოთ აქ მოსვლა. თქვენი მოკვლა მაგ თანხის მესამედიც არ დამიჯდება. მერწმუნეთ, ამას ისე გავაკეთებ, სინდისი ოდნავადაც არ შემაწუხებს. ჩემი კეთილი რჩევა იქნება, არ ჩაყოთ ცხვირი იქ, სადაც წაიტეხთ. მით უმეტეს, რომ მის დიკარლოს მკვლელობაზე უკვე დააკავეს ეჭვმიტანილი. კაცი, რომელმაც მას ავტომატური პისტოლეტი აჩუქა. იარაღი იქვე, საწოლთან იპოვეს.

– ჰო, მაგრამ ჯერ არ არის დადასტურებული, რომ სწორედ იმ იარაღიდან ესროლეს. გაზეთებში ასე ეწერა.

– მე ეს არ მაინტერესებს. აღარ მინდა რამე ვიცოდე ამ მკვლელობის შესახებ. მიბრძანდით, მისტერ კენდრიკ, მშვიდობით.

– კარგად ბრძანდებოდეთ, მისტერ მაგრუდერ. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

ბიზნესმენმა აღარ უპასუხა. სიგარა გააბოლა და ამით მიახვედრა, შენთან ლაპარაკი დავამთავრეო.

ოუენ კენდრიკის შემოსავალი არასოდეს ყოფილა ათას დოლარზე მეტი. დანაზოგი სამას დოლარსაც არ აღემატებოდა. მის ცოლსაც უბადრუკ გროშებს უხდიდნენ კოსმეტიკურ ფირმაში.

– ასი ათასი! – წამოიკივლა ელეინ კენდრიკმა, – ღმერთო ჩემო, ამ ფულით მეფეებივით ვიცხოვრებთ. საკუთარ სახლს ვიყიდით პრესტიჟულ უბანში, წვეულებებს მოვაწყობთ. აქაურობას მოვშორდებით და რივიერაზეც დავისვენებთ... ოუენ, როგორ წარმოუდგენლად გაგვიმართლა იმ ქერა თოჯინას სიკვდილით.

– ჰო, აბა, რა. ამ რაიონიდან მართლა უნდა წავიდეთ. ან სულაც სხვა შტატში გადავიდეთ საცხოვრებლად. მაგალითად, ფლორიდაში.

– მართლა? – ქალი აღფრთოვანებით მოეხვია ქმარს, – საყვარელო, როგორ გამახარე... ფლორიდაზე ყოველთვის ვოცნებობდი.

სასამართლოზე ვინმე ლილი გედისმა თქვა, რომ ნამდვილად აჩუქა პისტოლეტი მის დიკარლოს, რომელმაც ერთხელ შესჩივლა, ვიღაც უცნობი მამაკაცი მითვალთვალებსო... მას მერე პისტოლეტი აღარ უნახავს. გედისი უარყოფდა, რომ მკვლელობის ღამეს ნახა გარდაცვლილი. თუმცა, მოკლულის მიერ ნაჩუქარი, ინიციალებიანი ოქროს სანთებელა მასთან ინტიმურ კავშირს ადასტურებდა. გამოძიებამ ისიც დაადგინა, რომ გედისი დიკარლოს ერთადერთი საყვარელი არ ყოფილა. მკვლელობის მოტივად ეჭვიანობა დაასახელა და დაკავებული სასამართლოს წინაშე წარდგა. მიუხედავად იმისა, რომ გედისის ადვოკატი თავისი კლიენტის უდანაშაულობის დამტკიცებას თავგამოდებით ცდილობდა, მას მაინც სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

ამ დროს ოუენ და ელეინ კენდრიკებმა ფლორიდის პრესტიჟულ რაიონში სახლი შეიძინეს და ახალი ნაცნობებიც გაიჩინეს. ოუენმა ძვირფასი ავტომობილიც იყიდა. გარეგნობაც ხელს უწყობდა, რომ ნამდვილად მოეპოვებინა ქალბატონების კეთილგანწყობა. ელეინი დიდი ხანია, ყელში ამოუვიდა, მაგრამ ცოლს ვერ გაეყრებოდა. ეს სახიფათო იყო... სამაგიეროდ, მოიფიქრა, როგორ მოეშორებინა ხოლმე ელეინი რამდენიმე დღით. იმ კოსმეტიკური ფირმის წილი უყიდა, რომელშიც მანამდე დისტრიბუტორად მუშაობდა. ახლა ელეინს მივლინებებში ხშირად უწევდა წასვლა ახალი პროდუქციის პრეზენტაციებზე. ოუენი კი თავისუფლებით ტკბებოდა... იმ დღესაც თავის ახალ საყვარელთან ერთად ძვირფასი სასტუმროს აივანზე, მზეს იყო მიფიცხებული და ხელში შერჩენილ ოქროს სანთებელას, რომელზეც ინიციალები იყო ამოტვიფრული, არხეინად ათამაშებდა.

– რა ლამაზია. ოქროსია? – მოეწონა ქალს, – საიდან გაქვს?

– ერთმა შენსავით ქერა ლამაზმანმა მაჩუქა, ცუდი ჩვევა ჰქონდა, თავის ყველა საყვარელს ერთნაირ სანთებელებს სჩუქნიდა. – ოუენმა გაიცინა, როცა გაახსენდა, როგორ ოსტატურად დაგეგმა მკვლელობა. ოსტატურად და სარფიანად. დიკარლომ შეცდომა დაუშვა, როცა მის გვერდით აყიდინა ბინა იმ სულელ მაგრუდერს და მოითხოვა, ცოლად შემირთეო... კენდრიკი სანთებელას დააშტერდა და უცებ თავის საყვარელს გაუწოდა.

– აჰა, გამომართვი. ჩემგან გქონდეს, სახსოვრად...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მკვდარი ვერსია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №7-10(636)

– ეს რა არის? – ცივი ხმით წარმოთქვა ზურაბმა.

– ნანა სირაძის აღიარება, – უპასუხა ფიფიამ, – რას იტყვი, ხომ მაგარია?

– ძალიან... და ამის სისხლის სამართლის საქმეში ჩადებას აპირებ? – ჰკითხა ზურაბმა.

– მთლიანად არ გამოდგება, მხოლოდ ჩემთვის საინტერესო მონაკვეთს ამოვილებ ჩვენების სახით, ნანა სირაძე კი ხელს მოაწერს.

– ნანა სირაძემ ისედაც აღიარა, რომ ვერულიძეს იცნობდა. გვითხრა, რომ მის მეუღლესა და ვაჟას შორის გარკვეული უთანხმოება არსებობდა. რაა ახალი ამ ჩვენებაში, „კეთილო” გამომძიებელო?

– არც ერთი მოწმე და ეჭვმიტანილი ბოლომდე არ ამბობს სათქმელს. ადამიანებს არ უყვართ საკუთარი პიროვნების მუქ ფერებში წარმოჩენა. ყველა ცდილობს, ფრთიან ანგელოზად მოგვაჩვენოს თავი და გამონაკლისი არც ნანა სირაძეა. ვერულიძე ცოცხალი რომ იყოს, სხვანაირად მივუდგებოდი მას, მაგრამ, ახლა აღარ ღირს.

– მაინც, როგორ მიუდგებოდი? – ჰკითხა ზურაბმა.

ფიფია სკამის საზურგეს მიეყრდნო, სიგარეტს მოუკიდა და აუჩქარებლად განაგრძო:

– ჩემთვის უკვე ყველაფერი გასაგებია. მიზეზს თავი გავანებოთ, ფაქტი კი ისაა, რომ ნანა სირაძე უკმაყოფილო იყო მეუღლით. ამ დროს გაიცნო ვაჟა ვერულიძე. ქალმა ქმართან განქორწინება გადაწყვიტა, მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, მისგან უარი მიიღო – აი, ესაა ამოსავალი წერტილი. სწორედ მაშინ იშვა ანდრო სირაძის მკვლელობის იდეა და, ალბათ, გეგმაც!

– მოტივი? – ჰკითხა ზურაბმა.

– ეს ხომ ელემენტარულია!.. – წინ გადაიხარა ფიფია და ზურაბს თვალებში ჩააცქერდა, – ვერ ხვდები, რატომ თქვა უარი ანდრო სირაძემ განქორწინებაზე? ქალბატონმა ნანამ პირველი შეხვედრისას გვითხრა, რომ მათ საერთო ბიზნესი ჰქონდათ, უბრალოდ, საქმეებს მისი მეუღლე უძღვებოდა. განქორწინება თავისთავად გაყოფდა მათ ქონებას, აქედან გამომდინარე – ბიზნესსაც. სწორედ ამიტომ არ სურდა ანდრო სირაძეს განქორწინება. ახლა ვაჟა ვერულიძის პოზიციიდან შევხედოთ ამ საქმეს: ანდრო სირაძის თავიდან მოშორების შემთხვევაში, ნანა სირაძესთან ერთად, ის კარგად აწყობილ ბიზნესსაც ჩაიგდებდა ხელში – განა ეს სერიოზული მოტივი არ არის მკვლელობისთვის?

– მერე, მერე? განაგრძე...

– დანარჩენი იოლი წარმოსადგენია. ჩემი აზრით, ანდრო სირაძე დარწმუნდა, რომ განქორწინებას თავიდან ვერ აიცილებდა და შესაძლოა, გარკვეული შეთანხმების დადება სცადა ვერულიძესთან. სწორედ ამისთვის მიიწვია სახლში. ვერულიძეს კი უკვე ჰქონდა მასთან ურთიერთობის გამოცდილება და, იმის შიშით, რომ სირაძე ისევ მუშტების ქნევაზე გადავიდოდა, შეხვედრაზე შეიარაღებული მივიდა. რა თქმა უნდა, ჩვენ ველარასოდეს გავარკვევთ, ზუსტად რა მოხდა სირაძის ბინაში – შესაძლოა, ვერულიძემ მაშინვე მოკლა მასპინძელი; შესაძლოა მკვლელობა საუბრის შემდეგ მოხდა. თუმცა, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აღარ აქვს – ფაქტი ფაქტად რჩება: ის შეხვედრა საბედისწერო აღმოჩნდა ანდრო სირაძისთვის!.. ახლა ამ საქმეში მხოლოდ ნანა სირაძის როლია გასარკვევი. მე არ მჯერა მისი ნაამბობის. არ ჰგავს ის ისეთ ქალს, რომელიც ვერულიძეს მხოლოდ მთვარის შუქზე რომანტიკული საუბრებისთვის შეხვდებოდა. შესაძლოა, სწორედ მისი ორგანიზებულია ანდრო სირაძის მკვლელობა... რას იტყვი? უფრო მაგრად ხომ არ მოვკიდოთ ხელი? არა მგონია, დიდხანს გაქაჩოს... – ფიფიამ მოლოდინით აღსავსე მზერა მიაპყრო ზურაბს.

– ნინუას მკვლელობაზე რა აზრის ხარ? – ჰკითხა მან, – ესეც ნანა სირაძემ ხომ არ დაუკვეთა ვერულიძეს?

– არა მგონია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ველარასოდეს შევიტყობთ!

– კეთილი... შენი ვერსიით, რა მიმართულებით უნდა გაგრძელდეს საქმის ძიება?

– ძიება?! – გაოცებით შეხედა რეზომ, – რომელ ძიებაზეა საუბარი? უკვე ყველაფერი გაირკვა. ნანა სირაძეზე დროის დაკარგვა არ ღირს. დღესვე შევადგენ დადგენილებას საქმის დახურვის შესახებ და მასალებს ზედამხედველ პროკურორს გადავცემ...

ვიდრე რეზო ლაპარაკობდა, ზურაბი აუჩქარებლად გადასწვდა დიქტოფონს და მეხსიერების ჩიპი ამოაცალა.



– რას აკეთებ?! – დაიბნა ფიფია, – ეგ მონაცემები დაკითხვის ოქმის შესადგენად მჭირდება!

– აქედან ერთ სიტყვასაც ვერ შეიტან დაკითხვის ოქმში, ნანა სირაძეს მე თვითონ დავკითხავ! – უპასუხა ზურაბმა.

– რას ნიშნავს ეს?! – დაუფარავი ბრაზით ჰკითხა ფიფიამ.

– იმას, რომ შენთვის არავის მოუცია ადამიანების სულებში ხელის ფათურის უფლება!.. დაკითხვა მკაცრად განსაზღვრული საგამოძიებო მოქმედებაა და არა გულითადი საუბარი! მე არ მოგცემ უფლებას, ნანა სირაძის მიერ ნათქვამი მრავალი ფრაზიდან შენთვის სასურველი ჩვენების შეკოწიწების საშუალებას – ეს პირველი... და, მეორე: დღეიდან ყველა დაკითხვას ჩემთან ერთად ჩაატარებ! – ცივად თქვა ზურაბმა.

რეზო დაჟინებით ჩააცქერდა თვალებში და ავად გამოცრა:

– ამის საჭიროებას ვერ ვხედავ. არ მჯერა შენი და გურამის ადამისჟამინდელი დედუქციური მეთოდების. მე საქმეში მხოლოდ მყარი ფაქტებით ვხელმძღვანელობ. ფაქტები კი ასეთია: ანდრო სირაძე მოკლა ვერულიძემ – ეს დასტურდება მის მობილურ ტელეფონზე გაგზავნილი შეტყობინებით, ბინიდან ამოღებული ვერულიძის თითის ანაბეჭდებით, ნანა სირაძის ჩვენებითა და ვერულიძის ბინიდან ამოღებული პისტოლეტით. ვერულიძემ თავი მოიკლა და ეს დასტურდება იმავე პისტოლეტით. ანდრო სირაძის მკვლელობამდე ვერულიძემ ნინუა მოკლა და ეს ისევ და ისევ მისი ბინიდან ამოღებული პისტოლეტით დასტურდება. ასე რომ, ჩემთვის ეს საქმეც დახურულია! – ტყვიამფრქვევივით მიაყარა ფიფიამ.

– საქმე მაშინ დაიხურება, როცა მე ვიტყვი ამას! – ცივად უპასუხა ზურაბმა.

– ნუ მეჭიდავები, ზურაბ, ვერ გაქაჩავ!

– რაში მჭირდება შენთან ჭიდაობა?.. უბრალოდ, მე ჩემს საქმეს ვაკეთებ. შენ ვის საქმეს აკეთებ?

– არაფრისმომცემია ეს საუბარი. არ გეკამათები, რადგან, ვიცი, რომ შენს დარწმუნებას ვერ შევძლებ. დაე, ჩვენი დავა პროკურატურამ გადაწყვიტოს! – თქვა რეზომ, მერე დიქტოფონი აიღო და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

* * *

რეზომ დიდი ხნით აღარ გადადო დანაპირების შესრულება – მეორე დღეს ზურაბი ზედამხედველმა პროკურორმა კოტე რუხაძემ საქმის შესახებ სასაუბროდ დაიბარა პროკურატურაში.

ზურაბი სტუდენტობიდან იცნობდა რუხაძეს. ის სწორედ კოტეს მიზეზით გარიცხეს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიდან. კოტეს სწავლაში არასოდეს ჰქონია განსაკუთრებული წარმატებები – ის ერთი ულიმღამო, საშუალოზე დაბალი მონაცემების სტუდენტი იყო. მაგრამ, ეს „საშუალო” სტუდენტი რექტორატისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობისთვის ერთობ საჭირო საქმიანობით იყო დაკავებული: მის მახვილ თვალს ვერაფერი გამოეპარებოდა. საკმარისი იყო, რომელიმე სტუდენტს დაეგვიანა ან ლექცია გაეცდინა, ან ხელისუფლება გაეშარჟებინა, ან, კიდევ უარესი – მის მიმართ უკმაყოფილება გამოეთქვა, რაც მოუნანიებელ ცოდვად ითვლებოდა კომუნისტურ საზოგადოებაში, რომ ამის შესახებ დაუყოვნებლივ ხდებოდა ცნობილი რექტორატისთვის. ამის გამო მასთან ურთიერთობას სტუდენტების უმეტესობა გაურბოდა. მას არ სწყალობდა პროფესორ-მასწავლებელთა ნაწილიც, რომელსაც ასეთი საქმიანობა ახალგაზრდა კაცისთვის სამარცხვინოდ მიაჩნდა.

კონფლიქტი ზურაბსა და კოტეს შორის მეორე კურსზე მოხდა. იმხანად საქართველოში

უკვე აშკარად იგრძნობოდა უკმაყოფილება კომუნისტური რეჟიმის მიმართ. ხელისუფლებაც, თავის მხრივ, გააფთრებული ებრძოდა უკმაყოფილების ყოველგვარ გამოვლინებას, თუმცა, ამ პროცესის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. საუბრებმა, რომლებიც ადრე უნივერსიტეტის ბაღში და დერეფნებში იმართებოდა, თავისთავად გადაინაცვლა აუდიტორიებში.

ერთ-ერთ ლექციაზე პროფესორი ვაშაყმაძე ღიად ესაუბრა სტუდენტებს საქართველოში ბოლშევიკების მიერ მოწყობილ ტერორზე, რომელმაც ქართული ინტელიგენციისა და თავადაზნაურობის უდიდესი ნაწილი იმსხვერპლა. უამბო იმაზე, თუ როგორ მალულად, ყველასთვის ფარულად ხვრეტდნენ არყით გამობრუჟული წითელი კომისრები საქართველოს საუკეთესო შვილებს. ამ საუბრის შესახებ კოტეს მიერ ორიგინალურად შედგენილი მოხსენებითი ბარათი სასწავლო დღის დამთავრებამდე მოხვდა რექტორატში. შედეგად, დამსახურებული პროფესორი, რომელიც განსაკუთრებით უყვარდათ სტუდენტებს, ანტისაბჭოთა პროპაგანდისთვის უნივერსიტეტიდან დაითხოვეს. მომხდარმა ძალიან გაალიზიანა სტუდენტები. ზოგმა პირდაპირ უთხრა რუხაძეს, რომ ამიერიდან მათ სიახლოვეს აღარ გამოჩენილიყო, ზოგმა ზიზღით აღსავსე მზერა აკმარა. ზურაბმა კი საპირფარეშოში შეამწყვდია „ჯაშუში" და უმოწყალოდ სცემა. შედეგმაც არ დააყოვნა: თანაკურსელისა და „აქტივისტი კომკავშირელის" ცემისთვის ის დაუყოვნებლივ გარიცხეს უნივერსიტეტიდან, თანაც, ისეთი დახასიათებით, რომ მისთვის საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის კარი სამუდამოდ დაიხურა. ზურაბს ორი წელიწადი და ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა ხელახლა ჩარიცხულიყო იურიდიულ ფაკულტეტზე, ოღონდ, ამჯერად, ურალის ქედს მიღმა, ორენბურგის იურიდიულ ინსტიტუტში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყო მუშაობა. იმ პერიოდში რუხაძე თბილისის პროკურატურაში მოღვაწეობდა. მუშაობისას მათ მხოლოდ რამდენჯერმე მოუწიათ შეხვედრა. როგორც წესი, რუხაძე ყოველთვის გაურბოდა ზურაბთან სიახლოვეს და არც ზურაბს იზიდავდა ყოფილი თანაკურსელის საზოგადოება. მაგრამ, ამჯერად ეს უხილავი საზღვარი დარღვეული იყო და ზურაბი უნდა შეხვედროდა კოტე რუხაძეს, რომელიც ზედამხედველი პროკურორი იყო.

– მოდი, მოდი, რა უცხოსავით იქცევი! – ზურაბის დანახვაზე რუხაძე ფეხზე წამოდგა, კაბინეტი გადაკვეთა და შინაურულად ჩამოართვა ხელი.

– ფიფია სად არის? – ჰკითხა ზურაბმა.

– რაში გვჭირდება ფიფია? მე უკვე მოვუსმინე მას, საქმესაც გავეცანი. ასე რომ, მის გარეშეც მოვაგვარებთ ყველაფერს, – უპასუხა კოტემ და დაჯდომა შესთავაზა, – რას დალევ – ჩაის, ყავას თუ... სამწუხაროდ, სამსახურში სხვა სასმელს ვერ შემოგთავაზებ.

– მე აქ საქმეზე სალაპარაკოდ მოვედი, – უპასუხა ზურაბმა და მაგიდას მიუჯდა.

– კეთილი... საქმეზე გადავიდეთ.

– რა გადაწყვეტილება მიიღო პროკურატურამ?

– პრინციპში, დადებითი, – უპასუხა რუხაძემ.

– რას ნიშნავს – დადებითი?

– ძიების შემდგომი გაგრძელება ფორმალობად მიმაჩნია. შენი გამოცდილების პროფესიონალს არ გაუჭირდება დამატებითი სამხილების მოძებნა. მაგრამ, რისთვის მოგაცდინოთ? სამუშაო უამისოდაც გყოფნით, თან, ისედაც ყველაფერი ნათელია. ამ საქმეს რა სამხილებიც არ უნდა დაემატოს, სურათი მაინც აღარ შეიცვლება. სირაძისა და ნინუას საქმეები მკვლელობის მუხლით იყო აღძრული. ამოღებულმა პისტოლეტმა კი საბოლოოდ დაადასტურა, რომ მკვლელობები ვერულიძის მიერ იყო ჩადენილი. იგივე შეიძლება ითქვას თავად ვერულიძის თვითმკვლელობის საქმეზეც. ასე რომ, პროკურატურა ყველაფრით კმაყოფილია. ყველა შემთხვევა სწორად იყო კლასიფიცირებული. ვერულიძის კვალზე გასასვლელად ძიებას მხოლოდ ორი დღე დასჭირდა. ვერაფერს ვიტყვი – ორ დღეში გახსნილი ორი მკვლელობა შესანიშნავი მაჩვენებელია. ძიებაში მონაწილე ყველა თანამშრომელი მადლობას იმსახურებს, შენს დამსახურებას კი განსაკუთრებით აღვნიშნავთ.



– ესე იგი საქმის შეწყვეტას აპირებ? – ჰკითხა ზურაბმა.

– თავისთავად, – უპასუხა რუხაძემ.

– მე ეს ნაადრევად მიმაჩნია!

– ვიცი, ვიცი... რეზო მესაუბრა ამ საკითხზე, – თავი დაუქნია რუხაძემ.

– მე ოფიციალური მომართვა შევადგინე. აქ ყველა ის გარემოებაა აღწერილი, რომელიც შესწავლას მოითხოვს. სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, ძიება უნდა გაგრძელდეს, – თქვა ზურაბმა და რუხაძეს მიმართვა გაუწოდა. კოტემ სწრაფად გადაათვალიერა მიმართვა, შემდეგ საქაღალდეში შეინახა და ზურაბს მიუბრუნდა:

– ეს მხოლოდ მოსაზრებებია. მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, პისტოლეტს მაინც ვერაფერი გადაწონის!

– ასე ძალიან ხარ დაინტერესებული ფიფიას გაქაჩვით? – გაიკვირვა ზურაბმა, – მე ხომ განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვ – მომეცით დრო საქმის გამოსაძიებლად, სხვა არაფერი მინდა!

– რა შუაშია ფიფია?! – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა რუხაძემ, – შენ შენს საქმეს აკეთებ, მე – ჩემსას!

– მართლა?.. მე მეგონა, რომ ერთ საქმეს ვაკეთებდით, – ირონიულად შენიშნა ზურაბმა.

– საქმე და მიზანი ერთი გვაქვს, მაგრამ, სხვადასხვა მიმართულებით გვიწევს მოქმედება. შენი საქმე ქუჩა და პისტოლეტია. მე კი, როგორც ზედამხედველი პროკურორი, თვალს ვადევნებ გამომძიებლებსა და პოლიციელებს, რათა ისინი როლში არ შეიჭრნენ და ისეთ საქმეებზე არ გადაერთონ, რაც მათ არ ევალებათ.

ზურაბმა, რომელიც კარგად მიხვდა, თუ რას გულისხმობდა პროკურორი „როლში შეჭრაში", უკმაყოფილოდ შეხედა.

– რა გინდა, რისთვის ირთულებ ცხოვრებას? – სწრაფად განაგრძო რუხაძემ, – ნინუას ოჯახის წევრები ადრეც არ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, ახლა კი – მით უმეტეს. მკვლელის ვინაობა მაინც შეიტყვეს. იგივე ვითარება გვაქვს სირაძეებთანაც. ვიცით, ვინც ჩაიდინა მკვლელობა, მაგრამ, მკვდარს რა მოვკითხოთ? ვერულიძეებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს – მათ საერთოდ არ ამოეღებათ ხმა. პროკურატურას ძიების მიმართ შენიშვნები არ აქვს. არა მგონია, რომ შენი ხელმძღვანელობა საქმის დახურვის წინააღმდეგი იყოს. ხომ ხედავ, ყველა კმაყოფილია, მხოლოდ შენ არ გასვენებს რაღაც!

– ის „რაღაც" – გამოუძიებელი საქმეა! – ცივად უპასუხა ზურაბმა.

– საქმე გამოძიებულია. იქნებ, შენ ამის გაპროტესტებას აპირებ?! – რუხაძე გამომცდელად ჩააცქერდა სახეში.

ზურაბი უმალ მიხვდა, რაც აინტერესებდა ყოფილ თანაკურსელს: ოფიციალურად ზურაბს ჰქონდა უფლება, არ დასთანხმებოდა რუხაძის გადაწყვეტილებას და ძიების გაგრძელების მოთხოვნით მიემართა ქალაქის პროკურორისთვის. კოტეს სწორედ იმის გარკვევა უნდოდა, როგორ მოიქცეოდა ზურაბი.

– ჩემს მომართვას გადახედე – იქ საინტერესო გარემოებებზეა საუბარი. დანარჩენს კი შემდეგ გადავწყვეტთ! – უპასუხა ზურაბმა, შემდეგ ადგა და კარისკენ წავიდა. რუხაძემ ის ბრაზით აღსავსე მზერით გააცილა და, როგორც კი კარი დაიხურა, მიმართვა ნაკუწებად აქცია და სანაგვე ყუთისკენ მოისროლა.

* * *

ზურაბი უხალისოდ მიესალმა დერეფანში მდგარ თანამშრომლებს, თავის კაბინეტში შევიდა და კარი მიიხურა.

– რა მოუვიდა? – ჰკითხა გიას მისი საქციელით გაოცებულმა გურამმა.

– ჩანს, მძიმე საუბარი ჰქონდა პროკურატურაში. ტყუილად ველით, დღეს თათბირი აღარ შედგება, – ხელი ჩაიქნია გიამ და დერეფანს გაუყვა, გურამი კი შებრუნდა და ზურაბის კაბინეტს მიაშურა.

ზურაბი მაგიდასთან იჯდა და ჩაფიქრებუ-



## გვენატრები, სალომე!

ისევ დადგა გაზაფხული, მაგრამ უშენოდ! ირგვლივ სიხარულს და სიყვარულს აფრქვევდი. სულ შენი სიმღერისა და კისკისის ხმა ისმოდა!

მაგრამ წახვედი და თან წაიყვანე შენი შვილი, რომლის დაბადებასაც ასე ელოდი! ძნელია უშენობა! თუმცა იმდენი სითბო და სიყვარული დამიტოვე, დღემდე მათბობს.

მაპატიე, შვილო! უშენოდ ცხოვრება რომ ვისწავლე!

ძალიან, ძალიან მიყვარხარ და მენატრები!

**დედაშენი**

ლი ფურცლავდა საქაღალდეს. გურამი მის პირისპირ ჩამოჯდა და ჰკითხა;

– რა მოხდა პროკურატურაში?

– კარგი არაფერი, – ზურაბმა გვერდზე გადადო საქაღალდე.

– ესე იგი, რუხაძეს შეხვდი?

– სხვანაირად რომ წასულიყო საქმე, მაგ შეხვედრას როგორმე ავიტანდი, მაგრამ... – არ დაასრულა ზურაბმა.

– რა – „მაგრამ“? – ჩაეძია გურამი.

– საქმის დახურვა უნდათ, – უპასუხა ზურაბმა.

– რუხაძე ხელიდან არ გაუშვებს შენი კბენის შესაძლებლობას. მაგრამ, გამოძიების ხარჯზე როგორ აკეთებს ამას, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გურამმა, – ვის უფუჭებს საქმეს?!

– ძალიან ბევრ ადამიანს და მათ შორის მეც. კარგად იცის, რომ ეს საქმე მოსვენებას აღარ მომცემს. დღედაღამ ამაზე უნდა ვიფიქრო. მე ჯანდაბას, მოვითმენ, მაგრამ, გამოუძიებელი საქმით როგორ გავცეთ პასუხი სირაძის, ნინუასა და ვერულიძის ოჯახებს?

– იმ მონაცემებზე რა თქვა? – ჰკითხა გურამმა.

– ზერელედ გადახედა... სიმართლე გითხრა, რაიმე განსაკუთრებულის მოლოდინი არც მქონია. რუხაძე საერთოდ ვერ ერკვევა გამოძიების ნიუანსებში. ყურადღებითაც რომ წაეკითხა, მაინც ვერაფერს მიხვდებოდა. ის ყველაფერს მარტივად წყვეტს – აკეთებს იმას, რის შესაძლებლობასაც კოდექსი აძლევს. ამ შემთხვევაში მას სავსებით აკმაყოფილებს მხოლოდ ერთი ნივთმტკიცება – ვერულიძის სახლიდან ამოღებული პისტოლეტი. მორჩა და დამთავრდა, მისთვის საქმე უკვე გამოძიებულია!..

– როგორ აჩერებენ ასეთ ტიპებს პროკურატურაში?!

– როგორ აჩერებენ ის სიტყვა არ არის, – შენიშნა ზურაბმა, – კაცი, რომელსაც ერთი დღეც არ უმუშავია საგამოძიებოში და ერთი საქმეც არ აქვს გახსნილი, ზედამხედველ პროკურორად დაინიშნა!

– აღარ მიკვირს ფიფიასი. ჩანს, რუხაძის



სკოლა აქვს გავლილი! – გურამმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

– როგორც ჩანს...

– იქნებ, ვერ გაბედოს, – ივარაუდა გურამმა, – უბრალო საქმე არ არის, ამ ისტორიამ სამი ადამიანი შეიწირა!

– დახურავს... ულაპარაკოდ დახურავს. სწორედ იმიტომ დახურავს, რომ საქმე სამი ადამიანის სიკვდილს ეხება. შესანიშნავი შესაძლებლობა ეძლევა თავისი პროტეჟესთვის მომგებიანი ქულების დასაწერად! – უპასუხა ზურაბმა.

– ფიფიას გულისხმობ?

– რა თქმა უნდა. შენ რა, ხომ არ გგონია, რომ რუხაძემ შემთხვევით მისცა ეს საქმე? მან თავიდანვე კარგად იცოდა, რომ საქმეს ნებისმიერ შემთხვევაში გავხსნიდით და თავისი შეგირდი მოგვამაგრა. დარწმუნებული ვარ, ჩვენთან გამოგზავნამდე შესაბამისი ინსტრუქციაც მისცა ფიფიას, პირველი შესაძლებლობისთანავე, საქმის დახურვის მოთხოვნით მიემართა მისთვის.

– შენ რას აპირებ? – ჰკითხა გურამმა.

– არაფერს, – მშვიდად უპასუხა ზურაბმა.

– არაფერს?! – გაუკვირდა გურამს, – ასე გულხელდაკრეფილმა უნდა ადევნო თვალი, როგორ გაატანს რუხაძე წყალს ჩვენს ნაწვალევს?!

– შენ რას მირჩევ?

– თუ რუხაძემ საქმე დახურა, ქალაქის პროკურორს მიმართე!

– როგორ გგონია, ვისი რეკომენდაციით დაინიშნა რუხაძე ზედამხედველ პროკურორად?

– მისი კაცია?

– მხოლოდ „მისი კაცი” კი არა, განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირია, – უპასუხა ზურაბმა.

– ვითომ, ვერ გავქაჩავთ? ვიღაც-ვიღაცეები ჩვენს „არსენალშიც” მოიძებნება.

– მოიძებნება, მაგრამ, მე არ მინდა ეს. ჭაობში რაც მეტად ფართხალებ, მით უფრო ღრმად იძირები. ჯობია, ჩავთვალო, რომ ცუდ ქვეყანაში ვცხოვრობ, ვიდრე ველურების ტომში!.. რაც ახლა ხდება, ცუდი, გარკვეულ საკითხებში გაუმართავი სახელმწიფოს ნიშანია. პირადად მე არაფრით ვაგებ პასუხს სირაძის, ნინუასა და ვერულიძის ოჯახების წინაშე, მათ წინაშე მხოლოდ სახელმწიფოა პასუხისმგებელი; ის სახელმწიფო, რომელმაც მე კრიმინალური პოლიციის უფროსად, რეზო ფიფია – გამომძიებლად და რუხაძე ზედამხედველ პროკურორად დანიშნა. ნორმალურ ქვეყანაში სრულფასოვანი ძიების ჩასატარებლად არ უნდა გახდეს საჭირო საქმეში ჩემი ნაცნობების, როგორც შენ თქვი, „არსენალის” გამოყენება. მე ვიცი, რაც მოხდება, ქალაქის პროკურორს რომ მივმართო: ის ყურადღებით მომისმენს, მიმართვასაც გულდასმით წაიკითხავს. შემდეგ კი დამპირდება, რომ უახლოეს მომავალში განიხილავს მიმართვას. იმავე საღამოს ან მომდევნო დღეს დამიკავშირდება რომელიმე ჩემი ნაცნობი მთავარი სამმართველოდან ან პროკურატურიდან და დამიწყებს შეგონებას, რომ არ ღირს ასეთ „წვრილმანებზე” პროკურატურის მომდურება – ყოველი ასეთი საჩივარი ხომ მისი თანამშრომლების არაკომპეტენტურობაზე მიანიშნებს. თუ მას უარი ვუთხარი, დამიკავშირდება სხვა, შემდეგ კიდევ ვიღაც და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ თავს ველურთა ტომში არ ვიგრძნობ. ამის შემდეგ ყველაფერს მივაფურთხებ, მიმართვას რუხაძეს გადავახევ თავზე და ცხვირ-პირს დავამტვრევ. მე კი ძალიან არ მინდა ამის გაკეთება. თავისთავად გასაგებია, რომ ამის შემდეგ სამსახურში ველარ დავრჩები – რომც არ გამათავისუფლონ, ჩემით წავალ!..

– სერიოზული არგუმენტია, – ჩაილაპარაკა გურამმა.

– ძალიან სერიოზული. არ მინდა, რუხაძის მიზეზით მეორედ დავტოვო ის ადგილი, სადაც მომწონს ყოფნა, – უპასუხა ზურაბმა.

– ისე, ყოველთვის მინდოდა მეკითხა: მართალია, რასაც შენზე და რუხაძეზე ყვებიან? საპირფარეშოში სცემაო...

– მორჩი!.. – გაიცინა ზურაბმა, შემდეგ კი საქაღალდეს მიაპყრო მზერა, რომელიც გურამს წინ ედო, – რა არის მაგ საქაღალდეში?

– ის, რაც შენ მთხოვე, – უპასუხა გურამმა, – „ინტელგრუპჯორჯიასთან” დაკავშირებული მასალები. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მონაცემები აღარ დაგვჭირდება!

– ვნახოთ... შეიძლება, ასეც იყოს, შეიძლება – არა, – უპასუხა ზურაბმა და საქაღალდეს გადასწვდა.

* * *

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზურაბი ვარაუდობდა: რუხაძემ მეორე დღესვე მისცა რეზო ფიფიას საქმის დახურვის განკარგულება, რაც მან შესაშური მონდომებით აღასრულა. ძიება ოფიციალურად შეწყდა და ზურაბმა ამის შესახებ შეტყობინება მიიღო. შეტყობინებაში აღნიშნული იყო, რომ ზედამხედველი პროკურორი მთლიანად ეთანხმებოდა გამომძიებლის მიერ შემუშავებულ ვერსიას, რაც შემდგომი გამოძიებისას სრულიად დადასტურდა. ძიებამ სირაძისა და ნინუას მკვლელად ვერულიძე დაასახელა, რომელმაც შემდგომ თავი მოიკლა. სწორედ მისი თვითმკვლელობა ჩაითვალა საქმის დახურვის მთავარ მიზეზად, რადგან, გამომძიებელი მთავარი ეჭვმიტანილის გარდაცვალების გამო შეუძლებლად მიიჩნევდა დამატებითი ფაქტების მოძიებას.

– რას იტყვი? – შეტყობინების გაცნობის შემდეგ ზურაბს გახედა გურამმა.

– ზუსტად ისაა, რასაც ველოდი, – უპასუხა მან.

– და ასე მშვიდად ხვდები ამას? ერთხელ მაინც შეიგინე!

– მშვიდად არ ვხვდები, მაგრამ... იცი, რა მასწავლა სამსახურმა?

– რა?

– ასეთ საქმეებს ყოველთვის სდევს გარკვეული კანონზომიერება. როგორც ნათქვამია, „შუბი ხალთაში არ დაიმალება”!.. თუ ყველაფერი ისეა, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ანუ, სირაძე, ნინუა და თავად ვერულიძეც სრულიად სხვა პიროვნებამ დახოცა, ეს მაინც არ დაიმალება. ასეთი ტიპები არასდროს ჩერდებიან – ფიფიას გამოუცდელობასა და რუხაძის იდიოტიზმს საკუთარ დამსახურებად ჩათვლის და სხვა საქმით შეგვახსენებს თავს. ადრე თუ გვიან, ის მაინც მოხვდება საბრალდებო სკამზე, მაგრამ, ახლა სხვა რამ მაღელვებს. ქურდობასთან ან, თუნდაც, ძარცვასთან რომ გვქონდეს საქმე, შედარებით მშვიდად ვიქნებოდი, მაგრ-

ამ, საქმე თავზე ხელაღებულ მკვლელს და, შესაძლოა, უფრო უარესიც – მკვლელთა ჯგუფს ეხება, რომელსაც ვიღაცის უთავბოლობის გამო, ისევ აქვს თარეშის გაგრძელების შესაძლებლობა, – ზურაბმა სიგარეტს მოუკიდა და ლაპარაკი განაგრძო, – ოთხმოცდაათიან წლებში პოლიციის მთავარ სამმართველოში ვმუშაობდი. ერთი თანამშრომელი გვყავდა – იური ლაბაძე. სიცოცხლით სავსე, მოუსვენარი, მხიარული ბიჭი იყო. გიტარაზე დაკვრა, სიმღერა, ცეკვა – ყველაფერი ლამაზად გამოსდიოდა. გვიკვირდა კიდეც – ასეთ ბიჭს პოლიციაში რა ესაქმებაო... ერთ საღამოს იური სამმართველოდან სიგარეტის საყიდლად გავიდა. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ შეტყობინება მივიღეთ დიდუბის ხიდთან მომხდარი სროლის შესახებ. შემთხვევის ადგილზე ოპერატიული ჯგუფი გავიდა... – ზურაბმა შუბლი მოისრისა, – ის სურათი დღემდე თვალწინ მიდგას: იური საჭეზე თავჩამოდებული იჯდა მანქანაში. მკერდის მარცხენა მხარე ავტომატით ჰქონდა დაცხრილული. ერთი ნატყვიარი საფეთქელზე ემჩნეოდა. თვითმხილველებმა გვიამბეს, რომ თავდამსხმელები ოთხნი იყვნენ. ისინი თეთრი „ჟიგულით" მიჰყვებოდნენ იურის მანქანას. შემდეგ შესაფერისი მომენტი შეარჩიეს, გვერდზე ამოუდგნენ და ავტომატით დაცხრილეს. ერთ-ერთმა მათგანმა კი მანქანის შეჩერების შემდეგ საფეთქელში პისტოლეტიდან ესროლა... და, იცი, რის გამო მოხდა ეს ყველაფერი?!

– წარმოდგენა არა მაქვს.

– მხოლოდ ავტომატისთვის. იმ ნაძირლებს იარაღი სჭირდებოდათ. იური მარტო იყო და, ამიტომაც, მაღაზიაში შესვლისას იარაღი მანქანაში არ დატოვა. მაშინ შეამჩნიეს იმ არაკაცებმა. უკან გაჰყვნენ, მოკლეს და ავტომატი წაიღეს!.. გესმის, გურამ? სამი კილოგრამი რკინის გამო ახალგაზრდა ბიჭი მოკლეს. დააქვრივეს ახალგაზრდა ქალი, დააობლეს ბავშვი!.. საშინელი დრო იყო. დღის განმავლობაში ქალაქში სამ-ოთხ მკვლელობაზე ნაკლები არ ხდებოდა. დღე და ღამე გასწორებული გვქონდა იმ არაკაცების ძებნაში. ერთი თვის შემდეგ იურის ავტომატი ერთ ნაბიჭვარს ამოვუღეთ და... მაშინ ვიგრძენი პირველად, რომ, სახელმწიფოში კი არა, ველურების ტომში ვცხოვრობ. იმ არაკაცს ძალიან გავლენიანი მფარველები აღმოაჩნდა. ატყდა რეკვა, სირბილი, თხოვნა, ზოგჯერ მუქარაც. საქმე მხოლოდ ავტომატი არ იყო. ჩვენ გვქონდა თვითმხილველების ჩვენებები, თავდამსხმელთა აღწერილობა. ასი პროცენტით ვიყავი დარწმუნებული, რომ სწორედ იურის მკვლელი იჯდა საკანში, მაგრამ, საქმე პროკურატურამ წაიღო. შემდეგ გაჩნდა მონაცემები, რომ ის ავტომატი იმ არაკაცს თავისმა მეგობარმა აჩუქა და პირადად მას არაფერი აკავშირებდა იურის მკვლელობასთან. სად იყო მისი მეგობარი?! ის ორი კვირის დაღუპული იყო!.. მოგვიანებით თვითმხილველებს მასობრივი ამნეზია დაეწყოთ. ამოცნობისას ყოველი მათგანი აცხადებდა, რომ ამ პიროვნებას ცხოვრებაში პირველად ხედავდა. საბოლოო ჯამში, ის საქმე მიცვალებულზე ჩამოწერეს. არ დასახელდა ის სამი კაცი, რომლებიც იურის მკვლელობაში იღებდნენ მონაწილეობას... და, რა მოჰყვა ამას? – გათავისუფლებიდან ერთი კვირის შემდეგ იმ არაკაცმა ყაჩაღობისას სამი ადამიანი მოკლა: ერთი – ოჯახის წევრი და ორი პოლიციელი. საპასუხო სროლისას ისიც მოკლეს. მაშინ ვინანე, რომ აყვანისას არ დავახალე ტყვია და ამით არ დავამთავრე ყველაფერი. ახლაც იგივე შეგრძნება მაქვს. ინტუიცია მკარნახობს, რომ ამ საქმეში არის რაღაც ისეთი, რასაც ვერ ჩავწვდით, რაღაც ვერ გავთვალეთ, რაღაცას ჯეროვანი ყურადღება არ მივაქციეთ და, დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს მომავალში ისევ მოგვიწევს ამ საქმეზე მუშაობა!..

გურამთან საუბრისას ზურაბი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ სირაძის საქმე ძალიან მალე – ორი კვირის შემდეგ შეახსენებდა თავს.

თათბირი ახალი დამთავრებული იყო, როდესაც კაბინეტის კარი გიამ შემოაღო.

– რა მოხდა?! – სწრაფად ჰკითხა ზურაბმა, რომელსაც მაშინვე მოხვდა თვალში მისი დაბნეული გამოხედვა.

– თქვენთან ნანა სირაძეს უნდა შეხვედრა, – უპასუხა მან.

– ვის?! – გაუკვირდა ზურაბს.

– ნანა სირაძეს. შემოვიყვანო?

– შემოიყვანე, – უპასუხა მოულოდნელი სტუმრობით გაოცებულმა ზურაბმა.

ნანა კაბინეტში შემოვიდა და გაუბედავად შედგა კარის სიახლოვეს.

– მობრძანდით, – მაგიდასთან მიიწვია ზურაბმა.

ნანამ კაბინეტი გადაკვეთა და მის პირისპირ ჩამოჯდა. ის შესამჩნევად ღელავდა.

– რისთვის გინდოდათ ჩემთან შეხვედრა? – ჰკითხა ზურაბმა.

– არც კი ვიცი, საიდან დავიწყო... მე დახმარება მჭირდება, – უპასუხა ნანამ.

– რაში დაგეხმაროთ?

პასუხად ნანამ ხელჩანთიდან რაღაც დოკუმენტი ამოიღო, ზურაბს გაუწოდა და თქვა:

– ეს ხუთი დღის წინ მივიღე.

ზურაბმა დოკუმენტს ჩახედა. ეს საბანკო ანგარიშსწორების შეტყობინება იყო. ბანკი „ჯიაიაი" იუწყებოდა, რომ კრედიტის არდაფარვის შემთხვევაში, კრედიტორს დაეკისრებოდა საჯარიმო თანხის გადახდა. დოკუმენტი ანდრო სირაძეს ეგზავნებოდა.

– გასაგებია, – ზურაბმა ნანას დაუბრუნა დოკუმენტი, – მაგრამ, რატომ მოხვედით ჩემთან? ეს საკითხი ბანკში უნდა გაგერკვიათ.

– ბანკში უკვე ვიყავი. იქ მიჩვენეს ხელშეკრულება, რომლის მონაწილე მეც ვარ! – აკანკალებული ხმით უპასუხა ნანამ, – იმ დოკუმენტის თანახმად, მე და ანდრომ ბანკში იპოთეკით დავტვირთეთ მთელი ჩვენი უძრავ-მოძრავი ქონება: ბინა, აგარაკი, მანქანა და ბანკიდან კრედიტის სახით მივიღეთ რვაასი ათასი ლარი. იმ ხელშეკრულებაზე მეც მაქვს ხელი მოწერილი.

– ვერაფერს ვხვდები... მე რისთვის მიყვებით ამას?! – გაოცებით ჰკითხა ზურაბმა.

– მაგრამ, მე პირველად ორი დღის წინ შევიტყვე ამის შესახებ. არც ბანკში ვყოფილვარ, არც ხელშეკრულებაზე მომიწერია ხელი და, მით უმეტეს, თვალითაც არ მინახავს ბანკიდან გამოტანილი არათუ რვაასი ათასი, არამედ, რვაასი ლარიც კი!

– როგორ თუ არ გინახავთ?! – დაიბნა



ზურაბი.

– ხელშეკრულება, რომელიც ბანკში მაჩვენეს, ყალბია – ხელი მე არაფერზე მომიწერია!

– იქნებ, თქვენმა მეუღლემ აიღო სესხი? – ივარაუდა ზურაბმა.

– ის აგარაკს იპოთეკით ვერ დატვირთავდა, რადგან აგარაკი ჩემი საკუთრებაა. ასეც რომ იყოს, მე ხომ თანხმობა უნდა მიმეცა და ხელშეკრულებაზეც უნდა მომეწერა ხელი! – უპასუხა ნანამ.

– გასაგებია, მაგრამ, მე რით დაგეხმაროთ? სიყალბესთან რომც გვქონდეს საქმე, ეს მაინც არ ხვდება კრიმინალური პოლიციის კომპეტენციაში.

– თქვენც იმავეს მეუბნებით! – გულდაწყვეტილმა ჩაილაპარაკა ნანამ.

– მეც?! კიდევ ვის ესაუბრეთ ამის შესახებ? – ჰკითხა ზურაბმა.

– პროკურატურაში გამომძიებელ ფიფიასთან ვიყავი. მან ჩემი მოსმენაც კი არ მოისურვა. მითხრა, თვითონ გაარკვიეთ თქვენი ვალის საკითხებიო და კაბინეტიდან დამითხოვა, – ცრემლი მოერია ნანას.

– დამშვიდდით... თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენი მეუღლის ხელმოწერაც გაყალბებულია?

– არა მგონია, – თავი გააქნია ნანამ, – ექვსი თვის წინ ანდრომ ბიზნესის გაფართოებაზე დაიწყო საუბარი, ამ საქმეს კი ფული სჭირდებოდა. მაშინ, ბანკიდან იპოთეკური სესხის აღება შემომთავაზა, მაგრამ, მე უარი ვუთხარი.

– კონკრეტულად რისთვის სჭირდებოდა ფული? – დაინტერესდა ზურაბი, – კვების ახალი ობიექტების გასახსნელად?

– არა... ანდრო რომელიღაც სამშენებლო კომპანიაში აპირებდა ფულის ჩადებას.

– რომელ კომპანიაში? – დაინტერესდა ზურაბი.

– ახლა აღარ მახსოვს. მას შემდეგ ექვსი თვე გავიდა.

– „ინტელგრუპჯორჯიაში" ხომ არა?

– დიახ... საიდან იცით ამის შესახებ? – თქვა ნანამ და გაოცებით შეხედა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**გიორგი წერეთელმა და ლოლიტამ პოპულარობა ზღვისპირა ქალაქში მოიპოვეს. თუმცა, ისინი თბილისშიც არანაკლებ ცნობილები არიან. როგორ დაიწყო მათი სიყვარულის ისტორია და მუსიკალური კარიერა, ამაზე თავად მომღერლები გვესაუბრებიან.**

# რა ჭორებს ავრცელებენ გიორგი წერეთლისა და ლოლიტას სიყვარულის შესახებ და როგორ დაიწყეს მათ მუსიკალური კარიერა

**ლოლიტა**: სიმღერა ძალიან პატარა ასაკში დავიწყე. ოთხი წლის ვიყავი, როცა სკამზე ვდგებოდი და ჩემთვის ვმღეროდი. დავამთავრე მუსიკალური სასწავლებელი. შემდეგ დავიწყე მუშაობა ერთ-ერთ ბარში. ჯაზს ვმღეროდი, შემდეგ გადავედი რუსულ პროგრამაზე. ის უფრო აქტუალური და მოთხოვნადი იყო.

**გიორგი წერეთელი**: მე 13 წლიდან დავიწყე სიმღერა. მახსოვს, ჩემი ძმა დადიოდა გიტარაზე ხუთი წელი და ბოლოს მე ვისწავლე ***(იცინის).*** როცა მეცადინეობდა, ვუყურებდი, ძალიან მაინტერესებდა. სკოლაში ძალიან მოწესრიგებული ვიყავი, კარგად ვსწავლობდი, გუნდში ვმღეროდი, ყოველთვის თითით საჩვენებელი ბავშვი ვიყავი და ამიტომ, დედაჩემს უნდოდა, ექიმი გამოვსულიყავი. ჩემი სულიერი მოთხოვნილება კი ყოველთვის მუსიკა იყო. შემდეგ მოხდა ისე, ოჯახს ფინანსური პრობლემები შეექმნა და იძულებული გავხდი, მეთერთმეტე კლასი ექსტერნად დამემთავრებინა და მემუშავა. ახლობელმა მითხრა, რომ ტელეფონების შემკეთებელი ესაჭიროებოდათ და ვინაიდან ელექტრობა კარგად მესმოდა, დავთანხმდი, დავიწყე მუშაობა. ერთხელ კულტურის სახლს გაუფუჭდა ტელეფონი. იქ რომ მივედი, ვიღაც ბიჭები ისხდნენ და, რაღაცას უკრავდნენ. გადავდე ტელეფონი და ვუსმენდი ***(იცინის).*** შემდეგ მეორედ გაუფუჭდათ ტელეფონი და ასე, ხშირად დავდიოდი კულტურის სახლში. ბოლოს ისე მოხდა, ანსამბლში სოლო გიტარისტად მიმიღეს. მოკლედ, ასე დაიწყო ჩემი მუსიკალური კარიერა. ერთ წელიწადში გავხდი ანსამბლის მუსიკალური ხელმძღვანელი. კონცერტებს ვატარებდით სხვადასხვა რეგიონში – ხაშურში, გორში და ასე შემდეგ.

**– ერთმანეთი როგორ გაიცანით?**

**ლოლიტა**: გიორგი გავიცანი 2009 წელს. ჩვენ ჯერ კოლეგები ვიყავით, ვმეგობრობდით და შემდეგ შეგვიყვარდა ერთმანეთი. გიორგი „ბერმუხაში" მუშაობდა და იქ მოვხვდი შემთხვევით ქორწილში. მაშინ, უბრალოდ, ერთმანეთი გავიცანით. შემდეგ, ჩვენთან კლუბში მოვიდა სამუშაოდ და მას მერე დიდი ხანი ვიყავით კარგი მეგობრები.

**გიორგი წერეთელი**: მე ვცხოვრობდი და ვმოღვაწეობდი რუსეთში. სანამ იქიდან ჩამოვიდოდი ოჯახი მქონდა. შემდეგ მოხდა ისე, რომ ერთმანეთს დავშორდით და პრაქტიკულად სულ სამსახურზე გადავერთე. მინდოდა, უფრო მეტად დავტვირთულიყავი საქმით და ვეძებდი მეორე სამსახურს. ასე მოვხვდი ლოლიტასთან ***(იცინის).*** მაშინ „ლაივ ბარში" მუშაობდა და დავიწყეთ ერთად სიმღერა. ძალიან ჰარმონიულად შევეწყვეთ ერთმანეთს სიმღერის დროს. თუმცა, მეგობრობის გარდა, სხვა არაფერზე ვფიქრობდით. ძალიან თბილი ურთიერთობა გვქონდა, მეგობრული. როდესაც ადამიანი მიყვარს, შეიძლება ჩავეხუტო, ვაკოცო, კომპლექსი არ მაქვს. ლოლიტაც ასეთია, ძალიან მეგობრული.

**– სასიმღერო ჰარმონია როდის გადაიზარდა პირად ჰარმონიაში?**

– სიმღერის დროს ისეთი ჰარმონია გაჩნდა, ყველამ აღნიშნა, ახალი დუეტი დაიბადაო. ტემბრალურად ძალიან შევეწყვეთ ერთმანეთს. ყველაფერი ქობულეთიდან დაიწყო.

**– ერთმანეთის რომელი თვისებებით მოიხიბლეთ ყველაზე მეტად?**

– ლოლიტაში ვხედავდი საკუთარ თავს.



**გიორგი წერეთელი: „მე არასდროს მიმიცია და არ მივცემ ეჭვიანობის საბაბს. პირიქით, მე ვარ ცოტა ეჭვიანი"**

მოხიბლული ვიყავი მისი ადამიანობით. იმ პერიოდში პირადი ცხოვრება, პრაქტიკულად, არ მქონდა. გვერდით ქალი არ მყავდა, გადართული ვიყავი სამსახურზე. გული მქონდა აცრუებული სიყვარულზე. ლოლიტაში მომხიბლა იმ სითბომ, რომელსაც ვერავინ შეეწინააღმდეგება და რომელიც ყველა ადამიანს სჭირდება.

> **გიორგი წერეთელი: „ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ, ერთად მოვდიოდით მანქანით, შუქნიშანზე ვდგავართ, რაღაცას ვლაპარაკობთ და უცბად მაკოცა"**

**ლოლიტა**: გიორგი ძალიან მართალი და მოწესრიგებული ადამიანია. ძალიან კეთილია, ყველა ის თვისება აქვს, რასაც მამაკაცში ვაფასებ. რასაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ვეძებდი, ამ ადამიანში ვნახე.

**– არასდროს გიეჭვიანიათ მასზე?**

– არა, არასდროს ვეჭვიანობ. რამდენი გოგო მოდის კლუბში და სულ თვალებში უყურებენ ***(იცინის).*** მე პირიქით, მსიამოვნებს. გიორგიც ძალიან ჩვეულებრივად უდგება ამ საკითხს.

**გიორგი წერეთელი**: მე არასდროს მიმიცია და არ მივცემ მაგის საბაბს. პირიქით, მე ვარ ცოტა ეჭვიანი. მიყვარს, როცა ყველგან ერთად დავდივართ. მსმენია არარსებული ჭორები ჩვენ შესახებ. მაგალითად, ერთხელ გავიგე, რომ თითქოს ერთმანეთს დავშორდით. მსგავსიც კი არაფერი ყოფილა.

**– თუ იყო რაიმე რომანტიკული, გიჟური ნაბიჯები რომელიმეს მხრიდან?**

– ერთი ისტორია გამახსენდა: როგორც უკვე გითხარით, ძალიან გადატვირთულ რეჟიმში ვმუშაობდი – რესტორნიდან რესტორანში გადავდიოდი. ერთხელ მახსოვს, მანქანით შევედი სცენაზე და ისე დავიწყე სიმღერა ***(იცინის).*** ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ, ერთად მოვდიოდით მანქანით, შუქნიშანზე ვდგავართ, რაღაცას ვლაპარაკობთ და უცბად მაკოცა ***(იცინის).*** შემდეგ ბავშვივით დაიბნა. მე იმ მომენტში დავიძაბე, მივხვდი, რომ ეს მეგობრობა აღარაა და რაღაც უფრო მეტია. ლოლიტაც ძალიან დაიძაბა, თან საღამოს ერთად უნდა გვემღერა. მინდოდა, მომეხსნა მისთვის ეს დაძაბულობა. მივედი და ვუთხარი, რა პრობლემაა ტუჩებში კოცნა-მეთქი და მაგრად ვაკოცე ***(იცინის).*** მას შემდეგ, რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიცვალა, ძალიან დავიძაბე და ისეთი გახსნილი ვერ ვიყავი. ამ დროს ნებისმიერი ნაბიჯი ქალისთვის იმედის მომცემია. თან, იმ პერიოდში სრულიად თავისუფალი ვიყავი, გვერდით ქალი არ მყავდა. ეს ლოლიტამ კარგად იცოდა. ერთ საღამოს მის დასანახავად სხვა გოგონა დავპატიჟე სადღაც. მინდოდა ეფიქრა, რომ ვიღაც მყავდა.

**– როგორი რეაქცია მოჰყვა?**

– როგორი რეაქცია და წამოვიდა ქობულეთიდან. თურმე, მისთვის ეს ძალიან მძიმე იყო. გარკვეული პერიოდი ერთად აღარ ვმუშაობდით. შემდეგ მეგობრებისა და ლოლიტას თხოვნით, ისევ დავბრუნდი მათთან. ნელ-ნელა გამიჩნდა გრძნობა, მივხვდი, რომ ეს იყო ქალი, რომელიც მე მჭირდებოდა და ყველაფერში გამიგებდა.

**– ზღვისპირა ქალაქებში საკმაოდ ცნობილი წყვილი ხართ. თქვენი აზრით, რამ განაპირობა თქვენი პოპულარობა?**

**ლოლიტა**: ქობულეთში დაახლოებით ცამეტი წელია, ვმღერი. თავიდან სულ სხვა პროგრამით ჩავედი. ვმღეროდი ჯაზს. შემდეგ პროგრამა შევცვალე – ვმღეროდი თითქმის ყველა ჟანრში და ალბათ, ეს სხვებზე კარგად გამომდიოდა, რადგან პოპულარობა მოვიპოვე. ორიგინალში ვმღეროდი ყველაფერს, ისევე, როგორც ალა პუგაჩოვა, უსპენსკაია და სხვა ცნობილი მომღერლები.

**– როგორც ფიქრობთ, იღბლიანი ადამიანები ხართ?**

– კი, ვფიქრობ, რომ იღბლიანი ვარ. ყოველთვის დამოუკიდებელი და ძალიან მიზანდასახული ვიყავი. ადამიანი თუ საკუთარ თავში დარწმუნებული არ არის, არაფერი გამოუვა.

**ხატია კარანაძე**




## „რჩეულნი" – თანამედროვე ზღაპარი თინეიჯერებისთვის

წიგნის სახლ „ბახტრიონში" მწერალ მაია ბუიღლიშვილის ახალი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. ქალბატონმა მაიამ წიგნის პრეზენტაცია საკუთარ დაბადების დღეს დაამთხვია, შესაბამისად, პრეზენტაციაზე შეკრებილი სტუმრები მას იუბილეს და ახალ, რიგით მესამე წიგნს ერთად ულოცავდნენ. მაია ბუიღლიშვილი არის ავტორი წიგნებისა „იისფერ ფიფქთა მოზაიკა" და „არაბესკები". „რჩეულნი" განსხვავებული ჟანრის ნაწარმოებია, ეს არის ფანტასტიკურ-შემეცნებითი, თანამედროვე, ნოველისტური ზღაპარი, იდეით, თემატიკით, სიუჟეტით, ეროვნული კოლორიტით დაკავშირებული რეალობასთან. თანამედროვე ზღაპარი მკითხველს უნერგავს იმედსა და სულიერ სიმტკიცეს, ხალისსა და ენერგიას. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები. ბოლოს კი გაიჭრა სადღესასწაულო ტორტი, რომელზეც ზღაპრის პერსონაჟები იყვნენ გამოსახულნი. ვულოცავთ ქალბატონ მაიას იუბილეს, წელთა და წიგნთა სიმრავლეს ვუსურვებთ!

## „ქიფ სმაილინგ" ანუ გაიღიმეთ" – რუსუდან ჭყონიას ფილმი უკვე კინოთეატრებში




რუსუდან ჭყონიას სადებიუტო ფილმზე „ქიფ სმილინგ" ანუ გაიღიმეთ" 7 მარტიდან საქართველოს კინოთეატრებში შეგიძლიათ ნახოთ. ნიუ-იორკის კინოსკოლის დამთავრების შემდეგ, რეჟისორი დოკუმენტურ ფილმებზე მუშაობდა, „ქიფ სმილინგ" ანუ გაიღიმეთ" კი მისი პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია, რომელმაც უკვე მოიპოვა რამდენიმე ჯილდო პრესტიჟულ კინოფესტივალებზე. სწორედ ეს ფილმი იყო გაგზავნილი „ოსკარზე" საქართველოდან. ფილმი ეხება მრავალშვილიანი დედების სილამაზის კონკურსს, რომლის გამარჯვებულიც ბინასა და ოცდახუთი ათას დოლარს იღებს. გადაღებების ძირითადი ნაწილი ერთ ლოკაციაში მიმდინარეობდა, რაც ფილმს განსაკუთრებულ ვიზუალს აძლევს. მასზე მუშაობა შვიდი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, რისი მთავარი მიზეზიც საჭირო ფინანსების მოძიება იყო. ფილმში მონაწილეობენ: ნანა შონია, თამარ ბუხნიკაშვილი, ოლიკო ბაბლუანი, ია სუხიტაშვილი, შორენა ბეგაშვილი, თამრი ბზიავა, გია როინიშვილი, ბექა ელბაქიძე და სხვები. ფილმს საკმაოდ დიდი წარმატება ხვდა წილად A კლასის ფესტივალებზე, ვენეციის კინოფესტივალზე პრემიერის შემდეგ მან უამრავი ფესტივალი მოიარა. მონრეალში აღებული სპეციალური პრიზის შემდეგ კი, სცენარისტი და რეჟისორი რუსუდან ჭყონია ჟენევაში გაემგზავრა.

## გადმოხტი და გაიყინე!

ზამთრის ყველაზე ექსტრემული და გასართობი შეჯიბრება – RED Bull Jump@Freeze წელს უკვე მეორედ გაიმართება გუდაურში. მონაწილეობის მსურველთა განაცხადებების მიღება დაწყებულია.

16 მარტს, 13:00 საათზე, სახალისო კოსტიუმებში გამოწყობილი მონაწილეები 100-მეტრიანი ტრასიდან დაეშვებიან და ტრამპლინიდან პირდაპირ ცივი წყლით სავსე აუზში ჩახტებიან.




(RED Bull Jump@Freeze) „რედ ბულის" საერთაშორისო პროექტია, რომელიც პირველად 2008 წელს ავსტრიაში განხორციელდა. საქართველოში Red Bull Jump&Freeze პირველად 2012 წელს ჩატარდა და პროექტში 21 გუნდმა მიიღო მონაწილეობა.

რეგისტრაციის გასავლელად მონაწილეებს ევალებათ, წინასწარ წარადგინონ გუნდის კრეატიული კონცეფცია, მოიფიქრონ სახელი და მოამზადონ შესაბამისი სახალისო კოსტიუმები. განაცხადების გადარჩევის შედეგად 25 საუკეთესო გუნდი შეირჩევა (თითო გუნდი შედგება არაუმეტეს 3 წევრისგან).

– თითო მონაწილე გუნდს ნახტომისთვის ეძლევა 5 წუთი (პერფორმანსი + ნახტომი + აუზიდან ამოსვლა);

– გუნდების ეკიპირება: თხილამური, სნოუბორდი, ციგა ან სხვა „სატრანსპორტო" საშუალება;

– აუზის მონაცემები: სიგრძე – 16 მეტრი, სიგანე – 8 მეტრი, სიღრმე – 1,5-1,8 მეტრი;

– აუზიდან ამოსვლისას მონაწილე გუნდი გასათბობად განთავსდება სპეციალურად მოწყობილ დახურულ თბილ სივრცეში.

– შეფასების კრიტერიუმები: კრეატიულობა, ნახტომის შესრულების ტექნიკა და მაყურებლის სიმპათია;

– ნახტომს შეაფასებს კომპეტენტური ჟიური.

2012 წლის მონაწილე გუნდები: „დაშლილ-შეშლილები", „ბრაზიანი ჩიტები", „გაყინული ათლეტები", „ტრანსფორმერები", „Snow გრაფები", „ცხელი თავები", „შეიხები", „უდიპლომო სასიძოები", „The good, the Bad and The Ugly", „ტიტანიკი", „ალისა", „ზევსის რისხვა", „როდეო", „ჯვაროსნები", „აბუჩა", „Fire starters", „Powerpuff girls", „ოფროუდერები", „ადამიანები შავებში", „რეციდივისტები", „მარტის კატები", „უჩინარი შოთა".

ღონისძიების მსვლელობის დროს დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა, ადგილზე მობილიზებული იქნება მაშველთა ჯგუფი; აუზიდან მონაწილეების ამოყვანაზე იზრუნებენ აკვალანგისტები და მაშველები. ყველა მონაწილეს გაუფორმდება ჯანმრთელობის დაზღვევა.

16 მარტი, 13:00 – გუდაურის მეორე საბაგიროსთან უნიკალური სანახაობა, დაუვიწყარი გართობა, დრაივი და ექსტრემი გარანტირებულია!

## ლოცვა, რომელმაც 8 ბავშვს სიცოცხლე შეუნარჩუნა



ჯვრის მამის მონასტრის მღვდელმსახური, დეკანოზი თავმასი (ჩოხელი), კარგა ხანია, ლექსებს წერს, რომელთა დიდი ნაწილი უკვე მშვენიერ სიმღერებად იქცა. მამა თავმასმა რამდენიმე ხნის წინ დაწერა ლექსი, რომელიც მუცლადმოწყვეტილ ჩვილებსა და მათ დედებს მიუძღვნა.

### ნუ მომკლავ, დედა

**(ეძღვნება მუცლადმოწყვეტილ ჩვილებს)**

*ნუ მომკლავ, დედა, მინდა, ვიცოცხლო და*
*ქართველობის ვწიო ჭაპანი,*
*გპირდები, ჩემით იამაყებენ ჩემთვის უცნობი*
*მამა–პაპანი.*
*ნუ მომისწრაფებ სიცოცხლეს, დედა,*
*უტყვი ვედრებით მე ამას ვითხოვ,*
*მინდა, გიყვარდე, შევიგრძნო მინდა,*
*შენი ალერსი და შენი სითბო.*
*იებს დაგიკრეფ აპრილის თვეში,*
*სიფრიფანა და ლურჯთვალა იებს,*
*მინდა, ვიცოცხლო, შენ კი ილოცე,*
*ნუ მაქცევ მიწად, ნუ გამაციებ.*
*თუ ნანობ, მინდა, რომ გაგიქარვო,*
*სულის ტკივილი, გულის დარდები,*
*უფალს ვთხოვ, დედა, შეგინდოს ცოდვა*
*უმანკო ჩვილის არდაბადების.*
*მე გაზაფხულზე სიმღერად მოვალ,*
*შენი ცხოვრების ტკივილებს წავშლი,*
*იმ ქვეყნიდანაც დაგეხმარები, ღვთით*
*მოვლენილი, უმანკო ბავშვი.*

**მამა თავმასი**: ბავშვობიდან მესმოდა, რომ დედები აბორტს იკეთებდნენ; ვიცოდი, მუცელში შვილებს კლავდნენ, მაგრამ, არ ვიცოდი, კონკრეტულად ეს როგორ ხდებოდა. ჯერ კიდევ მაშინ ეს ჩემთვის ძალიან მძიმე იყო და ამ ტკივილს დიდი ხნის განმავლობაში დავატარებდი გულით. მას შემდეგ 38 წელი გავიდა და ლექსად ვთქვი ჩემი სათქმელი. მინდოდა, ისეთი ლექსი დამეწერა, რომელიც ადამიანებზე იმოქმედებდა და ამ საშინელ გადაწყვეტილებას შეაცვლევინებდა. დიღომში არის სამშობიარო კლინიკა „იმედი", რომელსაც ჰყავს ძალიან კარგი დირექტორი – დავით კობეშავიძე. მან გულთან მიიტანა ჩემი გულისტკივილი და კლინიკა „იმედის" ფოიეში დაკიდა ჩარჩოში ჩასმული ჩემი ლექსი: „ნუ მომკლავ, დედა", რომელიც ეძღვნება მუცლადმოწყვეტილ ჩვილებს. კლინიკაში მუშაობს ასევე ძალიან კარგი ადამიანი, ექიმი ზაზა იმერლიშვილი, რომელიც, იმ დედებს, ვინც აპირებს აბორტის გაკეთებას, მიუთითებს, ნახონ ეს ლექსი, წაიკითხონ და გაიაზრონ საკუთარი საქციელი. როგორც ვიცი, ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ 8 ქალმა გადაიფიქრა აბორტის გაკეთება, ანუ, რვა ბავშვს შეუნარჩუნდა სიცოცხლე. მაგრამ, მე გაჩერებას არ ვაპირებ – მინდა, მთელ საქართველოს მოეფინოს ეს ლექსი. როგორც ვიცი, სულ 107 სამშობიარო სახლი და ქალთა კონსულტაციაა. ყველა ქართველს, ამ კლინიკების დირექტორებს, ხელმძღვანელებს ვთხოვ, გულთან მიიტანონ ეს ტკივილი, რომელიც, არა მხოლოდ ჩემი, არამედ, მთელი საქართველოს ტკივილია. მინდა, ყველგან გავრცელდეს, დაკიდონ ეს ლექსი კლინიკების ფოიეებში, რომ ნახონ დედებმა და გადაიფიქრონ ჯერ არდაბადებული შვილის მოკვლა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავშვი ჩასახვის დღიდან სულიერია და მის მოკვლაში ექიმთან ერთად მშობლებიც იღებენ მონაწილეობას. იმედს ვიტოვებ, რომ, ეს ლექსი, რომელიც ცოტა ხნის წინ ამღერდა და მალე მისი სატელევიზიო პრემიერაც შედგება, კიდევ არაერთ ბავშვს გადაარჩენს. ამიტომაც, უმორჩილესად ვთხოვ ყველა ქართველ დედას, გაუფრთხილდით ახალ სიცოცხლეს. ნუ გაიმეტებთ შვილებს უსახელო და უსაფლავო სიკვდილისთვის. ქართველ ერს ხომ ესოდენ ესაჭიროება გამრავლება. უფალს ებარებოდეთ! მე თქვენ მიყვარხართ!

**მოამზადა სალომე გველესიანმა**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

# რამდენი სასიყვარულო ეტაპი არსებობს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში

> *„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*
>
> **კურტ ვონეგუტი**

ასტროლოგიური კანონები იმისთვის არსებობს, რომ ადამიანმა გაიგოს, რისთვის მოვიდა ამქვეყნად, რა ამოცანა აკისრია, რისკენ უნდა ისწრაფოს და რა უნდა გამოასწოროს.

თუ გსურთ, თქვენი ცხოვრება ჰარმონიული და იდეალური გახადოთ, პირად ურთიერთობებში ბედმა გაგიღიმოთ და მთელი სოცოცხლის განმავლობაში უპრობლემოდ განვლოთ გზა სასურველ სასიყვარულო პარტნიორთან ერთად, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ასტროლოგიური რჩევები.

ადამიანი დაოჯახებამდე და მას შემდეგაც ურთიერთობათა ევოლუციას განიცდის. კერძოდ, მამაკაცი და ქალი ერთად თანაცხოვრების დროს ზოდიაქოს თორმეტივე ნიშანს გაივლის, თანაც, სხვადასხვა სახის მონაცვლეობით. ზოგისთვის ის, შეიძლება, ერთ თვეს გაგრძელდეს, ზოგისთვის – წლების განმავლობაში, ზოგისთვის კი – მთელი ცხოვრება.

პირველი ეტაპი არის გაცნობა. ეს პერიოდი უკავშირდება ვერძის ზოდიაქოს. კაცი აქ ნამდვილი ვერძის თვისებების მატარებელია: აქტიური, შეუპოვარი, მიზანმიმართული, იმპულსური, ენერგიული; ქალი კი ამ დროს თევზის ზოდიაქოს ნიშან-თვისებებს იძენს. ანუ, მეტად იდუმალია, მორცხვი და საკუთარ თავში ჩაკეტილი.

განვითარების მეორე ეტაპზე მამაკაცი გადის კუროს ზოდიაქოში – უფრო მომთმენია და ყურადღებას აქცევს დეტალებს; ქალი კი გადაინაცვლებს მერწყულის ზოდიაქოში – ხდება თავისუფლებისმოყვარე, ორიგინალური, ქალური, ამოუცნობი, სპონტანური.

ურთიერთობის მესამე ეტაპზე კაცი გადადის ტყუპების ზოდიაქოში: ის აგროვებს მეტ ინფორმაციას, არის უფრო კომუნიკაბელური, გონებამახვილი; ქალი კი ამ დროს გადაინაცვლებს თხის რქაში – ისახავს მიზანს და ეძებს მისკენ მიმავალ გზებს.

ურთიერთობის მეოთხე ეტაპზე მამაკაცი გადადის კირჩხიბის ზოდიაქოში. ის ქალისგან მეტ ყურადღებასა და სითბოს ითხოვს; ქალი კი ამ დროს მშვილდოსნის ზოდიაქოშია და მზად არის, მას ყველაფერი მისცეს, ოღონდ, ურთიერთობის ოფიციალურად გაფორმების შემდეგ.

მეხუთე ეტაპზე მამაკაცი გადადის ლომის ზოდიაქოში: მას სურს, დაემორჩილონ, ზეგავლენა მოახდინოს რჩეულზე; ქალი კი ამ დროს ინაცვლებს მორიელის ზოდიაქოში, რაც იმას ნიშნავს, რომ ელოდება მეტ ვნებას, სიყვარულს, მზად არის ცხოვრებისეული გარდატეხისთვის.

მეექვსე ეტაპზე კაცი გადადის ქალწულის ზოდიაქოში და ხდება უფრო კრიტიკული, აკვირდება ყველა წვრილმანს, ყველაფერს პირდაპირ ამბობს; ქალი კი ამ დროს სასწორის ზოდიაქოს ნიშანს გადის – ამყარებს კავშირებს, ზრუნავს იმიჯზე, ფიქრობს, როგორ გააფორმოს კავშირი იურიდიულად, ანუ, მოაგვაროს ის, რაც ვერ მოასწრო წინა ეტაპებზე.

ურთიერთობის მეშვიდე ეტაპზე მამაკაცი სასწორის ზოდიაქოში იმყოფება: მზად არის ურთიერთობის დასაკანონებლად, კომპრომისზე წასასვლელად; ქალი კი ამ დროს გადაინაცვლებს ქალწულის ზოდიაქოში და მეტად აკვირდება წვრილმანებს, ხდება კრიტიკული, ხედავს უწესრიგობას და ელემენტარულ ქაოსს.

მერვე ეტაპზე მამაკაცი მორიელის ზოდიაქოშია: მეტადაა მიდრეკილი ვნების, რისკისა და ღალატისკენ; ქალი კი ამ დროს გადაინაცვლებს ლომის ზოდიაქოში და მეტ პატივისცემას ითხოვს მისგან – უნდა ყურადღების ცენტრში ყოფნა, განსაკუთრებული დაფასება და აღიარება.

ურთიერთობის მეცხრე ეტაპზე მამაკაცი გადადის მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამ დროს მისთვის მეტად მნიშვნელოვანი ხდება სოციუმი, იდეოლოგია, რელიგია და პოლიტიკა; ქალი ამ დროს კირჩხიბის ზოდიაქოშია და ხდება საკუთარ თავში ჩაკეტილი, მეტად ემოციური.

მეათე ეტაპზე კაცი ინაცვლებს თხის რქის ზოდიაქოში, ანუ, მიილტვის პროფესიული კარიერისკენ, ხდება მაქსიმალისტი ბიზნესში, სურს აღიარება; ქალი კი ტყუპების ზოდიაქოს გადის და მისთვის მთავარია კონტაქტები.

ურთიერთობის მეთერთმეტე ეტაპზე მამაკაცი გადადის მერწყულის ზოდიაქოში: მას სჭირდება ურთიერთობები, თავისუფლება, ახალი იდეები, ორიგინალური თვითგამოხატვა; ქალი ინაცვლებს კუროს ზოდიაქოში და მიილტვის ურთიერთობაში ჰარმონიის შენარჩუნებისკენ.

ურთიერთობის მეთორმეტე ეტაპზე მამაკაცი გადის თევზების ზოდიაქოს, ანუ, იკეტება საკუთარ თავში, ხდება ეჭვიანი, დეპრესიული; ქალი კი ვერძის ზოდიაქოს ნიშანშია და მეტად ენერგიული, აქტიური, იმპულსური, მებრძოლი და თამამია. მზად არის, ყველაფერი თავიდან დაიწყოს.

ურთიერთობათა ევოლუციას ადამიანი, შესაძლოა, როგორც დაოჯახებამდე, ასევე, მთელი შემდეგი ცხოვრების განმავლობაში გადიოდეს. თუ ამ ეტაპებს კარგად გააანალიზებთ, მაშინ, საყვარელი ადამიანის გვერდით პირადი ცხოვრების აწყობა ნამდვილად არ გაგიჭირდებათ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1982 წლის 8 დეკემბერს, დილით. მინდა უცხოეთში გამგზავრება. იქნებ, მირჩიოთ, რომელი ქვეყანა ჯობია ჩემთვის და, ასევე, მაინტერესებს, ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან მელის მშვიდი და ჰარმონიული ოჯახური თანაცხოვრება?**

**პასუხი:** თქვენთვის მისაღებია ურთიერთობა თხის რქის, მორიელის, ლომის, სასწორის, მერწყულის ან ვერძის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან. უცხოეთის ქვეყნებიდან კი კარგია: მექსიკა, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ისლანდია, საბერძნეთი, ჩინეთის სამხრეთი ნაწილი, მაკედონია, ირლანდია, უკრაინა, კვიპროსი, პოლონეთი, შვეიცარიის აღმოსავლეთი ნაწილი, მოლდავეთი, არგენტინა, ესტონეთი, ფინეთი, ლატვია, ისრაელი.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1987 წლის 1 დეკემბერს. უნდა უცხოეთში წასვლა და იქ სწავლა და მუშაობა. ასტროლოგიური კუთხით რომელი ქვეყნებია მისთვის მისაღები?**

**პასუხი:** უცხოეთი მისთვის დიდი წარმატებების მომტანი არ არის, თუმცა, იქ წასვლა და ძალების მოსინჯვა, ნამდვილად ღირს. ქვეყნებიდან კარგია: ინგლისი, დანია, ავსტრალია, შვედეთი, ყაზახეთი, სინგაპური, მალაიზია.

**კითხვა: დავიბადე 1975 წლის 29 მაისს. ასტროლოგიურად რომელი ქვეყნებია ჩემთვის მეტად მისაღები?**

**პასუხი:** თქვენი კარმულ-კოსმიური მისია სწორედ უცხოეთს უკავშირდება. ამიტომ, იქ გამგზავრება და ძალების მოსინჯვა თქვენთვის აუცილებელია. ქვეყნებიდან კი ასტროლოგიურად მისაღებია: ინგლისი, ავსტრალია, დანია, შვედეთი, ყაზახეთი, ვიეტნამი, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი, საფრანგეთის სამხრეთი, სერბეთი, სლოვენია, ესპანეთი და პორტუგალია.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2000 წლის 21 იანვარს. მომავალში რომელ სფეროში მიაღწევს სასურველ შედეგს?**

**პასუხი:** მისთვის კარგია და მისაღები: ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო საქმიანობა, ავიაციის ბიზნესი, მთარგმნელობითი საქმე, იურისპრუდენცია, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი ან შემოქმედება, პოლიტიკა, სამართლებრივი ორგანოები, მშენებლობა, არქიტექტურა, საინჟინრო საქმე, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმიანობა და პედაგოგიკა.

**კითხვა: ჩემი და დაიბადა 1997 წლის 23 აგვისტოს. რა საქმიანობას უნდა მოჰკიდოს ხელი, რომ სამომავლოდ წარმატებებს მიაღწიოს?**

**პასუხი:** მისთვის წარმატებების მომტანია შემდეგი პროფესიები: კომპიუტერული ტექნოლოგიები, პროგრამული სისტემები, აუდიო-მობილური და ვიდეოსისტემების ბიზნესი, სოციოლოგია, ასტრონომია, ასტროლოგია, ავიაციის ბიზნესი, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, სცენარისტობა, დრამატურგია, რეჟისურა, საინჟინრო სფერო, მედიცინის ფართო სპექტრი, ლინგვისტიკა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, პედაგოგიკა.

**კითხვა: დავიბადე 1983 წლის 19 სექტემბერს. გთხოვთ, მირჩიოთ, რომელ პროფესიაში ვცადო ბედი, რომ ცხოვრებაში მეტ წარმატებას მივაღწიო?**

**პასუხი:** თქვენთვის წარმატებების მომტანი პროფესიებია: ჟურნალისტიკა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, ტურისტული ბიზნესი, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, სპორტის ფართო სპექტრი, მენეჯერული სამუშაო, ავიაციის ბიზნესი ან შემოქმედება, პედაგოგიკა და იურისპრუდენცია.

## ვერძი



მოვლენები სწრაფად განვითარდება, ამიტომ ხშირად დაისვენეთ და ეცადეთ, არ გადაიღალოთ. ენერგიის დაქვეითების მიუხედავად, ამ კვირაში წარმატებების მიღწევა შესაძლებელია, თუ დასახული გეგმის მიხედვით იმოქმედებთ. შესაძლოა, რომანი განაახლოთ ძველ თაყვანისმცემელთან. ამ პერიოდში დაწყებული სასიყვარულო კავშირი კი დიდხანს გასტანს.

## კურო



მიზნის მისაღწევად იმოქმედეთ გეგმაზომიერად. ოჯახში მოსალოდნელია ცვლილებები. იყავით ფრთხილი საფინანსო და საბანკო ოპერაციების დროს. ნუ დახარჯავთ ფულს უმიზნოდ. კარგია მოგზაურობა და ახალი პროფესიის ათვისება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა კი საგრძნობლად გაუმჯობესდება, თუ მასთან გულახდილი იქნებით.

## ტყუპები



სამსახურში, შესაძლოა გაგიჩნდეთ ფარული მტრები. მოერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას. მოიმატებს თქვენი შემოსავლები და გაიზრდება ავტორიტეტი. სირთულეებს ადვილად დაძლევთ. ეცადეთ, პირად ცხოვრებაში დროებითი სიმშვიდე მელანქოლიაში არ გადაგეზარდოთ. თქვენი იმუნიტეტი დაქვეითებულია, რის გამოც მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციოთ ჯანმრთელობას.

## კირჩხიბი



წარმატების მისაღწევად ბევრი იშრომეთ და იმოქმედეთ გეგმაზომიერად. კარგია უცხოელებთან კონტაქტი. შესაძლოა, მათგან ახალი შემოთავაზებაც მიიღოთ. თავი შეიკავეთ საყვარელ ადამიანთან კამათისგან, რათა შეინარჩუნოთ ჰარმონიული ურთიერთობა. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

## ლომი



მოვლენებისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. იზრუნეთ საკუთარ იმიჯსა და გარეგნობაზე. გამოავლინეთ ლიდერული თვისებები და შეძელით საჭირო ინფორმაციის მოპოვება. საყვარელი ადამიანი გაგახარებთ თავისი უცაბედი გადაწყვეტილებით. ერიდეთ ჭორებს და შეინახეთ საიდუმლო.

## ქალწული



საქმეებში წარმატება გელით, თუ შემოქმედებით უნარს გამოავლენთ. კარგია სახლის რემონტი და ავეჯის შეძენა. თავს კარგად იგრძნობთ და მოგინდებათ მეტის კეთება. არ არის გამორიცხული, სწორედ ამ პერიოდში ჩაეყაროს საფუძველი ახალ სასიყვარულო კავშირს, რომელიც მეტ სტიმულს მოგცემთ ცხოვრებაში.

## სასწორი



მეტი დრო დაუთმეთ ოჯახსა და სახლის საქმეებს. შეეცადეთ, გაუგოთ ოჯახის წევრებს. ფარული სასიყვარულო თუ ინტიმური კავშირი არ დაიმალება და, შესაძლოა, ამან თქვენს რეპუტაციაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს. ეცადეთ, იმოქმედოთ მეტად გონივრულად და საიდუმლო სხვებისგან დაფაროთ.

## მორიელი



ახლობლებზე ზრუნვა ბევრ სიძნელეს გადაგატანინებთ. იშრომეთ თავდაუზოგავად. კარგი დროა ძველი კავშირების აღსადგენად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. არ არის გამორიცხული, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაუარესდეს, რის გამოც ინერვიულებთ. თუმცა, ნუ იეჭვიანებთ და ამით უარესად ნუ დაძაბავთ ურთიერთობას. არ გირჩევთ შორეულ მოგზაურობას.

## მშვილდოსანი



მეტი ყურადღება გამოიჩინეთ ოჯახის წევრების მიმართ. ნაკლებად გააკრიტიკეთ კოლეგები, რათა მათ თვალში არ დაეცეს თქვენი ავტორიტეტი. კარგია შემოსავლის ახალი წყაროს მოძიება. გაიზრდება გადაადგილებებისა და კონტაქტების რიცხვი, რაც ახალ პერსპექტივებს დასახავს. საყვარელ ადამიანთან სტაბილური ურთიერთობა მეტად დაგამშვიდებთ და უფრო მეტად დაგაფიქრებთ.

## თხის რქა



მაღალია ენერგოპოტენციალი, რისი მეშვეობითაც ადვილად შეძლებთ სირთულეების დაძლევას. კარგია ახალი კავშირების დამყარება და ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებაზე ფიქრი და მოქმედება. ოჯახის წევრები და საყვარელი ადამიანი ჰარმონიულ გარემოს შეგიქმნიან და დაგამშვიდებენ.

## მერწყული



ბევრი შეხვედრა და გადაადგილება გელით. უსმინეთ ინტუიციას და არ ენდოთ ახალგაცნობილ ადამიანებს. პარტნიორები დაგეხმარებიან ფინანსური პრობლემების დაძლევაში. ნუ გამოიყენებთ ინფორმაციას, თუ მას არ გადაამოწმებთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და უარი თქვით მძიმე ფიზიკურ შრომაზე.

## თევზები



ენერგიული, კონტაქტური და მეგობრული იქნებით. იზრუნეთ იმიჯის შეცვლაზე. მოიმატებს შემოსავლები, თუმცა, ამავდროულად სამუშაოც. ბევრი რომანტიკული შეხვედრა გელით. თავისუფალი დრო გაატარეთ ბუნებაში მეგობრებთან და საყვარელ ადამიანთან ერთად – ეს თქვენს გუნება-განწყობაზე დადებითად აისახება.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი



**ახალმთვარეობა – 11 მარტი, 19 სთ: 52 წთ.**

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

ამ დღეს ახალმთვარეობაა, რის გამოც შეინიშნება სასიკეთო კოსმიური ენერგიების ნაკლებობა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ტრავმებს, ავარიებს, კონფლიქტებს, დეპრესიას, ჯანმრთელობის გაუარესებას, ცდუნებებს, შეცდომებსა და სხვა პრობლემებს. იყავით მეტად ფრთხილი და წინდახედული. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს, მოერიდეთ მოლაპარაკებებს, საიდუმლო სასიყვარულო შეხვედრებსა და სარისკო მოქმედებებს. მოიმატებს ღალატისა და მოტყუების ალბათობა. ატარეთ მწვანე, ფირუზისფერი, ლურჯი, იისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – გიშერი, მარჯანი, ოპალი, აქატი ან ზურმუხტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. სუსტდება ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემები, კანი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

მაღალია მოტყუების, კონფლიქტების, ღალატისა და ილუზიების ალბათობა. აკონტროლეთ ემოციები და აგრესია. მოიშორეთ ცუდი ფიქრები და დასახეთ მომავალი გეგმები. ატარეთ მწვანე, ფირუზისფერი, ვერცხლისფერი, იისფერი, ლურჯი, მწვანე, წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, გიაცინტი, აქატი, იასპი ან ტურმალინი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებასა და წესების დარღვევას. სუსტდება თავი, ნერვული სისტემა, თვალები, სისხლძარღვები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

საკითხების გადაწყვეტისას ნუ აირჩევთ რთულ გზებს. მოერიდეთ სულსწრაფობას და შეინარჩუნეთ სიმშვიდე. მეტი დრო დაუთმეთ ახლობლებს. ატარეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ცისფერი, ლურჯი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ფირუზი ან სარდიონი. კარგია ვარჯიშების ჩატარება. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. აკონტროლეთ ეჭვიანობა და მოერიდეთ კამათს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, საფინანსო და საბანკო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულებების დადება, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება, თმის შეჭრა. კარგია ხელმძღვანელებთან კონტაქტი, მოგზაურობა, ავეჯის შეძენა. სუსტდება თავი, თვალები, გრძნობათა ორგანოები.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

### ხუთშაბათი

მოერიდეთ სულსწრაფ გადაწყვეტილებებსა და იმპულსურ მოქმედებას; ასევე, ეჭვიანობას. კარგია ცოდნის გაღრმავება, ტრადიციების დაცვა, ახლობლებთან ურთიერთობა. ნუ განმარტოვდებით. გაააქტიურეთ კონტაქტები. კარგია ახალი ნაცნობობა. დაწყებული საქმე მიიყვანეთ ბოლომდე. ატარეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ოქროსფერი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, ქარვა, აკვამარინი, წითელი იასპი ან ძოწი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სასიყვარულო კონტაქტებს, სტომატოლოგიურ პროცედურებს, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებებს. კარგია აქტიური მოქმედება, მოგზაურობა. სუსტდება თავი, ყელი, თვალები, გრძნობათა ორგანოები, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტურია დღის მეორე ნახევარი

მოერიდეთ მოგზაურობას და დაიცავით თქვენი პრინციპები. არ ვარგა სარისკო მოქმედებები და სულსწრაფი გადაწყვეტილებები. ატარეთ ყავისფერი, ცისფერი, ლიმონისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან – კი აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, ამეთვისტო ან ქრიზოპრაზი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა, ახალი ნაცნობობა, ხელოვნებასთან და დიზაინთან კონტაქტი, გართობა. ადრე დაწყებული საქმეები მიიყვანეთ ბოლომდე. ასევე, კარგია ვაჭრობა, სამეცნიერო კვლევა, შემოქმედებითი მუშაობა, მცენარეების დარგვა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტურია დღის პირველი ნახევარი

შესაძლებელია ფინანსური გარიგებები, საზოგადოებრივი საქმიანობა. კარგია ვაჭრობა. მოერიდეთ რისკსა და სულსწრაფობას. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, ლიმონისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ყვითელი იასპი, ონიქსი ან მარჯანი. ნუ მოუყვებით სიზმრებს სხვებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, ახალი ნაცნობობა, მეგობრებთან კონტაქტი, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, მოგზაურობა, ვაჭრობა, გართობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### კვირა

მოერიდეთ მოგზაურობას. ატარეთ ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, იასამნისფერი, ყვითელი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, კრემისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ლალი, საფირონი, ნეფრიტი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. მოიმატებს მგრძნობელობა. კარგია სავაჭრო გარიგებები, გაცვლითი ოპერაციები, სწავლა, მშენებლობა. მაღალია გაციების ალბათობა. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

**დიჯეი ბაჯუ, გიგა ერისთავი, თბილისში 90-იან წლებში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული დიჯეი იყო. მასზე თბილისში ჩამოსულმა „ბი-ბი-სის“ წარმომადგენლობამ დოკუმენტური ფილმი გადაიღო. ის და ლადო ბურდული 90-იანების ჩაბნელებულ თბილისში ერთობლივ ფართებს აწყობდნენ. ბაჯუს – ევროპის არაერთ ქვეყანაში უცხოვრია და უმუშავია, მათ შორის ისეთი სუპერპოპულარული ჯგუფის პროდიუსერთან, როგორიც „ენიგმაა“.**

# როგორ მუშაობდა დიჯეი ბაჯუ „ენიგმას“ ფრანგ პროდიუსერთან და როგორ მოხვდა ის „ბი-ბი-სის“ ობიექტივში

**ბაჯუ:** მაშინ ყველაფერი ახალი და უცხო ხილი იყო, რასაც მე და ლადო ბურდული ვაკეთებდით. მე და ლადო თითქმის ბავშვობაში შევხვდით ერთმანეთს – იყვნენ მაშინ კარგი მუსიკოსები, თაობები გაიზარდა ლადოს მუსიკაზე, ლექსებზე, ზღაპრებზე... ლადო იყო „ტუსოვშჩიკი“, თავისი სახლი აირჩია შეკრებებისთვის. ფილარმონიის ხელმძღვანელობამ იმხელა ფასი დაადო კონცერტებს, თან ისეთი დრო იყო, ყვავილები კი არა, ბომბები შემოჰქონდათ დარბაზში კონცერტზე... სხვათა შორის, დასავლეთში, მით უმეტეს, ქუთაისში უფრო იყო ეგეთი დვიჟენიები, ვიდრე დედაქალაქში. მთელი თბილისი გაპლანაქეშებული და განარკომანებული იყო, მუსიკოსები თავს იკლავდნენ, მეტროში მატარებელს უვარდებოდნენ...

**– ქუთაისში არ არის მეტრო, თორემ იქაც ჩახტებოდნენ.**

– არა, პირიქით. ქუთაისში მაშინ სტადიონებზე კონცერტებზე დადიოდა ხალხი. ჩამოდიოდა სხვადასხვა ჯგუფი, ჩამოსული იყო მაკარევიჩი, რომელმაც პირველი დისტანტონი და გიტარა აქ შეიძინა. სხვათა შორის, რუსებს ბევრი რამ ჩვენგან აქვთ აღებული. მე და ლადომ 93 წელს დისკები გამოვუშვით, ალბომი ჩავწერე. მახსოვს, დიდი პრობლემა იყო მაშინ დისკის გამოშვება. მე თვითონ მქონდა სახლში ხმის ჩამწერი სტუდია, ალტერნატიული დისკი გამოვუშვი, ცოტა ალტერნატიული ტონალობით, პროტესტის ელემენტებით. პოლიტიკურ სისტემას, იმ საშინელებას გამოვუცხადე პროტესტი – ნურც ერთი თბილისელი ნუ მიწყენს, მაგრამ ძალიან ტუტუცურად მოიქცნენ მაშინ – განსაკუთრებით კინომცოდნე გოგი გვახარია. ქუთაისის იმ პერიოდზე რაღაც ფილმი გადაიღო და იქ ჩემი მასალებიც გამოიყენა. ჩამოვიდა ქუთაისში, პანდროკსა და ქუთაისურ ალტერნატივაზე ისეთი ხალხი ალაპარაკა, ვინც საერთოდ ამის აზრზე არ იყო. ძალიან ვიყავი გაბრაზებული – თან, ჩემი მუსიკა ედო ფონად. მთელი ქუთაისი მირეკავდა გაბრაზებული. არც მკითხა ავტორს, თანახმა ვიყავი თუ არა, ჩემი მუსიკა გამოეყენებინა – ისეთ ტიპებთან მიმაწება, ვისაც მთელი ცხოვრება ვლანძღავდი და ვაგინებდი.

**– ჩაგეჭრებით... თქვენი თაობის ბევრი ბიჭი მაშინ აფხაზეთის ომში წავიდა, თქვენ არ გქონიათ სურვილი?**

– მე გამომაგდეს იქიდან ***(იცინის).*** ძმაკაცებმა გამომაგდეს – ვიქაჩებოდი, ფრონტზე, წინა ხაზზე უნდა დავდგე-მეთქი. მე რა შემეძლო?! ტანკზე ვიდექი – ტანკის ფრთაზე, თან ვმღეროდი, თან ვიგინებოდი. ძალიან ბევრი მეგობარი დავკარგე იმ ომში, მიჭირს და არც მინდა ამ თემაზე ლაპარაკი... ყველას ჰგონია, ქუთაისი ნარკომანებისა და ძველი ბიჭების ქალაქია, მაგრამ არ არის ეგრე. ვისაც ყური ფანქრით არ ჰქონდა მოხატული და თვალი ფლომასტრით გაფერადებული – ყველა რაღაცას აკეთებდა. მე, უბრალოდ, დავტოვე ალტერნატიული, როკენროლის სამყარო და წავედი უცხოეთში – საფრანგეთში, ჰოლანდიაში... ყველგან ვცხოვრობდი. ბევრი უცხოელი პროდიუსერი დაინტერესდა ჩემით, ფრანგი პროდიუსერი მყავდა, რომელიც „ენიგმას“ პროდიუსერი იყო და ამ ჯგუფთან დიდხანს მუშაობდა. სერგი გვარჯალაძის გადაცემაში ლაივს რომ ვუკრავდი, ბევრს ეგონა, დაექსტაზებული ვიყავი, არადა სიგარეტიც კი არ მომიწევია. ჩემი მუსიკაა ჩემი ნარკოტიკი. ერთხელ კინოფესტივალზე ვიყავი და იქიდანაც გამომაგდეს. ქეთი დოლიძეა, მგონი, სათვალიანი, რეჟისორი ქალი. ჩემი აზრით, ძალიან გაუნათლებელი და უმეცარი ადამიანია. გამომაგდო ფესტივალიდან – ელექტრომუსიკა რა უბედურებაა, დენზე ხარ შეერთებულიო... ევროპული კინოს ფესტივალი იყო, უცხოელები იყვნენ. ორი საღამო დავუკარი და მესამე დღეს გამომაგდო, არ მოეწონა. მერე კი დადიოდა თვითონ კარგად „აჭარა მიუზიქ ჰოლში“ დაქალებთან ერთად, სვამდა და იყო ერთ ამბავში.

**– მაშინდელი მუსიკოსებიდან ვის გამოარჩევდით?**

– კარგი კითხვაა ***(იცინის).*** თბილისიდან ბევრი მუსიკოსი ჩამოდიოდა ქუთაისში, მაგალითად, ქიშო, რომელიც ახლა ამერიკაშია. თბილისიდან მოტოციკლეტით ჩამოდიოდა ხოლმე – გაგიჟებული უყურებდა ხალხი ***(იცინის).*** გიჟი ტიპი იყო, თმას თეთრად იღებავდა... დავრბოდით საყურეებით, ლადოს „შმოტკებით“. გერმანულ ნაგაზებს რომ მიუქსევენ ჯაშუშს, ისე გვყავდა ჟურნალისტები მოქსეული... ვინა ხართ, რა გინდათო... მუსიკისა და მეგობრების ტრანსში ვიყავი და პოლიტიკა ფეხებზე მეკიდა! მქონდა სინთეზატორები, სემპლერები, სინთეზატორებისგან ვაწყობდი რაღაც მოწყობილობებს... მერე დისკ-ჟოკეები წამოვიდნენ, რადიოში დისკებს ატრიალებდნენ... სერგი გვარჯალაძემ ჩემზე ფილმი გადაიღო – როგორ ვტენიდი აკუმულატორს და როგორ დამქონდა აქეთ-იქით მუსიკის დასაკრავად. გერმანიაში რომ ჩაიტანა ეს ფილმი, გაგიჟდნენ – ეხვეწებოდნენ, ჩამოიყვანე, აქ დაუკრას. კოლბაში უნდა ჩავსვათო ***(იცინის).*** კოლბაში ჩასასმელი კაცი ვარ მე? რაღაც ფესტივალი იყო გერმანიაში და იქ წაიღო ეს ფილმი. სხვათა შორის, ჩემი და ლადოს „ტუსოვკებზე“ ბევრი ისეთი ტიპი დადიოდა, რომელიც დღეს ძალიან ცნობილი და პოპულარულია, მაშინ კი არაფერს წარმოადგენდა.



**უბნის ინსპექტორი, დახეული ჯინსებისა და გრძელი თმის გამო მაჩერებდა და მმოძღვრავდა, კუკარაჩა იყო სუფთა... მამაჩემი სისხლის სამართლის გამომძიებელი იყო თვითონ**

**– მე ვიცი, რომ „ბი-ბი-სიმ“ თქვენზე დოკუმენტური ფილმი თუ სიუჟეტი გადაიღო...**

– კი, ეგრეა, 90-იანებში იყვნენ ჩამოსული, როგორც ტელევიზიის, ისევე რადიოსადგურ „ბი-ბი-სის“ წარმომადგენლები. რომ ნახეს, იმ სიბნელეში, სანთლების შუქზე ელექტრონულ მუსიკას ვუკრავდი, გაგიჟდნენ. ჩამწერეს – თქვენ თუ სახლში ეგრე მაგრად გულაობთ, გარეთ რაღა იქნებაო ***(იცინის).*** აბა, დოლის და ტიკის გარეშე ვინ გაფრენილა-მეთქი.

**– საერთოდ, როგორ ეზიარეთ მუსიკას?**

– ძალიან ორიგინალურად – ბიბი კინგი ჩამოვიდა ჯაზ-ფესტივალზე – ყელსახვევით ვიდექი სცენაზე და საბავშვო ჯაზ-ანსამბლში ვუკრავდი. სახელმწიფო ფილარმონიაში ვმუშაობდი ბავშვობაში ოფიციალურად... ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი. სადაც ვიყავი იმ ქვეყანას კალმით ვხაზავდი რუკაზე, ბოლოს სულ გადახაზული იყო რუკა – დღემდე არ მასვენებს გამჩენი ***(იცინის).*** მყავდა გერმანელი, ფრანგი, შვედი პროდიუსერი, ქართველიც... ეს ქართველი ნამდვილი გიჟი და გადარეული იყო. ვიყავი ისრაელში, კორსიკაში... ნაპოლეონის სამშობლო ვნახე, ძალიან მომეწონა. ყველგან ძალიან მაგარია, ინდოეთშიც ვიყავი და ძალიან მაგრად „გამისწორდა“. ინდურ მუსიკასაც ვიყენებ ნამუშევრებშიც. უკრაინაში, სცენაზე თინეიჯერები ამოგვიცვივდნენ, ეგზალტირებულები იყვნენ, კაბელები, ლეპტოპები წამართვეს. გეიჰაუს მუსიკას იყვნენ მიჩვეულები და ჩემმა მუსიკამ ტრანსში ჩააგდო ხალხი ***(იცინის).*** მე „გომიკების“ მუსიკას არ ვუკრავ – თუმცა გეებისა და „ლესბიანკების“ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ეგ კომერციული მუსიკაა. მე კიდევ ექსპერიმენტები მიყვარს. ძალიან გაბრაზებული ვარ თბილისზე, აღარც ჩამოვალ მანდ – ყველაფერი გაპოლიტიკურებულია. ამერიკაში მყავს შვილი – მეხვეწება, ჩამოდი, ჩემთან იცხოვრეო, მაგრამ არ მინდა არაფრით – ქუთაისზე „სვეტსკი“ და ჯიგრული ქალაქი არ არსებობს.

**– რამდენი წლისაა თქვენი შვილი?**

– 23 წლის – 16 წლის ვიყავი რომ მეყოლა – კონცერტი მქონდა, მოსკოვიდან ახალი ჩამოსული ვიყავი და გამოვიქეცი, დამცოფა ჩემმა მენეჯერმა. იქ დაამთავრა რაღაც სასწავლებელი, არ ვიცი, ზუსტად. ქართული ძალიან ცუდად იცის, აქ ვერ ჩამოდის, აქაური სიტუაცია არ მოსწონს, სულ მეუბნება, მეცოდები, მამაო. ერთადერთხელ ვიყავი ამერიკაში შვილის სანახავად და ისიც ჩუმად, გაუხმაურებლად... არ მომეწონა ამერიკა, რა მოსაწონია ***(იცინის).***

**– ესე იგი სანთლების შუქზე გქონდათ „ტუსოვკები“?**

– სად იყო შუქი, სანთლები გვენთო და ისე ვაწყობდით – არადა, უცხოელებს ეგონათ, განგებ ვაკეთებდით ასე ***(იცინის).*** ხშირად მოდიოდნენ უცხოელი ჟურნალისტები ჩვენთან ინტერვიუს ჩასაწერად. გარეთ ჯაბა იოსელიანი ყაჩაღობდა და ჩვენ მუსიკას ვუკრავდით. ორჯერ თუ სამჯერ დამაყაჩაღა „მხედრიონმა“ – ყველაფერი წაიღეს – დინამიკები, კაბელები, ინსტრუმენტები... სახლში რომ მოდიოდნენ, ჩემით ვუღებდი კარს, მობრძანდით, ერთი ცალი დინამიკი დამრჩა და ბარემ წაიღეთ-მეთქი! ეტყობა, მერე ყიდდნენ, აბარებდნენ. არასდროს მქონია ქურდულ სამყაროსთან შეხება, არადა, გვახარიას რომ ჰკითხო, ქურდებთან და თემურ შაშიაშვილთან დაახლოებული ვიყავი!

**– ნარკოტიკებს არ გაჰკარებიხარ?**

– მარიხუანა, ექსტაზი... ეგ ჩემი ბავშვობა იყო. 85-ში ჯეკსონის Thriller გამოვიდა, ეცემოდა მთელი საბჭოთა კავშირი. სოხუმიდან დისკები შემოდიოდა არალეგალურად, შემოდიოდა მარიხუანაც – ვბოლდებოდით და ჭკუაზე არ ვიყავით. ახლაც ხშირად ჰგონიათ, რომ დაექსტაზებული ვუკრავ... უბნის ინსპექტორი, დახეული ჯინსებისა და გრძელი თმის გამო მაჩერებდა და მმოძღვრავდა, კუკარაჩა იყო სუფთა ***(იცინის)...*** მამაჩემი სისხლის სამართლის გამომძიებელი იყო თვითონ. სკოლაშიც სულ პრობლემები მქონდა – რასაც მასწავლებელი მართმევდა, ყველაფერს იქ ინახავდა და ბოლოს ჩემი მუზეუმი გააკეთეს სკოლაში ***(იცინის).*** ათასნაირი მოწყობილობითა და ტრანზისტორებით დავდიოდი გაკვეთილზე.

**ქეთი დიდებულიძე**

**ვარიკოზი ვენის სანათურის პათოლოგიური გაგანიერებაა, რომელსაც თან სდევს ვენის დაგრძელება და დაკლაკვნა. ყველაზე ხშირად ვარიკოზული გაგანიერება ფეხის ვენებზე ვითარდება. უმთავრესად ზიანდება დიდი და მცირე კანქვეშა ვენები. ქალები ვარიკოზით მამაკაცებზე სამჯერ ხშირად ავადდებიან. კერძოდ, ეს დაავადება აქვს 40 წელს გადაცილებულ ყოველ მესამე ქალს და ყოველ მეათე მამაკაცს. ქალებს ვენების გაგანიერება უფრო მეტად სქესობრივი მომწიფების, ორსულობისა და მენოპაუზის ასაკში ემართებათ. დღეს, ბევრი ადამიანი უჩივის ფეხების დაღლას, შეშუპებასა და ტკივილს. ვენების ვარიკოზული გაგანიერება და ღრმა ვენების უკმარისობა, სწორედ ის დაავადებაა, რომელიც ჯანმრთელობასთან ერთად, ადამიანის გარეგნობაზეც უარყოფით გავლენას ახდენს. როცა გარემო ტემპერატურა საგრძნობლად იმატებს, გაგანიერებული ვენები კიდევ უფრო მეტად ფართოვდება. თუ რა დაავადებაა ეს, ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ, ანგიოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ, ბატონ იგორ მიქაძეს.**

# რა არის ვარიკოზული ვენების წარმოქმნის მთავარი მიზეზები და რატომ იზრდება ამ დაავადებით სიკვდილიანობის რისკი ამ სეზონზე

**– ბატონო იგორ, რა არის მთავარი რისკ-ფაქტორი, რომელიც ვარიკოზული ვენების გაჩენას უწყობს ხელს და რამდენად საშიში დაავადებაა ეს?**

– ვარიკოზული ვენების წარმოქმნას საფუძვლად უდევს შეგუბება და სისხლის მიმოქცევის დარღვევა ქვედა კიდურების ვენურ სისტემაში. ეს ძალიან საშიში დაავადებაა და მისი პირველი ნიშნებისთანავე, უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. ვენები სისხლძარღვებია, რომელსაც პერიფერიული ქსოვილებიდან გულთან გადააქვს სისხლი. ქვედა კიდურებში ვენური სისხლი მხოლოდ ზევით მოძრაობს, სიმძიმის ძალის საპირისპიროდ. სისხლის ასეთი მოძრაობა უზრუნველყოფილია კუნთების შეკუმშვითა და ვენური სარქველებით. თუ ვენური სარქველი ცუდად ფუნქციონირებს, მაშინ სისხლის ნაწილი ისევ ქვევით მიედინება. სისხლის წნევა ვენებში იზრდება, რაც იწვევს ვენების გაფართოებას, მათ დაზიანებას და საბოლოოდ კი, ვენების ვარიკოზული გაგანიერების ჩამოყალიბებას. ვარიკოზის დროს ვენის კედელი განიერდება და დუნდება. მასში ვითარდება დისტროფიული ცვლილებები. ზიანდება ვენების სარქვლოვანი სისტემაც, რომელიც დიდ როლს ასრულებს სისხლის ნაკადის კიდურებიდან გულისკენ გადასროლაში. ვენის სარქველებს ქოლგისებრი ეფექტი აქვს – პერიფერიული ვენებიდან გულისკენ, ქვევიდან ზევით სისხლის დინებისას, ისინი იშლება, სანათურს ახშობს და სისხლს ქვემოთ ჩამოსვლის საშუალებას არ აძლევს. როდესაც ვენის კედელი გაგანიერებულია, ხოლო სარქველები – დაზიანებული, სისხლის ნაწილი გულს ველარ უბრუნდება და პერიფერიულ ვენურ სისტემაში გუბდება. სისხლის ნაკადის უკუდინებას ეხმარება აგრეთვე წვივის კუნთებიც. ქვედა კიდურებიდან გულისკენ ვენური სისხლის მიწოდება წვივისა და ბარძაყის კუნთების შეკუმშვით ხდება. ამ კუნთების შეკუმშვისას წვივისა და ბარძაყის ვენებზე ზეწოლის გამო სისხლი ქვედა კიდურებიდან გადაიტყორცნება მენჯის ვენებისკენ. სწორედ ამიტომ უწოდებენ წვივის კუნთებს პერიფერიულ გულს. გარკვეულ როლს თამაშობს აგრეთვე დიაფრაგმის მოძრაობა, მუცლის შიდა წნევა, სისხლძარღვის შიდა ტონუსი. ვენების ვარიკოზული გაგანიერებისას ადგილობრივად იმატებს ვენური წნევა, უფრო მეტად – წვივის ქვედა მესამედში, რაც ვენური სარქველების უკმარისობას იწვევს. ამის შედეგად წვივის კუნთების შეკუმშვისას სისხლი ღრმა ვენებიდან დიდი წნევით მიედინება ზედაპირულისკენ. ზედაპირულ ვენებში წნევის მატება მათ გაგანიერებას და შეშუპებას იწვევს. ვენური წნევის ხანგრძლივ მატებას თან სდევს კანის გამაგრება და ლურჯი ლაქების გაჩენა. ეს ამცირებს კაპილარებში სისხლის მიმოქცევას და აჩენს წყლულებს.

**– ვინ განეკუთვნება ამ მხრივ რისკის ჯგუფს?**

– მაღალი რისკის ჯგუფში შედიან ისინი, ვისაც უმოძრაო ცხოვრების წესი აქვთ. ამ დაავადებით ასევე ხშირად ავადდებიან გარკვეული პროფესიის ადამიანები, მათ შორის: პედაგოგები, გამყიდველები, მძღოლები, სპორტსმენები, მფრინავები, ქირურგები, პარიკმახერები და ასე შემდეგ, ანუ, ისინი, რომლებსაც დიდხანს ფეხზე დგომა ან ჯდომა უწევთ. თავდაპირველად, როდესაც დაავადება კომპენსირებულია, ავადმყოფები მხოლოდ ვენების გაგანიერებას უჩივიან, რომელიც თავს იჩენს ჯდომისას ან დგომისას – ამ დროს კანზე კლაკნილი ვენები, კვანძები და წნულები ამოიბურცება. დაავადების პროგრესირების კვალდაკვალ ამას ერთვის სწრაფად დაღლა, სიმძიმის შეგრძნება, სპაზმური ტკივილი წვივის კუნთებში, დაბუჟება და ქვედა კიდურების შეშუპება. შეშუპება შესამჩნევია საღამო ხანს და ფეხზე დიდხანს დგომისას, ხოლო დილისთვის, დასვენების შემდეგ ქრება. დროთა განმავლობაში წვივის ქვედა მესამედში, უფრო მეტად – წვივის შიგნითა ზედაპირზე, ჩნდება ლურჯი ლაქები. კანი ეშვება, შრება, ბრწყინვას იწყებს. ბოლოს ვითარდება ქრონიკული ვენური უკმარისობა და ტროფიკული წყლულები.

**– თუ არის ეს გარკვეულწილად, დაკავშირებული საკვებთან?**

– რაც შეეხება კვებას, გეტყვით, რომ ვენებში მიმდინარე პროცესებზე ნამდვილად ახდენს ზეგავლენას კვების რაციონიც. დიდი რაოდენობით ცხოველური ცხიმებისა და ალკოჰოლის ჭარბად მიღება, სიგარეტის მოწევა ყველაზე უარყოფითად მოქმედებს ვენურ სისტემაზე. ვინც საკვებ რაციონში რეგულარულად მოიხმარს მცენარეულ საკვებს, ნაკლებად ავადმყოფობს ვენური თრომბოზით. საკვები უნდა იყოს ვიტამინებით მდიდარი, ამასთანავე, კუჭ-ნაწლავი უნდა მუშაობდეს კარგად. აკონტროლეთ წონა, არ უნდა მიირთვათ დიდი რაოდენობით ტკბილეული, ცომეული, ნამცხვრები, შოკოლადი, ყავა. ასევე, უნდა მოერიდოთ ბევრი სითხის მიღებას. უნდა ჭამოთ დიდი რაოდენობით პომიდორი და კომბოსტო, დალიოთ მწვანე ჩაი. არ გირჩევთ, გამაგრილებელი, გაზიანი სასმელების დალევას. უმჯობესია, ჭამოთ ჩაციებული სეზონური ხილი. ამ დაავადების დროს კარგია ცურვა, მაგრამ არ ვარგა მასაჟების გაკეთება. კიდევ გაფრთხილებთ, რომ სიცხეში ვენები საგრძნობლად ფართოვდება და თრომბის წარმოქმნის საშიშროებაც სწორედ ამიტომ იმატებს. არ გაშინებთ, მაგრამ, შესაბამისად, სიკვდილიანობის საფრთხეც მომატებულია.



**ისინი, ვინც რეგულარულად მოიხმარენ მცენარეულ საკვებს, ნაკლებად ავადმყოფობენ ვენური თრომბოზით**

**– უყურადღებოდ დატოვებული ვენური გაგანიერება შემდგომში რა გართულებებს იწვევს?**

– ბევრმა არ იცის, რომ თავის ნებაზე მიტოვებული ვარიკოზული დაავადება, მძიმე გართულებებს იწვევს. მაგალითად, როგორებიცაა: ტროფიკული წყლული, თრომბოფლებიტი, ფილტვების არტერიის თრომბოფლებიტი და ასე შემდეგ. არავის ვაშინებ, მაგრამ ეს ხშირად ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება. სხვათა შორის, ვარიკოზული გაგანიერება უფრო ხშირად ქალებში გვხვდება, ვიდრე მამაკაცებში. ამ პათოლოგიის განვითარებას ხელს უწყობს ფეხმძიმობა და მშობიარობა.

**– ამბობენ, ხშირად, თრომბოზის მიზეზი მომატებული პროთრომბინი ხდებაო. თქვენი, როგორც სპეციალისტის აზრით, არის თუ არა ეს თრომბოზების მიზეზი?**

– პროთრომბინის ინდექსი შეიცავს სისხლის შედედების ოთხ ფაქტორს, რომლებიც დამოკიდებულია K ვიტამინის შემცველობაზე. პროთრომბინის ინდექსის ზრდა იმაზე მეტყველებს, რომ სისხლის შედედების მეორე ფაზის პროცესები დაჩქარებულია. შესაბამისად, იზრდება თრომბის წარმოქმნის რისკიც. მაგრამ, გეტყვით იმასაც, რომ სისხლის შედედების სხვა ფაქტორებისგან იზოლირებულად, პროთრომბინის მაღალი დონე არ შეიძლება, მოვიაზროთ, როგორც თრომბის წარმოქმნის მთავარი პირობა. თუმცა, აქვე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი შემცირება თავისთავად ამცირებს თრომბის ჩამოყალიბების რისკს. პროთრომბინის ინდექსის ზრდა ხშირად ქრონიკული ვენური უკმარისობის სიმპტომების, კიდურებში სიმძიმის, დაბუჟების, კრუნჩხვების მიზეზია. პროთრომბინის ინდექსის შემცირება, წამლების დალევის გარეშე, მეტყველებს ღვიძლის ცუდ მუშაობასა და K ვიტამინის უკმარისობაზე. ავადმყოფებისთვის, სისხლძარღვთა დაავადებით, პროთრომბინის რაოდენობის ცოდნა აუცილებელი და მნიშვნელოვანია ანტიკოაგულანტი პრეპარატებით მკურნალობის დროს, რომლებიც აბრკოლებს სისხლის შედედებას, კერძოდ, ათხელებს სისხლს.

**– ვენური პრობლემები, საგრძნობლად შემაწუხებელი, სწორედ, დათბობის დროს ხდება. რა მოვიმოქმედოთ რომ თავი დავიზღვიოთ და მდგომარეობა შევიმსუბუქოთ?**

– სიცხეში ვენა ფართოვდება და იწყება ტკივილი. იზრდება ვენური წნევა, გადადის დაჭიმვა კუნთებზე და ეს იწვევს ტკივილს. სიცხეში ეს პრობლემა საგრძნობლად მწვავდება და შემაწუხებელი ხდება. ამ დროს ბევრი ადამიანი თვითმკურნალობას იწყებს – აფთიაქში ექიმის დანიშნულების გარეშე ყიდულობს წამლებს და იღებს. არადა, ამ დროს მთავარია, დადგინდეს მიზეზი, რადგან ფეხის ტკივილი შესაძლოა, გამოწვეული იყოს მარილების დაგროვებით, არტერიული უკმარისობით, ვენებით, ნერვული ანთებით... ამიტომ, ამას თავად ავადმყოფი ვერასდროს დაადგენს და თვითმკურნალობით კი, მდგომარეობას გაიუარესებს. სულ ვამბობ, არ არსებობს წამალი, რომელიც ერთს რგებს და მეორეს არ ავნებს. ამიტომ, მათი თვითნებური მიღება, ყოვლად დაუშვებელია. თუმცა, ვენოტონიკების უმრავლესობა, თითქმის უსაფრთხოა. რაც შეეხება პროფილაქტიკას, თუ იცით, რომ ვენების უკმარისობა გაქვთ, გირჩევთ, იმოძრაოთ ზომიერად, გააკონტროლოთ საკვების მიღება და მხოლოდ ექიმის დანიშნული მედიკამენტები მიიღოთ. კარგია, თუ შუადღისას, თუნდაც ათი წუთით მაინც წამოწვებით და ფეხებს მაღლა შემოაწყობთ. ყოველ საღამოს გაიკეთეთ გრილი წყლის აბაზანები და გამოიყენეთ სპეციალური შესაზელი ჟელეები. ვარიკოზული დაავადების დროს კი, აუცილებლად ატარეთ სპეციალური ელასტიკური, სამკურნალო წინდები ან დოლბანდი. ეს ყველაზე უსაფრთხო და კარგი პროფილაქტიკაა.

**ნონა დათეშიძე**

# ბრძნული აზრები

**შოპენჰაუერი**: სიცოცხლეშივე ძეგლის დადგმა ნიშნავს, არ არსებობს იმის იმედი, რომ ამ ადამიანს არავინ დაივიწყებს.

**მონტენი**: დროის ერთადერთი საზომი ხსოვნაა.

**ტვენი**: კანონის შემადგენელნი არ კითხულობენ, მხოლოდ წერენ.

**კენედი**: ჩვენ არასდროს წარვმართავთ მოლაპარაკებებს შიშის გამო და არასდროს შევეშინდება მოლაპარაკებების.

**ბაირონი**: ღალატი, ისევე როგორც სიყვარული, შესაძლებელია, იყოს პლატონური.

**მონტესკიე**: როდესაც ადამიანი ცუდად იქცევა, ამბობს: „მომიტევეთ, მე, უბრალოდ, ადამიანი ვარ".

**ბისმარკი**: პოლიტიკა არაზუსტი მეცნიერებაა.

**ფრანკლინი**: პოლიტიკა ასტროლოგიის ერთ-ერთი ფორმაა, დაბადებული ფულის ზოდიაქოს ქვეშ.

**ამინადო**: ურთიერთგაგება მოითხოვს ურთიერთსიცრუეს.

**ეკზიუპერი**: თუ შენ გაქებენ იმის გამო, რაც შენ არ გაგაჩნია, ესე იგი, შენგან უნდათ იმის მიღება, რაც გაგაჩნია.

**უაილდი**: სიმართლე აღარ არის სიმართლე, როდესაც მას ერთზე მეტი ადამიანი იწამებს.

**გოეთე**: დაუჯერეთ მხოლოდ მას, ვინც სამართალს ეძებს, არ დაუჯეროთ მას, ვინც სამართალი იპოვა.

**ჰეროდოტე**: ნახევარი სიმართლე მთლიანად ტყუილია.

**მენკენი**: ყველა სულელს შეუძლია სიმართლის თქმა, მაგრამ იმისთვის, რომ იცრუო, ბევრის ცოდნაა საჭირო.

**ვოლტერი**: ერთადერთ შემთხვევაშია კარგი ხელისუფლება, როდესაც ცუდი ხელისუფლება იმყოფება უკანასკნელი შიშის მდგომარეობაში.

**ჩერნიშევსკი**: უთაო შეიძლება იყოს მხედარი და არა ცხენი.

**დოდე**: ზიზღი სუსტების მძვინვარებაა.

**ეშენბახი**: ის, რაც გინდა, აუცილებლად მიგაჩნია.

**რენარი**: ხალხს ერთი საერთო თვისება აქვთ, ყველა სხვადასხვანაირია.

**ჩესტერფილდი**: რაც არ უნდა ასწავლოთ საკუთარ შვილებს, ისინი ისე მოიქცევიან, როგორც მამა და დედა იქცევიან.

**ფორდი**: ახლანდელ დროში იცხოვრო სინდისის კარნახით, ნიშნავს, ავტომობილი ატარო მუხრუჭზე დადგმული ფეხით.

**ჰაინე**: სიბერე ჰგავს მსახიობს, რომელიც ზის მაყურებლებს შორის და უყურებს, როგორ ასრულებს თავის საყვარელ როლებს ვიღაც სხვა.

**ბუასტი**: ბედი არ სჩუქნის, არამედ სესხად იძლევა.

**ტოლსტოი**: ჩვენს უბედურებებს ბედს ვაბრალებთ, ხოლო მიღწევებს – საკუთარ თავს.

**მოპასანი**: სიამოვნებით გავიგებდი, აბქვეყნად რამდენი ქალი ღალატობს ქმარს.

**ბრიუიერი**: მსგავსად თევზისა, რომელიც თავისა და კუდის გარეშე იზომება, ქალიც ვარცხნილობისა და ჩაცმულობის გარეშე უნდა შეაფასო.

# თუ გაგვიგიათ

1. ის, რაც პერიოდულად აშფოთებს კაცობრიობას, პირველად 1892 წელს აღმოაჩინა რუსმა მეცნიერმა დიმიტრი ივანენკომ, თამბაქოს მოზაიკური დაავადების შესწავლის დროს. 1932 წელს მას ოფიციალური სახელი – „შხამი" დაარქვეს, ოღონდ, რა თქმა უნდა, ლათინურად. **რა აღმოაჩინა ივანენკომ?**

2. ის თითქმის ყველასთვის კარგად ნაცნობია და ნამდვილად ასოცირდება თოვლთან. ალბათ, ამიტომ დაარქვეს ინდოელებმა თავიანთ ზამთრის ღვთაებას მისი სახელი. **რა ჰქვია მას?**

3. ლინგერჰანსის კუნძულები – ზოგჯერ ასე უწოდებენ განსაკუთრებულ ჰორმონს, რომელიც წარმოიშობა კუჭქვეშა ჯირკვლის ენდოკრინულ ნაწილში. 1916 წელს ინგლისელმა ფიზიოლოგმა ედუარდ შარლიმაც მისთვის სახელის დასარქმევად სიტყვა „კუნძული" გამოიყენა, ოღონდ ლათინურად. **დაასახელეთ ეს ჰორმონი.**

4. **რომელი კუნძული აღმოაჩინა** კოლუმბმა 1498 წელს. კათოლიკური დღესასწაულის – სამების აღნიშვნის დღეს კარიბის ზღვაში?

5. 1637 წელს ესპანელმა ჩინოვნიკებმა პროტესტის ნიშნად, აკრძალეს ისეთი გეოგრაფიული რუკების გამოყენება, რომლებზეც ამერიკა ეწერა. მათი აზრით, უსამართლო იყო ამ კონტინენტისთვის სახელი პორტუგალიელი ამერიგო ვესპუჩის პატივსაცემად დაერქმიათ, როცა ის მათმა თანამემამულემ, კოლუმბმა აღმოაჩინა. **რა ეწერა იმ დროს ესპანურ რუკებზე ამერიკის ნაცვლად?**

6. **დაასახელეთ ძვირფასი ქვა,** რომლისგანაც, ჩინური ლეგენდის მიხედვით, დამზადებული იყო ბუდას ციური ტახტი.

7. ნავთობს წმიდა ადრე კვირინის ზეთს ხან სენეკის ზეთს ეძახდნენ, თუმცა მისი ყველაზე გავრცელებული სახელი, რომელიც ჩვენც კარგად ვიცით „ქვის ზეთია". **როგორ გამოითქმის ის ბერძნულ ენაზე?**

8. **რა სახელი** დაირქვა ვინმე ჩჟუნ-ნიმ, რომელიც კონების გვარის შთამომავალი იყო?

9. **დაასახელეთ** ჰოლანდიელი მინის ოსტატი, რომელმაც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში პირველმა დაიწყო პრაქტიკული მიზნებისთვის გამოსაყენებელი თერმომეტრის გამოშვება.

10. ძველ რომში ამით გარკვეული მოვლენა აღინიშნებოდა. ის სამი ნაწილისგან შედგებოდა – საზეიმო სვლა, მსხვერპლშეწირვა და ნადიმი. **რა?**

***პასუხები იხილეთ მე-69 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* იაჰვე, თავდაპირველად, უდაბნოს სულად ან დემონად ითვლებოდა. მოგვიანებით კი, ომის ღმერთი გახდა და ლომისა და ხარის სახით გამოისახებოდა.

* არქიტექტორი ბერძნულად მთავარ მშენებელს ნიშნავს.

* ძვირფასი ქვებიდან მეზღვაურთა თილისმად აკვამარინი ითვლებოდა.

* ჯონ ლენონი სამხატვრო კოლეჯში სწავლობდა, თუმცა არ დაუმთავრებია. რინგო სთარს კი სრული სასკოლო განათლებაც კი არ ჰქონდა მიღებული.

* „ფრთიანი სიტყვა" – პირველად ეს ტერმინი ჰომეროსმა გამოიყენა მწყობრი, მჭევრმეტყველური ლაპარაკის გამოსახატავად. 1874 წელს კი ეს გამოთქმა გეორგ ბიურმანმა თავისი წიგნის სათაურად აირჩია.

* ალოგეი ჰქვია მთვარის ორბიტის დედამიწიდან ყველაზე დაშორებულ წერტილს.

* რომაულ კალენდარში თებერვალი ეძღვნებოდა გარდაცვლილ წინაპრებს და სხვა თვეებისგან განსხვავებით, აუცილებლად წყვილი დღეებისგან შედგებოდა.

* თავდაპირველად, ფარაონი ერქვა სასახლეს, სადაც ეგვიპტის მმართველი ცხოვრობდა.

* მანეკენი ჰოლანდიური სიტყვაა და ადამიანს ნიშნავს.

* მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში ჟანდარმებს ეძახდნენ მძიმედ აღჭურვილ ფრანგ რაინდებს, რომლებიც ევროპის საუკეთესო მხედრებად მიიჩნეოდნენ.

* ნინძას საიდუმლო ორგანიზაციის წევრებს კუნძულ ხონსიუზე ბავშვობიდან ასწავლიან „უხილავად ქცევის ხელოვნებას".

* თავდაპირველად, რუსეთში კატორღას ეძახდნენ ნიჩბიან ხომალდებს, რომლებზეც მენიჩბეებად დამნაშავეები ჰყავდათ.

* სკაუტების ახალგაზრდული მოძრაობა 1908 წლიდან იღებს სათავეს ინგლის-ბურების ომის მონაწილე გენერალ ბადენ პაუელის ინიციატივით.

* კომანდოსი – ასე დაერქვა მეორე მსოფლიო ომის დროს დიდ ბრიტანეთში ჩამოყალიბებულ სადესანტო და დასაზვერი ოპერაციების ჩამტარებელ სპეციალურ რაზმებს.

* აცეტონი ლათინური სიტყვაა და ძმარს ნიშნავს.

* 1669 წელს ჰამბურგელმა ქიმიკოსმა ბრანდტმა, რომელიც ცდილობდა, ეპოვა ფილოსოფიური ქვა, პირველმა მიიღო ფოსფორი.

* ლათინური სიტყვიდან „ფირმა" – „ხელმოწერა" ერქვა შუა საუკუნეების ვაჭრების მიერ დაწერილ წერილს მევახშისადმი თხოვნით, გადაეხადათ ფული კრედიტორისთვის.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლa8-h8!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



ტრასაზე მანქანა მოდის. გადასახვევიდან მეორე მანქანა გამოვარდა და შუა გზაზე გაიჩხირა. იქიდან ტიპები გადმოხტნენ და მძღოლს ეუბნებიან:

– აბა, ჩქარა, გადმოდი, მანქანა ჩვენია! ფული რაც გაქვს – ისიც ჩვენია... ძვირფასეულობა...

– თქვენ ვინ ხართ?

– სპორტსმენები, – კუნთებზე დაიხედეს ტიპებმა.

– ჰოდა! – დააძრო ტიპმა პისტოლეტი.

– აბა, სპორტსმენებო, სტარტზე! ყურადღება!..

***

მეტეორიტის მცხოვრებნი შეშინებული აკვირდებოდნენ ჩელიაბინსკის მცხოვრებლებს...




***

ვაფასებ კატებს... წავიყვანე კატა ქალაქგარეთ, ნაგავსაყრელზე ამ ზამთარში და დავტოვე იქ ყოველგვარი საარსებო პირობების გარეშე. ის სახლში დაბრუნდა... არც უყვირია, არც დამმუქრებია, პოლიციაშიც არ შეუტანია საჩივარი... ჩემი სიდედრივით კი არ არის.

***

– გოგონი, მე შემიძლია, გასწავლო სიყვარულის ხელოვნება...

– და რამდენი დროის დახარჯვას აპირებთ ჩემს განათლებაზე?!

***

იმისთვის, რომ მამაკაცებმა არ დაინახონ თქვენი სახე, არ არის აუცილებელი, ჩადრი დაიხუროთ, მინიკაბა გაცილებით ეფექტურია.

***

გადავწყვიტე, დიეტაზე დავჯდე. მირჩიეს, ხშირად ვჭამო და ცოტ-ცოტა... პირველ პუნქტს უკვე ვასრულებ.

***

– ამდენ ხანს სად ხარ? ყველა შენ გელოდებით...

– ა, უკვე მოვედი, მალე შემოვალ...

– კი მაგრამ, სახლის ტელეფონზე გირეკავ?

***

წვანან პალატაში სამი მამაკაცი, ორი – ინფარქტით, ერთი – ინსულტით. გაიცნეს ერთმანეთი, დაინტერესდნენ – თითოეული როგორ მოხვდა საავადმყოფოში.

– მე მცირე ბიზნესი მქონდა... საგადასახადო შემოვიდა და...

– მე სახელმწიფო დაწესებულებაში ვმუშაობდი და საფინანსო შემომივიდა...




– მე მესაფლავედ ვმუშაობდი...

– მერე?!

– ერთ დღესაც ვხედავ, მოაქვთ შავი კუბო, „ლაკირებული“, ასვენია შიგ მიცვალებული უცხოური ოტ კუტიურიეს შავ შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილი, ჰალსტუხიანი, ყველა თითზე მსხვილი ოქროებით, კისერზეც... მაგარი საათი... კუბოს მისნაირები მოჰყვებიან. დავასაფლავეთ... ჩამყვა გულში – ერთი დღე ვიფიქრე, ორი, მესამე დღეს ველარ მოვითმინე, შუაღამისას მივედი და ამოვთხარე. ავხადე კუბოს თავი და იქიდან მიცვალებული ღიმილით მეუბნება:

– საკონტროლო დამარხვა!

***

– მიხო, შენი კლეჩატი საროჩკა მიტუას მივეცი...

– რატა, დაბადების დღე ჰქონდა?

– არა, კაცო... ხო თქვი, არ მამწონსო და...

– მე დედაშენიც არ მამწონს, მიდი და მიეცი.

***

მიდის სასამართლო პროცესი. ეკითხებიან ქირურგს, რომელმაც დამლაგებელი გააუპატიურა:

– როგორ იკადრეთ, ასეთმა პატივსაცემმა პიროვნებამ?

– რა ვიცი... მივდიოდი საწყლად, მძიმე ავადმყოფი მყავდა, სამი დღე-ღამე გადაბმულად მომიწია ღამისთევა. ხელები სისხლში მქონდა, დავინახე წაკუზული... ველარ მოვითმინე და... თან, წინააღმდეგობაც არ გაუწევია.

– ქალბატონო, ახლა თქვენ გვიამბეთ, რა მოხდა...

– მე დავალაგე პირველი სართული, მოვწმინდე იატაკი... მერე მეორე სართული... მესამეზე ამოვედი, ვწმენდ იატაკს, დავიხარე, ტილო უნდა გავწურო და ამ დროს უკნიდან ისე...

– ვერ გაიქეცით?

– როგორ, მოწმენდილზე?

***

– ბავშვებო, არ დაგავიწყდეთ მშობლების გაფრთხილება, რომ ამ კვირაში ფული გაქვთ მოსატანი...

– ისევ 5 ლარი?

– თქვენ მშობლებს 5 უთხარით, მე სამი მომიტანეთ... მშობლები თუ იკითხავენ, არ გაგყიდით, 5-ს ვეტყვი.

***

ცოლი: საძინებელში ხომ არ შევსულიყავით?

ქმარი: არა.

ცოლი: გშია?

ქმარი: კი.

ცოლი: მერე, კავშირს მათ შორის ვერ ამჩნევ?

***

– მამი, დღეს დირექტორთან შემიყვანეს და იცი, რა მკითხა? დედისერთა ხარო?

– კი, დედისერთა ხარ. მერე რა?

– მადლობა ღმერთსო.

***

აფთიაქში ახალგაზრდა შევიდა, დგას და ფიქრობს.

– ხომ არ დაგეხმაროთ, – ღიმილით მიმართა აფთიაქარმა, – რომელი პრეზერვატივი გნებავთ?

– არა, უკვე გვიანაა, პამპერსი 3 თვემდე.

***

სადარბაზოს წინ, გრძელ სკამზე ორი ბებო ზის.

– მაყვალ, გახსოვს, ქალო, რა გოგოები ვიყავით, განსაკუთრებით – მე...




– და ახლა, რა ბებრები ვართ, საშინლები... განსაკუთრებით – შენა.

***

მდიდარი მამის შვილმა გადაწყვიტა, რომ უკვე დიდია და უნდა დაქორწინდეს... სხვათა შორის, აქციონერთა შეკრებაზე შეარჩია ლამაზი გოგონა, გაიცნო და აუხსნა კიდეც, რომ ისინი ერთმანეთს ძალიან შეეფერებიან, უთხრა, რომ ის უბრალო ადამიანი არ არის, რომ მომავალში 65 მილიონი დოლარის მფლობელი იქნება. გოგონა დაინტერესდა და სავიზიტო ბარათიც გამოართვა.

ორი თვის შემდეგ კი მისი დედინაცვალი გახდა.

ფინანსურ დაგეგმარებაში ქალები უკეთ ერკვევიან.

***

მიხომ შეამჩნია, რომ გოგოს მუცელი მოუმრგვალდა და მის შეყვარებულს, ზაქრუას ეუბნება:

– ჰა, ბოლოს და ბოლოს გამაგებინე, ირთამ ჩემ მაყვალას ცოლად თუ არა?

– გამოდის, რომ არჩევანიცა მქონია.

# „კალიასკიანი“ ინსპექტორი და მასპინძელთან დაბრუნებული სტუმარი

არა, ძმაო, ქუთაისს ვერ ვშორდები. ნურც დამაშოროს ღმერთმა ჩემს სავარდო და სამაისო ქალაქს. ეს ამბავი სტუდენტობის ბრწყინვალე ხანაში მოხდა.

ჩემმა მეგობრებმა – გოჩა შალამბერიძემ და თემურ ბოჭორიშვილმა სახლში დამპატიჟეს. გაიშალა სუფრა, მაგრამ რა სუფრა, თვითონაც მიხვდებით.

ის დღე ხომ სულ, რომ იტყვიან, „გლანდებში კოცნით“ ვიქეიფეთ. მეორეც არ გახლდათ პირველზე ნაკლები.

თემური მიძახეთ თქვენ და მართლა „ლენგი“ არ გეგონოთ, გადავილალე ამდენი ღრეობით, ბატონო.

მესამე დღეს სუფრის და ღვინის დანახვა აღარ მინდა. თბილისში წასვლა ყველაფერს მირჩევნია, მაგრამ, რა ვქნა... „გარეთ გავლა“ მოვიმიზეზე და გაბრუებული ჭკუივით გამოვედი ეზოში, ეზოდან – ქუჩაში... მთავარია, აეროპორტამდე მივიდე. ერთი მანქანა რაა, ისიც კი არ ჩანს (კვირა იყო და ყველა თავისას უბერავდა, ალბათ).

ბედმა სულ მთლად არ გამწირა. ინსპექტორის „კალიასკიანი“ მოტოციკლეტი მოხრიგინობს და უკან ამოუცნობი ფერის ბოლს ტოვებს. გადავუდექი წინ. გაჩერდა.

– რა გაგჭირვებია, ახალგაზრდავ? – მეკითხება ინსპექტორი.

– ინსპექტორო ბიძია, ღმერთი შეგეწევა... აეროპორტში მიმიყვანე, რა!




– დაჯექი, შე კაცო, მაგაზე გეტყვი ვარს? (ქუთაისში სტუმარს ვინ გააწბილებს). მოვყუჩდი „კალიასკაში.“ დავიძარით. მივდივართ, მივდივართ...

– საიდან მოდიხარ, ბიძიკო? – გადმოიხარა ინსპექტორი და ყურში ჩამძახა.

– ძმაკაცების ოჯახში ვიყავი აგერ.

– რომლის, ბიძიკო?

– გოჩაიას და... კიდო თემურია ბოჭორიშვილის.

– აა, იგი როა, ხომ? – თემურია რა და გოჩა რო ჰქვია?

– კი.

– აგაშენა ღმერთმა... მოუმატა სიჩქარეს... კარგა თხუთმეტი წუთი დავრბოდით ქუჩა-ქუჩა. ბოლოს გააჩერა ჭიშკართან, გადავალ ცოტა ხანს, შენ აქ მომიცადეო. სხვა რა გზა იყო. ჩავთვლიმე.

ხორხოცმა შემაღვიძა. გაიღო ჭიშკარი და რას ვხედავ... სუფრა დგას ეზოში.

– ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! – ყვირის ჩემი მასპინძელი და განსხვავებული მაჯახა. თურმე, საიდანაც გამოვიქეცი, იქ არ მივუყვანივარ?! (ასეთი „ღალატი“ ქუთაისში სულ ხდება).

სიცილი... ჟივილ-ხივილი...

– ისე, თქვენი ბრალიცაა, – აროხროხდა ინსპექტორი „ბიძიკონა“, კაცი რო სუფრიდან გაგეპარება, ან მასპინძელი არ ვარგიხარ, ან თამადა.

– ვაიმეე! – ვთქვი და გული რომ არ წამსვლოდა, გალიცლიცებული ღვინიანი თასი მაჯახეს.

მაინც მიყვარხარ, ჩემო ქუთაისო!

**რადიო-ტელევიზიის სპორტული კომენტატორის, თემურ ჯაფარიძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა მურმან მერკვილიშვილმა**

# იმერეთში დაბადების დღეზე დაპატიჟებული ჩინელი ბიჭი და კალოშით დალეული სადღეგრძელო

გამარჯობა დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით შენც და ჩვენი ოჯახის თვრამეტივე წევრი, თუმცა, უკვე ოცდაერთი – ლიომ, სეენდმა და დაოლმა ხომ პატარა ვაჟკაცები შესძინეს ჩვენს ოჯახს წინა კვირაში. „ვაჟკაცი“ აქაური სიტყვაა და ყოვლისშემძლე გოლიათს ნიშნავს.

დედა, მინდა, კიდევ ერთი ამბავი მოგიყვე, რომელიც გუშინწინ გადამხდა და ახლაც ვერ ვგრძნობ თავს კარგად.

ჩვენს მეზობლად ერთი ქართველი ბიჭი ცხოვრობს, კობა ჰქვია. აქ ერთი პროვინციაა – იმერეთი ჰქვია და იქიდან არის. ჰოდა, ამ კობამ თავის პროვინციაში დამპატიჟა, თავისი ბიძის ძმის ცოლის დაბადების დღეზე. ჰო, ნუ გიკვირს, სწორად გწერ. აქ ასეთ ადამიანს ნათესავს ეძახიან, აბა, ჩვენც თუ ეგრე გავაკეთეთ, მთელი ჩინეთი ჩვენი ნათესავი ყოფილა და ეგ არის. მოკლედ, წავედით და ძალიან დიდხანს ვიარეთ. ჯერ ვიფიქრე, ხომ არ გამიტაცეს-მეთქი – აქ უცხოელებს ხშირად იტაცებენ, მაგრამ, კობას ვენდე. მივდიოდით მე, კობა, კობას მდიდარი ბიძა, კობას ბიძის ცოლის დისშვილის მული და კობას ბიძის ბიძაშვილის ქვისლი. ამ სიტყვებს ვერ გაიგებ და მოგვიანებით აგიხსნი, ჯერ მეც ვერ მივხვდი კარგად.

დედა, წინასწარ გეტყვი, რომ ამ ქვეყანაში მდიდრებს ისე სცემენ თაყვანს, როგორც ჩვენს ქვეყანაში წინაპართა სულებს. ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიეთ დანიშნულების ადგილს და დიდი რკინის კარი გაიღო. ეზოში დაახლოებით იმდენი ადამიანი იდგა, რამდენიც ჩვენთან ქორწილშია ხოლმე. თუმცა, როგორც მერე აღმოჩნდა, ნახევარზე მეტი სტუმარი არ ყოფილა – მეზობლები ყოფილან სეირის საყურებლად მოსულები. სეირი კი მართლა გაიმართა: მანქანიდან გადმოსულ კობას ბიძას ხელში 6 თვიდან 4 წლამდე ასაკის ბავშვებს ტენიდნენ, ბიძამაც მორჩილად გახსნა საფულე და ყველა ბავშვს წინასწარ გამზადებული ასლარიანები ჩაუტენა მაისურებში, ცოტა ხანში ბავშვები დედებმა სახლის უკან გაიყვანეს, მოფარებულ ადგილას, გასაძარცვავად და ბავშვების კივილმა სახლს კინაღამ ჭერი ახადა. გაიშალა სუფრა და დაიწყეს კაცის არჩევა, რომელიც შემდეგ ძალიან დიდხანს რაღაც ამბავს ყვებოდა, სხვები მუნჯებივით უსმენდნენ, შემდეგ სვამდა უზომოდ დიდი სასმისით ყურძნის ღვინოს და სხვებსაც აიძულებდა, დაელია. მე




თვალით ვეძებდი იუბილარს, რომლისთვისაც საჩუქარი უნდა გადამეცა. მიხვდები, დედა, ალბათ, რის ჩუქებასაც ვაპირებდი – ჩვენს სოფელში რომ ვაკეთებთ ხოლმე ფოჩიან ჯოხებს და ზედ რაღაცეებს ვაწერთ, მერე კი ტურისტებს რომ ვეუბნებით ხოლმე, ავი თვალისგან გიცავსო, – აი, სწორედ ის ჯოხები წამოვუღე – აქ საერთოდ ყველანაირი საგნის სჯერათ, რაზეც ვინმე იტყვის, რომ ავი თვალისგან იცავს ადამიანს. მაგალითად, სახლის კარზე ცხენს რომ ფლოქვებზე აჭედებენ, იმ რკინას ჰკიდებენ ხოლმე; ასევე, ეკლებს, კიდევ რაღაც შავ ქვას უკეთებენ ბავშვებს სამაჯურად და, შენ წარმოიდგინე, ჩინური ჯოხები რა სასწაულს ატრიალებს აქ. მოკლედ, იუბილარს ვეძებდი, მაგრამ, მითხრეს, რომ იქ არ იყო. აბა, სად არის-მეთქი, ვიკითხე და, მიპასუხეს – საბერძნეთშიაო. მარტო ის გამიკვირდა, ვის უხდიდნენ დაბადების დღეს, თორემ, ქართველი ქალების ნახევარი საბერძნეთშია წასული – მოხუცებს უვლიან იქ და კიდევ მე მეჩხუბებიან ხოლმე – რას ჩამოეთრიეთ აქ, თქვენს ქვეყანაში ვერ ეტევითო?! ის კაცი, წეღან რომ ვახსენე – სუფრაზე ყველას აჩუმებს და ბევრ სასმელს ასმევს-მეთქი, თავიდან იაპონელი მეგონა, რადგან, მითხრეს, თამადა ჰქვიაო – თამადა ხომ იაპონური გვარია. იმერეთში სუფრაზე ძალიან ბევრს ჭამენ და ჩუმად ერთმანეთზე ლაპარაკობენ. ძირითადად, ყველა მსუქანია და სხვადასხვა ზომის ტანსაცმელი აცვიათ. ქეიფის დროს დიდი დინამიკები მოაქვთ და იაპონურ ელექტრონულ პიანინოზე სევდიან და გულისმომკვლელ მუსიკებს უკრავენ, რაც უნდა სამხიარულო სუფრა იყოს. უარესი სასწაულები სუფრასთან დაჯდომიდან ნახევარ საათში დაიწყო: ჯერ თამადამ ნახევარი საათი ილაპარაკა კობას მდიდარ ბიძაზე, შემდეგ ფეხსაცმელი გახადა, ღვინით აავსო და ბოლომდე დალია. შემდეგ მოიტანეს ხორცის გასატარებელი მანქანა. შიგ ღვინო ჩაასხეს და ყველამ ბოლომდე დალია. შემდეგ მოიტანეს ჭუჭყიანი, ნავთის სანათის შუშა, ღვინით გაავსეს და იმითაც დალიეს... მოკლედ, ყველაფრით დალიეს, რაშიც ბევრი სითხე ჩადის. დედა, მე ხომ გითხარი, რომ, მინდა, ქართული კარგად ვისწავლო, ამიტომ, ყველა გამოთქმასა და სიტყვას ვიწერ, მაგრამ, ამ იმერეთში რასაც მელაპარაკებოდნენ, ვერაფერი გავიგე. მაგალითად, ორი ქალი ჩემზე ლაპარაკობდა და ყველაფერი ჩავიწერე, მერე კი კობას გადავათარგმნინებ. მაგალითად: „დეინახე, რავა მოუპრუწია თვალები“, „კვახის ბარდებივით არ გოუშლია ყურები?“ „ჩინდრიკით რომ ამოვარდა კიბეზე, მიტომ ყლოჭინობს ახლა“, „ე ნიგვზიანებს რავა მარწყვივით ყლაპავს“, „რანაირი ტანი აქვს, ბოვშია თუ გადაღრძუებული, კი ვერ გეიგებ“, „რავა ამთქნარებს უვახშმო ძაღლივით“ და კიდევ ბევრი. დედა, კიდევ ბევრი იქნებოდა მოსაყოლი, მაგრამ, თამადამ დასისხლიანებული თვალებით შემომხედა, თავისი ცოლის უზარმაზარი კალოში ღვინით გაავსო და ბოლომდე დამალევინა. ამის შემდეგ ალარაფერი მახსოვს. კიდევ მოგწერდი, დედა, მაგრამ, ახლა ღამის სამი საათია, ლუსი რაღაც სამსახურში წავიდა, ერთი საწოლი გათავისუფლდა და უნდა დავიძინო.

**გკოცნით, თქვენი ტობი ვონგი.**



ISSN 1987-569X

რატომ „დააიგნორა“ მომავალმა შეყვარებულმა თამთა შედანია და ვინ იყო მათი ურთიერთობის წინააღმდეგი

გვ. 38